

ISSN 0132-6023

0132-6023  
0132-6023

# אינסי

12

1986

# სსსს

353

გამომცემის ოცდახუთე წელი

12

დეკემბერი

1986

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბრარბურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## კოვჩია და კროჯა

3. მელა კახიძე — ლემსები
5. რაულ ჩილაჩავა — ლემსები
8. მიხეილ ანთაძე — მოთხრობები
18. ბალთარ არაგული — ლემსები
21. ვიგლა სარიშვილი — ლემსები
23. ავთანდილ ჩხივირძე — მოთხრობები
58. ირაკლი ბაჩაძე — ლემსები
61. ბათუ დანელია — ევას სინანული (ქალაქური ნოველა)
65. ლიანა ჯანელიძე — დღე. მოთხრობა
72. ალექსანდრე ტაბატაძე — ლემსები
74. ამირან ასობაძე — ლემსები
76. დურმიზან ბერიძე — ლაზარე. (ნოველა)
82. რუსუდან ჯინჯიჩაძე — შენ. ლექსი
83. ზუმრუდ გოდაბერიშვილი — ლემსები
84. პაპი ბელოვანი — ლემსები

## ახალი თარგმანები

85. ალექსი არღუნი — ბიჭიძე. (ნოველა). თარგმნა ელზა მეტრეველმა
92. შაშვალ იოსეფ აგონი — მბერი?.. მოყვარული! ებრაულიდან თარგმნა ნინან ბაბალიაშვილმა

## წერილები

94. სოსო სიგუა — „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-დან „მემარცხენოვანად“
109. ნანა ძისტაური — რევაზ ინანოვილის საბავშვო პროზის მხატვრული თავისებურებანი
114. იოსებ მებრელიძე — ნიკო გარი
122. ნუგზარ შავგულიძე — ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან
125. მელა ქართველიშვილი — იუგოსლავური პროზის დიდოსტატი
128. ქეთევან დეკანოზიშვილი — ხალხური გაბაასების სათავეებთან

## ბახსენება

133. ედიშერ გიორგაძე — ქართული სიტყვის ქანდაკარი
136. თეიმურაზ ბერიძე — რამდენიმე დღის ბახსენება

## სკორტი

140. გურამ ფანჯიკიძე — მარადონა რეი. დასასრული.
158. შურულ „ცისკრის“ 1986 წლის ნომრების შინაარსი

### შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია

### სარედაქციო კოლეგია: გივი ალხაიციანი

### თედო ბაქიშვილი (შთავარი რედაქტორის შოდეგი)

### გურამ გავაშვიძე გივი გავაშვიძე გიორგი გუგულია თეიმურაზ დონიაშვილი მერაბ ელიოვიშვილი

### მელა კახიძე შოთა ნიშინიძე გურამ ფანჯიკიძე მორის ფოსხიშვილი ალიკო შარაშიძე ნუგზარ შატაძე

### ავთანდილ ჩხივირძე (ახსენებები შიგანი)

### სოსო სინაძე გოგი წარეთელი ტარიელ ტანტაური ბადრი ჟოსონელიძე მეჩა ჯოსაძე



# მედია კახიძე

## მ მ რ ე ნ ე მ ი ს

დღეს ვილიმები უნდილად  
 გუშინ რომ  
 ლხინი მღლიდა.  
 მე აღარავის ვუნდივარ  
 შენი სიკვდილის  
 დღიდან.  
 გული რომ ჰქვია,  
 იმ ყვავილს  
 აძევს თოვლი და  
 თრთვილი,  
 შენ მზეჭაბუკი  
 იყავი,  
 და უხდებოდი  
 თბილისს.  
 შენ ჩემთვის  
 ოქროს ნისკარტით,

ავგირისტები ედემს,  
 მხოლოდ  
 მე ერთი გიყვარდი,  
 ქვეყნად მხოლოდ  
 შენ გენდე.  
 გაძულდა მშური  
 და რიოში,  
 გაძულდა სიცრუე  
 მტკნარი,  
 და დევის არტერიებში  
 გადადიოდა მტკვარი!  
 ახლა დაგვივის  
 ჰილყვავი,  
 გაწევს ლოდები თლილი,  
 შენ მზეჭაბუკი იყავი  
 და უხდებოდი თბილისს!

## და მეზინია

ჩემს სახლწინ ქარი  
 ცნობისწადილით,  
 ტირიფს  
 თმას აღარ უსალამურებს,  
 მე პირიმზე ვარ  
 მძევლად წაგვრილი,  
 და ჩემი სახლი  
 დარჩათ ლამურებს.  
 მხოლოდ ღვთის კართან  
 ვმდგარვარ სახვეწრად,  
 ვერ მიმაჩვიეს  
 კაცის გაკენწვლას,

ვამაყობ, როცა  
 თავს ვდებ ვისთვისმე  
 და მზისგან მხოლოდ  
 ღიმილს ვითვისებ.  
 თუმცა ზურგს უკან  
 ლანძღვით მამკობენ,  
 მაინც ვერ ვწირავ  
 ვერც ერთს სათოკედ!  
 მაინც ქებებს მესვრის  
 ცრუ და ოხერი  
 და მეშინია  
 უკან მოხედვის!

ბილიკები გადამექცა  
 ციკაბოდ,  
 შენს ღღეში ვარ  
 ხერთვისო და ხომლო,  
 აწი უკვე რაღას  
 უნდა ვუცადო,

ნანგრევები  
 დარჩა ჩემგან მხოლოდ!  
 ვინც მიყვარდა,  
 დაუკრიფეს გულხელი,  
 ბნელში ყოფნა  
 მიუსაჯეს გულღრძოდ,

ყველამ ზურგი  
შეაქცია წუხელი,  
ერთადერთმა  
მუხის კუბომ უძმო!  
თვალზე ცრემლებშეუშვარალი  
დავტვირი,  
ჩემს სიყვარულს,  
ყვლგამოჭირის დანით,  
ვისაც მოთქმა  
შეგიძლიათ ან კრინი,  
„დალაი“ თქვით.

შემაწიეთ ბანი.  
ცრემლი ვინ მომწმენდს,  
ან მალამოს ვინ მომცხებს,  
რად დამსაჯე ასე მკაცრად  
ღმერთო,  
აღბათ, მიტომ  
მომისაჯე, სიცოცხლე,  
შენს საფლავზე  
თათლის სანთლად  
ვენთო!

მედგა კრიჭაში სიყრმიდან  
წუთისოფელი გულქვა,  
მინც სული არ მიეყიდე  
ეშმაკს მოარულს უქმად,  
ექვის უღელში  
შებმულმა,  
გული ვხარჯე და ვხარჯე,  
თურმე მე ვიხდი  
რეგენულად

ვის ვუანდერძებ  
იმ კარვ წლებს —  
ცრემლის მძივების ასხმას.  
ვიცი, მორევს  
ვერ გავცურავ,  
ვერ გავქეცვივი მერებს,  
ვაჟ თუ  
ვერ მოგვკვდე ვაცურად,  
საღლა გამოვჩნდე მერე!  
რადგან არ ვეყმე  
მიტომაც,  
ცას მიბნელებენ მძევალს,  
სისხლის მორევედ  
მივტბორავ,  
თავს დამტრიალებს ძერა,  
კვდები  
სიმართლის მედროშედ  
და რაც მჭეროდა  
მჭერა!

ადამ და ევას სასჯელს;  
რადგან ჩემს ირგვლივ  
მყოფები,  
მგლები ნიღბებით დგანან,  
შემართული აქვთ თოფები,  
მოშვერილი აქვთ დანა,  
არ ვიცი,  
რა გზას მივაწყდე,  
სად დავემალო თავსხმას.

ყველამ ხელი შემომკრა,  
მკლავი ძირში მომკვეთეს —  
ვისაც ვთვლიდი მეგობრად,  
ვისაც ვთვლიდი მოკეთედ.  
ყველამ ხატზე შემრისხა,  
აღარ დადგა ჩემი დრო,  
არ ისურვეს ჩემი ხსნა,  
არც არავინ შემინდო!  
გადიქუხებს აპრილი,  
ჩეროს წაშლის უკვალოდ,  
ჩემი გულის ნაპარალებს  
მზე ვინ შემოურკალოს?  
აღარც გასაქირდავი,

აღარც გასაქურდავი,  
არცა რამ მახადია,  
ვიცი წვიმის გაღია  
წვიმის შოლტებს დამიწნავს  
და გამწკვპლავს წამიწამ,  
რასაც ვუაღერსებდი  
სულ ერთ წამში ჩაფუშავს,  
უფრო უარესებიც  
ამიგდებენ აბუჩად.  
ყველამ ხელი შემომკრა  
გულის გამწყდარ სიმებზე,  
ვისაც ვთვლიდი მეგობრად,  
ვისაც გულით მივენდე!

ციკლიდან: აპრძალული სიყვარული

თუ იმნაირად დაწერას შევეძლებ,  
როგორც ვფიქრობ და როგორც  
განვიცდი,  
თუ ვპოვებ სიტყვებს, რომლებსაც  
ვეძებ  
და თუ მანამდე არ დავგაიწყდი,  
ვირწმუნებ: მცდრე დამრჩება განძი,

მაშვრალის გულზე მოსაფონელი  
და როცა გავღევ საკუთარ მანძილს,  
ნულარც მქონია სხვა საქონელი.  
მე ბედნიერი ვიქნები იმით,  
რომ გრიგალებში ვიარეთ ერთად,  
რომ ჩემი ჩანგის ეული სიმი  
შენთვის, შენს გამო და შენზე ჟღერდა.

აპრძალული სიყვარული

ვაი, აპრძალულო სიყვარულო,  
ბალიშზე ცრემლებად მიღვარულო!

ქარი ხარ, ქროლვა არ შეგიძლია,  
ხე ხარ სიცოცხლისა,  
ტოტებგაბარჯლული,  
ნაყოფით ტბობა არ შეგიძლია.

მზე ხარ, ნათება არ შეგიძლია,  
ცა ხარ, ქუხილი არ შეგიძლია,  
ზღვა ხარ, დუღილი არ შეგიძლია,  
სისხლი ხარ, ჩქროლვა არ შეგიძლია,

ვაი, უშვილძირო სიყვარულო,  
ბალიშზე ცრემლებად მიღვარულო!

აღმოვაჩინე, თანაც მეცხრე დღეს  
(რიცხვი ცხრა მუდამ იწვევდა ნღობას),  
შენ უღალატებ თანამეცხედრეს,  
მაშასადამე, წარსულს და მყოფადს.  
მბრუებს სუნი შენი პალატის  
და ვკმუჭნი მხრებზე წამოსხმულ  
ხალათს.

იქნებ კიდევაც მოიქცე სწორად,  
მე აქ განაჩენს ვერ გამოვიტან!  
ცხოვრება შენი გაიყო ორად  
და დაფიქრების ჟამიც მოვიდა.  
როდი გამტყუნებ, როცა ბედს ჰყვედრი  
და წარსულ წყენას ველარ ერევი.  
შენ უღალატებ თანამეცხედრეს,  
მე კი ლალატში არ გავერევი.

არა, არ მჯერა შენი ლალატის,  
მაინც მგონია, შენ შესძლებ ლალატს.

არის წუთები, როცა გბეზრდება  
მოზღვავებული ხეავი, ბარაქა,  
როცა უაზრო ფრთები გებრდება  
და გასაფრენი სივრცე არა გაქვს.

ისე ხარ, თითქოს მოგალო მკერდზე  
გალიის ჩიტმა ოქროს ნისკარტი,  
შენ ეფერები და პასუხს ეძებ,  
რატომ არ ისმის მისი დისკანტი.



ისე ხარ, თითქოს გამოეთხოვე  
ყველა უცხოს და ყველა შენიანს  
და ტირი შენში მოკლულ ბეთჰოვენს  
და უღმობელი გნთქავს ვეჰენია.

არის წუთები, როდესაც ხვდები  
მზის ათინათი იქცა ბინდებად.  
დამბადებელი, არ მისცე ფრთები  
მას, ვინც ვერსაით ვერ გაფრინდება!

მილიონ ხალხშიც რომ ვიტრიალო,  
ეუმზირო სოფელს ნიშნის მოგებით,  
დადგება ჟამი, ცოცხალ დიალოგს  
შეცვლიან მკვდარი მონოლოგები.  
და მაშინ, მაშინ არ მეშველება,  
არ მეწამლება არასდიდებით.  
მე შენთვის ერთი თვალის შევლებად  
გავიძარცვები, გავიყიდები.  
გულის სიღრმემდე ჩემართება  
მკერდს დამჩნეული პაწია ბზარი.

საკუთარ თავთან თავის მართლება  
ყველაზე დიდი სამსჯავრო არი.  
იქ ცოდვა-მადლი მე უნდა ვწონო,  
ჩემს აღსარებას, ალბათ, ისმენდი:  
სპექტაკლი მონო და ცრემლი მონო  
მთავრდება მონო აპლოდისმენტით.  
და როცა მოვა ჟამი დაგესვლის,  
მრისხანე ჟამი მეწყერთა, ზვავთა,  
მე უნდა ვიყო უსპეტაკესი  
ღმერთთან, შენთან და საკუთარ თავთან.

**ისევ ბელეფონზე**

ვამბობდი ადრე: „მწყველი ედისონს!“  
ახლა პირიქით — ედისონს ვლოცავ.  
მომენტატრება შენი ხმა როცა,  
პა, ნატურისთვალ საუკეთესო!  
ის ქუჩაშიაც მეგულის მხსნელად,  
თუმცა ზედმეტად როკაპი კია,  
ჩავრჩი ხახაში ორკაპიკიანს  
და ყურთასმენას. მოსწვდება ხელად

მალამოსავით საამო „ალო!“  
ეჭვის გამჭრობი და გამფანტავი.  
ღაიფშუტება სევდის თავთავი  
და მეჩვენება — ყურმილში გალობ!  
ოცნების ყუთო, ცოტაც მადროვე,  
ნუ დამიძალავ წუხილს თუ სიცილს.  
ეს ერთად ყოფნა არაა, ვიცი,  
მაგრამ არაა მთლად სიმარტოვეც!

**საერთო წვიმა**

დღეს პირველად დაიქუხა ზეცამ  
და ყვავილთა სურნელება მეცა.

ეს ქუხილი გესმის, ალბათ, შენაც —  
სიყვარულის მოგუგუნე ენა.

დაიქუხა, დაუშინა თქეში,  
ხოშაკაქალას შევეუშვირე პეშვი.

ალბათ, შენაც გამოვარდი კარში  
და თავსხმაში ღვახარ, როგორც ბავშვი.

გამვლელები გადარბიან გზაზე,  
იფარებენ ცელოფანს თუ გაზეთს.

ეპ, ჩვენს შორის დნიპროა და ტყეა,  
მაინც კარგი, დიდებული დღეა.

მე კი ვდგავარ, ვიწუწები მარტო,  
გვერდით მყავდე, მხოლოდ ამას  
ვენატრობ.

შინ ფარული სიხარული მიმაქვს,  
ჩვენ საერთო გვასველებდა წვიმა!

მე შენს გარდა არაფერი მამაღია,  
გემეტება თავი მგონის ხვედრად?..  
ბედმა ძველი შეცდომები მამაღია  
მაშინ, როცა შენთან შემახვედრა.

ბინდს ველოდი, დალილი და  
დაქანცული  
და უეცრად აღმობრწყინდა მნათი.  
შენ ხარ ჩემი ერთადერთი საგანძური,  
სიკვდილამდე სალოცავი ხატი.

წავიდეთ, ისევ დავკრიფთ მოცვი,  
ლებედივკასთან ტვერი რომ არი,  
და სასოებით, ჩურჩულით, ლოცვით,  
ვთქვით ძვირფას დღეთა შესანდობარი.

კვლავ წავიკიდოთ აგვისტოს ალხი,  
გმწვავდეს აგვისტოს რიცხვი პირველი.  
კეთილი შურით ამბობდეს ხალხი:  
„რა სიყვარული, რა საყვირველი!“

გადავიქროლოთ დნიპროს კაშხალი,  
საბურავებქვეშ გაცვდეს ბეტონი,  
ჩვენი სულების წყვილი მაშხალით  
გზას ინათებდნენ უიმედონი!

თუმც შენს თვალწინ შემევერცხლა  
საფეთქლები,  
დეკემბრამდე გზა შორია ჭერაც.  
ასი წლისაც ჭაბუკივით ავფეთქდები,  
მომანათებს როცა შენი მზერა.

განა მართლა არაფერი მამაღია,  
ჰყოფნი მგოსანს საუკუნო ხვედრად.  
ბედმა, მგონი, ყველაფერი გვაბაღია,  
მაშინ, როცა ერთურთს შეგვახვედრა.

წავიდეთ, ისევ დავკარგოთ გონი,  
არვინ გვეგონოს ჩვენი მომრევი.  
ნამდვილ სიყვარულს არა აქვს ფონი,  
რადგანაც თვითონ არის მორევი.

მე უკვე ვიცი დაბეჭითებით,  
ჩაებეჭდება ხსოვნას ეს წელი.  
შენ ხომ გრძნეულის მთრთოლვარ  
თითებით  
სივრცის მონუსხვა უცებ შესძელი.

გვევედრებოდა მოწყვეტას მოცვი,  
იქ, დნიპროს გაღმა ტვერი რომ არი.  
წავიდეთ, ნაცნობ მდელაზე ლოცვით  
ვთქვით იმ საღამოს შესანდობარი!



# უ ვ ღ

(სახვარალ ფანტასტიკური მოთხროვა)

ეს უჩვეულო ამბავი ჩვეულებრივად დაიწყო, კარგა ხნის დუმილის შემდეგ ერთ-ერთმა თქვა:

— მდა-ა!

მეორე კი ამ უბრალო, არც მრავალმნიშვნელოვნად, არც მთლად უმნიშვნელოდ წარმოთქმულმა შორისდებულმა მოულოდნელად გამოაცოცხლა.

— ალო! მილიციაა?! ძალიან გვაწუხებს, თუ არ გვიშველით რაიმეს, ხმაური.

— რაშია საქმე?

— რომ ვიცოდეთ ჩვენ, კარგი იქნებოდა ძალიან. თავისუფლების პროსპექტის ნომერ მეჩვიდმეტე სახლის ოთხმოცდამეოთხე ბინიდან გამოდის ღრიალი საშინლად. რაშია, ვერავენ ვერ მივხვდით, საქმე.

— ვინა ლაპარაკობს?

— მეზობელი ვარ მაგათი მე, ჩიკა-შუა ვარ, რა მაქვს დასაძალი. მე მგონია, ახალგაზრდობლივ დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. მიიღეთ ოპერატიული ზომა!

სიგნალი მიიღო განყოფილების მორიგემ, უმცროსმა სერჟანტმა კოსტა ძუევაძე, 1984 წლის 15 აპრილს, 22 საათსა და 18 წუთზე.

ერთ-ერთს (იმას, რომელსაც თემო ერქვა) გონებაში რატომღაც უთავბოლოდ უკრთოდა ლიტერატურული სტილით გაწყობილი ფრაზები, თითქოს ვიღაც გრაფომანი დაუკითხავად ჩასახლებულიყო ფიქრში და ცდილობდა მხატვრულად აღეწერა იმწუ-

თიერი მდგომარეობა, მაგრამ ვერ ახერხებდა: „...სამზარეულო ოთახში ორნი ისხდნენ... არა... მეგობრები უაზროდ ისხდნენ... ახლაც უაზროდ იყვნენ... არ ვარგა... საერთოდ, უაზროდ იყვნენ... ერთმანეთთან აზრი არ ჰქონდათ... არც ეს ვარგა...“

ძველებური კედლის საათი მონოტონურად წიკწიკებდა. მოშლილი ონკანიდან არანაკლებ მონოტონურად წვეთავდა წყალი...

ისინი (თემო და კოტე) პირველი კლასიდან მეგობრობდნენ. ერთხელ შიმშილი ქალის სურათი ჩაუვარდათ ხელში. მაშინაც სწორედ აქ (კოტესთან), ამ სამზარეულოში, ამ მაგიდასთან ისხდნენ და ძალიან დიდხანს პირდაღებულები, გამოგნებელი და გაუგებარი ცნობისწადილით დასცქეროდნენ სასწაულს. იმ დროიდან მოყოლებული, თითქმის მეთხუთხედი საუკუნის მანძილზე, გულდასმით, აუღელვებლად წიკწიკებდა კედლის საათი და წვეთავდა წყალი გაფუჭებული ონკანიდან.

თემოს ფიქრში ჩასახლებულმა გრაფომანმა საბოლოოდ აურ-დაურია ყველაფერი: „...მოშლილი ონკანიდან ოცნება წვეთავდა... არა... მიღები წყალს ვერ ატარებდნენ, რადგან ოცნებებით გაჭედელიყვნენ...“

„რა სისულელეა, — იფიქრა თემომ, რომლის გონებაშიც დაუკითხავად გაისმოდა ეს უცნაური წინადადებები, — სისულელეა“, იგი შეეცადა უნიჭო გრაფომანი საკუთარი არსებიდან განედევნა.

მაგიდაზე ეწყო პაპიროსი, საფერფ-

ლე, ვაშლით თავმოდგმული ლანგარი და ორი ასანთის კოლოფი — ერთი სასესე, ერთი ცარიელი.

თემოს ოცდახუთი წლის წინ ფოტოსურათზე ნანახი ქალი მოაგონდა. იგი (ქალი კი არა, თემო) სასესე ასანთის კოლოფიდან სათითაოდ იღებდა ღერებს და ცარიელში აწყობდა, თან იმ ქალზე ფიქრობდა.

მილიციის განყოფილებიდან 15 აპრილს, 23 საათსა და 45 წუთზე, თავისუფლების პროსპექტის № 17 სახლიდან მიღებული სიგნალის შესამოწმებლად გაგზავნილ იქნა ზემდეგი აფციური.

მორიდებული კაცი იყო ზემდეგი აფციური, ხულიგანს შემთხვევით ხელს თუ ვაარტყამდა, ბოდიში არასოდეს ავიწყდებოდა. სამსახურებრივ მოვალეობას მუდამ პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებდა, მაგრამ იმჯერად ვერაფერი გააწყობა. შემთხვევის ადგილზე მართლაც გაისმოდა დაუდგენელი წარმოშობის ხმაური, რომელიც უცნაურ ყვირილსა თუ ღრიალს მიაგავდა, მაგრამ ზემდეგმა აფციურმა მის წყაროს ვერ მიაკვლია. ღრიალი ისმოდა № 17 სახლის ყველა სადარბაზოში, სხვენზე და ეზოშიც კი. ექვმიტანილ ოთხმოცდამეოთხე ბინაში არავინ იმყოფებოდა. ყოველ შემთხვევაში, ფანჯრებში შუქი ჩამქრალი იყო, ზარის რეკვასა და ბრაზუნს არავინ ეპასუხებოდა, კარის შემტვრევა კი ზემდეგმა აფციურმა ვერ იკისრა. ოპერატიულ მუშავეს აქტიური დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით კი ამხანაგმა ჩიკაშუამ, რომელიც ირწმუნებოდა, ნახევარი საათის წინ ხმაური სახელდობრ ოთხმოცდამეოთხე ბინიდან გამოდიოდაო, რასაც იგი იქ მცხოვრებ ახალგაზრდასა და მის მეგობრებს მიაწერდა. მაგრამ, ვინაიდან შემოწმების მომენტში ღრიალი უკვე თითქმის მთელს კვარტალს ესმოდა, ზემდეგი აფციური განყოფილებაში დაბრუნდა და ოპერაციის შედეგები

დაწვრილებით მოახსენა ხელმძღვანელობას.

საქართველოს  
შინაგარეო  
მინისტრის  
კანცელარია

თემო ოცდახუთი წლის წინ ფოტოსურათზე ნანახ ქალზე, კაი ქალი იყო, ფიქრობდა. სხელი ახსოვდა, სახეს ვერ იხსენებდა: ალბათ, ფოტო თუ იყო უხარისხო, ანდა, უბრალოდ, სახით არც დაინტერესებულა მაშინ.

„ბავშვები ვიყავით, — იფიქრა და სასესე კოლოფიდან ცარიელში კიდევ ერთი ღერი გადადო. — ნეტავ ამას თუ ახსოვს სახე?“ — კოტეს გახედა, მაგრამ არაფერი უკითხავს, გაიზმორა და თქვა:

— დავიღალე...

— ჰა? — გაეხმაურა კოტე, რომელსაც პურის წვეტიანი დანა მოემარჯვებინა და მოზრდილ, ლოყაწითელ ვაშლს მოხდენილი ორნამენტით ამკობდა, შიგადაშიგ ამოკვეთილი ნაჭრებით პირს ისველებდა და მთლიანად დანთქმულიყო ამ უჩვეულო შემოქმედებაში. — რა მითხარი?

— არაფერი არ მითქვამს, — უპასუხა თემომ, მცირე პაუზის შემდეგ კი დაუმატა: — არ გინდა, წავიდეთ სადმე?

კოტემ არ უპასუხა, გულმოდგინედ ამოკვეთა ვაშლში კიდევ ერთი ჩუქურთმა.

„სად წახვალ? ამ შუალამეს, თორემ კი, — ფიქრით უპასუხა თავის თავს თემომ, — თანაც ხვალ აღრე უნდა ავდგე, ათასი საქმე მაქვს“. მერე შეეცადა გაეხსენებინა, რა საქმეები ჰქონდა, მაგრამ ვერ გაიხსენა.

იმ ღამეს ღრიალმა გააღვიძა № 15, № 17 და № 19 სახლების ბინადარნი. მეორე დღის 18 საათიდან ხმაურს უკვე მთელი რაიონის მცხოვრებნი უჩიოდნენ. მოსახლეობა შფოთავდა, მშრომელები სამსახურში იგვიანებდნენ, ბავშვები — სკოლებსა და ბავა-ბალებში, ავადმყოფთა მდგომარეობა გაუარესდა, ჯანმრთელები თავს შეუქლოდ გრძობდნენ. ხმაურის ლიკვიდაციის საქმეში



მონაწილეობდნენ რაიონის სახანძრო და საავარიო სამსახურების, კომუნალური მომსახურების კვანძების, სახლ-მმართველობებისა და სასწრაფო დახმარების მუშაკები, მაგრამ ვერც ღრიალის წარმომშობი მიზეზების დადგენა მოხერხდა, ვერც მისი აღმოფხვრა. მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და ქალაქის სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს მოიცავდა. თუმცა სამუშაო საათებში ხმაური ნაკლებად ისმოდა, რადგან ქალაქი დღისით თვითონვე არანაკლებ ღრიალებდა.

— დასასვენებლად საით აპირებ ზაფხულში? — იკითხა თემომ.

კოტემ არ უპასუხა.

თემო არც ელოდა პასუხს. მან ასანთის კოლოფებში ღერების რაოდენობა გაათანაბრა.

— გინდა ხვალ „იქ“ წავიდეთ? — იკითხა ცოტა ხნის მერე.

კოტემ დანა დადო და ლამაზად მოვარაყებულ ვაშლი ხელში შეატრიალა.

„რას ვეკითხები?! ხომ ვიცი, რომ „იქ“ ამას არ მიესვლება. კაცმა რომ თქვას, არც მე მიმესვლება“, — იფიქრა თემომ და ისევ ბავშვობა მოაგონდა, უფრო სწორად, რაღაცის გახსენება მოინდომა ბავშვობიდან, მაგრამ ვერ გაიხსენა და ვერც იმას მიხვდა, რას ვერ იხსენებდა, ან რისი გახსენება უნდოდა.

„რაღაც დამავიწყდა და ისიც დამავიწყდა, რაც დამავიწყდა“, — რთულად იფიქრა მან.

ორი კვირის თავზე ბუნების აუხსნელმა მოვლენამ მთელი ქალაქი და ახლომდებარე რაიონები მოიცვა. საკითხის შესწავლას სერიოზულად მოჰკიდა ხელი რამდენიმე კვლევითმა ინსტიტუტმა და სამეცნიერო კათედრამ. ზოგიერთმა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა მკვლევარმა ღრიალის პრობლემა საღისურთადაც თემადაც კი აირჩია, თუმცა სამეცნიერო საბჭოები ჯერჯერობით თავს იკავებდნენ ასეთი თემების დამ-

ტყიებისგან. კვლევის ეფექტურობის მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო მისია, რომელიც ამუშავებდა მოპოვებულ ინფორმაციას ამ საოცარი მოვლენის შესახებ. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ღრიალი არც ძალიან ძლიერი გახლდათ, სუსტიც კი ეთქმოდა, მაგრამ მაინც ყველგან ისმოდა, თითქოს საღადაც, გვერდით, აქვე, მეზობლად ვიღაც ბლაოდა. სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო საგონებელში სწავლულები, რადგან მისი გავრცელების არე არანაირ ფიზიკურ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა. გაჩნდა ჰიპოთეზები მონეტრალურ ბგერების, მრუდე სივრცისა და გზაბნეული ფრინველების შესახებ. ერთმა ენთუზიასტმა ვეტერინარმა ისიც კი დაადგინა, რომ ღრიალი დადებით გავლენას ახდენდა მსხვილფეხა საქონლის წვევალაობაზე. მეცნიერებამ მეტის დადგენა ვერ მოახერხა, თუმცა საკოორდინაციო კომისიის სხდომის ოქმები, მანქანებზე გადაბეჭდილი თუ კასეტებზე ჩაწერილი, ხელიდან ხელში გადადიოდა. სახალხო მითქმა-მოთქმამ მოკლე ხანში კულმინაციას მიაღწია — ლაპარაკობდნენ კოსმიურ გამოსხივებაზე, ჰუმანოიდებზე, ბანდიტებზე, ჰიპნოტიზირებასა და ექსტრასენსებზე. იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც არც სხვებს უჯერებდნენ, არც საკუთარ ყურებს და ამბობდნენ, ყველაფერი ეს ჭორებიაო. ამ ურწმუნოთა შორის ერთი პოპულარული კომპოზიტორიც ერიო, რის გამოც ხმა დაურხიეს, ყრუაო. სხვები ამბობდნენ, ყრუ კი არ არის, პოზიორია, ბეთჰოვენობას ჩემულობსო... საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთები, საერთოდ, იმ კომპოზიტორს აბრალებდნენ, ხმაურს ეგ ავრცელებსო.

სამზარეულოში აქლემების ქარავანივით ჩაიარა ათიოდე ზანტმა უჩუმარმა წუთმა.

თემოს თავში კვლავ ამეტყველდა ჯიუტი გრაფომანი, რომელიც ცდილობდა, რაღაც უნდა დაქდომოდა, სიტუა-

ცია აღეწერა, მაგრამ არაფერი გამოს-  
დიოდა.

„ორი კაცის ურთიერთობა“, თქვა  
გრაფომანმა. „არ ვარგა“, დაუწუნა თე-  
მომ. „ორნი ისხდნენ“, კიდევ სცადა  
გრაფომმა, „ისხდნენ და არ იცოდნენ,  
რა გაეკეთებინათ, არ იცოდნენ, რაზე  
ელაპარაკათ, არ იცოდნენ, რა მოხდებო-  
და ხვალ“.

თემომ გრაფომანს სტილისტური ჯა-  
ხირი შეაწყვეტინა და კოტეს ჰკითხა:

— ხვალ რას აკეთებ?

— შენ? — კითხვა შეუბრუნა კოტემ  
და თავისი ჩუქურთმიანი ვაშლი, რო-  
მელსაც მთელი საათის განმავლობაში  
ქმნიდა, ახლა დაუნანებლად, მადიანად  
ჩაეპიჩა.

„მე რას ვაკეთებ ხვალ?“ — ჩაფიქრ-  
და თემომ და უკანასკნელი ასანთის ღე-  
რიც გადაადგილა. ყოფილი სავსე კო-  
ლოფი დაცარიელდა, ცარიელი კი, პი-  
რიქით, აივსო, თუმცა ამით არაფერი  
შეიცვალა. მაგიდაზე კვლავ ორი ასან-  
თის კოლოფი იდო: ერთი სავსე, ერთი  
ცარიელი.

როდესაც შუშ (უცნობი წარმოშობის  
ღრილი) თითქმის ყველა ქალაქს, და-  
ბასა და სოფელს გადასწვდა, მის შესა-  
ხებ გაზეთებისა და სამეცნიერო ჟურ-  
ნალების ფურცლებზეც გაჩნდა არა ერ-  
თი და ორი ცნობა, ინფორმაცია და  
სტატია. რამდენიმე ხნის შემდეგ ცენ-  
ტრალური ტელევიზიის პოპოლარულმა  
პროგრამამ „აშკარა — დაუჩერებელი“  
სპეციალური სიუჟეტიც კი მიუძღვნა  
ბუნების ამ საინტერესო მოვლენას, ხო-  
ლო „მოგზაურთა კლუბის“ წამყვანი  
ნაყოფებელს შეჰპირდა, რომ ახლო მო-  
მავლის ერთ-ერთ გადაცემას მთლიანად  
ღრილსა და მისი გავრცელების არეს  
მიუძღვნითო. თავისუფლების გამზი-  
რის № 17 სახლის მცხოვრებლებში ხმა  
დაირხა, გადაცემაში ჩვენი მეზობელი  
ჩიკაშუა მიიღებს მონაწილეობას, რო-  
გორც ამ იღუმალი ფენომენის პირ-  
ველაპრომჩენიო. ეს, რასაკვირველია,  
უბრალო ჭორი იყო, მაგრამ ჩიკაშუას

ავტორიტეტი მეზობლების თვალში მა-  
ინც ერთიორად გაიზარდა.

მაგიდაზე კვლავ ორი კოლოფი ეგ-  
დო — სავსე და ცარიელი. თემომ სავსე  
კოლოფი ააგდო, ალჩუხე უნდოდა და-  
ესვა, მაგრამ ვერ დასვა.

— ჰო, მართლა, გუშინ სად იყავი? —  
ჰკითხა კოტეს.

— არსად. შენ სად იყავი?

„სად ვიყავი გუშინ?“ — ვერ გაიხსე-  
ნა თემომ და ახლა ცარიელი კოლოფი  
შეისროლა, არც ის დაჯდა ალჩუხე.

— გინდა, ნარდი ვითამაშოთ ან ჰად-  
რაკი, — შესთავაზა თემომ კოტეს.

კოტემ უარის ნიშნად თავი გააქნია  
და დაამთქნარა.

„არც მე მინდა“, — იფიქრა თემომ  
და თქვა:

— მოდი, მე სახლში წავალ. შენ და-  
სახატი გაქვს და ხატე.

— რა უნდა ვხატო, გიყი ხომ არა  
ხარ, — თქვა კოტემ და ისევ დაამთქ-  
ნარა.

— დასალევი არა გაქვს? — ჰკითხა  
თემომ.

შუშ რამდენიმე თვის მანძილზე და-  
ნავარდობდა მთელს პლანეტაზე, მან სა-  
გონებელში ჩააგდო მსოფლიოს სწავ-  
ლულები და გვარიანად შეაშფოთა მო-  
სახლეობა, თუმცა პანიკა არ გამოუწვე-  
ვია, რადგან, როგორც ეს ფსიქოლოგებ-  
მა ახსნეს, აქვე ახლოდან, მეზობლად,  
გვერდიდან გაგონილი სუსტი ბლავილი  
ძლიერ შიშს არ იწვევდა და ადამიანი  
მას იოლად ეგუებოდა. ასე რომ, კა-  
ცობრითული მასშტაბით რაიმე მნიშვნე-  
ლოვანი შედეგი ამ მოვლენას არ მოჰ-  
ყოლია, თუ არ ჩავთვლით, რომ დასავ-  
ლეთის ზოგიერთი საექვო მიომბილ-  
ველი და ორიოდ მილიტარისტულად  
განწყობილი პოლიტიკური მოღვაწე  
უშედეგოდ შეეცადა შუშ რამენაირად  
„ომის საფრთხისა“ და „აღმოსავლეთის  
მუქარისათვის“ დაეკავშირებინა, რასაც,  
მათი განზრახვით, მოსახლეობაში ის-  
ტერიის ახალი ნაკადი უნდა გამოე-

წვია, მაგრამ მათ, რაღა თქმა უნდა, კოვ-  
ში ნაცარში ჩაუფარდათ.

ერთი სიტყვით, რაც ღრთ გადიოდა,  
შუშლ, ანუ როგორც მას ზიგიერთი ევ-  
როპელი ბულვარული გაზეთი უწოდებ-  
და — „საუკუნის იღუმალი კენესა“,  
თავისი მილიარდი საზრუნავით გარ-  
თული სამყაროს სულ უფრო და უფრო  
ნაკლებ ყურადღებას იქცევდა.

— დასალევი არა გაქვს? — იკითხა  
თემომ.

— მანდ კარადაშია ცოტა ლიქიორი  
დარჩენილი, — უპასუხა კოტემ.

თემომ ბოთლი და ჭიქები გამოიღო  
კარადიდან და მაგიდაზე დააწყო.

— მიდიხარ ხვალ სამსახურში? —  
ჰკითხა კოტეს.

— ჰო, მართლა, ის წიგნი რომ გამო-  
მართვი, ხომ იცი, თანამშრომლისაა.  
ველარ წაიკითხე? ერთი თვეა, შენთანაა.  
უნდა დაეუბრუნო.

— კი წავეკითხე, როგორ არა, —  
იცრუა თემომ. — მოგიტან ამ დღეებში.  
კოტემ ლიქიორი ჩამოასხა.

— იქნებ მაინც წავსულიყავით  
„იქ“, — თქვა თემომ.

კოტემ არ უპასუხა. უხმოდ გადაჰკ-  
რეს, გაყუჩდნენ და მალე კვლავ ამო-  
ტივტივდა დუმილიდან ონკანისა და სა-  
ათის დაუსრულებელი, უაზრო და აუ-  
ტანელი დუეტი.

თემოს ისევ მოუნდა რაღაცის გახსე-  
ნება ბავშვობიდან, მაგრამ ფოტოზე გა-  
მოსახული შიშველი ქალის გარდა მე-  
რაფერი ვაიხსენა. „კაი ქალი იყო, —  
იფიქრა მან, — ოღონდ სახე არ მახ-  
სოვს. ნეტავ ამას თუ ახსოვს სახე“ და  
კოტეს გახედა. თემოს უცებ მოეჩვენა,  
რომ ეს კოტე კი არა, ვიღაც უცნობი  
იჯდა და მაგიდაზე ერთ წერტილს  
თვალგაშტერებით ჩასცქეროდა.

შუშლ თანდათან სუსტებოდა, იგი სულ  
უფრო და უფრო ნაკლებად ესმოდათ  
აღამიანებს. როგორც მეცნიერებმა და-  
ადგინეს, მისი გავრცელების არე ნელ-

ნელა მალლა-მალლა: მიიწვედა, ატმოს-  
ფეროს ზემო ფენებისაგან. უმეტესწილად  
ლად ღრიალი კონსონანტებმა გაიგო-  
ნეს.

— მდაა! — თქვა ბოლოს კოტემ,  
როდესაც ონკანისა და საათის დაუს-  
რულებელი უაზრო დუეტი სულმთლად  
აუტანელი გახდა. ასე თქვა, უბრა-  
ლოდ, ტყუილად, ამოზნერასავით,  
არც უმინიშვნელოდ, არც მრავალმნიშ-  
ვნელოვნად. თემომ კი ამ უბრალო შო-  
რისდებულმა უეცრად გამოაცოცხლა:

— მდაა! საცხებით სწორი ბრძანებაა:  
მდააა! — აიტაცა მან. — მდაააააა, —  
გააგრძელა ბგერა.

— აააააააა! — აჰყვა კოტე, ხმას მო-  
უმატა.

— ოოოოო! — დასძახა თემომ.

— უუუუუუააააააა! — გააბეს ერთ-  
ხმად.

— ეეუუუაააააა! აუიიიიიიიიიიიიიიიი-  
უუუუუააააააა! — აუწიეს და აუწიეს.

— უუუ — ოოოო — აააა — უუუე-  
აააუუუააააააა! ბლაოდენ ბიჭები, ბლა-  
ოდენ დიდხანს და ხმის დაუზოგავად,  
ბლაოდენ უემოციოდ, უსმენოდ, უა-  
ზარტოდ, უილაჯოდაც კი, მაგრამ ხმა-  
მალა და გაბმით. ბგერები აწყდებოდ-  
ნენ კედლებს, კერს, ფანჯრებსა და ია-  
ტაკს, არღვევდნენ ბეტონს და აღწევ-  
დნენ ზოგიერთი მეზობლის მფრთხალ  
ყურთასმენამდე.

ბლაოდენ, ბლაოდენ და ბოლოს გა-  
ჩუმდნენ. მოულოდნელი შეწყვეტის  
გამო ბლავილი მოსწყდა ბიჭებს და...  
საით წავიდა, არც თემოს და არც კოტეს  
აღარ შეუნიშნავთ. ისინი კიდევ კარგა  
ხანს ისხდნენ და დუმდნენ.

მერე თემომ შინ წავიდა.

კოტე კი დაწვა და დაიძინა...

ბიჭებს ეს ჩვეულებრივი საღამო არა-  
ფრით დამახსოვრებიათ და არც არასო-  
დეს გახსენებიათ.

...დაახლოებით ერთი წლის შემდეგ

კი ობსერვატორიების უზუსტესმა ლოკატორებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს სუსტი ხმაური, რომელიც სამუდამოდ

მოდ გასცდა დედამიწას და მარადიულ გზას გაუღდა სამყაროს უკიდურეს კრეებისკენ.

## ნ ი დ ა ნ ი

შემოდგომის ამ მოწყენილ საღამოსაც გაისმა კარგად ნაცნობი წკრიალი, ერთი მოკლე ზარი და მეორე — გაბმული.

— შენა ხარ, ნი?

— ჰო, ნი, მე ვარ.

შემოდის და ქუჩიდან ნაადრევი სუსხი შემოაქვს თბილ ბინაში.

— ეს რაღაა?

— რა?

— აი.

— ჰო, ეს შენი იყოს, — შემთხვევით ყვითელი ფოთოლი დასცემია თმაზე და უნებურ საჩუქრად მოურთმევია ნიკოსთვის.

...მერე, დივანზე მოკალათებული, კარგა ხანს, წვრილად ჰყვება დღევანდელ ამბებს: სად იყო, ვინ შეხვდა, რა მოხდა და ასე შემდეგ. ნიკო ჩვეული ღიმილით უსმენს წლების მანძილზე წესად ქცეულ ამ შესავალს, რასაც აუცილებლად ერთი ულუფა სიყვარული უნდა მოჰყვეს.

ნიკოს სიზმარი სამსახურისეულია: თითქოს ადგილკომის კრებაზე რევიზორი გაბისონია ორთქლმავლისებრი ქშენით ერთ ვაგონ შამპანურს მოაგორებს. დამსწრეებს თითო ბოთლს ურიგებენ, პრეზიდენტის წევრებს — ორ-ორს. თავმჯდომარის ნიშანზე ყველა ბოთლი ზრიალითა და ბათქით იხსნება. ჩქეფს უთვალავი შადრევანი. ნიკოს უნდა, რომ დალიოს, პირს უშვერს შუშხუნა ნაკადს, მაგრამ ყელში წვეთი არ გადასდის. „მოვწიო მაინც“, ფიქრობს და ნინოს სიგარეტს სთხოვს. „სიგარეტი როიალი არ არის, გენაცვალე, ჯიბეში იოლად ეტევა“, რევიზორ გაბისონიას ბოხი, ზრინწიანი ხმით პასუხობს ნიკო და ნიკოს უსიამოვნო გრძნობით ეღვიძება.

ერთხანს ვერ არკვევს, სად არის და რა ხდება. ოთახში ირიბად შემოღვრილი ბინდნარევი შუქი მკრთალად ანათებს დივანზე მოკალათებულ ნინოს — ზეწარში გახვეულა, მხერა ფანჯრისკენ მიუპყრია და სიგარეტს ჩაფიქრებული აბოლებს.

ფანჯარაში რუხი საღამო მოჩანს — ქადრის შიშველი ტოტები და შორეულ ბორცვზე შეფენილი მაღლივი კორპუსები.

თვითონ ნიკო რბილ სავარძელში ზის, ხელში მასაც სიგარეტი უჭირავს, ხუთი წუთით ჩასძინებია და უცებ მოსული სიზმრის ბურუსიდან ჯერაც ვერ გამორკვეულა. უკიდებს, საფერფლეს იატაკიდან იღებს და მუცელზე იღებს. ცივი ნივთის სიგრილე კანზე აცოცდება და შიშველ სხეულს უბორკლავს.

ნინო ეწევა და ზაფხულზე ფიქრობს, გასულზე ან მერმისზე კი არა, საერთოდ მცხუნვარე, მზიან ზაფხულზე და კიდევ ძალიან მოხდენილ იტალიურ საზაფხულო ფეხსაცმელზე, ყველა თანამშრომელმა რომ მიიზომა და მარტო ნინოს რომ მოერგო. ვინმეს თვალის დასაბნელებლად ან გამოსაპრანჭად კი არ სჭირდება, არამედ იმისათვის, რომ თავი ლაღად, თავისუფლად იგრძნოს, რითაც, პირველ რიგში, ნიკო დარჩება კმაყოფილი. „ლატარიაშე სადმე უნდა ვისესხო“, ფიქრობს ის და წამით სურვილი ებადება, ნიკოსაც უთხრას, თუ მათი ურთიერთობისათვის რაოდენ სასარგებლო სტიმულის ყიდვა შეიძლება სულ რაღაც ას ორმოცდაათ მანეთად. მაგრამ არა, არ ღირს ამის თქმა, რადგან ნიკოს არ უყვარს ჩაცმა-დახურვაზე საუბარი.

ნინო ტუჩებს ამრგვალებს და კვამ-



ლის გრძელ ჰავლს ნიკოსკენ გზავნის უთქმელი სიტყვების ნაცვლად...

ნიკო ფიქრში მსჯელობს, ისევ სიზმარში ვაგონილ ფრაზას უკირკიტებს: „სიგარეტი როიალი არ არის... თბილისში... ურთიერთობის მიღებული ფორმა... თუნდაც ქუჩაში... თუნდაც უცნობისთვის ღერი სიგარეტის თხოვნა... კომუნეკაციის სიმპათიური სახე... ჯიბეში თითქმის დაცარიელებული კოლოფიც რომ გეგდოს, ერთ ღერ სიგარეტს მაინც არავის დაუკავებ... როცა თვით გამოგლევა, მყისვე დაუნანებლად შემოგეშველება ნებისმიერი გამვლელი... არიან ასეთებიც... არ მაქვსო, მოგატყუებენ ანდა მოწყალეობასავით მედიდურად გამოგიწვდიან კოლოფს... უარესიც ხდება ბოლმე... ჰკუთავადარუნებულიხალხი... ახირების საბაბი: რატომ არა გაქვს? სიგარეტი გენანება?! შესაძლოა, ჩხუბი... ზოგჯერ მკვლელობაც...“

ნიკოს ეჩვენება, საინტერესო დასკვნას მივაგენიო და სურვილი უჩნდება, რომელიმე თავის ძმაკაცს გაუზიაროს ნაფიქრალი, ნინოს, რა თქმა უნდა, ასეთი რამეები არ გაეგება. „ახლა, ალბათ, რაიმე საკაბეზე ოცნებობს“, და ნიკოც, თავის მხრივ, კვამლის ბლანტ ბოლქვს აბოლებს ნინოსკენ.

ამის პასუხად, ნინო ღრმა ნაფაზს ურტყამს და ამოოხვრით კვამლის გრძელ ჰავლს ჰერისკენ უშვებს.

ნიკო ტოლს არ უდებს — ორმოცდაათი სანტიმეტრით უფრო მაღლა აბოლებს.

ხუთი წუთის განმავლობაში, ვიდრე სიგარეტებს ფილტრზე არ დაიყვანენ, ერთმანეთს ამ უცნაურ სპორტში ეჯიბრებიან ყოველგვარი ემოციისა და აზარტის გარეშე.

„ალბათ, ახლა იმას ფიქრობს, საღამოს რომელ ძმაკაცთან გაერთოს“, ნინო

დგება და იატაკზე მიყრილ ტანისამოსს დაჰყურებს.

ნიკო ფანჯარას გასცქერის. რუხი საღამო ჰადრისტოტებიან-კორაპუსებიანად ბინდში ინთქმება. „ჯერ აღრეა, რა მალე ღამდება“, მზერა ნინოზე გადააქვს.

ნინო წინდება იცვამს. ნიკოს სცივა.

— ჯერ ნუ წახვალ, — ამბობს ის, ნინოსკენ იხრება და ეხვევა...

გარეთ იწყება თბილისური ღამე — ბნელი, უმთვარო, ასიათასი ყვითელი უჯრედით მოკირწყლული.

ერთ-ერთი ასეთი მკრთალშუქიანი უჯრედის მიღმა დალილ და სიტყვაძნწ სიყვარულს განაგრძობენ ნი და ნი... მათ არ იციან, რომ ეს უკანასკნელი საღამოა, რომ ისინი მეტად აღარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, აღარასოდეს გაისმება ზარის კარგად ნაცნობი წკრიალი — ერთი მოკლე, ერთი გაბმული. გავა დღეები, თვეები, წლები და სამუდამოდ გაუგებარი დარჩება მათთვის განშორების მიზეზი. თუკი ოდესმე მოისურვებენ, მაინც ვერ მიხვდებიან, რატომ შეწყდა და მიიკარგა ის, რასაც წლების მანძილზე სიყვარულს არქმევდნენ ორივენი. შემოდგომის ეს მოწყენილი საღამოც დავიწყებას მიეცემა და ვერც ერთი ველარ გაიხსენებს, როდის და სად განმარტოვდნენ უკანასკნელად.

გავა დრო და ვერც ამ საღამოს სახსოვარს გაიხსენებს ნიკო — ტელეფონების წიგნში ჩადებულს წააწყდება, ვერ იცნობს, ხელს მოუჭერს, მოფშვნის და მტვრად აქცევს გამხმარ, ყვითელ ფოთოლს, რომელიც ახლა იატაკზე დაუღვევრად ტანისამოსის გვერდით გდია ქალის თმებიდან ჩამოსხნილი სამკაულივით.

## ქეთო და კოტე

„ნეტავ სად არის ჩემი ქეთო? — გაიფიქრა კოტემ და ტაბელი გადააბრუნა.“

„რა იქნება, სამუშაო დღე კი არ იწყებოდეს, არამედ მთავრდებოდეს და მეც ჩემს ქეთოსთან შესახვედრად ვე-

„შურებოდე“ — ამ ნატვრით აირბინა კიბეზე კოტემ.

„სასწაული რომ მოხდებოდეს და ჩემი ქეთო ოთახში დამხვდებოდეს“ — ამ ოცნებით გამოალო კოტემ კაბინეტის კარი.

„რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა რომ კარი გაიღებოდეს და ჩემი ქეთო შემოვიდოდეს“, — გაუელვა კოტეს, როდესაც სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

კარი მართლაც იმწამსვე გაიღო, მაგრამ ქეთო კი არა, ვიღაც სხვა ქალი შემოვიდა.

„ეჰ, ნეტავ ჩემი ქეთო ყოფილიყო“, — გული დასწყდა კოტეს.

— შეიძლება შემოვიდე? — იკითხა უცნობმა ქალმა, თუმცა უკვე შემოსული იყო.

— მობრძანდით, — თქვა კოტემ. — დაბრძანდით...

— მე მხოლოდ ერთი წუთით, — მორიდებით თქვა ქალმა და სკამზე ჩამოჯდა.

„როგორ არა მაქვს ახლა საქმეების თავი, — სიზარმაცე მოერია კოტეს და მოსულს შეხედა, — რა უშნოდ აქვს ამ ქალს თმა შუაზე გაყოფილი, რა უგემოვნობაა, აი, ჩემი ქეთო რომ გადაივარცხნის ხოლმე, ის სულ სხვაა“.

— თქვენთან ერთი პატარა საქმე მაქვს, — თქვა ქალმა და ყავისფერი ტყავის ხელჩანთა გახსნა.

კოტეს რატომღაც ეგონა, ქალი ჩანთიდან სარკეს ამოიღებდა (როგორც ამას ქეთო აკეთებდა ხოლმე), მაგრამ ქალმა სარკის ნაცვლად რაღაც ქალაქი ამოაძვრინა და კოტეს გაუწოდა.

„ჩემი ქეთო ხომ არაფერს მწერს“ — იფიქრა კოტემ და ფურცელი ჩამოართვა.

— თუ შეიძლება, დამიმოწმეთ, — თქვა ქალმა.

„თუმცა რას უნდა მწერდეს, წუხელ ერთად არ ვიყავით?“ — ფიქრი განაგრძო კოტემ და ამოხვრით დახედა საბუთს. ერთხანს დასცქეროდა, მერე მაგიდაზე დადო და იკითხა: — ეს მე უნდა დაგიმოწმეთ?

— დიახ, მე მგონი, თქვენ, — უპასუხა ქალმა.

კოტემ ერთხელაც ამოიხრა და წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. „ეს მინდოდა ამ დილით?!“ — გაიფიქრა კოტემ, წამოდგა, ნელა მივიდა ფანჯარასთან, ოდნავ გამოალო და ქუჩას გახედა.

ქუჩაში ტანმაღალ, ჯიშინ ქალს ხელბადით რძე მოჰქონდა, ლალად, გრძელი ნაბიჯით მოდიოდა, ქურჭი შეეხსნა და მაღალი, მადლიანი მკერდით გაზაფხულის სურნელოვან ჰაერს მოარხევდა. დაკვირტულუპარებიანი ქუჩაც მაცოცხლებელი რძით ივსებოდა, მოქნილ ძალსა და ვნებას იკრებდა. კოტემ ღრმად შეისუნთქა გრილი, გამაბრუებელი ჰაერი, „ნეტავ ახლა ქეთოსთან სადმე მართო მაყოფა“, — გაიფიქრა და შემოტრიალდა.

ქეთო არა და, იქ ერთი უღიმღამო ქალი იჯდა მშვიდად და მოკრძალებით, რუხი ფერის პალტო და უქუსლო ფეხსაცმელი ეცვა, მუხლებზე დაწყობილ საკუთარ ხელებს დასცქეროდა და იცდიდა.

კოტე თავის ადგილას დაბრუნდა მაგიდასთან, ჩაახველა და იკითხა:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს მე უნდა დაგიმოწმეთ?

— არა, დარწმუნებული არა ვარ, — მიუგო ქალმა.

კოტე ჩაფიქრდა, ფილტვებში ისევ გაზაფხულის გემო შერჩენოდა. „ოჰ, როგორ მინდა ჩემი ქეთო“, — იფიქრა და ეწყინა, რომ სამსახურში იმყოფებოდა და ამ ვიღაც საქმეგამოლოეულისთვის რაღაც უნდა დაემოწმებინა.

— იცით რა, ჩემის აზრით... — წამოიწყო კოტემ. „რა ჩემი აზრით? რა უნდა მეთქვა?“ — შეაწყვეტინა თავის თავს და ისევ გაჩუმდა, რადგან სიტყვები გადააიწყო. აღარც უძებნია ისინი. დაღუმებულს, უეცრად ხანმოკლე, მაგრამ ღრმა აპათია მოეძალა, ხელით დაეყრდნო მაგიდას, ხელზე კი სახე ჩამოსდო და თვალები დაენისლა.

— ქე-ე-ე... — ამოიხვნეშა მან.



— რა ბრძანეთ? — შეკრთა ქალი და კოტემ მის ვაოცებულ, ფართოდ გახე-  
ლილ თვალებში საკუთარი ქცევის უც-  
ნაურობა ამოიკითხა.

— იცით, მე არ შემძლია ეს საბუთი  
დაგიმოწმით, — თქვა კოტემ. — ეს  
ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის.

— აბა, რა ვქნა? — შეწუხდა ქალი.  
კოტე ჩაფიქრდა, მზერა ოთახს მოაგ-  
ლო და უხაროდ მიაშტერდა კედელზე  
გაქრულ ბომბიან პლაკატს, რომელზეც  
„ეს არ მოხდება“ ეწერა.

— მდაა... თქვა მან.

— ძალიან გთხოვთ, ეგებ რამენაირად  
დამეხმაროთ, — შეევედრა ქალი საწყ-  
ლად. „რა რბილი, მელოდიური ხმა  
აქვს“. — გაიფიქრა კოტემ.

— არც კი ვიცი, რით დაგეხმა-  
როთ, — უთხრა ქალს თანაგრძნობით.

— იქნებ ის მაინც მირჩიოთ, ვის მიე-  
მართო, — ისევ შეეხვეწა ქალი.

— მაგის თქმა კი შემძლია. აჯობებს,  
თუ მიმართავთ... — აქ კოტე ისევ ჩა-  
ფიქრდა და უცებ მოსაუბრის მზერას  
წააწყდა. წამით შეკრთა, რადგან მავე-  
დრებელ თვალებში იმედიანი მოწიწება  
ამოიკითხა და იგრძნო, რომ ამ წამს ქა-  
ლისათვის თუ ყოვლისშემძლე მფარვე-  
ლი არა, ყოვლისმცოდნე მრჩეველი მა-  
ინც იყო. კოტემ პასუხი არ იქაჩა და  
საფუძვლიანად შეათვალიერა თავისი  
სტუმარი. ქალი უღიმღამო კი იყო, მაგ-  
რამ ულამაზო და უსიამოვნო არ ეთქ-  
მოდა... წითელი ჭიამაია რუხი პალტოს  
საყელოზე... უკოსმეტიკო, ჯანსაღი სა-  
ხის კანი, ოდნავ ძველმოდური სამოსი,  
გარდა მოხდენილი უქუთულო ფეხსა-  
ცმელისა და შავი წინდებისა... მოკრძა-  
ლებული კალთა სწორ ხაზად მრგვალ  
მუხლებზე... კარგი თმა, მოწაფურად  
შუა გაყოფილი, კოხტად გადავარცხნი-  
ლი... „მე კი თმადაუვარცხნელი ვარ,  
ამ დილით ძილს ძლივს წავართვი თავი,  
მაგრამ მაინც დავიგვიანე... თმადაუვარ-  
ცხნელი ყოვლისმცოდნე მრჩეველი  
ვარ...“ — იფიქრა კოტემ და თავზე  
ხელი ჩამოისვა.

— იცით რა, — თქვა მან. — მართა-

ლი გითხრათ, არ ვიცი, ვინ გირჩიოთ.  
ჩვენთან კარგა ხანია აღარაფერს  
ამოწმებენ უფროსების სპეციალური  
ნებართვის გარეშე. ეგებ დამიტოვოთ  
და ვეცდები რამენაირად რამე გაგიხერ-  
ხოთ.

— ძალიან მადლობელი ვიქნები  
თქვენი, მაგრამ ასე როგორ შეგაწუხოთ...

— რა შეწუხებაა, ჩემო ქეთო, —  
თქვა კოტემ და თვითონვე გაუკვირდა,  
ეს რა ვთქვიო.

— მე ქეთო კი არა, ევა მქვია, —  
გაეცინა ევას.

— მე — კოტე, — გაეცინა კოტესაც  
და გამხიარულებულმა თვალი მეგობ-  
რულად ჩაუკრა ახალ ნაცნობს. იქვე  
მიხვდა, რომ მეტისმეტი და ნაადრევი  
ფამილარობა გამოუვიდა. უმალ დასე-  
რიოხულდა და თქვა:

— ერთი სიტყვით, თუ ორი დღის ვა-  
დას მომცემთ, ამ საქმეს უშუალოდ  
მოვაგვარებ.

— დიდი მადლობა, ძალიან დიდი.  
არც კი ვიცი, რით გადაგიხადოთ, —  
გულთბილი ღიმილით უთხრა ევამ.

კოტემაც გაუღიმა და ერთხანს ასე  
უღიმოდნენ ერთმანეთს.

მათ არ იცოდნენ, რა აღიმებდათ, რა-  
ზე იყო ეს ღიმილი, რომელმაც სულ  
რამდენიმე გრძელ წამს გასტანა.

და სწორედ ამ დროს, ამ გრძელ წამ-  
თაგან უკანასკნელზე კარი დაუქაკუ-  
ნებლად გაიღო და ოთახში... ქეთო შე-  
მოვიდა.

როგორ ნატრობდა კოტე სულ ცოტა  
ხნის წინ ქეთოს! ბედი არ გინდა! რაღა  
მაინცდამაინც ასეთ არასასიამოვნო  
მომენტს დაემთხვა მისი შემოსვლა:  
ღიმილი თუმც უმალ მოისხიბა, მაინც  
დაფიქსირდა: უცხო ქალი — კოტე —  
ერთმანეთს უღიმოდნენ და ჩემს შემოს-  
ვლაზე გადაიღიმეს... — ესეც შენი ეჭ-  
ვის საბაბი.

ქეთომ ხელჩანთა უცერემონიოდ  
მიავდო ფანჯრის რაფაზე, გამარჯობა  
თქვა და ფართული მზერა სტუორცნა  
უცნობ მეტოქეს, რომელმაც უხერ-  
ხულად გაიღიმა და წამოიღდა.

კოტემ არ შეიმჩნია, რომ სიტუაციას კარგად ხედავდა.

— მოხვედი? — უაზრო და რიტორიკული კითხვა შეაგება შემცბარმა, ქეთოს.

— არა, არ მოვსულვარ, — ჩაიცინა ქეთომ მწარედ, იუმორის გარეშე.

წამიერად უხერხულმა მღუმარებამ დაისადგურა.

— დიდი მადლობა, — თქვა ევამ. — მეტს აღარ შეგაწუხებთ, — და კარისკენ დაიძრა.

კოტე უცებ ქეთოს უსამართლობამ გააბრაზა და მყისიერად გადაწყვიტა უსაფუძვლო ეჭვისათვის იგი ასეთივე ეჭვით დაესაჯა. ამ მიზნით კოტემ ევას თვაზიანი ექსტით გამოუღო კარი, გალანტურად გაატარა და გასაცილებლად გაჰყვა, თან ხმამაღლა და შინაურულად უთხრა:

— მოკლედ, როგორც შეეთანხმებით — ზეგ, დღის ბოლოს.

განზრახ შეაგვიანა, ერთი-ორი წუთი დერეფანში ტყუილად ბოლთას სცემდა და მერეღა შებრუნდა ოთახში.

ქეთო ფანჯარასთან იდგა და ცდილობდა, აღეღებოდა არ დატყობოდა.

კოტე მაგიდას უდარდელი ღიღინით მიუჯდა და კალენდარი გადაფურცლა.

— ვინ იყო? — მაინც ვერ მოითმინა ქეთომ.

— იყო რა... — ისე მიუგო კოტემ, აითქოს რაღაცას მალავდა.

ქეთო წასასვლელად მოემზადა: გაგულისებით აიღო ხელჩანთა ფანჯრის რაფიდან. კოტე მიხვდა, რომ ბოლო სიტყვა მასზე იყო, მას უნდა განემუხტა მდგომარეობა, ყველაფერი აეხსნა, მაგრამ რატომღაც ხმას არ იღებდა, რადგან ყოვლად დაუშვებელ, დამამცირებელ სისულელედ ეჩვენებოდა ახლა არაფრის გულისთვის თავის მართლება.

— წახვედი? — ცივად ჰკითხა ქეთოს, თვალი ააჩრდა და ფანჯარას გა-

ხედა. გარეთ კვლავაც გაზაფხული მძლავრობდა და კოტეს უეცრად მოხვედრილი ძალით მოასკდა წედანდელი სურვილი, მოუნდა სასწრაფოდ ეამბნა ქეთოსთვის, როგორ ელოდა დილიდან, როგორ ნატრობდა, როგორ უნდოდა მასთან ყოფნა, როგორ უყვარდა... მაგრამ სანამ კოტე რაიმეს იტყოდა, ქეთომ გაიჯახუნა კარი და წავიდა.

„რა მოხდა ასეთი?“ — დაიბნა და შეშინდა კოტე. იგი დაედევნა ქეთოს, კიბეზე სულმოუთქმელად ჩაირბინა, მაგრამ ველარ დაეწია. სამსახურის შემდეგ შინ მიაკითხა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. გვიან საღამოს ტელეფონით დაურეკა, მაგრამ ქეთომ უთხრა, ქეთო შინ არ არისო და ყურმილი დაუკიდა. კოტე ერთ კვირას დასდევდა ასე ქეთოს, პატიების მომლოდინე, მერე კი გაბრაზდა, რა მჭირს საპატიებელი და რას ვეხვეწებიო. გადაწყვიტა, ერთ თვეს სულაც აღარ დანახვებოდა და თავი მიანება. ამასობაში ქეთოს გული მოუღება და დღე-დღეზე ელოდა, საცაა გამოჩნდებოო. რაკილა კოტე აღარ გამოჩნდა, თვითონვე მიაკითხა ქეთომ სამსახურში, მაგრამ იქ უთხრეს, მივლინებაშია და თვენახევარში ჩამოვაო. მივლინებაში ყოფნისას კოტე ერთავად თავის ქეთოს იხსენებდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ვნახავო. დაბრუნებულს, ამბავი დახვდა, ქეთო შვებულებაშია და კურორტზე დასასვენებლად არის წასულიო. კოტეს იმხანად შვებულება არ ეკუთვნოდა, ხოლო როდესაც მისი დასვენების ჭერმაც მოაღწია, ქეთო სწორედ მაშინ გახდა ავად. მერე ხმა დაირხა, კოტე ცოლს ირთავსო და, ერთი სიტყვით, მათი გზები სამუდამოდ ასცდნენ ერთმანეთს, იმ ძველთაგან თქმული სიბრძნის დასტურად, რომ ხშირად უბრალო, წვრილმანი მოვლენები ერთობ მნიშვნელოვან და სავალალო შედეგებს იწვევენ ხოლმე.



სტამბულში

გამოჩნდა ბოსფორი  
 და ვიწრო ყურეში  
 შევედივართ,  
 ჩვენს ზემოთ ხილია გაბმული,  
 ფერდობი გადაშლილი მოჩანს  
 ყურანივით,  
 ირგვლივ ილანდება ბებერი  
 ისტამბული...  
 შენ იყავ პირველი მტერი მოსისხარი  
 სხვაც ვინმე ამქვეყნად ყოფილა თუკი,  
 ყაყანებს,  
 ფუთფუთებს ქუჩებში ისლამი,  
 — სალამ-ალეიქუმ! — ხელს მართმევს  
 თურქი...  
 ქუჩა ჰგავს ამღვრეულ  
 და ფერად მდინარეს,  
 ჩადრიდან გოგო მიმზერს მოღიმარი,  
 სად ზეცა უკავია უთვალავ მინარეთს  
 და კრიალოსანით ერთობა იმამი...

მიპატიებია ცრემლი  
 და ტკივილი,  
 ვივიწყებ, წარსულში რაც იყო,  
 რაც არი,  
 წინ მხვდება:  
 მოღების გაბმული კივილი  
 და თეთრი აია სოფიას ტაძარი...  
 ტრიალებს ბული, სულის შემხუთავი,  
 მზის ცხელი დისკო ჰკივია მალლა,  
 შუადღის ლოცვანს აღავლენს სულთანნი  
 და ხელაპყრობილი უჩოქებს მაჰმადს...  
 მთების გადაღმიდან მოცურავს  
 ღრუბელი  
 და ქარი ქუჩის მტვერს სახეში მაშლის,  
 — ისტამბულ, მშვიდობით!  
 სისხლის აუღებლად,  
 მარჯვენის მოუჭრელად ვბრუნდები  
 სახლში!..



სადაც ხმელეთი  
 ზღვას ეუღლება —  
 ქვიშით დაფარულ  
 უცხო ნაპირთან,  
 სად ოკეანეს ლურჯი მუხლები  
 მოუჩანს ქაფის  
 თეთრი კაბიდან...  
 შენ გამახსენდი,  
 ნაიარევი  
 გული შეუცნობ  
 სევდით ამევსო;

იქნებ სხვის ღენად დაიარები?  
 სხვის ბაღს უხდები,  
 უძვირფასესო?  
 ამ ცრუ სოფელში,  
 სადაც ხსნა არ ჩანს,  
 სადაც სავსეა  
 გზა ნარ-ეკლებით,  
 იმედად  
 შენი ღიმილი დამრჩა  
 ციური შუქის ანარეკლივით...



ფერმკრთალ აფიშას  
 მარტის ღრუბლების  
 ჩამოხვეს ქარი  
 ზეცის დაფიდან  
 და ამ ქარივით თავისუფალი

ზღვაზე თოლის ფიფქი დაფრინავს...  
 და ოკეანის  
 გუგუნებს წყალი  
 წამომართული  
 ტალღის ჩრდილებად,

სად გემის თეთრად მთრთოლ კვალიც  
თანდათანობით ქრება, ილევა...  
ქრება ნაპირიც,  
სადაც გაშლილი

იყავი ბრძენი,  
ჩემო ტკივილო,  
და უფრო მშვიდად  
გეჭიროს თავი,  
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,  
ან მძიმე ხვედრზე  
არ დაგცდეს ავი...  
შენ უფრო მწარე,  
ბედიც გექნება  
და სიხარულის ყამიც —  
უცვლელი!

დღეები —  
სავეს მხოლოდ ეკლებით,  
დღეები —  
სავეს ვარდის ფურცლებით...

## ბოროლას მთაო

ბოროლას მთაო,  
შენსკენ ვილტვი ხელის ცეცებით,  
მოვდივარ და სლიბ ყინულებზე  
ვდგები,  
ვეცემი...  
რომ მოგიჩრდილეს  
მაღალ შუბლზე  
ნისლი ქარებმა,  
ვერც ბოროტება,  
ვერც ლალატი ვერ გეკარება...

ბალმის ქოლგები ჩანან მარტოდენ,  
განშორებისას, სადაც ბავშვებით  
აცრემლებული  
შენ მიგატოვე...

ხელის მოცარვის  
გელის დილეგიც  
და შთაგონების წამიც —  
ფერადი!  
დღეები —  
სავეს მხოლოდ ჩრდილებით,  
დღეები —  
სავეს სხივთა კელაპტრით...  
იყავი ბრძენი,  
ჩემო ტკივილო,  
და უფრო მშვიდად  
გეჭიროს თავი,  
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,  
ან მძიმე ხვედრზე  
არ დაგცდეს ავი...

დგახარ უბიწოდ  
ცათა მკვიდრი,  
ცათა მპყრობელი,  
განრიდებული  
ლირწს და ტალახს  
ამა სოფელის...  
ჩამკიდე ხელი  
და მახილე  
შენი საუფლო,  
ჩემს სატკივარზე  
და წუხილზე რომ გესაუბრო!..

თანდათანობით იბინდება  
მდინარის სიმი,  
ქრება მინდორიც, რომ ელავდა  
ათას ფერებად  
და უთრთის ფრთები,  
გალუმპული ღამეულ წვიმით,  
უბედნიერო ბედნიერებას...

ყვითელ ფოთლებით  
იფარება ბილიკი ბოლოს,  
ჭკნება სურვილიც  
და ოცნებაც ცაში აფრენის;  
ბედნიერება გაზაფხულის  
ნისლია მხოლოდ, —  
ღმერთებისაგან საცდუნებლად  
გადმონაფენი...

ეტიუდი

სავსე სიჩუმით  
და სიმართლით  
მალლით მწვერვალი  
გვიმზერს დაღლილი,  
ხოლო მის თავზე  
ირმის ნახტომი

შემორჩენია ზეცას დაღივით...  
წინ კი  
მინდორი ნისლში ეფლობა,  
შორით მდინარე  
გვიხმობს, გვაქეზებს  
და მთვარის შუქის მკრთალი  
პებლები  
დაფარფატებენ ღამის ტალღებზე...

ზამთარი

(ეტიუდი)

უქუნი ღამე  
ჰკიდია  
სივრცეს —  
დროის შრიალა  
და შავი ფარდა  
და მონაბერი ზამთრის სიცივე  
ფანჯრის მინებზე  
ყვავილებს ხატავს...  
და უსახლკარო  
ქვითინებს ქარი,  
ნისლებს აურევს

და თოვლ-ბუქს აშლის,  
შულამისას აწყდება კარებს  
და მიღეული შემოდის სახლში...  
ის —  
როგორც წვეთი  
ღამეულ ქართა,  
ან როგორც ჩიტი,  
სუსტი და უფრთო,  
ღუმელის გვერდზე  
მძინარე კატას  
ეცემა ტანზე  
და სიზმრებს უფრთხობს...

კვლავ გავექცევი  
ღღებებს უნათლენს,  
ავსილს ამ ქვეყნის  
ჯგლეით,  
ხმაურით  
და ბნელ ღამეებს მივაყურადებ,  
სად ხმები მესმის  
არაქაური...  
იქ,  
იმ უხილავ  
სამყაროს მიღმა,  
როს ვარსკვლავები  
კრთიან წვეთებად,

სხივის კიბეზე  
მილოღავს  
ვიღაც  
და აღსავლისკენ მიეხეტება...  
თან მიაქვს სული,  
როგორც სასჯელი,  
სული,  
რომელიც მტვერში ახვეტა  
და აღებს მთვარეს — ზეცის ფანჯარას,  
სხვა სივრცეებში  
გადა-  
სახე-  
დად...



ზამთარი, ანუ წერილი დედას

მეცინება, მაგრამ მაინც  
მემძიმება ბედნიერება  
ბედზე ტკბილად მიჩანს რაიც  
მეძინება, დედი.  
დავამარცხე...  
დავამთავრე  
სასტიკ ბედთან თამაში.  
ბედის ცხენი საავთვალე  
ჩავაშწყვდიე თავლაში.  
არ მსურს ქადაგ-მკითხავი,  
მცნობელს ჩემი ბედის.

ივენანა მითხარი,  
მეძინება, დედი!  
ცხელი ცრემლიც ჩავაწვიმე,  
ცრემლიც მტარვალ ბედის.  
თბილ საფლავში ჩამაწვინე,  
ჩამაძინე, დედი!  
ეს რა დიდი ზამთარია,  
გავხზი უქმი, ყბედი,  
არ გეგონოს — მართალია —  
გავგებუმრე, დედი!

პრიჭინა

ყველა სიყვითე და ყველა ბოროტება —  
ვისთვის რით დაიწყო  
ან ბოლოს რა ელის,  
მაინც იწყება და მაინც ბოლოვდება,  
როგორც უბოლოო ბოლერო რაველის.  
ბოდვა — სიყვარული? —  
ღვთიური ქარი ცის.  
ცოდნა — სიძულვილი? —  
ეს ეშმა ხარხარებს.  
არ ვიცი,  
არ ვიცი,

ათავგზის არ ვიცი!  
არცოდნა,  
არცოდვა  
მე შენს თავს მაყვარებს.  
კეთილი, მშვიდი და თითქოს  
მიღალული,  
ცოდნაზე მაღალი,  
ცოდვაზე მაღალი,  
ძველი და — ყველა მოდაზე ახალი  
ცხელ გულში ჭრიჭინა გალობს —  
სიყვარული.

მოვიდა ანგელოსი  
სიყეთის სამუდაროდ  
ომის და მშვიდობის საშიშარ სამანთან,  
და ცაში აფრინდა ერთხელ და...  
სამუდამოდ  
ის...  
ამერიკელი გოგონა — სამანტა.

ის... ბავშვი ყვავილი და...  
გლოვის არშია.  
ის — მკვდარი სიზმრები ვარდისფერ  
საბანთა.  
და იქნებ...  
უწოდონ აქ, ქართულ ბაღშიაც  
ყვავილს უსახელოს  
სახელად სამანტა.

თითქოს ჩემს გზაზე ჩემივე ხიდი ვარ...  
საწვიმ-სამზეო მიჭირავს ქოლგა.  
და თვით არ ვუწყვი, საით მივდივარ,  
საით მიყვები ამ გზათა გორგალს.

პა. მწუხარება გაიფანტა. ლხინის დღე  
დადგა.

მოდით, ესვათ,  
ვკამოთ,

ვიქეიფოთ, ამოვიყუროთ!..

ავივსოთ ქონით, უწმინდური  
ზრახვებით, რადგან

წმინდა სიყვარულს მწუხარება  
მოჰქონდა მხოლოდ.

ქალი — ქალია, კაცი — კაცი  
სიკვდილი — ბოლო,  
გნება — უღელი,  
გადასკვნილი გველების თასმით.

მე დღეს სიძულვილს ვადღეგრძელებ  
ამ წმინდა თასით,  
რადგან სიყვარულს მწუხარება  
მოჰქონდა მხოლოდ...

არავის ღამე არ უკვირს ღამით,  
მაგრამ დღისით რომ მზე დაბნელებდა,  
თუნდ ერთი წამით... ატეხავს ბღავილს  
საქონელი და ველარ ჩერდება.

„მზე დაგიბნელდა!“ — სწყევლის  
ქართველი  
ღამის ავაზაკს — ქურდ ბოროტებას.

თავად მზის შვილი, მზისებრ ნათელი  
მზის ამობრწყენას კვლავ ელოდება.

რომ აღმოცენდეს კვლავაც ჭეჭილი,  
მზე კვლავ ხარობდეს მეხრით და  
ხარით,

რომ ბოროტება გულგაგლეჯილი  
კენესოდეს გლეხის დაკრული ზარით!

როცა ქარებმა დამატეხეს თავზე აპრილი,  
მე აყვავებულ გაზაფხულში ვიდექ ხე — მწირი...  
გზა ამებნა და ვერ ვიპოვე ჩემი ნაპირი,  
ყვავილს ვეძებდი ყვავილებში გადახვეწილი.

თითქოსდა სადღაც ჩემი წასვლის ეტლი მოვიდა,  
თითქოს ყვავილი ჩამიჭულიტეს დახშულ ქარებში...  
თითქოს მდინარე მივდიოდი სამშობლოიდან  
სხვის სამშობლოში და ვკვდებოდი

ზღვის სამარეში.

მე სახლს ვაშენებ მუხათწყაროში  
და მაინც ვფიქრობ — რა მესახლება.  
უფლის გაჩენილ ამ სამყაროში  
სახლად მიწა და ცა მესახება.

თბილისის ეშხით  
თუმც მოვინათლე დიდი ხნის წინად,  
თახვივით ვზიდო კბილებით ხრეში  
და...

და მაინც ვფიქრობ...

ვით მხეცს,  
ტყეში მეც მქონდეს ბინა.

ლექსი  
„ავტობი“

# ი ნ ს ა ი ტ ი \*

წიგნიდან: „გაზეთის ემთხე გავარდნა“

როგორც იქნა, კონტრაქტს ვადა ვა-  
უჯიდა და საქართველოში დაბრუნების  
საშუალება მომეცა. სირიიდან მოსკოვ-  
ში ჩამოსულს ისე მენატრებოდა სამ-  
შობლო. ვიქს ვგავდი: სასწრა-  
ფოდ ჩავაბარე სამინისტროს ანგარიში,  
კონტრაქტის შემდგომ გავრძელებაზე  
სასტიკი უარი განვაცხადე, ორიოდ  
წერილმანი საქმე, რომლის გაუქვებ-  
ლობითაც ქვეყანა არ დაიქცეოდა,  
ღვთის ანაბარა მივატოვე და თბილისში  
განმთავრინდი. ხუთი წლის განმავლო-  
ბაში ერთი კვირით ვიყავი საყვარელ  
ქალაქში. ისიც საზღვარგარეთ სამუშა-  
ოდ წასვლის წინ. მანამდე კი, გეოლო-  
გიური ფაქულტეტის დამთავრებისთანა-  
ვე სამხრეთ ყაზახეთში გამანაწილეს.  
არც ვინმე პატრონი და მშველელი მყა-  
ვდა, განაწილების გარეშე რომ დავე-  
ტოვებინე. ეგეც რომ მომხეხრებინა,  
მერე სამუშაოს შოვნა ყოველგვარ ძალ-  
ებს აღემატებოდა ჩემთვის და დიპლომის  
დაცვის შემდეგ ერთ კვირაში სინეპლა-  
ტინის საძიებო პარტიის გეოლოგად  
ვმუშაობდი უკვე. საზღვარგარეთ სამუ-  
შაოდ წამსვლელ ჯგუფშიც იქიდან ჩამ-  
რთეს და სირიაში გატარებული სამი  
წლის შემდეგ გულგადაღუული ჩამოვ-  
ფრინდი თბილისში. ერთი კვირა რას  
ვაკეთებდი, აღარც კი მახსოვს: ვინ  
იყო ჩემი სტუმარი და ვისთან დავდიო-  
დი სტუმრად. ერთი კვირის თავზე  
აუტანელი სურვილი კვირძინა —  
უმუშევრად ვეღარ ვძლებდი. მთავარ  
გეოლოგიურ სამმართველოში უკვე შე-  
მომთავაზეს ახლად ჩამოყალიბებული  
ძვირფას ლითონთა მძიებელი პარტიის

უფროსი გეოლოგის ადგილი და მეც  
სიამოვნებით დავთანხმდი. მაგრამ პარ-  
ტიის შტატები ახალი წლიდან დაიშვე-  
ბოდა, ახალი წლიდანვე დაიწყებდა  
საძიებო სამუშაოებს. ახალ წლამდე კი  
პარტიის საქმეებს მისი უფროსი ლევან  
ჩერქეზიშვილი უძღვებოდა. სწორედ  
მაშინ შემხვდა გურამ წიფწივაძე და რო-  
ცა ჩემი მდგომარეობა გაიგო, მითხრა:  
ცოლა ჯაფარიძე გავიდა დეკრეტულ  
შვებულებაში და, თუ ძმა ხარ, ჩემს  
საპროექტო სახელოსნოში ცოტა ხანს  
წაიმუშავეო. მეც ბევრი იწილო-ბიწი-  
ლო აღარ დამიწყია და სიამოვნებით  
დავთანხმდი. მეორე დღესვე გამოვც-  
ხადდი არქიტექტორთა სახელოსნოში,  
სადაც წამყვან სპეციალისტად ალექსან-  
დრე სიამაშვილი — სამოც წელს ვადა-  
ცილებული, უაღრესად ვანათლებული  
და დარბისელი კაცი მუშაობდა.

სახელოსნო საბურთალოზე ერთ-  
ერთი ცხრასართულიანი სახლის პირველ  
სართულზე იყო მოთავსებული. სულ  
რამდენიმე ოთახი და ერთი ვრცელი  
დარბაზი ეკავა და მეც სწორედ იმ დარ-  
ბაზში მდგარი ოცი სამუშაო მაგიდიდან  
ერთი დამითმეს, უფრო სწორად, ცო-  
ლა ჯაფარიძის მაგიდასთან დამსვეს.  
ალექსანდრე სიამაშვილის მაგიდიდან  
მარჯვნივ მეოთხე ვიყავი. სახელოსნოს  
გამგეშ, გურამ წიფწივაძემ, როგორც კი  
ხალხის გაააცნობად შემეყვანა, მაშინ-  
ვე ირაკლი, ნანა და თენგიზი შემომხე-  
ვივნენ, განაპირა მაგიდიდან გვიმაც შე-  
მომძახა: „ამას აქ რა უნდაო.“ და გამ-  
გემ — აქ თურმე ყველას იცნობ, მე  
კლა უნდა გაგაცნო, კავშირში უნდა  
გავიქცე. შეჩქარებო, — თქვა და მა-  
შინვე გარეთ გავარდა.

\* პრობლემაში წვდომა.





ყველა ინტერესით მიჰქროდა. ერთი წამით ყველამ მოწყვიტა თვალი საკუთარ ნახაზებს და ანგარიშებს, გარდა ერთი კაცისა, რომელიც გულდასმით ჩაიკრიკტებდა რალაცას და რატომღაც ყველაზე მეტად სწორედ იმ კაცით — ალექსანდრე სიამაშვილით დავინტერესდები. თუმცა ისიც კი ვიფიქრე გუნებაში: ეგეთი კირკიტა, გულ და ინტერეს-მოკლებული ერთი თანამშრომელი ალბათ ყველა დაწესებულებას ჰყავს-მეთქი. თენგიზს გაგყვიო, რომელმაც კუთხეში, ჩემს სამუშაო ადგილზე მიმიყვანა და გვერდით ჩამომიჯდა. ხმადაბლა ვსაუბრობდით ალთაზე და ბალთაზე, რაზეც კი შეიძლება ისაუბროს ხუთი წლის უნახავმა ორმა ძველმა ქუჩის ამხანაგმა. თუ სვამ ძველებურად, ცოლი ხომ არ მოგიყვანია; ნატა თუ გახსოვს, ხოფერიაო, და ასეთებზე. სახელოსნო თანდათან დაწყნარდა. ყველა თავის ბუჯერს მიუჯდა. ჩვენს ჩურჩულს ხანდახან სახაზავის ტყაცუნი თუ დაარღვევდა, რომ უეცრად ვილაცამ ხმამალა წამოიძახა — ამერიკის მეხუთე პრეზიდენტი — რვა ასო.

— ვაშინგტონი! — წამოიძახა ვილაცამ.

— ნუ სულელობ, ვაშინგტონი პირველი იყო, თანაც თერთმეტი ასო!

თავი წამოვწიე და თენგიზს შევხედე. თვალით ალექსანდრე სიამაშვილზე მანიშნა.

— ჯონსონი! — ვიცანი ირაკლის ხმა.

— ტვინი გაანძრიე, ბიჭო, სანამ რამეს იტყოდე, — დამოძღვრა ალექსანდრემ.

— რა იყო, ძია საშა?

— რა და, ჯონსონი მეხუთე იყო? — ალექსანდრეს მაგიერ გაეპასუხა კუთხეში მჯდომი შავგვრემანი ბიჭი.

— ვაჰ, ჯონსონი ადრეც ხომ იყო? — არ შედრკა ირაკლი.

— ჯონსონი შვიდია! — დაიძახა ჩემს წინ მჯდომმა სათვლიანმა გოგომ.

ალექსანდრემ მოწონების ნიშნად თავი დაიქნია.

— რა გააჭირეს საქმე. რამდენი პრე-

ზიდენტი ყავთ, — წამოიწყო შავგვრემანმა ბიჭმა.

— ძია საშა, რამდენი ასოა? — სახაზავი დაფიდან თავი წამოწია ვილაცამ.

— რვა ასო, — გაეპასუხა სათვლიანი გოგო.

— რვიანი არ ვიცი, — თავი დაფის უკან მიმალა.

— თარაზულადაა თუ ვერტიკალურად? — იკითხა გივიმ.

— თარაზულად.

— შემდეგი რაა, ძია საშა?

ალექსანდრე სიამაშვილმა კროსვორდს ჩახედა — სუბტროპიკული სურნელოვანი მცენარე.

— დაფნა, — იყვირა სულ ბოლოდან ვილაცამ.

— ესეც რვა ასოა, — მოუჭრა ალექსანდრემ.

— თურინჯი.

ალექსანდრემ თავი გადააქნია.

— უი, შვიდი ყოფილა! — მიხვდა „თურინჯის“ პატრონი.

— მაგნოლია, — გამოაცხადა ალექსანდრემ, — რა უნდა მაგნოლიის მოგონებას.

— ვერტიკალურად ემთხვევა? — იკითხა რომელიღაცამ.

— ემთხვევა, — დაემოწმა ალექსანდრე. — ჩიკაგოელი განგსტერი. ერთი, ორი, ჰმ, ექვსი ასოა.

— ალ კაპონე, — მოისმა მეოთხე დაფიდან.

— ეე, ალ კაპონე არა, ალექსანდრე კაპანაძე არ გინდა? ალ კაპონე რვაა, — აღშფოთდა განაპირა მაგიდა.

— კაპონე, — დამარცვლა მეოთხემ, — ზუსტად ექვსია.

— ალ-ს რას უშვრები? — იკითხა განაპირამ.

— მესამე ასო „ო“-ა, — გამოაცხადა ალექსანდრემ.

— „ო“-ო? — იკითხა მეხუთე დაფამ, — არა, ეგეთს არავის ვიცნობ.

— რას მეუბნები, შენს დროს არ მუშაობდა, ეტყობა! — სიცილი აუტყდა მეორე დაფას.

— სტოუნი! — გამოაცხადა ალექ-



სანდრემ, — კი, ნამდვილად სტოუნია.  
— ეს რომელი, ძია საშა, მაქსი თუ  
ჯეფრი? — იკითხა მეოთხე მაგიდამ.

— მაქსი, მაქს სტოუნი. ჯეფრი ფი-  
ლადელფიაში მუშაობდა.  
თენგიზმა თვალი ჩამიკრა, ხომ ხედავ,  
სად მოხვედიო.

— ჰარისონი! პრეზიდენტი ჰარისონ-  
ნი! — წამოიძახა ალექსანდრემ, — კი,  
ჩაჯდა. გრანტიების ოჯახის ძლიერი ქანი,  
შვიდი ასო. — ალექსანდრემ რატომღაც  
მე გადმომხედა.

თენგიზმა იდაყვი გამკრა.  
— სიენტი! — წამოვიძახე ანგარიშ-  
მიუცემლად;

— სი-ე-ნი-ტი, — ჩამარცვლა ალექს-  
ანდრემ, — ყოჩაღ! სწორია!

— დაგლიჯე! — წამჩურჩულა თენ-  
გიზმა. — პირველსავე ცდაზე იყიდე  
ძია საშა.

არადა, რაგინდ სასაცილოდ უნდა მო-  
გეჩვენოთ, ბატონ ალექსანდრეს ყურა-  
დღება შესვენებისთანავე ვიგრძენი;  
როგორც პირველი შესრულდა, ხალხი  
წამოიშალა. ალექსანდრე სიამაშვილი,  
სამოცს გადაცილებული კაცი, ჩემს მა-  
გიდასთან მოვიდა, ხელი ენერგიულად  
ჩამომართვა და

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაც-  
ნობა, გონიერი ყმაწვილი ჩანხართო, —  
მითხრა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან მესია-  
მოვნა ეს შექება და უნებურად გავწით-  
ლდი კიდევ.

შესვენებაზე თენგიზთან ერთად პა-  
ტარა ბუფეტში შევედი, სადაც მხო-  
ლოდ წყალგარეული ფორთოხლის წვე-  
ნი და ჩოხაბალუხიანი სოსისები ჰქონ-  
დათ. რა თქმა უნდა, უგემურად ვისაუზ-  
მეთ. თუმცა საუზმეს დიდ ყურადღებას  
არც ვაქცევდით. თენგიზმა მეთოდურად  
გადმომილაგა თბილისის ხუთი წლის  
ჭორები, რომელთაგან ზოგი ვიცოდი,  
ზოგიც სახეცვლილებით მოვისმინე და  
ზოგიც სრულ სიახლეს წარმოადგენდა  
ჩემთვის. ერთხანს სიგარეტს ვეწეო-  
დით. თენგიზს ჩემი სირიაში ნაყიდი  
სანთიათი მოვუყიდე და, როცა შევა-

ტყვე, თვალი ზედ დარჩა, მაშინვე ვა-  
ჩუქე. თენგიზმა ჯერ იუარა, მაგრამ  
ბავშვურ უარზე ორივეს გაგვეცინა და  
სანთია დიდი მადლობით მიიღო.

— როგორ მოგეწონა ჩვენი წამყვანი  
სპეციალისტი? — მკითხა უცებ.

— ვინ? — გამიკვირდა მე.

— ალექსანდრე სიამაშვილი.

— რომელი?  
— ძია საშა, ბიჭო, ჩვენი კროსვორ-  
დების სპეციალისტი. ვადსარევი კაცია.  
უწინ ეგ იყო ამ სახელოსნოს გამგე-  
კაი ხანია, პენსია უწევს, მაგრამ მაინც  
შემორჩა, ვერ ელევა აქაურობას.

ასე დინჯი საუბრით, უფრო სწორად,  
თენგიზი ლაპარაკობდა და მე ვუსმენ-  
დი, შევედით სახელოსნოში და ჩვენი  
ადგილები დავიკავეთ.

ალექსანდრე სიამაშვილი უკვე ჩაპ-  
კირკიტებდა თავის კროსვორდს, რომ  
ნანა ბუთხუზმა გაანგარიშება მიუტანა  
შესამოწმებლად. საქმე ჯერჯერობით  
არაფერი მქონდა და ინტერესით ვა-  
დევნებდი თვალყურს, როგორ კომპიუ-  
ტერის სისწრაფით შეამოწმა ძია საშამ  
ნანას გაანგარიშება.

— ნანა, შვილო, მორი აქ, — გასძახა  
მშვიდად. — აი, აქ შეცდომაა, გაასწო-  
რე, — მიუთითა და იგივე სიმშვიდით  
თავის კროსვორდს ჩაულრმავედა.

— მდინარე მცირე აზიის სამხრეთ  
ნაწილში. — გაისმა ისევ, — ხუთი ასო.

— კერზე, — წამოვიძახე უცებ.

დარბაზმა ინტერესით გადმომხედა,  
უნებურად გავწითლდი და მღელვარე-  
ბის დასაფარავად ფანქარს წავეტანე.

— ჩაჯდა! — გაისმა ძია საშას მშვიდი  
ხმა. — ყოჩაღ, ყმაწვილო, ყოჩაღ!

ამის შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ,  
უცნაურობა დამჩემდა. რაც არ უნდა  
მეკეთებინა, ვაფაციცებოთ მზადყოფნა-  
ში ვიყავი, თუკი ძია საშა რაიმე შე-  
კითხვას დასვამდა. ასე გაგრძელდა მთე-  
ლი კვირა. სამუშაოს შევეგუე, თუმცა  
ვიცოდი, რომ ჩემი იქ ყოფნა დროები-  
თი იყო და რალაცით ვგავდი სანატო-  
რიუმში ჩასულ დამსვენებელს. ზუსტად  
ერთი კვირის თავზე სახელოსნოს რამ-

დენიშე თანამშრომელი ზემო იმერეთში გაგვიშვეს მივლინებით — სკოლის შენობის დასაპროექტებლად. მე, როგორც ერთადერთი გეოლოგი, სამუშაო ჯგუფში ჩამსვეს. დიდხანს ვორჭოფობდით, მატარებლით წასვლიყავით თუ მანქანით. მატარებლით წასვლა იმ სიცხეში ვერაფერი სხაბრბელა იყო, ხოლო სახელოსნოს მანქანით წასვლაზე სულ სხვა პრობლემა წარმოიშვა: იმერული პურ-მარილის გახსენებაზე არავის არ უნდოდა საჭესთან დაჯდომა. ბოლოს გამოსავალი თენგიზმა იპოვა. სახელოსნოს მანქანაზე ბიძაშვილი დასვა, 22 წლის ცქვიტი და მხიარული ბიჭი, ანტონა, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ კუჭის ოპერაცია გაეკეთებინა და ღვინის დაღვევა აკრძალვოდა. თენგიზის მანქანაში დილაუთენია ჩავსხედით ძია საშა, ირაკლი ლომსაძე, გივი, თენგიზი და მე. ჩვენმა ვაზ-69-მ, რომელსაც ტენტი წინა ღამით გადავხადეთ და საგულდაგულოდაც გავრეცხეთ, კურსი იმერეთისკენ აიღო. რა თქმა უნდა, წინ ძია საშა დავსვით. მან ჯიბიდან ეურნალ „Смена“-ს მორიგი ნომერი ამოიღო, სათვალე გაიკეთა და კროსგორდს ჩაულრმავდა. ჩვენი ახალი მეგზური და მძღოლი, სიცოცხლით სავსე ბიჭი ინტერესით და ეშმაკური ღიმილით გადმოხედავდა ხოლმე ძია საშას, მერე ერთი წამით ჩვენ მოგვიბრუნდებოდა, ისეთ უშურველ ღიმილს და სიხალისეს შემოგვაფრქვევდა, მე პირადად არ მჯეროდა, რომ ამ კაცს რამდენიმე თვის წინ ოპერაცია ჰქონდა გაეკეთებული. რატომღაც წარმომედგინა, რომ ვისაც კი აწუხებ, ყველა უეჭურია.

კარგად ვიმგზავრეთ. შესანიშნავი დარი იდგა, რაიმე დარდი არავის გვაწუხებდა და თითოეულმა ჩვენგანმა კარგად ვიცოდით, ეს სამუშაო მივლინება კი არა, მხიარული პიკნიკი და საქეიფოდ წასვლა უფრო იყო.

მთელი გზა ძირითადად პურ-მარილზე ვლაპარაკობდით. გავარჩიეთ, რომელი კუთხის პურ-მარილი ჯობია — კახური, მეგრული, იმერული თუ გურული. თი-

თოეული კუთხის ავტორი დაწვრილებით განვსაჯეთ და ბოლოს და ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველა კუთხეს სასწაული პურ-მარილი აქვს.

რაიონში თორმეტი საათისთვის ჩავედით. განათლების განყოფილების გამგე, აღმასკომის თავმჯდომარე და იქაური არქიტექტორი უკვე გველოდნენ. ერთმანეთს დიდის ხმით მივესალმეთ: განათლების განყოფილების გამგემ საუბრე შემოგვათავაზა, მაგრამ ჩვენ თავი შორს დავიჭირეთ, ვთქვით, ბარემ რბიექტი ვნახოთ და სადილი და საუზმე გავაერთიანოთ. მასპინძლები დაგვთანხმდნენ. ძია საშა თავიანთ მანქანაში ჩაისევს, ჩვენთან იქაური არქიტექტორი ვაჟა ქორიძე ჩანდა, ასე, ჩვენი ხნის ახალგაზრდა კაცი და დავიძარით სოფლისკენ, სადაც სკოლა უნდა აშენებულიყო. ნახევარ საათში უკვე მომავალი სკოლის ეზოში ვიდევით და ჩვენ ჩვენ საქმეებს ვაკეთებდით.

სამუშაოს მალე მოვრჩით. პირადად მე დასკვნა იქვე შემეძლო დაეწერა. მთელი ეს მიდამო ანტიკლინის ფრთაზე იჯდა. ძირითად ქანამდე ნახევარი მეტრის გათხრა იყო საჭირო, ასე რომ, ეს ადგილი სამსართულიანი სკოლის შენობას კი არა, ცათამბჯენსაც იოლად გაუძლებდა. ცოტა გივის გაუძენელდა კანალიზაციის გაყვანილობისათვის ადგილის მოძებნა. ბოლოს ეს საქმეც გადაწყდა და ყველანი სკოლის დირექტორის სახლისკენ გავემართეთ, სადაც პურ-მარილი მზადდებოდა. ჩვენმა უთენია ჩამოსვლამ და მერე სწრაფად ჩატარებულმა სამუშაოებმა, ეტყობა, ცოტა ნააღრვეად მიგვიყვანა. პურ-მარილი ჯერ მზად არ იყო, ამიტომაც ულამაზეს ეზოში რცხილის და კორნდოს ხეების ჩეროში მარნის პირას დავსვეს და ნარდი გავაჩადეთ.

ძია საშამ წამოღებული კროსგორდი გზაშივე ამოხსნა. ნარდი და მისი მსგავსი აზარტული თამაშები, ეტყობოდა, სულაც არ აინტერესებდა. ამიტომ კუთხეში მიჯდა და ფიქრებში ჩაეფლო. ნარდს აღმასკომის თავმჯდომარე ბატო-



ნი გიორგი და თენგიზი მიუსხდნენ. განათლების განყოფილების გამგე მე და ირაკლის გვესაუბრებოდა, თუ როგორ გართულდა საშუალო სკოლების სპეციფიკა. რაც შეეხება გივის და ვაჟა ქორიძეს, ისინი ნადირობაზე საუბრით იქცევდნენ თავს. მე გოაცებით შევნიშნე, რომ ანტონას ხელში ჩაფი ეჭირა და წყაროდან წყალი მოჰქონდა. ცოტა ხანში შეშის დაბობასაც შეუდგა, მოკლედ, ძალიან მალე გაშინაურდა. ეტყობა, მთელი ეზო საგულდაგულოდ მონირა. სახლში იყო, ჩვენთან ჩურჩხელის ჭამით დაბრუნდა, ხელში „Смена“-ს ძველისძველი ნომერი ეჭირა, ჟურნალი ცოტა ხანს ათვალეირა, რომელიღაც სტატიაზე თუ ინფორმაციაზე გულიანი სიცილიც აუტყდა და მერე ჟურნალი სკამზე დაადო და ნარდის მოთამაშებებს მიუბრუნდა. ძია საშამ სათვალე ამოიღო, „Смена“-ს ხელი წაავლო და პირდაპირ ბოლო გვერდზე გადაშალა. გვიმ მხარი გამკრა: — ნახე, ნახე, ძია საშამ საქმე იშოვაო.

პურ-მარლი უღვთოდ გვიანდებოდა, აღმასკომის თავმჯდომარე უკვე ნერვიულობდა, განყოფილების გამგეც სადღაც გაუჩინარდა, ანტონა ისევ გაქრა. პატარა გიღლით ახალი თხილი მოგვითანა და ნარდის ქვის მაგიდაზე წამოგვიპირქვავა. გვიმ და ვაჟამ ახლა ჩვენკენ გადმოინაცვლეს და გამგეს ზრდილობიანად დაეთანხმნენ, მაკარენკოს მოძღვრება გარკვეულ რევიზიონიზმს მოითხოვსო, რაზეც მე და ირაკლისაც აღარ გავიწყევია დიდი წინააღმდეგობა. სწორედ ამ დროს იყო, ანტონა რცხილის ტოტზე რომ შეხტა, ტანი აიზიდა და ზედ მოექცა.

— გაგიყდი, ბიჭო, შენ? — ყასილად ახედა თენგიზმა უმცროს ბიძაშვილს. საპასუხოდ სიცილი მოგვესმა. ანტონამ კიდევ ორიოდ ტოტით ზევით აინაცვლა, გემრიელად მოეწყო და თხილის ქნატუნით მთლად ციყვს დაემსგავსა.

თენგიზმა მესამე მარსი წააგო ზედიზედ და დარცხვენილმა გივის დაუთმო ადგილი. გვიმ და ვაჟამ უკვე მოილაპა-

რაკეს, სად და როგორ უნდა ენადირათ ერთად, რომ ძია საშამ ყურადღებულ შემოგვხედა. უკვე ვგრძობდით, რაღაც უცნაურ რამეს რომ მიუხვდა კროსვორდის შემდგენელს. ახლა თავის ცოდნას და წარმატებებს ჩვენზე ამოწმებდა.

— მდინარე ხუანხეს მარცხენა მესხეთე შენაკადი — 5 ასო.

ერთხანს დუმილით გადავხედეთ ერთმანეთს, აღმასკომის თავმჯდომარეს კამათლები შეაცვივდა ხელში.

— ძია საშამ, მესხეთე თუ მეოთხე? — ყასილად ჰკითხა გვიმ.

— მესხეთე, გენაცვალე, მესხეთე და თანაც 5 ასო!

— ფინხე, — მოგვესმა ზევიდან. ჩვენ სიცილი აგვიტყდა.

— ფინხე არა, ფინხე არ გინდა? — გაბრაზდა უეცრად ირაკლი.

— ვინ თქვა ფინხე. — სათვალე შუბლზე აიწია ძია საშამ.

— ისე, იხუმრა, ძია საშამ, — სირცხვილი მოწმინდა ბიძაშვილს თენგიზმა.

— სწორია, — თქვა ძია საშამ, — ყოჩაღ, ბიჭო!

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ.

— ეგ რაა, ნებისმიერ კროსვორდს ამოვხსნი, — ჩამოგვძახა ანტონამ.

— გაფიცებ ყველაფერს, იცოდი თუ შემთხვევით მორატყი? — კითხვით ახედა ირაკლიმ.

— თუ გინდათ, მეოთხე მარჯვენა შენაკადსაც გეტყვით, — ჩამოგვძახა ანტონამ, — ლოხე ჰქვია.

— მიდი, კაცო, საქმე ნახე, — შეუწყრა თენგიზი და თხილის დაკროლვა დაიწყო, — ძია საშამ, თხილი არ ვინდათ?

— სად მაქვს, ბიჭო, თხილის კბილები, მე რატომღაც გოჭი მირჩევნია.

— გოჭს ჩვენც ვირჩევდით, თუ ველირსეთ, — ჩაილაპარაკა გვიმ.

ვაჟა უხერხულად შეიშმუშნა, აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლისაც უგებდა და სიხარულისგან არაფერი გაუვია.

— ტიპოგრაფიული საზომი? — ვაღმოგვხედა კვლავ ძია საშამ.

— კალმანი თუ იცის აქეთ? — ხმა-

მალა იკითხა უცებ ირაკლიმ. — შენ გეცოდინება, გვიო.

გივიმ ვაჟას გადახედა.

— კალმახი იშვიათად, წვერა და ქაშაპია ძირითადად, — თქვა იქაურმა არქიტექტორმა და სამზადისკენ თვალი გადაპარა.

— კაია, წვერაც, — თქვა ირაკლიმ. — მე, მაგალითად, კალმახს წვერა მირჩევნია. თქვენ, ძია საშა?

— კი, ნამდვილად, — დაეთანხმა ძია საშა. — კარგია ქინძმარში. ტიპოგრაფიული საზომი ერთეული თუ იცი რომელია?

— თეოდოლიტი, ალბათ. — წაიბორძიკა ირაკლიმ.

— არქიტექტორი ჰქვია ახლა ამასაც, თეოდოლიტი, ბიჭო, ერთეულია თუ ხელსაწყო, ეს ერთი. მეორეც, ტიპოგრაფიული კი არა, ტიპოგრაფიული.

— რამდენ ასოიანია. ძია საშა, — იკითხა შეწუხებული სახით გივიმ.

— რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, მაგრამ გეტყვით მინც — ექვსი ასოა.

— ექვსი ასოა? — ჩამოგვძახა ზევიდან ანტონამ, — მაცალეთ, გეტყვით ახლავე.

— თქვენ ამოხსენით, ძია საშა?

— მე ამოვხსენი, აბა არ ამოვხსენი? თქვენ გეკითხებით.

— ციცერო! — თხილის ნაჭუჭთან ერთად ჩამოგვივლო ანტონამ, — მაპატიეთ, ვადმომიცივივდა.

— რა თქვი? — ასძახა ძია საშამ.

— ციცერო!

— ვადამრევს ეს ბიჭი, — ხელები გაშალა ძია საშამ.

— ამდენი რამე თუ იცის, როგორ იჭრება გამოცდებზე ოთხი წელი ზედიზედ? — შემოგვიტია თენგიზმა.

— არ სწავლობს? — გავიკვირვე მე.

— ოთხი წელი აბარებს ჰაერზე.

— აბა, მითხარი გემი, რომლითაც იმოგზაურა ჩარლზ დარვინმა — უკვე ანტონას მიმართა ძია საშამ.

— ბიგლი, — ჩამოსძახა მაშინვე ხიდან ანტონამ.

— ბიგლი, — დამარცვლა ალექსანდრე სიამაშვილმა, — ჩაჯდა, ხომ გეცოდინება?

— კიდევ უთხაროთ, ძია საშა, კიდევ, — დაინტერესდა უკვე ირაკლი.

— რაღა ვუთხრა, კაცო, ესენი ჯერჯერობით მეც ვერ ჩავსვი.

— თქვენც?!

— აბა.

— მითხაროთ, მითხაროთ, — ჩამოგვივლო ანტონამ.

— უთხაროთ, ძია საშა, უთხაროთ.

— გაჩერდით, ერთი, — გაბრაზება დაეტყო ძია საშას, — ამის ამომხსენელია ეგ?

ირაკლი ძია საშას გვერდზე მიუჯდა.

— ესენი დაგრჩათ? აბა, — ასძახა ანტონას, — ხვლიკის ერთ-ერთი სახე!

— ვარანი! — დავასწარი მე.

— ვარანი ექვსია, ხუთი უნდა იყოს.

— ცინკი, — ჩამოგვივლო ანტონამ, — თუ ხუთიანია, ცინკი იქნება.

— ნახე ერთი, — გაფიქორდა ალექსანდრე სიამაშვილი, — აბა, შევა-მოწმით ვერტიკალურში. ჯდება, ხედავ? ახლა თარაზულეებს ვადავხედოთ. ს — ხედავ, საქსაული, ც — ციცერო, ი და კ ჯერ არ ვიცი, ნ-ზე იმპრინტინგი. აბა ერთი, იმპრინტინგი რა იქნება? — ასძახა ანტონას.

— ინტრიგანი?

— ინტრიგანი შენ ხარ. იმპრინტინგი.

— მაგის მეტი რა ვიცი, ძია საშა, ფილოსოფიური ფართოდ გავრცელებული ტერმინია და სწავლის და აღქმის ერთ-ერთი სახეა.

— გამაგიყებს ეს ბიჭი. რას შვრებიან, გველავენ მშვიდრებს თუ იცი? — მოულოდნელად ჩვენ მოგვმართა ძია საშამ. ეს ისე მოულოდნელად და ალეღვებით იკითხა, მასპინძლები კი არა, ჩვენც შევწუხდით. ირაკლიმ და გივიმ ერთმანეთს შემოფოთებულებმა გადახედეს. ძია საშა თვითონაც მიხვდა, ნერვებმა რომ უმტყუნეს, ყურნალი გვერდზე მიაგლო და წამოდგა. სახე გაფითრებოდა და მარჯვენა ლოყა უცახცახებდა.

— მითხაროთ კიდევ, რაიმე თუ გაგი-

პირდათ, — ვერ ხვდებოდა ანტონა, რა ხდებოდა ქვევით, — ნახევარ საათში ნებისმიერ კროსვორდს ამოგისნთ.

— ჩამოდი, ბიჭო, ძირს, — მუქარით ასძახა თენგიზმა, — ამან კუქის კი არა, ტენისის ოპერაცია გაიკეთა მგონი. — ნოგემართა მერე ჩვენ.

— ვალიდოლი ხომ არა გაქვთ? — მოგვიბრუნდა უეცრად ძია საშა, — გული მჩხვლეტს რაღაც.

ჩვენ ერთმანეთს შიშით გადავხედეთ. — რა დროს თქვენი გულია, — შეწუხდა აღმასკომის თავმჯდომარე და სრულიად დაუფიქრებლად დაამატა, — ბიჭივით გამოიყურებით, — თუმცა მაშინვე ჯიბეები მოიჩხრიკა და საწამლე ვაზნა ამოაძრო, — ვალიდოლი არა და ნიტრონგი მაქვს, თუ გნებავთ.

— ვის უნდა, ბატონო; ნიტრონგი და ვალიდოლი, — მოვარდა სახლის ბატონი, სკოლის დირექტორი, — ნიტრონგი და ნეიტრონის ბომბი ჩვენს მტრებს, აბა, ვალიდოლი უნდა ჩვენს საქმეს? წამობრძანდით, ბატონებო. შეგვივიანდა ცოტა, მაგრამ გახაზირდა უკვე ყველაფერი. აქეთ, ბატონებო, ტალავერში. გიორგი გობრონიჩი, შევრცხვით, ხომ? დავგვიანდით ხომ ნამეტანი?

— არა უშავს, ბატონო, — მიექაძილა ირაკლი, — როგორ გეკადრებათ.

— ეს ნიტრონგი ერთი უნდა დავლიო? — კვლავ იკითხა ძია საშამ.

— უიმე, მომიკვდეს თავი. თქვენ არ მასხრობთ, ბატონო? — შეწუხდა მასპინძელი. — ახლავე გაგიჩინთ ექიმს. დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე, აგერ. არ გაინძრეთ და ახლავე იქნება. თეზიკა! შენი ჭირიმე, ესე ექიმი გადმომიყვანე სასწრაფოდ.

ტალავერიდან განათლების განყოფილების გამგე გადმოვიდა.

— რა მოხდა, დიმიტრო?

— რა ვიცი, ფრიდონიჩ, სტუმარი გაგვიხდა შეუძლოდ, ეტყობა, სიმაღლემ დაცადა.

— რას მეუბნები, კაცო.

— არა უშავს, ბატონებო, არა

უშავს, — წამოიწია ძია საშამ. — გადაძიარა უკვე.

— იჯექით, ძია საშა, იჯექით. — ირაკლის ძია საშას მაგა ეჭირა — ოთხმოცდაორი. პულსი ნორმალური გავტო. სავესე ავსების, ჩქარია ოდნავ.

ექიმი უცებ მოიყვანეს, ის კი არა, რამდენიმე წუთში სასწრაფოდ მოვარდა მთელი კარდიოლოგიური აპარატით. ძია საშას წნევა გაუზომეს, კარდიოგრაფაც გადაუღეს. ექიმმა — ასეთი ჯანმრთელი გული კაი ხანია არ მინახავსო, თქვა, თეთრი ღვინო მიირთვით, შავ ღვინოს მოერიდეთო, ყოველ შემთხვევისთვისო, დაარიგა ძია საშა და პურმარილზეც დარჩა.

თუმცა მიუხედავად ჩიტის რძით გაწყობილი პურ-მარილისა, ელდამ და შიშმა თავისი გაიტანა. ქეიფი არ გამოვიდა და მალეც დავიშალეთ. ანტონა საგულდაგულოდ ჩაფრენოდა საქვს და ხმისამოუღებლად გასცქეროდა გზას. ასე დავებრუნდით თბილისში. მეორედღეს ჩვეულებრივ გამოვცხადდით სამსახურში, მე პირადად წინანდელი შიში აღარც კი მახსოვდა. ღვინის ნასმური მაინც გამოძევა. ხუთი წელი არყის სმას მიჩვეული მაინცდამაინც ველარ ვეგუებოდი დასავლეთის თხელ ღვინოებს და ღმერთს მადლობას ვწირავდი, კიდევ კარგი, ბევრი რომ არ დავლიე-მეთქი.

ძია საშა უკვე თავის მაგიდასთან იჯდა. სათვალე ეკეთა. როცა ჩავუარე და მივესალმე, ვნახე, ვილაცის გაანგარიშება ედო წინ და წითელი ფანქრით შენიშვნებს აკეთებდა.

— გამარჯობათ, ძია საშა, როგორ ბრძანდებით?

— გაგიმარჯოთ, როგორ უნდა ვიყო, — შემომხედდა და ისევ გაანგარიშებებს მიუბრუნდა.

ნანა ბუთხუზმა საკმაოდ დაიგვიანა. შემოსვლისთანავე ჩანთიდან „зарулем“ ის ბოლო ნომერი ამოაფრიალა და ძია საშასკენ წამოვიდა. — ძია საშა, ნახეთ,

ახალი კროსვორდია „ზარულემ“-ში. ქმარს მოვპარე, ამ დილით მივიღე ფოსტა.

— კროსვორდი კი არა! საქმეს უნდა მიხედო, გენაცვალე, საქმეს! — იყვირა უეცრად ალექსანდრე სიამაშვილმა, — რას გავს ეს! — ნახაზს ფანქარი დაარტყა, — შეცდომებითაა სავსე და, სხვათა შორის, სამსახურში თავის დროზე უნდა გამოცხადდე, დიას!

როგორც შესვენებაზე საუბრიდან გამოიკცა, ასეთი გაცეცხლებული ალექსანდრე სიამაშვილი ჯერ არავის ენახა. შესვენების შემდეგ ძია საშა სახელოსნოში აღარც დაბრუნებულა. მერე გურამ წიფწივამდე გვიბრა, თავი მოიკლა და არაფრით არ დარჩა, პენსიაზე გავიდაო. ერთი კვირის შემდეგ ლევან ჩერქეზიშვილმა მომაკითხა, წამო, ძმო, საკუთარ საქმეებს მიხვებდითო და წამოვედი...

რამდენიმე ხნის წინ ღამით სახლში

ვბრუნდებოდი. წვიმდა. ვილაკამ გამოერთა მოედანზე ხელი ამიწია. მანქანის რების შუქზე ნაცნობ სახედ წამოშვლანდა. გავაჩერე. ანტონა იყო, თენგიზის ბიძაშვილი. დიდის ამბით მოვიკითხეთ ერთმანეთი, საბურთალოს ქუჩაზე მივიყვანე. რა ქენი, თუ ჩააბარე-მეთქი, — ვკითხე ჩასვლისას.

— ჩამქრეს გეოგრაფიაში, — მითხრა.

— გეოგრაფიაში?!

— აბა, ვერ ვიტან მაგ საგანს.

— აბა, მაშინ, იქ, ზემო იმერეთში რას გადაგვრე-მეთქი.

აუტყდა სიცილი, მაშინვე მინდოდა გამეზხილა, მაგრამ მერე შემეშინდა, ძია საშა ეურნალ „Смена“-ს მეხუთე ნომერი რომ მივეცი, მეექვსე ნომრის პასუხები ხეზე მქონდა ატანილიო — თქვა და სიცილ-სიცილით დამემშვიდობა, გადავიდა მანქანიდან და დურთა თავი წვიმაში. წვიმით კი იცოცხლე, წვიმდა, გაზაფხულის ნაღდი წვიმით.

## „და ვიმა ულის ნაკვალევს“

ადრიან დილით, როდესაც გარემოს ჯერ კიდევ დაკრავდა მელნისფერი, ცხრაასართულიანი სახლის განაპირა სადარბაზოსთან თეთრი „ვოლგა“ გაჩერდა, მძღოლმა დაკვირვებით შეათვალიერა ქუჩისა და სახლის აღმნიშვნელი ფირნიში და უკანა სავარძელზე მკდომ გაფითრებულ და ნამტირალე ქალს მიუბრუნდა — ესაა, მე მგონი, თოთხმეტი ნომერი გვინდოდა, ხომ?

ქალმა ამოისლუკუნა და ძვირფასი ლაბადის ჯიბიდან ქალაღდის ნაგლეჯი ამოაძრო — კი, თოთხმეტი ნომერია, მეცხრე სართული. ნეტავი თუ წამოგვყვება, ვაი დედაჩემო, რა დღეში ჩავვაძრდითო.

— რას ქვია, არ წამოგვყვება, — გაცოცხდა მძღოლმა, — რა მოხელეა მეტი!

— რა ვიცი, აბა, თან მრცხვენია ამ დილაუთენია.

— გაჭირვებამ დილა და ბნელი არ

იცის, — თქვა კაცმა და მინის აწევა დაიწყო. — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

— ოო, — ამოიგმინა ქალმა, — ღვინის მომგონის სახელი უნდა გაწყდეს ქვეყანაზე.

— ღვინო რა შუაშია ახლა, — თქვა მძღოლმა და კარები გააღო. — გადმოხვალ, ხომ, შენც?

— გადმოვიდე?

— აჯობებს, კი, უფრო წამოგვყვება.

— ეტყობა, მძღოლმა წელანდელი ქადილი „რა მოახლეა მეტიო“ ჰაიპარად წამოისროლა და მეტი დამაჯერებლობისთვის ქალის ხლებაც განიზრახა. — რაც არ უნდა იყოს, ცოლი! ხარ.

— რას ვგეგვარ, კაბა მაინც ჩამეცვა. — შეწუხდა ქალი. — შევაშინებ ვინმეს.

კაცმა გაოცებით მოხედა. გუნებაში გაიფიქრა, ქალი მაინც ქალიაო და, —

რა მოხდა მერე, თეატრში კი არ წამოვსულვართ.

მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, ვიღაც მაღალი მამაკაცი სადარბაზოსთან იდგა და მოუკიდებელ სიგარეტს ანერვიულად სრესდა. მაშინვე მანქანიდან გადმოსული მძღოლისკენ დაიძრა და ასანთი თხოვა.

მძღოლმა ჯიბიდან ძვირფასი კვესი ამოიღო და მაღალ მამაკაცს სიგარეტზე მოუკიდა.

მაღალმა ღრმა ნაფაზი დაარტყა და ქალს ირიბად გახედა. ქალი ამრეხით შესცქეროდა, აქოდა, რა დროს სიგარეტიო. ლამაზი, მოვლილი ქალი იყო, ოდნავ სისრულეში წასული.

— ახლავე ჩამოვა პროფესორი, — თქვა უეცრად მაღალმა, — ჩვენც იმას ველოდებით.

— თქვენც? — აღმოხდა ქალს.

— კი, მესამე ვარ. ისინი ჩემზე ადრე ნოვიდნენ — და სიგარეტისანი ხელი მანქანებისკენ გაიშვირა. მართლაც, სადარბაზოსთან გაჩერებულ მოლისფერ „მოსკვიჩში“ და წითელ „ნივში“ ვიღაცები ისხდნენ, კაჭლისფერი „07“ ეტყობა მაღალს ეკუთვნოდა, — ძმაკაცი მყავს ცუდად, ავარიასი მოყვა.

— ელაპარაკეთ უკვე? — ჰკითხა „ვოლგის“ პატრონმა. — ზევით იყავით?

— მე არა, ისინი იყვნენ. — მაღალმა „მოსკვიჩისკენ“ გაიშვირა ხელი.

— იმათ უთხრა, ოც წუთში ჩამოვალ, რომ არ წავიყვანო, არაფრით არ შეიძლება, ბავშვობის ძმაკაცია ჩემი.

— პროფესორი? — ჰკითხა „ვოლგის“ პატრონმა.

— არა, ბატონო, პროფესორს არც კი ვიცნობ, ვინც ავარიასი მოყვა, ისაა ჩემი ძმაკაცი, გურამ თოთიბაძე თუ გავგიგათ, მექანიკური ქარხნის დირექტორია.

— რას ამბობთ, — აღმოხდა „ვოლგის“ პატრონს, — როდის?

— წუხელ წყნეთიდან მოდიოდა და, ჩაძინებია, ეტყობა, ბაგებში ხეს შეასკდა. ახლა უგონოდ წევს ტრავმატოლო-

გიურში, თქვენ რაზე შეწუხებულხართ?

— სიძეს დამბლა დაეცა, — თქვა „ვოლგისმა“ — ეს დაა ჩემი, — დაამატა რატომღაც და თვითონაც სიგარეტს მოუკიდა.

მაღალმა ქალს გახედა, ნამტირალევ, უძინარ და შეწუხებულ ქალს ლაბადა საშინაო ძვირფას ხალათზე მოესხა, სიჩქარეში ზედა ღილის შებნევა დავიწყებოდა და მუქი შინდისფერი ხალათიდან ვარდისფერი, სავესე მკერდი უღლოდა, ჯიშინი მაღალი ფეხები ქოშებში წაეყო, მაღალმა ქალს თვალი მოარჩა და სიგარეტი ღრმად მოქაჩა.

— ახლაგაზრდაა, ალბათ, — თქვა მერე ანგარიშმიუცემლად.

— ორმოცდათერთმეტი წლის, — ამოისლუკუნა ქალმა და ქალური გაცოცხლებული გუმანით ხელი საკინძეზე შეივლო, უნებურად გაწიოდა და ლაბადის საყელო მკერდზე მოიხვია.

„რა ლამაზია, ამის პატრონს რატომ უნდა დაგარტყას დამბლამ“, გაიფიქრა მაღალმა უნებური სევდით. საკუთარი, შავი და გამხდარი უხასიათო ცოლი გაახსენდა, რომელიც სიმდიდრის გამო შეირთო თავის დროზე, ახლა კაცს სიმდიდრეც თავზე საყრელი ჰქონდა და სახელიც, მაგრამ უკვე გვიანლა იყო. „თუმცა, იქნებ სწორედ მაგიტომაცაა ცუდადო“, გაიფიქრა ისევ და უნებურად ამ ლამაზი და ჯიშინი ქალის მიმართ მტრულად განეწყო.

ქუჩის გადაღმა ტროტუარის პირზე საკუთარი შავი „ვოლგა“ გაჩერდა, მაღალმა შეამჩნია, რომ მანქანას ქალაქის ნომრები არ ჰქონდა. შავი „ვოლგისგან“ ორნი გადმოვიდნენ; ასე ორმოც წელს მიტანებული მამაკაცები იყვნენ, ორივეს ძვირფასი, ერთნაირი ქურთუკები ეცვათ, ჯანიანი მხრები და პატარა მკვრივი ღიპები ჰქონდათ, ერთი შავგვრემანი იყო, მეორე — ქერა, მაგრამ მაინც საოცრად გავდნენ ერთმანეთს, მტკიცე, ყოვლისშემძლე, მტაცებლის მსუბუქი ნაბიჯებით გადმოჰრეს ქუჩა, დამხვდურები ზვიადად, მუშტრის თვა-



ლით ათვალეირეს, ორივეს ხარბი მზერა ლამაზი, ჯიშინი ქალის შიშველ, ქოშებში წაყოფილ ფეხებს შემოეხვია და ორივეს ერთნაირი ლირწი ზეთი ჩამოვლევნთა თვალეზში.

მალალს რატომღაც უსიამოდ აუჩქარდა გული და უხერხულად შეიშმუშნა.

— მედიკო! ჩაჯექი მანქანაში, არ შეგცივდეს, — თქვა უეცრად „ვოლგის“ პატრონმა.

— არა მიშავს, სიცივეს ვდარდობ?

— უპასუხა ნამტირალევემა ქალმა.

— ჩაჯექი, რომ გეუბნები. — ძმამ ქალს ხელი მოკიდა და თითქმის ძალით ჩასვა მანქანაში.

მალალმა რატომღაც შვებით ამოისუნთქა და „ვოლგის“ პატრონის მიმართ მადლიერებით განიმსჭვალა.

— პროფესორი აქ ცხოვრობს, ხომ?

— იკითხა ერთმა სასწავთაშორისოდ, რომ ამ დროს სადარბაზოს კარი გაიღო და ქუჩაში ასე 55 წლის მამაკაცი გამოვიდა. კაცს უძილო, დასიებული თვალები ჰქონდა. ნაცრისფერი, კარგად შეკერილი კოსტიუმი ეცვა, თუმცა დაკვირვებული თვალი მაშინვე შეამჩნევდა — ეს კაცი ჩაცმით არ იკლავდა თავს.

სადარბაზოდან გამოსულს იდლიაში პორთფელი და ლაბადა ამოეჩრა, ორივე ხელი კი ვაშლებით ჰქონდა დაკავებული, პიჯაკის მარცხენა ჯიბიდან პალსტუხის ენას გადმოეყო თავი — ეს კაცი ცნობილი პროფესორი თენგიზ ჯაში გახლდათ.

ექიმი, ეტყობა, ერთ დამხვედურს ელვოდა, თუმცა არც ასეთ ხალხმრავლობას შეუწუხებია მაინცდამაინც.

სადარბაზოსთან მოგროვილი ავადმყოფის პატრონები მთლად დარწმუნებულნი არ იყვნენ, სადარბაზოდან გამოსული კაცი ნამდვილად პროფესორი თენგიზ ჯაში თუ იყო, ამიტომაც რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოწვა.

— ნანეიშვილის პატრონი რომელი ხართ? — სასიამოვნო ხმით იკითხა ექიმმა.

— ჩვენ ვართ, ბატონო, — თითქმის

ერთდროულად თქვეს მოლისფერი „მოსკვიჩიდან“ გადმოსულმა ქალარგ მანქანის კაცმა და გამხდარმა, შეწუხებულსახიანმა ბიჭმა.

— როგორ არის ამ დღით?

— რა ვიცი, ექიმო, უგრძობლადაა ისევ.

— რომელია თქვენი მანქანა? — იკითხა ექიმმა.

ლამაზმა ქალმა ძმას შეშფოთებით გადახედა, „ნუთუ ეს არის ნამდვილად პროფესორი“ თუ „ნანეიშვილებს მიყვება პროფესორი“ — რას გამოხატავდა ეს შეშფოთება, ვეღარ დაადგინა მალალმა.

— ბატონო თენგიზ! — წინ წამოდგა ერთ-ერთი შავვოლგეიანი — თქვენთან პატარა სალაპარაკო მაქვს.

— გისმენთ, ბატონო.

— ცალკე მინდოდა მენახეთ, — ღიპიანმა სცადა, პროფესორისთვის მკლავში გამოედო ხელი და გვერდზე გაეყვანა.

— აქვე მითხარით, ჩემო ბატონო, თუ რამე სათქმელი გაქვთ! — მოჭრა უცებ პროფესორმა, — ძალიან მეჩქარება.

ეტყობა, ღიპიანმაც ვეღარ შეძლო იმდენი ხნით ზრდილობიანი თამაში და მანაც ყოვლისშემძლე წინააღმდეგობას მიუჩვეველი ტონით დააგლო — მოკლედ, ძმაკაცი გვეყავს ცუდად, უმაღლესი ბიჭი და ქუთაისში უნდა წამოგვეყვით ამ წუთში.

— რა თქვით?

— ძმაკაცი, უმაღლესი ბიჭი... — დაიწყო ღიპიანმა, რომ პროფესორმა მაშინვე შეაწყვეტინა: — არაფრით არ შემიძლია წამოსვლა. წავიდეთ, აბა, მიუბრუნდა ნანეიშვილს.

— მოკლედ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ქუთაისში უნდა ჩაგიყვანოთ. — თქვა უეცრად მეორე ღიპიანმა.

— რა ბრძანეთ? — დაიბნა თენგიზ ჯაში.

— თქვენს წასაყვანად ვართ ჩამოსული, ჩემო ბატონო, — თავი დახარა

ერთ-ერთმა, — აუცილებლად უნდა წამოგვეყვით.

— წასაყვანად თუ მოსატაცებლად?

— იკითხა პროფესორმა და გაფითრდა.

— როგორც გენებოთ, ისე ჩათვალეთ, პატივცემულო, წამოსვლით კი აუცილებლად უნდა წამოგვეყვით, სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს, ძმაკაცი გველუბება. ბავშვობის ძმაკაცი და თქვენ უნდა გადავიჩინოთ, პატივცემულო. აგერ თვითმფრინავს არ ვენდით და ორ საათში ჩამოვფრინდით დედაქალაქში.

მალაღმა ახალი სიგარეტი ამოიღო, ხედავდა საქმე სერიოზულ ხასიათს იღებდა. უცნაური იყო, თან სასტიკად აღიზიანებდა ასე თავხედურად მოსული ეს ტიპები და თანაც რაღაცით მოსწონდა კიდევ.

— არ შემიძლია, ჩემო ბატონო, — თქვა პროფესორმა — ხომ ხედავთ, ხალხი მელოდება, ჭირისუფლები არიან ესენიც.

— ჩვენი მდგომარეობა სხვაა.

— მიმართეთ მერე აბუანდაძეს, შესაძლებელია სპეციალისტია.

— აბუანდაძეს მისი გაჭირვება ყოფნის — ცოლისძმა მოუკვდა წუხელ, — თქვა ქერამ.

— რას ამბობთ! — შეიცხადა ჯაშმა. — მურმანი? რითი, კაცო?

— ინფარქტით.

— აუჰ! რა მითხარით ეს, როგორ მეწყინა, საცოდავი ბიჭი, რა კაი ვაჟკაცი იყო. აფსუს!

— კი, ასეა საქმე! — თქვა შავგვრემანმა, — ატირებულა მთელი ქუთაისი, — მერე, ამ მცირე შესავლით გათამამებულმა, ისევე ძველებური დაუბრუნებელი ტონი დაიჭირა. — გაჭირვება გვაქვს ჩვენც და, მოვალე ხართ, წამოხვიდეთ.

— არაფრით არ შემიძლია, — თქვა ჯაშმა. — ჯერ ერთი, ხალხი მელოდება, ღორმეტზე კლინიკაში შემოვლა მაქვს. 2 საათზე „ლეჩკომისიაში“ კონსილიუმზე უნდა ვიყო, სამზე კი კონფერენცია იწყება. — მერე საკუთარ თავზე გალიზიანდა, რა ანგარიშს ვებარებ ამათო,

და მკვეთრად მოჭრა — ასეა საქმე, მაღალიან ვწუხვარ, მაგრამ შეუძლებელია — ნანეიშვილის მანქანისკენ გაიწრაფა წინა სავარძელში ჩაჯდა. მხოლოდ მერე გამოხედა დანარჩენებს, ერთი წამით მზერა ლამაზ ქალზე გაუჩერდა და სხვებსაც შეხედა, უეცრად მალაღს მიმართა. — თქვენც ჩვენთანა ხართ?

— დიახ, ბატონო, — მალაღმა მოუკიდებელი სიგარეტი მოწაფესავით გადააგდო და წელში გასწორდა, — ბატონო თენგიზ, წუხელ გურამ თოთიბაძე მოყვა ავარიისი და თქვენი შეწუხებაა საჭირო.

— რას ამბობ, კაცო, — შეიცხადა პროფესორმა, თან გაიფიქრა, ნეტავინაა გურამ თოთიბაძეო. — სად მოხდა?

— წყნეთის გზაზე, ახლა ტრავმატოლოგიურში წევს უგონოდ.

— მერე, ხომ ყავთ იქ სპეციალისტი?

— კი, როგორ არა, მაგრამ თქვენ მაინც... — მალაღს ენა დაეხა — ჯანსუღი გირეკავდათ ამ დილით ამდღობელი, და ვერ გამოვიდა ვერაფრით.

— გამორთული მქონდა, — გამოტყდა თენგიზ ჯაში — რა ვქნათ, ა? — თქვა და ახლა დაძმას მიუბრუნდა — თქვენ რაღამ შეგაწუხათ? — ქალმა ამოისლუკუნა და ძმას შეხედა.

„ულმერთოდ ლამაზია, — სევდით გაიფიქრა მალაღმა და კვლავ სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან;

ძმამ მოულოდნელად მშვენიერი ტექტიკა აირჩია — თენგიზ ბატონო, მე ავთოს ძმაკაცი ვარ, თქვენი ბიძაშვილის, ვაჟა სიღამონიძე, ავთო არაა თბილისში და თქვენი შეწუხება მარტომ გავბედე, სიძე მყავს ცუდად, ეს დაა ჩემი.

პროფესორმა ერთი წამით კვლავ შეაჩერა თვალი მანქანიდან ხელმეორედ გადმოსულ ქალზე — რას შერება, აღარ ამთავრებს ფილმს? — იკითხა უცებ.

ავთანდილ ჩხიკავაძის  
გოთხროვაები

— გაუჭანჯლა ცოტა. — დაეთანხმა ვაჟა სიღამონიძე. — მე არ მინახავს ჯერ მასალა, მაგრამ, ამბობენ, კარგი გამოდისო.

— ცოლს ვერ ათხოვინებთ მერე ძმა-კაცები, ვერ შეუჩნდებით?

— რა ვიცი, აბა. — გაიღიმა სიღამონიძემ. — ვერ შევებით ეყვანი.

— რა გიყოთ ახლა, — ჩაფიქრდა ჯაში. — გამომყევით უკან, ამათთან უნდა შევიარო და მოვიფიქრებ რამეს. აუჰ, რა დღეში ვარ, კაცო, ასე როგორ შეიძლება. — თქვა და კარი მიიხურა.

— ჩვენ რას გვიბირებთ, პატივცემულო, — „პატივცემულო“ ხაზგასმით გამოკვეთა შავგვრემანმა, — რალამც არავის არ დაურეკია და არავის ძმაკაცები არა ვართ, ჩვენს ავადმყოფს არ უნდა შეველა? თუ ჩვენი ავადმყოფი ჯანმრთელია ვითომ, თუ დაბალი ღობე გვნახეთ ამხელა ხალხი?

— რას გეტყვით, იცით, — ფანჯრის მინა ჩამოსწია ჯაშიმა — ძალიან გთხოვთ, ნუ მემუქრებით, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ, ათად ხომ არ გაეკრები, გამომყევით უკან და მოვიფიქრებ რამეს. წავედით, აბა! — მიუბრუნდა ნანეიშვილის ჭირისუფალს და ხელში შერჩენილი ვაშლი ჯიბეში ჩაიჩურთა. — საუზმეც ვერ მოვასწარი, მპატიეთ, — მიუბრუნდა უკანა სავარძელზე მჯდომ ჭალარა მამაკაცს.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — მიუვო ჭალარამ. — შეგაწუხებთ ამ დღლაუთენია...

ნინოშვილის ქუჩაზე ნანეიშვილების სახლის სადარბაზოსთან საკმაოდ მოზრდილი ესკორტი გაჩერდა.

ჭალარამ მოასწრო, პირველი გადმოვიდა და პროფესორს კარი გაუღო, სხვა მანქანებიდანაც გადმოვიდნენ. მხოლოდ ვაჟა სიღამონიძის ლამაზი და, მედიკო დარჩა მანქანაში...

სადარბაზოდან ვილაცამ გამოიხედა და წამსვე გაუჩინარდა.

— თქვენ მანქანით ხართ, არა? — მიუბრუნდა ჯაში მალალს — ჯანსუღამაღლობელის პროტექტს.

— კი, ბატონო. — 07-ზე მიუთითა მალალმა.

— თქვენ წაბრძანდით სახლში და მე თვითონ მოვალ. — ჯაში ახლა ვაჟა სიღამონიძეს მიუბრუნდა, — აგერ, მეგობარი მომიყვანს.

— კი ბატონო, როგორ არა, სადაც გენებოთ. — მალალმა რატომღაც მეორეჯერ გადაადგლო სივარეტი და ერთი ნაბიჯითაც უკან დაიწია.

— ჩვენ რას გვიბირებთ? — თითქმის ერთდროულად თქვეს ქერამ და შავგვრემანმა.

— მდაა, რა გიყოთ ა, — თავი მოიქექა პროფესორმა. — სად გიწევთ ავადმყოფი?

— სახლში წევს თავისთან. — თქვა ქერამ.

— რა უნდა, კაცო, სახლში ავადმყოფს, რატომ არ გადაიყვანთ კლინიკაში.

ქერამ და შავგვრემანმა ერთმანეთს გადახედეს.

— უჰ! რა ხალხი ხართ, რა ხალხი, ტელეფონი აქვთ ბინაში?

— კი, როგორ არა, — თქვა შავგვრემანმა — 3-33-44.

— მაშინ ახლა წადით საქალაქთაშორისოში, ავტომატით დარეკეთ, აბუჩანდაძე მოიყვანონ სასწრაფოდ, თუმცა აბუჩანდაძეს მისი გაჭირვება ეყოფა. მესხი, ჯუმბერ მესხი მოძებნონ და მიიყვანონ, ჩემი ასპირანტი იყო, შესანიშნავი ექიმი, იქიდან ჩემთან მოდიოთ კლინიკაში თორმეტის ნახევრისთვის, დავურეკავ მესხს და ვკითხავ, რაშია საქმე. წადით ახლა, ნულარ ყოვნდებით. — ჯაში სადარბაზოში შევიდა, უცებ მობრუნდა და თეთრვოლგაიანს მიუბრუნდა. — მისამართი დატოვეთ, აგერ, მეგობარს ჩაუწერეთ და მე თვითონ მოვალ. — უეცრად „ნივიდან“ გადმოსული, აქამდე წყნარად მდგარი ქალი და მამაკაცი შეამჩნია.

— თქვენც მე მელოდებით? — პროფესორის ხმაში სასოწარკვეთა გაისმა.

— ბატონო ექიმო, მამა გყავს ცუდად, დამბლა დაეცა.

— სად ვიწვევ? — შეაწყვეტინა პროფესორმა.

— სახლში, ექიმო, შვიდი ძმის ქუჩაზე, 11 ნომერში.

— გადამრევს ეს ხალხი, რატომ არ მოიყვანეთ კლინიკაში.

— რა ვიცი, ბატონო, მიმართვის გარეშე არ მიიღებენო.

— ვინ გითხრათ ეს სისულელე, რას ქვია, არ მიიღებენ, გამოუძახეთ სასწრაფოს და გადაიყვანეთ საავადმყოფოში, როგორ შეიძლება ასე.

— ექიმო, სახლში გვერჩინა...

— როგორ გეკადრებათ, — ხმას აუწია ჯაშმა, — წადით ახლავე და გადმოიყვანეთ. თორმეტი საათისთვის მეც მოვალ.

— მიიღებენ? — კვლავ იკითხა ქალმა.

— მიიღებენ, ბატონო, მიიღებენ. უნივერსიტეტი ხომ არაა, საავადმყოფოა. გამოუძახეთ სასწრაფოს და წამოიყვანეთ, მითუმეტეს, მორიგეა დღეს ჩვენი კლინიკა.

— კარგი ადგილები გაქვთ? — იკითხა უცებ მამაკაცმა.

— თეატრში ხომ არ მიგყავთ, — გაცხარდა თენგიზ ჯაში. — რას ქვია კარგი ადგილი. საავადმყოფო საავადმყოფოა, რატომ მაქარგვინებთ ამდენ დროს. — თქვა და სადარბაზოში შევა-რდა.

ლამაზი ქალის ძმამ მალაღს სიძის მისამართი ჩააწერინა, თქვენი ჭირიმი, არ დაიგვიანოთო, დაუბარა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, მალაღმა სასოებით შეინახა ლამაზი ქალის მისამართი და კვლავ უცნაური სევდა და სინანული იგრძნო. იცოდა, იმ ქალთან არაფერი არ ესაქმებოდა, ვერც ვერასოდეს ისარგებლებდა ამ მისამართით და, საერთოდ, სიყმაწვილეში სიღარიბის გამო გადადგმული ნაბიჯი მისთვის ბედისწერასავით თუ განაჩენივით საბოლოო იყო. მაინც უცნაური კმაყოფილება იგრძნო, გულის ჯიბეში ჩადებულ ფარატინა ქალაღს რამდენჯერმე თითებზე მოუსვა.

შავი „ვოლგის“ პატრონებმა კვლავ ისეთი ლირწიანი და ურცხვი მხვრავა გააყოლეს ქალს, მერე მალაღს კითხეს, „მეუღლენაროდნი“ ტელეფონი ისევ იქ ხომააო, პასუხიც მიიღეს მანქანის კარები მსუბუქად მიიჯახუნეს და წავიდნენ. მხოლოდ „ნივის“ პატრონები არ ჩქარობდნენ, აგვიანებდნენ წასვლას, ერთმანეთში რაღაცას დავობდნენ ჩუმად. მერე ქალმა თქვა: „შენ რა გენაღვლება მამაჩემი, აბა ერთი შენი მამა იყოსო. ამაზე კაცმა უბასუხა: მეტის ღირსი ვარ მე შენგანო. მერე ორივენი ჩასხდნენ და წითელი ნივაც წავიდა. მალაღმა ისევ ამოიღო სიგარეტი და ცარიელი ქუჩა უმწეოდ მოათვალიერა; ცეცხლის მომკიდებელი არავინ ჩანდა. „წუხელ ნეტა სად დავტოვე ჩემი „რონსონი“, გაიფიქრა, მერე ჯიბეები ხელმეორედ მოიხსრიკა და შემთხვევით კვესი პერანგის ჯიბეში აღმოაჩინა, სიგარეტს მოუკიდა და რატომღაც შვებით ამოისუნთქა.

პროფესორის მოსვლას თხუთმეტი წუთი უკლდა. კაბინეტის წინ უკვე უცდიდა რამდენიმე პაციენტი, შავი „ვოლგის“ პატრონებიც იქვე იდგნენ და სიგარეტს ეწეოდნენ, დერეფანში სათვალაინამა ასისტენტმა ჩამოიარა, პროფესორის კაბინეტის კარი მოსინჯა და გზა განაგრძო. ცოტა ხანში მამაკაცი გამოჩნდა წითელი „ნივიდან“, არ მოსულაო? იკითხა და იქვე გაჩერდა. დერეფანში საკაცით ავადმყოფი ჩამოატარეს, შუახნის ქალარა, ვერგაბურძენილი მამაკაცები მოაგორებდნენ საკაცეს, მათ ცისფერ ხილაბანდწაქრული, მალაღი, ჯიშინი ექთანის მოსდევდა, ხელში ავადმყოფის ისტორია ეჭირა. ავადმყოფს, სამოცს გადაცილებულ ქალს, თვალები მიეღულა და სახეზე ბედს შერიგებულის ტანჯვა ეხატა. საკაცე ლიფტში შეაგორეს, ლიფტი დაიძრა და პროფესორიც გამოჩნდა, გვერდით მელოტი ახალგაზრდა ბიჭი მოსდევდა, მელოტი რაღაცას უხსნიდა პროფესორს. პროფესორი თავს უქნევდა, მერე საორდინატოროსთან შეჩერდა,

კარი შეაღო და ვილაცას შესძახა — ჩიტო! გასაღები მომეცი!

საორდინატოროდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. უკან გადაწეული თმა თეთრი ხილაბანდით გაეკრა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკუნით გადმოჭრა ღერეფანი, პროფესორის კარი გასაღებით გააღო.

— რა ამბავია? — იკითხა პროფესორმა.

— კოროშინაძეა ცუდად, რენიმაციონში გადავიყვანეთ ექვს საათზე.

პროფესორმა საკიდიდან ხალათი ჩამოსხსნა.

— აღარაა საჩვენო, — თქვა მერე, — საწყალი. გადავალ ცოტა ხანში. წნევა რამდენი აქვს?

— სამოცი ორმოცდახუთზე ჰქონდა, შეგუბება დაეწყო.

— წვეთოვანი დაუდგით?

— კი, როგორ არა, მაშინვე.

— ჰო, ოხუთმეტ წუთში გადავალ, სხვა?

— სხვებს არა უშავთ.

— გულიყო მოვიდა?

— კი ბატონო, პალატაშია.

— შემოვიდეს მერე ჩემთან, ჯერ კოროშინაძესთან გადავალ და შემოვლას დავიწყებ.

— ბატონო თენგიზ, ქალბატონმა ესმამ დარეკა, როცა მოვიდეს, სახლში დარეკოსო.

პროფესორმა თავი დაუქნია, მერე ჯიბიდან ვაშლები ამოიღო, მაგიდაზე დააწყო და სავარძელში ჩაჭდა.

საწერ მაგიდაზე ჯემალ სიხარულიძის სადისერტაციო ნაშრომი ედო; თენგიზ ჯაში ოპონენტი გახლდათ. „როგორმე უნდა მოვასწრო წაკითხვა“ — გაიფიქრა და დადლილობა იგრძნო, ამ ბოლო დროს მალე იღლებოდა, გამუდმებით ძილი აკლდა და წონაშიც თანდათან იმატებდა, ხანდახან კიბეზე ამოსვლისას გულისცემა უხშირდებოდა და თავბრუს ეხვეოდა. პროფესორმა ვაშლი აიღო, რომ კაბინეტში გამხდარი, ქერა ექიმი გულიყო სიამაშეილი შემოვიდა, ქალს სასიამოვნო სახე და ოდნავ შეს-

იებული ახლომხედველი თვალები ჰქონდა. — გამარჯობათ, ბატონო თენგიზ!

— დილა მშვიდობისა, ნახე, რა კარგი ვაშლია, გასინჯე, გასინჯე.

— გმადლობთ, არ მინდა.

— ნუ იცი ასე, აიღე. ნუ გერიდება.

— არ მერიდება, ბატონო თენგიზ. — გაიღიმა ქალმა.

— ჰო, მართლა, — წამოხტა ჯაში, კაბინეტის კარი გამოაღო და შავვოლგიანები შემოიპატიჟა. — რა ქენით, დარეკეთ?

— კი, როგორ არა, უპასუხა ქერამ.

— აბა, დაჯექით და დაუკავშირდით ქუთაისს, — ჯაშმა ქერას ტელეფონი მიუწვია. — გულიყო, ქუთაისის კოდი არ გახსოვს?

— არა, ბატონო თენგიზ.

— მე ვიცი. — თქვა შავგვრემანმა და ქერას ტელეფონი გამოართვა.

— როგორაა საქმე? — მიუბრუნდა ჯაში ქალს, — გადაბეჭდე?

— დიახ, — გულიყომ პროფესორს ფაქიზად შეკრული საქაღალდე მაგიდაზე დაუდო, — დიაგრამებიც ამოვიტანე უკვე.

— ავაშენა ღმერთმა, აბა, ვნახოთ, — პროფესორმა საქაღალდე გახსნა და ინგლისურად გადაბეჭდილ მოხსენებას თვალი გადააუღო.

— თქვენ ამ საღამოს მიფრინავთ, არა?

— კი, ამ საღამოს.

— თუ დაგჭირდეთ, საორდინატორ-ოში ვიქნები.

— გმადლობთ, გენაცვალე, — პროფესორმა სათვალე გაიკეთა, სათვალემ ასაკი შემატა თენგიზ ჯაშს. იგი დაკვირვებით კითხულობდა ნაწერს.

— გავედი, მე მგონი, — თქვა უეცრად შავგვრემანმა. მართლაც, ტელეფონის აპარატმა ორჯერ ზედიზედ დაიჩხაკუნა და გრძელი ზუმერის მიცემა დაიწყო. ამონენტმა უპასუხა — ალო! ჩასძახა შავგვრემანმა.

— რომელი ხარ?

— ბიკოლია, რავაა საქმე? ისევ ისე, ხომ? ყორჟია სადაა, ყორჟია? დამი-



ძახე ერთი. ჟორჯიკა! მეიყვანეთ მესხი?  
დაგვალაპარაკე ერთი. — შავგვრემან-

მა ყურმილი ჯაშს გაუწოდა.  
— ა, ბატონო, მესხია ტელეფონთან.  
პროფესორმა ყურმილი ჩამოართვა

— ჭუმბერ, გამარჯობა!  
— გაგიმარჯოთ, ბატონო თენგიზ, —  
მოისმა ყურმილიდან.

— რომელი ტიპის ინსულტია? —  
პროფესორმა რატომღაც ვაშლი აიღო  
და შეათვალიერა.

— ჰემორაგიული.  
— საერთო მდგომარეობა?  
— მძიმეა.

— მდაა, — პროფესორმა ვაშლი საწ-  
ერ მაგიდაზე, თავის ტვინის მულაჟთან  
დადო და მარჯვენა ხელით თავი მოიჭე-  
ჭა. — ძილ-ღვიძილის საქმე როგორაა?  
— უგონოდაა, ბატონო თენგიზ.

— გაღიზიანებაზე თუ იძლევა რეაქ-  
ციას?

— მტკივნეულ გაღიზიანებებზე ლოკ-  
ალიზაციას ახდენს.

— გასაგებია, სიცხე?  
— ნორმალურია, 36 და 8.

— კარგია. წნევა მოაწესრიგეთ?  
— შედარებით, 150-90-ზე.

— კლოფელინი მიეცით.  
— ყლაპვა უჭირს, ბატონო თენგიზ.

— გაუჭირდება, რა თქმა უნდა, ენის  
ქვეშ ჩაუდევით, თვითონვე შეიწოვს.

— კი, ბატონო.  
— ჭუმბერ, წნევის სტაბილურობის  
შემთხვევაში ლაზექსის ინექცია გაუქ-  
ეთეთ.

— კი ბატონო.  
— ხო, კიდევ რა, ელექტროლიტების  
და წყლის ბალანსირება არ გამოგარჩეს.

— გასაგებია.  
— დაუწყეთ ამინოკაპრონის მჟავის  
გადასხმა.

— დაუწყეთ.  
ქერა და შავგვრემანი ხელებჩამოშვ-  
ებულები იდგნენ და ახლაც საოცრად  
წააგავდნენ ერთმანეთს, წელანდელი  
თახედური იერი დაკარგვოდათ და სა-  
ხეზე ორივეს მოწიწება და უმწიფობა  
აღბეჭდოდა.

— თუ ვიშოვეთ...  
— უნდა იშოვოთ. — თქვა პროფე-

სორმა. — აგერ ესენი იშოვიან, — ხელ-  
აიქნია ქერას და შავგვრემანისკენ —

ჰო, თუ კომა გაუხანგრძლივდა, პირაც-  
ეტამის ინექციებიც ჩართე.

— კი ბატონო, ჩავიწერ.  
— ჭუმბერ!

— გისმენთ, ბატონო თენგიზ.  
— ზურგისა და გავის მიდამოების  
მასაჟი არ დაგავიწყდეთ.

— უკვე დავუწყე.  
— ძალიან კარგი, პირის ღრუს მიაქ-  
ციე ყურადღება.

— გასაგებია.  
— საერთო მდგომარეობას დინამიკა-  
ში დააკვირდი, მე ამალამ სოჭში მივფ-  
რინავ სიმპოზიუმზე, სამ დღეში დავბ-  
რუნდები. დამიკავშირდით და ყველა-  
ფერი დაწვრილებით შემატყობინეთ.

— ბატონი ბრძანდებით.  
— აბა, ფხიზლად იყავით. — თენგიზ  
ჯაშმა ყურმილი დადო.

ქერა და შავგვრემანი იატაკს ტყეპნი-  
დნენ.

— ჰო, მართლა, რეცეპტს მოგცემთ,  
— თქვა პროფესორმა და მაგიდის უჭ-  
რა გამოსწია. კაბინეტში წითელი „ნიე-  
ის“ პატრონმა შემოიხედა, — დავაწვი-  
ნეთ, ბატონო. — მიმართა პროფესორს.

— ავაშენათ ღმერთმა.  
— თქვენ კი ამბობდით არ მიიღებე-  
ნო, — თავაუღებლად გაეპასუხა ჯა-  
ში — ეჰ, რა ხალხი ხართ, რა ხალხი,  
რომელ პალატაშია?

— მეჩვიდმეტეში.  
— შემოვალ ცოტა ხანში, — პროფე-  
სორმა რეცეპტი გამოწერა და რატომ-  
ღაც ქერას გაუწოდა, თუმცა შავგვრე-  
მანი უფრო ახლოს იდგა მაგიდასთან.

— აბა, სასწრაფოდ ეს წამალი უნდა  
იშოვოთ, — თქვა, მერე ისევ ვაშლს  
წამოავლო ხელი და წამოღვა.

— დიდი მადლობელი, ჩემო ბატო-  
ნო, — დაიწყო შავგვრემანმა, — ხალ-  
ხი ვართ ჩვენც და გვიმსახურეთ, როგ-  
ორც საჭიროა, ამჯერად კი, — ქურთუ-  
კის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და

პროფესორს ხალათის ჯიბეში ჩაუტყუ-  
რა. თენგიზ ჯაშის სახეზე სიწითლემ გა-  
დაკრა, კონფერტი სასწრაფოდ ამოიღო  
და შავგვრემანს უკანვე შეაჩეჩა, შავგვ-  
რემანმა კვლავ დაბრუნება დააპირა,  
ქერა გვერდზე იდგა და რეცეპტის ფა-  
რატინა ფურცელს აწვალებდა ხელში.  
ეს ჩუმი ძიძგილობა რამდენიმე წამს  
გაგრძელდა. ქერას გასაოცრად პროფე-  
სორმა იმარჯვა და აქოშინებულ შავგვ-  
ვრემანს კარისკენ უბიძგა, კარში ჩამ-  
დგარი „ნივის“ პატრონი ძლივს გაეც-  
ალა და შავგვრემანი დერეფანში აღმო-  
ჩნდა.

ქერა უხერხულად დაემშვიდობა  
პროფესორს და შავგვრემანს გამოყვა.

— კინალამ არ მომტეხა ხელი, — გა-  
ეცინა უეცრად შავგვრემანს. — რა ჯა-  
ნი ქონია ამ მკვდარგაციებულს, —  
თქვა და კიბეზე დაეშვა.

თენგიზ ჯაშმა კარი მოხურა, უეცრად  
სუნთქვა შეეკრა და გვერდშიც ჭვალმა  
გაუარა, შუბლზე და კეფაზეც ცივმა  
ოფლმა დაასხა. ბოლო დროს ხშირად  
ემართებოდა ასეთი რამ. დივანზე ჩამ-  
ოჯდა და საყელო შეიხსნა. მძიმედ ამ-  
ოისუნთქა, გული უფართხალებდა, კე-  
ფაშიც უსიამოდ ცხელოდა, ამ ბოლო  
დროს მარცხენა მხარცა და მკლავიც  
უბუელებოდა წამდაუწყუმ, „თავს უნდა  
მივხედო“, გაიფიქრა პროფესორმა,  
„აღარ შეიძლება ასე გაგრძელება“.  
ვიდაცა კარებს მოაწვა და სანახევროდ  
დარჩენილი კლიტე შემოგლიჯა. თენგიზ  
ჯაშში წამოიწია.

— უკაცრავად, — კარში საშუალო  
ასაკის, მისსუქნეში წასული მამაკაცი  
იდგა, მის უკნიდანაც იმზირებოდა ვი-  
ლაციის სათვალისანი ფიზიონომია.

— რა გნებავთ?

— ბატონო ექიმო, მე კოლია კაკა-  
ბაძის ბიძაშვილი ვარ, გუშინ რომ შეგ-  
აწუხეთ ტელეფონზე, აგერ, მოვედი  
თორმეტისთვის.

— მობრძანდით, მობრძანდით. —  
დაფაცურდა ჯაშში. — რას შვრება კო-  
ლია, სვამს ძველებურად?

— უწევს, კი. — გაიღიმა კაკაბაძის

ბიძაშვილმა, თუმცა სახეზე ეტყობოდა  
— საკუთარი დარდი უფრო აწუხებდა  
ამჭერად.

— აგერ დაბრძანდით. — სავარძელი  
გაუსწორა პროფესორმა.

— სანადიროდ დადის ისევ?

— კი, ნადირობს. — დაეთანხმა მო-  
სული და სავარძელში ფრთხილად ჩაჯ-  
და, მერე მაგიდაზე დადებული თავის  
ტეინის მულაჟი და ვაშლები მოათვალი-  
ერა.

— ეჰ, სულ მინდა წავეყვე ერთი სანა-  
დიროდ, მაგრამ ვერ მოვიცალე, — ამ-  
ოიხვნეშა პროფესორმა, მერე საათს  
დახედა. რა დროს ეგებებიაო, საკუთარ  
თავს შეუძახა და — ბრძანეთ, ბატონო,  
რამ შეგაწუხათ.

— როგორ გითხრათ, პატივცემულო,  
ამ ბოლო დროს წნევა მიწევს ხშირად,  
ისედაც ვერ ვგრძნობ თავს ძველებუ-  
რად, — დაიწყო კაკაბაძის ბიძაშვილმა.  
ამასობაში პროფესორის კაბინეტის წინ  
სხვებმაც მოიყარეს თავი, რენიმაციი-  
დან კოროშინაძის ჭირისუფლები ამოვ-  
იდნენ. „ნივის“ პატრონი კვლავ იქ იდ-  
გა, რაღა უნდოდა მეტი, თვითონაც  
არ იცოდა და საკუთარ თავზე, უფრო  
მეტად კი ცოლზე ბრახდებოდა, ვიდაც  
ექიმმა გამოიარა, მოსაცდელში დამდ-  
გარ ხალხს ამრებით შეხედა, — რა ამ-  
ბავიანო, — ჩაიბუზღუნა და, კაბინეტში  
არც შეუხედავს, ისევ უკან გაბრუნდა,  
დერეფნის ბოლოს მეჩვიდმეტე პალატ-  
იდან „ნივის“ პატრონის ცოლი გამოვ-  
იდა და ქმრისკენ ჩქარი ნაბიჯით წამო-  
ვიდა, ქალს სახე წამოწითლებოდა, მო-  
კლე, შემოჭერილი კაბა მსუქან მუხლე-  
ბზე ასკდებოდა, აქოშინებული მიაბი-  
ჯებდა. — რა ქენი, შეხვედი? — ჰკით-  
ხა ქმარს.

— არა ჯერ.

— კი მაგრამ, რაღას უცდი?

— რა ვუთხრა, რომ შევიდი.

— უთხარი, ცალკე პალატაში დააწ-  
ვინონ, ხომ ხედავ, რა ხდება ოთხკაცი-  
ანში.

— რა ხდება, წვანან გუგულებივით  
ის ადამიანები. რა უნდა მოხდეს.

— წვანან ხო გუგულებივით, — ჩაისინია ცოლმა — ამელამ რომ სამი კაცი ხვრინვას დაიწყებს, საწყალ მამაჩემს კიდევ ეგ უნდა?! მამაშენი რომ იყოს, ხომ გაუიმასქნებდი ცალკე ოთახს.

— მამაჩემს დაანებე თავი, დააყენე თავისთვის გომახურის სასაფლაოზე.

— რაა, ჩემი ბრალია თუ? — ამოიქშინა ქალმა. — ჩემი ბრალია თუ? დედაშენმა და შენმა დებმა ვერ მიხედეს და მე მაყვედრი?

კაცმა უმწეოდ მიმოიხედა. — რომ შევიდე, რა ვუთხრა. — გამოცრა ისევ.

— უთხარი, პატივს გცემთქვა.

— გაგიუდი შენ?

— გავგიუდი, ხო, აბა უპატივეემოდ ძმას აღარ პატრონობენ ახლა, ისეთი დროა. დაპირდი რაღაცას.

— გინდა გავგაგდოს გარეთ?

— ნუ გეშინია შენ, გოუტყყდი კაცურად.

პროფესორის კაბინეტის კარი გაიღო, ჯაშმა ჯერ კოლია კაკაბაძის ბიძაშვილი გამოატარა, მერე თვითონაც გამოვიდა. — ნუ გეშინიათ, — გააგრძელა დაწყებული საუბარი, — არ უნდა ინერვიულოთ, ბევრი იმოდრავით, ფეხით იარეთ, სუფთა პაერზე გადიო, უმოძრაობის ბრალია ყველაფერი, მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს და ყველაფერი კარგად იქნება, კოლია მომიკითხეთ და დამიკავშირდეს ერთი, უთხარით, არ ვარგა ასე დაკარგვათქო.

— კი ბატონო, გადავცემ, დიდი მადლობა.

— ბატონო თენგიზ! — საორდინატოროდან გამხდარი, ჭალარა ქალი გამოვიდა. — „ლეჩკომისიიდან“ რეკავენ, ორ საათზე კონსილიუმი და აუცილებლად მობრძანდესო.

— მახსოვს, მახსოვს, — მოუბრუნდა ჯაში. — თუ ვინმემ მიკითხოს, რეანიმაციოში ჩავდივარ კოროშინაძესთან და მალე ამოვალ. — ჯაში ჩქარი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. კოროშინაძის ნათესავთაგანდგმურები უკან დაედევნენ.

— შევარცხვინე შენი კაცობა, — ამ-

ოულრინა მსუქანმა ქალმა ქმარს, — ვერ უთხარი ვერაფერი?

— რა მეტქვა ამდენ ხალხში. — მოუბრუნდა ქმარი. — ხომ თქვა, მალე მოვბრუნდებიო, მოვა, შევალ და ვეცვი.

— შენიანებისთვის ხომ დააყენებდი მთელ ქვეყანას ფეხზე, გაწყდა იმათი სინსილა, — ჩაბუზღუნა ქალმა და ისევ მეჩვიდმეტე პალატისაკენ წავიდა.

სათვალისიანი მამაკაცი და ორიც სხვა სარკმელს მიდგომოდნენ და საავადმყოფოს ეზოს გადასცქეროდნენ.

— ქალი ასეთი უნდა. — ჩაიცინა ერთ-ერთმა ჩუმად, ისე, რომ „ნივის“ პატრონს არ გაეგონა. — არ ავიშენებს ოჯახს?!

— მობრუნდება თუ იცი? — მოხედა მეორემ.

— კი, კი, მობრუნდება, დაველოდოთ უნდა.

საავადმყოფოს ეზოში ყინვადაკრული შემოდგომა იდგა. ძალა დაკლებოდა მზესა და სითბოს, სიყვითლე შეპარვოდა ბალახსა და ჭადრის ხეებს, ორიოდ ფთილა ღრუბელიც ამოკემსოდა სიცისფრედაკარგულ ცას.



მწერალი ირაკლი ჩიქოვანი სამსახურიდან გამოვიდა. კარებში კოლეგა და თანამშრომელი ბონდო კოპალეიშვილი შემოხვდა. კოპალეიშვილს ხელები საბაზრო ბადურა-ჩანთებით ჰქონდა დაკავებული.

— ბაზარში თუ მიდიოდი, ვერ მითხარი, მე წაგიყვანდი.

— არა, კაცო, კარაქის ტალონები მქონდა ამ თვის დარჩენილი, კარაქზე გადავედი. ნახე, ყველი არ ვიშოვე?! — ბონდო კოპალეიშვილმა ბადურა ასწია, ყველს წვენი გადიოდა, შესაფუთი ქაღალდი დაესველებინა და წვეთები წურწურით ეცემოდა ქვის იატაკზე.

— სად, კაცო?

— აგერ, პუშკინის კუთხეში, ძლივს მივუსწარი, გინდოდა შენც? გაგიყოფ შეუახე.





— რას ამბობ, მივდივარ მინც ბაზარში.

— ბაზარში თუ მანი ღირს კილო, აგერ, ორმანეთიანია.

— არა, არა, ვიშოვი, — თქვა ირაკლი ჩიქოვანმა. — ზურასთან უნდა ვადავიდე მინც, ზეითუნის ზეთი მაქვს საშოვნელი, თუ იქნა, წამოვიღო შენც?

— როგორ არ მინდა, მოიცა, ფულს გაგატან.

— არ გინდა, მერე მომეცი.

— გაქვს კი?

— კი, ჭერჯერობით, გუშინწინ, არ იყო ჯამაგირი?

— ის არის? — იკითხა კობალეიშვილმა.

— არა. არ მობრძანებულა.

— ესე იგი, არ ვუკითხვივარ.

— მოგცლია ერთი შენც.

— რა ვიცი, კი ვადამეკიდა, თავისი კაცის მოყვანა უნდა, ეტყობა.

— ნუ აქცევ ყურადღებას.

— რა უთხარი ჭინჭარაულს?

— დავუწუნე.

— მერე? არ გაგიცდა?

— აი ღარდი, არ ვარგა და რა ვუყო მე.

— რა თქვა მინც.

— კავშირში წავალო.

— არ შეეგებონ ღროშებით და ზურან-დუღუკით. დიდი პოეტი ჩლაიძეც გაუშვი?

— კი, ერთ თვეში მოდი-მეთქი.

— დაგიჯერა?

— მეტი არაა ჩემი მტერი, მაგრამ წასვლით კი წავიდა და...

— დავვისვენია, აბა, ერთი თვე.

— ალბათ.

— ვაჟამ რა თქვა პრემიებზე?

— ალბათ, არ იქნებაო.

— ის არ ინძრევა?

— მაგას რა ენაღვლება.

— აბა, სხვა რას შვრები ოჯახში.

— მომკლა ბიჭო, წამლუბზე და ექიმებთან სირბილმა.

— ეჰ, მასე არა ვარ მეც. მობრუნდები შენ?

— ვნახოთ, საქმეები მაქვს კობა, ბაზარშიც ვარ ჩასასვლელი.

— თუ გიკითხა ვინმემ, კავშირშია-მეთქი ვეტყვი.

— არა, მომძებნიან იქაც, გამომცემლობაშიათქვა, ჯობია.

— კაი აბა, მოიცა, გაგიყოფ ყველს; თუ ძმა ხარ.

— არა, არა, ვიშოვი მეც.

— არ მოგერიდოს, იცოდე.

— არ გრცხვენია. წავედი აბა.

— ესე იგი, არ მობრუნდები.

— ვნახოთ. — ირაკლი ჩიქოვანმა ქუჩა გადაჭრა და მანქანის კარი გამოაღო, მანქანაში ჩაჯდა, ძრავა ჩართო. „ზეთია გამოსაცვლელი ძრავაში“, გაიფიქრა და პიჯაკის გარე ჯიბიდან ოთხად გაკეცილი პრიალა ფურცელი ამოიღო: ბაზარში — მწვანილო; სტაფილო; ხორცი კილონახევარი; კარტოფილი, რამდენიც გინდა; ერთი პატარა ქათამი ბავშვისთვის; ხლი; ბროწეული აუცილებლად; ტყლაპი თუ იყოს; ყველი, ჭყინტი, ბავშვისთვის; სხვა რაც მოგეწონოს. კამა არ დაგავიწყდეს. უ ნ ი ვ ე რ მ ა ლ შ ი: ფეხსაცმელი ბავშვისთვის, ხომ დაგპირდა სულიყო. რბილ ძირზე, ჩემთვისაც ჰქონდეს ეგებ რაიმე. საშენო თუ იყვეს, შავი არ აიღო, არ გიხდება. ბავშვისათვის რაიმე ზედა ჩასაცმელი, კარგი. ა ფ თ ი ა ქ შ ი — ბამბა; ვიტამინი ავეიტ: ნოშა; ცხვირში ჩასაწვეთებელი — სანორინი ან გალაზოლინი; რიბოქსინი დედაშენისთვის; თავის ტკივილის წამალი — ანაპურინი, ან ბარალგინი. ქაცვის ზეთი 3 ფლაკონი, ერთი მინც; გლაქსენა ან სენადა ბევრი შენთვის. არ დაიგვიანო, ამ საღამოს ვაჟასთან უნდა წავიდეთ, ახალი ფილმი აქვს მოტანილი. ქიმწმენდაში შესვლა არ დაგავიწყდეს. გოცნი. ნანა.

P. S. მე სამსახურიდან დედასთან გავივლი და ბავშვს იქ დავტოვებ. გამოვლა არ გინდა. — ირაკლი ჩიქოვანმა ფურცელი ისევ ჯიბეში ჩაიღო, მერე ფული გადათვალა, თუ მეყოფაო, და სიჩქარე ჩართო, „საიდან დაიწყო“,

ამ ფიქრით მწერალი ირაკლი ჩიქოვანი მანქანების მდინარეს შეერია.

საკოლმურნეო ბაზრის მიდამოები მანქანებს გაევისათ. არსად დასადგომი არ ჩანდა, ტაქსის რიგიც უსაშველოდ გრძლად ვაჭიმულიყო. მანქანებს თითქმის ყველა შესასვლელი ჩაეხერგათ და ავტონისპექტივის რამდენიმე თანამშრომელი ხვითქვადასული ამოდ ცდა-ლობდა წესრიგის დამყარებას. ვილაცის „ვოლგისთვის“ ცისფერი „ჟიგულის“ პატრონს გზა ჩაეკეტა. „ვოლგა“ ვერ გამოდიოდა და პატრონი ამოდ აქყიბინებდა სიგნალს. ქუჩის მომწესრიგებელმა მოიბრინა.

— რას გავს ეს! — ყვიროდა „ვოლგის“ პატრონი — მსუქანი, დაჟღავნა კაცი, — სად წაეთრა ის შობელძალი, კარები მაინც დაეტოვებინა ღია.

— რა მოგივიდა, ადამიანო, ბაზარში იქნება, ალბათ, და გამოვა ის კაცი, იქ ხომ არ დარჩება. — ამშვიდებდა ვოლგის მფლობელს, სახეშეფაქლული, ტყავისლაბადიანი ქალი.

— დამანებე, ქალო, თავი! — იღრინებოდა კაცი — შენი ბრალია ყველაფერი, ხომ გეუბნებოდი, მეჩქარება, დღეს თათბირიათქვა.

— კაი, გრიშა, დაწყნარდი, სირცხვილია.

— სირცხვილი ხო. ამათ თუ აქვთ სირცხვილი და სინდისი, მეორე რიგში მანქანის გაჩერება გავონილა? დაახიო უნდა „პრავა“ თავზე.

ავტონისპექტორი ცისფერ „ჟიგულთან“ ჩაცუცქდა და ნომრების მოხსნა დაიწყო.

— რას მიკეთებთ აქ, სად იყავით, როცა აყენებდა. — ბობოქრობდა დაჟღავნა კაცი.

— აგერ, ნომრებს ვუხსნი, ხომ ხედავთ, — ინსპექტორი ამოდ ატრიალებდა ქანჩსალებს. — ფუ! მოჭმულია გაიკა, ეტყობა.

ირაკლი ჩიქოვანი მანქანიდან არ გადმოდიოდა, მოხერხებულ მომენტს უცდიდა, ეგებ ვინმე გამოვიდეს და დასაყენებელი ადგილი ვნახო. ბაზრიდან

მაღალი, თხელი, ასე 25 წლის ბიჭი გამოვარდა, ხელში მიხაკების ვეებათათი და გული ეჭირა, უმწეოდ გახედა ტაქსის მოლოდინში ვაჭიმულ უსიცოცხლო რიგს და ქუჩა შეშფოთებულმა გადმოქრა, რამდენიმე მანქანას წინ სახიფათოდ გადაუბრინა, ირაკლი ჩიქოვანს მანქანაში ლამის ჩაუხტა.

„ხალტურაზე ვგონივარ“ — გაიფიქრა მწერალმა ირაკლი ჩიქოვანმა და უარის სათქმელად მოემზადა, რომ ბიჭმა ვედრებით შემოხედა და სხაპასუხით მიაყარა: — თქვენი ჭირიმე, სასწრაფოდ აეროდრომზე გამოყვანეთ, გემუდარებით, მაგვიანდება.

„ნუთუ კიდევ ხდება ასეთი რალაცები“ — გაიფიქრა ირაკლი ჩიქოვანმა. უეცრად იგრძნო, რომ რალაც ძალიან გაუხარდა და ბიჭისთვის აღარაფერი უთქვამს, მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. „კაი დრო იყო“, — ფიქრობდა თავისთვის მწერალი ირაკლი ჩიქოვანი „ეჰ, რა დრო გავიდა...“

— სწრაფად, თქვენი ჭირიმე, სწრაფად! — ბიჭი დამბული გასცქეროდა გზას.

ირაკლი ჩიქოვანმა მანქანა აკრძალულ ზოლში დიდი სისწრაფით შეაგდო, ავტონისპექტორის სასტვენისთვის ყურადღება არ მიუქცევია და სამმაგ გასწრებაზე გავიდა.

— ხომ არ იციო, სოჩის თვითმფრინავი რომელ საათზე მიფრინავს? — იკითხა ბიჭმა.

— სოჩის კი არა, სოჭის. — გაუსწორა მწერალმა და სიჩქარეს მოუმატა. — არა, არ ვიცი; ნუ გეშინია, მივასწრებთ, — დაამატა მერე. — „ბაზარში შესვლა ეგებ მოვახერხო, სულიყო აღარ დამხვდება, ალბათ, ხვალ დილით გავალ, თუმცა ხვალ სარედაქციო თათბირი დანიშნეს, ჯანდაბა მაგათ თავს, რამეს მაინც წყვეტდნენ ამ თათბირებზე, არა უშავს, შესვენებაზე გავიქცევი. ეჰ, რა დრო იყო!“ — ფიქრობდა მწერალი ირაკლი ჩიქოვანი. „აქეთობას ბარემ გურამს გამოვუვლი ბაზარში, შეიძლება კარტოფილი ჰქონდეს, ბადრიჯან-

ნსაც წამოვიღებ დასაკონსერვებლად... როგორ არ ჩავაკითხე, შეიძლება ყველაფერი სხვანაირად დატრიალებულიყო. ეჰ, ახლა რაღა დროსია..." — ირაკლი ჩიქოვანმა მოხვევის სანიშნე ნათურა ჩართო..

საბარგო რეგისტრაციის ცვლის ბრიგადირი თენგიზ სიმონიშვილი ვეება, მრგვალთავიან სასწოროთან იღვა და ცა-ლი თვალით ზერელედ გასცქეროდა მგზავრებითა და გამცილებლებით პირამდე ამოვსებულ აეროპორტის დარბაზს. მინით და დურალით შემოსალტული შენობის შემოსასვლელთან წამდა-უწყუმ ჩერდებოდნენ მანქანები და დარბაზში ჩემოდნებითა და ჩანთებით დატვირთული მგზავრები შემოდიდოდნენ. საცნობარო ელექტროტაბლო იუწყებოდა, რომ თითქმის არც ერთ რეისზე ბილეთები არ იყო. დარბაზში ჩვეულებრივი, ბრბოსათვის დამახასიათებელი ზუზუნნი იღვა. თენგიზ სიმონიშვილი ტაბლოს მოლოდინით შეჰყურებდა. და აი, ტაბლოზე სოჭისკენ მიმავალი თვითმფრინავის რეგისტრაციის დაწყების ნიშანი აინთო. ბიჭი შეირბა, მოულოდნელად სუნთქვა შეეკრა და თანაც გაუხშირდა. რამდენიმე წამში სარეგისტრაციო ჯიხურში ლარისა გამოჩნდებოდა, ბიჭის ბოლო თვეების მოუსვენრობისა და უძილობის მიზეზი. თენგიზ სიმონიშვილი შეყვარებული იყო, შეყვარებული იყო ღრმად და საფუძვლიანად, როგორც მას ეგონა და სჯეროდა. თენგიზი საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მთელი ექვსი თვე მუშაობდა ვიტებსკის აეროდრომზე, მანამდე ხარკოვში იყო პრაქტიკაზე და როდესაც თბილისში დაბრუნდა, თავი გამოცდილ, მრავალ ჭირ-სიამე-გამოვლილ მამაკაცად მიაჩნდა. აეროპორტის თანამშრომელ ქალებსა და გოგოებს ბიჭი ზედაც არ უყურებდა, რომ გაზაფხულის ერთ თბილ და ოდნავ ქარიან დღეს თენგიზ სიმონიშვილს ლარისა ბარნაბიშვილის სარეგისტრაციო

ჯიხურთან მოუწია სასწოროთან მორიგეობა. ბიჭი უინტერესოდ, მოწყენით ვალიერებდა დარბაზსა და მგზავრებს, რომ მისდა უნებურად უცხო ძალამ სარეგისტრაციო ჯიხურისკენ მიახედა. ლარისა ბარნაბიშვილი ბილეთებს ამოწმებდა. გოგოს თხელი, ლურჯი ნაჭრის ქვედაბოლო მუხლებზევით ადგა და აბრეშუმის წინდებში გამოკრული თლილი სრილა მუხლები და წვივები ისეთ ჯანლსა და სიმხურვალეს აფრქვევდა, ბიჭს სუნთქვა შეეკრა.

იმ დამეს მორიგეობიდან დაბრუნებულ დალილ ბიჭს არაფრით არ დაეძინა, თვალწინ სულ ლარისა ბარნაბიშვილის თლილი, სრილა და საოცრად მხურვალე მუხლები ელანდებოდა, მეორე დღეს კი თენგიზ სიმონიშვილმა პირველად აღმოაჩინა, რომ გოგოს ფეხებთან ერთად ძალზე ლამაზი სახე და სავე მკერდი ჰქონდა...

— პრივეტ, თენგო! — მოესმა ბიჭს, ლარისა ჯიხურში შესვლისას ბიჭს უნებურად თეძოთი შეეხო და ხალხით გაქედლილი შემინული დარბაზი გადაბრუნდა, აცურდა და მგზავრებიანად თავდაყირა დატრიალდა. თენგიზ სიმონიშვილი ჯიხურის მოაჯირს მოეჭიდა. ძლივს ჩაიბრუნა ყელში გაჩხერილი სუნთქვა და როდესაც დარბაზი ისევ გასწორდა და სასწოროზე პირველი ჩემოდანი შემოდგეს, თენგიზ სიმონიშვილმა მის წინ მიხაკების ვეება თავივლით ხელში მალალი თხელი ბიჭი დაინახა. ბიჭს აღგზნებული თვალები და ფერწასული სახე ჰქონდა. თენგიზ სიმონიშვილმა ამ ბიჭში ქვეშეცნეულად თვისტომი და თანამომე იცნო და უნებურად კეთილად განიწყო.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა ბიჭმა.

— თენგიზი.

— თენგო, თუ ძმა ხარ, უნდა მიშველო, ამ რეისით უნდა გამიშვა. ცხრა საათზე სოჩაში რომ არ ვიყო, მერე თავი უნდა მოვიკლა. — ბიჭი აშკარად სასოწარკვეთილი იყო.

— სალაროში იყავი?

— ხვალამდე არცერთი ბილეთი არაა.

— თუ ვინმემ დაიგვიანა ან არ მოვიდა, რამეს გაგიხერხებ. — თენგიზ სიმონიშვილი დარწმუნებული იყო, ეს ბიჭიც შეყვარებული იყო და ისიც კი მოეჩვენა, ამ მაღალსა და თხელ ბიჭს მთელი საუკუნეა იცნობდა.

— თუ ძმა ხარ, მთელი სიცოცხლე შენგან დავალებული ვიქნები.

— რას ამბობ, ვნახოთ, ვინმე როგორ არ დაიგვიანებს ან არ გადაიფიქრებს გაფრენას, აქ იყავი, არსად წახვიდე.

— სად წავალ, — თქვა ბიჭმა, — აქვე დავდგები.

თენგიზ სიმონიშვილი ჩემოდნებსა და ჩანთებს ანგარიშმიუცემლად წინიდან მუყაოს ნომრებს აბნევედა და ბიჭთან ერთად უკვე შეშფოთებული უყურებდა გრძლად გაჭიმულ რიგს. საეჭვო იყო, ვინმეს დაეგვიანა ან დარჩენა გადაუწყვიტა.

თენგიზი ლარისას ჯიხურში შევიდა და გოგოს რაღაც ყურში ჩაუჩურჩულა, ლარისამ თავი წამოწია და მიხაკებიან ბიჭს ყურადღებით შეხედა.

— ჩემი კლასელია, ბავშვობის მეგობარი. — უთხრა თენგიზ სიმონიშვილმა — შენი ჭირიმე, ლარისა.

— ვნახოთ, — გაეპასუხა ქალი — ბევრი ხალხი ჩანს, რაღაც არა მგონია. — ლარისა, — ბიჭს ხმა უთრთოდა.

— პასპორტი გამოართვი, აქ იყოს, ყოველ შემთხვევაში, — თქვა ქალმა და მოქალაქეს ბილეთზე აღნიშვნა გაუქმთა.

რიგი ნელ-ნელა მიიწევდა, აი, ბოლო მგზავრმაც შემოდგა ჩანთა სასწოროზე, რეგისტრირებული ბილეთი და მუყაოს ნომერი მიიღო, რეგისტრაციის დამთავრებამდე ხუთი წუთი დარჩა. მგზავრები საკონტროლო გასასვლელისაკენ გავიდნენ.

— დარჩა რამე? — ჰკითხა თენგიზ. ლარისამ საკონტროლო დაფაზე მგზავრთა რაოდენობა დაითვალა, ერთი ადგილი იყო დარჩენილი. — რა ვქნათ, ჯერ ხუთი წუთია დარჩენილი.

— ალბათ, აღარ მოვა, — უთხრა თენგიზ, — ვუშველოთ რაიმე.

მორიგე რეგისტრატორი ლარისა ბარნაბიშვილი რამდენიმე წამს ყოყმანობდა.

— მიდი სალაროში და გაუფორმე. — თქვა ბოლოს.

თენგიზ სიმონიშვილმა პასპორტი აიღო და სალაროში გავარდა.

რეგისტრაციის დამთავრებას სამი წუთი უკლდა. მაღალი, თხელი ყმაწვილი, სანამ საკონტროლო ხიდს გადაივლიდა, თენგიზ სიმონიშვილს გადაეხვია, სამჯერ გადაკოცნა, ჯიბეში რაღაცა ჩაუჩურჩოთა. თენგიზმა ფული სასწრაფოდ დაუბრუნა და აღშფოთებულმა ხილისკენ უბიძგა.

— არ გრცხვენია, რას აკეთებ?

— აბა, ისე როგორ. — გაიოცა ბიჭმა.

— როგორ და ჩვეულებრივად, კეთილი მგზავრობა! — თენგიზ სიმონიშვილი დარბაზში გამობრუნდა, „ამას ვინ ვეგონე, ფულს არ მაძლევდა,“ გულდაწყვეტილი ფიქრობდა საბარგო რეგისტრაციის ბრიგადირი. დარბაზში ჩვეულებრივი ზუზუნის იდგა, საბილეთო სალაროებთან რიგი გაჭიმულიყო, სარეგისტრაციო სექციებთანაც რიგი იდგა. ლარისა ბარნაბიშვილის სექციასთან ჯერ კიდევ არ გამოეცხადებინათ ახალი რეისი და თენგიზმა ფეხს აუჩქარა, იქნებ ახლა მაინც დაემართხლებინა ქალი და ამ საღამოსთვის კინოში წასვლა შეეთავაზებინა...

ქალთან ვიღაც, ასე 55 წლის მამაკაცმა მიასწრო. მამაკაცს მარცხენა ხელში პორთფელი და ლაბადა ეჭირა, მარჯვენათი ჯიბიდან პასპორტი და ბილეთი ამოიღო და მორიგე რეგისტრატორს გაუწოდა.

— რაშია საქმე, მოქალაქე! — იკითხა ლარისა ბარნაბიშვილმა და ბილეთს დახედა. — სადა ხართ აქამდე, რეგისტრაცია უკვე დამთავრდა.

— როგორ თუ დამთავრდა? — აღმოხდა თენგიზ ჯაშს.

— ჩვეულებრივად, დროზე უნდა მობრძანებულიყავით, — გაეპასუხა ქა-

ლი და, ყოველ შემთხვევისათვის, თენგიზ სიმონიშვილს გახედა, რომელიც მამაკაცს გვერდით ამოდგომოდა.

— რას ამბობთ! — აღშფოთდა თენგიზ ჯაში. — ჭერ კიდევ ორი წუთია დარჩენილი.

— რეგისტრაცია დამთავრდა, დროზე უნდა მოსულიყავით, — ცივად გაიმეორა ქალმა და წამოდგა, აქაოდა, ლაპარაკი დამთავრებულიაო.

— რას გავს ეს! — უმწეოდ მოტრიცლდა თენგიზ ჯაში და თენგიზ სიმონიშვილს მოხედა, ფორმიანი მამაკაცი რომ დაინახა, იმედი მოეცა. — კი მაგრამ, მე ხომ ბილეთი მაქვს.

— დროზე უნდა მოსულიყავით, პატრიცემულო, — უთხრა თენგიზ სიმონიშვილმა. — დაიგვიანეთ.

— არ დამიგვიანია, ხომ ხედავთ, ტაბლოზე ჭერ კიდევ არის სარეგისტრაციო რეისი.

— დაიგვიანეთ, — ჭიუტად გაიმეორა თენგიზ სიმონიშვილმა და გაფითრებულ ქალს შეხედა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო, — ხმა უკანკალებდა პროფესორს.

— თანამშრომელი, — გავპასუხა თენგიზ სიმონიშვილი. „რაც უნდა დამიჯდეს, ლარისას უნდა ვუშველო, რა დღეში ჩავაგდე“, ფიქრობდა შეშფოთებული ბიჭი.

— როგორ დავიგვიანე, როცა ტაბლოზე რეისი ამ წამში გამოირთო.

— აი, ხომ ხედავთ, გამოირთო. — დაეთანხმა თენგიზ სიმონიშვილი. — დროზე უნდა მობრძანებულიყავით.

— როგორ, მე ხომ სამი წუთია თქვენ გელაპარაკებით, გადაუდებელი საქმე მაქვს, აუცილებლად უნდა გავფრინდე.

— შემდეგი რეისით წაბრძანდებით. — მშვიდად პასუხობდა თენგიზ სიმონიშვილი.

— შემდეგი რეისი როდის მიფრინავს? — იმედი მოეცა თენგიზ ჯაშს.

— ხვალ, 15 საათზე და ოც წუთზე.

— ხვალ?!

— დიახ. — თენგიზ სიმონიშვილს ერ-

ჩია, მიწა გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, მაგრამ უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდა და განგებ გამოძევებულ და თამამად ესაუბრებოდა სამართლიანი პრეტენზიით მოსულ მგზავრს. „სამსახურიდანაც რომ გამაგდონ, ლარისას უნდა ვუშველო“ — ჩაჭედოდა ბიჭს გონებაში.

— როგორ, დღეს სოჭის მიმართულებით მეტი რეისი აღარ იქნება?

— არა, აღარ იქნება.

— რა თავხედობაა! — აღშფოთება ვერ დამალა პროფესორმა — აეროპორტის უფროსი სად შეიძლება ვნახო, მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ.

— თავისთან იქნება, კაბინეტში. — უპასუხა თენგიზ სიმონიშვილმა. „რეგისტრაციის დამთავრება უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, აწი ლარისას ვერაფერსაც ვერ უზამენ, მე კი, ჯანდაბან ჩემი თავი, სულ გამაგდონ თუ უნდათ, სამსახურიდან.“

— ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! — თავს ვეღარ იკავებდა პროფესორი.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა თენგიზ სიმონიშვილს.

— რად გინდათ ჩემი გვარი და რატომ შემუქრებით, პატრიცემულო. მობრძანებულიყავით თავის დროზე, — დროის გაყვანას ცდილობდა თენგიზ სიმონიშვილი. — რაში გჭირდებათ ჩემი გვარი?

— შკირდება, ალბათ, — თავისას არ იშლიდა თენგიზ ჯაში, — თქვენ რა გვარი ბრძანდებით ქალბატონო? — მიუბრუნდა ახლა ლარისას.

მთელი ამ ხნის მანძილზე მოლარე რეგისტრატორი ლარისა ბარნაბიშვილი გაფითრებული იდგა და მამაკაცების უსიამო საუბარს უხმოდ უგდებდა ყურს.

— კი, ბატონო, — დაეთანხმა უცებ თენგიზ სიმონიშვილი, — ჩაიწერეთ ჩემი გვარი, თქვენი ნებაა.

— დიახ, ჩავიწერ, — ჭიუტად გაიმეორა პროფესორმა — დიახ, ჩავიწერ. ორივეს გვარს ჩავიწერ.

ამასობაში ბარნაბიშვილის სექციაში

ახალი რეისიცი გამოცხადდა და მგზავრები ჯიხურს მიაწყდნენ.

თენგიზ ჯაში აეროპორტის უფროსის საძებნელად გავარდა.

— მაპატიე, ლარისკა, — ჩუმი, ჩამწყდარი ხმით უთხრა თენგიზ სიმონიშვილმა ქალს. ქალმა უსიტყვოდ ამოხედა და მოქალაქეს პასპორტი და ბილეთი გამოართვა.

„ახლა რომ სადმე წასვლა შევთავაზო, შეიძლება სამუდამოდ დავკარგო“, — ფიქრობდა თენგიზ სიმონიშვილი და სასწორზე შემოდგმულ ჩემოდნებსა და ჩანთებს მუყაოს ნომრებს ხელისკანკალით აბნევდა.

აეროპორტის უფროსი სამმართველოში იყო გამოძახებული, უმწეობისა და შეურაცხყოფისაგან გულგასიებული თენგიზ ჯაში, როგორც იქნა, ცვლის უფროსს მიადგა, ცვლის უფროსმა გულდასმით მოუსმინა. მაგრამ, ვერაფრით ვერ დაგებმარებით, თვითმფრინავი უკვე ასაფრენ ბილიკზეა გასულიო, უთხრა, მერე ისიც დაამატა, თავის დროზე უნდა მობრძანებულიყავითო.

თენგიზ ჯაშია გულის არეში საშინელი ტყვიელი იგრძნო, რამდენიმე წამით სუნთქვაც კი შეეკრა და მიხვდა, ამ წუთში კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ბოლოს, დაიმედებული, ამ საქმეს ასე არ დავტოვებო, ცვლის უფროსის წინადადებას დაეთანხმა და ორი საათის შემდეგ სოხუმისკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩაჯდა, იმ იმედით, სოხუმიდან უფრო ადვილად მოხვდებოდა სოჭში...

როგორც იქნა, თვითმფრინავი სოხუმის აეროდრომზე დაეშვა, თენგიზ ჯაში მოუთმენლად ელოდებოდა ტრაპის მოყენებას, ილუმინატორიდან აეროდრომის სინათლეებზე სველი ბეტონის საფარი ირეკლებოდა სარკისფრად. ჯაშია ლაბადა ჩაიცვა, ჩანთას ხელი დაავლო და ტრაპზე დაეშვა. ჯერ კიდევ არ დაწყნარებოდა სიბრაზისგან ყელში მოწოლილი სუნთქვა. „ეს რა მიყვეს“, — ფიქრობდა ნერვებაშლილი. „როგორ შეიძლება ადამიანის ასე აბუჩად აგდება, არა, ამას ასე არ დავტოვებ, მე

მაგათ ვუჩვენებ, თავხედები!“ აეროდრომის შენობა თითქმის ცარიელი იყო, ორიოდ შეგვიანებული და ნაადრევად მოსული მგზავრი თვლემდა სავარძლებში. თენგიზ ჯაში ცნობათა ბიუროში მივიდა და იკითხა, სოჭის მიმართულებით რაიმე თუ მიფრინავს ამაღამო. გულგრილი უარი მიიღო და, ისედაც ნერვებაშლილი. მანქანის საძებნელად გამოვიდა. ტაქსებისა და ავტობუსების სადგომი ცარიელი იყო. მორიგე მილიციელმა უთხრა, უკანასკნელი ავტობუსი ახლახან წავიდა, აეროდრომი დაიკეტა და სანამ არ გაიხსნება, ესე იგი, დღიამდე, საეჭვოა აქ რაიმე გამოჩნდესო.

თენგიზ ჯაში თავს უკვე ვეღარ ფლობდა, ლაბადის საყელო წამოიწია და ფეხით დაადგა ტრასისკენ მიმავალ ბეტონით მოშანდაკებულ გზას. სოხუმში წვიმდა, წვიმდა შემოდგომის სიცივედაკრული წვიმით.

თენგიზ ჯაში ფეხით სიარულს გადაჩვეული იყო და მალე დაიღალა. წვიმამ თავი დაუსველა და ახლა კისერზე და მხრებზეც გრძნობდა სისველეს. ფეხსაცმელები წყლით გაეჟღინთა, აეროდრომის სინათლეები უკან დარჩა და სიბნელეში მიიკვლევდა გზას. პატარა არხის მოაჯირზე ჩამოჯდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სველი თავ-კისერის გამშრალება სცადა. ორჯერ გაწურა ცხვირსახოცი, მუხლები ტეხდა და წელიც გაშეშებოდა. „თუ გავჩერდი, უარესია“ გაიფიქრა და წამოდგა, შორს გულრიფშის სინათლეები ციატებდნენ. თენგიზ ჯაში უკვე აღარ ერიდებოდა ასფალტზე დაგუბებულ წყალს და ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებდა. სუნთქვა თანდათან დაუწყნარდა, სიარულიც გაუადვილდა, დასავლეთის სიომ ზღვიდან მონაბერი მარილისა და თევზის საამო სურნელება მოიტანა, თენგიზ ჯაშია ლაბადის ჯიბიდან ვაშლი ამოიღო და გემრიელად ჩაკბინა. წვიმა ნელ-ნელა ჩაცხრა და ზღვის მხრიდან ორიოდ ვარსკვლავამაც ამოიბრწყინა...

თენგიზ ჯაშის გვერდით მოულოდნე-

ლად მანქანა გაჩერდა, სიარულში და ფიქრში გართულ პროფესორს არც მანქანის შუქი შეუმჩნევია და არც ძრავის ხმა.

— მობრძანდით, — მოისმა მანქანიდან.

თენგიზ ჯაში შეერთა, იქვით შეათვალიერა მანქანა და შიგ მსხდომნი. ძველი „ვოლგა“ იყო, „№ 21“. საჭესთან შუახნის მამაკაცი იჯდა. გვერდით მჯდომიც ასაკში შესული ჩანდა.

— გამარჯობათ, დაბრძანდით. — უთხრა მძღოლმა.

— გაგიმარჯოთ, როგორ შეგაწუხებთ.

— რა შეწუხებთა, დაბრძანდით, დაბრძანდით.

კარის გაღებისას სალონში სინათლე აინთო და თენგიზ ჯაშმა უკანა სავარძელზე მიწყობილი თოფები და სავაზნები დალანდა, სავარძლის ძირში, საფეხურთან პლასტმასის ვედროში სასროლი ბადე მოჩანდა. მძღოლი გადმოიწია და ვედრო მეორე მხარეს გადადგა, მეორე მამაკაცს მუხლებშორის ჭრელი, გრძელბეწვიანი მეძებარი ძაღლი ჩაესვა. თენგიზი მანქანაში ჩაჯდა.

— საით მიბრძანდებით, პატრიცემულო? — იკითხა მძღოლმა.

— ტრასაზე მიინდა ვასვლა, ჩემო ბატონო. — უპასუხა პროფესორმა.

— მერე?

— რა მერე? — დაიბნა თენგიზ ჯაში.

— მერე სად აპირებთ?

— სოჭში უნდა წავიდე.

— სოჭში? — გაიკვირვა მძღოლის გვერდით მჯდომმა. — სოჭში ახლა ველარაფერს გაყვებით.

— ნუთუ არაფერი არ გამოივლის?

— ამ შუალამზეუ საეჭვოა, — უპასუხა მძღოლმა და მანქანა დაძრა, — სამარშრუტო უკვე ყველაფერი ჩავლილია, აღარცკერძო მანქანები იქნებიან, ზღვის სეზონი დამთავრებულია უკვე.

— დასასვენებლად? — იკითხა გვერდით მჯდომმა.

— მაგის ბედი ვინ მომცა, — გაეცივნა თენგიზ ჯაშს — მივლინებით, სიმპოზიუმზე.

— რა ბრძანეთ?

— სიმპოზიუმზე.

— აა, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მძღოლმა და გაჩუმდა.

მეორესაც კარგა ხანს აღარ ამოუღია ხმა.

— სანადიროდ იყავით? — დაარღვია სიჩუმე თენგიზ ჯაშმა.

— მივდივართ, — თქვა გვერდით მჯდომმა, — ამელამ წავითევაზოთ გვინდა, შეიძლება ხვალ დილით მწყერიც იყოს.

— იქნება, კი, ნაწვიმარზე იქნება. — დადასტურა მძღოლმა.

— ბელნიერი ხალხი ხართ, — გულწრფელად გაუხარდა თენგიზ ჯაშს, — ხშირად დადიხართ, ალბათ.

— რას ამბობთ, თვეში ერთხელ თუ მოვახერხებთ კარგია, სადაა ნადირობის დრო, ამ სეზონზე პირველად გავდივართ.

— რა პროფესიის ბრძანდებით? — იკითხა თენგიზ ჯაშმა.

— შოფრები ვართ ჩვენ. — უპასუხა გვერდით მჯდომმა, — ავტობუსის შოფრები. წუხელ გამოვიცვალეთ და ძლივს ვიშოვეთ დრო.

— მითუმეტეს, მეტი უნდა იმოძრაოთ, უფრო ხშირად უნდა იაროთ, — თქვა თენგიზ ჯაშმა — ეს თქვენთვის აუცილებელია.

— აუცილებელი კია, მაგრამ დრო? — იკითხა მძღოლმა და სიჩქარე გამოცვალა.

— დრო უნდა მონახოთ, როგორმე უნდა გამოძებნოთ, თორემ მერე ინანებთ, ბოლოს გვიანი იქნება.

— თქვენ არ დადიხართ სანადიროდ? — იკითხა ახლა მძღოლმა.

— ეჰ, — ამოიხვნეშა პროფესორმა, — ვერა, ვერ ვახერხებ, არა და, ვოცნებობ ხოლმე. ბავშვობაში დაეყავი ბაბუაჩემს, მერე აღარ ვყოფილვარ.

მძღოლმა და გვერდით მჯდომმა ერთმანეთს გადახედეს. მანქანამ ავტოინსპექციის ცარიელ ჭიხურს ჩაუარა და უკაცრიელ ტრასას მიადგა.

— მეტი არაა ჩემი მტერი, ამალამ აქ

სოქისკენ წამსვლეღმა მანქანამ არ გამოიაროს. — თქვა მძღოლის გვერდზე მჯდომმა.

— აგერ, ინსპექტორიც წასულა სახლში.

თენგიზ ჯაშმა სავარძელზე დადებულ პორტფელი აიღო.

— თქვენი სახელი, პატივცემულო.

— იკითხა მძღოლმა.

— თენგიზ ჯაში, ჩემო ბატონო. — სასიამოვნოა ძალიან. მე ლუკა ვარ ბოდოკია, ეს ანდროა, ჩემი ძმაკაცი, სანიკიძეა გვარად, ერთად ვმუშაობთ ჩვენ „იკარუსზე“.

— სასიამოვნოა, აგაშენათ ღმერთმა, — თენგიზ ჯაშმა ორივეს ხელი ჩამოართვა, — კეთილ ხალხს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, დიდ მადლობას მოგახსენებთ.

— ბატონო თენგიზ, — დაიწყო ლუკა ბოდოკიამ — მადლობა და შეწუხება რა სახსენებელია, მანქანა არ მყავს წესრიგში, თორემ სოჩაში ჩამოსვლას როგორ დავამადლით.

— რას ამბობთ, ბატონო ლუკა, როგორ გავსარჯოთ; დავდგები აქ — გამოივლის ალბათ რამე. ხევიან ნადირობას გისურვებთ! — თენგიზ ჯაშმა კარი გამოაღო.

— არა, ბატონო, ასე როგორ დაგტოვებთ, ხალხი ვართ ჩვენ, ადამიანის შვილები. — მძღოლმა მარცხენა ხელი გადმოწია და გაღებული კარი დახურა.

— ჩემო ბატონო, ხვალ რომელ საათზე იწყება ის თქვენი, რომ ბრძანეთ?

— დაიწყო ანდრო სანიკიძემ.

— სიმპოზიუმი, — თქვა თენგიზ ჯაშმა.

— დიახ, დიახ, რომელ საათზე იწყება?

— გახსნა დილითაა, ოფიციალური ნაწილი სამ საათზე.

— ჰოდა, ნუ ჩაგვაგდებთ, ბატონო, ეს სტუმარი კაცი უხერხულ მდგომარეობაში. ამელამ აქ მაინც ვერ დაგტოვებთ და ეგებ გეცადათ ჩვენთან ერთად ბედი. ხვალ დილით კი გავამგზავრებთ

როგორმე, როგორც თქვენ გეკადრებთ. ათ.

— რას ამბობთ, როგორ შეგაწუხებთ.

— რა შეწუხებაა, — თქვა მძღოლმა — მოკლედ, ამელამ ჩვენი სტუმარი ხართ — ძრავი ჩართო და მანქანა ადგილიდან დაძრა.

სასტუმრო „კავკასიონი“ — რომელიც რამდენიმე დღით ნევროპათოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმს მასპინძლობდა, მონაწილეთა მისასალმებელი გრძელი ცისფერი ტრანსპარანტი მოერთოთ. სიმპოზიუმის საზეიმო გახსნა ახალი დამთავრებული იყო და მონაწილეები კონფერენცდარბაზიდან ვესტიბიულში გამოფენილიყვნენ. ზოგიერთი შენობის წინ კიბეზე დამდგარიყო და სიამით ეფიცებოდა შემოდგომის თბილ და სასიამოვნო მზეს. მკერდზე სიმპოზიუმის საემბლემო პლასტმასის ნიშნები ეკეთათ. სასტუმროსთან ტაქსი გაჩერდა. მანქანიდან ასე 55 წლის მამაკაცი გადმოვიდა, მარცხენათი პორტფელი და ლაბადა მოჰქონდა, მარჯვენათი გრძელ კავზე აცმული ახალდაქერილი თევზის გრძელი აკიდო ეჭირა. ძვირფასი კოსტიუმი მოთელოდა, დანასველებ ფეხსაცმელზე მარილის თეთრი ლაქები გამოსვლოდა, პიჯაკის გარე ჯიბიდან პალსტუხის ენას გადმოეყო თავი. მამაკაცი დამხვდურებს ღიმილით მიესალმა და კიბეები პატარა ბიჭივით მსუბუქად და ლალად აირბინა...

სიმპოზიუმმა საინტერესოდ ჩაიარა, თენგიზ ჯაშის მოხსენებას: „ჰიპოდინამიის როლი ნევროზების განვითარებაში“ — განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად.

პროფესორი თენგიზ ჯაში თბილისში მატარებლით დაბრუნდა იგი უცხო, სხვა თვალით გაჰყურებდა შემოდგომის აქლალეზულ და აწალკოტებულ ბუნებას, ასახალად დატაროიანებულ სიმინდის ყანებს, მალაქიტისფრად აბზინებულ ჩაის პლანტაციებს. ციტრუსების სიმწვანეში უკვე ოქროსფრად კიათებდნენ თურინჯი და მანდარინი. უფრო ზევით მთებს და ტყის მასივებს შემო-



საქართველო  
საბჭოთა კავშირი



დგომის უანგისფერი უღალი წაყიდებო-  
და, ტყიანი მთების თავზე კი გამჭვირ-  
ვალე ლურჯი ცის ფონზე მარმარილოს-  
ფრად ელვარებდა დათოვლილი კავკა-  
სიონი.

„რა ლამაზია“, ფიქრობდა პროფეს-  
ორი თენგიზ ჯაში და მონუსხულივით  
შესცქეროდა მთებს, ზღვას, მინდვრებს,  
მდინარეებს... თითქოს პირველად ხედა-  
ვდა, არადა, რამდენჯერ იყო ამ ადგი-  
ლებში ნამყოფი. თუმცა მაშინ სად ეც-  
ალა ან მთისთვის, ან მინდვრის,  
ანდაც საკუთარი თავისთვის — შეჭირ-  
ვებული ავადმყოფი იყო ექიმის უპირ-  
ველესი, უმთავრესი საზრუნავი და სა-  
ფიქრალი. მატარებელმა კრიალა მდინა-  
რეს გადაურა, ხიდიან ქვეშ მორევს იკ-  
ეთებდა მდინარე. თენგიზ ჯაში წამოი-  
წია, წყალს ჩააქვრდა. „თევზი იქნე-  
ბა“, თქვა თავისთვის. „ეჰ, რა ღამე  
იყო, რა საოცრება, ნეტა თუ განმეორ-  
დება ოდესმე, ბაღე უნდა მოვაქსოვი-  
ნო აუცილებლად...“ ფიქრობდა პრო-  
ფესორი თენგიზ ჯაში.

თანდათან დაბნელდა, ჯერ იასამინ-  
ფრად ჩაგუბდა გარემო, მერე თანდათ-  
ან მელნისფერი ჩამოწვა. მატარებელ-  
ში სინათლე აანთეს. თენგიზ ჯაშია თა-  
როდან პორტფელი ჩამოიღო, გახსნა,  
საწერკალამი და ფურცლები მოიძუხადა,  
ერთხანს მზეარაგაყინული თვალებით  
გასცქეროდა სარკმლის სიბნელეს და  
აღაგ-აღაგ საიდანღაც შემოვარდნილ  
სოფლის სინათლეებს, მერე კალამი  
მოიმარჯვა და წერა დაიწყო: „საქართვე-  
ლოს სამოქალაქო ავიაციის სამმარ-  
თველოს“, მკიდრო, გაკრული ხელით  
გამოიყვანა. შემდეგ უბის წიგნაკში  
ჩაწერილი სახელები მოძებნა და წერა  
გააგრძელა...

აეროპორტის სააქტო დარბაზში  
პროფკავშირის კრება იყო დანიშნული.  
სტუმრებს საავიაციო სამმართველოდან  
და პროფკავშირთა ცენტრალური და  
საქალაქო კომიტეტებიდანაც ელოდ-  
ნენ. ისედაც გაწკრივებული დარბაზი  
საგანგებოდ მოაწესრიგეს. პრეზიდენ-  
ტი

მის მაგიდაზე „ბორჯომის“ და ლიმონ-  
თის ბოთლები ჩამოამწყვრივეს. მდინარე  
დიდ ფაიფურის ლარნაკში ცოცხალი  
ყვავილების ჩადგმაც არ დაეწყო. თანამშრომლები დარბაზში ექვსი საათ-  
ისთვის შეიკრიბნენ.

იმ დღის შემდეგ თენგიზ სიმონიშვი-  
ლი თავგზაბანეული დადიოდა. ცვლის  
უფროსმა ლარისა ბარნაბიშვილი მიწა-  
სთან გაასწორა, სამსახურიდან დათხო-  
ვნით დაემუქრა, როდესაც თენგიზ სიმ-  
ონიშვილი ჩაერია, უკმეხად მიუგლო,  
შენ ვილას ტუკიტომარა ხარ, იმ შენს  
ბარგსა და ჩემოდნებს მიხედე, თორემ  
შენც ავიკრავენ აქედან ბარგსა და ბა-  
რხანსო, მერე ცოტათი მოლბა: მე რომ  
დავმალო ეს ამბავი, ის კაცი, საქვეყნ-  
ოდ ცნობილი მეცნიერი და მკურნალი,  
მაინც არ დატოვებს ამ აღმშფოთებელ  
ფაქტს უყურადღებოდ და თქვენისთანა  
უპასუხისმგებლო ხალხის გულისთვის  
მეც, ეს დროული კაციც, უნდა გავილა-  
ნძლო და შეიძლება, აგერ პენსიაზე გას-  
ვლის წინ, სამსახურის დატოვებაც კი  
მომიხდესო. ლარისა ბარნაბიშვილი გა-  
ფითრებული, უჩუმრად ისმენდა უფრო-  
სის საყვედურებს და მთელი საუბრის  
მანძილზე, თუ ამას საუბარი ეთქმოდა,  
ერთი სიტყვაც არ დაცდენია. ბოლოს,  
როდესაც ცვლის უფროსი წავიდა, თვა-  
ლცრემლიანი შეუდგა მორიგი რეისის  
მგზავრთა ბილეთების რეგისტრაციას  
ისე, რომ თენგიზ სიმონიშვილისკენ  
არც ერთხელ არ გაუხედავს.

ბიჭი იმ დღის შემდეგ გახევებული  
დადიოდა, ერთი პირი ისიც კი იფიქრა,  
დაწერე განცხადებას და საერთოდ წა-  
ვალ სამსახურიდანო, მაგრამ როდესაც  
წარმოიდგინა, ასეთი ნაბიჯის შემდეგ  
კოგოს შორიდან დანახვაც კი სანატრე-  
ლი გაუხდებოდა, აღარაფერი მსგავსი  
არ მოუმოქმედებია და ასე უჩუმრად,  
ზეზეულად ხნებოდა და თანდათან  
ფერსა და იერს კარგავდა. რამდენჯერ-  
აც დააპირა, ლარისასთან მივალ, დაუ-  
ჩოქებ და პატიებას ვთხოვო, იმდენჯერ-  
ვე გამბედაობამ უმტყუნა და ნაბიჯიც  
ვერ გადადგა.

თენგიზ სიმონიშვილი სასოწარკვეთილი იყო. პროფკავშირის კრებაზე უკანა რიგში, განაპირა სკამზე ჩამოჯდა და მალულად უცქეროდა დარბაზში შემოსულ აეროპორტის თანამშრომლებს. ლარისას შემოსვლისას ბიჭმა თავი ხალუნა და კარგა ხანს არ აუწყევია.

ქალს არც შეუღმჩნევია თენგიზ სიმონიშვილი, გვერდით ისე გაუარა და შუა რიგში ისიც განაპირა სკამზე ჩამოჯდა.

ბოლოს გვერდით კარებიდან აეროპორტის ხელმძღვანელობა და სტუმრებიც შემოვიდნენ და პრეზიდენტში ადგილები დაიკავეს.

პროფკავშირის თავმჯდომარის სიტყვა სრული კრიტიკული პათოსით წარიმართა. მომხსენებელმა დაურიდებლად აღნიშნა, რომ, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ დაბალია მგზავრთა მომსახურების კულტურა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს თანამშრომელთა ყოვლად გაუმართლებელ შეცდომებს, მომსახურე პერსონალის დაბალ კვალიფიკაციას, რომ ჯერ კიდევ არ მოწესრიგდა ბარგის მიმღები სექციის, საბილეთო საღაროების, ბუფეტისა და სარეგისტრაციო სამსახურის საქმიანობა, რაც მგზავრთა სამართლიან შენიშვნებს, და არამართო შენიშვნებს, ზოგიერთ შემთხვევაში, საჩივრებსაც კი იწვევს. რასაც აეროპორტის პროფკავშირული ორგანიზაცია პარტიულ, კომკავშირულ და საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად ვერაფრით ვერ მოითმენს და ამაზე უნდა ღრმად დაფიქრდეს თითოეული, ვინც ამ სახელოვანი და დიდი ორგანიზაციის წევრი და თანამშრომელი ჰქვიათ.

ბოლოს მომხსენებელმა ტრიბუნაზე დადგმული ჭიქიდან წყალი მოსვა, დარბაზს გადახედა და შედარებით მშვიდი ტონით გააგრძელა: არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიუხედავად, აეროპორტის თანამშრომლები დიდ და დაუღალავ მუშაობას ეწევიან

და ხშირად მგზავრთა მადლობასაც იმსახურებენ, ასეთი თანამშრომლები შეადგენენ ორგანიზაციის ძირითად ბირთვს და სწორედ ზოგიერთ მათგანზე მინდა ყურადღება შევაჩერო. მომხსენებელმა კვლავ მოსვა წყალი, დარბაზს კვლავ გადახედა. მერე რამდენიმე წამი შეისვენა, საქალაქიდან რაღაც ფურცელი ამოიღო, სათვალე გაისწორა და დაიწყო: ამხანაგებო! მე ერთი ბარათი მინდა წაგიკითხოთ, უფრო სწორად, ჩვენდამი მონდობილი ერთი თხოვნა მინდა გადმოგიცეთ. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და მკურნალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ჯაში გვთხოვს, რომ საჯაროდ მადლობა გადაუხადოთ ჩვენი სახელოვანი კოლექტივის თანამშრომლებს: მორიგე რეგისტრატორს — ლარისა ბარნაბიშვილს და საბარგო სამსახურის ბრიგადირს თენგიზ სიმონიშვილს. იმ ძვირფასი, სასიამოვნო წუთებისათვის, პროფესორს რომ აჩუქებს...

ტაში გაისმა, მართალია, ეს ტაში მქუხარე არ იყო და არც ოვაციებში გადაზრდილა, მაგრამ დარბაზის ერთსულოვნებას სრულიად გამოხატავდა...

დარბაზში სამი გაოცებული ადამიანი იყო მხოლოდ — ლარისა ბარნაბიშვილი, თენგიზ სიმონიშვილი და ცვლის უფროსი ვსევოლოდ ჭუმბურიძე, რომელიც დღე-დღეზე პენსიაზე გასასვლელად ეშხადებოდა.

იმ საღამოს თუკი ვინმე კინოთეატრ „რუსთაველის“ სადემონსტრაციო დარბაზში მეთხუთმეტე რიგის მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ადგილებზე მჯდომ, ნაყინის ჭამით გართულ წყვილს დაავიროდებოდა, ლარისა ბარნაბიშვილსა და თენგიზ სიმონიშვილს ადვილად ამოიცნობდა. უჩვენებდნენ გერმანულ მხატვრულ ფილმს „... და წვიმა შლის ნაკვალევს“.

ავთადილ ჩხიკავიანი  
სოთხბრძანი

უჩვეულო სიზმარმა გამოაღვიძა ჩიმი ფაღავა. შიშით მოავლო სენაკივით პატარა და მწირი ოთახის გამოცარიელებულ კედლებს თვალი, ვიწრო სარკმლიდან ალიონის ლატაკი სინათლე იძურჩებოდა, ოდნავ ამკრთალებდა ოთახში ჩამოწოლილ ქუშსა და სიბნელეს — კედლის კარადას, ობოლ მაგიდასა და სკამს, იაფფასიან საკიდარზე ჩამოკონწიალებულ ტანსაცმელს.

საშინლად უცხო იყო სიზმრის შემდეგ სენაკივით ოთახი, უცხო და შემაწუხებელი. გული მოეწალა რატომღაც ჩიმი ფაღავას, მიუსაფრად და უმწეოდ იგრძნო თავი, არადა, ტრიალებდა ისევ სიზმარში, ჭერ კიდევ არ განელებოდა სიზმრის ლორთქო და დიბა, საოცარი ჯადო და მონატრება. გაოცდა ჩიმი ფაღავა, გააკვირვა სიზმრის ამდაგვარმა ზემოქმედებამ, აჩუყებულმა გულმა და ლამის თვალებზე გადმომსკდარმა ცრემლებმა.

სოფელი ესიზმრა ჩიმის, საკუთარი, გამზრდელი სოფელი, უცნაური იყო ჩვენება: გაზაფხულიც იყო და შემოდგომაც ერთდროულად. ლამაზი და სანატრელი იყო საოცრად ეზო-ყურე, სანატრელი და ხვავიანი, ხვავ და ბარაქა დაყრილი...

ამან გააკვირვა სწორედ ჩიმი ფაღავა. არ უყვარდა ჩიმის სოფელი, ქალაქი იყო ბევრფობიდან მისი ნატვრა და ხატბი — გამაშტერებელი, დამთრგუნავი ოცნება...

არადა, სოფელი ესიზმრა ჩიმი ფაღავას, გაზაფხულის მწვანით და ნათელით, შემოდგომის ოქროთ და ქარვით მოსილი და გაბარჩხალებული სოფელი — საკუთარი ეზო და ყურე, სახლეული და სისხლეული, თავისი ჩიში და ჭილაგი, მეზობელი და მეკარმდამოვე.

და იწვა ახლა სენაკივით ვიწრო და მწირ ოთახში, ამოვარდნაზე ჰქონდა გული, უკვირდა საოცრად, რამ დამასიზმრა და გამომიცხადა სოფელიო...

არა, არ უყვარდა ჩიმის სოფელი. რაც სტუდენტი გახდა, სულ ორჯერ ეწვია. პირველად ზაფხულის არდადეგებზე ჩავიდა, ეუცხოვა და ეხამუშა საშინლად სოფელი, ვეღარ იგრძნო იქ უკვე თავისი ტოლი და მეგობარი, მითუმეტეს, ყველა მისი ქალაქელი ამხანაგი ზღვაზე იყო დასასვენებლად წასული, ის კი არადა, რამდენიმეს მშობლებმა საზღვარგარეთის საგზურებიც გაუხერხეს. მას კი... საქმე იყო სოფელში: ყანა გასამარჯლავი და გასამოროლებელი, ეენახი შესაწამლი, ზამთრისთვის შეშა დასამზადებელი, გაუჭირდა ის ზაფხული ძალიან ჩიმის, ამრეზით შესცქეროდა შინაურსა და გარეულს, აუსრულებელი, მტკივნეული ოცნებით ეაღერებოდა ზღვის სანაპიროებს, თავის ტოლსწორებსა და მეგობრებს მზეზე და ზღვაზე გარუჭულებს და ბოლმანარევი ჯიბრით უბაყუნებდა თოხს გვალვისაგან გარკინებულ და გაურჩებულ მიწას, ბრაზით და სიბრალულით უყურებდა დაწინაურებული მამის ოფლისგან დასველებულ ზურგს, გამუდმებული ფიზიკური ჯაფისგან გაუხეშებულ ხელებს, მზისგან დამწვარ და ჩაშავებულ დაღარულ კისერს... ღვინის ხშირი სმისგან და ღვინიადგ შრომისგან დაგლახებულ ჯოტო ფაღავას — ერთდროს უღამაზესს და უნიჭიერეს ვაჟკაცს, საკუთარი სიკერპის გამო რომ მიატოვა უნივერსიტეტი და სოფელში გამოიქცა.

სივდებოდა გულზე ჩიმი, როდესაც წარმობიდგენდა; მამის სიკერპე რომ არა, მასაც შეეძლო ყოფილიყო ნაღდი თბილისელი, სხვა მამებივით მამამისიც მოეყვანა ფართო და ნათელ ბინაში გაკრიალებულ, შავ ლიმუზინს, მამამისიც „აღიდასის“ პიკამოში გამოწყობილი, ხელში ძვირფასი სიგარეტით, მოწყალე თვალით გამოსულიყო შვილის ოთახში, მოეკითხა მისი მეგობრები, რამდენიმე წამით შერჩენოდა ვიდეოტელევიზორის საინტერესო ეკრანს, მერე,

ვითომ დარჩაო, კურნალების მაგიდაზე დაეტოვებინა „ჩესტერფილდის“ ან „მარლბოროს“ სავსე კოლოფი და თავის კაბინეტში დაბრუნებულიყო.

ჯოტო ფაღავა კი, ღვინის, ოფლისა და მიწის სუნით გაყენებული კაცი, უდრტყინველად, ჭიუტად შეარკინებდა მიწას, თავაუღებლად გაჰყავდა უთენია დაწყებული ვეება სვრელი. ერთი წამით არ მოხედავდა ჩამორჩენილ შვილს, ეგ კი იყო, მის კვალში გადმოდიოდა, შვილის წილსაც თოხნიდა, ხარბად ერკინებოდა მიწას, ხარბად და ჭიუტად. იგრძნობოდა მის საქციელში, არ იყო სხვა საშველი, არ შეეძლო სხვაანირად...

სული ყელში ებჯინებოდა ასეთ დროს ჭიმის, უნდოდა ეღრიალა, ეყვირა, ბლავილით ჩამოელო ცა დედამიწაზე. აგიჟებდა მამის სიკერპე, უფრო მეტად კი მამისადმი სიბრალული. სძულდა ასეთ დროს სოფელი და მიწა, რომელმაც მამა, სხვებისნაირი მამა წაართვა და მასთან ერთად უზრუნველი ცხოვრებაც...

დამთავრდა, როგორც იქნა, გაილია არდადეგები. სალამოს ზღვიდან მომავალ მატარებელს უნდა წაეყვანა ჭიმი ფაღავა თბილისისკენ...

მთელი კუთხე-ყურე აცილებდა ჭიმის სადგურზე: წინ უმცროსი და-ძმა და ბიძაშვილები მიაბიჯებდნენ ხორაგით დატვირთულები, მერე დედა და მეზობლები. მამა ბოლოს მოდიოდა, ფიქრიანად, ჭავრიანად ეწეოდა „პრიმას“ და უცხო მზერით გასცქეროდა სივრცეს.

— ნანა, შვილო, — ეალერსებოდა დედა — ჭიმა, ჩემო თვალის სინათლევ, აბა, შენ იცი, რაფერ კკუთ იქნები, კკუთ. წერილი გამომიგზავნე ხშირად, ბარათი, და ფრთხილად იყავი, შვილო, ფრთხილად.

— რათ უნდა ლაპარაკი, იქნება კკუთ, ამბობდა მეზობელი, ვეება ბადურას რომ მოათრევდა — აგი, ჩემო ჭიმა, ჭალაქტიონს მიუტანე ხვალვე, ცოტა ფქვილია და ინდაური კიდევ, ღვინო არ დადგა მაგის საკადრისი, ჭვანგი აქვს

ცოტა უთხარი, სახალწლოდ ღორის ბეჭი და კუპატები საბაზეა თქვა.

— ჭიმა, სკანი გოლუაფირო; ჩემს ლაერენტის უთხარი, სანოემბროდ მაინც გამოიხედოს აქეთ, დაბერდა დედაშენითქვა, შვილიშვილები მაინც გამოეგზავნა ამ ზაფხულს, რა უნდოდათ ბავშვებს ზღვაში, ათასი ფარსაგითაა ქვეყანა სავსე. აგერ, სულგუნია და კიდომ სალომე ფქვილი ამ კოთხოში. ხვალვე მიუტანე, შენი გულის ჭირიმე, და უთხარი კიდომ, ნუ გამოიბამს ძაღლის ხორცს... გამეიხედოს ერთი აქეთ...

მივიღნენ, როგორც იქნა, სადგურში, შემოგრიალდა ზღვიდან მომავალი მატარებელი, მოჰყავდა გარუჯული დამსვენებელი გოგო-ბიჭები და ჭიმიმ აღარ იცოდა, სირცხვილისგან სად წასულიყო. ბოლოს მოვიდოდა მამაც, ოთხად გაკეცილ ფულს ჩაუდებდა ხელში და — ფარას გაუფრთხილდი, ბაბა, ფარას, ფულის საჭრელი სტანოკი კი არ მაქვს მე და კკუთ იყავი ერთობ. ნუ აყვები ქალაქის გატრიზავებულ ყაზილარებს, აბა!.. — გადაკოცნიდა, დაემშვიდობებოდა მთელი სოფელი მერე ჭიმის.

— არ დაგავიწყდეს, შენი ჭირიმე, ამ კალათის მიტანა გალაქტიონთან. ინდაურია შიგ, გაფუქვდება...

ლიმილით გადმოსცქეროდნენ ჭიმის ზღვიდან მომავალი გაშავებული, გატრუსული გოგო-ბიჭები...

— ფარას გაუფრთხილდი, ფარას, მამას ააქვს ცხონება... — სძულდა ამ დროს საკუთარი თავი ჭიმას. სძულდა სოფელი, სძულდა ყოველივე...

მეორედ სახალწლოდ ესტუმრა სოფელს, ორიოდე დღე დარჩა, მშობლებს ფული გამოართვა და ზამთრის არდადეგები ბაკურიანში გაატარა... ეს იყო და ეს, ახლა კი...

წაძინება სცადა ისევ, არა და არ მიეკარა ძილი, მითუმეტეს, ახმაურდა უკვე ქალაქი, ძალა და ნათელი მოიკრიბა ალიონის ღატაკმა სინათლემ, პირველმა ტრამვაიმ ჩაიხრიგინა ქუჩაზე, მერე სატვირთო გაჩერდა, მალაზიაში

პური მოიტანეს, ეზოშიც გაეღვიძათ, ვილაცამ მანქანის ძრავი ჩართო გასახურებლად.

მობრძანდა უკვე დილა, გათენდა, გაციკროვნდა კვირა დღე...

თავი უბრუნდა ოდნავ ჯიმის, წუხელის დათუნა ჩაფიქვსთან უსაშველოდ ბევრი შამპანური დალიეს. კინოდან გამოდიოდნენ დათუნა, გუჯა კალანდია და ჯიმი ფაღავა, სამხატვრო გალერეასთან ნიკუშა კარტოზია ნახეს რამდენიმე გოგოსთან ერთად. სუნთქვა შეეკრა ჯიმის, ნიკუშას მაიკო ქობალია ახლდა, ჯიმი ფაღავას უძილო დამეების მიზეზი. ფრანგულზე სწავლობდა მაიკო ქობალია — თხელი, ჯიმიანი გოგო. ზეპირად იცოდა ჯიმი ფაღავამ მაიკო ქობალიას ლექციების ცხრილი, თუმცა ვერასდროს ვერ გაბედა მისვლა და ვერც ვერავის გაანდო გულის ხეშიადი.

ნიკა და გოგონები კინოში შესვლას აპირებდნენ, დათუნამ შეიცხადა — არ შეხვიდეთ, მაგარი გატეხვა გელითო.

— აბა, რა ვქნათ, პრასვეტი არ გვაქვს, არსად არაფერი არ გადისო, — ნიკა კარტოზიამ.

— თუ რამე ახალი კასეტა გვგულებათ, ჩემთან ავიდეთ ვიდეოზე, — თქვა დათუნამ. — ჩვენები გუშინ სოჩაში წავიდნენ და მარტო ვარ.

გოგონებმა თანხმობა განაცხადეს, გუჯამ თქვა — მაგლობლიშვილებს აქვთ უამრავი ახალი ფილმი ჩამოტანილი, ავალ და რამეს წამოვიღებო.

სიზმარში ეგონა ჯიმი ფაღავას თავი.

— მაშინ შენ და ჯიმი კასეტის მოსატანად გავარდით, — თქვა დათუნამ — ჩვენ სახლში დაგხვდებით.

ჯიმიმ ტაქსი გააჩერა, მაგლობლიშვილებიდან გუჯამ ორი კასეტა წამოიღო, გზაში ჯიმიმ მთელი ფულით შამპანური იყიდა.

ფილმები მაინცდამაინც საინტერესო არ გამოდგა, თუმცა ამაზე დიდად არცერთს არ უნაღვლია, ნელ-ნელა შეექცეოდნენ ცივ შამპანურს. ჯიმის არც შამპანურმა უშველა, სასას მიკრული ენა ვერაფრით ვერ აამოძრავა,

იჭდა კუთხეში და ნაძალადევად მომეტებული ინტერესით ეკრანს მისწვებოდა. მაიკო ქობალიასკენ გახედვის ერიდებოდა.

— ხვალ იოსელიანის ფილმს უჩვენებენ დომკინოში — თქვა უეცრად მაიკომ — ფილმი კი არა, ზღაპარი ყოფილა.

— რას ამბობ? — შეიცხადა ნანამ.

— ჰო, თემურიმ მითხრა, დუდანას ქმარმა.

— ცოფი ფილმი ყოფილა, ფრანგები სულ გიჟად დაუყრია იოსელიანს.

— გენიოსია, ძმაო.

— კი, ბეზ პონტა გენიოსია.

— თაბუკაშვილმა რა დაამხეცა!

— აბა, ბოლო ფილმი ყოფილა თურმე ცხარე ტირილი.

— გლიჯავენ რა ქართველები, — შამპანურის ბოთლს მიწვდა დათუნა. — ამ ბოლო დროს ფეხბურთში ვიჭრებით, თორემ...

— დავისხა, ნინჩო?

— მოსაწვევებით არის, ალბათ, — თქვა ნინჩომ — აუ, მთელი თბილისის სვეტი იქნება.

— თურმე ერთხელ უჩვენებენ, მარტო საღამოს სენანი ყოფილა.

— მთელი დღე ვეძებ ვინმეს, მოსაწვევი რომ ჰქონდეს. — თქვა მაიკო ქობალიამ.

— შანსი არაა, — ალაღად გატყდა დათუნა. — ვარიანტი არ არსებობს, ხვალ მხოლოდ კინოშნიკებისთვის ყოფილა.

ჯიმის გულმა ბაგაბუჯი დაუწყყო. ჯიმის ეზოში მეორე სართული რეჟისორ ჩახტაურს ეჭირა, ჯიმის ხანდახან კინორეჟისორი მაგიდის ჩოგბურთის ეთამაშებოდა, ერთხელ უნივერსიტეტშიც გაიყვანა მანქანით. უცოლშვილო, უცნაური კაცი იყო, თითქმის ყოველ საღამოს მამაკაცები აკოთხავდნენ, მთელი დამე ენთოთ სინათლე, თუმცა არც სადღეგრძელოები ისმოდა და არც სიმღერები, უკვირდა ჯიმის, როგორ ქეიფობდა ამ ხნის ხალხი ასე უჩუმრად. ერთ დღით მთელი ეზო შუაზე გახეული

ბანქოს ქაღალდით იყო სავსე და ეს კიდევ უფრო გაუყვირდა ჯიმის.

„დავუჩოქებ და ვთხოვ მოსაწვევებს“. ფიქრობდა ჯიმი ფაღავა, — „მგონი, არ გამაწბილებს“.

— ძალიან გინდათ წასვლა? — ჰკითხა უეცრად ჯიმი ფაღავამ მაიკოს.

გოგომ გრძელი, შეღებილი წამწამები გაკვირვებით დააფახულა — შენ რა, ჯიმი, შეგიძლია მოსაწვევების შოვნა? — ეს ისე შინაურულად თქვა, ჯიმის ყრუ-ანტელმა დაუარა და მისდა უნებურად ისეთი ცეცხლი შეენთო ბიკს, თვითონაც რომ ვერ შეაფასებდა. ალბათ, ასეთმა ცეცხლმა გაატარა ნაპოლეონი პოლონეთში მარშით.

— შემიძლია, — თქვა ჯიმიმ და მთელი საღამოს მანძილზე შვებით პირველად ამოისუნთქა.

გამთენიის ხანს ჩაეძინა ბიკს, არ მოშორდა ისედაც მასთან მყოფელი მაიკო ქობალიას ხატება. ცდილობდა ბიკი, სინამარშიც ჩაეყოლებინა გოგო და უცებ მაიკო ქობალიას ნაცვლად საკუთარი სოფელი დაესიზმრა: არაჩვეულებრივად ლამაზი და სევდიანი სოფელი.

გიყვივით წამოიჭრა ჯიმი ფეხზე, კარი გამოაღო და ეზოს გახედა. რეჟისორი ჩახტაურის „ეგული“ ეზოში იდგა. ჯიმომ სასწრაფოდ ჩაიკცა, კარი მიუხურავი დატოვა და ვიწრო ხის კიბით მეორე სართულზე ავიდა.

ნამძინარემა რეჟისორმა დაბნეულმა მოუსმინა ჯიმის, მერე დაპირდა, რვას რომ თხუთმეტი დააკლდება, კინოს სახლთან დამელოდეთ და შეგიყვანთო და ისევ დასაძინებლად დაწვა. ჯიმი ბინაში დაბრუნდა, უნებლიეთ საათს დახედა — რვა ახალი დაწყებული იყო. მთელი თორმეტი საათი, ვეებერთელა თორმეტი საათი ჩამოწოლილიყო მაიკო ქობალიასთან შეხვედრამდე. ჯიმომ ფეხსაცმელები საგულდაგულოდ გააპრიალა, ქურთუკი გაწმინდა, პერანგსა და შარვალსაც გადაუსვა უთო. შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცს რომ იღებდა, ნახა, მხოლოდ სამი მანეთი დარჩენილია. ამან კი, ცოტა არ იყოს, გვარიანად შეაცბუნა.

სტიპენდიამდე მთელი თხუთმეტი დღე იყო დარჩენილი, არადა, წუხანდალში შამპანურმა წირვა გამოუყვანა ჯიმი ფაღავას ისედაც მწირ კაპიტალს. ცხვირსახოცი გულდადარდიანებულმა გარეცხა, უთოთი გააშრო, კოხტად გაკეცა და შარვლის ჯიბეში ჩადო. წვერი საგულდაგულოდ გაიპარსა და ისევ საათს დახედა. ცხრა სრულდებოდა — მიძიმედ, ზღაზვნით გადიოდა დრო. ჯიმომ წიგნს წამოავლო ხელი, კითხვასაც ვერ დაუდო გულსყურო, თვალწინ ისევ მაიკო ქობალიას ხატება უტრიალებდა. საამო ყრუანტელი მთელ სხეულში — კეფიდან ხერხემლის მთელ ჩაყოლებზე უვლიდა და ბანგივით მოქმედებდა.

„ნაყინისთვის მეყოფა ფული“. ფიქრობდა ბიკი: თუმცა ტაქსი? მაიკო ქობალია ვაკეში ცხოვრობდა, „ორ მანეთზე მეტს ხომ არ დაწერს მრიცხველი, იქიდან სახლში ფეხით დავბრუნდები“. იმედიანად იყო ბიკი; „არა უშავს, დღეს როგორმე უქმელიც გავძლებ“; ფიქრობდა ჯიმი ფაღავა და ამ ფიქრში კვლავ ჩაეძინა.

ისევ სოფელი ეზმანა ჯიმის, საკუთარი, გამზრდელი ეზო ყურეს ლორთქო ხვავი და დბა...

სიზმარი ვილაციის ჩახლეჩილმა, ეღრი-ალა ხმამ დაუფრთხო — ფაღავა! სად ცხოვრობს აქ ფაღავა?

ჯიმი წამოხტა, კარი გამოაღო; ეზოში შუახნის ცალხელა კაცი იდგა და ჯიმის შემოცქეროდა.

— თქვენ ხართ ჯემალ ფაღავა? — იკითხა კაცმა.

— დიახ, ბატონო.

— საბუთი გაქვს რამე?

— რა საბუთი?

— რა საბუთი და, ნამდვილად ფაღავა რომ ხარ და ჯემალი გქვია.

— კი ბატონო, პასპორტი მაქვს და სტუდბილეთი კიდევ.

— მაჩვენე ერთი.

— რაშია საქმე?

— რაშია და, უსაბუთოდ ფულს არ ვიძლევი მე. ფულია გამოგზავნილი შენს სახელზე გეგეკუორიდან.

რუსთაველის გამზირზე ჯიმი ფაღა-  
ვა მიაბიჯებდა, მხრებით მოჰქონდა მთე-  
ლი პროსპექტი, საღამოს რვა საათზე  
მაიკო ქობალიას უნდა შეხვედროდა.  
ჯიბეში სოფლიდან გამოგზავნილი სამო-  
ცდათი მანეთი ედო. თბილისში შემო-  
დგომა იდგა, ქარვისფერი, თავბრუსდამ-  
ხვევი, აწალოტებული თბილისური  
შემოდგომა, რომელიც ვერაფრით ვერ  
შეედრებოდა ჯიმის სოფლის ბარაქიან  
ლიბო-ჩაწურულ ქარვისფერ შემოდგო-  
მას, თუმცა ჯიმი ახლა ამაზე სრულია-  
დაც არ ფიქრობდა: ჯიმი ფაღავა ქალა-  
ქით სუნთქავდა, ქალაქით ცხოვრობდა  
და ქალაქივე წარმოადგენდა მის გაც-  
ხადებულ ოცნებასა და სინამდვილეს.

დრო კი ისევ მძიმედ და ზღაზვნით  
მიიწელებოდა. თორმეტი სრულდებო-  
და. ჯიმი ნელ-ნელა მოყვებოდა პროს-  
პექტს. ლადიძის წყლებთან აჭრილი  
ხალხი იდგა. ჩამოსულებიც ბევრნი  
იყვნენ და ქალაქელებიც, ჯიმიმ შეგნე-  
ბულად აარიდა თვალი ორ თანასო-  
ფელს. ჭავჭავაძის კუთხეში მთაწმინ-  
დელი ნაღდი ქალაქელი ბიჭები იდგნენ;  
იდგნენ დარბაისლად და ჩუმად საუბ-  
რობდნენ. გამვლელებს უყრადღებას არ  
აქცევდნენ, თავიანთი საფიქრალი ჰქონ-  
დაო, თავიანთი საქმე და სამყარო. მათ-  
თვის ქალაქი აქ იწყებოდა და აქვე თავ-  
დებოდა, საკუთარი უპირატესობის  
გრძნობა იმდენად დიდი და დამატყვევე-  
ბელი იყო, თამამად შეეძლოთ სხვების  
არშემჩნევა და უგულებელყოფა. ყო-  
ფილ ჭადრაკის სასახლესთანაც ქალაქე-  
ლები იდგნენ, იგივე სიღარბაისლით და  
დინჯი უპირატესობის განცდით, აერო-  
ფლოტის შენობის წინ იმერლები, უმე-  
ტესად ზესტაფონელები, იკრიბებოდნენ,  
გადაღმა გასტრონომის კუთხე კი სამეგ-  
რელოს მკვიდრთა თავშესაყრელი ადგი-  
ლი იყო. ასეთები უკვე ზეპირად იცოდა  
ჯიმიმ. ქუთაისელები ოპერის ბაღში იკ-  
რიბებოდნენ, გურულები გალერეის  
გვერდით, ნინოშვილის ძეგლთან იყრი-  
დნენ თავს. თუმცა ამათთან არ იყო ის სი-  
ღარბაისლე და უპირატესობის დამატყ-

ვევებელი განცდა. აქ უფრო ხმამაღლა  
ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. თამამად  
და თავხედურად ელაბებო-  
ბოდნენ გამვლელ გოგონებს და თუ  
არა ჯიმიმ, აბა ვინ იცოდა უკეთ,  
რომ ყველაფერი ეს მოგონილი, თავდა-  
საცავი სითამამე იყო მხოლოდ.

ჯიმიმ ნელა ჩაუარა კინოს სახლს, რამ-  
დენიმე საათში აქ მაიკოს უნდა შეხვედ-  
როდა. ჭერჭერობით კინოს სახლის წინა  
ბაქანი ცარიელი იყო, ორიოდ, ჩემო-  
დნებიანი მოქლაქე მანქანის გაჩერე-  
ბას ლამობდა.

— გამარჯობა, ჯიმა, შენი! — მოესმა  
ჯიმი ფაღავას და მხარზე ვილაცის შეხე-  
ბაც იგრძნო. — როგორა ხარ, მაგალი-  
თად?

ჯიმი მობრუნდა, ვერ იტანდა, რო-  
დესაც ჯიმას ეძახოდნენ. ემზარ ჭეჭია  
იყო, მისი თანასოფელი ბიჭი.

— სად დაიკარგე, შენ, მაგალითად,  
როგორც ასეთი? — ჰკითხა ჭეჭიამ.

— სად უნდა დავკარგულიყავი? —  
გაიკვირვა ჯიმიმ.

— რა არის ასეთი, სოფელში რომ  
ალარ ჩამოდიხარ, მოვიყარეთ ამას წი-  
ნათ მთელმა კლასმა თავი, ტულო ჩამო-  
ვიდა, ჩაქანია, ჭარიდან, გვაკლდი შენ,  
და კიდომ ლაღუჩა ბირკაია, მაგრამ ლა-  
ღუჩა სროკზეა ახლა ტამბოვში და რას  
ჩამოვიდოდა. ზაურიმ თქვა, ტყებუჩა-  
ვამ, გაფუარე და შევატყობინე ჯიმას  
ტულას ჩამოსვლაო.

— ჰო, რა ვიცი აბა, ვერ მოგახერხე,  
— თავი იმართლა ჯიმიმ.

— ოჯალეში გახსნა აქესენტიმ.

— კაი დროს გაატარებდით, — დაე-  
თანხმა ჯიმი, — ძალიან მინდოდა  
წამოსვლა.

— ნარგიზა თხოვდებოდა, ფარცვანია,  
ჩვიდმეტში აქვს ქორწილი, ზაურის გა-  
მოატანა შენი ბარათი.

— ჰოო, ვის მიყვება? — ყასიდად  
ჰკითხა ჯიმიმ.

— ანზორი ხომ გახსოვს, ანზორი.

— კუჭავა?

— ანზორი კუჭავას რა ხანია ყავს

კოლ-შვილი, ანზორი გვარამია, სუხუმში რომ სწავლობდა.

— სუხუმში კი არა, სოხუმში. — გაუსწორა ჩიმიმ.

— რა მნიშვნელი აქვს მაგას, — დაეთანხმა ემზარ. — იყოს სუხუმში, რას აკეთებ ახლა, მაგალითად?

— საქმე მაქვს. — ჩიმის ერთი სული ჰქონდა, როდის მოშორდებოდა ტექნიკს.

— რა საქმე უნდა გქონდეს ამ კვირადღეს, წაგიდეთ ჩემთან, ქათამე, მაქვს სოფლიდან გამოგზავნილი, სულგუჩნი და კილომ ლომი. გავუაროთ ზაურს.

— არ მცალკა დღეს ნამდვილად. — თქვა ჩიმიმ. — სხვა დროს იყოს.

— მომენატრე, ჩიმა. — თქვა ემზარმა. — არ ვარგა ასე.

— წავედი. აბა. — ხელი გაუწოდა ჩიმიმ. — მაგრათ იყავი.

— გამხდარი ხარ ცოტა. — თქვა ქეკიამ. — თუმცა გიბდება კიდევაც, კარგად იყავი. წავედი ახლა. გაუვლი ზაურს, სახლში იქნება. ნარგიზას ქორწილში წამოდი აუცოლებლად.

ჩიმიმ თავი დაუქნია და მობრუნდა.

— ნუ დაიკარგები, ჩიმა. მთლად: არ ვარგა ასე. — დაადევნა ემზარ ქეკიამ.

ჩიმი ფალავას, ცოტა არ იყოს, შიოდა. მაგრამ არსად წასვლა არ უნდოდა. ნელი ნაბიჯით აუყვანდა ისევ ლენინის ქუჩას. ფილარმონიასთან მკლქი-შეილის ქუჩას დაადგა უჩივირსიტეტის ბაღში თბილისელი ბიჭები ეგულებოდა...

უჩივირსიტეტის ბაღიდან დათუნამ, გუჯამ, ჩიმიმ და ნიკამ დათუნასთან „აპკრეს“ ახალი ფილმის სანახავად. ფილმი მართლაც საინტერესო გამოდგა. ჩიმიმ საათს დახედა: რეის თხუთმეტი წუთი იყო. ფეთიანივით წამოვარდა. ბიჭებს არც კი დამშვიდობებია, კიბეზე ისე დაეშვა.

ვერაფრით მანქანა გვერდგაჩერა. ბოლოს. იმედგადაწურული, ხალხით პირამდე გადაჭვდილ ავტობუსს შეახტა. კიდევ კარგი. ვილაც წაესმარა, ზურგზე მიაწვა და ავტობუსში შეტენა. „ეს

რა ვქენი, როგორ შევრჩი აქამდე“, — თავისთავზე ბრაზობდა ჩიმი, დანაშაულის ნების იმდენად არ ეშინოდა, მაგრამ დილანდელი გაუთავებული და გაწიკწიკებული ტანსაცმელი ერთიანად მომჩვარა. ვილაც კვლავ მოაწვა ზურგზე, ვილაც წინ ჩაუდგა და გასაქანი არ მისცა. ვილაცა გვერდიდან წინ გაწევას ლამობდა.

— რა მოგივიდათ. ხალხო! — ყვიროდა ვილაც ქალი. — სულ დაკარგეთ ნამუსი!

— რა ვქნათ, ქალბატონო, ჩვენც გვაწევებინ. — პასუხობდა ნადრეველ გაჭაღრაკებული. ფერმკრთალი კაცი, რომელსაც თითქმის ყველა კბილი ოქროსი ჰქონდა და ნარბენივით ღრმად სუნთქავდა.

ჩაღიხართ თქვენ? — ჰკითხა ქალარა მამაკაცს შლაპიანმა, გამხდარმა, გაყვითლებულმა, გაურკვეველი ასაკის მამაკაცმა.

— ჯერ არა, — უპასუხა შეგვერემანმა.

— აბა, მე გამატარეთ.

— მობრძანდით, თუ გახვალთ.

— გამიშვი ერთი, გენაცვალე. — ახლა ჩიმის მიმართა შლაპიანმა, ჩიმიმ გვერდით მიიწია. შლაპიანის გატარება სცადა. ახლა გვერდიდან მოხვდა ვილაც ქალის ქიმუნჯი და ბრაზიანი ამოხვნეშა.

— ცოტა ფრთხილად არ შეგიძლიათ?

— მაპატეთ, ქალბატონო, — შეწუხდა ჩიმი. „როგორი ფერი აქვთ. რა ჰქირთ ნეტა“. — მამაკაცებზე ფიქრობდა ჩიმი.

როგორც იქნა, ჩამოხტა ავტობუსიდან. აჩაჩული პერანგი გაისწორა, მერე სწრაფი ნაბიჯით აირბინა საბაგირო გზის შესასვლელ კორპუსთან, სვეტს მოუფარა და შარვალი დაიფერთხა, ფეხსაცმელები ცხვირსახოკით გაიწმინდა, პერანგი კვლავ გაისწორა, თმები გადაივარცხნა და კინოს სახლთან ნელი ნაბიჯით გამოვიდა. რვას თხუთმეტი წუთი უკლდა. კინოს სახლთან უამრავი ხალხი ირეოდა. „მოვასწარი“, სიხარულით გაიფიქრა ჩიმიმ და თვალთ რევისორ ჩახ-





ტაურს დაუწყო ძებნა, რეჟისორი ჩახტაური არ ჩანდა. ჯიმი შესასვლელში მოაჯირზე დადგა, ფეხის წვერებზე აიწია, სათითაოდ მოათვალიერა ხალხი. არა, ჩახტაური ჯერჯერობით არ ჩანდა. ძვირფასად ჩაცმული, უპირატესობის გრძნობით დამშვენებული და დადარბაისლებული ადამიანები ხმადაბლა, ღიმილით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, შესასვლელისკენ დინჯად მოიწევდნენ. ჯიმმ რიგში ორქოსებილებიან მამაკაცსა და შლაბიანსაც მოკრა თვალი, „ესენიც კინოში შემოდიან“, — გაიფიქრა გაოცებით და ისევ რეჟისორ ჩახტაურს დაუწყო ძებნა.

უცებ მაიკოს მოკრა თვალი და გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მოაჯირიდან სწრაფად ჩამოხტა და გოგოსკენ გაეშურა. თუმცა ჩახტაურის გამო საშინელ გუნებაზე იდგა, „რომ არ მოვიდეს, რა უნდა ეუთხრა, რა წყალში ჩავეარდე“. გამწარებული ფიქრობდა ბიჭი.

მაიკო მოვიდა, თითის წვერებზე წამოიწია და ჯიმის ლოყაზე მსუბუქად აკოცა. ბიჭს გააყრუოლა, თავბედს იწყველიდა. — „როგორ დამაღალატა,“ — ფიქრობდა ჩახტაურზე — „რა მეშველება?“

— იშოვე მოსაწვევები? — ჰკითხა გოგომ უზრუნველად.

— უნდა მომიტანონ — თქვა ბიჭმა და ყურებამდე გაწითლდა.

— მაიკო! — დაუძახეს ამ დროს. მაღალი, თხელი ბიჭი და ქერა, შავ კაბაში გამოწყობილი გოგონა მაიკოსკენ წამოვიდნენ.

მაიკო მოსულებისაკენ გაიწია, ორივენი გადაკოცნა. ბიჭს რომ კოცნიდა, მარცხენა ფეხის წვერზე წამოიწია, მარჯვენა მუხლში მოხარა და ისე აკოცა.

„რა ლამაზია, რა მეშველება“, — ფიქრობდა ჯიმი ფაღავა და ქუჩას გაფაციცებული უთვალთვალებდა.

— არ გრცხვენიათ, როგორ დაიკარგეთ. — ამბობდა მაიკო.

ჩვენ თუ შენ! — პასუხობდა გო-

გო. — საუკუნეა არ გამოჩენილხარ, შემოდინხარ? სასწაული ფილმი ყოფილხარ?

— ვაპირებთ, — თქვა მაიკომ. — როგორ მომენატრეთ.

ერთი წამით ბიჭმა და გოგომ მუშტრის თვალით ჯიმის გამოხედეს:

— მოსაწვევი გაქვს? — იკითხა ბიჭმა — თუ არ გაქვს, მე შეგიყვან.

ჯიმი ფაღავას ერჩია, მიწა გახეთქოდა. რვა საათი შესრულდა. ხალხი თითქმის შეიკრიბა დარბაზში, გარეთ მაიკო, ლამაზი წყვილი და სულ რამდენიმე კაცი იდგა. რეჟისორი ჩახტაური არ ჩანდა. ჯიმის უეცრად თავბრუ დაეხვა, ერთი წამით გაახსენდა, რომ მთელი დღეა ლუქმა არ ჩასვლია პირში. „რა უნდა ვქნა“? გამოსავალს ეძებდა ბიჭი. „რა იდიოტი ვარ, რა დროს შემშლილია, ნეტა მოვკვდებოდე ასე, უბრალოდ, გული გამისკდებოდე და მოვკვდებოდე“.

— შევედით აბა, ჩვენ, — თქვა ქერა გოგომ.

— თუ გინდა, შეგიყვან, ერთი მოსაწვევი ზედმეტი მაქვს. — არ ცხრებოდა ბიჭი.

ჯიმი ფაღავას ფერი აღარ ედო სახეზე.

— აბა, დროებით. კინოს მერე გნახავთ, — დაემშვიდობა მაიკო წყვილს და მობრუნდა. ჯიმი წაქცევაზე იყო.

— მოგიტანეს? — ჰკითხა ჯიმის და პასუხს არ დალოდებია, ისე გაავრძელა, — ჩემი კლასელები არიან, ნოემბერში აწერენ ხელს. არ შევიდეთ?

— იცი რა, — დაიწყო ჯიმმ და სიმწრისგან ჯიბეში ხელეები ჩაიწყო, ჯიბიდან პატარა პრილა ქალაღი ამოყვა, ჯიმმ უნებურად ქალაღს დახედა. დიახ, სასწაული მოხდა, ჯიმის ორადგილიანი მოსაწვევი ეჭირა ხელში.

— გენიალური ბიჭი ხარ! — მაიკო წამოიწია და ჯიმის აკოცა, ზუსტად ისევე მსუბუქად და მომხიბლავად, მარცხენა ფეხის წვერით წამოიწია და მარჯვენა მუხლში მოკეცა. — შევიდეთ, არ დავგავკვიანდეს.



ჯიმი ფალავა დარბაზში შევიდა, დაჯდა მაიკოს გვერდით. ფილმი დაიწყო. „სასწაული მოხდა“, ფიქრობდა თავისთვის, „სასწაული მოხდა“, და ეკრანს შესტკეეროდა, თუმცა ჯიმი ფალავას ფილმი არ უნახავს.

გაჩერებაზე შავგვრემანი და შლაპიანი ფერმკრთალი მამაკაცები იღვწენ და ჩუმად საუბრობდნენ.

— იყო რამე? — იკითხა შლაპიანმა.

— ბევრი არაფერი. ერთს ჰქონდა შვიდი თუმანი, მეორეს ხუთი მანეთი და კინოს მოსაწვევი.

— მერე?

— შვიდ თუმნიანს ჩავუდევნი ჯიბეში.

მამაკაცებს უხმოდ გაეცინათ.

— შენთან? — იკითხა შავგვრემანმა.

— ბევრი არაფერი.  
გაჩერებაზე გადაქედილი ავტობუსი გაჩერდა. მამაკაცები კარებს მიაღვწენ...

— გამოჩნდრ! არ დაიკარგო, — მაიკო წამოიწია და კვლავ აკოცა ჯიმის — ხვალ მთელი დღე სახლში ვარ. — მერე ქუსლების მოხდენილი ბაკაბუკით შესრიალდა სადარბაზოში. ჯიმი ფალავა სახლში ფეხით ბრუნდებოდა. „რა უცნაური დღე იყო, — ფიქრობდა გაბრუნებული ბიჭი. — რა უცნაური სიზმარი იყო. რამ დამასიზმრა ნეტა“.

ჩემი აზრით, ჯიმი ფალავას ამაღამაც დაესიზმრებოდა საკუთარი სოფელი, გამზრდელი ეზო-ყურე. წესით უნდა დასიზმრებოდა, საერთოდ თუ კი დაძინებოდა ამაღამ.



ენი არსენიძეს

თქვენ სთქვით, ჰყვარდნენ  
გვირილები კოლხეთს ჰყვარდნენ.  
სთქვით, რომ ეკიდნენ  
ზარებივით ცაზე მერცხლები,  
მერე სთქვით ისიც,  
რომ უეცრად შეივერცხლებით,  
მერე დაგიქნეთ  
ხელს ქარონი ცივ სალამოდან.

მწვანეყვავილა... გაღმა ჭაბათა,  
საფიჩხია... გაღმა ჭაბათა,  
თქვენს დაღლილ მზერას  
სხვა ხედები გადაახატა  
უქანასკნელად  
სიხარულთან დამშვიდობებამ.

თვალს მებლანდება  
გარდასული — ხსრენის ოზობა,

თქვენ სთქვით, ჰყვარდნენ  
გვირილები, კოლხეთს ჰყვარდნენ.

სიტყვების გამოხმოება

მომზადენით, მოემზადენით,  
სიტყვებო, როკვად მოემზადენით,  
დანთებულა ცისთვის სანთელი,  
სიმყუდროვეა ირგვლივ სამარის.  
არ ატანს ფიქრში მზის ნატამალი,  
ქარის სიმღერა მიწყდა ფრთამალი,  
ქარის სიმღერა მიწყდა ფრთამალი,  
წითელ ტრამალზე გადანაფენი.

ცრემლი ვარ შენი მეც საოცარი,  
მიზეზი გვემის — ცრემლი ცინცხალი,  
ჭარაშენი ცეცხლი, ცეცხლი მიმცხრალი,  
საშიშ სიმართლეს ნაზიარები.  
რეკენ სმენაში დროის ზარები,  
დროს მეც ვუყვარვარ და ვეზარები,  
დრო გადის, რჩება დროს სიზმარების  
ცივი ნაკრტენი დაუვიწყარი.

ზღვა დაცხრა ავად აზავთებული,  
ისე დიადი, ისე მეფური,  
...ეს სიჩუმეა, თუ უნებური  
წარღვნის წინ წამით სდუმან ყოველნი.  
მომელი ვიცი, ვიცი მომელი,  
ჩემში, ჩემს გამო ცხოვრობ რომელიც...  
მომელი ვიცი!.. ვარ მიმწვდომელი  
შენში ნათების, ღვთით დანთებულის.

რჩება დროს სიტყვა დროის მძლეველი,  
წყვდიადში სხივის მიმომბნეველი,  
დრო თავის თავში დაუტეველი  
მიდის — მდინარე მარადმდინი.  
როცა სიკვდილის დამეუფლება  
მწუხრი — მომეცი ერთხელ უფლება  
შენ ერთს, შენ გითხრა, შენ ერთს,  
უფალო,  
მადლობა, ვინაც მწვაგ აბედივით.

ასე მგონია, შენ ერთს ჩაგესმის  
ლაღადი ჩემი მლოცველ ბაგესი,  
ასე მგონია, თითქო დავეცი,  
დავეცი თითქო და კვლავ აღვზევი  
შენით, მაღალო! თიხის თასებით  
ნექტართან ერთად შხამსაც მასმევდი...  
სისხლი ვარ, შენს თბილ გულს  
დანაწრეტი  
მოკვდავის ცოდვით უუკვდავესი.

მადლობა. თვალში გაკრთა ცრიატი  
საგნის, სიშორის, სივრცის, წყვდიადის,  
მოგიხმობთ სიტყვებს და იშვიათი  
ვნებით სხეული თრთის და მევესება.  
ღრიალებს ტვინში ცივი კრატერი...  
არ ვიცი ჭერაც, საით გამდენით,  
მოგიხმობთ სიტყვებს! როგორც  
კანდელი  
ხატს. — თქვენი როკვა მეალერსება!

თვალი მატყანეს მილულვია,  
 მიწიდან მკრთომი სინათლეა,  
 ფაზისი უშრეტე ბინუღია  
 კოლხეთი მითია... სიმართლეა.

წარსულით ვადმოლაჯა დევმა,  
 სუნი მოიტანა ხანძრების მქისი...  
 ფაზისთან ფიქრი ამედევნა  
 სრულიად საქართველოსი.

წუხელის ანას  
 მიკითხავდა მეზობლის ქალი,  
 ფერად სიზმრების  
 მიმოქროდა ჩემს თვალწინ რალი.  
 მეუბნებოდა:  
 ბედნიერი ხართო მგოსნები,  
 გიკრთითო გულში  
 მირიადი ვარსკვლავის კვარი.

ჩივის კაბაში  
 გიშინი სხეული უთრთის,  
 მეზობლის ქალი  
 სულ რაღაცა ათიოდ წუთით  
 იდგა ჩემს თვალწინ,  
 ხასხასებდა და შრიალებდა,  
 როგორც კოლხეთში  
 ნამყენი ხე რტოსავსე თუთის.  
 წუხელის ანას  
 მიკითხავდა მეზობლის ქალი.

### ოთხი სონეტი

ჩვენ ერთმანეთს მოვადექით ნაპირს ქურდები,  
 აღმა დინებას შევარკინეთ თეთრი აფრები,  
 ერთმანეთისკენ გავეშურეთ და გამძაფრებით  
 ერთმანეთს ქებნა დავუწყეთ და დასაკუთრება.

რა არ გვაჩუქა ერთმანეთის პოვნის წუთებმა,  
 რა არ გვაჩუქა!.. ათინაც და ორიც ნაპირი,  
 ჩამოტანტალდა ცის კიბეზე ბაეშვი-აპრილი,  
 დაეტყოთ ხეებს უცნაური აფუთფუთება.

რა არ გვაჩუქა ერთმანეთის შეყრამ, დანახვამ,  
 განახენა ცანი, ღამეს შუქი ჩამოატბორა,  
 აბიბინება იწყო შენი ცრემლის ბალახმა,  
 შენი სხეული ნეტარებით ცამ გაათბო-რა.

რა არ გვაჩუქა ერთმანეთის ნათლით ნათლობამ,  
 მთვარით ავსებამ, მზით დათენთვამ, ქარით დათრობამ.

გაგინაპირდი, გაგერიდე — ხანით მცირედით  
 თოვლის უდაბნოს ავედევნე თვალნაცდუნები,  
 დაებორიალებ სიწყნარეში და ზუბუნებენ  
 დეკემბრის თოვლში მთები, მთები მოზიმზიმენი.

დაფარულია თეთრი ზეწრით ამერ-იმერი,  
ფიქრში სრულიად უნებლიე გაჩნდნენ ღრმულები,  
გამომღმეველებენ კავკასიის გრძელ ქედს დაბმულები  
ქარები როცა! — მყუდროება შენი მიმელის

უკან მიქცეულს შენს წიაღში (მაღალ ფიცივით),  
ტაძარში, — ზემო ატყორცნილი რუხი კედლებით  
მიმელი... ხილვა ამათროლოებს, ხილვა ედემის...

დაგებულია სიყვარულის ყველგან ფაცერი...  
ამ ლამაზ ხედებს სიზმრებიდან ვეღარ ვიცილებ,  
თვალეებში შენი ჩამომცქერის ცა აღმაცერი.

ბალის კიშკარი გადავრაზე რკინის ურდულით,  
ღღე ისე მალე გაილია, ისე გასრულდა,  
შეაბიჯა და მერე ისე ფრთხილად გაცურა  
ღამეში ფიქრმა, რომ ვერაფერს გრძნობს გაგუდული

სამყარო სმოგით. დუმილია ირგვლივ ქურდული.  
მინდა ხმამალა დაგიძახო, ვიდრე აღსრულდა,  
ვიდრე გარდღეიქმენ მოგონებად, ვიდრე წარსულად  
ვიქეცი; ვიდრე ამოხაზა ჩიტთა ელურტული

გულში გარდასვლის გაქრალებამ და მომავლის  
არ დამედირა ვიდრე ჩრდილი ცივიც, განმსჯელიც —  
მიყვარხარ, ვიდრე დროს ეკუთვნი ჩემსას საშინელს,

არ დადებია ვიდრე ლტოლვას ჯერაც სამანი, —  
ჩამკიდე ხელი, ჩემი ჯვარცმა ნუ შეგაშინებს,  
ნუ შეგაშინებს ჩემში მკაცრი ხმა გადარჩენის.

როგორც ღრუბელი გაზაფხულზე ღბილი ფოჩებით,  
როგორც მზის ჩქერი მორიალე ფერთა ცრიატში,  
ისე მეწვიე ქაოსიდან, ისე... წყვილიაღში  
თითქო ნათელმა გაიარა ოქროს ქოშებით.

ქართლზე ნისლები შრიალებენ — თეთრი დროშები,  
დამფათქუნებენ თბილი წვიმის მხრებზე ჩიტები,  
ჩემს დამშვიდებას ნუ ეცდები... ვერ დავმშვიდდები, —  
ზღვა ვარ და ლეღვა მაქვს მისჯილი დროგამოშვებით.

სიჩუმეცა ვარ გალურსული და უცნაური,  
ვარ აღტაცება აქაურიც, არ აქაურიც,  
ვარ გამბედავი ღრიანცილიც და შემზარავი

ამოძახილი გრიგალების და ქარიშხლების...  
ახლა კი, როცა განკითხვის წინ ვდგავარ შიშველი,  
ბრძას, — შენს კარავში შერიყვანოს — არ მყავს არავინ.

პას სინანული

(ქალაქური ნოველა)

ბრუნავს ფირფიტა, — უკრავენ შუმანს  
და ქალი ფიქრობს: „ამ ჩემმა ტლუმა

ეს რომ გამოგოს!.. რაღა ვქნა მაშინ?! —

ველარ გამოგებს“ — ენდობა გუმანს.

ქალი შეერთა და წამოდგა უმაღ  
და ღამეს, როგორც მოწვეულ სტუმარს  
გაულო კარი, — ხეები სდუმან...

ქალი შეპყურებს მკერდასვე ღრუბელს.

რომ გადუხსნია მთვარისთვის უბე...

ოთახში ზღვია, — უკრავენ შუმანს,

გარეთ ვეება სიჩუმე სუფევს.

ეზოა თითქოს მდუმარე კუბე

გრძელი ვაგონის — ღამის — და ტყუპებს

გვანან ხეები, ერთნაირ გუბებს

რომ ჩააცმევდნენ წარსულში, წინათ.

ქალი მზადაა, — ელის და ბრწყინავს,

თრთოლით შეპყურებს მკერდასვე ღრუბელს,

რომელშიც მთვარე დაცურავს ცქვიანად...

ქალი ელის და... ის კიდევ, ვინაც

უნდა მოვიდეს, — არ ჩანს და მძინარ

ეზოში უკვე კრთის ნამის მიწა...

და აივანზე ბოლთას ცემს ქალი:

„ღღე როგორ უნდა გათენდეს ხვალის?!“

ქალაქს კი, როგორც წარსულში, წინათ —

ღრუბლიდან მთვარე დაპყურებს მთვრალი.

და ქალი ელავს, — მძივები ღალის

თითქოს ახრჩობს და მწუნარე თვალით

გაპყურებს ეზოს, ოთახში ბალიშს

ასდის ლოდინის მხუთავი ბოლი,

კედლებსაც გასდევს ლოდინის ზოლი,

ლოდინის ცეცხლში ბოლთას ცემს ქალი,

ცრემლით ევსება თვალების ბროლი...

ძველი პიესა და ძველი როლი:

სხვის ქმარს მოელის აქ სხვისი ცოლი, —

მასაც მოუნდა სხვის ქმართან წოლით

ტკბობა და ელის... ის კიდევ არ ჩანს

და ჰგავს ლოდინი ლოდების მხარშავ

ქებას და აუდის მხუთავი ბოლი...

ქალს თითქოს ტანზე ეწვება ფარჩა...

ბაღში, შემთხვევით გაიცინო შარშან,  
როდესაც თავის შვიდი წლის ბავშვთან  
დასეირნობდა და ყვითელ თავშალს

აძრობდა ხეებს ნიავე სთველის,  
და ბაღს ავსებდა სინაზე ხმელი...

შუალამეა, ის კიდევ არ ჩანს

და ქალი ელის, ელის და ელის.  
ფიქრით დაკბენილს და დარდით თელილს  
ლოდინის ძაფი, სხივივით გრძელი,  
გაუწყდა უცებ, — ნერვიულ ხელით

შეაღებს კარს და ოთახში შევა. —

იქ, როგორც ყურძნის გათქვირულ მტევანს, —  
ქალს აათრთოლებს ნიავე სთველის,

ნიავეს ძველთაგან ესა აქვს ჩვევად,

„ფუჭია დარდი და ცრემლის ფრქვევაც!

შაინც მომიწევს ამ ღამის თევა. —

ცოდვა გაღვეს და ღირსი ხარ, ევა!“ —

თქვა ქალმა გულში. ნაღველით სავსე  
გაიხდის კაბას, გადაჰფენს სკამზე

და ფიქრში, როგორც ოთახში შევა

და ცივ ლოგინში ჩაწვება წამსვე.  
პირქვე დაწვა და ხალიჩას დასცქერს.  
დაემსგავსება ფიქრების საცერს:

„მე გველო, შხამად შეგერგოს, რაც მე...“

ნუ ელი ჩემგან ხვეწნას და ნუკვას!

მზე დაგიბნელოს ქარმა და ბუქმა!

სულ ყოფილიყავ ნაღველით სავსე

და ბელტად გექცეოს ყოველი ლუქმა!“

ბრუნავს ფირფიტა ამოდ, უქმად, —

იქ უკვე შუმანს არავინ უკრავს...

ქალი იხსენებს: „ორი თვის უკან

ვკითხე: ოთახში შეხვალ და უცებ  
ხედავ, რომ შენს ცოლს სხვა კაცი უწევს... —

მოუსმენ იმის ხვეწნას და ნუკვას?

რას უზამ? დანას არ დასცემ გულზე? —  
მე მოველოდი იმისგან გულწრფელ  
პასუხს, ის კიდევ ითვლისო ბუზებს  
და თითქოს გული აღარც კი უცემს,

და უსმენს რაღაც ძველმოდურ ჰანგებს

იქ, იმ კაფეში... მე სულაც განგებ

ვკითხე: ოთახში შეხვალ და უცებ

ხედავ, რომ შენს ცოლს ვიღაცა, აგერ...

რაღა ვითხრაო, ძვირფასო, აგეთ

კითხვაზე?! ცოლსო? ჩემს ლექსში ნაქებ

ცოლს ვერ მოვკლავო, მოვჭრიო ბაგეს,

რითაც კოცნისო იმ თავის კუროს,  
თავში არც იმას ჩავცხებო უროს

და მშვილად უსმენს ძველმოდურ ჰანგებს.

1 ო, შე მასხარავ! ლატაკო! მდგმურო!..“

გარეთ თენდება და მინდორს რუ რომ  
გასდევს, ისე ჩანს ფანჯრიდან სურო...

ქალს კიდევ უნდა ფიქრები წუროს:

„ჩემთვის კი უჭირს ლექსების მოძღვნა.

შხამად შეგერგოს შენ ჩემი ლოცვა!

ცხვირს წავაჭრიო იმ თავის კუროს, —

უფრო ადვილად შესძლებსო კოცნას!

ბიუს თავი მოაქვს პოეტად, მგონად.

ეხ, შურს ვიძიებ, ამისთვის დროც მაქვს,

თუმცა არა ღირს... რად მინდა: ოცმა

დღემ ჩაიარა მას შემდეგ, რაც ის

მოსელას მპირდება... გათავდა! აწი

(რატომ უჭირდა ლექსების მოძღვნა?),

ჩემს ქმარს იმაზე როგორღა გავცვლი?! —

ღამის დარაჯად მუშაობს კაცი. —

რა ქნას?! გეჭირს და... გუშინწინ “ნადვი“

გაყიდა... ხომ აქვს მის ნახატს ფასი?!“

ქალს დაეხვია ფიქრების მუშლი:

„მუშაობს, ხატავს, ოჯახსაც უვლის.

ის კი ვინაა?! მას შემდეგ, რაც ის

მოსელას მპირდება... სულ უჭირს ფული...

ცხვირს წავაჭრიო ფანგიან ტულით

და ჩაუვლებო ვარდით — გულის

ჯიბეში... მხდალი! ლაჩარი სრული!

ვერ მოკლავს!!! როგორ დაიდებს ცოდვას?!  
ნერვებზე მოგშლის იმისი ბოდვა:

რა იქნებოდა ამაზე ბრძნული,

ცხვირმოჭრილი რომ მივაო ცოლთან!“ —

წრიალებს ქალი. — ლოგინში ბოლთას

ცემს, ვერ ისვენებს, ფიქრები შოლტავს

და მოგონების მელნისფერ ზოლთა

ბრჭყვინვაც თვალს კრის და უტყდება ძილი, —

ანათებს მისი ფიქრების ცვილი:

„პოეტი როგორ დაიდებს ცოდვას!

რა უძლურია ეს წიგნის ჩრჩილი!

პურის მცობელი, გლეხუჭას შვილი!

ამყამად ალბათ თონეში ფქვილით

მოთხვრილი დგას და... მოვალო! ტყვილი!

ტყვილების გუდა!.. ელოდოს დაფნას!..

ღამით თონეში მუშაობს... რა ქნას?! —

მდგმურია... დღისით უტყდება ძილი, —

აგრძელებს თავის ლექსების ჯღაბნას.“

ფიქრი გადქეცა ქალს ციხის საკნად

(დაღალა ხსოვნის ბილიკის კლავენამ):

„რად განვიზრახე ქმრის ასე ჯაბნა?!“

რად გადავწყვიტე ღალატი მისი?!“



ლამით დარაჯად მუშაობს, დღისით  
ხატავს... ის კიდევ ელოდოს დაუნას! —  
მისი ლექსები არავენ იცის...  
ექვიანობსო ცოლი და სიცილს  
იწყებდა, — შენი ქმარივით ისიც  
ერთგულიაო! მე კიდევ ფიცი  
გავტებე ლამის. — გამხადა მშობლად,  
არ ჩაუღვია არასდროს ბოღმა...  
როგორ ვიფიქრე ლალატი მისი?!“ —  
შუბლზე დაასხა ქალს ჭირის ოფლმა:  
„ის ვაჟკაცია, — მაშინვე მოკლავს  
ცოლის საყვარელს და შეილსაც ობლად  
დატოვებს ჩემგან, — მომისპობს ყოფნას...  
ექვიანია, ოხ, დიდი რამე!  
ღმერთო, კინაღამ სირცხვილი ვჭამე...  
ქალად მაქცია, გამხადა მშობლად, —  
ვაი, ჯანაბა და შავი ქვა! მე!“  
და ჰა, გათენდა, წავიდა ლამე.  
ჩიტები უკვე ფოთლების ჯამებს  
უსხედან — ნამის ზელაშენს სვამენ.  
უეცრად კართან წკრიალებს ზარი.  
ვინ უნდა იყოს?! — ქმარია, ქმარი. —  
დაიგვიანა, ოხ, დიდი რამე!  
დაღალული და უძილო არი!  
გარეთ ოქტომბრის ღილაა წყნარი.  
ქალს დაეფანტა ფიქრების ჯარი.  
უნდა ადგეს და გაუღოს კარი.  
ივიწყებს ნაღველს და უხვად დაღვრილ  
ცრემლს, — უნდა შეხვდეს მეუღლეს დაღლილს.  
კართან გაბმულად წკრიალებს ზარი.  
კართან საბრალოდ წკმუტუნებს ძაღლიც...  
კარს აღებს ქალი ვითომდა ლაღი,  
მაგრამ სისხლიან მეუღლის ნახვით  
ელდა ეცა და თავს კედელს ახლის:  
ქმარი კარებში უცხვიროდ იდგა,  
ჰგავდა ხაფანგში მოყოლილ ვირთხას...  
ხმას არ იღებდა და უხვად დაღვრილ  
სისხლს შეეღება პერანგი წითლად.  
არ უწვილია ქალს, არა, დიდხანს, —  
ის გაახსენდა და მისი სიტყვა...  
და გაუარა მაშინვე ფითრმა.  
სიცილი წასკდა შეცვლილი ნირით, —  
კისკისებს ქალი, ქმარი კი ტირის, —  
საწყალი კაცი უცხვიროდ იდგა,  
გულის ჭიბიდან უჩანდა ცხვირი.

## დ ლ ე

ცალა მასწავლებელს ღია ულოსფე-  
 რი კაბა ეცვა. უცხო რამ ჩანდა, ხავერდო-  
 ვანი და შესახებად, ალბათ, გრილი  
 კიდევ. ეს ფერი იყო თუ ოდნავ ტლან-  
 ქი და მაინც მოხდენილი, შეკრული  
 სხეულის ჭველი სიჯანსაღე, თვალს უამ-  
 ებდა. უბრალო, ღია თვალმაყვალა სა-  
 ხეშიაც იყო რაღაც მყარი და სანდო,  
 რაც გამშვიდებდა, უმკლავებოდა კი-  
 დევ ამ რამდენიმე ათეული მშობლის  
 ალთაბალთა ჩივილსა და საწუწუნოს,  
 რომ საბოლოოდ ისევ თავშეკავებუ-  
 ლი, გარემოებას ფხიზლად შეგუებული  
 გასაუბრების კალაპოტში მოექცია.

კრება დამთავრდა და ნელინელ გაიკ-  
 რიბნენ. კლასში რამდენიმე მშობელი-  
 ლა დარჩა. თვითონაც ვიწრო, ბავშვურ  
 მერხში ჩაკვებულს, წელი ველარ აეთ-  
 რია, უფრო სწორად კი, ახლა აქ მყუდ-  
 როდაც ეგრძნო თავი. რა კარგი იყო,  
 თუნდაც ორიოდ წუთი, აი ასე, თვალ-  
 ღია თვლუმა. ის მამოძრავებელი მექანი-  
 კური ზამბარა მოუდუნდა, ბედის განა-  
 ჩენივით შეუფერხებელი და უმოწყა-  
 ლო, მის უკვე დამძიმებულ და მაინც  
 თითქოსდა უწონად არსებას დღი-  
 დან დღემდე რომ ასე, თავის ნებაზე  
 განაგებდა.

დღეს ჭერ დილიდანვე, ფანჯარაში გა-  
 ყო თავი თუ არა, „გაითიშა“. და იზლო კი-  
 დევაც — იმ ოციოდ წუთით ადრე „ნე-  
 დეს“ ფხენილით სულ გულდაგულ ნა-  
 ხეხ, ახლა შევჭერელ, მიმწვარი რძით  
 ერთიანად მორიალებულ გახჭურას,  
 სწორედ იმის მერე იყო, ჩლუნგი ზიზ-  
 ლით რომ დააჩერდა... მანამდე კი ლო-  
 ჯიის ფანჯარა გამოაღო და — გაბრუდა,  
 ისეთი სიმსუბუქით ეშვებოდა ეზოს და-  
 ბეტონებულ სიღრმეში მზით გაჯერე-  
 ბული ჰაერის მოციმციმე, კამკამა ჭავ-

ლი, ირეკლებოდა იქ, ქვემოთ, მწკრი-  
 ვად გაშლილი მანქანების მჭახე სიგულუ-  
 ვეში, რომ მათ უკან პატარა შუქჩრდი-  
 ლიან მწვანეში რბილად ჩაბუდებული-  
 ყო. ისევ მწვავედ, როგორღაც მოუთ-  
 მენლად აუწრიალდა დაუკმაყოფილე-  
 ბელი ნდომა: ჭერ ერთი, იცოდა, ეს გა-  
 ზაფხულიც ისე შემოეღეოდა, სულ  
 მცირეოდენადაც ვერ დაიოკებდა მის-  
 დამი ძველისძველ მწყურვალებას. ვერ  
 ჩაწვებოდა ამ თავის საპყრობილე-  
 დან მის ჭეშმარიტ, იქ, სადღაც, მძლავ-  
 რად ამეტყველებულ ფერ-სურნელს.  
 მერე ისიც აწუხებდა, მეგობრის საფ-  
 ლავზე რომ იასამანის ტოტი ვერ  
 მიეტანა. ილეოდა იასამანიც და აკი  
 არც ერთი ყვავილი არ მსჭვალავდა  
 ისეთი ცხოველი, მძაფრი სინა-  
 ზით, არ უმქლავებდა რაღაც დაფარულ  
 ნიშანს უხრწნელი სულიერებისა, თით-  
 ქოსდა იღუმალად მიმოქცეულს ბუნე-  
 ბაში, როგორც იასამანი.

ცალა დამრიგებლის მაგიდასთან და-  
 დანიძის მშობელსა და, ქმარი რომ ავა-  
 რიაში დაღუპოდა, იმ ხატვიით შავოსანი  
 დედაკაცის გვერდით მუცლით მეზღა-  
 პრე კაკანებდა. ბავშვმა კი უთხრა, ლა-  
 შას დედა მუცლით მოლაპარაკეაო, მაგ-  
 რამ აქამდე არც ენახა. მართლაცდა, ყო-  
 ველთვის უნდოდა გაეგო, რა იყო ეს  
 აუხსნელი საოცრება და, აი, არ გაუმარ-  
 თლა: ის, რასაც ასეთი კატეგორიული  
 ტონით, სხაპასხუბით ისროდა პატარა  
 ლტყებპარიალებული ქალი, მისი უყო-  
 ყმანო, შებრტყელებულ სახეზე მკვეთ-  
 რად მოძრავი ბაგე წარმოთქვამდა. ყუ-  
 რი მიუგდო, ლაპარაკი კლასის დამრი-  
 გებლის მიერ ჭერ კიდევ წლის დასა-  
 წყისში დაწესებულ სამორიგეო გან-  
 რიგს ეხებოდა. საქმე კი იმაში მდგომა-

როგობდა, რომ ამ უმცროს კლასს დამლაგებელი ფაქტიურად არ გააჩნდა. ერთი სიბერისაგან დაფეხვილი ვიზალა ზემო საბურთალოს ფართო დერეფნებს თუ ყოველდღიურად გამოგვიდა და გულუღვრულ ცოცხლ მასწავლებლის მაგიდასთანაც გააფხაკუნებდა, თორემ მთელი კვირის მანძილზე (ციალას მკაცრად მოქმედი განრიგით კვირაში ერთხელ წყვილი მშობლის გამოცხადებას გულისხმობდა) მერხების ქვეშ მოყუჩებულ მტვრიან ქაღალდსა და ვაშლის ნაქურჩალასთან ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. ლაშას დედაც, როგორც ირკვეოდა, სწორედ ამას იყო, პრინციპულად რომ ვერ ურიგდებოდა და ახლა გაფართოებული თვლების აღმფოთებული ხამხამითა და წითლად წაწვეტებული თითების ჰაერში ქნევით რაღაც ფურფუტელა თოჯინას აგონებდა ციალა მასწავლებლის აუზგრეველ, მდორე ტალღაზე მჩატედ მოტივტივეს.

— ...ანდა რას ფიქრობს სკოლის დირექტორი, დააყენებ საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე! — გაბედულად უტევდა აუღებელ პრობლემას ლაშას დედა: — მაგალითად, მე, გეკითხებით, კლასი ვალავო თუ სკენაზე გამოვიდე?!

„მსახიობია... დეკლამატორი იქნება“, — რატომღაც გაიფიქრა. ახლა კი თავს ძალა დაატანა, რომ იმ ვიწრო, ხაფანგით მერხიდან ბოლოს და ბოლოს ამომძვრალიყო, მაგიდასთან გაჩერებულთ ჩაუარა — კაბაშეხუნებულ პაშა ლაღანიძეს, მუდამ მთხოვნელი, დამრიგებელს მიციციანებული მზერა რომ ჰქონდა, და სახენაღვლიან ახალგაზრდა ქვრივს. მუცლით მებლაძრე ახლა ზურგიდან დაინახა — აბრჭყვიანულ თმაში კოკეტურად ჩაყოლებულ ფერად თასმას მოჰკრა თვალი... დაცარიელებულ დერეფანში დამლაგებლის ერთი მრავალ შვილიშვილთაგანი, იცოდა, ბიჭუნას აზიზა ერქვა, რაღაცას ილუქმებოდა, თან გუგების შავ ნაკვერჩხლებს იმ ბნელ კუთხეში გარეულივით აკვესებდა.

კიბეზე დაეშვა... როგორ გაშლილიყო

ეს ვეება ჰადარი, სკოლის ეზოში რომ მარტოდმარტო, გორიზად იდგა...  
შეეფოთლა ფანჯრის სივრცე, ერთ ტანზე ამოყრილ ტყეს ჰგავდა. ფანჯარასთან გაჩერდა, რაფაზე გახევებული, ღიად დაწინწკლული პეპელა დაინახა, როგორც გასაფრენად გამზადებულს, ისე გაეშალა ჯერ კიდევ ფაფუკი და მაინც უსიცოცხლო, უკვე სიცივემოკიდებული ფრთები.

„ის ქალი გვამით, პირდამუწულიც წარმოსთქვამს, თურმე, სიტყვებს. ეს როგორღა...“ — თავისთვის ჩაილაპარაკა, ისევ გაიოცა, მაგრამ იმის იქით ახლა სხვას ფიქრობდა. სიკვდილი... ისიც წყალობაა, თუ წინასწარ არ შეიცან, როდესაც, აი, ასე (პეპელას ფიტულს შეახო თითი), კვლავ ასაფრენად გამზადებულს გააქავეებს, ისე, რომ ფრთების დაკეცვაც ვერ მოასწრო... იმან კი რა ხანია იცოდა, იმ დიაგნოზის შემდეგ უკვე დანამდვილებით იცოდა, დღეები დათვლილი ჰქონდა. მაინც არ იმჩნევდა... ეს ის მოლოდინია, რომელშიც, ალბათ, ვერავის შეიზიარებ. იმათ ოთახშიაც ჩვეულებრივზე უფრო ფერმიხდილი, მაგრამ ძველებურადვე სახეგაბადრული ხედებოდა. იქ როგორ ელოდებოდა, რაღაც სულშეგუბებული, განწირული ლოდინით... იქ, კედლის უკან, ვიღაცა, ვერ გამოიცინობდი, კაცი იყო თუ ქალი, ღიღინებდა ხოლმე, ესენიც ფეხაკრეფით დადიოდნენ და ეს ჭარმაგი დაუცხრომელი ბავშვი ისე შეჰღიმოდა, თითქოს ყოფილიყოს საშველი, და ამ უცაბედი ჰაერის ყლუპივით წამის მიღმა არ ჩასაფრებულყო ყოველი მათგანის ღვიძლი საზრუნავი, მისი კუთვნილი უსაშველობითა და კვლავაც ჩვეულებრივი, ყოველდღიური, გაუტეხელი სიმარტოვით საესე.

ეზოში ქარი ქროდა, ჰადრის ტოტს გაბზარულ ფანჯარას ისე მიახლიდა, მინა რეკდა, მშფოთვარედ ზრიალებდა ამ ბრინჯაოს ქანდაკებიან, ახლა მიყუჩებულ კიბეზე. ის აკვიტებული ჰანგი ისევ ჩაესმა — შუშანის „პატარა რო-



მანსი“, მისი გოგონა უკრავდა, თვით-  
ნებურად, მასწავლებლის დაუციხხავად  
ტემს უცვლიდა ხოლმე, შენელებულ-  
ში გადაჰყავდა. დაიწყებდა მასწავლებ-  
ლისეულად, მსუბუქად, ოდნავი აჩქარე-  
ბით და ისე შეკრთებოდა, თითქოს  
რაც სტკენოდეს. მერეღა მშვიდდებ-  
ოდა, როდესაც ისევ თავის ნებაზე,  
სულ რწვეა-რწვეით შეუყვებოდა ფაქი-  
ზად სევდიანი, გამჭვირვალე ბგერების  
ნელინელ მარცვლას...

მყუდრო, განსაკუთრებით „ოჯახურ“  
ჩანდა ეს კვირადღე. ქმარმა დილიდან-  
ვე სათვალე გაიკეთა, გადამწვარ მტვერ-  
სასრუტს ტუჩის კენტიითა და ძველებური,  
გულიანი ბუზღუნ-ბუზღუნით, მონდომებით  
ჩაჰკირაკიტებდა. მისი გა-  
ოფლილი სახის გამომეტყველებაში,  
ისევე, როგორც ნაპატეები და მაინც  
უკვე კარგა შემძიმებული სხეულის ყო-  
ველ მიმოხრაში იმ თვალდამალულ,  
გაფლიდებულ ღიმილზე (რომლის ჯო-  
ჯოხეთმა იყო, ქალს რომ თანდათან სა-  
კუთარი ხსნისათვის ჩუმჩუმელა სენი-  
ვით ფიქრი შეუჩინა), იმ ქვემძრომ გა-  
ღიმიებაზე ბევრად უფრო ადრინდელი,  
მათი უხინჯო, გულმრთელი წლების  
უშუალო განწყობა ეცნო. ნაღველი  
უფრო შემოაწვა... ქალი ახლა თავის  
საფიქრალს ფიქრობდა, სწორედ ქმრის  
გვერდით, მაგდასთან, ზედ დახვევე-  
ბულ ხელსაქმეს უჯდა, ერთბაშად მომ-  
დგარი ცრემლი რომ ვერ შეიკავა: მის  
ზურგს უკან, პიანინოსთან, შვილი ირ-  
წეოდა და ბავშვისათვის ასე ჩვეული  
დაუცხრომელი ჩაძიებით კვლავ და  
კვლავ მეორდებოდა ბგერათა მწკრივი,  
რომელშიაც გადარჩენილი მიწიერ  
კვდომას, ის ტკივილამდე წრფელი, ნა-  
ზად მღელვარე სულისტქმა გაისმოდა.

ქმარმა სათვალე მოიხსნა, ისე შე-  
ნობდა. გულღიაობას გადაჩვეულ  
მზერაში, რაღაც რბილად მოალერსე, —  
შებრალება იყო თუ ძველი, აწ უკვე  
მივიწყებული სინანული, — წამით და-  
ინთო და იქვე გაიღია. ისევ ის, თით-  
ქოსდა, მოსეირე, წამქეზებელი ნაპერ-  
წკალი გაუკრთა — ხომ არც არაფერი

უთქვამს, მაგრამ უყვარდა, აი, ასე, ჩა-  
უნებული, კიდევაც დამყვანებელ  
მზერით, გრძნობათა მაცდუნებელი,  
ბოროტეული გამოცდა. ქალმა ზურგი  
შეაქცია, ცრემლი რომ შეემზრალებინა.  
ისიც მტვერსასრუტს მიუბრუნდა, ისევ  
სათვალე მოიძარგვა, ახალი შეძენილი  
ჰქონდა და ცოლმაც იმ წუთში ნიშნის  
მოგებით გაიფიქრა, რომ უსათვალობა  
აღარ შეეძლო...

სკოლის კიბეს ახლა უნებლიედ  
ისევ მალა, კლასებისაკენ აუყვა. გა-  
ახსენდა, ქმრის ბიულეტენზე პოლიკლი-  
ნიკაში უნდა მიეკითხა, უბნის ექიმი კი  
დღეს მხოლოდ ოთხამდე მუშაობდა.  
მაინც არ აჩქარებულა. თუკი შინაგან-  
წესიდან ერთხელ ამოვარდებოდა, მერე  
რაღაც სძლევა, უბიძგებდა არ დამორ-  
ჩილებოდა იმ დაუწერელ განრიგს,  
რომელიც ასე ბუნებრივად და ასე გა-  
მუდმებით ყოველდღიურ საჭიროება-  
თა მოსაწყისრიგებელ უტილიტარულ  
საშუალებად აქცევდა... ახლა ბიჭი  
უკვე მოსულია სკოლიდან, იმ სახელ-  
დახელო სოუსს უგემურად მიჩხრეკ-  
მოჩხრეკს და გაუბრაზდება, ხორციანი  
კერძი რომ არ დაახვედრა. მერე ტანტ-  
ზე საკითხავად მიეგდება, დეტექტი-  
ვით თუ გაიქარვებს უხორცო სადილის  
წაღველს. აკი მამაკაცია! სისხლი თუ არ  
გაყნოსა, ისე ხასიათზე ვერ მოვა...

ზემო სართულზე დამლაგებლის  
შვილიშვილი, ახლა უკვე დანაყრებული  
შავი აზრის ლაღობდა — კიბის მოა-  
ჯირზე სრიალებდა. კიბის თავზე კი  
უხომალდო ღუზების (გაეგონა, ლაღ-  
ნიძე სახატავ ფურცლებს ღუზებით  
ავსებსო) შემოქმედი იდგა. აზიხას უხა-  
ლისოდ შეჰყურებდა, ხელები გაქუცუ-  
ლი ქურთუკის ჯიბეებში ჩაეწყო და  
სწავლა-განათლებაზე გამწყრალი, შებ-  
რტყელებული თავით კედელს მიყრ-  
დნობილი, დერეფნის კუთხეს მფრთხა-  
ლად აპკვროდა. დედამისი სწორედ  
იქიდან, იქსიან განტოლებათა უკუნიდან  
აქეთ, სამშვიდობოს გამოღწეული  
უქანალებით აპრიალებულ ხის მოაჯირ-  
თან საცაა უნდა გამოჩენილიყო. თუმც



ჯერ, სანამ კი ცილა მასწავლებელი საკლასო ოთახში სუფევდა, იქიდან ფხს არ მოიცილიდა. ლაშას მსახიობ დედას, ანუ მუცლით მეზღაპრეს სახე-ამრეზილი წინ უდგა და დამრიგებლის მეზღაპრისადმი ოდნავ შესამჩნევ ვა-ღიზიანებას სავანგებო ერთგულებით ავსილ მზერას უმიზნებდა. ხელებიც ახლა იქ, მილესილ ძუძუებქვეშ მყუდ-როდ დაეკრიაფა. არადა, ეს ხმელი, ნა-ჯაფარი, კეტივით ხელი ჯერ კიდევ წი-ნა მშობელთა კრებიდან როგორღაც შიშნეულად დაამახსოვრდა: ბიჭი მაშინ-ნაც დერეფანში კედელთან ატუზული ელოდებოდა, რომ გაუქანა, კარგა მო-შორებით გამოჩრილ რადიატორს მია-ნარცხა. ბავშვი გაიმართა, ისევ მშობ-ლის წინ იმ ჩხირა ფეხებზე დაესო და სანამ დედამისი, აფორეჯებულ კისერზე ძარღვებდაქიმული, შეილისაგან პირ-შექცევით, მის ამბავს ხმამალა, ყველას გასაგონად ჩიოდა, ქვემოდან გაშეშე-ბული სახით შესცქეროდა. ქალმა მაშინ შეამჩნია — ყურქვეშ რომ სისხლის ლაქა გადღობებოდა, ჯერ კიდევ ძვე-ლი, შემხმარი იარიდან ჟონავდა.

საკლასო ოთახში, ყვავილიანი ქოთ-ნებით დამშვენებულ ფანჯრის რაფას-თან ცილა მასწავლებელი რვეულებს ასწორებდა — ამ ხასხასა ჟოლოსფერში უფრო მკვეთრი, საესე იდაყვები მაგი-დის შავ სიბრტყეზე მყარად დაებჯინა. ლაშას დედასაც დამლაგებლის დეფი-ციტურ ხელობაზე, როგორც ჩანს, ხე-ლი ჩაექნია და ახლა კვლავ იმ კოპწია ტუჩების გამალებული მოძრაობით სულ სხვა რიგის ამბებს იოცებდა: ერთს მიუტანეს, თურმე, თაიგული და კანფეტებიანი კოლოფი და დაწერა ნიშანი! ცილამ, თავაულებლად, ვინც კანფეტებში ნიშანს დაწერსო... ახ, ვოტ კაკ, თვალები მყის აუნაპერწყლი-ანდა ლაშას დედას, მაშ, მხოლოდ კან-ფეტებშიო?! დამრიგებელი (დღეს სწო-რედ ის ვერცხლის საყურე უციმციმებ-და, რომელიც კლასის მშობლებმა შარშან, წლის დასასრულისათვის კო-ლექტიურად უსაჩუქრეს) ოდნავ კი შე-

იშმუშნა, მაგრამ თავისი აუღელვებელი მზერა ქვემოდან მშვილად შეავგებ-

— საერთოდ, უსამართლოდ-მეთქი, ნამდვილად ხელი მოსტყდეს...

— ეჰ, აღამიანი ხარ, წაგცდება, — გაგებულად ამოიხრა სახენაღვლიანმა ქვრივმა, ქმარი ჰყოლია; სადაც უსა-მართლობას ხედავდა, ხმალამოდებული ჩავარდებოდა ხოლმე, არც იყოთ, უბე-დური, სასიცოცხლო...

ღაღანიძე ღია კარადასთან ფათუ-რობდა. იქ, თაროების ქვემოთ, ჩვრები და მასტიკიანი კოლოფები მოჩანდა — უთუოდ, მორიგეობის წინა სამზადისი იყო.

კარის ღრიჭოში დამლაგებლის ცხვი-რი შეტოკდა — სალი კლდის ნატეხი წითელ-მწვანე ფოჩის ეგზოტიურ ჩარ-ჩოში.

— გოზალ, — ცილამაც დრო უხ-ელთა. — მოდი, იაშვიკი გაიტანე, ეგ ნა-გავი მაინც მომაცილე აქედან.

იმან დაფენილი ბოლოკაბები და-მადლებულად შემოაფართხუნა, თავის ენაზე რაღაცას ბუტბუტებდა გულდა-გულ, „იაშვიკის“ გამო იყო თუ უფრო დიდი მოუწესრიგებლობა აშფოთებდა, კარი სულ იმ კერკეტი ბგერების რახუ-ნით გაიხურა...

აქ რაღას უდგას, იმის მაგივრად, ქმრის ბიულეტენზე გაქეულოყო, აწი, ტყუილია, მაინც ვერ მოესწრება. ისევ მოწყალე ტონით დატუქსავენ: ცოლის, ოჯახის ქალის „მოვალეობანი...“ უწინ შინაური თადარიგის დაქერა ქმარმა უფრო ჯიქურ, გულფიცხად იცოდა, თა-ვის უფლებებს ვნებიანი მესაკუთრული ერთგულებით ახვევდა. ახლა წონის, მათ გაუცხოების ბზარს მორგებულ მო-დარბაისლე, შემპარავ კილოზე ესაუბ-რება. თვალები ღალატობენ, თითქოს ეს უკვე შეჩვეული ფრთხილი სიცრუე მაინც გასჭირვებით და მათ ჩამუქებულ სიღრმეში საკუთარი ბრალის ხსოვნა თუ ზოგჯერ უნებლიე ტკივილნარევი ცხელი შუქი აკიაფდება ხოლმე...

პატარა მსახიობი ქალი გამქრალიყო. კი დაინახა, მაჯის საათს საქმიანი გა-



მომეტყველებით დახედა, ახლა ქუსლების გაჩქარებული პაკაპუკი შემოესმა. ანგარიშმიუცემლად იქით, მისკენ გააღაჯა. იმას უკვე კიბისკენ ჩაეხვია — ზურგიდან აფრიალებულ ჩალისფერ კულულსდა მოჰკრა თვალს. ისევ ეჩვენა, თითქოს რასაც ამ ქალის მკვირცხლი, სალაპარაკოდ მომართული ბაგე წარმოთქვამდა, რაღაც არანამდვილი იყო და სულ სხვა ალღო კი გვაძიესულ გრძნეულ სიმყუდროვეში მალულად დაჰქონდა. თავი გააქნია, დღეს მაინც დილიდანვე უცნაური შეგრძნება ფლობდა: არ იყო არაფერი მყარი, ერთმნიშვნელოვანი მის ირგვლივ, არ არსებობდა თვალნათლივ ნიშანთა მეშვეობით ხელშესახები სინამდვილე, საგნებიც გაბუნდოვანდნენ, შემოეცრიცათ სიციხადე, ატიგეტვდნენ უწონადობაში, სადაც ძალას კარგავდა, უფერულდებოდა რეალობა, თავისი ჭანგისებრი, აუარება, წვრილ-წვრილი საზრუნავით და იყო მხოლოდ სულისმიერი, გრძობადი დრო, განფენილი წარსულიდან უსასრულობაში, რომლის აშკარა მონაწივე ტალღაზე ახლა მსუბუქ თავბრუხვევასაც კი გრძნობდა.

საკლასო ოთახში შებრუნდა. დამრიგებელი რვეულებს ფურცლავდა. ლაზათიან, დიდრონ მტევნებში მოქცეული სიფრიფანა ოთხკუთხედები მათი მფლობელებივით მომცრონი, უსუსურები ჩანდნენ. ცილა მასწავლებელი ყუთის მაგივრად „იავიკს“ იტყოდა და რიგის მაგივრად „რიადს“, მაგრამ არც ყურახეული დაღანიძე და მისი სულმუდამ კაბაშეხუნებული დედა მიუტოვებია მათ ერთობლივ ჭაპანწყვეტაში მარტოდმარტო. რამდენჯერ უნახავს — გაკვეთილების შემდეგ დაცარიელებულ კლასში თავზე ადგა. ბიჭიც რვეულზე თავდახრილი წვალობდა, რა ექნა, სწორედ ახლა უნდა გასჭირვებოდა, რომ მერე, დიდობაში, რომელიმე წყნარ ადგილას ისევ ღუზების სახატავად მოყუჩებულყო.

შვილის რვეულს წაეტანა, აქედანვე იცნო — კუთხეში მოყვითალო ლაქა აჯ-

და. შიგნითაც ადგილ-ადგილ გადაშლილი ჭუჭყიანი ნაწერი ჰქონდა, ნიშნებიც, ცხადია, უღიღამო. ცილამ რღნავი მობოდიშებით შემოხედა, ვითომ, ხომ იცით თქვენი გოგოს დაუდევრობისო. განა არ იცოდა, მაგრამ მაინც უყვარდა ამ რვეულში ჩახედვა. გოგოსათვის, მისი უფროსკლასელი ძმისა არ იყოს, ჯერ არ უსწავლებიათ სხვისი ნაცოდვილართი უბადრუკი ჩალიჩი. აქ სიტყვათა უშუალო, ხანდახან მოულოდნელ შერწყმაში გაშისვლებული, ნედლი ნერვი ფეთქავდა და მასწავლებელიც რომ ამას რაღაც მოწიწებული გუმანით გრძნობდა, ამაზეც უნებურად მაღლიერი იყო.

„ტორტილა“ შემოვიდა, ცილას ფუნთუშა გაუწოდა. ამან კრიალა, მოღიშარი კბილები მაღიანად ჩაასო, რვეულების სწორებას განაგრძობდა. „ტორტილამ“ თავი ჩანაოჭებულ კისერზე შეატრიალ-შემოატრიალა, ისე, რომ ახლად შედებილი თმის წითელი ხუხულა შეუტოვდა, ნაჩხივარი, მკაწრავი ხმით მიუალერსა, კარგი გოგო ხარო, უთხრა ცილას, წესრიგი შეუქო. გაზეთში გახვეული ორი ფუნთუშა ეჭირა. ჩამოჯდა, ისვენებდა, ბალიშით მკერდიდან ორი თითით ბუწუწი მოიშორა. ეს ჭრელაჭრულა კოფთა მესერს იქით ბაწარზე გადაკიდებული უნახავს — ბოტანიკის მარტახელა მასწავლებელი მის მეზობლად ძველი ეზოს ბინადარი იყო. მანიკიურიც არ დავიწყებია... გაახსენდა, თვითონ საპარიკმახე-როში საუკუნეა არ ყოფილა. ამ მოწადინებელი, აქაური ახალგაზრდა ქალების სადარი კოპწიობის ახლა ლამის შეშურდა. განა გულს მუდამ არ სწყუროდა თვალსატყუარი?! სწორედ ეს იყო, ეგებ, რასაც კიდევ მხნედ დაჰყავდა აქოშინებული „ტორტილა“ ამ ტანჯვის გზაზე — ნავთქურჩანი ოთახის ყოველდღიურ მკვდარ სიჩუმესა და კლასის დაუნდობელ თავაწყვეტილ გნიასს შუა.

სკოლის შენობიდან ერთად გამოვიდნენ. დამრიგებელმა, ხვალ სამორიგეო



დღეო და იატაკის გასარეცხი ჩვარი არ დაგავიწყდესო, ლაღანიძეს შეახსენა. იმას შეხსენება რად უნდოდა, თავის დაკანტურებაზე შეეცყო, წინასწარი გულმოდგინებით დამუხტული იყო. ცილა მასწავლებელი მკვრივი, გაწონასწორებული ნაბიჯით ქუჩას მარჯვნივ აუყვა, „ტორტილა“ გაიყოლა. პაშალა შერჩა, ერთხანს გვერდი გვერდ ხმაამოუღებლად იარეს, მერე ის უთხრა, რაც ადრეც უნდოდა ამ ქალისათვის ეთქვა — კარგი ხელობაც კაცური საქმეაო. იმან, ლაღანიძეებში ყველა გამოსულია, დიპლომიანი ხალხია და ჩემ ბიჭს იგენს არა და არ ჩამოვარჩენო. მერე ძარღვებდაძაგრული პაშაც გაუჩინარდა...

ვაზეთების ჯიხურს გასცდა თუ არა, ქმარი დაინახა. სახლისაკენ მიიჯგინებოდა, თან ის ძველი მაგნიტოფონი მიბქონდა, ადრე რომ შესაკეთებლად მიეზარებინა. ამასაც შვილებისათვის უცებ „პანასონიკი“ არ მიერთმია ანდა „ჯისვეი“, „შარპი“ (ბიჭისაგან ვაგონილი დასახელებები იყო). ბეჭებგანიერი, მაგრამ წვრილფეხა მამიკოა ერთი წვრილფეხა ბეჭდვა --- კაკუნის სამმართველოდან... ბიჭიც უკვე ნელინელ იმრიზება, ჩაყურსულა, ვერ შეაღწევ, რაღაცას გაკერპებულს, თითქოს უკეთურს ფიქრობს... ნაბიჯი შეანეწლა, წინ მიმავალ ქმარს რომ არ დასწვოდა, შორიდან დააკვირდა, ენიშნა, სიარულშიაც გამოიცნობდა — ჯერ კიდევ თავმომწონე, ძველ ყაიდაზე მოდარდიმანდე ვაჟკაცი, თანადროული, მეტად გამახვილებული ალლოთი ხორციელ სიამოვნებათა დარგში...

გასტრონომის ეზოში ჩაუხვია. კარის მეზობელ ბუხუტას შეეჩება. გასტრონომის უკანა შესასვლელიდან რაღაცა შეფუთული გამოჰქონდა. არ უთხრა, რა იყო, მუხმუხელა, გაქონილი ტაფა-სიფათი ქუჩისკენ ისე შეაბრუნა. ქალმა გუბებს მოუარა. აჰ, გასტრონომის კედელსა და კორპუსს შუა მარადიული ტბორი იდგა და ადრეც, როდესაც თავისი ჩვილი რუსის ქოხისკენ

სასიერნოდ დაჰყავდა, მუდამ ამ მწვანე ნემოკიდებულ, საკუთარი წვრილი ცხოვრებით აფუთფუთებულ წუმპეს ფრთხილად უვლიდა. მერე ოკრობოკრო ასფალტსაც ნელი, მცოცავი ნაბიჯებით სინჯავდა, ხელზე მძინარე ბავშვი ეწვივნა და შვილის რძიანი, მშვიდი სუნთქვით მონუსხული, ზემოდან, ბედნიერი ამტერდებოდა ხოლმე... მოხროკებულ ეზოს ჩაუარა, მიწაში ჩარკობილ რკინის მაგიდასთან, როგორც ყოველთვის, დომინოს მოთამაშეები ისხდნენ. იქიდან ქვების წარამარა ჭახაჭუხი და საანგარიშოს ჩხაკუნი ისმოდა.

რუსის ბალახ-გვირილაც გამოჩნდა, ქოხმახიც, კორპუსებს შუა მოფარებულ ადგილს რომ შერჩენოდა. პატრონი არ ჩანდა, არც მისი ყავარჩნები. ციკქნა აივანთან ხეზე რუსის ძველმანი ეკიდა, შიგნით — ტაბურეტზე, ისევ ის, ზედ ტოლჩადამხობილი შუშის გრაფინა იდგა. ფანჯრიდან რკინის გისოსებიანი ლოგინის თავი მოჩანდა.

პატარა შემოკავებულთან, ძელსკამზე ჩამოჯდა. წითელი ისრისებური ფოთლებისაკენ დაიხარა, აქედანაც სწვდებოდა. რაღაც ხეშეში, მშრალი ამბორივით, სუნი იყნოსა. თვალი მაინც დაასვენა. ყვავილები მაღალ ღეროებზე ყელყელაობდნენ და ოდნავ შემობერვანზეც მეწამულ თავებს ნელი, გრაციოზული მოძრაობით აქეთ-იქით აქანებდნენ.

ისევ რომ გაიშართა, მხოლოდ იასამანი იგრძნო... ის ორი მოვარდისფრო ბუჩქი ქოხის აქეთა, ჩაშავებულ კედელთან იდგა. როდესაც ამ სახლის პატრონი გარეთ, გასტრონომის ქუჩაზე ყავარჩნებიანად ირწეოდა ან აჰ, თავის ხელით დაჭედო ფიცარზე იჯდა და უსამველოდ სევდიან, გაწეწილ ბგერებს თავის კანტურით მიწას ჩამღერდა, მისი ბარი და ნიჩაბი და სხვა ხელსაწყო. ამ იასამნის მხარეს, კედლის ძირში ეყარა.

ახლაც იქ დალანდა... სხვა მოაგონდა, აჰ რომ ერთხელ ხალებიანმა ქალმა ეტლით ბალდი მოაგორა, გიო ერქვა, გიო კი არა, გიო, უფრო იმიტომ დამამხოვრდა, რომელიღაც მოშორებული კორპუ-



სიღან იყენენ, ხალებიანი დედამისიც, უთუოდ, ამიწარისფერ გოდოლებს შორის მოხასხასე სიმწვანემ მოიზიდა. ორივემ თავიანთი გამოღვიძებული ბატარები დააშიშვლეს და რამდენიმე წუთი, დაახლოებით, ეს დრო იყო, აქ, თბილ, მოსალბუნე მზეს მიშვერილი ეწვინათ. ის ბავშვი, როგორც დედამისმა მაშინ აუხსნა, სუცაბედი გადადროების გამო სულაც შემთხვევით, გაუთვალისწინებლად მოვლენილი ყოფილიყო... მერე მოვიდა იმ ქალის წვერიანი, უსუსური იერის სტუდენტი ვაჟიშვილი და ამ შეცდომით გადარჩენილ, ახლა მზეზე ასავსავებულ კენჭივით გიოს, დაელმებული სთვალიდან, რაღაც სიბრაულულის აღმძვრელი, ჩაციებული სინაზით ჩასცქეროდა.

აქეთ კარგა ხანია არ ყოფილა. ეს ისამანი კი... თითქოს გულმა უგრძნო, რომ დახვდებოდა. აქედან პირდაპირ სასაფლაოზე გავა... შეღამებამდე დაბრუნდება, რაღაცას იტყვის...

ერთხელ სეზანის ალბომი აჩუქა და გაუჯავრდა, როგორ დაუდევრად ფურცლავო, ეს ისეთი გამკილავი, ცივი გლიზიანებით შენიშნა, ქალს ეწვინა, თუმც ხვდებოდა, მის გულმხურვალეობას რომ სულაც უნდო, ყველაფრისადმი უეცარი გაუცხოების მატლი უჭდა. და რაღაც დიდი, იმთავითვე ჩაბუდებული შიში ძალავდა. მთელი თაობისააო, ერთხელ წამოსცდა, თან, თითქოს შევლას ითხოვსო, სახეზე იმ წუთში ისეთი მკრთალი, უსასო ღიმილი უთრთოდა... თანამემამულენი უყვარდა და ეს სიყვარულიც რომ ასე ყოფილა, ოდითგანვე, ღალატით მოდის, ეგებ, ის ზარავდა... ირინდებოდა ხოლმე, ტუჩებხარბი იყო, სიტყვაძვირი ან, იქნებ, რასაც მამაკაცები ფიქრობენ, ქალთან სალაპარაკოდ არც უღირთ?... სიგარეტის კვამლში ვაგხვეოდა, მაშინ შორი ხდებოდა და შეუცნობი. ქალიც იბნეოდა, ამ ანაზღეული დამორიშორებით დათრ-

გუნვილი, იარაღაყრილივით, უხმოდ შეაჩერდებოდა... მისი სიცილი სუკვარდა, ის გულსავსე, მოსიხარულე გაციუნება ჩაესმის. აკი იცოდა — ემცის მიუსაფრობაში სითბოს დაღირსებული ბავშვი ერია, მიტომაც უხმობდა, რომ მერე გაყუჩებულიყო, თითქოს უნდა გაფრთხილებოდნენ იმ წუთებს, მათ სიახლოვეში რომ ასე მძაფრად ილიეოდა...

სკოლის ზარი გაიგონა. აქეთ აღწევდა. ბავშვი შრომის გაკვეთილზე იყო და სწორედ უნდა გამოსულიყო. ისამანის ორი, თავიდანვე შეგულეებული ტოტა უკვე ჩაებლუჯა, რადესაც შვილი დაინახა — სიფრიფანა, მკრთალი ოვაბი მოჰქონდა. ის აუცილებელი თეორი ბავთა მწვანეკოლებიან ღამისპერანგიანად, გუშინ რომ მთელი საღამო საგანგებოდ ჰრეს და აგვირისტეს, ახლა ცელოფანის პარკში ჩაეკუჭა, რომელსაც ზურგზე გადასაკიდებელ ჩანთასთან ერთად ცალ ხელში უხერხულად მოაპორწიალებდა. თმაგაშლილმა თვალდახუჭულივით ჩაუარა, გაფანტული, მეოცნებე იერი დაჰკრავდა. ახლა მამამისი კარებშივე ყურადღებით შეათვალერებს და, რაღა თქმა უნდა, არ დააკლებს ორიოდ სიტყვას. იმის შესახებ, თუ რაოდენ ამოსაძირკვავია ის მისი ფარღალალა, წარმატებული, მჭიდვ არსებობისათვის ყოვლად გამოუსადეგარი ვენი.

ზედ ნაჩვევ ბაზრის გზაზე უცნაური ღელვით შეპყრობილი იდგა — საპირისპიროდ მიმავალ ტრანსპორტს ელოდებოდა. ისამანის სურნელი სცემდა... მალე ეს ახორზლილ-აჩოჩქოლებული, მსუყე ნაპურტყითა და სიგარეტის ნაშწვით აჭრელეებული ასფალტიც გაილეოდა და გამოჩნდებოდა ის მწვანე ბორცვი, რომლის უკან ხსოვნის იდუმალებაში გარინდებული იმ ღია სივრცეს უკვე აქედანვე ახლა ასე ცხოვლად გრძნობდა.



ოდა ოდას

ისევ თვალწინ მიდგას ახლაც —  
 განა დიდი სრა-სასახლე, —  
 ერთი ციციქნა ძველი ოდა,  
 სარკმელი რომ ერთი ჰქონდა,  
 სათქმელიც რომ ერთი ჰქონდა,  
 მისი ბუხრის უცხო სუნი  
 სადაც წაველ, რომ დამქონდა,  
 მისრულებდა ყველა სურვილს  
 და უბრალოდ ერქვა ოდა.  
 ახლაც ისევ თვალწინ მიდგას,  
 სრა-სასახლე? აბა, ვინ თქვა? —  
 ერთი ცილა ძველი ოდა,  
 სითბო — ცოტა, პური — ცოტა,  
 პურს მინდვრების სუნი ჰქონდა,  
 სითბოს ჰქონდა სუნი კვარის...  
 ეხ, სადღაა ძველი ოდა,  
 ჩემი ოდა სანუქვარი  
 ახლაც ისევ მიდგას თვალწინ:  
 ძველებურად ათოვს, აწვიმს  
 იქ, ფერდობზე შემდგარ ოდას  
 ლურჯი ზეცის საუფლოდან...  
 მერე, რა, რომ — პური ცოტა,  
 მერე რა, რომ — სითბო ცოტა,  
 ისე დიდ შუქს შეემოსა,  
 იდგა ისე პატიოსნად,

შეუნდობდი ყველა ცოდვას  
 იმ სანუქვარ ბებერ ოდას!  
 ახლაც თვალწინ მიდგას ისევ  
 და ძველისძველ ფიქრებს ვისევ:  
 იქ ბავშვობა ჩემი ჰქროდა,  
 იქ არაფრის დარდი მქონდა,  
 ისე ტყბილი ოდა მქონდა,  
 იმის ამშენები ცხონდა!  
 ოდა, ოდა, ძველი ოდა,  
 შიგ რომ მერცხლებს ბუდე გვქონდა,  
 ახლა რატომ მომავონდა,  
 ანდა ასე რად მომწონდა,  
 იქ მოყვანილ ქინძს და ქონდარს  
 სულ სხვა გემო რატომ ჰქონდა!  
 იმ ბუხართან მინდა ჯდომა  
 და გათბობა იმ ნაღვერდლით,  
 იმ სუნს ვიცნობ შეუცდომლად,  
 კიდევ ერთხელ, ყველას გვერდით!  
 კიდევ ერთხელ იმ სითბოში  
 ჩამთვლიმოს და ჩამეძინოს  
 და ლოგინში ცელქი ბავშვი  
 ბებომ ფრთხილად ჩამაწვინოს...  
 რა ძვირფასი გვქონდა ოდა, —  
 ახლა ვზივარ, ვუძღვნი ოდას...

დაბერებული სიტყვების ძველი

დრო — ატეხილი ლურჯი მდინარე —  
 მიდის, წარსულში მიატივტივებს  
 მამა-პაპათა ფიქრებს, იარებს  
 და სიტყვებს, სიტყვებს... გულო, იტირე!  
 მშვენიერ სიტყვებს, ნაღდ ქართულ  
 სიტყვებს,  
 წინაპრის სისხლით ბევრჯერ  
 დაფერილს, —  
 ლურჯი მდინარე მიატივტივებს  
 და ვით მუზეუმს, წარსულს აბარებს.  
 — ჩვენ რომ გვშველოდნენ სიტყვები  
 ძველი  
 და მომავალში მიგვაცილებდნენ,  
 მხარში რომ გვედგნენ ათასი წელი  
 და ჩვენს ჰირ-ვარამს ინაწილებდნენ.

„ხარი“ და „სახრე“, „კალო“ და  
 „კეკრი“,  
 „თოხი“ „ფიწალი“, „ნალი“ და  
 „ღოლო“  
 და კიდევ სიტყვა ძალიან ბევრი  
 ხვალ ლექსიკონებს შერჩება მხოლოდ.  
 — არც „ხელეუბრი“ და აღარც „ულო“.  
 სიტყვაც ბერდება მერე და მერე,  
 მიაქვს მდინარეს...  
 იტირე, გულო,  
 და ვიდრე დროა, კალამო, წერე!  
 იყვნენ, იცხოვრეს მათ ვაჟაკურად,  
 ხან იალაზნეს, ხან იენგურეს...  
 მაღლობა უთხარ, ვიდრე წასულან,  
 გულო, ამ სიტყვებს აგრე ერთგულებს.



მადლობა უთხარ ჩვენს  
 მარჩენალებს,  
 ბევრჯერ მტერთაგან გულში  
 დაჭრილებს.  
 ჩვენი რწმენა რომ გაამერანეს

და ჩვენი სული გადაარჩინეს!  
 ...გამოიარეს ათასი რისხვა  
 და გზა ფენილი უთვალავ ეკლით,  
 და ძლიერ მინდა, სიმართლე გითხრათ,  
 ამ ლექსს დაერქვას იმათი ძეგლი!

**ფიჭვი**

იქ, სად ციურია  
 დუმილია გამეფებული,  
 თოვლის ფიფქები  
 უხმაუროდ იზადებიან...  
 მერე ისე, ვით  
 ფრთოსანთ გუნდი დაფეთებული,  
 ჩვენსკენ მოჰქრია  
 და მიწაზე იფანტებიან.  
 ზოგი გუბეში  
 დაასრულებს ლამაზ სიცოცხლეს,  
 ზოგი ტალახში,  
 ზოგი გზაზე, ზოგი ბუჩქებთან,  
 ზოგი მინდორში,  
 ზოგი ტყეში თავს მოიწონებს,  
 ზოგი ჩაქრება  
 საკვამურში სულმოუთქმელად.  
 ისე მოვლენ და  
 ისე წავლენ, ვერვინ გაიგებს  
 და მათს სიცოცხლეს  
 არ ექნება აზრი მცირედი,

ფიფქი დაფარავს  
 მთაგრეხილებს, სტეპებს, ტაიგებს  
 და ბევრს ექნება  
 უკვდავების დიდი იმედი.  
 მხოლოდ ათასში  
 ერთი ფიფქი თუ დააკვდება  
 შეყვარებული  
 ქალიშვილის ღვთიურ წამწამებს,  
 გაიღვლებს და  
 სიხარულით უცებ ჩაქრება  
 და აისრულებს  
 ამ სიკვდილით ძვირფას საწადელს  
 უკვდავად აქცევს  
 ეს უცები აციმციმება,  
 ეს წამიერ  
 შეტოვება და ჩაფიქრება...  
 მერე ლოყაზე  
 სიხარულის ცრემლად იქცევა  
 და ყველა ფიფქზე  
 ბედნიერი ფიფქი იქნება.

**რალაცას ვრგავ და რალაცას ვთისავ**

ბუნება თავის საქმეს აკეთებს:  
 ხან წვიმს,  
 ხან მზეა,  
 წელამდეა უკვე ბალახი...  
 შვიდიდან ცხრამდე  
 მიწას ვჩიჩქნი მეც ჩემს ნაკვეთში  
 შრომით და ოფლით  
 უფრო მხნე და უფრო ამაყი,  
 ბუნება ისე მოწყალეა,  
 არც კი ანსხვავებს  
 კეთილს და ბოროტს  
 ჭეჯილს და ხვართქლას.  
 ყველაფრისათვის  
 გააჩნია ერთი საწყაო  
 და ერთნაირად  
 ეფერება სუყველა მათგანს.

მე მოკვდავი ვარ,  
 მე ჩემზე ვფიქრობ,  
 ოჯახისათვის  
 ვრგავ პამიდორს, კეთსავ რალაცას,  
 კვლებს ვავლებ თოხით,  
 ვით ფურცელზე სალექსო სტრიქონს  
 და როგორც რითმას,  
 წვიმის მოსვლას შევეთხოვ მაღალ ცას.  
 მერე მზე ჩადის,  
 ტირიფონას ველს ჰფარავს ბინდი,  
 ებრუნდები გორში,  
 თუმცა ამ დღეს ვეღარ ველევი...  
 შევდივარ სახლში  
 და თან შემაქვს სიმდიდრე დიდი —  
 ყაყაჩოების და სოსნების  
 მსუყე ფერები.

ჰე, მოხუცო...

ძალა აღარ შეგწევს, თორემ  
გული ახლაც როდი დგება?!  
ჰგავხარ იმ კაცს, სიკვდილი რომ  
ბეწვის ხიდზე შემოხვდება.

მაგრამ მაინც, ღონემიტილი  
გესიზმრება სიჭაბუკე.

გრძნობ, სიცოცხლის მზე თანდათან  
იწურება მთებზე უკვე —

დღეც რომ გარბის, ჰე, მოხუცო,  
ისიც ლომის ნახტომია, —  
თორემ წლებს ვინ დააბრუნებს  
ხელიდან რომ გაგსხლტომია.

თუ არ იმარჯვე

შენ, ჩემო სულო,  
უსასრულოდ რომ დელავ ახლაც,  
რომ ამჯერადაც  
დღე და ღამე შენთვის ერთია, —

თუ არ იმარჯვე,  
ამდენ წრიალს აღმა და დაღმა —  
ბოლოს და ბოლოს  
დაარქმევენ მარტო ხეტიალს.

უტკივილო დღე

ჩემო ადგილის დედავ,  
ტკბილო, ვით დედის ძუძუ:  
ვერ მოვაშორე ფიჭრი  
ბავშვობას — მწვანე კუნძულს.  
ამ სანახებთან ახლაც  
სევდის გარეშე ვერ ვძლებ,  
მის ნაფეხურებს ირგვლივ  
ვეძებ, ვეძებ და ვეძებ.

რა წამიერი ჰქონდა  
სითბო, შუქი და ეშხი  
ამოდ ველით, ალბათ,  
მის გაელეებას მთებში.  
სად მოვიძიო ნეტავ,  
ფრთები ცად გაჭრილ მერცხლის, —  
ის უტკივილო დღე და  
ის უტკივილო ცეცხლი.

ყველაფერი დიდია

ამდენ მჭროლავ დღეებში  
(გრიალით რომ მიდიან),  
უიღბლოთა დღეებაც  
წინათგრძნობით გმინავენ,

ყველაფერზე კარგი და  
ყველაფერზე დიდია,  
თუ მამულში ლამაზად  
სული დააბინავე.

გულს რომ მოეხას...

ეგ სხვანაირი  
მზერა და ეშხი,  
რატომღაც სითბოს  
არ იწვევს ჩემში.

სული რომ შესძრას,  
გულს რომ მოეხას,  
გაკლია შენ ის  
უბრალოება.

რაც ხანი გადის  
შენც არა გიშავს,  
ზოგიერთივით  
არ დგახარ ჩრდილში...  
გტკივა?

გაწუხებს?  
ეს იმას ნიშნავს, —  
ერთფეროვნების  
არ გქონდეს შიში.

### სიყვარული გვერგო

სიყვარულის ამდენ ხმებში  
ზოგჯერ შემძრავს მოთქმაც...  
უცრემლოდ და უღიმილოდ  
აზრი არ აქვს ყოფნას.  
რომ არ მქონდეს ეს საშობლო,  
ეს ადგილის დედა, —  
ნაადრევად წამლექავდა  
ბოლმა, დარდი, სევდა...  
მხოლოდ ლტოლვა, მზისკენ ლტოლვა,  
შთაგონების ნერგო...

დედამიწის სიჭრელეში  
სიყვარული გვერგო.  
წლები ჰქრიან, საჭიროა  
უფრო მაღლა დგომა,  
მთავარია, ყველაფერში  
წვდომა, მხოლოდ წვდომა.  
სიხარულის ამდენ ხმებში  
გაერევა მოთქმაც...  
უცრემლოდ და უღიმილოდ  
მართლაც არ ღირს ყოფნა.

### სურდა...

ეჩქარებოდათ თითქოს  
სადღაც წუთებს და წამებს,  
ღია სამარეს ჰგავდა  
თვალამოთხრილი ღამე.  
რატომღაც დარდად ქცეულს  
არ ჩაეძინა პაპას,

თავისებურად ხსნიდა  
ამ წუთისოფლის ზღაპარს.  
გადაელახა ცხრა მთა  
ფიქრებში ღამენათევს,  
სურდა, დილამდე, სურდა  
გაეძლო თავლის სანთელს.



# ლ ა ზ ა რ ე

ნოველა

ერთი მწვემსი ბიჭია — ლაზარე, პირუტყვის ადრიან დილით გარეკავს საძოვარზე, მერე ქარაფის თავზე ჩაშოჭდება და ტკბება მტკვრის ხეობის სიმშვენიერით... ლამაზაი ეს დალოცვილი ქვეყანა. ზიარეთის მთებს შავი ღრუბლები რომ შემოეხვევა, ხელებს ზაღა სწევს ლაზარე და ზაფხულის ცხელ ზღეს სიგრილეს შესთხოვს, სიცხეში გული სულ მაღლა, ღრუბლებში ჩაქარგული მთებისკენ მიუწევს, სადაც წარმართულ სალოცავებში ბარიდან მთის სიგრილეს შეხიზვნია კაცბთა გუნდი...

მთის ფერდობებს მიმკვრია ლაზარეს მშობლიური სოფელი. მიწური სახლები ერთმანეთზე მიმჭდარა, ერთმანეთს მიხუტებოდა და ისე განაბულან, როგორც კედლის ძირას ჩამომჭდარი ნიკა პაპა გაენაბება ხოლმე შემოდგომის მიმჭრალ შუეს.

— ლაზარე, აუუ, ლაზარე! — მოესმია ხანდახან ნიკა პაპას ძახილი. ლაზარეც საბალახოდ გაშლილ პირუტყვის ბიჭებს შეატრავებს ხელში, მარღად აირბინეს ზევზე დაქანებულ ბილიეს და ერთდოზე გადმომდგარ ნიკა პაპას შეეხმინება.

ასეა ყოველდღე. ასე მეორდება ყოველ ზაფხულს და ლაზარეს ვერ წარმოუდგენია ნიკა პაპას გარეშე სიცოცხლე.

დღეა ადრე მოუკვდა ლაზარეს. მამა ჭერ კოდეც ათას ცხრასს თოხმეტში წაიყვანეს ფრონტზე და კარგა ხანია შისგან არაფერი ისმის.

ნიკა პაპა ხშირად წყველის იმ დღეს, როცა მის ერთადერთ ვაჟიშვილს აწინას საღდათში უჯრებს თავი. თვითონაც ოდესღაც ნაფროტალ ჭარისკაცს ჭირის დღესავით ეჯარება დენთის სუნი, მას შემდეგ ქათამსაც ვერ იმეტებს დასაკლავად, ერთთავად ზის მიწურის ბანზე, მარცვლავს კრიალოხანს და გადაყურებს მტკვრის ხეობაში ჩაქარგულ გზას. ხედავს რომ შემოაწვებდა, ფეხზე წამოდგება, ხელს მოიჩრდილებს და გახედავს ზიარეთის მთების ფერდობზე გაშლილ ნახირს.

— ლაზარე, აუუ, ლაზარე! — ისმის მოხუცის ხმა.

ლაზარეც ხან ცივ წყალს მოუტანს მოხუცს, ხან თამბაქოთი დაუტენის ჩიბუხს, ხან მუგუზალს მიურბენინებს, ხან დაბამულ ქურთუკს წამოასხამს მხრებზე, დაკოჟრილ ხელეგზე მიეფერება და უკანვე გაიქცევა ნახირთან.

გაზაფხულის სიახლოვე იგრძნობა, ირგვლივ. მთის ფერდობებზე თოვლი დნება, ასეთი ადრიათი, თბილი გაზაფხული იშვიათია მესხეთში. ათასგვარი ჭორბი ამოაქვთ ქალაქში სავაჭროდ წასულ სოფლებს: რუსეთში შეფე ჩამოუგდიათ ტახტადან... ომზე უარი უთქვამთ ბოლშევიკებს, მიწები გლეხებისათვის გადაუციათ, ქარხნები — მუშებისათვის... საქართველო ცალკე სახელმწიფო გამხდარა... შავ ზღვამდე დაბატონებიათ მენშევიკები საქართველოს.

ნიკა პაპას არავისი სჭერა: არც იმ გამოპრანჭული ქალაქელი გიგასი, სოფელში რომ ჩამოივლის ხანდახან და ხალხს ჭორებით უტენის ყურებს და არც იმ ახალციხელი მუსულმანთა საყვარელი ბელადისა, „ხალხთა იმედად“ რომ მონათლეს ვარნეთელმა თათრებმა.

ოთხმოცდაათი ზამთარი დასწოლია ნიკა პაპას მხრებზე და იცის, რამდენი უსიამოვნება მიაყენეს ამ მუსულმანობის ნილაბს ამოფარებულმა ბეგებმა მესხეთს. ჭერ კოდევ ათას ცხრასს ხუთში, როცა შშრომელი ხალხი აღდგა და მეფეს ჩამოგდება მოუნდომა, ასეთმა „ჩეულებმა“ ხალხის ცრემლებზე ბარაქიანად მოითბეს ხელი. დანიეთის, ნილიხა და კოდიანის ნაყოფიერ მიწებს დაეპატრონენ და მათ დაუკითხავად ჩიტიც კი ვერ გაიჟაჟინებდა ირგვლივ. „ხალხთა იმედად“ მოხუცი რუსეთში თავისუფლების ცეცხლი დაითო, გუშინდელმა ახლად გამომცხვარმა „ხალხთა ბელადებმა“ კვლავ ძველ ხერხს მიმართეს იმ იმედით, რომ მღვრიე წყალში ადვილი იყო თევზის დაჭერა და ყველაზე მეტი ნადავლი მათ ერგებოდათ წოლად. ნიკა პაპაც არ ინდობს არც ბაღჩი-ბეგს, არც ომარ-ეფენდის და არც იმ „ქრისტიანთა სისხლით გაუმადარ“ ადა სულთანოვს, რომდენიც მესხეთის მუ-

სულმანურ სოფლებში დაძვრნან, ლაშქარს აგრძობენ, ძმას ძმაზე ამხედრებენ, თურქეთიდან ჩუმჩუმად გადმოსაქვთ იარაღი და ერთი ხელით თეთრგვარდიელებს ებლაუქებთან ჩრდილოეთ კავკასიაში, მეორეთი კი ინგლისის ქარს აწვევენ; არიქა, ბათუმი გადმოლახნენ და ჩვენს ბარაქიან მიწა-წყალზე დაიღვთ ბინაო. რას არ ჰპირდებიან მათ: ურიცხვ საქონელს, ხე-ტყეს, თბილ ბინებსა და ხელგაშლილ ცხოვრებას, მაგრამ არა საკუთარი ქონებიდან, არამედ მთის კალთებზე შეხიზნულ ნახევრად მიწაში, ჩამქდარ მესხური სოფლებიდან, რომლის მცხოვრებლებსაც წლიდან წლამდე ძლივს გააქვთ თავი.

ნიკა პაპას ერთადერთი საბრძოლო იარაღი სიტყვაა; სიტყვა სწორი და მართალი, რომლისაც გულითადად სწამთ თანასოფლებს.

მესამე დღეა, სახლიდან არ გამოსულა ნიკა პაპა, ერთბაშად მუხლებში სისუსტე იგრძნო. ჭილობდადაფარებულ ხის ტახტზე ზის და ჩიბუხს აბოლებს. ბუხარში ხრჩოლავს ხუშკი. ლაზარემ ბლომად მოიმარაგა, საწვავად ძეწნის ხე, დააო და ბუხართან დააწყო გახაზობად, მაგრამ ნიკა პაპას ენანება საფურნე შეშა ბუხარში დაწვას, რადგან ამ ხუშკითა და წივითაც იოლად გაიტანს თავს...

ერთი კვირაა შიშით ცხოვრობენ მესხური სოფლები. აქეთ-იქიდან ცუდი ხმები ისმის. აწყურს ზემოთ თავისუფლად თარეშობენ თურქთა ბანდები, სადაც ხელა მიუწვდათ, გამარცხეს და გაიტაცეს ყველაფერი, რისი გატაცებაც შესძლეს. შარაგზაზე მომრავლდნენ თურქეთიდან გადმოსვენილი ქართველები და სომხები. ყოველ მათგანს სამათხოვროდ აქვს ხელი გაწვდილი, ბევრგან გზების გასწვრივ წვანან შიმშილისაგან ღონეზიდილი მათხოვრები.

ნიკა პაპასთან ხშირად მოდიან თანასოფლელები. ახალ-ახალი ამბები მოაქვთ: საცაა თურქთა რეგულარული ჯარები გადმოლახვენი საზღვრებს, მათი შიშით მთელი ახალციხისა და ახალქალაქის მკვრების მოსახლეობა ფეხზე დგას და ვახაიზნად გამზადებულია, ზოგი დახვედრთ საქართველოში აპირებს გადასვლას ზეკარის უღელტეხილით, ზოგი ბაქურიანში ლამობს ვახიზუნას, რადგან აწყური მტკიცედ ჩაუკეტავთ მოთარეშე თურქებს, ხოლო ცხრა წყაროსა და ზეკარის უღელტეხილებზე მიმავალით მოულოდნელად ესხმან თავს, ნადავლს იტაცებენ, ადამიანებს ატყვევებენ და გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთო.

ნიკა პაპას ძველებურად რომ შესწევდეს

ძალა, თანასოფლელებს შემოიკრებს გარშემო, ქალებსა და ბავშვებს დახიზნავს მშობლიური მიწის არც ერთ მტკავრელს დაანებებს მტერს უბრძოლველად. ასეც ფიქრობენ თანასოფლელები, მაგრამ ბრძოლისუნარიანი წამკაცების ნახევარზე მტერი ფრონტზეა წასული, დარჩენილებმა კი შიშველი ხელით რა გააწყონ კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან, ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ, თუ სოფელს საფრთხე დაემუქრება, მოსახლეობას მტკერის გაღმა გაიყვანენ და საიმედოდ, მტრისაგან დაცულ ქართულ სოფლებში შეფარებენ თავს. შემდეგ კი მთის ბილიკებით ბაქურიანში გადავლენ და სოფლებს შეეხიზნებიან.

მზე ზიარეთის მთის წვერს გაუსწორდა. ლაზარე და მისი მეზობელი არჩილი წისქვილიდან გამოვიდნენ. მარტია, ყინვიანი ხეხილს კვირტები დაბერვია, ალაგ-ალაგ გაშლილა ქერამი, მაგრამ ნაყოფი არ შეჩრებაო, ეტვობენ. სიცივე გლუხვაცს ახარებს, სითბო ნაადრევად ვერ გამოიკეთებს ხეხილს, ბარაქიანი მოსავალი გვექნებაო წელს, ამბობენ ბიჭები.

წისქვილშიც იგრძნობა გაზაფხულის ხიანლოვე. მძლავრად ბრუნავს დოლაბები, სახვე არხიდან წყლის ნაწილი ხევში იღვრება და თავაწყვეტილი მიჰქრის მტკერისაკენ.

მაღე სოფელში შევა ლაზარე, პირუტყვს მიხედავს, დაარწყულებს, მერე ბუხარში ცეცხლს ააბრიალებს და ვახშმის თადარიგს შეუდგება.

წისქვილს ახალი გამოცილებულები იყვნენ ლაზარე და არჩილი, ხალკინთ უბნიდან თოფის სროლის ხმა რომ მოისმა. პირველ გასროლას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. შარაზე თოფშემართული, შვანაბდაფრთხილებული ცხენოსანი მოჰქროდა, შემართულ შაშხანას ჰაერში ისროდა და განწირვით ჰკიოდა. სოფლის წყაროსთან თავშეყრილ ხალხთან ყალბზე შეაყენა გაოფლიანებული ცხენი, შაშხანაშემართული მარჯვენა ძირს არ დაუწვია, ისე დაიძახა:

— ხალხო, თავს უშველეთ, მტერი მოდის, თურქები არ დაგინდობენ, გაიქეციო, ხალხო გაიქეციო! მტერი მოდის, თავს უშველეთ!...

მერე დეზი მკრა ცხენს და სოფლის ბოლოსაკენ დაეშვა, წყაროსთან შეკრებილები დაფრთხნენ. ქალებმა კივილით მიაშურეს იჩახებს. ვისაც რა მოხვდა ხელში, იღლიაში ამოიჩარა და ხევე-ღელისაკენ გაიქცა.

ლაზარე და არჩილი ერთხანს გაოგნებულები იდგნენ, მერე შიშის გრძობამ დასლდა, წისქვილისაკენ იბრუნეს პირი. ხმა-შეწყობილად რახრახებდა დოლაბები, მე-



წისქვილე იორდანეს ფურნეში გამომცხვარი მრგვალი პური შუაზე გაეჭრა, პურის ყუას წვრილ-წვრილად თლიდა და ცხვრის ყველთან ერთად მდიანად ილუქმებოდა. დამურთხალი ბიჭები რომ დიანახა, ფეხზე წამოდგა.

— რა მოხდა, ბიჭებო, რომ შეგაშინათ ასე? იკითხა წისქვილის კართან მომდგარმა.

— თათრები მოდიან, ბიძა იორდანი, თათრების საცაა აქ იქნებიან, თავს უშველე. ხედავ, მთელი სოფელი გარბის...

ლაზარეს ადამიანის ფერი არ ეღო. მკერდი გაეღელა, თვალით თავშესაფარს ეძებდა, სულის მოთქმას ცდილობდა.

— მე ვეღარხად გავიკცევი, შვილებო, მაგის ძალა არ შემწევს, თქვენ უშველეთ თავს. საგზალი არ დაგვიწყდეთ, უმისოდ დიდხანს ვერ გაძლებთ, აბა, წაილეთ — ნახევარი პური ლაზარემ იტაცა უბეში, ნახევარი არჩილმა. მადლობის თქმაც დაავიწყდათ, ისე გადაეშენეს ხევში. წისქვილის უკან ვიწრო ბილიყზე ქუდმოგაღვტილები მიქროდნენ და ცდილობდნენ იფნარის ტყეში შეესწროთ.

ხევის ძირას ათამდე ცხენოსანს დაადგეს თვალი. ნებაზე მიეშვათ ცხენები და რაღაცხე ხარხარებდნენ. ცხენოსნებმა თვალი მოაქრეს ვიწრო ბილიყზე სირბილით მიმავალთ, ყურები ცქვიტეს, ისედაც ვიწრო ბილიკი გადაეკეტეს და თოფები შემართეს.

უკან გაქცევა გვიანდა იყო.

ლაზარემ უბეში დამალულ პურს ხელი შემოხვია, ასკილის ბურჭებს აეკრა და არჩილს გადახედა.

მთლად გაფითრებული არჩილი მძიმედ სუნთქავდა.

თეთრჩაღმიანმა მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და ასკილის ბურჭთან მიადგო, მერე მარჯვენა ხელში ჩაბლუჭული მათრახი აღმართა.

ლაზარემ ხელები აიფარა სახეზე. ტანზე ელვახავით შემოესალტა მათრახი. უნდოდა ეყვირა, მაგრამ სიმწრისაგან შეკრული კრიკა ვერ გახსნა.

— რატომ სცემ, ბიძია — მოესმა არჩილის ხმა.

— სად გარბოდით, თქვე ღორის შვილებო! — დაიყვირა ჩაღმიანმა და ახლა არჩილს გადაჰკრა აღმართული მათრახი.

არჩილი ადგილზევე შეხტა, ვიდრე ჩაღმიანი მერეკერ აღმართავდა ხელს, გლერძის ბურჭნარს თავზე გადაეკვლო და ციცაბო ფერდობებს კატის სიმარჯვით შეუდგა, ლაზარეს უკან გამოეწოთ.

ცხენოსნებმა თოფები შემართეს.

ჩაღმიანი ერთხანს მისჩერებოდა გაქცეულებს, მერე ხარხარი აუტყდა.

— არ ეხროლოთ მაგ ღორის შვილებს, ცოცხლად შეიპყართ! — დაიძახა ცხენოსნებმა აღმართული თოფები დაუშვეს.

— ომარ ეფენდი, მაგ ურჯულეობს უბეში რაღაც უღვეთ, ალბათ, ოქრო მიჰქონდათ დასამალად.

— გზა მოუჭერით გველის წიწილებს, ჩქარა, თორემ ტყეში შეგვასწრეს — იყვირა თეთრჩაღმიანმა.

• რამდენიმე ცხენოსანმა სწრაფად გაქუსლა ბრძანების შესასრულებლად.

ხევის პირას ასულელებს გზა მოუჭერეს თათრებმა.

— რა გაქვთ უბეში — იყვირა წვერმოშვებულმა, ბუსთვალემა ცხენოსანმა.

— არაფერი, ბიძია — თქვა არჩილმა, თან ხელისგულებით ამოიწმინდა აწყლიანებული თვალები.

— გაიხსენით ხალათები, თქვე ღორის შვილებო! — ახლა უწვევრო ცხენოსანი წამოეშველა ბუსთვალეხანს. ცხენიდან ისეკუა და ლაზარესა და არჩილის წინ დაეჭყო.

— არაფერი გვაქვს, ბიძია, არაფერი! — ასლუყუნდა ლაზარე.

უწვერულმა ერთი ხელი კისერში ჩაავლო ლაზარეს, მეორეთი შარვალში ჩატანებული ხალათის უბე ამოუწია.

პური მიწაზე დავარდა.

— ესეც პურია, ბიძია — თქვა არჩილმა და ამოიღო უბეში დამალული პურის ნახევარი.

— პური! — ბუსთვალეხანს ხარხარი აუტყდა. მერე უცებ შეჩერდა, რისხვით შეიკრა წარბები.

— პური კი არა, ოქრო გვინდა, ღორის შვილებო!

— ოქრო არა გვაქვს, ბიძია — ძლივს გამოსცრა არჩილმა.

— ა-იქ ხომ არის, — იყვირა უწვერულმა და მათრახი სოფლის შუაგულში აღმართულ ეკლესიისკენ გაიშვირა.

— არ ვიცით, ბიძია!

— აბა, ვინ იცის? — იქვეულად იკითხა ბუსთვალეხანმა.

— დედას გეფიცებით, არ ვიცით! — ერთხელ კიდევ დაიფიცა ლაზარემ.

— რას ევაჭრები მაგ ლლაპებს, ერთი-ორი პანდური უთავაზე და სიამოვნებით იტყვიან, სად აქვთ ოქრო დამალული! — მოისმა ხევის ძირიდან თეთრჩაღმიანის ძახილი.

ბუსთვალემა ცხენიდან ჩამოხტა, გულდაგულ მიეჭრა ლაზარესა და არჩილს. ჭერ ლაზარეს უთავაზა ორიოდ პანდური და მიწაზე გაშლართა, მერე არჩილს მოუბრუნდა.

— თუ არ იტყვი, სად დამალეს თქვენებმა ოქრო, თავს წაგააღუჭ წიწილასავით!

არჩილს ერთი ხელით პური მკერდზე მიეკრა, მეორეთი აწყლიანებულ თვალებს ისრებსდა და შიშისაგან გაფითრებულს, ვერ მოესწარებინა როგორ მოქცეულიყო.

— მე, მე... არ ვიცი, ბიძა...

ბუსთვალბამ არჩილს ჩაბღუჯული პური ხელიდან გამოსტაცა და ისროლა. მერე შესდგა, ერთი ხელი ლაზარეს ჩაავლო კისერში, მეორე — არჩილს.

— კარგად დაიხსოვით, ლლაპებო, მე დელიზაშს მეძახიან, თქვენებურად თავზეხელაღებულსი თუ ოქროს არ მოიკნათ, ტყვიის წერას გაგხდით!

ხევის პირას მიათრია ორივენი. ჭერ ლაზარეს უთავაზა პანდური, მერე არჩილს და ხეში დააგორა.

ხევის პირას მდგარი ცხენოსნები გულიანად ხარხარებდნენ.

ჩამოხნდლა, ხადაც კოტი კიოდა. ეკალბარდებში სულს ძლივს ითქვამდნენ ბიჭები.

ლაზარე ჩუმად იჭდა ცივ მიწაზე და აღარც ლაპარაკის თავი ჰქონდა. სიცვივს უშრადლებას არ აქცევდნენ. მთლად ეწვოდათ ეკალბარდისაგან დაკარგული ტანი. არჩილს მათრახის კვალი წითელ წოლად აჩნდა სახეზე.

— ძლივს გადავჩრით! — თქვა არჩილმა.

ლაზარე ხმას არ იღებდა.

— გტკივა?

არჩილმა სათუთად გადაუსვა ბეჭებზე ხელი მეგობარს, მერე სახელოთი მოიწმინდა მტვრიანი სახე.

— არა, არ მტკივია!

— შეგეშინდა?

— ისე, რა თოფი მქონოდა. დედის ვუტირებდა ყველაში პატარები რომ ვართ. მიტომ დაგვიბრძოვეს, სასაცილოდაც ავგიგდეს კიდცი! — ლაზარეს მუშტი შეეკრა და სხინელეში ერთ წერტილს მისჩერებოდა.

— შშაი! — თითქოს თავისთვის თქვა არჩილმა.

— ჰა, ჰამე! — ლაზარემ ხელეში მიაჩჩა პური.

— საიდან? აკი ხელიდან გამოგვგლიჩეს ორივეს!

— მათრახი რომ გადავიკირა, მაშინ ვიხელთე დრო... პურის უადრი არ იციან მგოსრებმა. თვალი სულ ძარცვა-გლეჩაზე უჭირავთ, ხადამდე უნდათ ასე იცხოვრონ. ერთხელ ნიკა პაპამ მოთხრა... პაპა ნიკამ... ნიკა პაპამ...

თითქოს გველმა უბინაო. ფეხზე წამოიჭრა ლაზარე, მიძიე დლით გაოგნებულს ახლალა გაახსენდა პაპა.

— ახლავე სოფელში უნდა დავბრუნდე, ნიკა პაპა უნდა ვნახო!

— შენ რა, გაგოფდი ხომ დინახე, რამდენი ცხენოსანი შევიდა სოფელში, იმთერთაღმომინა და ბუსთვალბამ იმეტა გვიშვეს ხელი, ეშინოდათ, მათთვის სოფელში არავის შეესწრო. ახლაც იქ იქნებთან ეგ ოსრები.

— სოფელში უნდა დავბრუნდე! — კვლავ გადაჭრით თქვა ლაზარემ — ნიკა პაპა უნდა ვნახო!

— მერე, მე რას მიბირებ!

— ერთად წავიდეთ!

— მე რომ მეშინია?

— შიშის დრო არ არის. არჩილ, იქნებ ნიკა პაპას უჭირს. — ლაზარემ მაჭაში ჩასტიდა ხელი მეგობარს. ფეხზე წამოდგნენ, ეკალბარდებიდან ხელის ცეცებით ძლივს გამოვიდნენ ვიწრო ბილიკზე, ერთხანს სოფლის ბოედანვე აღმართული ეკლესიის შორეული გუმბათის მიხედვით იკვლევდნენ გზას. მერე წისკვილის დოლაბების ხმაშეწყობილი რახარახიც მოესმათ.

წისკვილს შორიდან აუარეს გვერდი, ხომ შეიძლებოდა, რომელიმე მოთარეშეს იქაც გაეთია ღამე.

სანახიროზე გასულებს ძალღების ყეფა შემოესმათ, მათი ხმის გაგონებამ იმედი გაუღვიდა ბიჭებს: მაშ სოფელი ისევ არსებობს, მაშ, სოფლისთვის ვერაფერი დაუკლიათ მოთარეშე თათრებს.

ქვის ორღობეში შესულებმა სმენა დაძაბეს, ფრთხილად გაიარეს ხალვიენთ უბანი. ჩამოქმეში არსიდან ისმოდა, ხელის ცეცებით მოძებნეს ნიკა პაპას ეწოხ შესასვლელი. ფიცრით შექედილი ღობის კარი მიწაზე ეგდო, ღობიდან ჩამოყრილი ქვები ფეხებში ებლანდებოდათ. სუნთქვაშეკრულებმა გაიარეს ეწო და მიწურის შესასვლელთან გაჩნდნენ.

ლაზარემ ხელი ხელზე მოუჭირა არჩილს, ტურჩები უერთან მიუტანა:

— რა ექნათ?!

არჩილმა მხრები აიჩჩა.

— ასე ხომ ვერ შევალთ, იქნებ შიგ იყოს ვინმე!

— იქნება და, თავს გავუხეთქავ ამ ქვით! — ჩუმად, თითქოს თავისთვის თქვა ლაზარემ და მთელი ძალით ჩაბღუჯა ხელში მოხვედრილი ქვა. მერე ფრთხილად გადადგა ორიოდ ნაბიჯი სხინელეში, სულგანაბული აერა კედელს.

ბიჭებს საკუთარი გულისცემაც კი ესმოდათ, ჩუმად მიიწეოდნენ წინ.

ლაზარე მკერდით მიაწვა კარს და ფრთხილად შეაღო. ფრთხილად გაიარა ვიწრო დერეფანი, ხელმარჩვნივ მოიტოვა დაკარიელებული მამაპაპური ამბარი, კუთხეში ბზემიურილი საბძელი და დარბაზის კარს მიადგა.



არჩილს ქამარში ჩაეკიდა ხელი მეგობრი-  
სათვის და კანკალით უხმოდ მიჰყვებოდა.

ლაზარე დარაბის ნაპირს გაუყვა, ბუხარ-  
თან შეჩერდა და მის წეშოთ, სარკმელში,  
სადაც ჭრაქი და ასანთი ეგულებოდა, ხელი  
მოაფათურა. ნახევრად ცარიელი ჭრაქი არ-  
ჩილს მიაჩნა ხელში, მერე სმენა დაძაბა.  
დარბაზში ჩამოხუმი არ ისმოდა.

— მოუკიდე! — ჩურჩულით ძლივს გა-  
მოსცრა არჩილმა.

— ახლავე! — ჩურჩულითვე თქვა ლაზა-  
რემ და ასანთის კოლოფი გახსნა. ჭრაქის  
შუქმა გაანათა ბუხარი, გაქვარტლულ ზედ-  
დგარზე გაშურული სილინფის ქვამი იღვა.  
მიშქრალ ბუხართან ეწყო სანახევროდ და-  
მტვრეული წივა. დარაბებზე ბუმბული მო-  
ეფარტათ, თაროებზევე მიემტვრიათ საგულ-  
დაგულად გაპარალებული თიხის ქამები,  
დოკები, სხვადასხვა ზომის ბოთლები. მათი  
ნაშხვრებები მთელ დარბაზში ეყარა. დე-  
დაბოძთან ნიკა პაპას გასისხლიანებული სხე-  
ული ეგდო. მოხუცს მოკუმშული ცალი ხე-  
ლი წინ გაეშვირა, თითქოს მკვლელს ეუბ-  
ნებოდა: მოშალი, მაგრამ არ დაგანებებო.  
ბიჭები გახვევებულები შედგნენ. ლაზარემ  
დედაბოძს ხელები შემოხვია, მერე მუხლ-  
ებზე დაიჩოქა და ასლუკუნდა.

არჩილიც ჩუმად ტირიდა.

— რა ვქნათ? — ცოტა ხნის შემდეგ, თი-  
თქოს სხვისი ხმით იკითხა არჩილმა.

— ბუსთავლებას ნახელავია! — თქვა ლა-  
ზარემ და ნიკა პაპას სახეზე მიუთითა. ფე-  
რმერთად შუბლზე ორი ლურჯი ზოლი გა-  
სდევდა მოხუცს. ალაგ-ალაგ. მკერდზე ბლაგვი  
საგნის კვალიც ემჩნეოდა. ტახტის უხეშ-  
თან ეგდო სისხლით მოსვრილი საბანი.

თვლებში ცრემლჩამდგარ ლაზარეს კრი-  
ქა შეეკრა და სიტყვის თქმას ვერ ბედავდა.  
არჩილმა მხრებზე გადახვია ხელი მეგო-  
ბარს.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა  
ჩუმად.

— დამფრთხალი კურდღლებივით გავიქე-  
ცით. აქ რომ ვყოფილიყავით. იქნებ ღმე-  
რით შეგვწვიოდა...

— არც ჩვენ დაგვიწოდებდნენ ეს ურჯუ-  
ლოები!

— ჰაი დედასა, ერთი თოფი მქონოდა...  
ლაზარემ ტუჩზე იკბინა, უნდოდა სი-  
მწრით მაინც გაექარებინა დაბოღმილი გუ-  
ლი.

— თოფით რას გავხდებოდით, ბევრნი იყ-  
ვნენ ეს ტალღები.

— გულს მაინც მოვიფხანდით იმ ბუსთავლებას,  
ნიკა პაპას ჯავრს არ შევარჩენდი... ნახე, სახეზე  
როგორ ეტყობა იმისი მათრახის კვალი!  
— სლუკუნით თქვა ლაზარემ, თახ ცდილო-

ბდა უელში მობჭენილი ტირილი როგორმე  
ზეიკავებინა. მერე გამოწვდილ ხელზე  
ფერა მოხუცს, სათუთად გაახსნევინა თითე-  
ბი ქარვის კრიალოსნის როდღე ორი მა-  
რცვალი ჩამოუვარდა გალურჯებული ხელი-  
დან ნიკა პაპას.

ლაზარემ მოხუცის პერანგის ნახევრზე გა-  
ხვია კრიალოსნის მარცვლები. უფლებიდან  
ჩამოყრილი კურცხლები ხელისგულიდან  
ამოიწმინდა, უბრალო კანაფით თილისმასა-  
ვით ჩამოიკიდა კისერზე ნიკა პაპას ნაქო-  
ნი კრიალოსნის მარცვლები, მხრების ცახ-  
ცახით ტახტზე ჩამოვარდა და ხმაბალი ტირი-  
ლი ამოუშვა.

მთვარის შუქზე, სოფლის ეკლესიის ეხო-  
ში გაუთხარეს ბიჭებმა ნიკა პაპას სამარე.  
ტახტზე დაფენილ ჭილიბებში შეახვიეს,  
ფრთხილად ასწიეს ცხედარი და გათენებამდე  
სძივს მიიბარეს მიწას. ორი ლოდი მოაგო-  
რა, დიდი საფლავის თავთან დაუდეს, პატა-  
რა — ფუხებთან. მერე პირჯვარი გადაიწერეს,  
მიწით მოსვრილი ბარები საბჭელში დამაწესეს,  
მიწურის კარი ჩარაჯეს და, ვიდრე ირიფრეუ-  
ბდა, სოფელს გაეცალენ.

თოვლის გუნდასვით მიილია დღე. ზია-  
რეთის მთებიდან წამოსული თოვლ-კუყაიცი  
მიწუდა. სველ ქალამენბიან ფეხებს ტალახში  
ძლივს აღგამდნენ ბიჭები. წინ თოვლის თეთრ  
ღრუბლებში გახვეული კლდეკარის მთებია  
აღმართული, იმის იქით კოლიანია, შემდეგ  
უღელტეხილს გადავილიან და სამშვიდობოს  
გაგვლენ.

ცივა. თოვლით დახუნძლული ნაძვები გა-  
ნაბულან ირგვლივ. უვავების ჩხავილი მოი-  
ხმის ქარაფებიდან. შორს, მტკვრის ხეობის  
დასალიერში მოჩანს მტრის ხელით დაღწე-  
ლი მესხური სოფლები. უზარიათ ბიჭებს,  
ალაგ-ალაგ ბოლავს ბუხარი, რაც იმას იმა-  
სწავს, რომ სოფელში ჭერ კიდევ სიცო-  
ცხლე არის.

ამგვარი უხედურება ბევრჯერ დასტულო-  
ნია თავს მესხეთს, მოვარდნილ ურდოებს ბე-  
ვრჯერ წაულეკავს სიცოცხლე სოფლებში,  
მაგრამ გულეხაკს იმდენად ღრმად აქვს ფე-  
სვი ვადგმული მშობლიურ მიწაში. რომ მისი  
ამოგლეჯა არც ისე ადვილია, სამშობლოს სი-  
ყვარული გადაკაფული თუთის ხეხავით კვლავ  
ულორტებს ამოყრის და იარაგს მოუშუშებს  
ქართველ კაცს.

ბიჭებმა ფიჩხი მოაგროვეს, ხმელ-ხმელი  
ჯირჩებიც მოხვეტეს ნაძვის ძირებიდან. კაპა-  
ქიც დაგლიჭეს ცეცხლისთვის თვალში მისა-  
ცემად. ცოტა ხანში ალიც ააბრიალეს და  
მთელი დღის ნახეტალინი ცეცხლს მიეფი-  
ცნენ.

სიბოძმე მოთენთა ორივენი. დედის ნანასა-

ეთი ჩაესმოდათ ფიჩხის ტკაცატუცი და მი-  
ლულულ თვალს ძლივს ახელდნენ.

— იცი, არჩილ, პაპა ნიკასგან გამოგონია,  
ტყეში კაცს თუ ჩაქვინა, ავი სული აედევნე-  
ბა, ჭადოს გაუკეთებს და მონად გაიბნისო.  
ჩვენ თუ ჩავკვიძინა, ტყის აღი ჰგვეპარება  
და შეიძლება გავჯთვალოს კიდეც..

ლაზარემ ცალ მუხლზე წამოიჩოქა და ხე-  
ლისგულეები ცეცხლს მიაფიქსა, არჩილი  
მშვიდად ფშვინავდა.

ლაზარე ფეხზე წამოდა, ირგვლივ მიმო-  
ფანტული ხმელი ფიჩხი მოათრია ცეცხლის  
სიხლკოვეს. ზოგი ნაკვერცხლებზე დაყარა და  
მხართმძოწე წამოწვა.

რადაც უნდა დაუჭდეს, არ დაიძინებს ლა-  
ზარე, რა ვუყოთ, რომ არჩილს ჩაქვინა, იგი  
მასზე უმცროსია და ლაზარესაც უფრო მე-  
ტი გამძლეობა მართლაც. მერე მოჩვენება თი-  
თქის ცის კიდე თანდათან გათეთრდა. ისე-  
თი თეთრი ქათქათა ვახდა, გეგონებოდა, რძის  
ღრუბლებით დაიფარაო მთელი კოდანის მთე-  
ბი. მამაწმინდის მიდამოები ნაირ-ნაირი ყუა-  
ვილებით აივსო. წითელი, ყვითელი, ალის-  
ფერი, ლურჯი, ლაფვარისფერი სჭარბობდა  
ყველას, ჩანჩქერებიც მიხტოდნენ, ხოხობისფე-  
რი ხეობები ისე ხმაურობდნენ, გეგონებო-  
და, აბობოქრებული შავი ზღვა უზარმაზარი ტა-  
ლღებით მოიწვესო მთების მწვერვალებისაკენ.  
აჰა, ლაზარე და არჩილი ნელა მიდიან მთის ფე-  
რღობაზე, ხალათის კალთები ქაშა სოკოთი  
აუვსიათ ბიჭებს, უბეებიდან ნაირფერი ყუა-  
ვილების თაიფლები მოუჩანთ, ხასხასა  
ცვრიანი ბალახი ქალამნებს უხველებთ და  
მუხლებზე ეტმასნებათ... მიდიან და გზას  
არ უჩანს დასასრული... უცებ ხევის პირას  
აღმართული ციხის გალავნიდან ირემი გადმო-  
ხტა და ბლაკლით გამოქანდა მათკენ, ხედა-  
ვენ უჩნიდან მეცხვარის ვეება ძაღლები გა-  
მოენთნენ უმწეო ცხოველს, საცაა მისწდე-  
ბიან და ნაფლეთებდა აქცევენ კიდეც.

ლაზარემ კეტს წამოავლო ხელი, არჩილ-  
მაც მუშუმი ჩაბლუჭა მოზრდილი ქვა. ირემი  
ტყისკენ გაიქცა, ბიჭებმა ძაღლებს გზა მოუ-  
ჭრეს და, დახე უბედურებას, მათ თავზე  
აღმართული კლდე შექანდა, გადმოიწია და  
გულზე მაჭლაჭუნასავით დააწვა ბიჭებს.

ლაზარეს ესმის არჩილის ხროტინი, თვი-  
თონაც უნდა იყვიროს, იღრიალოს, მაგრან  
ყელში ჩამწყდარი იოგები მხოლოდ ყრუ  
ბზბუნს გამოსცემენ..

გვერდში ვილაციის მუჭლუგუნმა გამოაღვი-  
ძა ლაზარე. მიწირპლული თვალენი ეძლიერებოდა  
გახილა. მარცხენა ხელი გაშეშებოდა ცხვირს  
მიწაზე წოლით.

არჩილი ზემოდან დაჰურებდა მეგობარს.  
ირგვლივ ცხენების ფრუტუნი ისმოდა. ხმა-  
მალში გაღაძაბილი და სიცილი არღვედა  
დილის მუდროებას.

თეთრ ცხენზე ამხედრებული უღვაშებიანი  
მეომარი ჩამოქვეითდა, ლაზარეს ფეხზე წა-  
მოდგომა უშველა, იერზე ეტყობოდა რუსი  
ყო.

თბილი, დაკოურილი ხელი ლაზარეს თავზე  
გადაუსვა.

ცხენოსნებს რუხი გრძელი ფარაჭები ეც-  
ვათ. ყურებიან ქულზე ვარსკვლავები ჰქო-  
ნდათ მიყრული, მხრებზე ხიშტიანი შაშხანე-  
ნი ეკიდათ. სულ თხოუმეტიოდე იქნებოდნენ,  
ჭანღონიანი, დენთის სუნით გაუღენითილები.  
დაკოურილი ხელებითა და წვეკოთი შეტრუსუ-  
ული უღვაშებით.

არჩილს უკვე მოესწრო მათთან დამეგო-  
ბრება. წვრილად დაჭრილ ლორს შავ პურზე  
ადებდა და მდიანად ილუკებოდა.

— ბიძია ვახლმა მითხრა, ამ მთების გა-  
დალახვა ახლა აღარ მოგიწევთ, რადგან ჩვენ  
უკვე გადმოვლახეთ, გაქცეული მოსახლეო-  
ბაც ისევ უკან ბრუნდებაო, — თქვა და ენ-  
ით ტუჩები მოილოკა.

ლაზარეს და არჩილის დანთებულ კოცო-  
ნზე ფიჩხის გროვა დააყარდა მებრძოლებმა.

ხაამური ტკაცატუცი ისმოდა ირგვლივ.

ლაზარე ატუბოდა, კარგ გუნებაზე იყო  
არჩილი, იგი რალაცას უწყებოდა გარემო-  
რტყმულ ჭარისკაცებს, ხან იცრემლებოდა,  
ხან კი გულთანად ხარხარებდა. მერე კოცონის  
სიხლკოვეს ადგილი გაანთავისუფლეს მე-  
ბრძოლებმა, ლაზარეც გვერდით მოისვენა.

— არ ინაღლო ამხანაგო, ჩვენ, ბოლღე-  
ვიები, დაჩავრის უფლებას არავის მი-  
ცვემთ. იმ ბუსთვალეხასა და თეთრჩაღმიანს,  
ცხრა მთას იქითაც რომ იყვნენ გადაკარგუ-  
ლები, მაინც მოვძებნით და საბჭოთა ხელის-  
უფლების სახელით მაგ ავაჯამობისათვის ხა-  
ნავალითოდ დავხვით, რაც შეგებუბათ თქვენ,  
უნდა ისწავლოთ, რათა ჩვენს მუშურ-გლე-  
ხურ ქვეყანას გამოადგეთ.

სიხარულით ისმენდნენ ლაზარე და არჩი-  
ლი წითელვარსკვლავიანი მეფაურის ტყილ  
საუბარს.

# რუსუდან ჯინჯიხაძე

შ ე ნ

შენთან არს  
ჩემი ჭირნახული და ანეული  
და გასასვლელი  
გზები...  
გზები...  
გზები ხვეული,  
ტალღის მათრახით ზღვის ფსკერზე ვარ  
გადაქნეული,  
ვით ზელოვნების უცხო სხეული.

ზღვა ფუხფუხებს და ისევ როკავს,  
მაინც უკონის საქართველოს ბაგეს  
და ლოყას,  
აქ ვინ, ვის არგებს?..  
სად წავიღო გაშლილი ფრთები?..  
რომელ ზღვაში ვარ... სადაური?..  
ან რისთვის ვკვდები?..  
ახლა მჭირდები ისე ძლიერ,  
ამ დღეთა მწუხრში,  
ვით უდიდესი გამარჯვების მადლმოსილ  
წუთში.

იქნებ ზღვა არის  
ამ მწვერვალთა ცრემლი უძირო,  
თუმცა ნამცეცოც ანდამატის თვალს  
სჭრის უცილოდ.

ზელოვნებასაც,  
ვით ქალს, ჰფარავს ცისფერი რიდე,  
თუ დროში ჰკარგავს,  
სანაცვლოდ ხომ ძალაში იგებ.  
რომ ისევ შენი სატყევეარი ავზიდო ცაში,  
იდუმალემა, რომ გავიგო, რატომ დევს  
ქვაში?

ავაქათქათო  
სულის  
ლურჯი  
სინათლის ველი,  
რომ აღაღანდეს უყი მიწა,  
ვით ოქროს რთველი,  
რომ მხოლოდ შენთვის.  
დე და მიწავ!  
ვხატო და ვხატო,  
შენ,  
ჩემო ერთო სიყვარულო,  
ჯავრო და ხატო!  
თუ შთავონების სიღრმეშიაც მასწავლე  
ცურვა,  
შენით ცხონებულს მიწიერი  
დამახრჩობს ურვა?..

მე გადავივლი  
ყველა ყალბ და უგულო ენას,  
შენს ცის ფერშიაც, საქართველოვ,  
ვისწავლი ფრენას.



ჩემი გულის ნადევრდალი  
სხვისი ქოხის კედლებს ათბობს,  
მე კი ციკქნა ნატურისთვალის  
სადმე გზაზე ჰოვნას ვნატრობ.

ცისარტყელის ერთი ფერა  
ეყოფოდა ჩემს ეზო-კარს,  
სიყვარულის ერთი წვეთი  
რომ ჩემთვისაც დაეზოგა.

ზის სიჩუმეში და სმენას ძაბავს,  
კარის გაღებას მაინც ვერ ამჩნევს,  
ბოლო დროს ძლიერ  
დაბერდა მამა,  
უფრო და უფრო დარდობს დედაჩემს.

შარშანდელი სევდა ათოვთ  
ჩამოლეწილ ხეივნებს,  
წვიმებმა და ქარიშხლებმა  
ისევ დაახეიბრეს.

აღრაფერს ელიან და  
არაფერი ახარებთ,

ფიქრი ბორგავს,  
სახეში მცემს  
მიწის მსუყე ანაორთქლი.

სხვისი დარდის ცრემლი ვღვარე,  
სხვისი გვალვის წვიმა ვიყავ,  
გავათენე სხვისი ღამე,  
სხვისმა ტალღამ გადამრიყა.

რალა დარჩა, დაწრეტილა  
წყაროს წყალი წვეთწვეთობით.  
მხოლოდ სხვათა საკეთილოდ,  
მხოლოდ სხვათა შემწეობით.

ხმაურზე ოდნავ შეკრთება თითქოს,  
დაბინდულ თვალებს მარილებს განგებ,  
მონატრებია საუბრის სითბო  
და მეკითხება ქალაქის ამბებს.

ჩაფიქრებულთ დღენიადაგ  
ესიზმრებათ სხვა მხარე.

ცრემლი სდით და მდუმარებით  
გასცქერიან მიდამოს,  
ცაა გამოუდარები, —  
იქნებ გამოიდაროს.

ჩანგრევია გული ბოგირს,  
სულს იბრუნებს  
ტირიფების მარათით.

### ღლე კარნავალის

ღლე კარნავალის,  
ცისფერ ნილაბით,  
ღლე კეკლუცი და  
ქალივით სათნო,  
არსად ისმოდა  
ჩქამი სიყალბის,  
არცარა შურის  
ჩუჩჩული ახლოს.

ყველა სიკეთით  
იყო ხმობილი,  
ყველა საოცრად  
იყო გულლია  
და გავიფიქრე, —  
გზამ წუთისოფლის  
სულ სხვაგან ხომ არ გადაუხვია.

საქართველოს ბედის აიზა

ეს მზიური ლურჯი კიბე უსწორდება ცას, **მეფეობა იტყუებს**  
გულს უხარებს მოყვარესა, ორგულს თვალებს წვავს.  
საქართველოს ბედის კიბე ადგას ზეცის კარს,  
ვაზი, დაფნა და ფათალო ეკლებიან გარს.  
მგოსანი და ხელოვანი დგანან მხარდამხარ...  
მეც ამ კიბის ერთი მცირე საფეხური ვარ.  
ადგილი და დონე ჩემი ესმის მხოლოდ ხალხს,  
მე კი მესმის მხოლოდ ის, რომ არ ვაკარებ ხავს.  
კიყო ქვედა საფეხურიც — ვინც რა უნდა თქვას,  
ოღონდ იყოს რვალზე მტკიცე ჩემი წილი ქვაც!

სიმღერა მიხეილ ხერგიანზე

დიდაბ, მიშა ხერგიანო!  
მეხი ღრუბელს ჰევდა...  
როდის მოხვალ? ვისაკლისეც  
მახვშიებმა ხევთა!

კლდის ვეფხვი ხარ, კლდის შვილი ხარ  
რად გიმტყუნა დედამ?  
ბედმა ბედის ნებიერი  
როგორ გაავიმეტა?

არ იცოდი ჩამორჩენა,  
არ იცოდი დაღლა...  
ძმები დაბლა დაგეძებენ,  
- არწივები მაღლა.

დიდმა მთებმა მოიწყინეს,  
ორბებს ენატრები,  
ფიქრის ნისლით დაბურულან  
თეთრი მწვერვალები.

მთის არწივმა არწივებთან  
რად გამართე დავა?  
მწვერვალებმა რად გიმუხთლეს —  
მწვერვალი ხარ თავად!

დიდაბ, მიშა ხერგიანო,  
გლოცავს მეხთამშენი,  
მწვერვალებზე მაღალია  
უკვდავება შენი!

კლდის სიმღერა

შორს, ჰადიშის მაღალ კლდეზე  
ძველი კოშკი დგას,  
და ჩანგს ანდობს კოშკის მახვში  
სვანთა გულისთქმის;  
დიდი წიგნის შემნახავი  
კოშკი ანდობს ქარს,  
ქარი ანდობს ფრიალოებს,  
რომ დამდგარან გარს,  
და კლდე მღერის... მოუსმინეთ,  
რა სიმღერა თქვას:

ხსოვნას ცეცხლი ნთქავს —  
საქართველოს საძირკველი  
ურყევ კლდეზე დგას!  
ხელოვანთა ტაძარი,  
რწმენის კედელს კრავს.  
ცეცხლის ქარი ვეშაპივით  
ეხვეოდა გარს,  
ნალექი და ნამუსრევი  
მიჰყვებოდა ქარს,  
ფუძე კი ვერ შეურყიეს  
მშენებელთა გვარს, —  
საქართველოს საძირკველი  
მაღალ კლდეზე დგას!

„საქართველოს საძირკველი  
სანდო კლდეზე დგას;  
ძველსა ტაძრებს ქვიშა ფარავს.



# ალექსეი არღენი

## ბ ე ჭ ე ღ ი

(ნოველა)

ხელი ფოცხივით გაფშოკა და ხშირი, გრუზა თმა, თავზე ბუჩქად რომ ადგა, სველი თითებით გაისწორა. თითები ისეთი ფუნთუშა ჰქონდა, იფიქრებდით, ხელი რომ მოუჭირო, ქონი გამოჟონავსო. ყოველგვარი ცდა ამოიყო — თმა თავის ჰკუთხე იდგა და არავითარ ნელსაცხებელს — ამერიკულიდან მოყოლებული, იაპონურის ჩათვლით, — არ ემორჩილებოდა; ცოლი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა: ყოველ საღამოს თითქმის ჩვეულებადქცეულ პროცედურას უტარებდა — თმის ძირებს თითებით უხეღდა და, თავისი ჰკუთით, ქმარს გაქალაჩავებისაგან იფარავდა.

მაშ ასე, შალბემ თმაზე ხელი გადაისვა, შეეცადა მოეწესრიგებინა, მერე მსხვილ კისერზე მოწითალო ფართო ჰალსტუხი გაინასკვა, ფრანგული ოდეკოლონი „ო ენ“-ი იპკურა და სასტუმროს ნომრის კარი გაიხურა.

სწრაფმავალი ლიფტით დაეშვა ქვევით. დედაქალაქის სასტუმროს მარმარილოთი მოპირკეთებული ვესტიბულის კარისკენ გაბაჯბაჯდა. საშვების განყოფილების მორიგე ხაზგასმული თავაზიანობით მიესალმა და ხელი მოწიწებით გაუწოდა. შალბემ ჯიბიდან სწრაფად ამოიღო რაღაც დაჰმუჭნილი ქაღალდი და გაბადრულ მორიგეს ხელი შეაგება. ყველა ვერ შეამჩნევდა, როგორ ილუზიონისტივით, თვალის დახამხამებაში გააქრო მორიგემ ეს ქაღალ-

დი კოსტიუმის ფართო სახელოში. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა გზას გაივლის შემდგომში ეს ასიგნაცია: კარის დარაჯის წითელი ცხვირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. იგი ერთობ მარტივი ჩანს...

მამაკაცები ურთიერთს კმაყოფილნი დაშორდნენ. ხალხით გადაჭედო ცენტრალურ ქუჩაზე შალბეი შეჩერდა და გამვლელებს ხარბი მხერა მოავლო. ქონიანი თითები კოსტიუმზე ჩააცურა, სწრაფი მოძრაობით შეიკრა ორი ღილი. თითქმის მოშოშვლებული მუცელი კოსტიუმმა დაუფარა. კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას. ფიქრობდა: „აღმართს რომ ავყვე, გავიგუდები, თანაც ისევ მაღაზისთან მომიწევს გასვლა. ვაქრობას კი არ ვაპირებ, მაშასადამე (აქ მან გვარიანი სიტყვაც მოაყოლა), იქით არაფერი დამჩენია. დიდი თეატრისაკენ? აჰ, არა! დასანახადაც ვერ ვიტან ამ არიების შემსრულებლებს. არის კიდეც ერთი ვარიანტი: ქვის დრამატურგი რომ ზის, იმ ადგილას ავუარო გვერდი თეატრს, მაგრამ მაშინ პირდაპირ იმ ხალხის შუაგულში ამოვყოფ თავს, თვითმომსახურების მაღაზიისკენ რომ გარბიან და გზის ამ მონაკვეთის გავლა სიცოცხლეს გამიმწარებს. არა, მაინც ვინ რეგვენმა მოიფიქრა ორ თეატრს შორის მაღაზიის ჩაკეცება? რა გამოდის: ხალხი თეატრს წედაც არ უყურებს, მაღაზიისკენ კი თავპირის მტვრევით გარბის?! მოდი, ტელეგრა-

ფისკენ გავუტევე, პუშკინის ძეგლთან იქნებ ვინმე წყალწალღებულსაც გადავეყარო...“

ამ ფიქრებით დატვირთული შალბეი ადგილზე შეტორტმანდა. მაგრად რომ დამდგარიყო, ფეხები გაჩაჩხა და მორიგით თითები, როგორც ჩვეოდა, მოყვითალო ფერის ქამარს ჩაავლო, მოფამფალბებულ მუცელზე რომ უჭერდა. და პრაქუნით აქაჩა იგი ზემოთ, მაგრამ, საკმარისი აღმოჩნდა ადგილიდან დაძრულიყო, ქამარი მაშინვე ძირს ჩამოუცურდა და ღიპს ქვემოთ დაიკავა თავისი ჩვეული ადგილი.

შალბეი მძიმედ მიაბიჯებდა. სწრაფად მიმავალი ხალხის ნაკადს ფეხს ვერ უწყობდა. მოქალაქენი, გამვლელებს რომ ჯიკავ-ჯიკავით იგერიებდნენ, თვითონაც გვარიან ქიმუნჯებს ლებულობდნენ იმათგან, ვინც უფრო მოხერხებულად მიძვრებოდა ბრბოში. შალბეი წინის მალაზიას ვასცდა და ჯაჭუფთების კიოსკები, თამბაქოს ფარდულეები და საბილეთო სალაროებიც უკან მოიტოვა. ყველაფერს გულგრილად ათვალიერებდა. ნაბიჯი მხოლოდ ღვინის საფირმო მალაზიასთან შეუნელდა: ვიტრინაში ლამაზად ჩამწყკრივებულ ბოთლებს მიაშტერდა. ერთი ღრმად ამოიხეწნეშა და ისევ იმ ხალხის ნაკადს შეერია, პუშკინის ძეგლის მიმართულებით რომ ეშურებოდა. ძეგლთან შეჩერდა. ღრმად ქშინავდა. თავაწეულმა შეხედა პოეტის ძეგლს და უცბად ივრძნო, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. პარკში შევიდა. ვრძელი სკამები მოღლილ-მოქანცული ხალხით იყო გადაჰედლი.

ერთ-ერთ სკამს მიუახლოვდა. სკამზე მსხდომმა მოხუცმა ქალებმა შემფოთებული მხერით შეათვალიერეს, უხმოდ გადახედეს ერთმანეთს და ადგილი დაუთმეს.

შალბეი განთავისუფლებულ სკამზე დაეზღერთა. მუცელი ფამფალით დაეშვა მუხლებზე. დიდხანს იჯდა ასე და ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელთ. და აი, უცებ თვალი ჰკიდა სწორედაც რომ ხელსაყრელ ობიექტს

— ქალაქის ცენტრალურ კინოთეატრს ხმამალა, თითქმის დამარცვლილ წიკითხა ფილმის სახელწოდება: „უამი სურვილებისა“. აფიშის გვერდით ანონსი იყო გამოკრული, მაგრამ ისეთი წვრილი ასოებით აეწყოთ, დიდხანს ამოდ ცდილობდა მის ამოკითხვას. მეტისმეტი დაძაბულობისაგან ქუჩის მთელი ხმაური თავში აეზილა, თვალები ნელა დაეხუჭა და ჩასთვლიმა. ხელი თანდათან დაუმიძმდა, მუცლიდან ჩამოუტურდა და გამხმარ მუხლზე დაეცა გვერდით მჯდომ მოხუცს, რომელსაც ხელში ვაზეთი ეჭირა. მოხუცი შეკრთა, სწრაფად დაეცა ვაზეთი და ყინჩად გასწია ბალის სიღრმისაკენ. შალბეის კი ეძინა. ჯერ ოდნავ გვერდზე იყო გადახენქილი, მალე კი მთლიანად გაიშოტა გრძელ სკამზე. სუნთქვის ტაქტზე შეწყობილი თახთახებდა მისი ვეებერთელა მუცქლი, მარცხენა ხელი კი, რომლისთვისაც ამსიფართე სკამზე ადგილი აღარ დარჩა, ძირს ჩამოუცურდა. უსახლო თითზე გაკეთებული მასიური ბეჭდის ბრწყყვიალი თვალს ჭირდა გამვლელებს. უცნობი გოგონები მარდად, მოუტირებლად მიუახლოვდნენ. ჩანდა, რალაც ჩაეფიქრებინათ... მაგრამ ყველა მხრიდან ბეჭდის მიციებული იმდენი ცნობისმოყვარე თვალი იცქირებოდა, რომ გოგონები შეჩერდნენ, ერთმანეთს რალაც გადაულაპარაკეს და შალბეის გაშორდნენ...

ძეგლის წინ ხალხის ჯგუფი მატულობდა. კვარცხლბეკზე უკვე ეწყო ცოცხალი ყვავილების მთელი გროვა. ადამიანები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, პოეტი კი მაღლიდან „დასცქეროდა“ მათ, თითქოს ხარობდა მაღლიერ შთამომავალთა ყურადღებით.

მოულოდნელად წამოშლილმა ღრუბლებმა დაფარა მზე და მიწაზე წვიმის მსხვილი წვეთები ატყაპუნდნენ. ძეგლის მახლობლად სკამებზე ჩამომსხდარმა მოქალაქეებმა ერთხმად „დააძვრეს“ ქოლგები და სხვადასხვა მხარეს გაწმურნენ. სკვერი სწრაფად დაცარიელდა მხოლოდ ორნი არ აგდებდნენ აინუნში

თავსხმა წვიმას... და შალბეი...

შალბეის თავზე... შალბეის თავზე... შალბეის თავზე...

წყალმა მალე... შალბეის თავზე... შალბეის თავზე...

უფროსი ოფიცინტი მის შესახვედრად... შალბეის თავზე...

ვეებერთელა დარბაზის თაღებქვეშ... შალბეის თავზე...

დავლებს ჭიშკარს; ყველაზე ძლიერად... შალბეის თავზე...

გრუზა თმა კარგად არც კი გაშრობოდა... შალბეის თავზე...

თითის წვერებზე შემდგარმა უფროსმა... შალბეის თავზე...

— გმადლობთ, გეთაყვა. როგორ ხართ აქეთ უჩემოდ? — დაინტერესდა შალბეი.

— ყველაფერი რიგზეა, პატივცემულო. ვიდრე თქვენ კარგად ხართ, ჩვენც ვცოცხლობთ, თუ თქვენ არ იქნებით, ჩვენც აღარ ვიარსებებთ, — გამოაცხო მიმტანმა მორიგი კალამბური.

— იცოცხლეთ თქვენ და ჩვენც ვიცოცხლებთ, — ექოსავით გამოეხმაურა შალბეი და ჭიქა პირში გადაიმხო.

— ხელს აღარ შეგიშლით, მიირთვით! — უფროსმა მიმტანმა თავის კოლეგებს ანიშნა, წავედითო.

მუსიკა კვლავ მძინვარებდა. შალბეი კი წისქვილის დოლაბივით ამუშავებდა ყბებს; ცარიელ თეფშზე ხმაურით ცვიოდა გოჭისა და ქათმის დახრული ძვლები, ბოთლებიდან ისე სწრაფად



ქრებოდა სასმელი, თითქოს თვით ეშ-  
მაკს გამოეცლია მათთვის ძირი...

პირის პატივით გართულს ერთხანს  
არც კი შეუმჩნევია მეზობელ მაგიდას-  
თან მჯდომი ორი ქალი, უხმოდ რომ  
აკვირდებოდნენ. ქალების გაწაფულმა  
მხერამ სწრაფად შეაფასა ყველაფერი  
— დაწყებული საშემლით და დამთავ-  
რებული შალბების მარცხენა ხელზე  
წამოცმული მასიური, ძვირფასი ოქ-  
როს ბეჭდით. ჩუმად ისხდნენ, ელოდ-  
ნენ, როდის გაძღებოდა კაცი და მათ-  
თვის მოიცილიდა.

შიშშილი რომ მოთოკა, შალბემ და-  
რბაზში მყოფნი შეათვალა და სწო-  
რედ მაშინ შეამჩნია ისინი... ქალებმა,  
თითქოს ნაბრძანები აქვთო, თეთრი  
კბილების ელვარებით გულაჩქროლე-  
ბულებმა ნაზად გაუღიმეს. ეს საკმა-  
რისი შეიქნა, რომ შალბეი გამოცნაუ-  
რებოდა და მაშინვე თავის მაგიდასთან  
მიეწვია. სუფრა გაახლებინა და მო-  
ზეიმე სახით შეუდგა თამადაბას. ქა-  
ლები მთელი გულით მხიარულობდნენ.  
არნახული, არაჩვეულებრივი სიკისკა-  
სით ისროდნენ მგზნებარე სასიყვარუ-  
ლო ფრაზებს შალბების მისამართით...  
შალბეიც, რასაკვირველია, ისეთ ყოფა-  
ში იყო, მზად გახლდათ, მარტო ეს  
ორი ქალი კი არა, მთელი მათი საგვა-  
რეულო შეეყვარებინა. თვითონაც მოი-  
ლხინა, ცდილობდა, ქალებისთვის თავი  
მოეწონებინა. საუბარში მოხერხებუ-  
ლად ჩაურთო, ჯერ კიდევ უცოლო ვა-  
რო და, ერთი საათიც არ იქნებოდა გა-  
სული, ისე დაახლოვდნენ, იფიქრებ-  
დით, ამათ ერთმანეთს ველარა ძალით  
ვერ დააშორებო. მალე ქალებმა ცეკვა  
მოისურვეს, მაგრამ შალბეი უარობდა:  
ეშინოდა, თავისი ღიბის გადამკიდე ძა-  
ლზე სასაცილო არ გამოჩენილიყო.

ქალებთან უარი არ გაუვიდა. ერთ-  
ერთმა, ელენამ მთელი საღამო ჯიუ-  
ტი ცისფერი თვალებით მრავალ-  
მნიშვნელოვნად რომ შესციცინებდა,  
ლონივრად გაქაჩა იგი მოცეკვავე წყვი-  
ლებისაკენ. კაცს აღარაფერი დარჩენო-  
და: ხელი მოხვია ქალის მკერვი წელს

და მუსიკის ტაქტზე ხვანხვალი, დიდი-  
წყო. ელენას თავი მის მხართან მიჰქრო-  
თვალეები თავის მოლოდინში განაბულ  
კატასავით მიეღულა და ნელა ირ-  
წეოდა თავის ვეებერთელა პარტინორ-  
თან ერთად. კაცს ეჩვენებოდა, რომ ეს  
მუსიკა აღარასოდეს დამთავრდებოდა.  
უსაშველოდ დაიძალა, დანთქმული  
სასმელ-საჭმელიც თავს ახსენებდა...  
უკანასკნელ ძალას იკრებდა, რომ დე-  
დაქალაქელ ქალთან სირცხვილი არ  
ექამა. ქალი დროდადრო თვალს ახელ-  
და და ხარბად ათვალეირებდა შალბების  
ძვირფას ბეჭედს. ქანცაწყვეტილ შა-  
ლბების კი თავისი დარდი ჰქონდა...

ბოლოს, როგორც იქნა, ერთხმად  
ამოიღრიალა ყველა საკრავმა და ორკ-  
ესტრი დადუმდა. წყვილები ნელა გაე-  
მართნენ მაგიდებისაკენ. შალბების გასა-  
ხარად, მისი პარტინორიც აჩქარდა.  
თვითონ ერთი სული ჰქონდა, თავის  
ნომერში როდის აღმოჩნდებოდა. ელე-  
ნამ ამ შესანიშნავი მამაკაცის გაცილე-  
ბა გადაწყვიტა და ისიც, თავბრუდახ-  
ვეული ამდენი ქებისაგან, დათანხმდა.

შინ თავი გაცილებით უკეთ იგრძნო.  
ელენას თხოვნით შამპანური მოატანი-  
ნა. ელენა კვიცივით ხტოდა, შამპანუ-  
რის უხეფებით მთლად გაწუწული და-  
ღლას სრულებით არ გრძნობდა. შალ-  
ბეი კი მოქანცა ამდენმა დავიდარაბამ,  
ღვინომაც თავისი გაიტანა და დივანზე  
ხმაურით გაიშოტა. ელენა გვერდით  
მიუჯდა და მის გრუზა თმას წვალემა  
დაუწყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ  
შალბების ხვრინვა ამოეშვა.

მზის ნათელმა სხივებმა გააღვიძა  
ჩვენი გმირი მეორე დილას. ძვლების  
ტკაცუნით გაიზმორა, დივანზე წამოჯ-  
და. იგრძნო, თავი გასკდომაზე ჰქონდა,  
გამშრალი ყელი კი ისევ სასმელს თხო-  
ვდა. დამთქნარა. ტანში ჟრუანტელმა  
დაუარა. წუხანდელი ღამის გახსენება  
სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა:  
მეხსიერება ნაჯახივით არის — თუ და-  
ბლაგვდა, ვეღარაფერს გახდები...

ბინდით მოცულ გონებაში ელენას  
სახემ გაუელვა. სწრაფად წამოხტა,



ოთახში გაიარ-გამოიარა. მიხვდა, მართო იყო. მექანიკურად გამოალო მაცივრის. კარი. ერთადერთი ბოთლი მინერალური წყალი „მოსკოვური“ აღმოაჩინა, კბილით გახსნა და ერთ მოსმაზე გამოცალა, მერე პირსახოცს დაავლო ხელი და ხვნიშა-კრუსხნით სააბაზანოში შეძვრა. ხმაურით, ფრუტუნ-ფრუტუნით იბანავა. გრილმა წყალმა ცოტა მოაცოცხლა. ტანს რომ იმშრალეზდა, უცებ გაშეშდა. შეშინებული მიაჩერდა მარცხენა ხელს — უსახელო თითიდან ბეჭედი გამქრალიყო. მასზე მხოლოდ ბეჭდისგან დაჩნეული თეთრი კვალი მოჩანდა.

— აახ, რა იქნა ბეჭედი! — ამოიხრიალა და ოთახს მოედო. ყველა კუთხე მოჩხრიკა, მუცლით იატაკზე დაფორთხავდა, ყველაფერი ამოატრიალა — სკამები, სავარძლები... მერე დივანს მიაწყდა: მუხის ფესვებს შეჭიდებული დაკოდილი ტახვიტ ეძვრა და ამოაყირავა — ამოდ დაშვრა, ბეჭედი არსად ჩანდა. არადა, ცოლის დაუხმარებლად ვერც კი იძრობდა ხოლმე თითიდან. უნებურად თვალზე ცრემლი მოადგა, სუნთქვა შეეკრა. გაახსენდა, როგორ შეიძინა ბეჭედი:

ოდესაში შშრალად თოვდა. კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ მგზავრები, რომლებიც სწრაფადვე ეფარებოდნენ თვალს, რათა ამ სუსხს გარიდებოდნენ. გათოშილი შალბეი უკვე ნახევარი საათი იყო, ბოლოს სცემდა ოპერის თეატრის მარცხენა მხარეს: საჭირო კაცს ელოდა. ბოლოს ისიც გამოჩნდა. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— გამარჯობათ, — მიესალმა წვერცანცარა კაცი.

— გავიმარჯოთ, გავიმარჯოთ, — უბასუხა სიცივისაგან მობუზულმა შალბეიმ.

- როგორ არიან კავკასიელები?
- ვცოცხლობთ, არა გვიშავს რა...
- მოსე ხომ კარგად არის?
- ეჰ, ნეტავ ყველა ეგრე იყოს...
- რით გავვახარებთ? — თავხედურად იღიმებოდა უცნობი.

— განა მოსემ არ გითხრათ? — უკმაყოფილოდ გაეპასუხა შალბეი.

— ეე, ტელეფონზე ყველაფერი ვერ იტყვი. ისე, ჯანზე როგორ ხარ? — გაიკრიჭა თხისწვეროსანი.

— ყველანაირ ბარგს მოვერევი, თუ გაინტერესებს...

— თორმეტს ასწევ?

— თორმეტი! — გაოცდა შალბეი, — რა ამბავია?!

— მთლად რიგზე ვერ უნდა იყო, ჩემო კარგო. აბა, თორმეტი „ყურუშისათვის“ აქ ვინ მოვიდოდა. განათლებაც არ მაძლევს ნებას, ამ ყინვაში დავდგე და გევაჭრო... ეს მოსეც კარგი ვინმეა, სულ დაწვრილმანებულა! — თხისწვერა წასასვლელად მოემზადა.

— ეი, მოიცა. ერთი მაინც შემახედე, — გააფთრებით გამოსცრა შალბეიმ, თან ირგვლივ მიმოიხედა.

— მარტო ნახვაში რა ყრია, თუ თავი არა გაქვს... — წვეროსანმა დაჟინებით შეათვალა შალბეი. პროფესიული აღლო კარნახობდა — კლიენტის ანკესზე წამოეგო. ჯიბეში ხელი ჩაიყო, პატარა ყუთი ამოაძვრინა და ისე სწრაფად გახსნა ზედ შალბეის ცხვირწინ, თითქოს მას ყნოსვით უნდა გაეგონა წარმის ხარისხი და ღირებულება. შალბეის საჭირო თანხა მზად ჰქონდა, მაგრამ მაინც ვაჭრობდა — ჩვეულებას ვერ ღალატობდა. უცნობს ფული მიუთვალა და ისე გაეშურნენ სხვადასხვა მხარეს, ერთმანეთისთვის სიტყვაც აღარ უთქვამთ.

აი, ახლა კი თითი ისევე ცარიელი აქვს, როგორც თავი და სული. ერთბაშად აღგილიდან მოწყდა და კარადაში დაკიდული კოსტიუმის შიდა ჯიბეში დაიწყო ქექვა. კვლავ ახალი იმედის გაცრუება: ფულიც აღარ ჩანდა! საზღვარი ვაღილახა... ოქროს ბეჭდის და ამხელა თანხის დამკარგავი შალბეი (მან უკვე იცოდა, ვისი დამსახურებაც იყო ეს ყველაფერი!), გაცოფებული მივარდა ტანსაცმელს და ჯიბეები ამოატრიალა. გააფთრებულ ხარს ჰგავდა: სიშმაგემორეული რქებით მიწას რომ

ჩხვერავს, ირგვლივ კი მისი ჩლიქები-  
დან ავარდნილი მტერის ბული ტრიბ-  
ლებს.

იტაკზე ცვიოდა რაღაც ქაღალდები,  
ცხვირსახოცები და ათასი წვრილმანი...  
რადიოსადგური „მაიაკი“ ჰაიდნის მუ-  
სიკას გადმოსცემდა. ოთახში მზიარუ-  
ლი, ძლიერი აკორდები იფრქვეოდა,  
მისი მოზინადრის სულში კი ამიერიდან  
მზიარულება გამქრალიყო. იგი წყველ-  
იდა წუხანდელ საღამოს, ნაზი სქესის  
ყველა წარმომადგენელს; ეცოდებოდა  
საკუთარი თავი, ენანებოდა ბეჭედი,  
რომელიც, მოსეს თუ დაუჭერებდით,  
ოდესღაც ივანე მრისხანეს თუ პეტრე  
დიდის საკუთრება ყოფილა, მერე მო-  
უპარავთ რომელიღაც მუზეუმიდან და  
სწორედ ეს ისტორიული ღირებულება  
იყო, კიდევ უფრო რომ მატებდა ფასს.

ტყუილად კი არ ეუბნებოდა მოსე,  
ყველგან ნუ გაიკეთებო...

დიდხანს იჯდა ასე. მთვარეულივით,  
ბოლოს ნელა წამოიზღაზნა, სახლში  
დარეკა. ცოლთან არცთუ მთლად ნა-  
თელი დიალოგი ჰქონდა.

— შენ?

— ჰო, მე ვარ.

— კარგად ვერა ვარ. ექიმმა, თავს  
გაუფრთხილდით. რაღაც იაპონურ წა-  
მალს ეძებენ, ვნახოთ, იქნებ მიშველ-  
ოს. რა? ნუ მასწავლი, თვითონ ვიცი,  
როგორ მოვიქცე. ყურადღებით მისმი-  
ნე! ჩემი ნომერია ორიანი და სამი ნუ-  
ლი. გაიგე? ო, ნუ კივი! ვთქვი, — სა-  
ჭიროა-მეთქი, მაშასადამე, საჭიროა! გა-  
იგე? ოხ, მეხმა ჩავტანოს... ჯა-  
ნდაბას, თუ შენ ასე თვლი, გამოავზავ-  
ნე ერთიანი სამი ნულით, მაგრამ მაგან  
ვის რა კუჭი უნდა გაუძლოს? რომელი  
ფოსტა, სულ გამოთაყვანდი?! სტიუა-  
რდესას გამოატანე, მე აქ დავხვდები.  
მორჩა, ველოდები! — ყურმილი და-  
ხეთქა, მძიმედ ამოიხვნეშა და ახალი  
ნომერი აკრიფა. მძიმე განწყობილების  
მიუხედავად, თავს მოერია და როცა  
ხაზის მეორე ბოლოში ყურმილი აიღ-  
ეს, ხმას მზიარული კილო მისცა:

— ალო, შენა ხარ, ჩემო ფინანსთა

ხელმწიფევ! — მეგობრულად გაესაუ-  
ბრა თავის მთავარ ბუჩაღტერს... ჩხვე-  
რავს ყველაფერი ვიხსენებ, ოღონდ  
მომეწყინა... ა, ჩამოსვლას აპირებ? მა-  
დლობელი ვარ ასეთი გეთილი ვანზრახ-  
ვისათვის. როგორ ვარ? თუ უშენობა  
არ მომკლავს, იცოდე, მეტი ვერაფერ  
ვერასოდეს მომეჩვენება წარმოებაში რა  
ხდება? აჰა, ჩვეულებრივ... ჩემს მოად-  
გილებს გადაეცი, ლუდს და ლიმო-  
ნათს ნაკლები შეჭარი უქნან. აა, გასა-  
გებია. მოკლედ, ძალიან მიხვედრილი  
ქალი ხარ. ჰო, ჰო, ორანი და სამი ნუ-  
ლი... ოჰო, მაშ, შესაძლოა ხუთიანი და  
იმდენივე ნულით? ვკოცნი შენი გამჩე-  
ნის ოქროს ფეხებს! ჰო, ჰო, როგორც  
ყოველთვის, სტიუარდესას... მენატრე-  
ბი... ნახვამდის...

და მანც, არავითარ გასაუბრებას  
მშობლიურ ხმებთან არ შეეძლო გამო-  
ყვანა იმ სიშმაგიდან, მის სულში რომ  
თუხთუხებდა.

მთელი ქონება თვალის დახამხამება-  
ში მიათესა. არა, ნამდვილი იდიოტია,  
როგორ არ დაუჭერა მოსეს...

თვითგვემიდან კარზე ბრახუნმა გა-  
მოაფხიზლა. შალბეი კარის გასაღებად  
წავიდა. ნომრის შესასვლელში მილი-  
ციელის ფორმიანი ახალგაზრდა იდგა.

— ლეიტენანტი ტიხომიროვი, — გა-  
ეცნო იგი, ორი თითი ქუდის წინაფ-  
რასთან მიიტანა და ქუსლები გააწკარ-  
უნა. შალბეი ერთბაშად მოეშვა, სცადა,  
კარის სახელურს ჩაბლაუჭებოდა.

— თუ არ ვცდები... შალბეი? — გა-  
რკვევით წარმოთქვა ლეიტენანტმა.

— დი-აახ, მე ვარ, — წაილულლუ-  
და შალბეიმ.

— მითხარით, მოქალაქე, გუშინ  
დღისით ან ღამე, ან დღეს რაიმე ხომ  
არ დაგიკარგავთ?

— აა, ფული დავკარგე და კიდევ  
ბეჭედი, — უნებურად წამოსცდა შალ-  
ბეის, მაგრამ იმავე წუთში, თითქოს  
გამოერკვაო, გააპროტესტა, — არა,  
არა, არაფერი დამიკარგავს. მთელი  
ჩემი ქონება აქ არის, — მან ხელით  
ოთახი მოხაზა.



— თუ შეიძლება, თქვენი ბეჭედი მაჩვენეთ, — ტიხომიროვის ხმა თანამდებობის შესაფერის ინტონაციას ღებულობდა.

— საიდან გაჩვენოთ, ბეჭედი ჩემს დღეში არ მკეთებია. — ცივად შეეპასუხა შალბეი.

— რატომ უარყოფთ, როცა ბეჭედი უკვე ვიპოვეთ? — ეშმაკურად ჩაეკითხა ლეიტენანტი.

— თუ იპოვეთ, თქვენთან დაიტოვეთ. მე არაფერი დამიკარგავს და არც მჭირდება ის, რაც მე არ მკეთუნის! — შალბეიმ ხმას აუწია.

— ახლავე გავარკვევთ, ერთი წუთით, — ლეიტენანტმა კარს იქით გაიხედა და ვილაცას უხმო.

ორმა მილიციელმა ოთახში შალბეის გუშინდელი ნაცნობი — მთლად გაწეწილი და ტანსაცმელდაკმუშნილი ელენა შემოიყვანა.

— თქვენ, თუ არ ვცდებით, იცნობთ ამ სულიერს! — გაუღიმა ტიხომიროვი.

— სცდებით, ლეიტენანტო, პირველად ვხედავ, — აჩქარებით უპასუხა შალბეიმ.

— შენ თუ იცნობ? — ტიხომიროვი ქალს მიუბრუნდა.

— მაგან მაჩუქა გუშინ ბეჭედი, — თვალის დაუხამხამებლად, სხაპასხუპით მიაყარა ელენამ.

— ერთობ ძვირფასი საჩუქარი კია ასეთი ქალისათვის, — დამცინავ კილოს ვერ შელევოდა ლეიტენანტი და მაშინ ქალმა ამოხეთქა: — წუხანდელი ღამის სახსოვრად მაჩუქა. თქვენი აზრით, აღამიანს არ შეუძლია ისე მოეკეცეს საკუთარ ქონებას, როგორც უნდა, არა? მოგვეშვით, ამ კაცს შევუყვარდი და მეც მომწონს! არა გვაქვს უფლება, ჩვენი ბედი ერთმანეთს დავეუკავშიროთ? ორივენი თავისუფალი აღამიანები ვართ და, ისე ვიქცევით, როგორც გაგვიხარდება!

— ჭერჭერობით თავისუფალი ხარ,

სწორია, მაგრამ პატიოსანი სწორებით ცხოვრება არ გინდა. ერთხელ იქნებოდა — სამი წელი მოგართვეს; მეორედ — ოთხი. შესამედ რომ ჩაგვებენ, დრო თავზე საყრელი გვექნება, — იჯექი და იფიქრე შენს ცხოვრებაზე, — დინჯად, დაჯერებით ლაპარაკობდა ლეიტენანტი.

— შენ რაღას დაგვლია პირი, ხომ ხედავ ერთმანეთს გვაშორებენ, — მიაკვილა ელენამ შალბეის, მაგრამ იგი ბოძივით უძრავად დარჭობილიყო და ხან ქალს მისჩერებოდა უაზროდ, ხანაც ლეიტენანტს.

— განყოფილებაში წამობრძანდით, იქ განვაგრძოთ თქვენს სიყვარულზე საუბარი, მოქალაქე! — ერთბაშად გამოიცივალა ლეიტენანტი.

— მე რატომღა? — წამოიყვირა შალბეიმ. — გეუბნებით, არაფერი დამიკარგავს. ამ ქალს არც კი ვიცნობ.

— აახ, აი, როგორ აუიკვიკდი, ავბორტო ტახო! — აკივლებულმს ქალმა მოულოდნელად გვარიანი სილა უთავაზა შალბეის. მილიციელმა ხელი ჩაავლეს და ოთახიდან გაიყვანეს. ლეიტენანტი დაჟინებით მისჩერებოდა შალბეის. მან ზოზინით დაიწყო ჩაცმა.

— ბეჭედი, რომელიც თქვენ მოგბარეს, სამუზეუმო იშვიათობაა. — მკაცრად, დამარცვლით ამბობდა ლეიტენანტი, — ის, რა თქმა უნდა, თან გაიყოლებს ყველას, ვინც მასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არბს, ასე იოლად რომ შეეღიეთ, — დაასრულა მან.

შალბეის შეპასუხება უნდოდა, მაგრამ ლეიტენანტი ისე ლოკავითრად მსჯელობდა, სიტყვის თქმა ვეღარ გახდებოდა. შეშინებული ფიქრობდა, რომ ორგანოებისათვის ნათელი გახდებოდა ყველა მისი მაქინაცია — მიწერები, გაფლანგვები...

— ეჰ, სასჯელს ვერ გადავურჩები, — გაიფიქრა განწირულმა და ფეხსაცმელების ფრატუნით გაჰყვა ლეიტენანტს გასასვლელისაკენ.



**შაშველ იოსეფ აგნონი** ებრაული ლიტერატურის კლასიკოსია. იგი დაიბადა 1888 წელს რუსეთში, აღმოსავლეთ გალიციაში. 1924 წ. დამკვიდრდა ქ. იერუსალიმში, სადაც გარდაიცვალა 1972 წელს. შ. ი. აგნონი ისრაელის სხვადასხვა ეროვნული და ნობელის საერთაშორისო პრემიების ლაურეატია. მან, ისაკ ზინგერთან ერთად (რომელიც, აგრეთვე, ნობელის პრემიის ლაურეატია 1980 წლიდან), უდიდესი ამაგი დასდო თანამედროვე ებრაული ლიტერატურას. მისი მრავალრიცხოვანი რომანები, ნოველები, მოთხრობები მსოფლიოს მრავალ (მათ შორის, რუსულ) ენაზეა თარგმნილი.

გვებუდავთ მწერლის ერთ-ერთ ნოველს, რომლის თარგმანი ჩვენს რედაქციას ამ რამდენიმე ხნის წინათ შემოსთავაზა აწ განხვენებულმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ნი ს ა ნ ბ ა ბ ა ლ კ ა შ ვ ი ლ მ ა.

## გბარი?... მოყვარე!

იერუსალიმში თალფიოთის\* გაშენებამდე ქარების მეფე იყო აქაურობის ბატონ-პატრონი მისი ნახირ-ვეზირები — ძლიერი და ბოროტი ქარები — სადაც კი მოისურვებდნენ, იქ მოიკალათებდნენ ხოლმე და, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ — თითქოსდა, მთელი ქვეყანა მათი ყოფილიყო.

ერთხელ იქ მოხვდით. მშვენიერი ადგილია: საუცხოო პაერი, ლავარდი კრიალა ზეცა, უკიდევანო სივრცე! სიამოვნებით დავსვირნობდი. ამ დროს ქარი წამომადგა თავზე.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა.

— ვსვირნობ.

— სვირნობ?... — გამომაჯავრა მან და ქუდი მომაგლიჯა. ასაღებად დავიხარე, ქარმა კი პიჯაკი წამომახურა თავზე. წელში ვავსწორდი, მაგრამ ქარმა წამაქცია, თან სიცილი დამაყარა. ძლივს წამოვდექი. მან ხელი მკრა და დამიყვირა:

— გაეცალე აქაურობას!

დავრწმუნდი, რომ ვერ გავუმკლავდებოდი და შინ დავბრუნდი, ქალაქში. მაგრამ მალე გულმა ისევ აქით გამომიწია. ფეხებმა თვითონ მიმიყვანეს თალფიოთში. თან წავიღე ბრეზენტი და პალოები, კარავი რომ დამედგა და ქარს როგორმე გადავჩინე.

ლამით კარავში მოვიკალათე. უცბად სინათლე ჩაქრა. გარეთ გავიხედე: მიწოდდა გამეგო, რა მოხდა. ისევ ქარს შევეფეთე.

\* თალფიოთი, ანუ „ტერასები, კოშკები“ — ჰქვია იერუსალიმის ერთ-ერთ უბანს, სადაც სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა მწერალმა.

— რას დაქვებ აქ? — ვკითხე.

პასუხის ნაცვლად მან პირი დამიციო, ყურებში ჩამბერა. ისევ კარავში შევბრუნდი, მაგრამ ქარმა პალოები მიწიდან ამოყარა, თოკები დახსნა, ბრეზენტი შორს გადაისროლა და მეც კინალამ ძირს დამანარცხა. მიხვდით, რომ ვერც ახლა მოვერეოდი და კვლავ ქალაქში დავბრუნდი. ისევ მომინდა სუფთა პაერზე გასვირნება. მაგრამ რაკი მთელ ჩემს ქვეყანაში არსადაა ისეთი პაერი, როგორც თალფიოთშია, კვლავაც იქით გავეშურე.

ამჯერად ფიცრები წავიღე და ქოხი დავდგი. მეგონა, საიმედო თავშესაფარი მექნებოდა, მაგრამ ქარმა სხვაგვარად განსაჯა: დღისითვე დააცხრა სახურავს, ყველა საყრდენი გამოაცალა და პირველსავე დამეს მიწასთან გაასწორა ჩემი ქოხი. დავჩრი უთავშესაფროდ.

ქალაქში დაბრუნება მომიხდა.

რაც პირველად და მეორედ დამემართა, მესამედაც იგივე განმეორდა. კვლავ ქალაქში დავბრუნდი, მაგრამ გული სულ იქით მეწეოდა, საიდანაც მაძეგებდნენ. „ნუთუ არ იცი, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — რომ არ შეიძლება სიარული იქ, საიდანაც გავდებენ. ხოლო რაც არ შეიძლება — არ შეიძლება“. გული კი მაინც სხვას ფიქრობდა — მისთვის ათასჯერაც რომ მეთქვა „არ შეიძლება“, მაინც „შეიძლებას“ მეტყვოდა.

ამჯერად უკვე ქვები წავიღე და სახლი ავიშენე. სახლი დიდი არ იყო, მაგრამ ვერ დავიწუნებდი მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს უფრო დიდი და

კარგი სახლები. ეს პატარა ბინა ჩემთვის სავსებით საკმარისი იყო და უკმთესზე არც ვფიქრობდები.

ქარმა ნახა, სახლი რომ ავიშენე. მოვიდა, მკითხავს:

— ეს რაღაა?

— სახლი, — ვუპასუხე.

— გეფიცებო, ასეთი სასაცილო რამ დღემდე არ მინახავს, — გაიცინა ქარმა.

— თუ აქამდე არ ვინახავს, ახლა ნახე: ჩვეულებრივი სახლია, — ვუპასუხე სიცილითვე.

— კარგი, ახლავე შევამოწმებ, — გამომიძახა ქარმა და თან ისევ იციინოდა. გაიშვირა ხელი და კარს შეეხო — კარი დაიშალა; ხელისგულით ფანჯრები მოსინჯა — ფანჯრები ჩაიშხვრა. ბოლოს სახურავზე ავიდა — სახურავიც მაშინვე ჩამოიქცა.

— აბა, სადაა შენი აშენებული სახლი? სადაა შენი აშენებული სახლი? — გესლიანად ხარხარებდა ქარი.

მეც ვეკითხებოდი ჩემს თავს, ჩემი სახლი სად არის-მეთქი, ოღონდ სულაც არ მეცინებოდა.

წინათ, როცა ქარი გამაგდებდა ხოლმე, ქალაქში ვბრუნდებოდი. ახლა საქმე ისე მოეწყო, რომ შინ დაბრუნება აღარ შემეძლო. ვიჯექი ღია ცის ქვეშ, მიწაზე, და არ ვიცოდი, რა მეღონა: ქალაქში ჩემი დაბრუნება არ შეიძლება, არც თაღფიოთში დამედგომება, — ქარი არ მაყენებს; ქოხს დავიდგამ თუ კარავს — სულ ერთია, მაინც ვერ უძლებს. სახლი ავიშენო? მაგრამ იმან კი გაუძლო ქართან ორთაბრძოლას? თუმცა, ის იქნებ იმიტომ დაინგრა, რომ შენობა პატარა და სუსტი იყო? უფრო დიდი და მაგარი რომ ყოფილიყო, გაუძლებდა?..

ვიშოვე ხის ბოძები, კირი, ცემენტი, დავიჭირავე მარჯვე ისტატები. დღე და ღამე თავს ვადექი. გადავწყვიტე, რომ საძირკველი გამემაგრებინა.

სახლი მაგარი აშენდა.

როგორც კი მშენებლობა დამთავრდა, მოვარდა ქარი და დარაბებს ეძგერა.

— რომელი ხარ? — ვკითხე მე.

— მე ვარ, შენი მეზობელი.

— რა დროს მეზობელია ამ სასა?

— მეზობელი ახალი კერის საკურთხებლად მოვიდა.

— მერედა, რაღა ფანჯრიდან შემოდინხარ ქურდივით?

კარზე დამიკაკუნა.

— ვინ არის? — ვკითხე.

— შენი მეზობელი.

— ა, მეზობელი? რაკი ასეთი, შემობრძანდი.

— კარი რომ დაკეტულია?

— დაკეტულიაო? აბა რა იქნება?! აკი ჩაკვეტე?

— გამიღე რა! — ისევ მთხოვა.

— ვერა, სიცივის მეშინია, მზის ამოსვლამდე მოიცადე და გაგიღებ.

მზე რომ ამოვიდა, გარეთ გამოვიხედე, მივლოდა, ქარისათვის კარი გამეღო, მაგრამ ის აღარსად ჩანდა. ვიდექი სახლის წინ და ვხედავდი, რა უდაბურია გარემო: არც ბალახია, არც ხე, მხოლოდ მიწა და ქვებია ირგვლივ. მაშინ გადავწყვიტე ბალის გაშენება: ამოთხარე ორმოები, ჩავყარე ნერგები. წვიმამ მორწყა ისინი, მზემ გამოანათა, გაზარდა და ააყვავა. მალე ჩემი ნარგავები ხშირფოთლებიან ხეებად იქცა.

გავიკეთე სკამი და ჩრდილში ჩამოვჯექი ჩემთვის.

ერთხელ ღამით ქარი დაეძგერა ხეებს, მაგრამ მათ უკუაქციეს იგი. ქარმა შეორდაც შემოუტია, მაინც ვერაფერს გახდა. ისიც დაწყენარდა, ზრდილი შეიქნა: მეც ზრდილობით ვეპყრობი. გამოჩნდება თუ არა, წინ ვეგებები ხოლმე და ვთხოვ, ჩამოჯდეს ჩემს გვერდით, სკამზე — ბაღში, ხის ჩრდილში. მას თან მოაქვს მთებისა და ველების სურნელება და თავზე მაფრქვევს. ვგრძნობ, რომ ნანობს და მეც აღარ ვახსენებ ძველ ცოდვებს. როცა მიდის, ვთხოვ, კვლავაც მინახულოს ხოლმე მეზობლურად. მართლაც, კეთილი მეზობლობა გვაქვს და მე იგი გულწრფელად მიყვარს. სავსებით შესაძლებელია, რომ მასაც ვუყვარვარ.



# სოსო სიგუა

## „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-დან „მამარცხენაოგამდე“\*

ავანგარდისტული პრესის ფურცლებზე ნიკოლოზ შენგველიას არაერთი ლექსი გამოქვეყნდა. მათგან საყურადღებოა სვანური ციკლი /„მონადირე“, „შის ჩასვლა“ და „ბიმურზოლა“/. ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა ახალი სიმბოლიკური ერთეულები — ბეთქილი, თვეთნოლი, ლილეო, დალი, ლატფარი. განსაკუთრებით კარგი ლექსია „ბიმურზოლა“ /როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ლ. ასათიანმა/. ჩანს, პრიმიტივის ქადაგებამ, ნ. ჩანავასა და ს. ჩიქოვანის მიერ მგერული კოლორიტის მოდელირებამ, ნ. შენგველიას უბიძგა ანალოგიური მასალისაკენ და მან სვანურ გარემოს მიმართა /შეიძლება კინოფილმი „ელისოც“ ამავებ ტენდენციის ნაყოფი იყოს/. ორიენტირი სწორი აღმოჩნდა და სვანეთის თემა ერთბაშად პოპულარული გახდა /მ. კალატოზიშვილი, ს. ჩიქოვანი, შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, ა. ბელიაშვილი, კ. გამსახურდია, რ. მარგანი, მ. გელოვანი/. მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კიდევ უფრო ადრეული სიგნალი იყო ემუხვარის სისხლით შეღებილი მარუხის მწვერვალი /დ. შენგველიას „გურამ ბარამანდია“/.

დავით გაჩეილაძე, რომელიც ხელს აწერს „საქართველო-ფენიქსს“, მაგრამ ავანგარდისტული პრესის ფურცლებზე ჩანს მხოლოდ 1926 წლიდან /გახეთი „დროული“/, თავდაპირველად ქალაქურ ლანდშაფტს ვითაუბობს, ინდუსტრიული გარემოს რიტმს ვადმოგვცემს /„ყოველდღიური ტუფისი“, „დროული“, №2, „ქუსლი ქალაქისკენ“, იქვე, №3/, ზაუმურ ნაკადსაც საკმაოდ ჭარბად იშველიებს:

„ან რა გითხრა მტკვარო ტუმბო და ბიდარო  
მტკვარო ხევა, ხის ხურგებად მოგორავო.  
შენ წამოდექ, ცა ფანჯრებით გამოდარო.  
გულ სარკეში რომ დააწყო მთავორები“.

თუმცა პოეტი ვატაცებულია „ბუნებ ქალაქით“, „მავთულ ზუსუნითა“ და „ცრემლების ზეინკალობით“, ლექსებში იჭრება ლირიკული სტრიქონები, პრიმიტივის ანარკული, როგორც მონატრება: „მოსვა ზაფხული ჭიქებიდან მწვანე წყალივით“, „პატარა გოგო პეშეებით როგორ ამოიღებს ვარსკვლავებს ციდან...“

ბ. აბულაძისათვის სოფელი „მაჯა-დაცლილი“ და „გულგამომშრალია“, ლირიკა — „უხერხემლო“ და „საბარალო დედა“. ამიტომ აღარ ახსენებენ მისი ლექსები „ბებურ წისკილს“ /„უბოლიშო მიმართვა ლირიკას“, „დროული“, №1/. ხოლო დადაისტური პოეზია /ჟ. დილობერიძე, პ. ნოზაძე, ა. ბელიაშვილი, ბ. აბულაძე, ბ. გორდუხანი/ მთლიანად ინტელექტუალური ცნობიერების დაშლასა და გაუფასურებაზეა აგებული. იგი მხოლოდ ურბანული წარმოდგენებით, ინდუსტრიული საზოგადოების პაროდირებით და ცინიკური აღქმით საზრდობს.

ქართველ ავანგარდისტებს გაუჭირდათ ინდუსტრიული ქალაქის, ურბანული გარემოსა და ფსიქიკის წარმოსახვა და გააზრება. ისინი არ აღსვენდებიან /არც ცხოვრობდნენ/ ციცილიზაციის ცენტრებში. სოფლიდან მოვიდნენ ქალაქში, რომელიც სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორადაც წარმოიდგენდნენ /პარიზის, ბერლინის, ნიუ-იორკის თუ მოსკოვის ანალოგიით/. ურბანული სამყაროს ხატი, რიტმი, ლექსიკა, მსოფლგანცდა მათ წიგნებიდან, სურათებიდან, კინოფილმებიდან შეითვისეს და ქალაქის მოდელი გონებით შეთხზეს. ხოლო წარსული და სოფელი სტიქიურად იყო მოცემული ახალგაზრდა ბუნტარების ფიქრსა და ოცნებაში. ამიტომ ლოგიკური აღმოჩნდა ანტინომია-„ინდუსტრია“ და „პრიმიტივი“, რომლისგანაც გამოიკვეთა სიმონ ჩიქოვანის პოეტური ხატები.

### 3. ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს მ ა რ შ ი

„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, „ლეფელთა“ მსგავსად, აღიარებდა პროლეტარულ ხელოვნებას. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ჟურნალი „დარიალი“ /1925/, რომელშიც დაიბეჭდნენ მხოლოდ ავანგარდისტები და პროლეტარული მწერლები /რედკოლეჯის წევრები „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-დან იყვნენ ბ. ჟღენტი და ვ. შურული/.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთ სწორ გამოხატველად, როგორც არაერთხელ ითქ-

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 10,11.

ვა თავიანთი თავი მიიწინადათ. ამის დამტკიცებას ცდილობდნენ არა მხოლოდ რევოლუციურ ფორ-  
მათა მიხედვით, უახლეს შეხედულებათა პროპაგანდით, არამედ აქტუალური მასალის მოდელირე-  
ბითაც, უხეშო ენით, ტლანქი სტილით. ფუტურისტული ლექსი საამისოდ ყოველთვის ვერ გამო-  
გებოდა. ხოლო რევოლუციის თემის გაშლა დღეისთვის ასპექტში უხეშვლად მიიღება კომიკურ  
ელფურსს. ამიტომ სწორი ტიპის ლექსებში ცალკეული პაროლებითა და ლოზუნგებით იფარგლებოდ-  
ნენ. სამაგვიროდ კონსტრუქციების, მისი მკაცრი, ურბანული ყოფის სტილი, აზროვნების ლო-  
გიკური სისტემა, პუბლიცისტური სიმძაფრე უფრო აღმოჩნდა თანამედროვე მითხონვითა შესატყ-  
ვისი. ცხადია, პოეტებს თვალწინ ედგათ „ლექსის“ მაგალითი, რომელმაც დაარღვია ტრადიციული  
ეტიკატი, გააუქმა თემის, მასალის, სტილის, სიტყვების იერარქია და სცადა ანტიპოეტური სივრ-  
ცის ანექსი. „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ში არა, მაგრამ თანდათან ქართველი ავანგარდისტები მიუბრუნდნენ სი-  
ნამდვილეს, რომელსაც ადრე აბსტრაქტულად აღიქვამდნენ. იწერება ახალი დროით შთაგონებული  
სტრიქონები — „შავი ნაბდებით, ცხენის ხახებით, მძა ყახახები: ისროდნენ ველებს... ისროდნენ  
დონს... და ვოლგის ნაპირებს“ /ს. ჩიქოვანი/, „ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის“ /ბ. აბულაძე/,  
„ნუ გვიხიზმრებათ რესპუბლიკა თეთრი ცხენითა“ /ვ. ჟურული/.

მაიაკოვსკისებურია ვარლამ ჟურული „პატრიოტიზმის დასახული“ /„მემარცხენეობა“, №2/,  
მიმართავს ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ, ნ. ჩანავას „თუხისები პოეტებს მსოფლიო მდგო-  
მარეობის შესახებ“ /„მნათობი“, 1924, №5/, ს. ჩიქოვანის „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დის-  
პუტზე“ — პოლემიკური ლექსი. ავტორი თითქოს მართლაც ტრიბუნაზე დგას და ხან მრისხანედ  
მიმართავს აუდიტორიას, ხანაც — სიმულვლით /„გახივებული ლირიკოსიც მცონარ კრავივით  
აყვირებულა შარდის ტალღით ამოგდებული. გელეიშვილი სდუმს ნაგავში გომართილივით“,  
„ვერსად იშოვნეს რედაქციის დიდი კამოდო ჯვახიშვილის ნაჯღანების დასამარხავი“ /; ბ. აბუ-  
ლაძეც თანდათან იმარჯვებს ლექსს, როგორც ბრძოლის იარაღს — „ბრძანება საბჭოთა თავდაც-  
ვისათვის“, „საარაკო ბრძოლა წყალდიდობასთან ხაშურში და ლენინაკანში“. შდრ — ს. ჩიქოვანი —  
„მე მინდა ახლა იარაღად ლექსიც გამოდგეს“. ცხადია, აქ ისევ მაიაკოვსკი გვახსენდება.

ვლ. მაიაკოვსკის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. იგი ხდებოდა საბჭოთა პოეზიის ლიდერი.  
ცოცხალი ადარ იყვნენ ბლოკი, ხლებნიკოვი, ესენინი. „შარვლიანი ღრუბლის“ ავტორი ლექსით,  
დეკლამაციით, თეორიული გამოხვლებით, ჟურნალით, პლაკატით ებრძოდა ბურჟუაზიულ-მეშნა-  
ნურ ატმოსფეროს და სიცოცხლედ, როგორც ზვარაკი, მიჰქონდა რევოლუციის დასაცავად.

გ. ტაბიძის რემინისცენციით, ნ. შენგელიას სიტყვაც მოწოდებად ქდერდა: „დროშები დრო-  
შები დროშები წითელი წითლზე ფერდაფერ იარს!“ ახდენდა ურბანული ყოფის სტილიზებას —  
„ელექტრონო, რადიო, პროპელერო“. ლექსში შემოყავდა ახალი დროის მშენებელი — „მუშა-  
მუშა მუშა“, „მუშის მუშის ურო“. ვლ. მაიაკოვსკის მარშისებური მუსიკაც იჭრებოდა სტრიქო-  
ნებში — „მარცხენა...რიკივით მარად, მარცხენა...მარცხენა ამარცხებს“. მაგრამ არც „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის  
„ორკესტრული ლექსალობა“ იყო დავოწყებული — „ასეთი მხარეთი მდარეთი გარეტდით კარკეტი  
პარიტეტი. პოეზია ასეთი — ამდენი პოეტი“ /„მოხსენება პირველი“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/.

„ეიფელს დაემუქრა კომინტერნი“; წერდა ბ. აბულაძე /„მოგზაურობა“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/; „მე მინდა  
ეიფელის კოშკზე ფრიალდებდეს წითელი დროშა“, „კოსმიურ სივრცეს გაანათებს ალი კომინტერ-  
ნის“ — უფრო შორს მიდიდა შ. ალხაზიშვილი /„ამერიკანული დუელი“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/. პერმანენტუ-  
ლი რევოლუციის იდეა, რომელსაც ქადაგებდა ლ. ტრცევი, იმკამად შარდით იყო გავრცელებული  
და ეს სტრიქონებიც მათი ილუსტრაციაა.

განსაკუთრებით საინტერესოა ს. ჩიქოვანის პოზიცია, მისი აფორისტული ლოზუნგები, როგორც  
კრედიო ქართველი ავანგარდისტებისა, ყველაზე ნათლად და მკვეთრად გამოთქმული: „დედავ მერწ-  
მუნე, საშობლოში მე ვარ მართალი, მაგრამ ჩემს სიტყვას ჯერ სახალხოდ არ იჯერებენ“, „მე მინ-  
და სულის და ხასიათის ძირეულად გავდობრუნება“, „დროების ზღვაში კომუნის პოლიუსს ჩვენ  
ვერ მივადწვევთ, როგორც ნობელე“ (!), „მუდამ ვამბობდი, ნივთი ავავთო, რათ გვიინდა ლექსში სულის  
ზნეობა“, „იბრძოდეს ლექსი ხუთწლედებში გამუდმებულად, როგორც დამკველი და მოქალაქე“,  
„ქუსლი დავადგო სიყვარულის ხატს, კლასიკურ გმირებს, ეპიურ ტილოს, მე თვით დავახრჩობ ბულ-  
ბულიანის ნაჭლეკებს ხმას და ჩემ ბველ ტკივილს მე თვით გავხდი დღეს სასაცილოდ“, „ამ საუ-  
კუნის მე ვარ საყვირი“, „გაუქმდებიან როგორც ერები ჩვენი გრძნობები და ნიღაბები“ (!).

ცალკეულ ლექსთა სათაურები გვაგონებს ვლ. მაიაკოვსკის მოიეროვე, ყოველდღიურ პოზიზაში  
შეჭრილ ლირიკას: „სიმონ ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე“, „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“, „მუშათა  
კლუბი საფრთხეშია“, „ბიუროკრატის შესახებ“, „ბრძოლა რომანტიზმთან“, „ჩემი სიტყვა მემარცხე-  
ნეობის დისპუტზე“, „მოწოდებისთვის“, „მოწოდება თავდაცვისათვის“, „ემიგრაციის „წყრულებს“,  
„პოეტის საქმე“.

ვლ. მაიაკოვსკი რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი უპირველესი მესიტყვე იყო. თავისი ჟურნა-  
ლების ფურცლებზეც იცავდა ფუტურიზმისა და კონსტრუქციზმის პრინციპებს. ბუნებრივია,  
რომ მან ზეგავლენა მოახდინა ქართველ ავანგარდისტებზე /უფრო ორიენტაციის თვალსაზრი-  
სით/.





ს. ჩიქოვანი თითქოს ცდილობდა ვლ. შაიკოვსკის პათოსის, პუბლიცისტურობის ათვისებას /„შიაიკოვსკი — დიდი სარდალი“, წერდა იგი/. ლექსების ციკლს „ფურტურისში და რევოლუციურ ლექსებს“ /„მხოლოდ ლექსები“, ტყ; 1930/ ეპიგრაფად წარმოდგარა შაიკოვსკის სტრიქონები. მაგრამ ლექსები, რომლებიც მხვავსი სტილით დაიწერა, ხელოვნურია და ეფექტს მოკლებული, რადენობითაც — საკმაოდ ცოტა. ზოგი მათგანი პირმდე ავტორმა გადაამუშავა და დახვეწა /შდრ — ი. სელენისკი/. ახლა როცა ვკითხულობთ შერეულად და რედაქტირებულ ტექსტებს, სრულიად აშკარაა თუ როგორ გაუმჯობესდა ისინი. ს. ჩიქოვანი მართლაც იყო დიდი ოსტატი, რომელიც შექმნილ ლექსზე ხანგრძლივი მუშაობით სრულყო იგი. თითქმის ყოველი დაბრუნება სიჭაბუკის ნაწერებთან წარმატებით მთავრდებოდა /განსხვავებით ს. ჩიქოვანისაგან, დ. შენგელაია თავის თხზულებათა წახედნის ოსტატი უფრო იყო, ვიდრე გაუკეთებებისა/.

ოცდაათიანი წლებიდან რუს პოეტთაგან ს. ჩიქოვანისათვის ყველაზე მახლობელი აღმოჩნდა ბორის პასტერნაკი.

ს. ჩიქოვანის ავანგარდისტულ ლექსებში არაერთგზის იხსენიება „მარქსიზმი“, „ლენინი“, „ლენინიზმი“, „კომუნისმი“, „ტროცკი“, „ბუხარინი“, „გორკი“, „შიაიკოვსკი“. ლექსიკაც ატარებს თავისთავად ინფორმაციას და იგი კიდევ უფრო აკონკრეტებს ავტორის პოზიციასა და განწყობილებას.

შიაიკოვსკისებური ორატორული პათეტიკა გასდევს ბესარიონ ჭენცის ლექსებსაც /„ქერძაფი“, „დროული“, №2; „ნამდვილი გული“, იქვე, №3; „პლასტო პოემა“, „ლიტერატურა და სხვა“/.

#### 4. ფურტურისტიკული ბგერათვცერეტი

„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის“ პოეზიაში შეიძლება გამოიყოს სამი ნაკადი — ფურტურისტიკული, დადაისტიკური და კონსტრუქტივისტიკული.

ჩვენ ხშირად ვამბობთ — „ანტილექსი“, „ანტიპოემა“, „ანტირომანი“ — ივლისსხმება ტრადიციასთან მიმართებით, როგორც მკვეთრად ნოვატორული მოვლენა, ნახტომისებური განვითარების შედეგი. დრო გაივლის და სიახლენი ტრადიციას შეეზრდება, მის ნაწილად გაფორმდება, იქცევა ევოლუციის ერთ-ერთ ეტაპად. მაგრამ ფურტურისში თითქოს წარსულის წილ მართლაც ცდილობდა ანტიხელოვნების დაფუძნებას, რადგან მარადიული ორიენტირი — ადამიანი, ადამიანის ფსიქიკა უარყო, შეეცალა იგი მანქანითა და მანქანური ცნობიერებით. იმ დროს, როდესაც ნეორომანტიკულმა და მოდერნისტულმა სკოლებმა დაიპყრეს პარნასი, გავრცელდა ფრ. ნიცშეს ზეკაცის კულტი, ა. ბერგსონის ინტუიტივიზმი, ზ. ფროიდის ფსიქიანალიზი და Homo sapiens უკუიქცა პირველსათვისავე, ფურტურისში აბსოლუტური გონება და მისი ნაყოფი — ტექნიკა გამოაცხადა იდეალად, რომელსაც არც სული აქვს და არც ნერვები.

ხელოვნების განადამიანების კონცეფციასთან ფურტურისტიკები მიიყვანა კინემატოგრაფმა; კუბიტურმა მხატვრობამ, ე. ზოლას, ე. ვერპანანის, უ. უიტმენის, თ. მიროს ლიტერატურული ტრადიციების ცალმხრივმა განვითარებამ და არა მხოლოდ ტექნიკური აზრის პროგრესმა. ფურტურისში იყო უფრო თეორიული მოძღვრება, ხელოვნების ორიენტირი და ამით საგრძნობი იმპულსი მისცა მომავლის კულტურას /იგი მკავდა ლაშქრის ავანგარდს, რომელიც ბრძოლაში დაიდგა/. ცალკეული პრინციპების ზომიერი გაშლა და ტრადიციებთან შერწყმა ხაინტერესო აღმოჩნდა. ხელოვნება გახდა უფრო რაციონალური, ნაკლებად რომანტიკული, ცივილიზაციის სულისკვეთების გამომატველი, ინტელიგენტის ცნობიერების შესატყვისი /არაფერს ვამბობთ ტექნიკურ ესთეტიკაზე, სინამდვილის მხატვრულ მოდელირებაზე/.

როგორც ცნობილია, ფურტურისტიკული ლექსები უწერიათ ნ. ჩაჩავს, ს. ჩიქოვანს, ა. ბელიაშვილს /„K15-75.10“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/, ნ. შენგელაიას /„მოსხენება პირველი“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/, დ. ვაჩეილაძეს /„ქუსლი ქალაქისკენ“, „დროული“, №3/, ბ. აბულაძეს /„ხობტა ფრ“, „დროული“, №3/.

მათგან ყველაზე შორს წაიდა აკაკი ბელიაშვილი. მან ერთ-ერთ ლექსში სიტყვები ციფრებითა და ფორმულებით შეეცალა, საერთოდ ზედმეტად მიიჩნია ენა, როგორც კომუნიკაციისა და ექსპრესიის საშუალება, და ნაწერი მათემატიკურ გამოკვლევას დაამკვანა.

სიტყვისქმნადობით, ბგერათვცერეტი იყენებდა გატაცებული ნიკოლოზ ჩაჩავა და სიმონ ჩიქოვანი, ზოგჯერ, აგრეთვე — ნიკოლოზ შენგელაია, ვარლამ შურული და დავით ვაჩეილაძე.

ნ. ჩაჩავას ქაოსური, ტელეგრაფის სტილით ნაწერიდან /ყურნალი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/, რომელიც მოიცავს მსჯელობას, მეტაფორულ სახეს, ხახატს და უჩვეულო ფიგურებად ლაგდება, შეიძლება გამოიყოს ოთხი „ლექსი“ — „აჯაფსანდალი“, „სენტრემენტალიკის შელოცვა“, „ხედებრა“, „ჩაჩავადა-მაია“. მათი გააზრება შეუძლებელია ფიგურების, სქემებისა და შრიფტების კომბინაციის გარეშე. ამიტომ ციტირებას მნიშვნელობა არა აქვს. იგი დედანის სპეციფიკას ოდნავადაც ვერ გადმოგვცემს /ჩვენს მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ იმ მკითხველისათვის, ვისაც „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ გადაუფურცლავს/. ავტორი გვართობს, უფრო სწორად, ცდილობს გაგვაოცოს და ასე შექმნას ეფექტი, და-უფუნებელი ანტიესთეტიკურ ხერხებსზე. ასეთი ლექსი მართლაც „აჯაფსანდალია“, გაუწმარია,

ბუნდოვანი, რომელიც, როგორც სანაგვე ყუთი, იტყვს უამრავ უვარგის სავანს, რაც ამჯერად ანტიბოტურობის სინონიმია. თითქოს ჩვენ დამსხვრეული ქალაქის ნანგრევებში მივაბიჯებთ. არეულია რთიმები. სკანდალი უკავშირდება აჯაფხანდალს, სულემა — დაორსულებს, ცხელი — ცხენებს და უცხოელს. პოეტი, როგორც ვიცით, რომარია, რომელიც „როშეებს“ გეთავაზობს. ამჯერად იგი თავად ნიოგოდ ჩაჩავაა. მაგრამ იგი „უტიფარია“, ე.ი. პოეზიაში „მოულოდნელი კაცი“, რომელიც ეძებს შედარების უცნაურ ანუ ანტიბოტურ მოდუსს. ცალკეული ბგერები იწვევენ სიტყვებს, რომელთა ჯაჭვი ინსტინქტური აზრია, ხშირად ალოკიური და ბუნდოვანი: „ტფილისი გავხედრო, როგორც ცხენი. აქ დაღის უცხოელი ცხელი. ცხელია ეს ამბავი“ /საყრდენი — „ცხ“, ე-წ. პარმონიულ ბგერათა კომპლექსი/.

„სექტიმენტალიკის შელოცვას“ უძღვის უზარმაზარი ასო „შ“. ლექსი თითქოს აფიშაა, მოფენილი გაუგებარი სიტყვებით, რომლებიც აღძრავენ შელოცვის ბუნდოვანებას და იდუმალებას, ცხადია, პაროდიული თვალსაზრისით. აქაც ფიგურული სქემის გარეშე ლექსი ვერ აღიქმება. ასოები ერთდროულად იწვევენ და ამთავრებენ რამდენიმე სიტყვას, რომელთაც აერთებთ ბგერების ფლერალობა /„ოდისეური ოდისებელი ბერილა“, „ზოლი ზოლზოლაიდა“, „კბილი ამოსული ქალი ორსული“/.

კიდევ უფრო გაუგებარია „ხელირა“ /ე.ი. ცირკი/. ხოლო „ჩამოაგადამაია“, „ზაუმიხა“ და პლაკატის სინთეზი, კინომონტაჟის პრინციპზე აკებული. თუ, ერთის მხრივ, იქმნება ასეთი აკუსტიკური ეფექტი — „იერიდაბარი იერი ყაბარახე რახალი ხალიბა ხარაბადინი“, მეორეს მხრივ — იჭრება ლოზუნგი — „დაიჯერეთ რევოლუცია“, ან კიდევ — ანტიბოტური შედარება — „გემრიელია ჩემი თავი, როგორც ტკბილისკვერი“. ლექსი დაწერილია კინოლენტის იმიტაციით, რომელიც ჩვენს თვალწინ მოძრაობს, მოაქვს ნაწვევტ-ნაწვევტი ფრაზები ანუ სავანები — ფირზე აღბეჭდილი სინამდვილის ნაფლეთები.

ნ. ჩაჩავას ფუტურისტული ლექსები გვახსენებს ცნობილ აზრს, რომ მხატვრული სახე ფორმულით ვერ შეიცვლება, რადგან თავად მასალა, როგორც ფსიქიკიდან ამოსული სავანის სიტყვად მოდელირება, მარად ცვალებადია.

შემდეგ დაბრუნდვას ნ. ჩაჩავას ექსტრავაგანტური სტილი, ზაუმიც უფრო ზომიერი და კეთილხმოვანი გახდა. „ლიტერატურა და სხვა“ გეთავაზობს პოეტის ორკესტრული ლექსების ციკლს, რომელსაც არ აკლია ბუნდოვანება, მაგრამ წაკითხვა შეიძლება. მეტწილ მათი გაშიფრვა ვერ ხერხდება, უფრო სწორად — არაფერია გასაშიფრი. რაც უნდა ვეცადოთ, ჩაეწვდეთ პირველსაწყისს, რომელიც ასეთი სტილით გამოვლინდა და გაიშალა, აზრს, ამბავს ვერ მივანებთ და ხელთ გვრჩება ფონეტიკური ასოციაციებით შეკრებილი სიტყვა — სავანები. ისინი ფლერენ, ხმაურობენ, მოძრაობენ, მაგრამ მათ მიღმა სიცარიელე ილანდება. შეიძლება ამას თავადაც გრძნობდა პოეტი. ამიტომ წერდა მოკლე, ერთ-ორ სტროფიან ლექსებს. მაგ., ლექსი „ხელხვავი“:

ტარო უდარო  
ტარო უტარო.  
ბლერი და სკიბიდარი  
ტარო ნასიმიდარი.

ან კიდევ — „ხისმანდური“:

ხვალი  
უტირალუ  
ინგი  
მონალინგი  
არჩა  
ხაბალარჩა.

ამგვარ ზაუმი, ბგერით შეთანხმებას, აზრი, როგორც მიხანი, აკლდა. იგი არ იყო მიმართული იდუმალის შესაცნობად ან გადმოსაცემად. პოეტმა ფორმა აითვისა, მაგრამ სათქმელი არ ჰქონდა /ეს მომავალმა უფრო აჩვენა/ და ამიტომ გარეგნულ სამოსელს შერჩა. ზოგჯერ ასეთ ექსპერიმენტს რაღაც ეფექტიც ჰქონდა, როცა უნებლიეთ ვლინდებოდა ლირიზმი. თანხმონანების განმეორება, გარითმული სიტყვები, მეტრი სტიქიურად აღძრავდნენ ემოციას, როგორც მუსიკის ბგერები. გავიხსენოთ „შანდი და შროშანა“:

შარდალს შორდება ძილი  
ძილდინა გაგულისდა  
დღისური ქანდაძილი  
მთვარეზე გასულის და  
გოგონა მოგონა ხანძარი...

გაივლის კიდევ მცირე ხანი და „მემორცხენების“ ფურცლებზე დაიბეჭდება ნიკოლოზ ჩაჩავას სავსებით ჩვეულებრივი, ტრადიციული ლექსები /„ყაჩადები ქალაქს გადასცდენ“, „თოლიგეს სიმღერა“, „ლაბარაკი შოფერთან პოეტების გასაგონად“, რაც იმისი ნიშანი იქნება, რომ „რე-

ვლევია“ დაასრულა, მაგრამ ფურტურისტულმა ვარჯიშმა თითქმის უკვალოდ ჩაიარა. ცალკეული სტროფები დამწევი პოეტის ნაწერს მოგვაგონებენ /„შოფრო, შენ ჯანს მიიხარ რა უძავს, მოე-  
ბი არა აქვს ფეხით სავლელი. ტულისიდან თუ შორს ძვეს ძაუვი, მანძილი ხომ გაქვს შენ ვარჯიშზე“/  
წავლიო“/.

სხვაგვარი იყო ს. ჩიქოვანის პოეზიის ავანგარდისტული პერიოდი, სხვაგვარადვე წარიმართა მისი გზა.

ფურტურისტულ ლექსებში /მათ კ. გამსახურდია „ეპიგონობის ციკლს“ უწოდებდა/ ს. ჩიქო-  
ვანი უარყოფს პუნქტუაციას, მეტრს, ლოგიკურ მეტყველებას. „მე ფურტურისში, ბრძოლა, კივლი“,  
— აი პოეტის ლოზუნგი.

ავიღოთ ლექსი „სანაბირო სიმღერა „ხაბო“ /„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, ს. ჩიქოვანის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები. მისი აზრობრივი საწყისია სიტყვა „ხაბო“ /მდინარის ნაპირი, მერგულად — უფსკ-  
რული/, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. ეს ლექსი ისევე ბნელია და იდუმალი, როგორც უფსკრული, რომელშიც გადაიჩეხა ძველი პოეზია /„პოეზია ჩვენ დავლწეთ ბორკილე-  
ბივით“, აცხადებდა ჭაბუკი პოეტი/. შიშის შეგრძნება, თრთოლვა და ვრუთული მოაქვთ სიტყ-  
ვები: „ზარიო ზარიო ზარიო რეო“, თითქოს ბელისწერის ზარი რეკავს. სიტყვები ანუ საგნები —  
„ხრეში“, „მეკობრეები“, „ხიფათი“, „ღვლებს ციცაბოს“, „დრუბელი ორმო“, „ურემი“, „ჟურნი“, „ვერაგული“, „ნიშბები“, „ტალღები“ ჩვენს წინაშე შლიან მწუხარე სურათს: მიდის მდინარის პირას  
ურემი. ბნელი დამაბრკველი და იგი წყალში ეშვება. ასეთ ტრაგიკულ ამბავს გადმოგვცემს ლექსი.  
მაგრამ პოეტი სულაც არ ცდილობს რეალისტურად აღწეროს ან რომანტიკული პერიოზული გვაგონის  
ფაქტი, რომელმაც შეძრა პოეტის არსება. რადგან „სიტყვა“, როგორც ვიცით, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—ისათვის  
არის იგივე „სავანი“ და არა სიმბოლური ნიშანი ან საძოხელი, ჩვენ მათ ვაგროვებთ, ვკრებთ, რო-  
გორც მიწიერ სიგნალებს, რომლებმაც ვლერადობით, ორკესტრირებით უნდა გადმოგვცენ და  
გვაგრძნობინონ უბედურება. ბუნებრივი ენა გადადის „ხაუშში“. ბგერები იწყებენ ბგერებს. „ხა-  
ბოს“ მოსდევს „ხარბი“, „ხორავი“, „ხრეში“, „ხარდინგი“. მაგრამ არ იხსენიება „ხარი“. იგი ჩვენს  
ცნობიერებაში აუკსტიკური ხატებით შემოდის. ლექსი ემგვანება სიმფონიას, რომელიც საგნები  
ფლერენ და ლაბარაკობენ სამყაროს ერთი, ე.ი. ბატონობს ხმაური, შრიალი, სისინი, არა ადამიანთა  
ენა, არამედ — ბუნების იდუმალი მეტყველება /გვიხსენით „მიბაძვა ხეების შრიალს“/. ხ, ღ, პ,  
გ, ხ, — აი სტიქიის მიერ მოვკრივნი თანხმოვანი ბგერები, რომლებიც სიტყვად ქცევის ღამობენ.  
ლექსი — ორკესტრი გვაგრძნობინებს ჯერ ხიფათის მოახლოებას /„მეკობრეების ხიფათს აბრუ-  
ები ხაბო ხარბი აბრუშმის ხორავი ხაბო რავუ ხრეში ხარდინგი ხაბო“/. შემდეგ ურემი ვარდობა  
მდინარეში, ტალღები იგრავებიან, მძლავრობს სტიქია /„გურავები მორგავი ბორგავი ვერავული  
გურავული ქუფრი მორბო კუბრი გურავული შორი იგვიმბრა იმბრო“/. ბოლოს წყნარდება ყო-  
ველივე, აღარ არიან ხარები, მეურმე, ურემი. ფლერს მხოლოდ ქორო: „ხიფათი ხაბოს ორბები  
ხაბოს ხარდინგი ხაბოს ზორომი ზორომი დრუბლებს ანდრეულს კლდებს ციცაბოს“.

თითქოს ამავე ლექსის ვარიაციაა „მეკამეჩეების ურმული“ /„ლოტერატურა და სხვა“/, ისეთივე  
ორკესტრულიობა, ბგერებით აღძრული სიტყვა-საგნები /ფურტურისტული ტერმინოლოგიით — „ნივ-  
თები“/, იდუმალების სამოსელი. ცხადია, ასეთი „ურმული“ არ არსებობს. პოეტი ამ სიმღერას  
ახლებურად თხზავს. შემოაქვს მერგული სიტყვები /„ღო“, „თხომური“, „მოტობა“/, იღებს ბუნებრივ  
ენას /„სიმინდს დაღერდის“, „კოპიტის მამალი კამეჩებს მიყვივს“/, ბგერათა ასოციაციებით  
ხლართავს ჯერ გამოუთქმელ სიტყვათა ქსელს, ურთავს რითმებს /კამეჩებს-აბეჩებს, ნაბიჭარს —  
ხლართვს ჭამს/, რათა ასე ადვილკვით წისკვილიდან მობრუნებულ მეკამეჩეების ურმული, ურმის  
ზონინი, ენგურის ჭაღები, ღამის სიბნელე. მაგრამ ერთია ორკესტრირება, ხალხური სიმღერის  
სტილიზება, მეორე — თავად შინაარსის, სიუჟეტის პოვნა. საამისოდ კი უნდა გამოვიყუთ ცალკეუ-  
ლი სიტყვა-საგნები /„ღერდის მორშილის, სიმინდს დაღერდის“, „ხიზურე — რო-რო, ღო ზი-  
რურე“, „აბელი ურმების“, „მუხების რეო, ენგურის ირემი, ენგურის ორბები“, „ძაღლები კამეჩებს  
უყუფენ“, „მამალი კამეჩებს მიყვივს“/, რომლებიც თანმიმდევრულადაა განლაგებული. ერთი  
წუთით უნდა დავიფიქროთ ორკესტრული სიტყვები, ვწვდეთ ძირულ მიწიერ საწყისებს, რაც მივ-  
ვიყვანს კონკრეტულ საგნებთან. ასე აღდგება ის მასალი, რომელმაც პოეტი შთააგონა. ერთი  
სიტყვით, ერთმანეთისაგან უნდა გავთიშოთ რეალური და გამოგონილი. მას შემდეგ, რაც შიფრი  
გაიხსნება, იდუმალი პირველშრე გაცნობიერდება, შეგვიძლია დაუერთოთ ორკესტრული ორნა-  
მენტურა და ერთ მთლიანობად აღვიქვათ ლექსი. იგი, პირველ ყოვლისა, სმენითი ასოციაციებით  
აღძრული ხილვადობაა. სურათს კი არ ვხედავთ, არამედ — ვლერადობით განვიცდით. რიტმული  
ფლერადობა /და არა მელოდიურობა/ ჩვენს სმენასა და მხესიერებაში აღადგენს იმ ბუნებრივ  
ღანღშაფტს, რომელშიც ნივთები ხმებად ქცეულან და სივრცეში მოძრაობენ. მაგრამ ასეთი ლექსი  
არ ეფუძნება კლასიკური მუსიკის პარმონიას. იგი მისი რღვევა და უარყოფაა, შეგნებული, უბში  
სტილიზება ვარემოს ხმაურისა, არა დახვეწა და დაქმნა, სინატიფე და სიფაქიზე. ამჟომაც  
გვახსენებს ავანგარდისტულ მუსიკას, რომელშიც ტონალობას ცვლის ატონალობა, პარმონიას —

დისპარმონია. მათ ხომ აერთებდათ შორეული საწყისი, პირველდება, საიდანაც სხვადასხვა მიმართულებით წამოვიდნენ.

აღბათ ს. ჩიქოვანის ფურტურისტულ ლექსთაგან ყველაზე ცნობილია „ცირა“ /„ლიტერატურა და სხვა“/. პირველნაბეჭდში მას ეწოდება „პრიმიტივი სიმღერის მასალა“, რთაც ეხმარება ცნობილი თეორიას, რაც ზემოთ ვახსენეთ /სხვათაშორის, ეს ლექსი ბრწყინვალედ წაიკითხა პეტრის ხალამოზე ს. ჭიაურელმა და წუთიერად ყველას აგრძნობინა მისი დიდი ძალა/. ალიტერირებულია ბ და ც ბგერა. ისევ უნდა ვეძიოთ პირველადი იმპულსის აღმძვრელი სიტყვები, როგორც ლექსის კოდი ანუ სქემა. ესენია — „ცირა“, „ბადე“, „ცა“, „ხიდბოგირი“, „მდინარის პირას ცხენების მოცდა“, „რომ მიყვებარ გაბუტული“. ჯერ მაქსიმალურად უნდა გამოიყოს ბუნებრივი სიტყვები ზაუმიზაგან, რათა შინაარსი გავიყოთ. ბ ბგერის ალიტერაცია უკავშირდება ბადეს. ქალი ჩამოხლებდა მდინარის პირას /„ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს“ — თითქოს კუბისტური სურათი — შინაგანის გამოტანა და გარეგნულის დეფორმირება. შდრ — როგორ დაინახავს მადამ შოშას სხეულს რენტგენში პანს კასტროპი/ და წყალში ბადეს აგდებს /„აიდა ბაიდებს აიღო ბაიდებს“, „შორს ბაიდით გადაფრინდი“, „უღე ბუღე უღვეს ბადე“, რაც იწვევს ფრინველების გადმოფრენის, ობობების სმენა — ხილვად ასოციაციას /ბადე-ობობას ქსელი/.  
ც ბგერის ალიტერაცია წარმოსდგება ცირასაგან /მგერ. — ქალიშვილი/ და უერთდება ცას, რომელიც თავის მხრივ, აღძრავს სიტყვა-სახელების მთელს გამას /„ცაკუთხური“, „ცაკუთხელი“, „ცის-ბოკონი“, „ცისადგამი“/.

ამით ვიგებთ, რომ ქალი ცისფერთვალაა, მაგრამ ალიტერაცია გრძელდება, ჩვენს წინაშე ქალის პორტრეტი სულს იღვამს. იგი წაბლისფერთმიანია, გრძელწარბა /„ცირა წარბი, ცირა წაბლი წარბენილი“/, თხელი, „როგორც ჩაფარი“ და კატასავით მოქნილი /„ცირა ცირა“ — „ციბას“ მგერულად კატას ეძახიან/. ცირა მდინარის ტალღებს აყოლებს თვალს და მსურა ზღვისკენ გარბის /„სცურავს ზღვაში ცაბუბული გემებს მოაქვს იალქანზე ცაბოკონი“/. პორიზონტი ცას უერთდება /„ცისბოკონებს გამოხედე“/. ბადე ისევ ირხვეა წყალზე /„უღვეს ბადე ობობამდე“/. მაგრამ მდინარე ცირასათვის თევზს არ იმეტებს /„გამოვული შორს ბაიდებს, რომ მიყვებარ გაბუტული“/. გულდაწყვეტილი ქალი ისევ წყალში ავლებს ბადეს და რეფრენი ხელახლა მეორდება, ისევ თავიდან იწყება ცდა და ღლიანი.

მას შემდეგ, რაც ამოიხსნება სიუჟეტი, შინაარსი, ხელახლა ვუბრუნდებით ტექსტს და ამჯერად ვკითხულობთ როგორც ლექსს, რომელსაც ანალოგიათა ჯაჭვით და ბგერითი ასოციაციებით თხზავენ და რომლის ორკესტრულ ფლერადობას დირიჟორობენ ც და ბ თანხმოვნები.

გავიხსენოთ კიდევ ერთი სპეციფიკური ნაწარმოები — „გული — საგული და გადაგულია“ /„დროული“, №1/.  
მას ლექსი აღარც პირობითად არ დაერქმევა. იგი აგებულია „გულ“ ფუძიანი სიტყვების დაჯგუფებაზე, ზაუმის დართით. „გულზე-გულხობა. გულხვევი — გულწრობა გულწარა გულიდაგული — გულქვა გულქვადი. გულ-აგული გიგული წყნარგული გულდაგულ გულმშრალი გამწურადი აგული საგული მიგული ეგული გამოშშრაგული — ეგული“ და ა.შ., რომელთაც აერთებთ რამდენიმე ზმნა. სიტყვები მერწლიად ებითეტებიან. ისინი ხაზს უსვამენ გულის თვისებებს, მდგომარეობას. მაგრამ ამასთანავე ფუძისეული სიტყვა განუწყვეტლოდ მეორდება, თითქოს გულივით ძეკრს და მისი რიტმი გასდევს ტექსტს პირველიდან ბოლო სტრიქონამდე. და მიიწვ — იგი უფრო მეცნიერული კვლევის შედეგია, ვიდრე ოცნებისა და შთაგონებისა. ამდენად — ავტორის იქნა სინტერესოა, მაგრამ არა გრძნობის, ემოციის აღმძვრელი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ს. ჩიქოვანის „გულ“ ფუძის შემცველ სიტყვათა დაჯგუფება წინ უსწრებს არნ. ჩიქობავასა და ალ. ფრანგიშვილის ცდებს — მისი მუშეობით დაედგინათ ქართული ფსიქიკის, ხასიათისა და ტემპერამენტის სპეციფიკა.

აქ ისევ უნდა გავიხსენოთ რუსი „ზაუმნიკები“. მათ ლექსებში ნეოლოგიზმებს და საერთოდ სიტყვებს იწვევს ცალკეული ბგერის მკვეთრი /არა უსათუოდ კეთილშობიანი/ ალიტერირება, რასაც სიტყვის მუსიკას ანუ ორკესტრირებას უწოდებენ. სტიქიურად ჩნდება შიდა თუ გარე რითმებიც, რომლებიც ასოციაციურად აღძრვენ ახალ სიტყვებს:

„В недрах дикий гудрон гудит —  
ГУ — ГУ — ГУР...“

Будет земля, зудит земля...  
Зудезем...зудезем“ /ა. კრუნიონიხი/.

ლექსის საწყისია „გ“, „დ“, „ზ“ ბგერების განმეორება და მონაცვლეობა, „გუდ“ და „зуд“ ძირე-

ბან წარმოქმნილი ლექსიკა /გავიხსენოთ ა. კრუნიონიხის ვ.წ. „Сдвигология“ /<sup>20</sup>

ერთი ძირის სიტყვების ვარიაციას ხშირად მიმართავს ვ. ხლდბნიკოვი — მათემატიკოსი, ლინგვისტიკა და პოეტი-ექსპერიმენტატორი.<sup>21</sup>

«Смейво, смейво,  
Усмей, осмей, смешкино, смешкини,



Смеюнчики, смеюнчики,  
 О, рассмейтесь, смехачи!  
 О, засмейтесь, смехах!

/ამ ლექსს ეხება ჟ. ლობჯინაძის „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის ფორცლებზე/  
 ვლ. მაიაკოვსკი, რომელმაც ხლენიკოვის პოეზიისაგან თავი დაკავალბულად მიიხნია, ხოლო კრუჩინინის უწოდა „ВУКА русской литературы“, ანალოგიური ხერხითაც აღწევდა სიტყვის ორკესტრულ ვერადობას:

„Жаром  
 женьем  
 Железом  
 Свехом —  
 Жар  
 Жги  
 Режь  
 Рушь“

/150.000.000“/.

ვ. ხლენიკოვის აზრით, ზაუმი იყო მომავალი მსოფლიოს ენა და მხოლოდ მას შეეძლო ხალხების გაერთიანება. ხოლო ა. კრუჩინინი აყენებდა კითხვას — ზაუმი მომავლის ენაა თუ წარსულისა /ბარბაროსობა, პრიმიტივი/.<sup>22</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, რომელსაც ახალგაზრდა პოეტმა არაერთი ლექსით მიმართა. გარდა ამისა, ცალკეული ლექსებით გაეხმაურა სხვა კლასიკოსებსაც /უნდა ითქვას — წარუშატებლად/. საკმარისია სათაურების დასახელებაც: „სვეანის ანუ გოჭქის ტბა“, „ბულბულიანი“, „საიდუმლო ბარათი“, „მეინვარი“ /სამი ლექსი/.

მიბაძე, გაჯიბრება, კამათი, აი მათი თემა. აქ ერთდროულად ისახება ორი ხაზი — უარყოფისა და მიღებისა. შეიძლება იმითომ მიმართავს ნ. ბარათაშვილს ასე ხშირად, რომ იგი ყველაზე დიდი ქართველი რომანტიკოსია, რომლიდანაც იღებს სათავეს შემდეგი ხანის სვედის, ფიქრისა და ოცნების პოეზია. ჩანს, ს. ჩიქოვანს იგი მიაჩნდა მოდერნისტთა, განსაკუთრებით — ხიმბოლისტთა წინამორბედად. მაგრამ თავადვე ცდილობდა ისე აესახა დღევანდელი გარემო და აღამიანი, როგორც ეს საუკუნის წინათ ნ. ბარათაშვილმა შეძლო, რათა ძველი რომანტიკა ახლით შეეცვლილიყო. გარდა ამისა, ს. ჩიქოვანის ტემპერამენტისა და სტილისათვის მახლობელი იყო ნ. ბარათაშვილის ინტელექტუალიზმი, ცნობიერების პოეზია, არამუსიკალური ლექსი. განა ტყუილად წერდა იგი: „და შენი სისხლი ჩემს ძარღვში რომ დგას შთამომავლობას მე დაუშუბტიცებ“.

სიკვდილის წინაც თვალდაშურებელ პოეტს თავზე ბარათაშვილის ანრდილი ედგა, მის ტანჯულ სიცოცხლეზე ფიქრი აწვავდა.

საგულისხმოა „ქარბორია“ /„მემარცხენეობა“, №1/, როგორც ქროლვის მოტივის ახლებური გაახრება, ფუნქციონალურ ასპექტში დანახული მერანის თემა. ლექსი მთლიანად დაქტილურ რიტმს ეფუძნება:

„ფაფარი, ფუნჯირი ფარდული, ორველი ცხენების.  
 გაფრინდი, მერანო, მერგილი, შორიდან მინდორს და ნალიებს!  
 გქონოდეს, ულაყო, ფეხბურთში სიმარგრე, დამჭედის ცხონება —  
 აღრინდე გაფრინდი, გაშორდი რიკრაქს და გზას მინანინებს“.

პოეტს იყენებს ნაკლულ რითმებს /ცხენების-ცხონება, აღინა — მინდვის, ებონს-ბებია, აუვი-დაუვებს/. როგორც ვიცით, ს. ჩიქოვანის პირველი ლექსები რითმის უარყოფაცაა. ამჯერად იგი დებულობს რითმას, მაგრამ არა ტრადიციულს, არამედ — მოდერნისტულს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანდათან ლექსში ბრუნდება რითმა. ხოლო რაც შეეხება ნაკლულ ფორმებს, ეს შეგნებულადაც არის სტილისტური. ამ ტენდენციას შექვიდრეც აღმოუჩნდა. მაგ., ღია სტურუას არაერთი ლექსი ემყარება ასონანსებს, დისონანსებს და კონსონანსებს.

„მე ვარ მერანი“, წერდა ჟ. ლობჯინაძე. ხოლო ბ. აბულაძე ქროლვის მოტივს უკავშირებდა ქორის ფრენას /„ხოტბა „ფრ“, „დროული“, №3/, რომელსაც ელექტრონი აედევნა. ლექსი ორკესტრირებულია, მაგრამ „ზაუმი“ გარეშე:

„...დრუბლის ბუმ-ბულებს და ქარის ბორბალს  
 ცის უნაჯირი, ცხენის თოქალთო  
 შორს გადმორკვენ დრუბლის შიღტებით  
 ცისფერ ტილოზე ჩიტებს დანაფროსობს.  
 აფრინდი ქორი!“

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილმა, „მერანის“ თემამ საკმაო იმპულსი მისცა ქართველ ავანგარდისტებსაც.



ს. ჩიქოვანის ადრეული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა ანტიფსიქოლოგიზმი /თუმცა თავად აღნიშნავდა, რომ უარყოფდა არა ფსიქოლოგიზმს, არამედ — დრამატიზმს/. იგი საგნების განლაგებით, ნივთების ადრეუბითაა გატაცებული, რომლებიც გარს აკრავს ადამიანს, ზემოქმედებს მასზე, უცვლის ფიქრს და მიმართულებას, მაგრამ თავად სუბიექტსა და მის არსზე არაფერს გვეუბნება. ადამიანი ასეთ დროს ჩანს გარეგნულად, როგორც კონსტრუქცია, როგორც მექანიზმი. მისი წუხილი, სულის განგაში, სიხარული, ვნება, ოცნება ყურადღების მიღმა რჩება. /კიბერნეტიკის მამა“ ნ. ვინერი მანქანას და მოაზროვნე არსებას განასხვავებდა ფანტაზიის უნარით, რაც ახლის შექმნის წყაროდ მიიჩნდა/. პიროვნება თითქოს ერთი გრანდიოზული მანქანის ჭანჭიკია, რომელსაც სამყარო ჰქვია. ასეთ ლექსს იღვა, იღვის განვითარება, აზრის დომინანტი განსახლებავს. მაგრამ აკლია სულის ხალხი? სითბო, სინაზე, ერთი სიტყვით ის, რასაც „ადამიანური“, „ჰუმანური“ ვწოდება /„მექანიზმია ჩემთვის ყველა ადამიანი“, წერდა პოეტი/. ლექსის ფსიქოლოგიური ნიუანსირება შეცვალა ლოგიკურმა განსჯამ, ორატორულმა პათოსმა, რაც ასე აუცილებელი იყო ავტოცეიურ-პროპაგანდისტული პოეზიისათვის.

იქნებ იმიტომაც უბრუნდებოდა ასე ხშირად დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილის ღიანჭღებს, რომ მის პოეზიას აკლდა სვედა და ნაღველი, როგორც ადამიანური არსებობის ყველაზე ბუნებრივი ხვედრები /„ხომ დაიღუპა სამშობლოში ბარათაშვილი — დე, დაიკვლოს ჩიქოვანმა ცივ აკვანიდან“, რამაც საბოლოოდ ფსიქოლოგიზმის აღიარებამდე მიიყვანა, თუმცა ლოგიკური აზროვნების სტილიც შეინარჩუნა.

ანტიფსიქოლოგიზმი ნათლად გამოვლინდა, აგრეთვე, ორატორული ტიპის ლექსებში, რომლებითაც ს. ჩიქოვანი ვლადიმერ მაიაკოვსკის ენათესავება /მიუხედავად არაერთი განცხადებისა, ს. ჩიქოვანისათვის დადა მახლობელი არ ყოფილა/.  
 5. ი დ ი ო ტ ი ზ მ ი ს ა პ ო ლ ო გ ი ა

მას შემდეგ, რაც დაიწყო რღვევა ლექსის კლასიკურმა პარძონიამ, აზრსაც გაუჩნდა ბზარი. პოეზია ყველა მიმართულებით ისწრაფოდა, ყოველგვარი მასხლის დამორჩილებას ცდილობდა — არისტოკრატიული საღონები და ჭუჭყიანი ქუჩა, ჯანმრთელი სული და სულიერი ფსიქიკა, რითმის კულტი და ვერლიბრი, რელიგია და უღმერთობა, ადამიანი და მანქანა, რაფინირება და მსხვრევა. ლიტერატურა ციბე-ცხელეკამ მოიცვა. თითქმის ყოველი პოეტი სკოლის შექმნის, მხატვრული აღმოჩენის, ჯგუფის ლიდერობის მანამ შეიპყრო. ასე განხდა დადაიზმიც, როგორც უცხო კუნძული, პოეზიის რუკაზე. თვლიან, რომ მისი საწყისი იყო კუბიზმი და ფუტურზიზმი.

უკვე ითქვა, რომ დადა ბავშვის სათამაშო ხის ცხენს ნიშნავს /ლექსიკონის გადაფურცვლისას მასზე სრულიად შემთხვევით შეჩერდნენ ტვარა, ილუზიზმები და აზრი. თარიღი — 1916 წლის 8 თებერვალი. სხვათაშორის, ტრისტან ტვარა მაშინ ოცი წლისა არც იყო/. თითქოს პოეტი უნდა დასულიყო ბავშვის ფსიქიკამდე და მისებრ ელუღლულა. აქ უკვეყველად იყო ნაპოვნი სწორი ნიუანსი — მამიტობა ემოციის თანმძღობა, საპირისპირო ლოგიკური ცნებისა. ბავშვის ფსიქიკა სწორედ ყველაზე ახლოა წინაპართა სამყაროსა და სიცოცხლის იდუმალებასთან, ბუნებრივი, უშუალო, გულუბრყვილი. მაგრამ დადას მიზანი არ იყო ბავშვის ფსიქიკის წარმოდგენა, არამედ — ლოგიკური ცნობიერების ბავშვური ამტკვევლება, ე.ი. მკაცრი, ცხოვრებისეული მასხლის მიამიტური სტილიზება, რამაც წარმოშვა ირონიის, არასერიოზულობის ეფექტი. პიროვნება ავლენს დიდ ცოდნას, გადმოგვექმს არაბავშვურ მასალას, ცნებებს, ტერმინებს, მაგრამ თითქოს შეგნებულად თავს ისულებებს, იდიოტს ემვავნება. დადაისტური ლექსი ამ გათიშვის ნაყოფია, ეს მისი მთავარი სტილიური ხერხია, რითაც სხვებისაგან განირჩევა. იგი არაა იუმორი, ხატერა ან სარკაზმი, შეგნებულადაც არაფერს ბაძავს, ინტელექტუალობაც საგრძნობია, მაგრამ მთლად არც ჭკვიანური, თუმცა მახვილ დაკვირვებებსაც შეიცავს. ასე რომ დადა ღვს ლოგიკური ჭკერტისა და პოეტური უშუალობის ზღვარზე. იგი მოვკვანებს იმ წიგნიერი ადამიანის მეტყველებას, რომელსაც განსჯის უნარმა უდალატა, ოცნებას რომ კარგა ხანია თავი მიანება. მაგრამ ფხიზელი მოაზროვნეც ვეღარ გახდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ავლენენ პარადელს დადაიზმსა და კიბერნეტიკულ პოეზიას შორის.<sup>23</sup>

ასეთი სტილი უკვე თავისთავად არის შებოჭილი, გამაღიზიანებელი, როგორც ერთი, ისიც ხელოვნურად შექმნილი, ფსიქიკური მდგომარეობის უსასრულო ვარიანტი. იგი სულის ირონიულ-ცინიკური მოძრაობის არაცნობიერი ფიქსირებაა, საიდანაც წარმოსდგა სიურრეალიზმის „ფსიქიკური ავტომატიზმი“, მოტივირებული ა. ბერკსონის ინტუიციონიზმითა და ზ. ფროიდის ფსიქოანალიზით /რომელსაც ანდრე ბრეტონი, როგორც ექიმი, კარგად იცნობდა/. მაგრამ ერთი რამ ცხადია — დადაისტური ლექსის ავტორი განათლებული პიროვნებაა. იგი თამაშობს კულტურით, მისი მეშვეობით ერთობა, რასაც საბოლოოდ მოპყვება ნიმილიზმი და ცინიზმი. მათი აღიარება ადამიანურ არსებობას აბსურდად წარმოგვიდგენს, სიცოცხლისათვის ბრძოლას — აზრდაკარგუ-

ლად, ყველაფერს ერთი მნიშვნელობა დაესმის საყოველთაო არარაობის წინაშე. ასეთი პესიმიზმი აღარაა ტრაგიკული, აღარ იძლევა ენერჯიას.<sup>24</sup>

ა. ბრეტონის აზრით, „კუბოზში იყო ფერწერის სკოლა, ფურტურზში — პოლიტიკური მარქსიზმი ხოლო დაღიზიბი არის სულის განსახლვერული მდგომარეობა“. დადას ერთ-ერთ მანიფესტში ნათქვამია: „წარსულის მოსპობა არის დადა, მომავლის მოსპობა არის დადა, მესხიერების მოსპობა არის დადა... აბსოლუტური, უდავო რწმენა ყოველგვარ სტიქიურ, უშუალო სურვილს“. მსოფლიო სისხლისდვრით თავმობუზრებული, გაწამებული თაობის ხმა მოგვესმის ლუი არაგონის სტრიქონებიდან: „არ გვეტირდება არც მხატვრები, არც ლიტერატორები, არც სკულპტორები, არც რელიგია, არც რესპუბლიკელები, არც როიალისტები, არც იმპერიალისტები, არც ანარქისტები, არც სოციალისტები, არც ბოლშევიკები, არც პოლიტიკა, არც პროლეტარიატი, არც დემოკრატები, არც არმია, არც პოლიცია, არც სამშობლო — კმარა ყველა ეს სისულელე. არ გვინდა არაფერი, მეტი არაფერი. არაფერი, არაფერი, არაფერი“.

1923 წლისათვის დადა სიურრეალიზმში გადაიხარდა, რომლის ლიდერები იყვნენ ა. ბრეტონი, ლ. არაგონი, ფ. სუპო /ობიექტური მიხეხების გამო ეს არ მიხვდა საქართველოში/.

დადაისტური ლექსები უწერიათ პ. ნოზაქს, ჟ. ლოლბერიძეს, ა. ბელიაშვილს, ნ. შენგელაიას, ბ. გორდუნიანს /„ДАН“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“; „ბენო გორდუნიანი ასე ფიქრობს ლიტერატურაზე“, „დროული“, №2/, ბ. აბულაძეს /მოგზაურობა“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“; „მელანხოლია“, „ლიტერატურა და სხვა“/, შ. ალხაზიშვილს /„ამერიკანული დუელი“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“; „100“, „ლიტერატურა და სხვა“/. ზოგი მათგანი დაბეჭდილია ფურტურსტული „ტიპოგრაფიული რეკლამაციის“ პრინციპით.

ლექსის სტრუქტურასთან ერთად ირდევდა არსიც. „გულმოსულმა შევლაპეთ თოლხო გაზაფხული“, ურჩევს მკითხველებს ბ. აბულაძე; ა. ბელიაშვილისათვის ირონია საწუბელია, რომლითაც აფასებს იგი თავის პოეტობას. ირონია მეტწილად წარმართულია საკუთარი პერსონისაკენ: „ვარ ნადი როგორც იაგორას სასწორზე აწონილი გირვანქა ხურმა და ცხეითი მაქვს გენერალ ბაგრატიონის, რომელმაც იგრძნო ნაპოლეონის სიშორე თავის ცხვირით“; შ. ალხაზიშვილისათვის მთავრე ნიკოლოზია, რომელიც შავ სახრჩობელაზე ჰქვიდა; ბ. გორდუნიანი ლექსებს წერს წამწამებით, ხოლო ცხოვრებას ყნოსავს ჯიბიდან. მას ორი რამ აწუხებს — ლექსი და საკუთარი თავი.

პავლე ნოზაძის „დადა და ქინძისთავი“ /„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“/ დაწერილია თავისუფალი ლექსით, პუნქტუაციის გარეშე, რათა ასე წაება ერთმანეთს გროტესკული, ცინიკური ასოციაციები, ქინძისთავზე ფიქრით აღძრული, ქინძისთავზე წამოცმული, რადგან იგი ახსენებს ჩაპლინს, სუპოს, კრუნიონისს.

სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან, შეიძლება ითქვას, არაცნობიერი იმპულსებით, რომელთა გაახრება შეუძლებელი ჩანს. დღევანდელი მკითხველისათვის ეს არის ფრაზეების დომხალი, რომლის მხატვრული გამართლება შეიძლება თუ მათგან გამოსიხვეებული ენერჯია ჩვენ ემოციურად განგვაწყობდა, ფიქრს აღვიძრავდა, ჩავვითრევდა თავის მდინარეებში. ამ ქაოსს მაშინ ჩვენვე მივანიჭებდით წესრიგს, გავიარებდით საკუთარი სულიერი დეღვის კვალობაზე. ცივი საგნების ნაკადი იშლება და იფანტება. მარტოოდენ ფორმალობა აქაც მარცხის მომტანია. ხოლო სტრიქონების მიღმა გახედვა, სიდრემში წვდომა. ფუჭია, რადგან სიცარიელეში ვეშვებით:

მე შემოვხაზე ბრწყინვალე გვემა ქუჩის  
ორჭოფობა საკახმათ არ გამოდგება  
იმედი დაიკარგებოდა შიკრიკის კვალში  
შვეიტანეთ სასახლეში სადაც ყველა ნაცნობი იყო  
მხეცი აუწყალდა  
ოთხი ფეხით  
ფაშვით ბუხივით  
და მოგვახსენა დეკლარაცია

ასევე უნდა შეფასდეს „პატრიოტიზმი“ და „მელანხოლია მეცამეტეჯერ“.

„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჟანგო ლოლბერიძის დადაისტური ლექსების მთელი ციკლი /„პირდაპირ შებრუნებულია“, „ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“, „თეორიები“, „კანტორა“, „კომპოზიცია მე-ნე ბობის“/. მართალია, იგი ვერ ჯობნის ტ. ტაბიძისა, რ. გვეტაძის და გრ. ცეცელიძის ანალოგიურ ნაწერებს, მაგრამ მაინც საგულისხმოა. ხუთივე ლექსი ვერლიბრია, რითმებისა და მეტრისგან თავისუფალი. ავტორი გვოცებს ექსცენტრული სახეებით /„გაიკეთეთ გული პამიდორის“, „პაქერს გავხადეთ ტყავი“, „გულზე დამადგეთ ტყავი უნაგირი“, „ვარ ადღევებული როგორც დილით ძროხის ნაჭერი“/. იგი მართლაც წერს პირდაპირ და შებრუნებლად, რომელშიც სხვადასხვა საგნები ლაგდება არაცნობიერი ასოციაციებით. დაცილებული სიმბრტყეები ერთმანეთს წამიერად ერწყმის ისე, რომ ლოგიკური კავშირი მაქსიმალურად დაირღვეს. ალოგიზმი იწვევს ირონიასა და დიმილს — იმედის, მოლოდინის გაცრუების გამო. კადრების ცვალება, ერთმანეთზე უეცარი წაფენა გვაძლევს სინამდვილის აჩინჩხილ სურათს, კუბისტური ნახატის ანალოგურს /„თუ ხბო პავლია ტროტუარზე არ იზრდება კარგი ბალახი ამერიკაში“.

მივეყარს ტიპ-ტობ და ორი ზომით მივეყმავაზარები ჩემი კბილის ამოსათხრელად“ /.

აი, ჟანგო მიაბაიჯებს ქუჩაში. მას ებრძვიან თამბაქოს ტრესტი, დამფუძნებელი კრება, ჟანგოს კი უნდა გახსნას საპნის ქარხანა. ამიტომ შეშინებული ხალხი ხეზე არბის. იგი იღებს რათა „პროსპექტის მუწუკს“ თავი ახადოს და კათხაში სითხე ჩაწუროს. ხეებზე ძვლები დარჩნენ. აღარც ისინი აბარებენ ჩამოსვლას. შემდეგ უნდა გახსნას ყვის ტრესტი, სტამბა და მოიწვიოს „დასავლეთ ევროპის ცხენების ყრილობა“. ჟანგო ჩანს ყველგან და ყველაფერში. „შაქრის სურვილით კაკაისონის მოჭამა თავი“. მაინც დაუცხრომლად აშენებს, აშენებს და ფაბრიკანტებს აგინებს.

ლექსის სათაურია „ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“. მასალა უკვე სათაურშივეა დაგეგმილი. მაგრამ ლექსის სიუჟეტი, პოეტის აზროვნება აშკარად ავადმყოფურია, არა ხელოვნურად მიპერტროფირებული. ავტორი ვერ თამაშობს ინტელექტუალური დებილის თუ შიზოფრენიკის როლს, ამჟღავნებს მხოლოდ თავის დარღვეულ, პათოლოგიურ ცნობიერებას.

შემდეგ ლექსში „თეორიები“ / კიდევ უფრო ღრმავდება კომპარული წარმოსახვა / „უხეები გულში უწყვია ქალწულებით ნივთებში არის სისხლი თვეზების მატარებლის“, „მოჭრილი ხელით უნდა მოიხიციონ ცხვირი შეუშვარეთ სახეები წყალსადენს ჟანგომ თქვენ სახეზე აღმოაჩინა სავარძელი სავარძელში წვალებით ჩაჯდება ძროხა“ /; რეალობასა და ნორმალობას დაცილებული. თითქოს ავადმყოფურ ფანტაზიას უნდა ახლდეს მეტი სიმწვევე, სიძრვე, განწირული ტონი, დაღუპვის შვერმბედა, მაგრამ დადა ანტიდრამატული მოვლენაა. იგი სათავეს იღებს მაინც ცნობიერებიდან და არა ფსიქიკიდან. ამდენად — საგნების გარკვეული სახე, ხაზი აინტერესებს და არა თვისება. საგნები თითქოს აკურია, რომლებითაც უნდა აიგოს ლექსის შენობა. პოეტი ეგვანება შეშლილ ინჟინერს, რომელიც სამყაროს გარდაქმნის მანამ აიტანა. მაგრამ ვერ აგებს მთლიან კონსტრუქციას და ცალკეული ექსტრავაგანტური სახეებით იფარავლება.

ჟ. ლომბერძენის ძალუბს ცალკეული დეტალის უჩვეულო რაკურსში დანახვა /თუმცა პოეტურობას მოკლებულია/, მაგრამ საგნებს ვეღარ აკავშირებს. ისინი ცალ-ცალკე გარბიან, თავიანთთვის ჟღერენ და უწყსრიგო ხმაურის ეფექტს ქმნიან, შეგნებულად რომ გვაღიზიანებენ. ხახვას-მული ორიგინალობა სულისათვის მიუღებელია, რადგან მასში ვერ მკვიდრდება, მას ვერ იმორჩილებს. ასეთი მანერა ხელოვნურობის გამოვლენაა, თითქოს რობოტი წერდეს ელექტრულ ლექსებს, რომლებიც სიტყვათა მექანიკური ჯამია /„წერილი კუდი დაახველებს“, „ხმამ ყელში ნახევრად ჩაითხრა ტროტუარი“, „თვალებიდან გამოიბოდა სწორი ხაზით ხე-ტყის მასალა“, „კატეშმა ჩაიცვას პესიმისის კოსტიუმები“, „შეგვარტყობინეს რომ ჩვენა ვართ ჩემის ყვლები“/. ავტორს მხოლოდ ქაღალდზე გადააქვს გონებაში მოთარეშე სიტყვები, შერჩევის, დახვეწის, გააზრების გარეშე, ცნობიერების ველზე გადავლილი მღერეი სინამდვილის ნაკადი, რეზუსად და იეროგლიფად აღქმული.

აქ ისევ წამოიჭრება ხელოვანის პათოლოგიური ცნობიერების პრობლემა, რაც ჩ. ლომბროსოს შემდეგ ერთხანს ფართოდ გავრცელდა. მაგრამ „გენიალობა და შეშლილობა“ დაიწერა მანამ, სანამ დადგინდებოდა მოდერნიზმი და ავანგარდიზმი. XX საუკუნის ხელოვნების არაერთი ნიმუში მოგვავიწყებს შიზოფრენიკთა და პარანოიკთა ნააზრებს.<sup>25</sup> ხოლო მრავალი შემოქმედი ნეეროპათად მიიჩნევა. თითქოს გადაიწია ნორმალობის ზღვარი და ათვისებულ იქნა ცნობიერების ადრე უარყოფილი ველი. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ — სტრესული სიტუაციები, დაძაბული ურთიერთობანი, ნერვული ტარემო, რომელთაც იწყებს ურბანიზმი, ცივილიზაციის ბოპოქარი ტემპი, მაღლა სწევს სულის ტემპერატურას, წარმოშობს ფსიქონევროზთა გამას.

შეშლილობა ველურობისა და პირველყოფილობის ადგენაა, არაცნობიერის და ცნობიერის დიფუზია, ხოლო ქმნადობა, თხზვა, აგრეთვე — სულის სიდრემში დაძირვა, სასიცოცხლო ძალითა განცდა, უხველეს ინსტინქტთა საუფლოსკენ უკუქცევა, მიახლება საკუთარ და კაცობრიობის ბავშვობასთან.

მოძრაობა უკვალოდ არ იკარგება. მას მუდამ აქვს გამოძახილი. არც დადაიხში გადავებულია უმემკვიდრედ, სხვათაშორის — არც საქართველოში.

დადაიხში ხელახლა აღმოჩინდა 70—80-იანი წლების ქართულ მწერლობაში და ფუტურისტული ელემენტების დართვით, რეალისტური თვალთახედვის, სიფხიზლის შენარჩუნებით ირონიულ-პაროდიულ ნაკადად გაფორმდა /ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახიძე, მ. მაჭავარიანი, მ. ფოცხიშვილი, გ. დონანაშვილი, ნ. ბარათია, თ. წივივაძე/. მან მოიტანა ცინიზმისა და ნიმილიზმის საკმაო დოზაც. მართალია, ასეთი სტილითა და მსოფლგანცდით შედგენები არ დაწერილა, მაგრამ მათ ლიტერატურული ცენზორისა და ტერორისტის ფუნქცია შეასრულეს, დაუპირისპირდნენ ისევ რომანტიკულ ესთეტიკას, ცხოვრებისეულ მანიერებას, სულის ბალანსს, რათა ახალი ხელოვნებისათვის გზა გაეწმინდათ /ასენიზატორის ფუნქცია/. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნების ყველა ჯანი, ყველა სტილი განხდა მხოლოდ ერთი მიზნით — მაქსიმალურად გამოავლინოს აზრისანი ემოცია.





კონსტრუქცივის მიმართ სათავის იღებს ფუნქციონის მისა და კუბის მისაგან, მაგრამ რეალისტიკური არის მიმართული. ამიტომ იგი თითქოს მათი მართებული რგოლია, შესაბამისად — მასში სამივე მათგანის სტილია შენარჩუნებული. კონსტრუქცივის მიმართული მოდელირება ტექნიკის პრინციპების მიხედვით და ამდენად ინდუსტრიული საზოგადოების სულს, პათოსსა და ტენდენციას ავლენს /კონსტრუქცივის სპარაგრაფი მანიფესტში, რომელსაც ხელს აწერენ როდინეკო და სტეპანოვა, ნათქვამია: „ძირს ხელოვნება, გაუმარჯოს ტექნიკას“; „ძირს მხატვრობა ტრადიციები, გაუმარჯოს ტექნიკოს-კონსტრუქცივისს; ძირს ხელოვნება, რომელიც მხოლოდ ადამიანის უმწიფობის ნიღაბია“/. მაგრამ ტექნიკა უსტრუქცივის მანიფესტითა პირშია და ამიტომაც კონსტრუქცივის მიმართული მოდელირება. მისთვის მიუღებელია სიმბოლისტურ-რომანტიკული ილუზია, კინორე, ზმანება. ნიუთი, სავანი, რეალური გარემო, მათი ხაზები, სტრუქტურა, ფერები — აი მისი მიზნები და მიზანი. ძველ ხელოვნებას თანდათან ცვლის ინჟინერია და რეკონსტრუქციონი, უფრო უსტრუქციონი — მასხლის კონსტრუქციონი, რომელიც გონებით, ცნობიერის დონეზე ქმნის კონსტრუქციულ მოდელს, ქმნილებას, თხზულებას. მისთვის ემოციურია ის, რაც ფუნქციურია. ხოლო ყოველი დეტალისათვის ფუნქციის მინიჭება მოითხოვს სისუსტეს, მათემატიკურ გათვლას, კომპიუტერულ გაანგარიშებას. ამიტომაც სტილის ცვლის კონსტრუქციონი, პოეზიაში შემოდის პროზა, გრაფიკული ნიშნები, ყოფითი, უბეში ენა, ვარგონი, როგორც კოლაჟი, დიალექტისებები, საერთაშორისო სიტყვები, ნორმატიკულ არტიტივისსა და რაფინირებას — სინამდვილის მღვრიე ნაკადი.<sup>26</sup> აღნიშნავენ, რომ კონსტრუქცივის მიმართული დიდი წარმატებას არქიტექტურაში მიაღწია /გაიხსენეთ ლე კორბუზიე/. მაგრამ ოციანი წლების საბჭოთა პოეზიასაც საგრძნობი კვალი დააჩნია.

როგორც „ლეფსის“, ისე „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის აზრით, შემოქმედი არის სინამდვილის რეკონსტრუქციონი ანუ კონსტრუქციონი, რომელიც სრულიადაც არ იღუფდება ხელოვნებაში მასხლის ორგანიზებით. იგი გამოდის ამ სფეროდან და ცდილობს გარემოს გარდაქმნას ანუ ახლებურ ვსთერებებს, ინდუსტრიულ ყოფისა და ადამიანური ურთიერთობის მოწესრიგებას, მოდელირებას კომუნისტური თვალთახედვით, მანქანური სისუსტეს, მათემატიკური პარამონით. სრულიადაც აშკარაა, რომ ახალი ტიპის ხელოვანი მასხლის დიდერი უნდა ყოფილიყო, ე.ი. ფაქტორად თავის თავზე აეღო უფრო მეტი, ვიდრე პარტიულ ხელმძღვანელს. ამავ ფუნქციისაკენ მიისწრაფოდა „რაპპიცი“, ოლონდ ნაკლები კულტურითა და მეტი ვულგარიზმით. ამ ტენდენციის გამოვლენა ისიც, რომ 1919 წელს ლ. მაიაკოვსკიმ მოინდომა „კომფუტის“ პარტიულ ორგანიზაციად რეგისტრირება. ამიტომ ცხადდება „ხელოვნებად“ და ქართველი ავანგარდისტიკის მიითხოვდნენ „დიქტატორის უფლებას“. ის, რაც ვერ მოხერხდა სსრკ-ში, განხორციელდა იტალიაში: იქ ფუნქციონის ტიპმა 1918 წელს ჩამოყალიბებს პოლიტიკური პარტია, დაუახლოვდნენ ბ. მუსოლინის და გახდნენ მისი მეზობლები /თვით „ლეფსის“ ზოგჯერ „პოლიტიკურ ფუნქციონისტს“ უწოდებდნენ/.

შემოქმედება ყოველთვის ოცნება და გლოვა მასზე, რაც ავტორს ეწადა და ვერ მიაღწია. იგი თითქოს ცხოვრებისაგან უარყოფილია /ან ასე ეჩვენება/, რომელიც სიტყვას, ფერს, ბგერას შეეფარა, რათა ილუზიური ქვეყნის მარძანებელი ყოფილიყო. ადამიანის ბუნებაში ხელოვნის წარმოშობს კონფლიქტი უფრო იღებს და შედეგს შორის, მისგან აღძრული ტიკილების ნაირგვარი სახეცვლილება. მაგრამ ფუნქციონის-კონსტრუქცივის ტიპმა ხელოვნება ეს არ იქმარა, რეალობაში გადაიჭრა და მისი გარდაქმნა მოინდომა.

ავანგარდისტიკა მელოვანს ახსოვდა ფ. მარინეტის პირველი მანიფესტის მეშვიდე პუნქტი: „სიღამაზე არ არსებობს ბრძოლის გარეშე, არც შედეგები იქმნება აგრესიის გარეშე. პოეზია უნდა იყოს სასტიკი შეტევა უცნობ ძალთა წინააღმდეგ...“ „უცნობი ძალა“ ყველამ თავისებურად წარმოიდგინა და გაიანხა.

კონსტრუქცივის მიმართული მხოლოდ კონკრეტული მასხლის ხელოვნება როდი იყო. იგი აბსტრაქციონსაც საკმაოდ გულსხმობდა, რომლისკენაც უბიძგებდა ნაცრისფერი ინტერვალის ვადვიკითხით ბ. ჟენტის ოთხნაწილიანი „პლასტო პოემა“ /„ლიტერატურა და სხვა.“/. მართალია, იგი დადასტურ იდიოტიზმსაც შეიცავს და ლირიკულ სტიქონებსაც /„მცოცხე მარტო მე — როგორ სციოდა განადარკს ან საგონარულას კოცონზე მიკრულს ფრჩხილით და თმებით“/. მაგრამ უფრო მეტად — განეკუთვნება სახეებს, რომელთა საგონობრივი წარმოდგენა და ერთმანეთთან დაკავშირება ჭირს /„მეჭობია ძველებზე საქართველო, როგორც ბრაუნინგი და ვუმიზინგო. ბერინგზე მკროვით გაყინული ჩვენი შუბლები უშენდნენ დრულებს ულაგვესი შვის დუბლიორებს ვიდეკი, როგორც ძველთა გიგანტიურის ფეხადგმული დებიუტანტები. იყო კიოსკი — ბალერინა. გაბრწყინებული ტრაპეზიოთი. ის ეხლაც ბრუნავს დაკინული და მოარული“/.

ბ. ჟენტის ლექსების აბსტრაქტული ნაკადი მათემატიკური და ორატორული ტონალობით იშლება. იგი თითქოს აუღიროვანს მიმართავს. ამიტომ „მეს“ ცვლის „ჩვენ“. საგრძნობია ურბანული განწყობილება, მკვეთრი სახეობრივი აზროვნება: „ვიმდებოთ ძველებით, ფრჩხილებით, ნესტოებით, ჩვენ სინესტეში ხომ დრულებიც ვერ გვედრებინან“, „რომ ახლა დავცხრი და თანაბრად შემობრუნება ვომბორის ყინვა და დაწვარი პოხიერება“, „ეხლა გული დანახუდაც კი დავეკება“, „მკერ-



დები გვერგა ჩვენ ვერდენივით“, „ღამუბები გადვიყარო თმებზე ფერფლივით“.

ბიძინა აბულაძის „ტფილისის შუკუე“ კონსტრუქტივიზმისა და დაღაიზმის ნაერთია. თუმცა ამჯერად ორივე ცნება პირობითია. ავტორი შლის ასოციაციათა ქსელს; ერთის შეხედვით ბუნდოვანს, მაგრამ აგებულების თვალსაზრისით ლოგიკურს. კონსტრუქციის სიხუსტეს არღვევს დაღაიზმური მსოფლგანცდა, რაც პოეტს აიძულებს ილაპარაკოს ურთიერთსაპირისპირო აზრებზე /„ვიფურთხებ ტფილისს, ასე ვერავს და ვივინდარას“, „პოი, ტფილისო, მოვალ შენთან შენი ბახალა და მოწიწებით ჩამოვართმევ კოჭრიან ხელებს“/. ლექსს გასდევს მოწოდებლური პათოსი, პუბლიცისტური ვენებიანობა, ესეისტური ნაკადი /ბ. აბულაძე მალე ჩამოსცილდა პოეზიას და მთარგმნელობით მუშაობას მიჰყო ხელი/.

ს. ჩიქოვანის ლექსებში ხშირია ტლანქი და უბეში ფიგურები /„ირველივ გონებით ასახსნელი საკითხებია“, „თითქოს შრომა მაქვს მე ოფლივით გამოშვებული“, „კლუბის სიდრემში დაგვასვენვით“, „დახავსებული აზრების ფოკი ჩაძირულიყო წლებში ტომობით“, „როგორც წყურვილი, ჩემო მერანო, ისე გვინდა ჩვენი გალახვა“/, ზოგჯერ კიდევ ძლიერი, მაგრამ აბსტრაქტული, ე.ი. აკრიბატული სურათები /„სულ მცირე აზრიც გაჩნილი, როგორც ცინდალი დაჯდეს თქვენ გზაზე და მოგვედოს, როგორც სახადი“, „ხალხს ასტრონომი შეადარებს ვარსკვლავების მცურავ კალიებს“/.

აბსტრაქტულ ხედვამდე მიყვავართ შეცნობის, საგნის გააზრების წყურვილსა და პათოსს, რომლის დროს მრავალი შთაბეჭდილება ერთმანეთს ეკეცება და იქცევა ერთ კრიპტოგრამულ კადრად. ასეთი კადრების სინთეზი რებუსული მეტყველებაა, რომელსაც სჭირდება სპეციალური გამოიწვევა, ისევე როგორც, ვთქვათ, კუბისტურ სურათს. ხელოვანი იძენდა ღრმად იჭრება საგნის არსში, რომ საგრძნობლად სცილდება კომუნიკაციის დონეს და მონაპოვარი — ნაგრძნობი და განცდილი, მოელის დამატებით კომენტატორს. ასე ჩნდება შემოქმედსა და მკითხველს შორის შუამავლის, ე.ი. კრიტიკოსის აუცილებლობა.

მაგრამ ს. ჩიქოვანის ცალკეული სახეები აბსტრაქტულია, ხოლო კონსტრუქცია ლოგიკური, არა თხზვის პროცესში სტიქიურად წარმოქმნილი, არამედ წინასწარ მოფიქრებული. მაგ. პოეტი თუ ერთის მხრივ ამბობს — „მუხუბისა და მუხუემის მოკედეს მღერანი“, მეორეს მხრივ დასძენს — „ხმელთა ბებერო მტორებო, ჩემი სალაბი“. ამგვარი დაპირისპირების მიღელი ადრევეა მოფიქრებული და შედეგ — პოეტურ სტრიქონებად ქცეული.

გავიხსენოთ ლექსი „წვიმების ქვეშ“ — პოემიდან „ჩემი დანაშაული“ /„მემარცხენეობა“ №1/, რომელიც მოგონებაა თუ როგორ მოუსწრო წვიმამ პოეტს სატრფოსთან ერთად „მთაწმინდის გაღმა“. სიუჟეტი თავისთავად მარტივია. მაგრამ ვარკვეულ ამბავს ვადმოსცემს, რომლიდანაც სათავეს იღებს ასოციაციური და რომელიც ერთიან ყალბში იქცევა ფიქრთა მდინარებას. ლექსი შეიცავს უხვ ინფორმაციას. ყოველი სტრიქონი ახალი მასალის შემოქმანია, ახალი სიბრტყის ათვისების სივანალია /„შორს მობეზილი ხე ბავშვივით ევირის, მუხლბეში შოში. პკრთი და კანკალბე. წვიმის თმებიდან ჩვენ მოვიგონებთ დანესტილ ტირილს და ჰყრიან შტოებს ქარბუქები დაკლანგილები“/. მაგრამ მოძრაობს არა საგნების ქარიშხალი /როგორც, ვთქვათ, გ. ტაბიძის ევემერების რკალში/, რომელიც ფსიქიკის მღელვარების ამტყვევლებაა, არამედ — სათქმელი იტოტება, ივსება და მიემატება ა წერტილიდან მ-საკენ. წყებახის გარშემო ტრიალს ცვლის მოქმედების განვითარება, ასოციაციურ კომპოზიციას — ლოგიკური კონსტრუქცია, ხოლო სიუჟეტი მეტაფორულად იშლება.

ლექსში „მთაწმინდა“ რომ არ იხსნიებოდეს, გვეგონება კოლხური წვიმა ესხურება მიდამოს და ნესტი ძეაღრბილში ატანს „ნკერესებივით“.

სიმონ ჩიქოვანის შურა მიმართულია შიგნიდან გარეთ — კონკრეტული საგნებისაკენ, რომელთა ამოძრავება და სიხშირე ვადლის სწორედ აბსტრაქციაში. მაგრამ მეტწილ იგი ახერხებს მათს ხილვადობას. საგნების დინამიკას, მოქმედებაში ჩვენებას ავანგარდისტები ნივთად ქცევას არკმევდნენ, ე.ი. ისინი იძენდნენ მანქანის თვისებას. კონსტრუქტივისტული ლექსი ასეთ სწრაფვას ანიჭებდა ლოგიკურ ფორმასა და კომპოზიციას, წესრიგსა და დისციპლინას. პოეტი ავეირდება საგნების ფერსა და ხასს, რომელთა კონფიგურაცია არის ლექსის სტრუქტურა.

გადახედოთ კიდევ ერთ ლექსს — „წინა დღეები. მოსკოვი“ /„ლიტერატურა და სხვა“/. გ. ტაბიძემ ჩვენი ყურადღება მიამყრო რევილუციურ პეტროგრადს. ს. ჩიქოვანმა მოსკოვი აირჩია. ქალაქი დანახულია გრაფიკის სახით, როგორც ჰ. პოეტი თითქმის მთლიანად შენიღბულია. იგი ახდენს საგნების დემონსტრირებას, მაგრამ არა კონკრეტული განლაგების, არამედ აბსტრაქციების კვალბახე, რათა მღელვარე მოვლენების არსს ჩასწვდეს /„სივრცეები გადმოღერა ბრბომ და ბედურამ“, „მირბის და მირბის ტროტუარი ჩექმის ქუსლებით“, „და შემოიტანს ფარაჯებში ტროციკ რეკლამენტს“, „მუშებს უყვარდა მანქანების ლირიკაში თოვლი უმანკო“/. ჩვენთვის უცნობია ავტორის სულიერი მდგომარეობა, განცდები, ფიქრები. იგი მხოლოდ ფიქსატორია, ნივთების მხილველი და აღმრიცხველი. ინფორმაციის სიუჟე, კადრების კონდენსირება, ჰერეტის ინტენსივობა — აი ამ ლექსის თვისება, რითაც იგი ანალოგიურია კუბისტური სურათისა. სამავიროდ ავტორის

პიროვნება ხსება ხედვის ექსტაზით, საგანთა დინამიკით, რითაც სულის ფირზე წარუშლვლად აღიბეჭდება წარმოსახული გარემო.

კონსტრუქტივიზმი ფუტურისტული იდეების გონივრული, ზომიერი ანუ რეალისტური მემორიალური რეპრეზენტაცია — რაციონალური ხელოვნების ახალი სახე, რომელშიც შეერთდა რევოლუციური პათეტიკა და ურბანული მსოფლგანცდა. ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლექსის ცნობიერ გააზრებას, აგებულებას, სიტყვის ფუნქციას. საინტერესოა გაიხსენოთ, რომ ვლ. მაიაკოვსკიმ არა მხოლოდ თვითონ იქონია ზევაგლენა ილია ხელვინსკის პოეზიაზე, არამედ — თავადაც აითვისა მისი ზოგიერთი სახე თუ ხერხი<sup>27</sup>. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ს. ჩიქოვანმა საბჭოთა პოეტური ეპოსის ერთ-ერთ მწვერვალად მიიჩნია „ულიალავეშჩინა“ / ე. ბაგრიცის „ფიქრები ათანასეზე“ — სა და ა. ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინთან“ ერთად /.

კონსტრუქტივისტულ პოემებად შეიძლება ჩაითვალოს ს. ჩიქოვანის „ფიქრები მტკვრის პირას“ და „ბედი რესპუბლიკა“, რომელთაც ფაბულა არ გააჩნიათ, მაგრამ მთლიანობა ენიჭებათ ერთი იდეის ვარიაციული განსჯით, კონკრეტულ მასალაზე აღძრული ფიქრებით.

როგორც ითქვა, ყველა კონცეფცია, თეორია, სტილი თუ ჟანრი განდა მხოლოდ ერთი მიზნით — დაიწეროს შედეგები, შეიქმნას ადამიანის სულისა და ფიქრის ძეგლი. მახვილი აზრი, ხუსტი რითმა თუ უცვარი მეტაფორა ფუჭია თუ ტექსტი, როგორც სისტემა, არ არის ერთიანი, თუ იგი არ ცოცხლობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ დაისმის კითხვა — ბოლოსდაბოლოს რა შეიქმნა ავანგარდისტულ პოეზიაში ისეთი, რაც გაუძღვება დროის მდინარეებს? რაც ღირდა ამდენ ხმაურად?

პირველყოფილსა, ეს არის ორიენტაცია, ცალკეული იდეები, მსოფლგანცდა, აზროვნების სტილი, რაც ყველაზე ძლიერად და სრულად გამოვლინდა ს. ჩიქოვანის როგორც ავანგარდისტულ, ისე რეალისტურ პოეზიაში. მან ოციან წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ლექსი შექმნა; ერთის შხრივ — „ცირა“, „ქარბორია“, „მეკამუჩეების ურმული“, „სანაპირო სიმღერა“, „ახაბო“ და „სილუ“ / „ბნელი დედა“ და „ის მოიტაცეს“ /, რომლებიც ავტორს არ შეუსწორებია, მეორეს შხრივ — „გამოთხოვება“, „მგზავრის სიმღერა“, „მიძღვნა უკანასკნელს“ / ახალი ვარიანტით „მეორე მიძღვნა“ /, „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“, „ორი ავადმყოფი“, „წვიმების ქვეშ“, „კავკასიონიდან ტავანროვამდე“, „მოსკოვი“ / „მოსკოვის დიდი“ /, „მიძღვნა ახალ პოეტებს“, „სოფელი მაგონდება ქალაქში“, „რევოლუციური მინდვრების შესახებ“, „წინა დღეები. მოსკოვი“, „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“ / ახალი ვარიანტით — „აღსარება“ /, რომლებიც პოეტს შემდეგ საგრძნობლად დახვეწა.

ამ ლექსებს არ ექცევა სათანადო ყურადღება ან ირონიით ახსენებენ ხოლმე, როგორც ჭაბუკი პოეტის ახირებას. მიზეზი ალბათ არის მკითხველთა და კრიტიკოსთა ჭარბი ტრადიციონალიზმი და კიდევ ის, რომ სიმონ ჩიქოვანს ისინი 1930 წლის შემდეგ ნაკლებად შეჰქონდა თავის წიგნებში.

კარგი ლექსების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ, აგრეთვე, დ. ვანქინაძის „ყოველდღიური ტვილისი“ და „ქუსლი ქალაქისკენ“, ნ. ჩანავას „შანი და შროშანა“, ვ. ჟურულის „პატრიოტიზმის დასასრული“, ნ. შენგელაიას „ბიმურხოლა“, ბ. ელენის „ნამდვილი გული“. ცალკეული საინტერესო სახეები მოეპოვებათ ჟ. ლოდბერიძეს, პ. ნოზაძეს, პ. აბულაძეს და ა. ბელიაშვილს.

ასეთია „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ — ის „ტერორის“ და ექსცენტრიზმის პოზიტიური ნაყოფი პოეზიაში. მას უნდა დაემატოს ტ. ტაბიძის, რ. გვეტაძის (ციკლიდან — „ვირების მუსია“) და გრ. ცეცხლაძის რამდენიმე დადასტურებული ლექსი და ჩვენ ხელთ გვექნება რჩეულ ნიმუშთა ინდექსი ოციანი წლების ქართული ავანგარდისტული პოეზიისა.



ფ. მარინეტისათვის ფუტურისტში იყო „მომავლის დინამიკური ლიტერატურა“. ელექტრონის გული, მობროების გუგუნე, თვითმფრინავების ხმაური, რკინა და ასფალტი თითქოს ახალ ხედვას, სინტაქსსა და მგრძობილობას აუკლიბებდა. ძველ სიტყვათა კავშირს ცვლიდა სავანების უშუალო ხილვა, მათი კინემატოგრაფიული სიჩქარე და განლაგება. მაგრამ ის, რაც შეძლო პოეზიამ, ვერ მოხერხდა პროზაში.

მარინეტის „მაფარკა ფუტურისტი“ და „ბრძოლა ტრიპოლითან“ ვერ გაუტოლდა მხატვრული სიტყვის შედეგებს. ფუტურისტული პროზა მკვდარი ექსპერიმენტი აღმოჩნდა, მაგრამ მისმა მოდელირებამ კიდევ ერთ მიმართულებას მისცა სტიმული — იგი იქცა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის ერთ-ერთ საწყისად / მაგ; ჯ. ჯოისის პროზა /.

გავიხსენოთ მარინეტის თხრობის სტილი: „1,2,3,4,5 სვეუნდი ბარბახნები ალვა გამოშვებული დუმილი აკორდი ცამ—ცუმ იმავე წუთს ეხო ეხო ეხო სულ ეხო დავუფლოთ ჩქარა დავაქუცმაცოთ უსახლგო სიმორში ჯანდაბოსაკენ ცენტრში 50—კილომეტრისანი კარტეჩი ხტომა 2—3 6—8 უუუ—თქმა გირები დარტყმა მუშტის დარტყმა თაჭის დარტყმა ბატარკა სრული სწრაფვა ძალა ბოპოქრობა

რეკლამირება საათების თარეში ბელი ისე მდებლი მნიშვნელოვანი აშკარა სიზნანტე ტექსტით  
კითხვა საოცარი შეშლილები ძლიერ ახალგაზრდანი ძლიერ აღტაცებულნი კრინი ბრძოლა ფურტი  
განჯაში ცოტა ცოტა კიმ კიმ ფერია ფლივ ქისმონი ტობეი ეღერა ბატალიონი კრავ კრავ  
რიცხვი 3/4 მარცხა ოფიცრების ყვირილი ჩხუბი ჩქარა კამ იქ ბუმ პამ პამ აქ იქ შორს ირგვლივ  
ძლიერ მაღლა ყურადღება ეშმაკმა წაიღოს თავზე ეშმაკი აღი აღი აღი“<sup>28</sup>

ცხადია, ვერც საქართველოში შეიქმნა ფურტურისტული პროზა /ერთადერთი სუსტი ცდა— ნა-  
ჩავას ტელეგრაფის სტილით დაწერილი მოთხრობა „ინციდენტები“ — „ლიტერატურა და სხვა“/.  
მართალია, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—ლები იყვნენ ღმწნა შენგელიაი, პავლე ნოზაძე და აკაკი ბელიაშვილი,  
მაგრამ მათი თეორიული ქადაგება და პრაქტიკა ერთმანეთს საგარბობლად დასცილდა.

დ. შენგელიაი იყო ერთადერთი დასრულებული ოსტატი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—ის წვერთა შორის, რომლის  
თხზულებანი მაშინვე აღიარეს. „სანაწიდალო, დიდი უმწური“ /1924/ და „გურამ ბარამანდია“ /1925/  
ქართული პროზის უჭკველი მიღწევაა. ჩანს, ავანგარდისტებს ხელს აძლევდათ დ. შენგელიას  
/იგი არ მონაწილეობდა ჟურნალ „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—ში/ ავტორიტეტით თავიანთი პოზიციის გამაგრება  
და ამას აღნიშნავდნენ კიდევ. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ პრიმიტივს. მართლაც—დ. შენგელია-  
ი ჩინებულად ფლობდა მასალას, ხალხურ მეტყველებას, იცავდა ეთნოგრაფიულ კოლორიტს. მაგ-  
რამ, როგორც ოციან წლებშივე ითქვა, დ. შენგელიაას პროზის სითავე იყო სიმბოლიზმი, შთამა-  
გონებელი მწერლები — ა. ბელი და ბ. პილინაიკი /დ. შენგელიაიამ თავგზნა და 1925 წლის „მნა-  
თობში“ დაბეჭდა ბორის პილინაიკის რომანი „შიშველი წელი“ — „Голымъ годъ/. მისი ნაწერების  
ემოციურობა, მუსიკალობა, მელანქოლია, ავადმყოფური მოტივები, არტისტინში, სწრაფვა პოეტუ-  
რობისაკენ—არ იყო მისაღები ავანგარდისმისათვის. დ. შენგელიაას „ცისფერი ყანწები“ წვერობა  
უფრო შეშვენოდა, ვიდრე „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—ისა /სხვათაშორის — ამავე წლებში მან მიუძღვნა თითქმის  
ღექსად დაწერილი მელანქოლიური ესხე სიმბოლისტი გალაკტიონ ტაბიძეს/. ა. ბელიაშვილის  
„ავადმყოფი რასისა“ /ფრაგმენტი რომანიდან/ დ. შენგელიაას გავლენითაა დაწერილი და როგორც  
სათაურიდანაც ჩანს — საკმაოდ დეკადენტურიც /„მემარცხენეობა“/. ხოლო „ცხრა ცენტრი“ /„მნა-  
თობი“, 1924, №№5, 7—8/ თარგმანს ჰგავს. არც მასალაა ქართული.

პ. ნოზაძის რომანი „დღე და ღამე რევოლუციის“ /„მნათობი“, 1924, №№ 6, 7—8/ ძირითადად  
რეალისტური თხზულებაა. მასალა და იდეა უკვე სათაურშივეა განსაზღვრული. ავტორს შემო-  
აქვს შერეული შრიფტი, იშვიათებს ტელეგრაფის სტილს, რათა რომანს გარვეულად მაინც მია-  
ნიჭოს ავანგარდისტული ივერი. „ბ. ა“—ას /ბ. აბულაძე/ იგი მიანდა „სიუჟეტის კონსტრუქტი-  
ვიზმის“ ნიმუშად.

\*  
\*  
\*

დრო გავიდა. დაცხრა ფურტურისტულ—დადაისტური აფიოტაკაი. დაიშალა „ცისფერი ორდენიც“.  
დაირღვა არაერთი სკოლა და მიმართულება, მაგრამ ავანგარდისტული სული ხელოვნებამ შემოი-  
ნახა. იგი გამოვლინდა ახალი თეორიებითა და ლიტერატურული პრაქტიკით /ჩვენში — 60-იანი,  
წლებიდან/, თუმცა არა ძველებური გატაცებითა და ტოტალური მასშტაბით. მაგრამ ტრადიციასთან  
ზომიერ სინთეზს არანაკლები წარმატება მოჰყვა (ო. ჭილაძის პოეზია და პროზა, რ. სტურუას  
თეატრი, თ. აბულაძისა და თ. იოსელიანის კინოფილმები...).

ინლუსტრიული ყოფისა და საზოგადოების ატრიბუტები, რომლებიც ყალიბდებოდა ამ საუკუნის  
გარიჟრაჟზე, ჩვენი არსებობის, ჩვენი ცხოვრების ნორმად და სტილად იქცა. გავრცელდა საერთა-  
შორისო მოდელები სინამდვილეა და აზროვნებაში, რამაც გაამწვავა საპირისპირო ტენდენცია —  
სწრაფვა უშველესი, არქაული ფორმებისაკენ, მშობლიურობის, ნაციონალიზმის განცდა. ადრე პო-  
ეტები და მხატვრები დროს ასწრებდნენ, ნაოცნებარი რეალობად წარმოადგინათ. ახლა ეს დრო  
დადგა და იგი უჭკველად წარმოშობს თავის დიდ ხელოვნებას, რომელშიც ერთმანეთს შეხვდე-  
ბიან პომეროსი და პიკასო, რუსთაველი და მარინეტი...

### შენიშვნები:

1. ს. ჭილაია, წლები და პრობლემები, თბ., 1980, გვ. 73.
2. ტ. ტაბიძე, ირონია და ცინიზმი, „მეოცნებე ნაიმორები“, 1923, №9; მისივე. დადაიზმი და ცისფე-  
რი ყანწები, იქვე, №10. 1982 წელს ვენეციაში გამოიცა ავტორთა კოლექტივის ფუნდამენტური  
ნაშრომი — „ავანგარდისმი თბილისში“ (რედაქტორები: ლიუიჯი მაგაროტო, მარცია მარცადური,  
ჯოიანინი პავანი კესა), რომელშიც „ცისფერყანწელები“ მიჩნეულია ავანგარდისტებად. განხილუ-  
ლია ჟურნალ „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“—იც. მაგრამ იგი ძირითადად ეძღვნება რუსი ავანგარდისტების, ფურტურისტე-  
ბისა და დადაისტების თხზულების მოღვაწეობის პერიოდს, გვაცნობს იმ აბსოლუტურს, რომელმაც



წარმოშვა „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის სკოლა (იხ. რეცენზია — ა. ვაწერელია, ბ. ბრეგვაძე, ე. კვიციანი, „მნათობი“, 1984, №6, გვ. 169-176).

3. „Пошщёнина общественному вкусу“, М., изд. Г. Кузьмина, 1912-1913.
4. Манифесты итальянского футуризма, пер. В. Шершеневича, М., 1914, стр. 5-16.
5. Н. Дубинин, Что такое человек, М., 1983.
6. С. Ромов, От дада к сюрреализму, «Вестник иностранной литературы», 1929, №3, стр. 185.
7. Манифесты..., стр. 36-42, 43-46.
8. Р. Дуганов, Поэт, история, природа, «Вопр. лит.-ры», 1985, №10; Е. Арензон, К пониманию Хлебникова, იქვე.
9. В. Хлебников, Собр. произв., т. V, Л., 1933.
10. «Вопр. лит.-ры», 1985, №10, стр. 169-190.
11. მ. ქურდიანი, საუკუნის დასაწყისი, «იხსკარი», 1982, №5.
12. „მნათობი“, 1924, №4, გვ. 212-221.
13. ვ. ფრინე, დასავლეთის ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობანი ომის შემდეგ, „მნათობი“, 1924, №2.
14. В. Маяковский, Полн. собр. соч. в 13-ти томах, т. I, стр. 309.
15. В. Перцов, Маяковский. Жизнь и творчество, т. 2, М., 1976, стр. 266.
16. დ. კაკაბაძე, ხელოვნება და სივრცე, თბ., 1983, გვ. 52-54.
17. А. Кручених, Фактура слова, М., 1923.
18. საგრძნობია სიახლოვე ბ. არვატოვის სტატიასთან — „Речетворчество (по поводу «заумной» поэзии)«, «Лепф», 1923, №2.
19. М. Левидов, О футуризме, «Лепф», 1923, №2.
20. А. Кручених, Сдвигология русского стиха, М., 1923.
21. საწყისი თანხმობისა და მისგან წარმოქმნილი სიტყვათა ბუდის თეორიული გააზრება იხ. — В. Хлебников, Наша основа, §2. Заумный язык, წიგნში: Собр. произв., Т. V, Л., 1933, стр. 234-236.
22. А. Кручених, Фонетика театра, М., 1925, стр. 42.
23. С. Завадский, Теория и практика «машинного искусства», წიგნში: «Искусство и научно-технический прогресс», М., 1973, стр. 401-402.
24. დადიანზე ქართულ ლიტერატურაში იხ. მ. ქურდიანი, ავანგარდისტული მანიფესტები, წიგნში: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, თბ., 1980, გვ. 214-220.
25. Э. Вачнадзе, К вопросу сходства патологического художества с современным декадентским искусством, წიგნში: «Бессознательное», II, Тб., 1978, стр. 671-678.
26. «Искусство и носители их, художники, должны войти в производство», მოითხოვდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ჟურნალი „ლუფი“ («Лепф», 1923, №2, стр. 102.)
27. О. Резник, Жизнь в поэзии. Творчество И. Сельвинского, М., 1982, стр. 69-70.
28. წიგნიდან: მ. კვხელია, ფაუსტური პარადოგმები, II, თბ., 1961, გვ. 437.

# რეპეზ ინანიშვილის საბავშვო პროზის მხატვრული თავისებურებანი

თავდახრილი დიდხანს, დიდხანს ჩაჰკირკიტებს თეთრ, გარდიგარდმო იისფრად ჩაბაზულ ფურცელს. ხან თვალებს ხელით მოიჩრდილავს, თითქოს წლების მიღმა სამყაროს ხილვა სურსო, ფიქრობს და ოცნებობს ისე, როგორც მრავალი ჩვენთაგანი ფიქრობს და ოცნებობს, მაგრამ წერს ისე, მრავალი ჩვენთაგანის კალამს რომ არ ძალუძს.

ბუნებრივად გაიფიქრებთ, რაოდენ ლამაზი ოცნება შესძლებიათ ამ ჩვეულებრივთაგან რჩეულ, მოკვდავ ადამიანსო. ხშირად იხილავთ ბავშვებთან მათ მეგობარს და გულის შესაიდუმლებს, ხშირად მათი მონათხრობი აზროვნების ძაღს გაუწვევებს ხოლმე და, მოგონებთა მრავალფეროვან ცისარტყელაზე გადარბენით, თავის ბავშვობაში გაანავარდებს, უყვარს ოცნება და ოცნებობს მკითხველთან ერთად. ყოველი მოზარდის სულში შეაქვს კდემამოსილება და აზრთა სიჭანსადე და რაოდენ გულწრფელია მისი სიტყვები: „ღმერთო, უღბიენ ყვლა ბავშვს ქვეყანაზე“.

დრო გადის. ხეხილნი მრავალჭერ იცვლიან სამოსს, მრავალი ჭაღარა ემატება გრძნეულ ადამიანს, მისი ზღაპრული მოგონებების საღარო კი არ ილღვა, მისი ჭადოსნური სკივრი ჭერ კიდევ მრავლად იტევს ახალსა და ამოუხსნელს; გული არ ბერდება, კალამი არ ილღება მომავალ თაობებზე ზრუნვით. იგი თვითვერ ფხიზლდება ბავშვობის ჭადოსნური ხილვებიდან. თავს ვერ აღწევს უწინ განცილილსა და გაგონილს და სურს, მუდამ ბავშვად დარჩეს მოზარდთა გვერდით, თავისი სპექტაი მისწრაფებებით და დამრიგებლური, მამამკვიდლური ტონით. მისი გამრები ყოველთვის უფროსებთან ურთიერთობაში ავლენენ ხასიათს, ბაძვენ მამებს, პაპებს, ბებებს. ამიტომაცაა, რომ მან სამი თაობის ურთიერთობა გვიჩვენა ასე ლამაზად და ბუნებრივად. წინა თაობა მაგალითის აძლევს მომდევნოს — აი, მისი შემოქმედების დედააზრი. კეთილი თესლი ახლავე უნდა ჩაიყაროს, რომ მომავალში ტკბილი და გემრიელი ნაყოფი მივიღოთ.

რ. ინანიშვილის საბავშვო პროზაში ორ უკიდურესობას ვაწყდებით. ნაწარმოებთა ერთ-

თი ნაწილი მეტად მიმზიდველია თავისი ფერადოვნებით. შემპარავი ხალისით, სიცოცხლის სიყვარულით; მეორე ნაწილი თითქოს ერთგვარ მხატვრულობას მოკლებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგჩვენეთ. ასეთი მოთხრობები ძირითადად დიალოგურ ფორმას ეყრდნობიან და დიდი ინტერესით, თითქოს ერთი ამოსუნთქვით იკითხებიან ისინი მკითხველს მხატვრულობის საოცნებო სამყაროში აშოფებენ. მაგ., „კაცები“, „ღამეა აეროდრომზე“ „მგელიკას უკანასკნელი საქმე“, „პირველი გმირული საქმე“ და სხვა. ზოგიერთ მოთხრობაში ზღაპრული ელემენტი ისე შესატყვისად არის მორგებული, თითქოს ავტორს ოდესღაც მართლა უხილავს და მომავალში მის გაქეშმარებებს ელისო; ზოგიერთი კი ნაწარმოების კლასიკური ზღაპრის ჩარჩოებში თავსდება და აუცილებლად ზღაპრული სტრუქტურით უნდა იყოს განხილული. მრავალ მის მოთხრობას, ჩანახატს თუ ნოველას, ორიგინალობას და სიახლისაკენ სწრაფვას მატებს პოეტური ფრაზის წყობა, თითოეული წინადადება უმალ იპყრობს მოზარდის გონებას, ზემოქმედებს მის ემოციურ სამყაროზე და, რაც მთავარია, მწერლის კალამს შესწევს უნარი, ფანტაზია გაუცხოველოს მოზარდს, ჭადოსნურ სანახაობად გადმოგვიშალოს ხილული სამყარო. ყოველი სტრიქონით გამოწვეული ასოციაციები იმდენად ცხოველია, რომ მკითხველი დიდხანს ვერ თავისუფლდება ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილებებისგან. მწერალი აიძულებს პატარა მკითხველს, აამოქმედოს გონება და ერთი სტრიქონიდან მეორეში გადასვლაზედ საკუთარი დაქვენა გამოიტანოს, რათა მოთხრობის ყოველი მონაკვეთის შინაარსი მოზარდისთვის უფრო ნათელი და ახლობელი გახდეს ნაწარმოებში არ ვკედლევა მზამზარეული პასუხი კითხვებზე: მოზარდს კითხვისა ებადება უამრავი აზრი, უჩნდება სურვილი, კვლავ და კვლავ წაიკითხოს ესა თუ ის ფრაზა, რათა მასში ყველაზე ახლობელი აღმოაჩინოს და ყოველი გადაკითხვის დროს უამრავ სიახლეს პოულობს „ნისლიანი ხეობა, ზედ ხიდი, ხიდზე მატარებელი, რომელიც ერთი მხრიდან გამოდის



და მეორეში შედის. მთებზე ჩამავებული მუხ-  
ნარი. აქა-იქ მწვანე ფიჭვი და ბუა ხიდევემ  
მდინარე, პატარა, სულ პატარა, წმინდა, ჩუხ-  
ჩუხა. მდინარის ნაპირზე წნორები და ტირი-  
ფები, წნორებს კვირტები დაბერვიათ“. აქ  
დიდი ადგილი რჩება პატარა მკითხველს ფან-  
ტაზიანთვის, რადგან პეიზაჟს სული მკითხვე-  
ლმა უნდა შთაბეროს, ალტინებული კოკორი  
ულამაზეს უკავიალად გადაგვიშალოს.

რ. ინანიშვილის ნოველების და მოთხრობე-  
ბის საყრდენი მასალაა ლირიკულ-ფსიქოლოგი-  
ური სენტენციები, იგი მოგვევლინა, როგორც  
მცირეფორმიან ნაწარმოებთა ავტორი და სა-  
ცხებით სამართლიანი იქნება მისი ზოგიერთი  
ქმნილება პოეტურ-ლირიკულ მოთხრობად ჩა-  
თვალოს. მოცულობის მიხედვით მისი მოთხ-  
რობები არცთუ დიდია, თხრობა შეუქმუშლია,  
აზრი ვადმოცემის ხალხურ დინებას მიჰყვება.  
მცირე მინიატურულ მოთხრობებს ქართულ  
მწერლობაში მტკიცე ტრადიცია დაუშვებდრა  
სულხან-საბა ორბელიანმა. რ. ინანიშვი-  
ლის ნაწარმოებში იგრძნობა კლასი-  
ციური პრობლემის ტრადიციებთან კავშირი  
და, ამავე დროს, მკაფიო შემოქმედებითი ინ-  
დივიდუალობით განპირობებული ნოვატორული  
ინიშებიც. მისი მოთხრობები ჰაეროვანი და  
გამჭვირვალენი არიან. ზვეშეებისათვის შექმ-  
ნილ ნაწარმოებებში ზღაპარი და სინაღდლით,  
ქეშარიტი და არარსებული ერთმანეთში იჭ-  
რება. ეს იმით არის განპირობებული, რომ ზო-  
გჯერ მწერლის სტილი ხელოვნურობისაკენ  
იხრება, მაგრამ უოველთვის გრძნობთ, რომ ამ  
ხელოვნურობის დასაყრდენი მაინც მიწიერია.

მოთხრობათა უმრავლესობაში მწერალი კო-  
ნკრეტულად ასახელებს წელიწადის დროს, რო-  
მელშიც სიუჟეტი იშლება. ნაწარმოები მხატ-  
ვრულად დასრულებულ ტილოს წარმოადგენს.  
მწერლისეულ პეიზაჟში დაცულია სიღრმის,  
ირველივე შექმნილი ატმოსფეროს შეგრძნება,  
რომლის მიზანია, გააძლიეროს აღსაქმელი  
ემოცია და არ გადაღალბოს გონება. ზომიერე-  
ბის გრძნობას არასოდეს არ კარგავს: „გარეთ  
ისევ თოვდა, ზამთარი იდგა დიდი, ტბილი, სა-  
ყვარელი ზამთარი, ხაღაც სერზე მხიარულად  
წავწკვავებდნენ ტურები“. მწერალი აქ ზამთ-  
რისაღმე საკუთარ დამოკიდებულებას ტურებს  
მიაწერს, რადგანაც მშვიტ ტურებს არ შეუძლი-  
ათ მხიარული წკაწკავე.

რ. ინანიშვილის პეიზაჟი მოკლეა და სხარ-  
ტი, მისი ერთ-ერთი და უმთავრესი დანიშნუ-  
ლებაა, გამოხატოს გმირის განცდები, აღძრული  
ამა თუ იმ მოვლენის გამო. მის ხატებში ადა-  
მიანის სახეა გახსნილი.

პეიზაჟი თითქმის უველგან ადამიანის სულის  
ხარკეა. აქ ბუნება და ადამიანი პარამონიულად  
ერწყმის ერთმანეთს: ბუნება ადამიანის სულს  
აკისკროვნებს და ადამიანის უოფას აღამაზებს.

ლაზათსა და ეშხს მპატებს. ადამიანი, რ. ინა-  
ნიშვილის შემოქმედების მიხედვით, უმრავლეს  
მორჩილია, ვინაიდან უძლურია ზოგიერთი ავი  
მოვლენის წინაშე, მაგრამ არა ბრმა მონა. მისი  
მიზანია, დაუკვირდეს ბუნებას, შეისწავლოს  
იგი და საკუთარი მოთხოვნების დასაყ-  
მყოფილებლად გარდაქმნას. ეს რთული საქმეა,  
მაგრამ მწერალმა ადვილად მოუძებნა ამ შე-  
მოქმედების პრობლემის ოქროს განხლები.  
ბუნებრივი მოვლენა უბძგებს სულიერს მოქმე-  
დების ახალი ელფერით განხორციელებისაკენ,  
ადამიანებს კი ემოციებს უღვივებს ან უქნი-  
ნებს.

პეიზაჟი რ. ინანიშვილის საბავშვო პროზაში  
უოველთვის რეალისტურია, თითქმის ვერ  
იხილავთ მის პეიზაჟს ადამიანის გარეშე, ხში-  
რია შემთხვევა, როდესაც იგი მოთხრობის  
ბოლოში ძლევაშობილად, მოკრძალებით შემო-  
ბრძანდება და თავის სავარძელში მოკალათებს,  
სამყაროს მოვლენების ასახვა საკუთარი ფსი-  
ქოლოგიური განცდების საყუდედს მპოვებს.  
მწერალი შორიდან როდი ეტრფის ამ ვარდი-  
სფერ სანახაობას, იგია აქ რეფლექსი, ოპე-  
რატორიც, მსახობიც და, თქვენ წარმოიდგე-  
ნეთ, კომპოზიტორიც კი. ხშირად ინანიშვილს მისი  
გმირები ბუნების მიმართ ჩადენილ ცოდ-  
ვებს, ბუნებასა და ადამიანებს ესმით ერთურ-  
თის ენა, ტკივილი და ერთმანეთს მალამოდ  
ედებენ. „ლიმ ჩაიჩოქა, უჩივარდებს მოფერ-  
ა და თავის პაწაწინა თითებით ხმე-  
ლი ფოთლები შემოაცალა. უჩივარდებმა თი-  
თქოს მადლიერად გაუცინეს“. მაგრამ ბუნება,  
ადამიანის მსგავსად, ხშირად ზომიერებას ჰკა-  
რგავს და მრისხანებას დაატებს თავს მოკვდავთ“,  
„უშინილამ დიდი წვიმა იყო, მოვარდა ერთი  
ცოფიანი ქარცი, იქეპა, იქუხა, ცოტა ხორხო-  
შელავ წამოურია. დღლით ბაღში გავიდი, გა-  
ვშტერდი, ისეთი რამე ვნახე, მთელი ქართული  
გულბაბი სულ ძირს იყო ჩამოსული“ („მარტო-  
ობა“).

ზოგიერთ ნოველასა თუ მოთხრობაში პეიზაჟი  
შეკრული არ არის, ერთ ბუაჯეში ვერ თავსდება,  
მიმოხეულია, მისი ამოკრფით იქ შექმნილ  
სამყაროზე სრული წარმოდგენა გვეძლეება. ზო-  
გიერთ მათგანს მთლიანად პეიზაჟურია. მწე-  
რლის პეიზაჟი შესანიშნავად ერწყმის ნაწარმო-  
ების ფორმასა და შინაარსს. მრავალი მათგანი  
მთუნწად არის მოხაზული, თუმცა მკითხველის  
ფანტაზიის წყალობით სრულყოფილებას  
აღწევს პეიზაჟში გამოთქმული მთელი მოთხ-  
რობის დედააზრი. ერთმანეთისაგან განვასხვავ-  
ებთ სეველიან, მხიარულ (მინორულ, მფორულ),  
ხმურთან და ხვერდოვან, თბილ პეიზაჟს. პე-  
იზაჟის ხასიათის მიხედვით ასეთივეა ნაწარმო-  
ების ფინალი — კეთილი, ბოროტი, ცივი ან  
თბილი. რ. ინანიშვილის პეიზაჟი დატვირთუ-  
ლია პიროვნებებით და საგნებით, მაგრამ მათ-

როვნებას და სიმსუბუქეს არ კარგავს, ვინაიდან ფერითა ცილით, მოვლენათა გახმოვანებით მიიღწევა ეს სიმსუბუქე. პეიზაჟ-ფანტაზია რეალობისა და ჯადოსნურის შეზავებით არის მიღებული. პეიზაჟი ძირითადად ნაწარმოების დასაწყისში ვხვდებით (იშვიათად ბოლოში) და აქ იგი ფინალის ხასიათს განსაზღვრავს. პეიზაჟი გრაციულია და მოქნილი, უმეტეს შემთხვევაში გახმოვანებულია, მგერძობიარე, მეტყველი; ფოთოლთა შრიალს, წვიმის წკაპუნს, ჩიტთა გალობას, ქვეწარმავალთა ფუთფუთს გრძელვად სიმფონიამდე მივყავართ. აქ რ. ინანიშვილი ცივს გზის გამგერძობებელად ზვივლინება. „ხეებო, ბალახებო, ყვავილებო, კარგებო, ღამაზებო, მასწავლეთ, რა ვუწველო, მე ხომ თქვენთვის ცუდი არასოდეს გაიქეთებია—ხეებო, კარგებო, საყვარლებო, რა ვუწველო?“ ხეები დაშტერებულნი დასცქერიან მაღლიდან, იღნავ აკანკალებენ ფოთლებს და ჩურჩულდებენ: „ვაი, შე საცოდვო, ვაი შე საცოდვო! გულწრფილი შიმღები ტირიან, ტირის ცალ მხარ, მოკვეთილი იფანიც, ქვითინებენ ბალახებიც, ყვავილებიც“ („როცა ტუქს ძარცვავენ“). ბუნება აქ თით ეპოტინება სიცოცხლეს და იბრძვის თავისუფლებისათვის. ცხოველთა მოძრაობაც რიტმშია ჩასმული. „გადაბტებოდეთოთი ტაყ... გაპრებილი კუდით ნაპერწყლების მთელ გროვას გაიყოლებდა და გადახტებოდა მეორე ტაყ... იმასაც ნაპერწყლების გორა მიჰყვებოდა“ („გოგონას ღამე რომ შეუყვარდა“).

ბუნება რ. ინანიშვილის გამართა განცდების ფონია, ადამიანის მიღმა მდგარი სიღრმეა. ხშირად პეიზაჟი კვანძის გახსნისას გარკვეულ როლს თამაშობს, სწორედ იმ მომენტში გადამოგვეცემა გამორის სულიერი კრელო.

მწერალი თითქოს კმაყოფილია პეიზაჟის საკუთარი წვდომით, ხიბლავს და ეთავანება მას. პეიზაჟი საყვარელი საქართველოს ზატებაა, მისი მოშობლიური კახეთის ხედ-პანორამა, ფოტოსალიადა. მწერალი გრძელვადი სითბოთი, ხელის მოკრძალებული ფათურით ეფერება ყოველი ხის ნუჟს, აქორჩილ მიწორს, ლივლივ ზღვას, მაგრამ ბოლოს რწმუნდება და გაულწრფელია აღიარებს: „ტყუილად ვწვალბო, თუ აღამიანმა თვითონ არ ნახა, ვერავითარი აღწერილობა და მონათხრობი ვერ აგრძნობინებს აქაურ სიმშვენიერეს“ („მშვენიერება“).

ბუნების მოვლენათა ემოციურად შემოქმედების გაძლიერებისათვის იგი ფერს იშველიებს. სამუაროში არსებულ ფერებს მწერალი მკაცრად აღიქვამს, იცავს შუქ-ჩრდილთა მონაცვლეობას და ამ მონაცვლეობით ხაზს უსვამს თითოეულის მიღმა ჩადებულ აზრს. „სიშავები თოვლიან ფერდობზე გადაბრდნენ“. ამ ეპიზოდისათვის თერთი ფერი ფონად მოგვევლინება. ეს საწყისია, რომელიც იყო, არსებობდა და ამ შუქ-ჩრდილთა მონაცვლეობით მას განსხვავებული ელფერი შესძინა. მწერლის პალიტრაში უამრავი ისეთი ფერია ჩაბმული, რომელიც მკითხველთა უამრავლესობისათვის მსლად აღსაქმელია და მიუწვდომელიც. „ადის მსუბუქი სარდაფის ფერი კვამლი, იმლართიანია ის და დაწული მზის სხივები“ (ბეზია მარამი“).

რ. ინანიშვილის პეიზაჟისათვის ფერი მთავარი კომპონენტი არ არის, იგი გვევლინება მის გამაფაინებლად, მეროვნების ხაზგასახმლად. მწერალს შესწევს უნარი, მოძებნოს ძირითადი ფერის ტონები, ეხერხება ფერთა შეხამება, არის საფუძველზე იღებს უცხოელ აღსაქმელ სანახაობას, ახალ ფერს, რომელიც თითოეული მკითხველის წარმოდგენის დონეზე წყდება და დგინდება. „ის ადგილი აქედან შორს არის, ირგვლივ სულ მაღალი, მარადეამ სველი ღურჯი მთები დგას, შუაში სწორი ცისფერი ტბა ამკობს“ („ხალ ცხოვრობს მერლარე“). აქ ღურჯი მოგვევლინა, როგორც მსაუბრე სველით გაუღენთილი, მკაფიო და მკაცრი ფერი, მაგრამ ამ სიმკაცრეს თავისებურად არბილებს, მეროვნებას მატებს მასში შუქრილი ცისფერი და მთლიანი ხედი გამჭვირვალე ზდება. ინანიშვილი ელფერი ფერების უნარი შესწევს განსაზღვროს ერთმანეთი, გააძლიერონ ან ბინდი მოჭვნონ, აქ ადგილი აქვს ფერის გარდამავლობას: „აღმოსავლეთი წითლად შეიღება“, ღრუბლის პაწაწინა ფთილები ღურჯ ტატნობს შეეგლისა“ („ბეზის სიკვდილი“). აქ ფერი ფერს აძლიერებს და ერთმანეთში შედის. წარმოსახვაში ვლდებულბოთ რაღაც შუადედურს წითელს, თერთსა და ღურჯს შორის. აქ ფერი მკითხველმა საკუთარ აღქმლობაზე დაყრდნობით უნდა მიიღოს.

მწერლის შემოქმედებაში ვხვდებით რამდენიმე ფერის ტოლად შერწყმასაც, როდესაც თითოეული მათგანი ერთმანეთზე შემოქმედებას არ ახდენს. ისინი დამოუკიდებლად არსებობენ. ასეთ შემთხვევაში იგი ძირითად ფერებს იყენებს. „ერთ გაბადრულ შავი ფიჭვის თირში, მრგვალმობაზულ შავ მიწაზე, მაღალ ფეხება თეთრი უანა იღვა. თავი ბებებზე დაელო, ვარდისფერი ნისკარტი წინ წამოეშვირა და სოვლემდა“ („თეთრი უანა“). ან კიდევ: „წითელი ფუნჩულა ქული ზურავს, ცისფერ ქურთუკზე წითელი შარფის ბოლოები გადამოჭვნია, წითელივე რეიტუში აცვია, წითელი ჩემები“. ზოგჯერ ფერს შედარებითობამდე მივყავართ. „ცისარტყელის უკან მტუტისფერი სიღრმე ისევ ქუზდა“ ანდა: „მთელი ხეობა ნისკარტისფრად ჩაბუნდებულყო, წვიმა მოდიდა, მოშაო აღმაცერი“ („აღმდუნა“). ამ შემთხვევაში ფერზე ჩრდილის შეგავლენა იგრძნობა. ან კიდევ: „ნაკვალევზე ჩანდნენ გაოცებული ბალახები, აღმას მოფრქვეული ჭიჭილები, გაწუწული ღიღილოები“ („ბედნიერი მთა“). მწე-



რლის სტილისათვის მეტად მორგებული ფერია ოქროსფერი. ხშირად უკეთლის გაძლიერების მიზნით იხმარება, ზოგჯერ კი ალტკინების გამოსაკვეთად. მაგ., „ოქროსფერი კაკლის ხის ფოთლი“ („ბიჭი მალხაზი“). „ოქროსფერი ტირიფი“ („წვეთების სიმღერა“); „ოქროსფერად იფერებოდა შინდები“ („თოთია ჩამოვიდა“).

მწერლის წარმოსახვაში თეთრი სიკეთის, სისპეტაკის, სიწმინდის, ზაეროვნების, თავისუფლების ფერია და, ალბათ, ამიტომ უწოდა მოთხრობათა კრებულს „შორი თეთრი მწვერვალი“, თითქმის ამ სითეთრიდან უწომო სიკეთე და ბედნიერება იღვრება. რ. ინანიშვილი სამყაროს უმეტეს შემთხვევაში შუკით მოსილს, გასინათლებულს წარმოგვიდგენს, თითქმის ცდილობს, ჩრდილი არც კი გააქაროს, ცბიერება არ შეაპაროს. თეთრ ფერს უმეტესად ფონისათვის იყენებს და მის ტონებს იშვიათად იძლევა. მაგ. „მტრების ფერი“, „რძისფერი“ ყვითელი, ერთი მხრივ, უარყოფითი ემოციებით არის დატვირთული, მეორე მხრივ, სისავსის, ბარაკის სიმბოლოა. „ამოვიდა ვიებერთელა ყვითელი მთვარი“ („ზამთრის ზღაპარი“) ან კიდევ: „დამქნარი, გაუეთლებული ხელი“. უკეთესს საკუთარ ტონებსაც უსადაგებს: ოქროსფერს, ქარვისფერს და ნარინჯისფერს, ეს უქანასკელი წითლისაკენ ისწრაფვის, შავი უარყოფითი შინაარსის შემცველია, მას უარყოფითი პიროვნების დახასიათებისათვის იყენებს, პორტრეტთან კი უშის, გონიერების მიმნიჭებელი ფერია. „ისე დაფაზბურა წამწამები ღლებს ჩაფარა და, ისიც წაუღო მოხრილი გაიქცა ღლებს ძირძირ“ („თოთია ჩამოვიდა“) ანდა: „მოვიდა გახეთქილ მილთან შავი მოღუშული კაცი. ეს ის კაცია, რომელმაც მოკისკისე ნაკადულს სული ამოართვა“. შავი ხშირად მრისხანების სიმბოლოც არის.

ლურჯი გვხვდება ძლიერ განათებულიც და ჩრდილით მოცულიც (ან: ჩრდილის საფარში), მაგ., მთის წვერებიდან ლურჯი უჩნდა ჩამოვიდა და ლურჯად ჩაღმა ტყეში“ („ნეკერჩხლის წითელი ფოთლი“); „მოჩხრიკალებდა ლურჯი მთის წყალი“ ანდა „ლურჯი კბილები“. ცისფერი სიკეთის, ბედნიერების მომტანი ფერია. ის უკეთესთვის დაცისკოვნიერი და ჩრდილმუხუბელია, მაგ., „ზღაპარში „მებაიარღის გოგონას ამბავი“ ცისფერმა განთიადმა თვალი აუხილა მებაიარღეს და საკუთარი შვილი წარმოუდგა მთელი სიმშვენიერით. აქ ცისფერი სიკეთის საწყისია, ცისფერთვალემა გოგონები ავ მოსახლეობს კეთილი ფერიანი აჩიან. ვერცხლისფერი თავისებური სამკაულია რ. ინანიშვილის პროზისა. „ბილიკე ორი ლოკოინა გამობრძანდა, მთელ სიმაღლეზე აეჭიმათ ვერცხლისფერი საცეცხები და სინჯავდნენ ზა-

ერს“ („საძაგელი გოგონა“), ანდა: „ნეკერჩხლის ფოთლებს შორის უძრავად იდგნენ: მათ თქოს ვერცხლით მოსავადებული ნაძვები, იმ ნაძვებსაც, ალვებსა და ნეკერჩხლებს ძირებზე ხავსი და სურთ შემოხვეოდათ“.

რ. ინანიშვილისეული ფერს არც პორტრეტისათვის არის წამუვანი კომპონენტი. იგი პორტრეტთან იმავე თვისებების მატარებელია, რაც პეიზაჟისათვის. პორტრეტი, ისევე როგორც პეიზაჟი, ორსახოვანია, შერეული და გარეგნული და შინაგანი თვისებების შერწყმით მიიღება. პორტრეტი ხშირად შეესატყვისება გმირის ქცევას, მის მამებრად ან მამაგებლად გვევლინება. თეთრი ფერი აქაც გამჭვირვალე და კრისტალური. „ისეთი თეთრი და სპეტაკი წვერი ჰქონდა, თითქმის ბაშის ფთილები ამოუკერავთო შოკოლადისფერ ყბებზე და ნიკაპზე“ („შოი საპა და მისი სახედრის ამბავი“). აქ ფერთა მშვენიერ შერწყმას შევხვდით, ყავისფერი და თეთრი გამოკვეთილად ურთიერთკონტრასტული ფერებია და ერთმანეთს ამღიერებენ. მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს პორტრეტის ხატვის დროს შუქ-ჩრდილთა მონაცვლეობას. სხეულის გამჭვირვალეობით აღქმას გარკვეულ ფერმართალ ფერად შეიკვავართ. ეს კი მივითვითებს იმაზე, რომ მწერალი ფერს სიღრმეშიც, ე. ი. საგნის მიღმა აღიქვამს. „მონადირის შვილიშვილმა ღამაზემა ურებ-სიფრთვანა გოგონამ, ალტაცებულმა ჩამოხუდა მუხებს წორის, ხელი მოხვია და მიიხუტა“. („მუხა“) ეს ძნელად აღსაქმელი, თითქმის არარსებული ფერი, სულიერი სიწმინდით ნასულიდგმულები ფერია.

ნაწარმოებში მწვანე ფერი ზაერდოქანია. მას ხან შემოდგომის მშით დასიცხულს, გახუნებულს და ხანაც გაჯაფხულის სიხასხასით აცისკროვნებულს წარმოგვიდგენს მწერალი და მასაც, თეთრის მსგავსად, ძირითადად ფონის შექმნის ფუნქცია აკისრია. აქ მწვანე განლევიდა და ზამთრის პირისთვის სრულიად მკვდავი; მწვანეს თეთრი ეცილება და მის ფუნქციას ითვისებს.

მატერულობის და ემოციურობის გაძლიერების ერთ-ერთ ხერხად რ. ინანიშვილი შედარების შემოტანას თვლის, მას შესწევს დიდი უნარი საგნების მოვლენებთან შედარებისა. ხშირად შედარებებს მკითხველში უარყოფითი ემოციის გაძლიერებისათვის იყენებს, უბიძგებს მას არარსებული გაიაროს და გათვითცნობაეროს. მისი შედარებანი უმეტესად მიწიერია: „მაგრამ მათი უმუილი ისე ჰგავდა მგლის უმუილს, როგორც ცხენი და რქებმო. კაუქებული ძროხა ერთმანეთს“ („მგლის ლეკვები“); „ჩერ წელი გაუკავდა, ლეადლეუნიებული ქალივთ ავიკვდა, აწივლდა“ („ძველი სოფლის ექიმი“), „მიწაზე დადებული თოვლის ქაფქირით დაიხვრია“ („ნეკერჩხლის წი-

თელი ფოთლი“); „პირველ სროლაზე ფოცხვერი ღრუბელივით შეიშუშნა“ („კაცი“).

რ. ინანიშვილმა მკითხველს მთელი საქართველო შემოატარა, უმთავრესად მაინც მათი დასახვეწებელი (დასავანებელი) ალავი მწერლის მშობლიური გარე კახეთი იყო. მისი შემოქმედება მთელი გარე კახეთის ზედ-პეიჯაჟია. გავცანით ხაშმს, თავისი განუმეორებელი ხრიკი სერებით, ძველი დახვეწებული ცვლილებით; შევუდებთ „შავკაცთან სერს“; მოვიხანსულეთ წყაროსთვის წვრები, გამოძირი, წყნარი, ფავი, მითოლოგი; ვერსაბრეთ აქ მცხოვრებთა უფას; დავაკვირდით ამ მიდამოების ფლორასა და ფაუნას, ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა სამყაროს და თითოეულზე მივიღებთ მათი ცხოვრების წესის საკულისხნო და საინტერესო „ცნობებს“. შეიძლება შევადგას რ. ინანიშვილის მიერ ხსენებულ მცენარეთა კატალოგიც კი. მუხა მის უყვლა ნაწარმოებში სიძლიერის, სიმხნევის ეტალონია, იაკი სიკეთის, ბედნიერების მოტივია: „პირველი ენძელა გამოჩნდება თუ არა, დღედაღამ იმავე ვფიქრობთ, მოდიან ფურისულები, უჩივარებენ, იები, შრომანები, იონჭა და ესპატელები, ხეხილის უყვალს ხომ თვლა არა აქვს. მოდიან სულ ერთმანეთზე კარგები, ლამაზები, მოაქვთ საამო სურნელება, სიხარული და მთელ დღეს მთვრალივით დავბარბაცებ“ („ნაცნობი ხმა“). ანდა: „ციხსაქენ ბზიდულა ტირიფი ვერხვი, ივანი, რცხლა, კატაფშუტა, პალმა, უთირი ჭვადრი, ქაფურის ხეები, ზეთისხილი, ბამსუფი. ნაზად შრიალებს ძირხვენა, კულმუხო, ციყნისურა, მრავალძარღვა, ლერწამი“. აქ ძლიერი და სუსტნი ერთმანეთის გვერდიგვერდ ბარობენ, ერთმანეთზე ზრუნავენ, ერთმანეთს მფარველობენ. მწერალი ამ მცენარეებს მარტო კი არ ასახელებს, მათ სარგებლობაზე გვაწვდის ცნობებს. მცენარეთა სამყაროს თავისი მრავალფეროვნებით არც ცხოველთა და ფრინველთა, ზღვათა და მიდინარეთა ბინადარი ჩამოუვარდებიან, ისინი მონაწილენი არიან მშვენიერი პეიჯების გამრავალფეროვნებისა და განსულიერებისა, თითოეული მათგანი დამახასიათებელი ნიშან-თვისებით, ხასიათის თავისებურებებით შემობრძანდა ამ ქაღალსურ სამყაროში. „ჭრიჭინებენ წიწკანები, ჩიტბატონები, იახლოდნენ მოლაღურები, გადმოხტა თითქოს და სიხარულით ათახთახებული ქინკრაქაც“ („ციხსარტყელა“). შორიდან შემოგვესმა შაშვის გალობა, იქვე კაკუნობენ კოდალები, საკენკს ეძებენ ბელურები, ამაყად დაჰყურებს დედაშიწას ცის კაბადონზე გაკრული ქაჯარა, სკვინჩა და ალყუნი ჩიტი, რომელიც ლიფსიტებით იკვებება და წყალთან ცხოვრობს, აქვეა ქედანი, კაკაბი, ნიბლია; მელა და

ძველი მტაცებლობას ვერასოდეს მოიშლიან მათი სახეები უოველთვის შეაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი. თავისთვის სფუსებს გაბუსუნებული მაჩვი. „მერე ნახეს ტლაპოში ჩაფლული ბაყაუი, რომელიც თურმე გაზაფხულამდე ასე უნდა უოფილიყო შედარებით“ („მგლის ლეკვები“), „კლდეზე გამოჩნდა სამი ჭიხვი, ერთი ვაცი, ორი შუნი... იქვე იყო გაფუჟული მურთხიცი“ („სამთარი მთაში“).

რ. ინანიშვილის საბავშვო პროზასთან შენდერდისას შეიგრძნობთ სახიამოვნო სურნელს კახური სამწარეულოსი. მოდიოთ, უოველგვარი მოკრძალების, შორიდების ზღვარი გადავლახოთ და ვეწვიოთ კახელ დიასახლისებს. რ. ინანიშვილი აქაც უსაზღვრო დაკვირვებულობას იჩენს და მიგვითითებს უოველ წყრილმანზე, ზოგჯერ კი პირდაპირ გვასწავლის, თუ როგორ მზადდება ესა თუ ის საქმეები: „ბავშვები სიამოვნებით მიირთმევენ ერბო-ხაჭვოს, ხიწიწს, პურჩაყრილ რძეს, კიტრის, კომბოსტოს მწილდებს, კაცებს კი პურჩაყრილი ლობიო და ცივად მოხარშული ინდაური ურჩვენათ, არც ნანადირეზე ამბობენ უარს. ხსენებში მზიარულად კონწილობენ ხახვის ცაღები, თხილის, კაკლის, ბოტელა სიმინდისა და გოგრის შესანახი კუნჭული“ გვასწავლის სიმინდისაგან ბატბუტის დამზადების წესს, „მამამ ქვაბი გადმოიღო, ძირზე ქონი მოსცხო, ლუმელზე დადგა, გააფცხა და შიგ ეკალა ტაროები ჩაფხვინა, ატყდა ერთი ტყაც-ტყუცი“ („თოვლი“). ანდა: „გაზაფხულზე მარაიმი მოკრეფდა ხოლმე ქორფა ჭინჭარს, გარეცხავდა და შემოდგამდა ცეცხლზე, გააქეთბდა მხალს“ („ბებია მარაიმი“). მთის ხალხს განსაკუთრებული წესით გამოცხვარი ხშიადა და ნივთის ორი კბილი უტკავს შიმშილს. ბევსურებს თიბიტური მხნეობასა და სიამაყეს მხატვებს. მწერალი ახსენებს ქართული ხილის ჭიშებს: ქართული გულაბი, კიტრანა ვაშლი, თანგური, უინულა ვაშლები. იგი ჩვენამდე მოღწეულ დაავადებებზე და მათი გაკურნების წესებზეც მოგვითხრობს. მავ, შაკყო, წითელი ჩაერი, მქდომი, ყელის მოწევა. ეს დაავადებანი ჩვენი დროშიც გვხვდება, მაგრამ სულ სხვა სახელწოდებით და მკურნალობის სხვა საშუალებებით; მწერალი ქება-დიდებათ იხსენიებს ხალხურ წამლობებს: გავარვარებულ წინდის ჩხირს, გახურებულ მარილს, ცხელ ძმარს, ცხვრის შარდს, ჭოჭოხეთის ბალახის წვენს, შაბიამანს და სხვა.

რ. ინანიშვილის მონათბრობი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია მოზარდისათვის, მისი თვალსაწიერის გაფართოებისათვის.

# ნ ი კ მ მ ა რ ი

დაბადების მე-100 წლისთავის გავი

მსოფლიო მასშტაბით აღიარებული დიდი მეცნიერის ნიკო იაკობის ძე მარის (1863-1934) მოღვაწეობის რიგ მხარეთა მაღალ შეფასებაში ტენდენციურობა რომ არავინ დაგვწამოს, ვილაპარაკებთ სხვათა სიტყვებითაც და განსაკუთრებით მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მცოდნის, დიდი ქართველი პატრიოტის ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1933) სიტყვებით. რაკი ნარკვევი მწერალთა ორგანოში იბეჭდება, იმავე მარზე რიგ მწერალთა აზრებსაც მოვიხსენიებთ.

აკადემიკოს ნიკო მარის გამოკვლევები, — აღნიშნა ექვთიმე თაყაიშვილმა, — «ქვეყნუხედია ჩვენი ენის, ლიტერატურისა და საზოგადოლო წარსულის შესასწავლად» (1935 წ.).

ამ აზრს აღრმავებს ივ. ჭავჭავაძის გამოხატულებები: „ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთხანად იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. მანვე კავკასიის ხალხების კულტურა გააცნო მსოფლიოს და ამიტომ „ქართველთა და სომეხთა მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება“ (1937).

უბადლო ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა ქართულს, რუსულსა და ფრანგულ ენებზე 1900-1901 წლებში დაბეჭდა და პარიზში გამოაფენინა: „ქართველთა ნიკის გამოკვლევა ახალგაზრდა ნ. მარის, რომელსაც «რუსი სწავლულები აღმომავალ ვარსკვლავს ეძახიან“ (ტ. II, 1940, გვ. 323). მანვე უფრო ფართოდაც გაითქვა სახელი.

ნ. მარის ავტობიოგრაფიას, რომელიც ეჭრნალმა „ოგონიოკმა“ გამოაქვეყნა, წამძღვარებული აქვს რედაქციისაგან:

„მსოფლიო მეცნიერი ქართული ქობიდან“ (1927 წ. № 3).

აკად. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა: ნ. ი. მარის უდიდესი საბჭოთა ფილოლოგი, შეიძლება იგი ასეთივე იყოს მის თანამედროვე ფილოლოგებს შორისაცაო.

ეს იყო დიდ საბჭოეთში. საზღვარგარეთ კი პირველობას ფრანგ ენათმეცნიერის ანტუან მეი-

ეს (1866-1936) აკუთვნებდნენ, რომელმაც გრამატიკულად მართლაც ბევრი ენა იცოდა, იყო წარწერათა აკადემიის წევრი (1924), რიგი უცხოური აკადემიებისა და მათ შორის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1906), გამოსცა კრებული „Le langage du monde“ — „მსოფლიოს ენები“ (1924). როგორც მარი ჩვენში, ისე დასავლეთში მეიცი ითვლებოდა პრიმა ლინგვისტად, მაგრამ ერთი შემთხვევის გამო მარს პარიზშიც უწოდეს მსოფლიოს უდიდესი ენათმეცნიერი.

ნ. მარმა 1922 წლის მაისში პარიზში წაიკითხა ნაშრომი „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“ (ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 1925 წელს ჟურნ. „მნათობში“, № № 4, 5-6), აგრეთვე — სომხურ თემაზე გამოვიდა ლექციით არმენოლოგიის საკითხებზე, ფრანგულ ენაზე — ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე; ბონისა და ლაიფციგში კითხულობდა იგი ადრე და 1923 წელსაც ლექციებს გერმანულ ენაზე; რაღა თქმა უნდა, რუსულ ენაზეც უხდებოდა გამოსვლები.

ამ ლექციებს, სპეციალისტების გარდა, ესწრებოდნენ სხვადასხვაენოვანი, სამშობლოს მონატრებული ემიგრანტებიც. მარს შეკითხვებს ზოგიერთები თავიანთ ენებზეც აძლევდნენ. ლექტორი მათ იმავე ენებზე (ქართველებს — ქართულად, სომეხებს — სომხურად და ა. შ.) პასუხობდა.

ა. მეიცი გამოვიდა ლექციით არმენოლოგიის საკითხებზე, მასაც მისცეს შეკითხვები სომხურ ენაზე და მან ფრანგულად უპასუხა.

თქვეს: სომხური გრამატიკა იცის, თორემ ლაპარაკი არ შეძლება; მარი ყოფილა პირველი ენათმეცნიერი მსოფლიოში...

სხვაგვარ ფაქტსაც ვაჩიხსენებთ და ისევე მარისა და მეიეს შესახებ. ჩვენს მეცნიერს ლენინგრადში ჰყავდა თანამშრომელი პროფ. ს. ლ. ბიხოვსკაია. მან 1932 წელს ერთ-ერთ ლექციაზე უთხრა მარს: მეიე ძველი და ახალი სომხური ენის თავისებურებებზე თქვენს აზრებს იმეორებს და არ კი გიხსენებთო! ევახოსეს მარის მაშინველად ქართველ ასპირანტებს: სერგი ჭიქიას, შოთა ძიძიურს, ალექსანდრე ლლონტს, მიხეილ ჩხაიძეს, წინამდებარე სტრიქონების ავტორსა და სხვებს. რომ მარმა უპა-

სუხა: რა მნიშვნელობა აქვს ჩემს მოხსენებას, მთავარია აზრებმა გაიმარჯვოს; მეივე ავტორიტეტია ევროპაში და დღე, აღრმავოს ჩვენი აზრებიც, ნუ გვახსენებს, მაინც მადლობა გვეუქმის, რომ იგი საბჭოთა მიღწევების პოპულარიზაციასაც ეწვევა.

თვის მოწაფეებსა და დინტერესებულ პირებს მარი არა მარტო მესალებს, საკუთარ დაუბეჭდავ აზრებსაც კი უზიარებდა და ეუბნებოდა: დაამუშავეთ ეს საკითხი და დაბეჭდეთ... ესეც ფრიად დამახასიათებელი იყო მისთვის.

ამავე მეცნიერის კიდევ ერთი თავისებურება იყო ის, რომ ხშირად იცვლებდა აზრებს და საყვედურებმდენს: რომელი მარი ვიწამოთ... იგი პასუხობდა: ის რა მეცნიერია, ათეული წლების განმავლობაში რომ ერთსა და იმავეს იმეორებს სადაა აქ წინსვლა!..

მეცნიერის გარდა, მარი მხატვრული სიტყვის ოსტატი და ბოზოქარი საზოგადო მოღვაწე იყო. ლენინარსკის ზემოხსენებულ აზრს საეგზეთი რზიარებდა სახელგანთქმული მწერალი და საზოგადო მოღვაწე მაქსიმ გორკი. იგი ამბობდა: მარი დიდ მეცნიერს გარდა მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატიც არის. ამის დადასტურება მისი ფილოლოგიური ნაშრომები და განსაკუთრებით ძველ მწერლობათა ნიმუშების რუსული თარგმანებია... იხსენიებდა „ხანძელის ცხოვრების“ მარისეულ თარგმანს და „ავტორისავე სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის დღიურებს“.

ცნობილია, რომ ახალგაზრდა მარს ლექსებიც უწერია და დედნებიდან უთარგმნია: პუშკინის, ლერმონტოვის, ვიქტორ ჰიუგოს, ბაირონის, პანინის, პორაიუსის, ომარ ჰაიამის, პაფიზისა და სხვათა ქმნილებანი. ზოგი მათგანი მოუთავსებია კიდევ თავისსავე რედაქტორობით ქუთაისის არსებულ გიმნაზისტების უფრნალ „ბედში“.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარი მებრძოლი სულით ეხმარებოდა დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს. მაგალითად, როდესაც მეფე ალექსანდრე მეორე მოკლეს, აკაცი წერეთელმა მაშინვე — 1881 წლის 1 მარტს — დაწერა ლექსი „გაზაფხული“ („დღეს მერცხალი შემოფრინდა...“) და 3 მარტს ვაზ. „დროებაში“ მოათავსა. გიმნაზისტმა მარმა წაკითხვისთანავე — 5 მარტს — უპასუხა დიდ პოეტს და ხსენებულ უფრნ. „ბედში“ მოათავსა იგი, რომელიც შემდეგაც რამოდენიმეჯერ განმეორდა ი. გრიშაშვილისა და სხვების მიერ.

გიმნაზისტი მიმართავს პოეტს:  
„უცხო მერცხლის მოფრენაზე  
მესმა შენი ჩანგის უღერა!  
...  
მარტო ლექსით როგორ შევძლებთ  
ჩვენ წალკოტის აყვავებას!  
საქმე გვინდა, ერთად შევკრბეთ,

მოვრჩეთ ბარემ ამ ვაებას!  
ძილს მოვშორდეთ, ახლა დრო გვაქვს  
...  
საქართველო  
საზოგადოებრივი

ხელთ ავიღოთ იარაღი“.

ნ. მარს მოწინააღმდეგენიც ჰყავდა, ისევე, როგორც თითქმის ყველა დიდ მეცნიერს. ასეთები უფრო მეტად გამოვლინდნენ 1951 წლის ე. წ. ლინგვისტური დისკუსიის დროს..

ჩვენ აღრვევ და შემდეგაც დაბეჭდეთ: „დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასცივია“. ნ. მარს რამდენი სადავო და მიუღებელი აზრიც არ უნდა ჰქონდეს გამოთქმულა, მაინც უდიდესი ქართველოლოგია და წარჩინებული მეცნიერია. აჟად. ი. ორბელი წერს: მარმა რევოლუციამდელი რუსული აღმოსავლეთმცოდნეობა გააფართოვა და წინ წასწია რამდენიმე მიმართულებით, მით უფრო გამამდიდრა საბჭოთა ორიენტალისტიკა.

ფილოლოგებისა და ისტორიკოსების გარდა იმავე მარს დიდად აფასებდნენ ქართველი სახელოვანი მწერლებიც: აკაცი წერეთელი ამბობს: „ჩვენი... დიდებული წარსული“ საკუროგზს კვლევას, რის მაგალითი „ბ. აჟადმიკოსმა მარმა გვიჩვენა და მას სხვებაც მიჰყვენენ...“ დიდი ილია მარის მადლიერი იყო, როცა მეცნიერმა პეტერბურგშივე გაანადგურა ქართველი ერის განმაქიქრებელი დეკანოზი ვოსტოროვოვი (იხ. ჯურნ. „მაინე“, 1965, № 6. გვ. 294).

მარს განსაკუთრებით დიდად აფასებდნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვასილ ბარნოვი, დავით კლიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჭავჭავაძე, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვები.

გალაკტიონმა მას 1928 წელს თავისი ლექსების კრებული მიუძღვნა წარწერით: „მეცნიერების მუხას ნიკო მარს“.

კ. გამსახურდია წერდა: „ითუ შესამლოა ფილოლოგია გენოზის იუოს, ნიკო მარიც არის ასეთი...“ (ხაზი ჩვენია. ი. მ.).

გ. ლეონიძეც თქვა: მარის გარემე ქართველოლოგია და განსაკუთრებით ქართული მწერლობის ისტორია, ვერ იქნებოდა იმ დობეზე, რომელზეც ახლავ.

ჩვენი მოწინავე მწერლობის საერთო აზრი გამოთქვა პოეტმა ტიციან ტაბაძემ, რომელმაც 1936 წლის 15 აპრილით დათარიღებულ წერილში „ავტობიოგრაფიიდან“ აღნიშნა: „მე ვინმენი ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის ზოგიერთი პროფესორის ლექციებს, ვუხსენდი ნიკო მარს, რომელსაც დღემდე ვთვლი არა მარტო საუკეთესო ლინგვისტად, არამედ ქართული მეცნიერული ლიტერატურაშიცოდნეობის ფუძემდებლადაც“ (ხაზი ჩვენია. ი. მ.).

უფრნალ „მნათობის“ მესვეურებიც საყვედურად გზავნიდნენ ნ. მართან თანამშრომლებს, რათა მას უფრნალში ეთანამშრომლა. რედა-

ქტორმა ვ. ბახტაქემ 1924 წელს გაიგო, რომ ნ. მარის გურიაშია. ვაგზავნა ქურნალის მდივანი მოსე გოგიბერიძე და ამის შედეგად დაიბეჭდა „მნათობში“ ზემოხსენებული „ქართველი ერის კულტურული შუბლი...“ და „ნაპერ-წყლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ“. (1924 წ. № 5).

5. მარის სახელისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება, რაც ამას წინათ ერთ-ერთ ქურნალში გამოვლინდა, რაღა თქმა უნდა, სწორი არაა...

6. მარის უნივერსიტეტის დამთავრებამდე უცხოეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა. ეს მას ზოგიერთ პრივილეგიას აძლევდა და გიმნაზიაში დილის ლოკიდანაც ანთავისუფლებდა: მან რომ უნივერსიტეტი დაამთავრა და ჰკითხეს: ეროვნებაო? პასპორტში „ეროვნებით ქართველი“ ჩააწერინა. ასევე ეწერნენ მისივე ვაჟები ვლადიმერი და სახელგანთქმული ირანისტი იური (გიორგი) მარი და ამისი ვაჟი ნიკოლოზი (კოლია) მარი.

7. თაყაიშვილი წერს: ნიკო მარის მამა იაკობი, თუნდაც ბუმბერაზი მეციხიერის მამა არ იყოს, მისწვნილვანია საქართველოს მეურნეობის ინსტრუქციას. ჩვენც მის ვინაობაზე შეეჩერდებით. მით უფრო, რომ კაცი თუ სხვა ერის ისტორიაში რაიმე ახლის შემქმნელია, მის წარმომავლობას სპეციალურად ირკვევენ.

იაკობ მარი პატრიკის ძე ყოფილა. იგი მონტალდაც იხსენიება. დაახლოებით 1779 წელს დაბადებულია, გარდაიცვალა 1874 წლის 25 მარტს ოზურგეთში და დაუკრძალავთ ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაიხებს, სადაც მას კარ-მიდამო ჰქონდა (გაზ. „დროება“ 1874 წ. 3 მაისი, № 421, გვ. 2).

ნ. მარის ავტობიოგრაფიაში წერს: „მამაჩემი მოხუცი შოტლანდიელი იყო, დედა — ახალგაზრდა გურული ქალი...“

ხშირად გაისმის შეკითხვა: იაკობ მარი საიდან მოხვდა საქართველოში?!

როგორც ეს ნიკო მარის შვილიშვილის კაეის ინფინერ-ტექნოლოგის იური მარის ჩარეებითა და ინგლისიდან მიღებული ცნობებით დადგინდა, გვარი მარი 1012 წლიდან გრაფად და XIII საუკუნიდან ბარონად იხსენიება შოტლანდიის ისტორიაში. საქართველოში მოსულ იაკობ მარს არც ერთი ეს წოდება არ გააჩნდა, მაგრამ მიანც კეთილშობილის შვილად იხსენიებს თავს.

ოჯახის გაყოფისას საქართველოში უფროსი ვაჟი გადიოდა ოჯახიდან და მას საუფროსოს აძლევდნენ, როგორც ოჯახზე უფრო ამადარს, ვიდრე იყო უმცროსი ან უმცროსები და მამისეულ მკურნალ ნაწილზე სახლდებოდა. მშობლები უმცროს შვილთან რჩებოდნენ. ევროპის მათორატის სისტემის ქვეყნებში კი, რათა მიწები

არ დანაწილებულიყო, ოჯახი უფროს შველს რჩებოდა, უმცროსს ან უმცროსებს წილისხდა რებულებას აძლევდნენ.

იაკობი უმცროსი ყოფილა. მიუღია უმაღლესი საბუნებისმეტყველო და საისტორიო განათლება, მას ბოტანიკა აინტერესებდა. ოჯახიდან თავისი წილის ფასი ფულად რგებია, საშობლოდან წასულა და ესპანეთში იქაური ქალი შეურთავს, სახელად ფაქუნდა (ანტონიო), რომელთანაც მარს ასული შესძენია. ეს ის მადამ ფაბრი (ფაბრი) არის, რომელსაც გვიან თბილისში უცხო ენების პანსიონატი ჰქონდა, 1871 წელს პარიზში გადასახლდა, იქ იგი ნახევარძმა ნიკო მარს უნახავს და საქართველოს ვერ იეიწყებოდა.

კოლ-ქმარ იაკობსა და ფაქუნდას საფრანგეთშიც ჰყოლიათ ნათესავეები. იქ წასვლას რომ გეგმავდნენ, გაუგიათ, რომ უცხოელები ოდესა-ყირიმ-კავკასიაში სავაჭრო ბუისიდან არიან თავისუფალნი და ისინი ოდესაში მოსულან. აქ მათ ვაჟი შესძენიათ, რომელსაც ივანე უწოდეს. ქვე იაკობი ესპანეთიდან შემოტანილ ბოსტნეულთა თესლებსა და კულტურულ მცენარეთა ნერგებს ყიდდა. შემდეგ ოჯახი ყირიმში გადმოსახლებულა. იქაც იმავე საქმიანობას ეწეოდა; ივანეს ოფიცრის წოდება მიუღია და რუსის ქალი შეურთავს. ამიტომ წერს ნ. მარი: „მამის ნათესავეების მხრივ იყვნენ ფრანგებიც, რუსებიცა და ესპანელებიც“.

იაკობს ყირიმში გაუგია, რომ თბილისში უფრო ხელსაყრელია ხსენებული თესლ-ნერგებით ვაჭრობა და აქ გადმოსახლებულა. 1822 წელს იგი სპარსეთიდან შემოტანილ ზამბის თესლის, თუთის ხის ჯიშსა და აბრეშუმის ჭიის თესლსაც ავრცელებს, მანამ გენერალ ველიანოვის დროს მისთვის ცალბოთი ვაჭრობა აუკრძალავთ, წესდებით მხოლოდ ბითუმად ვაჭრობის ნება გაქვთო, — უთქვამთ მისთვის.

გურია ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის მმართველობაში შესული. იაკობი კოლ-შვილით მამია გურიელთან მისულა და იგი მეურნეობის გაფართოების გეგმებით დაუინტერესებია. მართლაც მას აქ ზეთისხილის, მავნოლიის, „პროპის“ ხის და სხვა ასეთი ჯიშები გაუზარებია, ოდესიდან „იზაბელა“ გადმოუწერავს და ამიტომ ამ ვახსითვის ადგის შეურქმევიათ.

იაკობს გურიაში ადგილობრივი ყურძნის ჯიშების ღვინის ევროპულ წესზე დაყენება და მისი საზღვარგარეთულ ფართლებზე გაცვლაც უცდია. მასვე ოზურგეთში გურიელის მიწებზე და გორა-ბერეჟოულში ერისთავის მამულში (ახლა რომ ჩოხატაურის მახლობლად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, იქ) ბაღები და ჩაის ბუჩქებიც გაუზარებია. ნ. მარი ავტობიოგრაფიაში წერს: „მამაჩემმა პირველმა მოახდინა ილბლანის ცდა ჩაის ბუჩქის დარგვისა გურიაში“.

იაკობს მახრის ჩოხატაურის უბნის სოფელ

დაბლაციხეს (საყვავისტყე) თავის მეურნეობაც გაუჩაღებია, მაგრამ 1841 წელს გურიის აჯანყების დროს დაზარალებულა; პირადად მას იქ აღარ ეცხოვრებოდა და ქუთაისის ე. წ. ფერმის ბაღში მოწყობილა. ფაქუნდა დაბლაციხეში დარჩენილა. იქვე, მეორე ოჯახად ივანე მარი ცხოვრობდა, რომლის მოდგმა ახლანდელი ქართველი მარები არიან და მათ შორის — ცნობილი მთავრული კაჯო (ივანე) მარიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფისნაცვლად კავკასიაში 1844 წელს დაინიშნა მ. ს. ვორონცოვი (1782-1856), რომელსაც ი. მარი ბრძანებითიდანვე იცნობდა. ვორონცოვის მხარდაქმნით იაკობმა დიდი საქმეები გააკეთა და ავღღრუთ საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დარგველი. აკლიმატიზაციითა და ვაჭრელებით, აგრეთვე — აგრონომიული კადრების აღზრდით. მთლიანად ამ მოღვაწეობით მან სათანადო ჯილდოებიც დაიმსახურა.

ფაქუნდა სამოციანი წლების ბოლოს გარდაიცვალა. იაკობს გურული ქალი აღათი მალულარია ( დელითა — შარაშიძე) შეურთავს, რომელიც ქმარს ღროებით ქუთაისში წაუყვავია.

ამიტომ წერს ნ. მარი „ავტობიოგრაფიაში“: „მე დაიბადე ქალაქ ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, აგრეთვე წოდებულ ფერმაში, სადაც მამაჩემი ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლას. აქ მამაჩემის შიერ იყო აშენებული დიდი ბაღი სუბტროპიკული ფლორის ნიმუშებიდან. აქვე იყო მაგნოლიების ტყე“.

მალე გადავსახლდით — ვანაგრობს ავტორი. — ქალ. ოზურგეთში, გურიელის ოჯახში, სადაც „მე მაგონდება შეხვედრები, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსულ მსახიობებთან და პოეტებთან. აგრეთვე ურთიერთობა მოსამსახურეებთან — მეჭინბეებთან და მემომინოებთან (ბაზიერებთან), რომელნიც ყოველთვის გარშემოხვეულნი იყვნენ მწვერებით და მეფებრებით. აქვე, ეზოში იმყოფებოდნენ ოსმალო ბავშვები და მათი მშობლები, უფრო ხშირად დედები, დაქვრივნი, „აკორდონზე“ (საზღვარზე თურქეთთან). მთელ დროს ვატარებდი ბურთაობაში და სირბილში, რაშიდაც ტოლი არ მყავდა. საღამოობით ქალიშვილი ქართულ სოფლიდან მიამობდა სულ ახალ-ახალ ქართულ ზღაპრებს, რომელნიც ჰგავდნენ შეხებრახადეს ზღაპრებს“.

ჩემს თამაშობაზე დაკვირვებების შემდეგ, — ლაპარაკობს ნიკო, — „მამაჩემისგან მე მივიღე ერთადერთი დალოცვა: არაფერი საქერიო შენგან არ გამოვა...“ დედა კი პირიქით, — ჩემში „ხედავდა ყოველივეს, რაც მას მიანდა იღვალურად“.

მამამ, — ვანაგრობს ნიკო, — ინგლისური

და ფრანგული ენები იცოდა. დედამ კი — ქართული და დამტკრებული რუსული, რამაც ვისებური გავლენა მოახდინა ჩემს ლექსიკონზე. მაგრამ საზოგადოდ მე მიმანია მშობლიურ ენად ქართული, უფრო კი გურული კილო. პირველი წერა-კითხვა მე ვისწავლე ქართულ ენაზე. შემდეგ მამა მასწავლიდა ფრანგულ ენას ქართული ასობით...“

ოზურგეთის საქალაქო (შემდეგ გადაკეთდა სამაზროდ) სასწავლებელში ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი თანაკლასელები აღმოჩნდნენ; მათი უბადლო მეგობრობა გაგრძელდა მათი ცხოვრების მთელ მანძილზე.

ნ. მარი წერს: „რვა წლის ვიყავი, როცა მანა გარდაემეცვალა. იგი დაასაუღავეს დიდი ამბით...“

მარი იხსენებს: „დედამ რომ ჩემი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პანსიონატში მოთავსება მოახერხა, ეს იყო პატივისცემა მამაჩემის ხსოვნისადმი“.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მარამ სახელი გაითქვა ცოცხალი და მკვდარი ენების შესწავლის ნიჭით. ქართული და რუსული ენის ცოდნის გარდა, გიმნაზიაში მარი სწავლობდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ბერძნულ და ლათინურ ენებს. კითხულობდა ამ ენებზე, როგორც ზემოთ ითქვა, თარგმნიდა კლასიკოსების ლექსებს, რედაქტირობდა გიმნაზისტთა ეურნალ „ბედს“.

ავტობიოგრაფიაში მარი, აღმოსავლეთის ფაქულტეტის სტუდენტი, ერთდროულად მეცადინებდა ოთხ განყოფილებაზე — არაბულ-სპარსულ-თურქულ-თათრულზე, არაბულ-კერატულ-სირიულზე, ქართულ-სომხურსა და სასწავლებელ-სპარსულზე. აქ იგი უწყაჩინებულეს სტუდენტად ითვლებოდა.

მეცნიერი მარის თავისებურება ისიც იყო, რომ იგი არა მხოლოდ წიგნის, ხელნაწერების ენას, არამედ ცოცხალ ენებსა და მის კილოებსაც ეტანებოდა, რასაც ბევრი ენათმეცნიერი გაუბრბდა, უფრო იკვლევდნენ კლასიკურ ენებს. ამიტომ იყო, რომ მარამ შეისწავლა ლაზური (ქანური) ენა და სათანადო გრამატიკა და ლაზების შესახებვე უმნიშვნელოვანესი ენოგრაფიული ნაშრომები გამოსცა (1910-1911 წ.). აგრეთვე შეისწავლა უმწერლობო სევანური, შემდეგ — აფხაზური (1912-1928 წლებში 10-ჯერ იყო აფხაზეთში), 1917 წლიდან კი დღესტურ ენებსაც დაეწეოდა 1920 წლიდან კი მასკურ ენას სწავლობდა, იკვლევდა ვოლგისპირეთის ჩუყაშებისა და მარიელების ენებს, იმოგზაურა ევროპის, აზიის და აფრიკის ძველ სამწერლობო ცენტრებში.

ადრინდელ მოგზაურობებში, ანისში ჩატარებულ 16 არქეოლოგიურ გათხარასა და საქართველოში მოგზაურობების რომ იოვი დაენებოთ, 1894 წელს მარი მივლინებული იყო დასავლეთ



ევროპაში აღმოსავლური ფილოლოგიის შესწავლის დონის გასაცნობად. მაშინ იგი სტრასბურგის უნივერსიტეტში ისმენდა სემესტრის განმავლობაში ცნობილი ვილდენბანდის კურსს ძველ სპარსულ და ბერძნული ენის შედარებით გრამატიკაში, ნოლდეკეს კურსს სირიულსა და სპარსულ-შაანამეს ენაში. 1896 წ. ზაფხული მარმა გაატარა ვენაში, რომა და ვენეციაში, ინსბრუკში, სადაც სწავლობდა შუასაუკუნეების მოთხრობებსა და არაყებს და გამოსცა სომეხი ვარდანის იგავ-არაყების სამტომიანი ნაშრომი. 1898 წ. იგივე იყო ათონის მთაზე, 1902 წ. სინასა და პალესტინაში, სადაც აღწერა და იკვლია ძველი ქართული ხელნაწერები. 1904 წელს მუშაობდა ე. წ. თურქეთის საქართველოში, შაეშეთსა და კლარჯეთში, შეისწავლა ხანძთელის სამოღვაწეო ადგილები, იქაური ქართველი მოსახლეობა, მათი ეთნოგრაფია და მეტყველება, უბაღლოდ გამოსცა მერჯულეს მიერ დაწერილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ საკუთარი თარგმანითურთ.

გავრცელებულია აზრი, რომ მარმა ბებერი ენა იცნობდა განსაკუთრებით ეკეკსიურთ ენეზიო. მან კი ამისა და თავის მუშაობის სტილის თაობაზე აღნიშნა, რომ იგი არაა კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი. „სრულიად ზღაპარია, — ლაპარაკობს მარი, „ავტობიოგრაფიაში“ — თითქოს მე ზედმიწევნით ვიცოდე ყველა კეკსიურთ ენა, მეორე მხრივ, ზღაპარი კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი სინამდვილეა ის, რომ ყველა ჩემი შემოქმედებითი ენათმცოდნეობითი იდეები შედგეია არა კაბინეტში მუშაობისა, არამედ ჩნდებოდნენ უშუალო კავშირში ბუნებდსთან და აღმანიებთან ქუჩებში, მოედებზე, უდაბნოებში და ზღეებზე, მთებში და ტბაბდებში მდინარეებთან და წყაროებთან, ცხენზე და ვაგონში, ყველგან, მხოლოდ არა კაბინეტში“ (შტრ. კურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 6-7, გვ. 208-209)

ამას წერს კაცი, რომელმაც კაბინეტში დამუშავა უამრავი ხელნაწერი და გამოსცა მკვლად და ცოცხალ ენებზე არსებული მრავალი ნაწერი. ზემონათქვამით იგი ხაზს უსვამს ცოცხალ გარემოში შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებლობასა და ნაყოფიერებას

ცნობილი სინოლოგი (ჩინეთმცოდნე), აკადემიკოსი ვ. მ. აღექსევი, რომელიც მარის ენათმეცნიერულ თეორიას არ იზიარებდა, მაგრამ წლების განმავლობაში ეტოვდა მუშაობდნენ და მას კარგად იცნობდა, ჩვენი მეცნიერის შედარებით სრულ დახასიათებას ახერხებს. იგი წერს: „მარი იყო ბუნებით ნოვატორი, რეფორმატორი, რევოლუციონერი“ (იხ. მისი წიგნი „Наука о Востоке“, მოსკოვი, 1982 წ., გვ. 39).

„მარმა არამც თუ თავისი უშუალო სუკეიანობის დარგებში, არამედ მთავან დაშორებულ

სინოლოგიაშიც კი სიახლეები შეიტანა და მომხრეები გაიჩინა“ (იგივე, გვ. 30).

თავის დარგებში ხომ მარმა აღზარდა უდიდესი მეცნიერები: ისტორიკოსები ჯავახიშვილი და აღონცი, ენათმეცნიერები მეშახინოვი, შანიძე, ყიფშიძე, ხელოვნებამცოდნეები ჩუბინაშვილი, ორბელი და სხვები.

„მარი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორი, — აღნიშნავს აღექსევი, — კოლეგებს შორის იყო გამოწაკლისი“, მის „ერთ დღეს შეედლო გაეკეთებინა ის, რისთვისაც სხვას წეიწიწად დასჭირდებოდა“.

„მარი იყო ბრწყინვალე თანამესაუბრე, სუფრის კაცი, შეუდარებელი თამადა, დაუსრულებელი შეედლო ელაპარაკე ექსპრომტად...“

აღექსევი ასკვნის: ეს იშვიათი ადამიანი „პირად ცხოვრებაში იყო ფრიად მოკრძალებული, არ იცოდა განცხრობა, იყო მტერი კომფორტის, მუშაობდა ყოველგვარ პირობებში, ცივ ვაგონშიც კი სანთით ხელში... არასდროს არ აქცევდა ყურადღებას არც დასვენებას, არც გართობას... და დაიღუპა გადადილიობით“ (გვ. 42-43).

ასევე დიდად აფასებს მარის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს იე. ჯავახიშვილი: „ვეფხისტყაოსნის“ გენიოსი ავტორის, — ლაპარაკობს ჯავახიშვილი, — „შლოდმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენიერად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნიკო მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთველის მნიშვნელობის წინანდელი ეფორა, მხოლოდ საქართველოში შემოფარგლული, საზღვრები გადალახა და ცხადყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვად ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიეკუთვნოს“ (ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1956, გვ. 10).

ასევე აღიარებულია მარის ნაშრომები ქართველ მეზობლებზე.

ისევე თეაიშვილს ეუბრუნდებით. იგი ლაპარაკობს: ნ. მარის პირველივე წერილი ქართული ენის შესახებ („ივერია“, 1888, № 86) შეიცავს დებულებას, რომლის დამტკიცებისათვის საჭირო იყო:

1. ძველი ქართული სამწერლობო ტექსტების გამოკემა.
  2. ცოცხალი ქართული ენისა და კილოკეკილოების საფუძვლიანი შესწავლა.
  3. აბობოქრებული მუშაობა.
- მიუხედავად იმისა, რომ აღ. ცაგარელმა ხელი შეუშალა და მარი იძულებული იყო ახალგაზრდული ენერჯის 10 წელი სომხური ფი-

ლოლოგიისათვის მოხმარა. ბოლოს და ბოლოს ზემოაღნიშნული საქმეებიც შეასრულა.

ნ. მარის ქართველოლოგიურ უდიდეს დამასხურებად ექვთიმე სამწერლო ძეგლების გამოცემას თვლის.

ნ. მარის გამოცემული ტექსტები თაყაიშვილის აზრით „სამაგალითოდ ჩაითვაა ჩვენს ლიტერატურაში თავისი სისწორით, კრიტიკულის გარჩევით და ყოველგვარი სამეცნიერო აპარატით, განმარტებებით და შენაშენებით“.

ნ. მარის სერიებიდან საქვეყნოდ აღიარებულია:

1. ტექსტები და ძიებანი (13 წიგნიდან 11 მარს ეკუთვნის),

2. იაფეტური (ქართველური) ენების მასალები (13 წიგნიდან 6 მარს ეკუთვნის),

3. უფრნალი „ქრისტიანული აღმოსავლეთი“ (6 ტომი 18 წიგნად,

4. ანისის სიძველეები,

5. „ბიბლიოთეკა არმენო-გეორგიკა“ (5 წიგნი) და სხვა. მათ ჩვენში და საზღვარგარეთაც ყველანი უყოყმანოდ იყენებენ.

ფასდღებდელია მარის მიერ შეფეთ-კლარჯეთში ჩატარებული მუშაობა (იხ. ცნობილი დღიურები). ამას მიუმატეთ. — ამბობს ექვთიმე, — მარისავე ათონზე, სინასა და იერუსალიმში აღწერილი და შესწავლილი ხელნაწერები, და ამ მეცნიერს ტოლს ვერ უპოვითო. სამაგალითო გამოცემები: — „სახის მეტყველება“ (1904), „იპოლიტეს თარგმანება კებათა კება“ „იერუსალიმის წარტყვევა სპარსთა მიერ 614 წელს ანტიოქოს სტრატეგოსისა“ (1907-1909), თქმულება ეკლესიის აშენებისა ლუდის ქალაქში (1901 წ.), „ვეფხისტყაოსანი“ (1910), უფრო ადრინდელი „თამარისანი“ (აბდულ მესის და დავით აღმაშენებლის კება, (1901) და სხვა.

ენათმეცნიერული ნაშრომებიდან, — ამბობს იგივე თაყაიშვილი, — ისეთი მეცნიერებუც კი, რომლებიც ნ. მარის თეორიას არ იზიარებენ, მის დაქტებს სანდოდ თვლიან და ისევე უყოყმანოდ ეყრდნობიანო.

გრამატიკა ქვეყთხდელია ყოველი ენის შესწავლისათვის. ნ. მარის თაოსნობით არის დაწყებული მთიელთა ქართული კილოკავების შესწავლა პროფ. შანიძის მიერ, ხოლო მარმა თვითონ შესწავლა ჰინური (ლაზური), მისივე ხელმძღვანელობით დაიწერა და გამოიცა მეგრული გრამატიკა (ი. ყიფშიძისა), სვანური, აფხაზური და სხვა მასალები.

ძველი ქართული ენის გრამატიკის რუსულ (1924) და ფრანგულ ენებზე (პარიზი, 1924, 860 გვ.) გამოცემებით, — ლაპარაკობს ე. თაყაიშვილი — ნ. მარმა ბალავარი დაუდო სხვებს ეს ენა შეესწავლათ და ეცვლიათ; მ. ბრიერი ჩემთან ერთად ასწორებდა პარიზშივე ამ გრამატიკის კორექტურებს, ისე მას გაუჭირდებოდა გამოცემად კიო...

დიდი აღმოჩენები ეკუთვნის ნ. მარს 1892

1917 წლებს შორის 16-ჯერ ანისის არქეოლოგიური შესწავლისას; იქვე აღმოაჩინა მან მხმელეთის კათალიკოსის 1218 წლის უდიდესი ქართული წარწერა (მთელი კედელი ეკრა: იხ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, 1, თბ., 1967 გვ. 48-78. იქვე — ლიტერატურა).

თაყაიშვილი დასძენს: სამწუხაროდ, აუარებელი მასალა „ანისის ქალაქის გათხრისა, შედეგი 15 წლის მუშაობისა, როგორც იყო დღიურები გათხრებისა, ფოტოგრაფიები ძეგლებისა და წარწერებისა, ნახატები და ნახაზები და სხვა, გამოგზავნილი პეტროგრადიდან თბილისში არქეოლოგიურ ინსტიტუტში რევოლუციის დროს, სულ ერთიანად დაიღუპა გზაში.“

დ. გორდეევმა და ლორის კალანტარამ გამოიტანეს ანისიდან ზოგი ნივთი, სანამ ანისის თურქები დაიქტრდნენ. დღიურებითა და აღრევე ანისის გათხრების შესახებ მისი და მისი მოწაფეებით მიერ გამოქვეყნებული 12 წიგნის მიხედვით მარმა მიიწე შეძლო კაპიტალური წიგნის გამოცემა.

ექვთიმე აქვე წერს ხალდეველების სარდურ მეორე მეფის წარწერის აღმოჩენასა და კავკასიის ძველ ეპოქათა შესწავლაში ნ. მარის დამსახურებაზე.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ მარის როლზე საქართველოს ისტორიის შესწავლისა და ქართული ეროვნული პრესტიჟის დაცვის თაობაზე. ე. თაყაიშვილი ამბობდა: მარის ფილოლოგიური ნაშრომები ისტორიულიცაა იმავე დროს, მაგრამ მისი საკუთრივ ისტორიული ნაშრომები და განსაკუთრებით ნარკვევი თამარ მეფეზე (1905-6) მოდელია, რომლის მიხედვითაც ჩვენი ისტორიის წერა წარიმართა, მისივე დეკანოზ ვოსტოროვის წინააღმდეგ გამოსვლა (1906) ბეერი ჩვენი მტრისათვის იყო ჭკუის სასწავლიო. ამას რომ ნ. მარის კლასიკური ნაშრომები და პატარა წიგნიც გულის 1905 წლის მოძრაობაზე დაეუმატოთ, ყველასათვის ცხადი გახდება, რომ „პროფ. მარს უფრო ძლიერ უყვარს საქართველო და მისი წარსული, ვიდრე ბევრს ჩვენთაგანს“. (ტ. I. გვ. 420; ხაზი ჩვენი. ი. მ.).

ეროვნული მნიშვნელობის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად თვლიან ნ. მარის გამოსცემაში და ნაშრომებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე (1906).

ე. თაყაიშვილი შენიშნავს: „კრებას დაესწრნენ ჩვენი ეპისკოპოსები, ლეონიდი და კირიონი, მაგრამ ამთ ნაკლებად იცოდნენ ისტორია ჩვენი ეკლესიისა. მე თვითონ ლეონიდ ეპისკოპოსისაგან გამიგონია: „ჩვენ ორი ეპისკოპოსი ნ. მარმა შეგვისვა მხარზე და ისე გამოკვიყვინა განსაცდელისაგან და მტრების თვადახმისაგან“.

ხსენებული ავტოკეფალიის მაშინ დაიკვა აქ-



ტული იყო. გვაგონდება ე. თაყაიშვილის ნაბეჭდი საუბრები: დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოსა და პეტერბურგში მარის გამოსვლებმა. გვინდოდა ილია ჭავჭავაძე მიგვეგზავნა ვიორიონო-დაშკოთან; ილია ამბობდა: „მაგ თქვენი „კავადილისა...“ არა ვამბებდა რა და ვინმე სხვა გავზავნეთო.“ როგორც იქნა დავითანხმეთ, წაიკა და არაფერი გამოვიდა. „ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყობა და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წავგვედო ბიარალები და პლაკატები წარწერებით: „აღვადგინეთ ავტოკეფალია!“ და „სხვა წამოიჭრა საკითხი. ვინ უნდა გასჭლოდოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა, „თუ საჭიროა, მე წავიდვებითო“ (ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1968, გვ. 250-251).

მაშინ ვერაფერს მივალყვიეთ, — აღნიშნავდა ავტორი. — მაგრამ მარის მაშინდელი სიტყვები გამოიკა „ცერკოვნიე ვედომოსტ“-ებში (1907 № 2,6), და ილია მათ სიამოვნებით კითხულობდა და იწონებდაო.

ე. თაყაიშვილი მარის 600-მდე გამოქვეყნებულ ნაშრომებს იცნობდა (რაც გამოუქვეყნებელსაც, რომლებიც ნ. მარის არქივშია დაცული). ყოველ მათგანს ველარ შევებებით ვიტყვით მხოლოდ ნ. მარის მუშაობის სტილზე, რომელიც ალ. მარის სიტყვებით, ე. თაყაიშვილის ჩანაწერებმა შემოგვინახეს.

ნ. მარი მუდამ მოუცლელი იყო და თავის მოწაფეებსაც თავალებლივ ამუშავებდაო. მაგალითისათვის ექვთიმე იოსებ ორბელს იხსენიებს. იგი მარმა მორიგ მივლინებებში გაგზავნა სომეხეთში. მოწაფემ მასწავლებელს აცნობა როგორ იმუშავა და სხვა. „ბოლოს თავის წერილში მორიგდებით დ მორცხვად ამცნო ცილის შერთვა.“ Я кстати, женился.. მარმა უპასუხა: მე სამეცნიერო მიზნით გაგვზავნე, შენ სიყვარულის საქმეში ჩაბმულხარ.“ Это совсем не кстати! ეს ხომ ხელს გიშლის მუშაობაშიო (ე. თაყაიშვილის არქივი, 696, ფ. 17-10).

ე. თაყაიშვილი მარის მუსიკალურ ნიჭზეც ლაპარაკობს: კარგი ხმა ჰქონდა; კლარინეტზეც უკრავდა და მონაწილეობდა გიმნაზიის ორკესტრში ღირებულო სტოიანოვთან ერთადო. „ერთხელ მარმა თავის რაღაც მელოდია შეთხზა, დაასწავლა ორკესტრს და მუსიკით შეხვდა სტოიანოვს, როცა ის გიმნაზიაში მოვიდა აღდგომის მოსალოცავად.“

როგორც სიმღერებში, ისე შემოხსენებულ ლექსებსა და მით უფრო სამეცნიერო ნაშრომებში, — ლაპარაკობს ექვთიმე, — მარი

1 ეს ნაშრომები ახლაც ინტერესით იკითხება. მათი ქსეროასლები გადავეციტ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს; მან ისინი ფრიალ სასარგებლოდ აღიარა.

პართველი პატრიოტობის ნიმუშიცააო, შემდეგაც თუმცა „მარი ზმირად უციენენს მარტველ მეცნიერებს ნაციონალურ მიმართულებას ნაცვლად მეცნიერული მიმართულებისა“, მაგრამო, — განაგრძობს ავტორი, — მარის „ზოგიერთი შრომები უფრო ბევრ საბაბს აღუვს უცხოელებს მას დასწამონ არა თუ გადამეტებული ნაციონალური მიმართულება, არამედ ქართული ენისა და ქართული კულტურის შოინისტიდაც დასახონ.“ ე. თაყაიშვილი ასკენის: ქართული ენისა და ქართული კულტურის მაროით გამაღმერთებელი ჭერი არავინ გამოსჩენია. საქმარისია აქ ვუჩვენეთ მისი ორი შრომა: „რატომ უნდა ვისწავლოთ ჩვენ ქართული ენა“ და სტატია შემოხსენებული „ქართული ენის კულტურული შუბლი...“ ერთშიც და მეორეშიც ქართული ენა და ქართული კულტურა ცაში აყავს ავტორის და ერთიც და მეორეც ქართული ენის და კულტურის უაღრესი ჰიმნია. ენის შესახებ მას მეტოქე X საუკუნეში ჰყავდა; ეს იყო ცნობილი შესანიშნავი სინას მთის მოღვაწე, იოანე ზოსიმე“. ის მას „ქართული ენის სიყვარულით მოდიოდა. ნ. მარი ამას, სიყვარულთან ერთად, ღრმა მეცნიერული ფაქტებით ასაბუთებს“ (იხ. ავტორის არქივის აღწერილობა გვ. 129, № 1129, არქ. ფ. 697, ფურც. 13).

ექვთიმე თაყაიშვილი ნეკროლოგში იური მარზე (არქივი, № 242) ისევ ნ. მარზე ლაპარაკობს. ექვთიმე საფრანგეთშიც საქმის კურსშია, თუ რა ხლებოდა საქართველოში. ამის ერთ-ერთი მაგალითი ისიც არის, რომ ხსენებულ ნეკროლოგზე ექვთიმეს დაკრული აქვს სხვათა ნეკროლოგი ი. მარზევე „ზარია ვოსტოკადან“. მას ხელს აწერენ პროფესორები: ივ. ბერიტაშვილი, ა. თვალერგოიძე, ე. კუპრაძე, დოცენტები: ნ. კეცხოველი, ევ. ხარაძე და სხვები. ექვთიმეს ისიც კი აქვს აღნიშნული, რომ ი. მარის დაკრძალვას ირანის გენერალური კონსული პანახარი დაესწრო და გაინაწილა საქართველოს მწუხარება. ჩვენ მეცნიერი ამბობდა: მიუხედავად მუდამ მოუცლეობისა, ნიყო იურის მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა; იური ფრონტიდნ მოვიდა 1917 წელს ჩემთან; სანამ ნიკომ არ გაიგო, რომ იგი აქ იყო, ვერ შვილდებოდა თურმეო.

ნიყო მარი, როგორც დიდი მეცნიერი, გულმართალი მოქალაქე და ქართული კულტურის, განსაკუთრებით ქართული ენისა და მწერლობის პატრიოტი, ე. თაყაიშვილს შრავალგზის ჰყავს დახასიათებული, მაგრამ იგი მარის შემოქმედების იდეალიზაციას არ ეწეოდა რაც მეგობრის შრომებში სადავოდ ან მიუღებლად მოაჩნდა, მასზეც გულახდილად წერდა.

გავიხსენებთ ფაქტებს.

1. „ჭერი კიდევ სტუდენტობისას, — წერს ე. თაყაიშვილი, — შექმნა მარმა ერთი თავისი სველაზე აღრინდელი „სენსაციური“ თეორია.

ქართული ენა სემიტურ ენებს ენათესავება“ და „იერიასი დაბეჭდა (1888 წ. № 86). ეს წერილი მანვე გაცნო მისთვის უდაღეს ავტორიტეტს როზენს. მან კი უპასუხაო: ნაჩმახვიო, ეგ რომ აგრე იყოს, კავკასიიდან პეტერბურგში თქვენს ჩამოსვლას არავინ დაელოდებოდლო (ტ. I. გვ. 365-6).

ექვთიმე ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის ჰიპოთეზას არ ცნობდა.

2. ე. თაყაიშვილი არც იაფეტური თეორიის ზოგადენათმეცნიერულ თვალსაზრისს იზიარებდა. ამიტომ წერს იგი: ნ. მარსამ შეთანხმებულად მუშაობდნენ მისივე მოწაფეები, მაგრამ როდესაც „იაფეტურმა თეორიამ“ უკალურესი, ფანტასტიური ხასიათი მიიღო და იწყო დღითი-დღე ცვალებადობა, მის შემქმნელს ჩამოშორდნენ არათუ გარეშე, რუსი და ევროპელი მეცნიერები, არამედ მისივე უნიკერესი შეგირდებიც — ნ. აღონის, ივ. ჭავჭავიძეოლი და სხვები“. მართალია მათ შორის არ მომხდარა უკარა კონფლიქტი, მაგრამ გულცივობა კი თანდათან გაძლიერდა (ტ. I, გვ. 414).

3. 1923 წელს გამოვიდა ნ. მარის წიგნი „რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება“. იგი იწყებოდა სიტყვებით: „ერთბლივი კავკასია, ერთიანი ანბანი“...

ამან დიდი მოქმე-მოთქმა გამოიწვია; აქ ყველაზე უფრო უკომპრომისო წინააღმდეგობა ჩარს თაყაიშვილმა გაუწია, როცა მას იგი იმავე წელს შეხედა პარიზში.

4. ე. თაყაიშვილი ნ. მარს არა მხოლოდ ზოგად თეორიულ საკითხებში, არამედ რიგ კერძო საკითხებშიც არ ეთანხმებოდა. მაგალითად, იგი ამბობდა: არც ერთ კავკასიოლოგს იმდენი გენიალური ეტიმოლოგია არა აქვს, რამდენიც მარს, მაგრამ მასვე ფანტასტიური ეტიმოლოგიებიც აქვს, და უკანასკნელთ თაყაიშვილი არ იზიარებდა.

5. ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა: „ძალიან კარგი და მართებული წესია შემოღებული საბჭოთალიტერატურაში, რომ ადგილთა სახელწოდება რუსულადაც ისე იწერება, როგორც იმ ქვეყნის ენაზე. მაგალითად, Ишхани, Ошки, Пархали და არა Ишхан, Ошк, Пархал, როგორც უწინ წერდნენ რუსები და ვერძრით ჩვენც (ტ. I, გვ. 381).

ავტორი დასძენს: ნ. მარმა „გადააქარბა, ზაქართველოს ისტორიული პროვინციების რუსული დამწერლობა რომ შემოიღო: Кахиа, Кларджия, Шавшия, Месхия და სხვ. (იქვე, გვ. 381). ასევე არ იზიარებდა ე. თაყაიშვილი ქართული გვარ-სახელების მარისთვის თარგმანებს: რუსთაველი — Шота из Рустава, ხანძთელი — Хандзийский და ა. შ. იმეორებდა ქართულ ფორმებს.

ე. თაყაიშვილი გულახდილად აცხადებს: ნ. მარმა არა ერთგზის აღნიშნა შეცდომები ჩემ მიერ ძველი ტექსტების კითხვაში... მისი

შენიშვნები საკვებით სწორი იყო და ხელს უწყობდა ჩემი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას“. მეც ვაზუსტებდი, — ლაპარაკობს იგი — „ზოგ წაითხვებს მარის პუბლიკაციებში და თვითონ მეუბნებოდა: „დაწერე, ეგაო, მაგრამ მე არ ვწერდი“. ვეუბნებოდი კი, როცა თბილისში ჩამოვიდოდა და ჩემთან ჩამოიტბოლდნ ხოლმე“ (I, გვ. 310).

ზოგა მაგალითის მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სურათი აღნიშნულია ნათელია. შევნიშნავთ კი, რომ ზემოხსენებული მეორე სადავო საკითხის გამო ე. თაყაიშვილი უპაველად სწორი იყო, როცა წერდა: ჩვენთვის მთავარა არა იაფეტური თეორია, არამედ ის, რომ „დიდი და დაუფასებელია ღვაწლი ნ. მარისა ქართული და ქართულის მონათესავე ენების საფუძვლიან შესწავლაში, ასეთივეა (მისივე) ღვაწლი ძველების გამოცემაში, სომხური და საერთოდ კავკასიის კულტურის შესწავლაშიც.“

„ამა, ვისთვისაა საეჭვო, — ლაპარაკობს ექვთიმე, — რომ მარმა საუკეთესო, ყოველმხრივი და ნამდვილი მეცნიერული აღწერილობაც დაგვიტოვა „ხანძელის ცხოვრების“ გამოცემასთან დაკავშირებით. შესანიშნავი წიგნია და მაგის მეთი რომ არაფერი გავკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისათვის (მაგრამ რამდენი კიდევ სხვა ეპიკოლოგი, ისიც ვიპოვებ, რათა მუდამ მისი მადლიერი ეყოფილიყავით. მხოლოდ მარს შეეძლო ამ ძველის ისე გამოცემა, თან რომ იმერტელის და ოსმალური ზეპირსიტყვიერების თუ სხვა ტექსტებიც აქვს დართული“ (ტ. I გვ. 365 ხაზი ჩვენია ი. მ.).

ამს ეხმარებდა მის. წერტეული: მარის „მიერ გამოცემული ძველი ქართული ტექსტები მეცნიერების ბატონის ნამოქმედარია და მისი კრტიკული გამოცემა არა ჰგავს სხვა (ბროსე, ჩუბინაშვილი, ცაგარელი, დ. ბაქრაძე, მ. ჭანაშვილი, თ. ქორღანიან) ჩვენ ფილოლოგთა გამოცემებს „Bedi Kaxtlixa, ტ. XXXV, გვ. 333, პარიზი, 1977).

ე. თაყაიშვილის ზოგ სათანადო გამოცემასა და არქივში დაცულ უფრო ვრცელ დედნებში ვკითხულობ: მარმა „შემქნა მთელი სკოლა ქართულ-სომხური ისტორიისა და მწერლობის შესასწავლად, გაარკვია აუარებელი საკითხი... შემოიღო მეთოდები, წამოაყენა ახალი პრობლემები, ახალი საკითხები, გააშუქა წინამორბედთა ღირსებანი“.

„ნ. მარი შემქმნელია კავკასიისმცოდნეთა სკოლის“. იგი კავკასიას სწავლობს „ლინგვისტიკურად, ისტორიულად და კულტურულად“. ნ. მარი იყო პრიმა ქართველოლოგი და პრიმა არმენისტადვე თვლიდნენ მას მოწინააღმდეგე არმენისტებიც კი.

ჩემის მხრივ უნდა დავუმატო: საერთაშორისო სახელის მეცნიერი ნიკო მარი საქართველოს უბრწყინაუეს წვლილთაგანია მსოფლიო მეცნიერებაში.

# ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან

ქართული ხალხური ზეპირი შემოქმედების „მხატვრული მარაგის“ გამოვლენა-შეგროვებას, მეცნიერული სიზუსტით შესწავლას და ფართო სამსწავროზე გამოტანას ჩვენი ხაკმა-ოდ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რომელთაც საფუძველი ჭერ კიდევ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ჩაეყარა. ამ ნაბიჯიდანვე იწყება ქართული ფოლკლორისტიკის — ხალხური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინის „ბიოგრაფიაც“ იმთავითვე განისაზღვრა მისი ისეთი „ხტრატეგიული“ მიმართულებებიც, როგორც არის: ფოლკლორული მასალის მოპოვება, გარკვეული მეცნიერული მეთოდოლოგიის გამოყენება, მოპოვებული მასალის მხატვრულ-სთეტიკური ღირებულების განსაზღვრა და ადგილის მიჩნეა ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში და ქართული ფოლკლორის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების კვლევა.

ათქმის საუკუნენახევრიანი არსებობის მანძილზე ქართულმა ფოლკლორისტიკამ წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანებს. გამოვლენილი და კლასიფიცირებულია ხალხური ზეპირსიტყვიერების არა ერთი შედეგრი (შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება ინტენსიურად მუშაობს პროფის ოცდომიანი კორპუსის გამოსაცემად); გამოკვლეულია ხალხური ლექსის, პროზის თუ ზღაპრების როგორც სტრუქტურული, ისე მხატვრულ-სთეტიკური სისტემები, კვლიდა უაღლოესი მეთოდების გამოყენებით დამუშავებულია არა ერთი თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემა და დღის წესრიგში დგას რევოლუციონარული ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის საკითხი. ამ მხრივ უკვე გადაიდა პრაქტიკული ნაბიჯი — გამოცემლობა „მეცნიერება“ 1986 წელს გამოსცა თ. ჯავლიანიშვილის ისტორიოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“.

როგორც ავტორი შენიშნავს, „სადღესიოდ გამოწვლილებით არის შესწავლილი ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის ისტორია, გამოკვლეულია არა ერთი პრობლემა, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ქართული

ფოლკლორისტიკის სფეროშიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული ფოლკლორისტიკის, როგორც ზეპირსიტყვიერების შემსწავლელი მეცნიერების ისტორია საგანგებო მონოგრაფიული კვლევის ობიექტად ჭერ არ გადაქცეულა“. ავტორი მდიდარი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით ასახავს ქართული ფოლკლორისტიკის, როგორც ჩვენი ხალხის პოეტური ენერჯის „მაკომულირებელი“, ეროვნული თვითგამოხატვის ზეპირსიტყვიერი ისტორიის შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინის ფორმირების გზეზს, ცდილობს, დაადგინოს XIX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი.

ნაშრომში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ქართველ ფოლკლორისტთა თაობებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ხალხური მხატვრული აზროვნების ძეგლები არა მხოლოდ დაეცვათ და გადაერჩინათ დალუპისაგან, არამედ მათთვის „სამუზეუმო ღირებულება“ც, ჩვენი ყოფის, აზროვნებისათვის აუცილებელი ელემენტის „ხტატუსი“ მიენიჭებინათ. გამოკვლევის ავტორი საგანგებოდ გამოყოფს ყველა იმ მკვლევარს, რომელთა ნაშრომებმაც მკვიდრი საფუძველი შეუქმნეს ქართულ ფოლკლორისტულ მეცნიერებას.

„ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“ უკვე არსებული სამეცნიერო ტრადიციის გათვალისწინებითა და ახლად გამოვლენილ მასალებზე დაყრდნობით ახლებურად აშუქებს ბევრ ცნობილ ფაქტს, კერძოდ კორექტირებულია ქართული ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული აზრი აკ. წერეთლის ფოლკლორისტულ კვლევებში სესხების თეორიისადმი მწერლის „ერთგული“ დამოკიდებულების შესახებ. მკვლევარის აზრით, „ჩვენი პოეტი უფრო ნასესხობის იმ კონცეფციას ემყარება, რომელიც რუსულ სინამდვილეში ა. ვენილოვსკის, ვ. მილერის და სხვათა შრომებში გამოიკვეთა და რაც ფაქტურად თ. ბენფეის თეორიის რუსულ სახესხვაობაში გადაიზარდა. ვს. მილერის დებულება კი, გამსესხებელი რეგიონის (სპარსეთი ნაცვლად ინდოეთისა), შუალედური არეალისა (კავკასია, კერძოდ კი საქართველო ნაცვლად ხმელთაშუა ზღვისა ან იტალიისა და ბალკანეთისა) და მსესხებელი რე-

გიონის (რუსეთი, ნაცვლად დასავლეთ ევროპისა) შეხატებ თვით დასავლეთევროპულმა ფოლკლორისტიკებმა თ. ბენფეის კონცეფციის მნიშვნელოვან კორექტივად აღიარეს.

ქართულ ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული აზრის თანახმად ამირანის მითის პირველ შემსწავლელებად თეიმურაზ ბაგრატიონი და ივანე ციციკარაშვილი გვევლინებიან, მაშინ, როცა, მკვლევარის აზრით, ისინი თავიანთი შიინშვებით მხოლოდ ამ პრობლემის (ამირანის მითის ვენეზია, მინი ინტიმპრობატაცია და სხვა) პირველწამოშრელები არიან.

კვლევის სიმძიმის ცენტრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაორმაგებულია“. ა) რას ეძებოდნენ გასული საუკუნის ფოლკლორისტული გამოკვლევები და როგორ ემხარებოდნენ იმნი ჩვენი ერის ისტორიის ამ მომენტის უმთავრეს ამოცანას — ერთვულ-განმავალ-უფლებელ მოძრაობას და ბ) როგორ „ეთანაუზდებოდა“ XIX საუკუნის ქართული ფოლკლორისტული აზრი გავრცელებულ ფოლკლორისტულ თეორიებს.

მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მე-18 საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და ძირითად საკვლევი-მეცნიერო მჭამართლებებს განსაზღვრავდნენ როგორც ევროპული და რუსული ფოლკლორისტიკის მეცნიერული ტრადიციები, ისე უახლესი მონაპოვრები. რაც განსაკუთრებით ზუსტად აღიწერა, და ამ გარემოებაზე ავტორი სავანგებოდ ამანვილებს ყურადღებას, გასული საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ძიებები, მეცნიერული მონაპოვრები, ვარდა თავისთავადი, მეცნიერული ღირებულებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეოლოგიურ, უფრო ზუსტად, ქართული კულტურულ-ნაციონალური თვითმყოფადობის, მისი დამოუკიდებლობის დამტკიცებისათვის, ანუ იდეოლოგიური არგუმენტის დაშვებით ასაკ იქნება. ამ მომენტების გათვალისწინებით თანმიმდევრულად არის გამოკვლეული XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ფოლკლორისტიკის ჩახახვა-განვითარების თავისებურებანი: ნაჩვენებია, რომ უკვე XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთთან შედრო კულტურულ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გამო ქართული ფოლკლორისტული კვლევა-ძიებები რუსულიდან და რუსეთის გზით ჩვენში „იმპორტირებულ“ ევროპულ ფოლკლორისტიკასთან დიდი სიახლოვით გამოირჩევა, მაგრამ, ამასთან ერთად, გამოკვეთილია ის გარემოება, რომ ევროპულ და რუსულ ფოლკლორისტიკასთან ასე მჭიდრო სიახლოვეს განაპირობებდა არა ქართული ფოლკლორისტიკის „შეგირდული“ როლი, არამედ ფოლკლორისტული ინტერესთა ტაოლოგიურად მსგავს ვითარებაში ერთდროული გაჩენა. ამ გარემოებას ხელი იმანაც შეუწყო,

რომ ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი (ზაგრატიონი, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი) რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში მყოფი წილობა და კარგად ერკვეოდა მათი თანადროული ფოლკლორისტიკის კვლევა-ძიების „სტრატეგიაში“ თ. ჭავჭავაძის მიხედვით XIX საუკუნის რუსულ ფოლკლორისტიკასთან სიახლოვის ერთ-ერთ არგუმენტად მართებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოში რუსეთის ანალოგიურად ვაჩნდა ე. წ. ხელნაწერი ანთოლოგიები, სადაც ლიტერატურულთან ერთად ფოლკლორისტული ტექსტები შედიოდა. ასეთ ანთოლოგიებზე მიჩნეულია თ. ზაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის და სხვათა ხელნაწერი კრებულები. მაგრამ სიახლოვეს რუსულ და ევროპულ ფოლკლორისტულ, განსაკუთრებით რუსულ, ტრადიციებთან მიუთითებდნენ არა ე. წ. „გარეგანი“ მოვლენები ხელნაწერი ანთოლოგიების სახით, არამედ, როგორც სწორად შენიშნავს მკვლევარი, უფრო ღრმა, შინაგანი ფაქტორები; კვლევა-ძიებას მეთოდოლოგიური საფუძვლებისა თუ ინტერესთა დიპალონის ერთიანობა (რასაკვირველია, რუსული და ევროპული ფოლკლორისტიკის ტრადიციების პრიორიტეტი). შენახამისადაც, იმ წლებში, საქართველოში რუსული და ევროპული მეცნიერული მიღწევების გამოყენებით იკვლევდნენ ფოლკლორულ მასალას ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც არა მხოლოდ აქტიურად მთავდნენ შეპირსიტყვიერ მასალას თავიანთ გამოკვლევებში, არამედ გარკვეულ „ნოზას“ უცხადებდნენ ფოლკლორისტიკის ტექსტებს და ემყარებოდნენ მათ, როგორც სანდო ისტორიულ წყაროებს.

„ქართული ფოლკლორისტიკის სათავეების“ საინტერესო სიახლოვე ჩანს ქართველ რომანტიკოსთა ფოლკლორისტული დაკვირვებების XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფოლკლორისტიკის განვითარების პროცესში მოქცევა. მუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სავანგებოდ არის შესწავლილი ქართველ რომანტიკოსთა ხალხურ შეპირსიტყვიერებასთან შემოქმედებითი სიახლოვე, სარტენწიფო შრომის ავტორი, თ. ჭავჭავაძის მიხედვით, გამოყოფს ამ სიახლოვის თვისობრივად ახალ, მნიშვნელოვან მეცნიერულ ასპექტებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურულ წერილებში ერთვული ფოლკლორისტიკის გამოკვლეული მეცნიერული დაკვირვებები. ევროპულ რომანტიკოს ფოლკლორისტიკა (ძმები გრიმები, გ. მიულერი და სხვ.) მსგავსად, ენათმეცნიერული ინტერესებიდან არის ნააზრდობები. ამ თვალსაზრისით, ავტორი სავანგებოდ იკვლევს გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის და სხვათა ლიტერატურულ წერილებს.

ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია, რომ მასში რელიეფურად არის გამოკვეთილი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოლკლორისტულ ძიებებათა არა მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაარსობრივ-შემკრებლობითი მხარე, არამედ ამ პერიოდის ქართული ფოლკლორისტული აზრის განვითარების უმთავრესი ტენდენციები, კერძოდ, მათითებულია, რომ ფოლკლორისტული კვლევა-ძიებები ამ ხანებში სპონტანური ძიებებიდან ფოლკლორისტული განვითარების კანონზომიერებათა კვლევის საფუძველზე დადგა და დაიწყო ქართული ფოლკლორისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, ჩამოყალიბება. ამავე პერიოდში კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ქართული ფოლკლორისტიკის რუსულთან სიახლოვე და ეს სიახლოვე, უკვე XIX საუკუნის მიწურულში, განაპირობებს რუსული ფოლკლორისტიკული სკოლის, ე. წ. ისტორიული სკოლის მოძღვრების ფართოდ დანერგვას ქართულ ფოლკლორისტიკაში.

ავტორის აზრით, ეს განაპირობებული იყო ორი გარემოებით: ა) ისტორიული სკოლა სხვა ფოლკლორისტულ სკოლებთან შედარებით ახალსადაო და ჭეშმარიტ მეცნიერულ კონცეფციას წარმოადგენდა და ბ) ისტორიული სკოლის მეთაურმა ვს. მილერმა და მისმა მიმდევრებმა მეცნიერულ მიმოქცევაში აქტიურად ჩართეს ქართული ფოლკლორული მახალა და წარმოაჩინეს მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. გარდა ამისა, იხინი პრაქტიკული მუშაობითაც დაუკავშირდნენ საქართველოს. ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გასული საუკუნის ქართული ფოლკლორისტული აზროვნება მხოლოდ ისტორიული სკოლის მონაოვრებს ითვალისწინებდა, ავტორის მართებული შენიშვნით, ამ პერიოდის ქართული ფოლკლორისტიკა ყურადღებით აღივსებდა თვალს ევროპულ ფოლკლორისტიკაში მიმდინარე პროცესებს, აქტიურად იყენებდა ამ უკანასკნელის სამეცნიერო მონაოვრებს და, შესაბამისად, იმ ხანების ქართულ ფოლკლორისტიკაში თითქმის ყველა ფოლკლორისტული თეორიის კვალი დაცხურდება, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭეშმონური მდგომარეობა ისტორიულ სკოლას ეჭირა, რომელსაც, გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესებისა, ქართული ფოლკლორისტიკისათვის, უფრო ზუსტად, ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეროვნული ფოლკლორის ნაციონალურ ისტორიასთან მჭიდრო კონტაქტში შესწავლისას გამოიკვეთებოდა გარკვეული, თუ შეიძლება ასე ითქვას ქართული კულტურის ეროვნული თვითმყოფადობის „მსხვილი პლანში“ ფიქსირებისათვის ბრძოლის ასპექტები.

ამ თვალსაზრისით ნაშრომში საკმაოდ სრულად არის გამოკვლეული საქართველოში ისტორიული სკოლის კონცეფცია ილიას, აკაკის,

ვაჟას, გიორგი წერეთლის, ნიკო ხიზანიშვილისა და სხვათა შრომებში, მაგრამ ამასთან ერთად დამატებლად აჩვენებს, რომ ფოლკლორისტიკით დაინტერესებულ ქართველ მოღვაწეებს ერთნაირად და უპირატესოდ არ გაუზიარებიათ ისტორიული სკოლის ყველა დებულება.

საინტერესოა წიგნის მაღალ მეცნიერულ დონეზე, მის ღირებულებაზე შეტყვევებს ის გარემოება, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ისტორიული სკოლის მიმდევრების აღ. ხახანაშვილის, მ. კელენჯერძის, ვ. ბარნაივის მონოგრაფიულად შესწავლილი ფოლკლორისტული მოღვაწეობა. აქვე ხაზგასმულია ისიც, რომ ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრინციპები რუსულენოვან სამყაროში თავიანთ მეცნიერულ ღირებულებას არ ჰკარგავდნენ ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებამდე, მაშინ, როცა ქართული ფოლკლორისტიკის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ამ სკოლისადმი უკვე XIX საუკუნის დასასრულს განაპირობა არა მხოლოდ მეთოდოლოგიური დამორჩევა ამ სკოლასთან, არამედ, რაც მთავარია და რასაც ავტორიც ხაზგასმით მიუთითებს, საქართველოში ჭარბობდა ფოლკლორისტიკის პირველი მეცნიერული წინამძღვრებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომლის პირველ მერცხლადაც ავტორს მიაჩნია დ. შახარაძის შრომა „ხალხური პოეზია და ბანი მ. კელენჯერიძე მონოგრაფიის ავტორი ცდალობს ფოლკლორისტიკის ესა თუ ის პრობლემა, ამა თუ იმ ფოლკლორისტიკის ან ფოლკლორისტიკის პრობლემაში დაინტერესებული მოღვაწის შემოქმედება შეეფასოს მაქსიმალური ობიექტურობით, მისი კონკრეტული თუ ნეგატიური შრიების წარმოჩენით. ზემოთ მოყვანილი მაგალითი ტიპურიან მთელი ნაშრომისათვის.

ამასთან ერთად, მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში ძირითადად თავს აღწევს ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომისათვის დამახასიათებელ თანაკებურებას — აღწერილობასა და მხოლოდ ფაქტებით ოპერირებას. მაგრამ, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, თუ კი ავტორი უფრო ღრმა თეორიული დასაბუთებით გაამყარებდა თავის მოსაზრებებს გასული საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების ძირითად ტენდენციებზე; ზემოთქმული მოსაზრება მხოლოდ ამ შეტად საჭირო ნაშრომის შემდგომი დახვეწის სურვილით არის გამოთქმული და მავგანია, რომ წიგნის „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“ გამოქვეყნებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული ქართული ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის შესწავლის საქმეში.



# იუგოსლავიური პროზის დიდოსტაბი

მეორე მსოფლიო ომის შედეგებით გამოწვეულმა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა იუგოსლავიური რომანის შემდგომ განვითარებაზე, მისი იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებასა და სინამდვილის ამსახველ მხატვრულ საშუალებათა ძიებაზე. უდიდესმა პოლიტიკურმა ძვრებმა ახალი შინაარსი შესძინა ადამიანთა ყოფას, მათ დამოკიდებულებას მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან.

იუგოსლავიური სალიტერატურო კრიტიკის თანახმად, ომის შემდგომი პერიოდი, „რომანის აღორძინების ხანად ითვლება“. იმ წლებში შექმნილი რომანებისთვის დამახასიათებელია თემებისა და პრობლემების აქტუალობა, ბრძოლა ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის.

იუგოსლავიაში უცხოელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მიმართულ სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას საზოგადოების სოციალური გარდაქმნისათვის ბრძოლაც დაერთო. აქედან გამომდინარე, ლიტერატურის წინაშე კარდინალური მნიშვნელობის პრობლემები დაისვა. ლიტერატურას უნდა გაეანალიზებინა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული და სოციალური ხასიათის ცვლილებანი, ნათლად ეჩვენებინა მათი შედეგები.

ობიექტური ფაქტორების ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ადამიანთა ხასიათის ფორმირებაზე, საფუძვლად დაედო როგორც იუგოსლავიურ, ისე სხვა სოციალისტური ქვეყნების რომანებსაც.

იუგოსლავიაში ომის შემდგომ წლებში გამოქვეყნებული რომანის უმარის პირველი ნაწარმოები ცნობილ იუგოსლავიელ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს ი. ანდრიჩს ეკუთვნის. იუგოსლავიურ ლიტერატურაში არსებული ტრადიციების საფუძველზე ანდრიჩმა შექმნა რომანის ახალი ტიპი, ფილოსოფიური პოტენციალის მქონე ისტორიული რომანი.

ი. ანდრიჩი დაიბადა 1882 წელს, ბოსნიაში. ბავშვობა და სიკვამლე უძველესი ქალაქებში ტრავნიკში, ვიშეგრადსა და სარაევოში გაატარა. ვიშეგრადი, სადაც ანდრიჩი მამის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა, ერთი იმ ქალაქთაგანი იყო, რომლის ზნე-ჩვეულებებსა და

ეროვნულ ტრადიციებთან ორგანულად იყო შერწყმული მაკარი კონსერვატიული და პატრიარქალური ყოფა, რაც შემდგომ სათანადოდ აისახა მწერლის შემოქმედებაში.

1912 წელს ანდრიჩმა დაამთავრა სარაევოს გიმნაზია და სწავლა განაგრძო ზაგრების უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. შემდგომში იგი სწავლობდა ვენასა და კრაკოვში.

მწერლის გიმნაზიაში სწავლისა და სტუდენტობის წლები დაემთხვა ბალკანებში ნაციონალურ-პატრიოტულ მოძრაობას. ანდრიჩი, ისე როგორც მრავალი მისი თანატოლი, გატაცებული იყო განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებით. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი გამოსვლა ლიტერატურულ სარბიელზე. ანდრიჩის პირველი მოთხრობები მკქსიმ გორკის გავლენით შეიქმნა, რომელმაც, ანდრიჩის თქმით, „გაუღვიძა მას“ ცხოვრების სიღაღისა და ხელოვნების სიმშვენიერის შეგრძნება“. ანდრიჩის შემოქმედების პირველი წლები აღსავსეა მრავალმხრივი შთაბეჭდილებებით. დიპლომატიურ სამსახურში ყოფნისას იგი დიდხანს ცხოვრობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, ერმანიაში და სხვაში, მაგრამ მისი ფიქრი მუდამ მშობლიურ ბოსნიას დასტრიალებდა. თავიდანვე ნათლად გამოჩნდა მწერლის გასაოცარი უნარი ადამიანის ფსიქიკაში, მის ვნებათა დღევანდელ ღრმად ჩაწვდომისა. ანდრიჩის მოთხრობებში ბოსნია წარმოვიდგება თავისი ისტორიული და სოციალური თვითმყოფადობით, კონკრეტული მხატვრული სახეებით, რომლებიც აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ მწერალი ერთგულად აგრძელებს იუგოსლავიური ლიტერატურის კლასიკოსების მდიდარ ტრადიციებს. ანდრიჩი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა ლეგენდებსა და ხალხურ თქმულებებს, როგორც წარსულის უტყუარ „მემკვიდრეებს“, რადგან, როგორც თვითონ მწერალი აღნიშნავს, ლეგენდებსა და თქმულებებში ჩაქსოვილი კავშირების კუმპირიტი ისტორია საშუალებას გვაძლევს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ჩავწვდეთ წარსულის ვნებათა დღევანდელს.

ი. ანდრიჩის შემოქმედებაზე საუბრისას

კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ მისი ფრაზების გამჭვირვალებასა და მუსიკალობას, ცხოველმყოფელობასა და დამაჩერებლობას. და მართლაც, ი. ანდრიჩი, როგორც თანამედროვე იუგოსლავიური ლიტერატურის რეალისტური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი, დამსახურებული წარმატებით სარგებლობს როგორც თავის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ წარმატების საიდუმლო, ერთის მხრით, მის ტალანტში იმალება, მეორეს მხრით კი იმით არის განპირობებული, რომ მისი შემოქმედება სხვათაგან მკვეთრად განსხვავებულია. მისი ნაწარმოებები შორს დგანან დასავლეთის დეკადენტური ლიტერატურისადმი პროვინციული მიმბაძველობისაგან.

ი. ანდრიჩი, როგორც მწერალი და მოზაროვანი, იმდენად ორიგინალურია, იმდენად თვალსაჩინოა მის რომანებში მხატვრული ასახვის თავისებურებანი, რომ ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი განუმეორებელ, ინდივიდუალურ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს. ანდრიჩის როლი იუგოსლავიური რომანის განვითარების საქმეში, შეიძლება ითქვას, ჭრ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ხალიტერატურა კრიტიკის თანხმად, „ანდრიჩის არა ჰყავს მიმდევრები. მის რომანებში გამოყენებული მხატვრული სინთეზის ხერხები განუმეორებელია, ხოლო მწერლის მიერ მიგნებული რომანის ფორმა უნიკალური, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მთელი ომის შემდგომი პერიოდის იუგოსლავიური რომანის განვითარების საქმეში.“

იუგოსლავიელი კრიტიკოსის მ. ხელიმოვიჩის აზრით: „ანდრიჩი ქმნის ახალ ფორმებს, იძიებს ახალ ხალებსა და ნიუანსებს, მას შეესწავს უნარი სრულიად განსხვავებული კუთხიდან დაგვიანახოს აღმანებებისა და სკანების ურთიერთდამოკიდებულება. იგი ნათლად ხედავს ცხოვრებისეული მოვლენების შორეულ ანარქულს“.

ანდრიჩის რომანებისა და მოთხრობების ძირითადი ლეიტმოტივა ჰუმანიზმი. მისთვის ამ არამყარ, წინააღმდეგობით აღსავსე სინამდვილეში მთავარია ადამიანი. მისი ნაწარმოებების გმირები რთული და საინტერესო ხასიათის პიროვნებები არიან. ი. ანდრიჩის ნაწარმოებთა პერსონაჟებში ნათლად იგრძნობა სიკეთის მარადიული, წარუვალი მარცვალი. მწერალი მისწრაფის განსაზღვროს მყარი, უცვლელი ღირებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია სილამაზესთან, სიყვარულთან, ხასიათის სიმტკიცესთან, რომ გაჭირვების უამსაც დარჩეს ადამიანად.

ანდრიჩის გმირები უმთავრესად დაბალი წრის წარმომადგენლები არიან. ნაწარმოების ყურადღების ცენტრში დგას არა ისტორიული პიროვნება, არამედ ჩვეულებრივი, მიწიერი,

უკველდლიური ტკივილითა და საზრუნავით აღსავსე „პატარა“ ადამიანი. ნაწარმოებებში ერთმანეთს ცვლიან ერთმანეთს, ერთი ტირანის ადგილს იკავებს მეორე, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულებინა და ყოფის ე. წ. სოციალური ინსტიტუტის უცვლელი რჩება. ახვეე უცვლელად უმწეოა უბრალო ადამიანი ძლიერთა ამა ქვეყნის ძალმომრეობის წინაშე.

მწერალი გვარწმუნებს, რომ ადამიანი უკეთესი ხვედრის ღირსია. მართალია, ამას სხიერად თან სდევს აზრი ადამიანის ტრაგიკულ მარტოსულობაზე, ბედთან მის ამაო კიდილზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანდრიჩი მანც შორს არის ე. წ. მოდერნისტულ კონცეფციისაგან. იგი, როგორც ხელოვანი, „დასაურდენს“ შემოქმედის თავგანწირვაში, შემოქმედებითი აზრის წვაში, შრომაში პოულობს. ამ აზრმა ნათლად გაიგევა ერთ-ერთ მის ადრინდელ ეხსეში „ხიდები“, შემდგომ კი განვითარა მს-იან წლებში დაწერილ ფილოსოფიურ-სოციალურ ნარკვევებში, რომლებიც პროგრესულად მოზაროვანე, მაგრამ ტრაგიკული ბედის მქონე მხატვრებს ნეგაშუს და გოიას მიუძღვნა.

„აზრთა სიცხველე — აი, ერთადერთი რეალობა საგნებისა და მოჩვენებების ამ ქაოსურ მიმოქცევაში, რომელსაც სინამდვილე ჰქვია“ — ამბობს ი. ანდრიჩი „გოიაში“.

1945 წელს ერთიმეორის მიუყვებით გამოქვეყნდა მისი რომანები „ღრინას ხიდი“, „ტრაგედიის ქრონიკა“ და „ქალიაშვილი“. ამ ნაწარმოებებით დაიწყო ახალი, აღმავალი პერიოდი მწერლის შემოქმედებაში.

ანდრიჩი ბევრს მუშაობდა ლიტერატურის საკითხებზე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში, მოხსენებებით გამოდიოდა საზღვარგარეთ გამართულ სხვადასხვა ფორუმებზე. მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობა რამდენიმე ნაციონალურ პრემიით აღინიშნა.

მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ისე მარმონიულად იყოს შერწყმული ხალხური ლეგენდები რეალურ სინამდვილესთან, როგორც რომანში „ღრინას ხიდი“.

რომანმა გამოქვეყნებისთანავე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, როგორც იუგოსლავიაში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ფაშინის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ომის შემდგომი პერიოდის ლიტერატურის მთავარ თემას წარმოადგენს, დღესაც რჩება სინამდვილისადმი ფილოსოფიურ-ისტორიული დამოკიდებულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. მეორე მსოფლიო ომის გამოძახილი იგრძნობა აგრეთვე, მოთხრო-

ბებში „კაფე ტიტანიკი“, „დაზუღი კარი“, „ზეკო“ და სხვ.

ისტორიულ რომანში „ტრავნიკის ქრონიკა“ აღწერილია ბოსნიის ქალაქ ტრავნიკის ყოფა 1806-1814 წლებში. ეს იყო ნაპოლეონის ტრიუმფისა და დაცემის წლები, ეგრეთ წოდებული „კონსულის ხანა“, როცა „ღმერთების“ მიერ მიტოვებულმა ბოსნიამ, სადაც კარგა ხანს ბატონობდნენ თურქი დამპყრობლები, მოულოდნელად მიიპყრო ევროპის უძლიერესი სახელმწიფოების ყურადღება. რომანში თბრობა მტკიცე დოკუმენტურ საფუძველზეა აგებული.

იუგოსლავიელმა ისტორიკოსმა მ. შამჩიზა ყურადღებით შეისწავლა „ტრავნიკის ქრონიკის“ ისტორიული ქარგა და აღნიშნა, რომ ამ რომანში არ მოიძებნება არც ერთი ეპიზოდი, არც ერთი სახელი ან ფაქტი. დოკუმენტურად რომ არ იყოს დადასტურებული.

მწერალი მიზნად ისახავს, რომანში დაწვრილებით აღწეროს იმ წლებში მომხდარი ისტორიული მოვლენები, მისი ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი, ადამიანის დამოკიდებულება საზოგადოებრივ-ისტორიული მსვლელობის განვითარებასთან, რაზედაც ნათლად მეტყველებს რომანში წარმოდგენილ მოქმედ პირობადი და კერძოდ, მთავარი გმირის, ფრანკი კონსულის დავლის ხასიათი. ანდრიჩის აზრით, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები უცილობლად ცვლის ხალხის ხასიათს, მათი ინტერესების სფეროს.

რომანი „ტრავნიკის ქრონიკა“ ომის მძიმე წლებში იწერებოდა. ამიტომ გასაგებია ის ტრაგიკული ნოტები, რომანის გვერდებზე რომ გაისმის. ანდრიჩის აზრით, ისტორიის მსვლელობა და სამყაროს განვითარების კა-

ნონები ადამიანს არ ემორჩილებიან. ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში ანდრიჩმა განაცხადა, რომ „ხელოვანმა უნდა გააშუქოს იმ გზების საიდუმლო, საითკენაც ხშირდ უბიძგებს ხოლმე ცხოვრება ადამიანს“.

მას მართლაც შესწევს უნარი, დავანახოს ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით, თითოეულ ადამიანში იპოვოს რაღაცა თავისებური, ორიგინალური, ღრმად ჩაგვახედოს მათ შინაგან სამყაროში. მწერლის ამგვარი უნარის წყალობით ჩვენთვის ხელშესახები ხდება იან თურქი ჩინოვნიკები, ქალაქის მცხოვრებლები, საკონსულოს მოხელეები და სხვ.

რომანის „ტრავნიკის ქრონიკის“ მთავარი პერსონაჟის, კონსულ დავილის ცხოვრება წარმოდგენს წარმატების, იმედის გაცრუების, ძალდატანების, უაზრო მსხვერპლისა და ამაო კომპრომისის გრძელ გზას. იგი გრძნობს, რომ ცხოვრებაში გამორჩა რაღაც მთავარი, ვერ მონახა თავისი „ნამდვილი გზა“, მაგრამ მტკიცედ სჭერა, — ამ გზას აუცილებლად იპოვიან მისი შვილები და შვილიშვილები.

რომანმა „ტრავნიკის ქრონიკა“ საყოველთაო აღიარება მოუტანა მწერალს როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული რომანისათვის ი. ანდრიჩს 1981 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

ერთ-ერთი იუგოსლავიელი კრიტიკოსის აზრით, ყოველ ეპოქაში საუკეთესო და დიდ მწერლებად მხოლოდ ისინი ითვლებიან, რომლებიც პირუთვნელად წერენ თავიანთ თანამედროვეთათვის მათსავე შეხედულებებსა და განწყობილებებზე. სწორედ ასეთ მწერალთა რიგებს მიეკუთვნება ივო ანდრიჩი, რომელიც სამართლიანად ითვლება იუგოსლავიურ ლიტერატურაში ისტორიული რომანის ფუძემდებლად.



# სალსური გაბაასეზის სათავეებთან

მითოს უდიდესი ადგილი უჭირავს ადამიანის შემეცნების ისტორიაში. „მითების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ უძველეს ადამიანთა ფიქრებისა და მიზნის შესახებ; როგორ წარმოიდგენდნენ ისინი სამყაროს, როგორ ასახვდნენ ბუნების მოვლენებს, ხალხის გმირებს, როგორ ეწრაფოდნენ ცხოვრების გაუმჯობესებას, აღიღებდნენ შრომას და ბრძოლას“.

Юань ке, Мифы древнего Китая, 1965, გვ. 347.

განუზომელია ქართული მითოსის, პირველყოფილი საზოგადოების უნივერსალური იდეოლოგიის როლი და მნიშვნელობა ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ეროვნული ფოლკლორული უარების ჩამოყალიბების საქმეში.

წარმართობის ხანაში, როცა ბუნების ძალებისაგან დათრგუნვილი ადამიანი ბუნების საგნებსა და მოვლენებს ბრძალ მიჰყვებოდა, ქართველ ხალხს თავისი ასტროლოგიური კულტი შეუქმნია. მასში მნათობთა თაყვანისცემაა გამოხატული, უპირველესად, მზისა. ხალხის წარმოდგენით, მზე სიცოცხლის წყაროდ, გაღვიძებისა და განახლების სიმბოლოდ არის მიჩნეული. „იჟურთხოხ შენი გამჩენი, შენა ხარ ქვეყნის ხანთელი“ — ამბობს მოლექსე. მზისკენ ადამიანის უსაზღვრო თაყვანისცემით მიპყრობილი მზერა და მისი ყოვლის შემძლე ფუნქცია კარგად ჩანს უძველეს ხალხურ საგალობელში „მზეო, ამოდი, ამოდი!“ „სინათლეს დედა, დღის მომყვანი, დამის გამნათებელი, გამთბობი კაცისა“ — ასეთია, მეგრული ხალხური რწმენით, მზის ფუნქციები.

მზისა და მთვარის სასწაულმოქმედმა ბუნებრივმა თვისებებმა მისცა საშუალება პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანს ციური მნათობები პერსონიფიცირებულ ღვთაებებად წარმოედგინა. ადამიანები ესაუბრებოდნენ მათ როგორც ცოცხალ, რეალურ არსებებს, შესთხოვენ მფარველობასა და დახმარებას. ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირებენ მათ თვისებებს. ეს დაპირისპირება პოეტური პაექრობის სახესღებულობს და საფუძველი ეყრება გაბაასეზს.

მეცნიერთა აზრით (ა. ვეხილოვსკი, ა. ანიჩკოვი, ვ. შირმუნსკი, ვ. კოტეიშვილი, მ. ჩიქოვანი და სხვ.), გაბაასეზის უარის ჩანსახები შეიმჩნევა ზამთარსა და ზაფხულს შორის რიტუალური ბრძოლის დროს. ეს ბრძოლა თავდაპირველად სიტყვიერი პაექრობის გარეშე მიმდ-

ნარებოდა, დაკავშირებული იყო კალენდარული გარიგების დღეობა-ღღესასწაულებთან და სიმბოლურად ძველისა და ახლის ურთიერთდაპირისპირებას გამოხატავდა.

გაბაასეზის, როგორც ფოლკლორული უარის დასაბამი, მითოლოგიურ პოეზიაშია. მისი უძველესი ნიმუშები მზისა და მთვარის კულტთან არის დაკავშირებული. პირვანდელი ჩანაწერები მე-19 საუკუნის 70-იან, 80-იან წლებს ეკუთვნის. მთვარესთან გაბაასეზის ნიმუში პირველად დაიბეჭდა რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის მიერ 1878 წელს გამოცემულ კრებულში „ხალხური სიმღერები.“ ლექსი დატულია პ. უმიკაშვილის კოლექციისაშიც. ჩაწერილია იმერეთში, სოფ. ივანდიღში (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება I, 1937 წ. გვ. 404).

ნაწარმოებს წინ ავტორისეული კომენტარი უძღვის: ოპარის ფერხულის დროს სოფლის ქალები ტაშს უკრავენ, ხოლო სხვები არ იმღერაიან, მარტო მაცუკვარის მეტა, რომელიც ამ სიტყვებს დაიძახებენ:

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავეწახე,

მთვარემ კაცი მომიგზაუნა: „აქ იყავ და რად არ მნახე (უმოც. გვ. 404).

მეორე ნაწილი მთვარის პასუხია.

ლექსს ორგვარი დასასრული აქვს. ერთ-ერთ მათგანში შემორჩენილია მთვარის დიდებისა და თაყვანისცემის ნაშთი.

შენი შიშით, მორიდებით, ველარ მოველ, ველარ განხე,

თავი ისეთ შევინახე, კაცსაც აღარ დავეწახე (იქვე).

ტექსტი მარტივია და ფრაგმენტული. მხოლოდ თითო კითხვა-პასუხით ამოიწურება, მაგრამ დატულია უძველესი წარმართული ფენები, კერძოდ, ზეცაში მოგზაურობის წაღარული მოტივი და მთვარისადმი, როგორც რეალური პირისადმი მიმართვა.

მითოლოგიური გაბაასეზის პირველ სრულქმნილ ნიმუშს, რომელსაც უარისათვის ნიშანდობლივი თვისებები აქვს, წარმოადგენს მზისა და მთვარის პოეტური დავა. ლექსის ოცამდე ვარიანტი არსებობს. გავრცელების არე მოიცავს მთელ საქართველოს, მაგრამ ტექსტების უმრავლესობა აღმოსავლეთის რაიონებშია ფიქსირებული. პირველად დაიბეჭდა „იფრიაში“ 1887 წელს (№ 146).

3. კოტეტიშვილის შენიშვნით, „ლექსა დღემდე შემონახა უძველესი მითოსის დოკუმენტები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ქართული წარმართული პანთეონის უფრო ნათელი წარმოდგენა“ (3. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1984 წ. გვ. 857).

ჩვენთვის „მზე და მთვარე“ საინტერესოა პოეტური პაექრობით, მასში ცხადად იკითხება გაბაასების უანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი — დიალოგიური ფორმა, კამათი, ჭრილობა-დაძლევის ტენდენცია, უწყობათვისობის ძიება და ინდივიდის გამარჯვება.

ლექსს მთქმელი იწყებს და პაექრობაც მესამე პირის ხაზუალებით არის გადმოცემული: „ნათელმა მთვარემა ბრძანა...“

აღნიშნული ლექსის თითქმის ყველა ჩანაწერის დასასრული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ლექსი დაუსრულებელია, რასაც მთქმელის შენიშვნაც აღსტურებს: „მზე-მთვარი ძრიან დიდი ლექსი იყო, მაგრამ მე არ მახსოვს.“

ყველაზე ვრცელია ლექსის ქართული ვარიანტი (ქ. ხ. პ. ტ. I 1972 წ. გვ. 187), რომელიც შესავლის გარეშე, პირდაპირ დიალოგიურ იწყება და ბოლომდე კითხვა-მიგების ფორმით მიმდინარეობს: „მზემ უთხრა მთვარესა“, „მთვარემ უთხრა მზესა“.

„ორ მნათობს შორის დევა, — მიუთითებს მ. ჩიქოვანი, — პოეტური ხერხი არაა მხოლოდ. მასში ის მსოფლმხედველური კიდელია ასახული, როცა ადგილი ჰქონდა მტრბრძოლიდან პატრიარქატზე გადასვლას, ქალღვთებთან შეცვლას კაცლვთებით“ (მ. ჩიქოვანი, დასახ. წიგნი გვ. 127).

ღვთებთან ახეთი მონაცვლეობის დროს მზის — ქალღვთების კულტი ჯერ კიდევ იმდენად ღრმად არის ხალხში შეესვაღაღმული, რომ ამ ორი მნათობის პაექრობის ამსახველედ ყველა ლექსი აღიარებს მზის პირველობას.

მნათობთა პოეტური პაექრობის ხალხური ტრადიცია გამოხატულებას პოულობს შ. რუსთაველის უკვდავ პოემაში. ფრიდონთან მიმავალი ავთანდილი ციურ სხეულებს ებაახება — მზეს, მთვარეს და „ვარსკვლავთა სუთთა“ — ასპროსს, ოტარიდს, მუშთარს, ზუალს და მარებს (შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ 1968 წ. გვ. 185-188).

მზისა და მთვარის ხალხური პოეტური ურთიერთდაპირისპირებიდან იღებს სათავეს თეიმურაზ მეორის ნაწარმოები „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“. პაექრობის აქტიური პერსონაჟი დღე თვითდახასიათებისას ამჟღავნებს იმით, რომ ქვეყნის მანათობელი და სხივების მომფენი მზე მისი თანმშლებია. მთვარეს მზესთან შედარებით ნაკლები ბრწყინვალება გააჩნია და საერთოდ, მზესთან არც ერთ მნათობი შესადარებელი არ არის.

პოეტური დავის თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური ლექსი „ღღე თუ ღამე“. მასში ერთმანეთთან დაპირისპირებულია სამეფო-ორი ძლიერი მოკვლევა. პირვანდელი ჩანაწერებში ჩვენი საუკუნის ოცნა წლებს ეკუთვნის. იგი გავრცელებული ყოფილა საქართველოს მთიანეთში. ბარის მოსახლეობა ტექსტს ნაკლებად იცნობს. ლექსი თავისი ვარიანტებით პირველად დაიბეჭდა ა. შანიძის მიერ შედგენილ ნევესურული ხალხური პოეზიის კრებულში (1989 წ. გვ. 148; 518; 520). იგი 27 თეკსმეტ-მარცვლიანი ხალექსო სტრიქონისგან შედგება. შესავალში მთქმელი მიმართავს ფანდურს: „ვერვინ ვიამბობს, ფანდურო, სიმართლეს ჩემისთანასა“, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ტექსტი ფანდურის აკომანიშნებით, იმპროვიზებულად სრულდებოდა. საერთოდ, მუსიკალური საკრავისადმი მიმართვა გავრცელებული პოეტური ხერხია ფოლკლორში. 3. კოტეტიშვილის შენიშვნით, „ეს იგივე მუზისადმი მიმართვაა. იგი ლექსის ექსპოზიციურ ნაწილშია მოთავსებული და ემოციური შესავლის ფუნქციას ასრულებს“ (3. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი გვ. 275). „მიმართვები — ინდივიდუალურ შემსრულებელთათვისაა დამახასიათებელი“ (ჭ. ბარდაველიძე, ხალხური ლექსთწყობის საკითხები, 1960 წ. გვ. 119). დასაწყისში მოლექსე სვამს შეკითხვას „ღღეი ჭობია, თუ ღამეი? ვაუთე, გითხავთ ამასა“ და თვითონვე პასუხობს — მსჭელობს იმ საქმიანობაზე შესახებ, რაც ღღისით და ღამით კეთდება. ერთმანეთს აღარებს და უპირისპირებს სამყაროს ორ ძლიერ ფენომენს და უპირატესობას ნათელ, მზიან ღღეს აძლევს მუშყათა სამუშაოდ, სარჩოს შინ მამოხატნად, ცვარ-ნამის გასაშრობად, საქონლის სამოვრად... მიუთითებს აგრეთვე ღამის აუცილებლობაზე:

ღამე ნიადაგ კარგია, სინათლით დღეი  
სძალასა,  
ხმელეთზე მანათობელი მზეი მუდის  
თანაცა,  
მაშრობს დღისი ცვარ-ნამსა, მწყერ-ყანას  
ეტყვის სალამსა,  
ცხვარ-ძროხა მამფენება, მაღლა მოსა,  
ღაბლა ქალასა,  
მეგრამ რო ღამე არ იყოს, ისი ღმერთიმ  
ღიფფარასა,  
ნაქნარსა ქვეყანაზედა, რამდენ სიუფრეს  
ფარავსა (ქ. ხ. პ. ტ. I გვ. 85).

მართალია, ლექსს დიალოგიური ფორმა არა აქვს და თავიდან ბოლომდე ამზავს ერთი პირი ყველა, მაგრამ ბუნების ამ ორი კონტრასტული მოკვლენის ურთიერთდაპირისპირებაში ცხადად გამოიკვეთება გაბაასების ფარის პოეტური სათქმელი. ლექსის უფრო ვრცელი ვარიანტი ორი

ქართული დეკანოზოვილი  
ხალხური ბაბაასების სათავეებთან



ნაწილისაგან შედგება: პირველი დღისა და ღამის შედარება, ხოლო მეორე სატრფიალო-სწორფრობის მოტივის შემცველია.

დღისა და ღამის ურთიერთდაპირისპირება კლასიკურ სიმაღლეზე — ი. ი. კვავაძის პუბლიცისტურ თხ. „მგზავრის წერილები“ (ილ. კვავაძე, რჩეული, წიგნი II, 1974 წ. გვ. 22-24), სადაც მსგავსად ხალხური-სა, უპირატესობა ქვეყნისათვის სინათლის მომცემ, მზის სხივების მფრქვეველ დღეს ენიჭება.

ხალხური ლირი-ეპიკური პოეზიის ნიმუში „ცა და დედამიწა“ გაბაასებისათვის ნიშანდობლივი მკვეთრი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ლექსი ფოვალური ხანის მონოთეისტური მითოლოგიის კუთვნილებაა, თუმცა აშკარად ქართველთა რეალისტური მოტივი და იგრძნობა ქრისტიანული გავლენა.

ციხა და ქვეყნის პოეტური გაბაასების უვლავე ვრცელი, პ. უმიკაშვილისეული ვარიანტი 43 თქვესმეტარცვლიანი სტრიქონისაგან შედგება. გვაქვს უფრო მოკლე II რეამარცვლიანი სტრიქონის შემცველი ლექსიც.

ლექსში აშკარად არის გამოკვეთილი ქრისტი-ლმერთის გავლენა და სიძლიერე.

შეიზნენ ცა-დედამიწა, მოჰყენენ თაე-თავის ქებესა

ერთმანეთს პირში აყრიდნენ თავიანთ გულის ვეზებსა...

ერთ-ერთი ვერსიის შესავალში (სახალხო მთქმელები 1956 წ. გვ. 157) მოლექსე აფორის-ტულ-სენტენციურ შეგონებას გვაწვდის დ. გურამიშვილის პოეტური სტრიქონებიდან, რითაც დასტურდება გაბაასების თემატიაში სხვა უნარის ნიმუშის შებრა.

იწყება პაექრობა... კამათი თავიდანვე მკვეთრ და სხარტ ფორმებში მიმდინარეობს.

პირველსავე მონოლოგში შეიგრძნობა დედა-მიწის სიძლიერე:

გახაზებულს ავაბიბინებ, ავაყვავებ

ი-ვარდა, მე რომ მოსავალს მოვიყვან, შენ რას იზამ იმის ფასსა!

ზეცა, დაქაზვის მიზნით, მუქარაზე გადადის, მზისა და მთვარის დაბნელებით აზინებს მო-პაექრებს, ამასთან, ცდილობს გააფერმკრთალოს მისი როლი და ომაზიანად შესძახებს:

შენ რომ მოსავალს მოიყვან, მე გავუჩენ ალმურ ქარსა,

ისეთ გავლავს დავაყენებ, სულ გადგოწვებ მთა და ბარსა...

შენს ნათესს და ნამუშევარს ბღღერის ავადენ ყველას გარსა

ელვა-სეტყვას გამოუშვებ, სულ დავიტან მთა და ბარსა.

ხმელეთი არ ეტუება ზეცის მუქარას. იგი თავის სიძლიერესა და უპირატესობას მიმზიადველ მხატვრულ სახეებში გადმოგვცემს:

საცა მინდა, იმ ადგილას გამოვადენ წყაროს ქვევიდან სიგრილეს მივცემ, ვაგუიოებ ცანას თავსა, დამშულებს გამოკვეებზე, შევიზახე ქვეყანასა...

მას არ აზინებს სეტყვა, რადგან ზეცას მისი გამოგზავნა ისე არ მოუძლია, თუ ქვეყანამ ზღვიდან წყალი არ მისცა. თუკი იგი მანც შესძლებს სეტყვის მოუვანას, დედამიწა სანთელ-კელაპტრებს აანთებს და ქრისტე-ლმერთს შეევედრება, დაუბნიოს მას გზა-კვალი.

შემდეგ ზეცა შეკითხვას აძლევს მოპირდაპირეს:

— ერთი მითხარ, ქრისტე ღმერთი ცას არის თუ ქვეყანასა? დედამიწა მუსსვე უბრუნებს პასუხს:

— აქამდინ აქ ბრძანდებოდა, ახლა წამოვიდა ცასა, შეიღჯერ დაჰკეცს შენს ღრუბლებსა, ისე დაბრძანდება ტახტსა.

ზეცას აღარ შესწევს უნარი შეკითხვების გაგრძელებისა და კამათიც მთავრდება. ფინალში მთქმელი აჭამებს პაექრობის შედეგებს და ნათლად წარმოაჩენს დედამიწის უპირატესობას. „შვიდი ჩარეკით დასჭარბა დედამიწამ მალა ცასა“ — დაასკვნის მელექსე.

„ციხა და დედამიწის პაექრობის ერთ-ერთ ნიმუშს (სახალხო მთქმელები 1956 წ. გვ. 156) ფინალში ხალხური ზღაპრისათვის ნიშანდობლივი ამბის რეალისტური დამოკვეთი დასახარულინათვის განკუთვნილი მზა ფორმულა ახლავს: „შვიდობა და კარგად ყოფნა თქვენს ოჯახის ბინადარსა.“

საანალიზო ხალხური ლექსი როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მხრივ გაბაასების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. მასში ნათლად და მთლიანად არის გამოკვეთილი უნარისათვის დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური ნიშანი — დილოგური ფორმა, კითხვა-პასუხი უპირატესობის დამტკიცების მიზნით, თავის ქება, ბრძოლა პირველობისათვის და ერთ-ერთი მონაწილის გამარჯვება.

შემდეგი ნიმუში, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გაბაასების უნარის თავისებურებაზე განვითარების ადრეულ საფეხურზე, არის „თვეების ბაასი“. ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ტექსტი პირველად დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“ (1898 წ. № 5). შინაარსით ყველაზე ვრცელი ვარიანტი პ. უმიკაშვილის კოლექციაში დაცული (პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნი გვ. 234). იგი იმერეთში ჩაუწერია ფ. კანდელაკს, ლექსი 90 თქვესმეტარცვლიანი სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ არახრულია. პოლემიკას იანვარი იწყებს და ენკენისთვე ამთავრებს. ჩვენს ხელთ არის აღნიშნული გაბაასების ოცამდე ვერსია.

3. უმიკავშირისებულ ვარიანტში (დასახ. წიგნი გვ. 294) თვეების გაბაახება ახალი წლით, ლხინითა და განცხრომით იწყება. პერსონაჟები როგორც სულიერი არსებანი, ისე ესაუბრებიან ერთმანეთს. ასპარეზზე გამოსვლისთანავე იანვარი მედიდურად აცხადებს:

ჩემთან ვერა თვე ვერ მოვა, ტყუილად ნუ დაიბანს ხელსაქ!

ბაასში რიგ-რიგობით ჩაებმებიან სხვა თვეებიც.

ლექს ენეენისთვის ამთავრებს. დგება შემოდგომა თავისი ბვაითა და ბარაქით. მოლექსე მოხდენილად იყენებს მხატვრული შედარების ხერხს:

მოზზრილაობს ენეენისთვის, გასწითლებია წვერია, გამსხვილებია კისერი, როგორც ულავი ცხენია.

განხილულ ლექსს თავიდან ბოლომდე მიმუყევა გაბაახებისათვის ნიშანდობლივი მკვეთრი და სხარტი რიტმული მდინარება. პოეტურ პაქრობაში მონაწილეობას ღებულობს თორმეტი აქტიური პერსონაჟი. თითოეული მათგანი იქნება თავს და ცდლობს მოპირდაპირე მხარეზე უკეთესი გამოჩნდეს, მაგრამ არ ერიდება ნაკლოვანი მხარეების გამჟღავნებასაც. ფინალში გამოკვეთილი არ არის რომელიმე მათგანის უპირატესობა, მაგრამ მკითხველისათვის ცხადია თითოეულის როლი და მნიშვნელობა წლის დროთა ბრუნვა-ცვლელბადობის კანონზომიერი პროცესის დროს.

გვაქვს ისეთი ნიმუშებიც, რომლებშიაც მარტი და აპრილი ან აპრილი და მაისია დამოუკიდებელი გაბაახების სახით წარმოდგენილი, ასევე უურადლებას იქცევს ფრამენტული ტექსტები, მათში მხოლოდ ერთი რომელიმე თვეა კონკრეტულად დახასიათებული. საფუქრებელია, რომ ეს ლექსები დროთა ვითარებაში მოსწყდნენ ძირითად ტექსტს და დამოუკიდებლად გავრცელდნენ ხალხში. ეს ფაქტი ჟანრის დაშლაც შეიუთხებებს.

ქართულ ხალხურ მონათესიებურ პოეზიაში „სულისა და ხორცის გაბაახება“ ერთ-ერთი გავრცელებული ლექსია. შიავად ვარიანტად ჩაწერილი ნიმუშები შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მოგვეპოვება როგორც ვრცელი, ისე მოკლე ვერსიები, ლექსი წარმოსობით უძველესია და სულის კულტთან არის დაკავშირებული, თემატიკურად კი სასულიერო-რელიგიური შინაარსის ნაწარმოებია. თ. რაზუკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ნიმუში პირველად დაიბეჭდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ. III განყ. II, გვ. 24).

სულის კულტი, სულისადმი თაყვანისცემა, მსგავსად სხვა ხალხებისა, უძველესი დროიდან

მოსდგამთ ქართველებსაც. „ჩვენი წინაპრების შეხედულების თანახმად, ყოველი საგანი არა მარტო მხოლოდ საგანი იყო თავისთავად, არამედ სული, რომელიც ამ საგანს პატრონობდა, ყარაულობდა და მფარველობდა“ (ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი, 1949 წ. გვ. 128).

ანნიმისტური მსოფლმხედველობით, ადამიანის სულს მისგან დამოუკიდებლად არსებობის უნარი შესწევს. სულში, ორეულში მატერიალისტური ბუნების არიან და სხეულის რომელიმე ნაწილში ცხოვრობენ, ადამიანის სული სხეულის სიკვდილთან ერთად კი არ ისპობა, არამედ, როგორც მისი უსხეულო ორეული, სულეთში — საიქიოში განაგრძობს არსებობას და ამჟვეყნიურის მსგავსი მოთხოვნებიანი აქვს.

სულისა და სხეულის ერთიანობის პრინციპი, რომლის იდეა ანტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს, როგორც პოლითეიზმის, ასევე მონოთეიზმის ეპოქისათვის უცხოა. სულის რედუქციად არსებობისა და მისი მარადიულობის რელიგიური რწმენა ქართველი ხალხის პოეტურ განმარტოებისათვის ურად აისხა. საუკუნეებით სამშტიკეცბულმა ამ რწმენამ ათქმევიანათ ალბათ უფრო მოგვიანებით ვაუა-ფშაველას ლექსში „უკანსკენიო საღამო“ შემდეგი სიტყუები: „ღღღი რომ მოკვდეს იმიტომ, განა სულითაც მოკვდები?!“

ხალხის გადმოცემის თანახმად ადამიანის სიკვდილის დროს სულის სხეულთან განშორება ძალიან ძნელი პროცესია, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც სიცოცხლეში მრავალი ცოდვა ჩაუდენია. „სულისა და ხორცის გაბაახების“ შესავალში მოლექსე ამ ფაქტზე შეაჩერებს უურადლებას.

სულის და ხორცის გაყრა ვსთქვათ, სათქმელად საზარელი!

მეტადრე ცოდვილისთვის სულის ამოსვლა ძნელია (ქ. ნ. ტ. II, გვ. 167).

კამათს ხორცი (სხეული) იწყებს და გამოთქვამს საყვედურს სულის მიმართ, რომელიც განეშორა, ყოველგვარი პატივისცემა წააშორა, ქვესკნელს ჩაავდო და ზედ მიწაც მიავარა.

სული, პირიქით, უკან უბრუნებს საყვედურს ხორცს, რომელმაც იგი ცოდვებით ხავს გაუშვა იმ ქვეყნად.

ხორცი თავის პასუხში არ ფარავს დანაშაულს სულის წინაშე, რითაც თითქოსდა მოინანიებს ცოდვებს;

სულს შე დაღონებულს, მეც ბევრი ავი გიყავო; შენს მტერობაში ვღამე, სანამ ცოცხალი ვიყავო.

იგი სთხოვს შუამდგომლობას სულს ქრისტე



ღმერთის წინაშე, რათა მან ცხოვნება მისცეს და სამოთხეში მიიღოს.

სხვა ვარიანტში (ქ. ბ. პ. II გვ. 167) სული განუმარტავს ზორცს, რომ მათი გაყრა ღვთის სურვილია და მათზე დამოკიდებული არ არის, რაბან ეს განშორება აუცილებელია, ამიტომ ერთმანეთზე ცუდი აღმარებელი არ უნდა თქვან.

აღნიშნული გაბაასების კავკასიურ ვარიანტში (ქ. ბ. პ. II, გვ. 254) სულისა და ზორცის კამათს კონტრინაციით უკავშირდება ჯაჭოხეთში მოთავსებულ ცოდვილთა ამბები. აპ. ცანავას მიერ შთქმ. წ. ერპისაგან ჩაწერილი მოკლე ნიმუში (ქ. ბ. ნ. II, გვ. 259) შემდეგი აფორისიტული სიტყვებით მოავრდება:

რა გააძღობს კაცის თვალსა, ზღვა სვას და  
კამოს ქვიშა,  
მაშინ გაძლა კაცის თვალი, მიწით აუმსებენ  
პირსა.

აშკარაა, რომ განხილული ლექსი გაბაასების ნიმუშია — არის დიალოგი, კამათი ურთიერთდაკანების მიზნით, შურის ჩაგდება, ურთიერთსაყვედური, დრამატიზმი. გამარჯვებული გამოკვეთილი არაა, მაგრამ აშკარად იგრძნობა სულის უპირატესობა. გაბაასება შეთხზულია ხალხური პოეზიისათვის ნიშანდობლივი თექვსმეტმარცვლიანი შაირით.

უნდა გამოვეყოთ გაბაასების ნიმუში — „ციეზის ლექსი.“

ხალხს ავადმყოფობანი პერსონიფიცირებული სახით მყავდა წარმოდგენილი. თავისი წიგნის ექსკურსებში ვ. კოტეტიშვილი ციების შესახებ შენიშნავს: „ქართული ხალხის წარმოდგენით, ციება არის ჩონჩხად ქცეული არსება, რომელსაც სიცოცხლის ნასაბი აღარ ეტყობა და რაღაც განგებით მოძრაობს. ციებ-ცხელებას წარმოიღვენენ ჩვენში სამი ძმის, სამი ავი გენის სახით, რომელნიც ყოველ გაზაფხულზე თავს იურიან გუმბრის კართან და აქედან იწყებენ მოგზაურობას. ერთი მიემართება ქართლისკენ, მეორე კახეთისაკენ და მესამე სომხეთისაკენ. ზამთრის პირს ის ავი ძმები ისევ გუმბრაში იურიან თავს.“ (ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი გვ. 290).

„ციების ლექსში“ განსაკუთრებულ პირად წარმოდგენილი ავადმყოფობა და ქალიშვილი კამათობენ. კომპოზიციურად ლექსი გაბაასებისათვის ნიშანდობლივ დიალოგურ პრინციპზეა აგებული, რაც ნაწარმოებს დრამატულ ელფერს აძლევს. ბ. ქიქოძის ვარაუდით, ლექსი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როცა საერთოდ იქმნებოდა ხალხში ციების წინააღმდეგ მიმართული შელოცვები (ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში 1952 წ. გვ. 165).

ბაასი ქალის მონოლოგით იწყება. იგი შეწუხებულია, ციებამ სანთელივით დააღწო და „დრამის“ წონა გახდა. „ნეტავი რად შევეუყარ-

ღი, ჩემში რა მოეწონაო“ — გამოთქვამს ვედურს ქალი.

ციება, გაიგონებს რა ქალის საყვედურს, მუქარით გამოუბრუნდება: ხმას ჩაგწვეტიონებ, დაგვიწყებ ლექსებისა და შაირების თქმას, სასიკვდილოდ მოგაქცევ და ოხრად დაგატოვებინებ შენს ჯარასა და ტარსაო. მის მუქარას გოგონას პასუხი მოჰყვება. იგი არ უშინდება მავნე არსებას. წუწყსა და ქურდს უწოდებს, რადგან უნებართვოდ შეღის სახლებში და მუსრს ავლებს ადამიანთა მოდგმას:

შეხვალ თუ არა ოჯახში,  
კანკალეზენ და ჩივიან,  
აქაწყაწებენ კბილებსა,  
წელი უწყალოდ ტკივიან,  
სიცხე აღმურში ჩააგდებ,  
მღელარე ცრემლი სცვივიან.

ციებას არ მოსწონს ქალის ასეთი სითამამე. განრისხებული ცდილობს გამოავლინოს მთელი თავისი სისასტიკე და უმწეო არსებას შვეს სუადარში გახვევასა და სიკვდილს უქადის.

ქალი მაინც არ დრკება. ცდილობს გაუმკლავდეს ციებას. მის მუქარას მურია ძაღლის ყუფას ადარებს, თავის მფარველად კი ხატსა და ჭვარს ასახელებს.

არ მიძიძინე შენი მუქარა,  
ვითომ ძალი ჰყვეს მურია,  
მე შენ ვერ დამიჩაოთინებ,  
თუ ვარ ყოჩალი ქალია.  
და მყავს შემწეულ და მფარველად  
ჩემი ხატი და ჭვარია.

ციებასთან ადამიანის გაბაასების თემაზე თეიმურაზ პირველს შეუთხზავს 24 ტაქიანი ლექსი „შედარება ციებისა და მღვდელისა“, ხოლო მე-18 საუკუნეში პოეტ ქალს მანანას შეუქმნია „მანანასაგან ციების ბაასი“. მკვლევართა აზრით (ა. ხახანაშვილი, მ. ჩიქოვანი, ბ. ქიქოძე) ამ ნაწარმოებთა წყაროს ხალხური ლექსი უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას ციების ამსახველი გაბაასების ციკლის ლექსების ფოკლორული წარმოშობის შესახებ. მათ მოუმზადეს ნიადაგი დასახელებული ლიტერატურული თხზულებების შექმნას. ლიტერატურული გახალხურებულ ვარიანტად კი მიგვაჩნია ექ. თავაიშვილის მიერ გამოცემულ კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ. III განყ. II, გვ. 146) დაბეჭდილი სულ ორიოდ კითხვა-პასუხის შემცველი მოკლე გაბაასება „ციება და მანანა.“

ამრიგად, გაბაასების უანრის უძველესი ნიმუშები მითოლოგიურ პოეზიაში იძებნება, მას აქვს მკვიდრი ეროვნული ნიადაგი, მხოლოდ შეხამდა აღმოსავლური ლიტერატურის გავლენამ ხელი შეუწყო აღნიშნული უანრის პოპულარობას აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში.

# ედიშერ გიორგაძე

## ქართული სიტყვის ქანდაკარი

„დიდი ხანია მინდოდა დამეწერა და აბა, დავწერე“.

გ. შატბერაშვილი

ქართული ლიტერატურის ქრონიკებში ვკითხულობთ ერთ მეტად საინტერესო ცნობას: 1919 წლის 9 ნოემბერს, ვერის უბანში (დღევანდელი არაგვის ქუჩა, № 25), პოეტ ვარლამ რუხაძის ბინაზე მასპინძლის თავმჯდომარეობით შედგა მწერალთა კრება. მონაწილეობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ობოლი მუშა. მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — დაარსდა ეურხალო „ციხარტუშლა“. ამ კოხტად ნაშენ ორსართულიან სახლს, ასე ჩანს, დანათლებული ჰქონდა ლიტერატურული ტრადიცია. აქ გაატარა თავისი ცხოვრების დიდი წილი გამოჩენილმა ქართველმა კალმოსანმა გიორგი შატბერაშვილმა. აქ ჩამოყალიბდა მისი მწერლური მრწამსი, აქ დაიწერა ის ნაწარმოებები, რომლებიც შეადგენენ მისი შემოქმედების ხერხემალს. მთელი მეოთხედი საუკუნე ჩვენი ოჯახების სამყოფელს ჰყოფდა მხოლოდ ერთი კედელი. ამას გარდა, ბავშვობაშივე მომიხდა ყოფნა ბატონ გიორგის მშობლიურ კუთხეში, ამიტომაც ჩემი მეხსიერების სალაროს შემორჩა ბევრზე ბევრი მოგონება. ეს იყო ტრადიციული ქართული ოჯახი, მის გარემომცველთათვის სინდისიერების, სიმართლის, შრომისმოყვარეობის საზომად ქცეული. დილაობით ძველებურ ყიდაზე მარკინულად ქუჩაზე გამწვლევი სიარულიმ ქართულის ფანჯრებში შემაჩნევდა მაღალ, მუდამ დაფიქრებულ კაცს, ბოლოს რომ სცემდა განუშორებელი პაპიროსით. ასე სჩვეოდა მუშაობა ბატონ გიორგის. დროდადრო გაიხმოდა ხვედრდევანი ხმით წარმოთქმული მონოლოგები. ეს ბატონ გიორგის ძმა, ხიბლიანი იერის კაცი, ლეო შატბერაშვილი ვაჭარობდა. საღამოს ამ სახლის ბის კიბეს აივლიდნენ ქართული მწერლობის ღირსეული წარმომადგენლები და იმართებოდა სჯა-ბაასი ჩვენი ლიტერატურის საქართველო საკითხებზე. დილით კი ქუჩაში გამწვლევი კვლავ მოლანდვდა მაღალ, ფიქრიან კაცს, ბოლოს რომ სცემდა პირში გაჩრილი პაპიროსით, ერთხანს ჩაიშუბლებდა თავის ხელნაწერებთან, მერმე კვლავ

შეუდგებოდა ბოლოს ცემას. აგრე ვილოდნენ დღენი შატბერაშვილთა ოჯახის ცხოვრებისა.

არიან მწერლები, რომელთა ცხოვრება როდია დახუნძლული მრავალფეროვანი ბიოგრაფიული მომენტებით, მაგრამ რომელთა სულის წიაღი ისე ღრმია, რომ ყოველი, თვით უმნიშვნელო ცხოვრებისეული ზვირთიც კი მათ შინაგანობაში შეარჩევს გრძნობითა და აზრობრივ შრეებს და უზარმაზარ შემოქმედებით ტალღად ამთავორდება. სწორედ ასეთი კალმოსანი ვახლდათ გიორგი შატბერაშვილი. მის ლექსებში, პიესებში, მოთხრობებშია თუ წერილებში იმდენი თემა ხელშეხებული, რომ შეუძლებელია ეს ყოველი ცხოვრებიდან ყოფილიყო ერთიან აღებულებად. სხვაფერად კი გიორგი შატბერაშვილს ანთოსივით მკვიდრად ედგა ფეხი მიწაზე. მისი შემოქმედება საზრდოობდა მშობლიური კუთხის ლეგენდებით. მისი თხზულებები ჩუქურთმას იძენდა იქ მოსმენილი ბატონი ცნობილი კრიტიკოსი შოტლანდიელ მწერალ სტევენსონზე წერს, როდესაც იგი არქიპელაგ სამოას ნაპირებზე დასახლდა, დღეობდა და ზედავდა ზღვასა და ლიშონის ხეებს. წერდა კი შოტლანდიის ჯაგ-ბარდებიან ველებზეო. სწორედ ასევე, გიორგი შატბერაშვილის ყოველ თხზულებებში სკვივის თვალაღმოსწრელი განცდები და შთაბეჭდილებანი, რაღა თქმა უნდა, გამოირდებოდა ხალხური მისის სურს და ატანილ-აზიდული მაღალ ლიტერატურულ სფეროში. დიდია ძალი შატბერაშვილის ვარაუდანი სიტყვისა. მის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „შამალხინის სიკვდილი“ ვხვდებით ასეთ ადგილს: „ო, რა ტკბილი იყო შამალხინე, რა ჯაღო ჰქონდა მის სიტყვას, რა მარლი, რა თავბრუდამხვევი ეშხი. ვინ იყო მისი ღედა, ვინ ჩაამღერა ყურში ეს ქართული, საიდან ყოწავდა მისი ენის ძუძუ“ ეს სიტყვები ზედგამოჭრილია თვით გიორგი შატბერაშვილის ჯავარიან ენაზე. ხელოვნების პირველი მემკვიდრე, ჯორჯო ვაზარი, ფუნჯის ოსტატ ჭულიო რომანოს შესახებ ამბობს, მისი

სურათების ფერები ნამდვილი გეგონებოდათ, ხოლო ნახატებზე გამოსახული ოქრო-ვერცხლისაგან ნაეთები ნივთები — მართლაც ჩაოსხმული ამ ძვირფასი მეტალბიდანო. აგრე ხელშეახებია გიორგი შატბერაშვილის მერ ხალხური მეთველების წიაღიდან ამოკრებილი ხიტყვებიც. ვინ, ვინ და, გიორგი შატბერაშვილმა კარგად უწყულა აზრი იაკობ გოგებაშვილის ნათქვამისა, ჩვენი ეროვნების ძელი ვინს შერწინს გარეუტ ტაატი თვლისო.

გიორგი შატბერაშვილმა ლიტერატურაში სვედენიერად შემოღდა ფეხი. 1933-34 წლებში, რუსთაველის თეატრში წარმატებით იდგმება მისი პიესა „დუშმანი“. ქართული თეატრის სვეტი, ხანდრო ახმეტელი, მისი მისამართით წარსთქვამს ახალგაზრდა მწერლისათვის მარადსახსოვარ სიტყვებს. „ნეტავ მეღო მქონდეს ჩვენი ხალხის ღირსეული წარსულის ამსახველი ისტორიული პიესა“. მიუხედავად ამისა, გიორგი შატბერაშვილი არ ებმება სახელოვნების ცდუნებით აღსავსე ლიტერატურულ ფერულში. უბრუნდება მშობლიურ სოფელს და ეწყება სოფლის მასწავლებლის თუმც საპატიო, მაგრამ საკმაოდ მძიმე უღელს. ასწავლის და თავადაც სწავლობს. დიდი ძალისხმევით განხორციეს ხალხის წიაღში წომაღულად გადმოცემათა თუ სიტყვათა მადანს. აქ ისახება სამერმისოდ მისი გრძნობით გამოზარა ლექსები, ზნეობის მქადაგებელი პიესები, ხატოვანებით საჩინო მოთხრობები, აზრით დატვირთული ესეები. „რომ წერდე, უნდა სწავლობდე“, იტყვის შემდეგ იგი ერთ თავის თხულებლაში და ამ გამოთქვაში უნდა ვეძიოთ მისეული ცხოვრების ფილოსოფია.

ამ შესანიშნავი პროზაიკოსის შემოქმედება იწყება ტრადიციისამდე ხარკის მიმწავლელი სპროგრამო მოთხრობებით „ჩემს ძველ სახლში“ და „ჩემი ძველი სახლის თავზე“, რომელთა დედააზრი უკვე სათაურშივეა მოცემული; გასრულდება კი იმეამინდელ ახალ ლიტერატურულ ნაკადს ნაწიარები, ახალგაზრდული სიმძაფრით, სათაურშივე გამოსახული ფერთა კონტრასტულობით დაწერილი მოთხრობით „თოვლში შავი მოკისინებით“.

მისი მწერლური არსის ხატოვანად წარმოსახენად შედარებისათვის მაგალითს დავსესხებთ ვოკალური ხელოვნების სვეტოს. გიორგი შატბერაშვილის მწერლობა იწყებს ბარიტონის ასოციაციას. მის მწერლურ ხმას ტენორისებრი მქეპარებისა და ბანისებრი გუგუნის ნაცვლად მომადლებია ბარიტონისებრი მკერდისმიერი ბეგრა და განუწოვლად ლაშა ტემბრი, მიუცილებელი ამბეს მოთხრობელისათვის.

ყოველ მთავრებულს თავისი მწვერვალები აქვს და გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების მთავრებულზეც ორი მწვერვალი ჩინობს განსაკუთრებით. ასეთია ბრწყინვალე მოთხრო-

ბა „მკვდრის მზე“, შემოული ბელინის ღრმად და სვედიანი მელიოდის დარი ლიტერატურული პასუებით. სიკვდილის თემა ერთმანეთს თავრესთავანა ყოველი მწერლისათვის. ბატონი გიორგიც დიდხანს უტრაილებდა ამ თემას მის ადრინდელ ლექსებსა თუ მოთხრობებში. „მკვდრის მზე უკვე აღარ აშუქებდა ტყვისებრად აღაძმულ ქალბა ქედებს“, წერს იგი თავის მოთხრობაში „საუკუნო საუზალი“. „მზე ღამაზია, როცა ამოდის, და უფრო კარგი, ჩადის როდესაც“, აბლობს ის ერთ-ერთ ლექსში. თქმულბაზე დაუბრუნობთ შექმნილი ეს ნაწარმოები, სადაც კლასიკური მანერა თხრობისა შეზავებულია დროით პლანების მონაცვლეობის თანამედროვე მანერასთან, შესულია ქართული მწერლობის ოქროს ფონი. აქ განორციელდა მწერლის იდეალი, მოხდა სიღამაზისა და სისადავის შეერთება. დიდი შთამბეჭდაობით არის გადმოცემული საჭილადო ქვახთან ჭიდილი, შეჭიბრი ცოცხალი აღამიანისა მკვდართან, რომელიც შეეწირა აღამიანური სალ-ლონის ზღვართა გადალახვას. გასაოცარი მხატვრობით არის დახატული ხიზამბარელის სიკვდილის სცენა, რომელიც თვით არსაკიძისა და გიორგი მეფის სიკვდილის სცენების დარია. მკითხველს მარად დარჩება მესხიერებაში გოლიათი ხიზამბარელის უკანასკნელი სიტყვები, „სირცხვილ არს სიკვდილი“. ამ მოთხრობის შექმნით გიორგი შატბერაშვილმა თავად აწიდა დიდი ლიტერატურული საჭილადო ქვა. „უძრავი, ცივი და ღუბრკი ლოდი მუარად ჩამქდარიც მიწაში, მძიმედ, და პირქუშად იღო იგი მოედნის პირას, თითქმის არც დადგრა არავის, აღბათ კიდევ დიდხანს უნდა გაევილო, რომ მისი ამწველი გამოჩინილიყო“, ვკითხულობთ „მკვდრის მზეში“ და ეს სიტყვებიც უთუოდ წედგამოჭრილია ამ სტრუქტურების ავტორზე.

მისი შემოქმედების მეორე მწვერვალი ვახლავთ „ეაშინიკი, ანუ თვალდური ლექსიკონი“. ვინ მოსთვალოს, რამდენი უმართებულად დავიწყებული ქართული სიტყვა გამოიტანა ამ წიგნის შემდგენელმა საშეგოვე და შეაქერა იმერულ, რაჭულ, ხევსურულ და სხვა დაღეჭტბებს. ამ ლექსიკონის ყოველი განმარტება, სადაც დადგენილია სიტყვის მნიშვნელობაც, გადუბარებულად შეიძლება ითქვას, ლექსის სტროფსა თუ მხატვრულ მინიატურას მოგვაგონებს.

აი, ორიოდ მაგალითი, ჩვენსმიერი ეპითეტის მაღალსტრებელი:

„უნძრევარი — მტკიცე, შეურყეველი. „შენამც ყოფილიყავ უნძრევარი ქართველი, რომ რკინის კეტიც შემოეკრა და არ შერყეულიყო“ (სუფრაზე გაგონილი)“.

„უფლია, უფლისა — სახეთითი და თავთითი აღამიანი. ორი ასეთი კაცი იყო კავთისხევში. ორივეს ხან უფლიას, ხან უფლისას



ეძახდნენ. „უფლია“ და „უფლისა“ მტკსახელებო არ უნდა იყოს. იქნება ალბინოსს ნიშნავდეს“.

გარდა ხალხი მწერლური ნიჭისა, გიორგი შატბერაშვილი დაჯილდოებული გახლდათ დიდებული პიროვნული თვისებებით... იგი არასოდეს ყოფილა ვინმეს კამარლიის წევრი. იყო დაუნჯებული, ოღონდ ქმედითი, ჩუმი და სიტყვაძვირი, ოღონდ სიმართლის პირში მიმხლელი. დამთმენი, ოღონდ არა შორჩილი.

ერთმა კრიტიკოსმა კნუტ მამსუნის გარეგნობა შეადარა გარეგნობას ვეილისა, რომლის სახეზეც გამოხატული იყო დიდი სიმკაცრე, დიდი სიმართლე და დიდი სინდისიერება. ასეთი იერისა გახლდათ გიორგი შატბერაშვილიც... მისი ერთი თვალის შევლენა საკმაო იყო, რათა სწორ ყალიბში მოექცია ფიქრგამორუდებული ძე შეცთომილი.

საკუთარი თავის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით აღვსილი, ასეთივე იყო სხვათა, დიდთა თუ მცირეთა მიმართაც. ამის მკაფიო მადასტურებელი მაგალითია მისი ახლობლობა ახალგაზრდა მწერალ ჟურკამ რჩეულიშილთან. ბატონი გიორგი იყო მისი თანამდგომიცა და პირუთვნელი მსაჭულიც, ხოლო მისი ტრაგიკული აღსასრულის მერმე გიორგი შატბერაშვილის მიერ დაწერილი ესევე ქართული შემუარული ლიტერატურის მარგალიტია. გიორგი შატბერაშვილი წერდა წერილებს ბაღდათში ჭერ კიდევ უმანწილ პოეტ ტაგუ მებურიშვილს, დაუწარლად აძლევდა რჩევადარიგებებს. მან ჩააგონა იმხანად დამწყებ პროზაიკოსს, სულხან ქეთელაურს შეედგინა ხევსურულ თქმათა ლექსიკონი. ბევრი რამ გააკეთეთ, უფრო სწორად გამაყეთებინა ამ ადამიანმა, — ვანაცხადა შატბერაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ქეთელაურმა. გიორგი შატბერაშვილს ფანატურად უყვარდა ლიტერატურა და მისადმი სამსახურს აუენებდა ყველასა და ყველაფერზე მაღლა. თავის წერილში „ლექსი და სახლი“ იგი მოკვითხრობს თუ როგორ ეწვია ერთი ახალგაზრდა მელექსე და მიუტანა უმწიფარი ლექსები. კარგანის მერე იგი კვლავ სტუმრებია მწერალს.

ამჭერად უკვე ჰქადარეოთლი. უამბნებოცოლ-შვილს მოკიდა, საკუთარი ხელთ შენა სახლი და ასე შემდგომ. ლექსები კი კვლავ უმწიფარი მიუტანია. რაოდენ მოიგებდა მისი ლექსები, ის ენერგია, რაც სახლის შენებას შეაღია, პოეზიისათვის რომ შეეწირაო, დანანებით ასკვნის ავტორი.

ყოველ ჭარისკაცს ჩანთაში გენერლის კვერთხი უნდა ედოსო, ამბობდა ერთი ცნობილი მხედართმთავარი. სახელოვანი ქართველი გენერლის; გიორგი მაზნიაშვილის მიერ ხელდასმულმა (როგორც მწერალი თავის წერილში, „ჩემი პირველი მსაჭული“, აღნიშნავს: სწორედ ამ პიროვნებან იგძწო პირველად მისი ნიჭი და ლექსების პირველი რვეული წაკითხა ჩვენი ლიტერატურის ქურუმს, მიხილ ჭავჭავიშვილს) შეადგინა მისდროინდელი მწერლობის სარდალთა რიგებში, მაგრამ სწორედ ამ დროს მოცელა სიკვდილის მსახვრალმა ხელმა. „მარჯანი იზრდება და ივსება, პალმა ისწრაფის ზემოთ და ზემოთ, ადამიანი კი კვდება“. ამ აღმოსავლურ ანდაზაში დიდი სინანულია დატეული ადამიანის ბედის გამო.

გიორგი შატბერაშვილის სიკვდილის მერმე მის გამო დაწერილი წერილებიდან გამორჩეულად შთაბეჭდავია მწერალ ოთარ ჩხეიძის მოგონება, განსაკუთრებით კი ბოლო სტრიქონები: „თუ მართალია პოეტი უთუოდ სიმღერით კვდებაო, მისი სიმღერა იქნებოდა „მზე ჩადის, ტივი დაშლილა, მივცურავ ერთი ტივის ხე“.

კრიტიკულ-შემუარულ ლიტერატურაში ლათინურმა ფრთიანმა თქმებმა ხშირ შემთხვევაში კანონიერად დაიშვიდრა არა მხოლოდ ეპიგრაფების, არამედ ბოლო აკორდების აღგილიც. ამ ტრადიციის მიდევნით მოვიხმობთ ძველ რომელ ტაციტუსს, ვისაც ეკუთვნის დიდი ხატოვანების დამტევი გამოთქმა: „ბრწყინავს თავისი არმყოფობით“.

გიორგი შატბერაშვილი, რომლის თავანკარა მწერლურ ნიჭსა და მოქალაქეობრივ ღირსებებს მუდამ მოისაკლისებს ჩვენი მწერლობა, ჩინობს ქართულ ლიტერატურაში თავისი არმყოფობითაც.





# რამდენიმე ღღის გასახეობა

ამ ოციოდე წლის წინათ, 1960 წლის 5 აგვისტოს გურამ რჩეულიშვილი, ჩვეულებრივად მებრ, ჩემთან, მუზეუმში ამოვიდა, მაშინაც თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვმუშაობდი.

უგუნებოდ ვიყავი.  
გურამს ვუთხარი:

— თბილისში ყოფნა აღარ მინდა, გაგრაში ვაპირებ წასვლას შევებულებით (გაგრაში იმუშაობდი ექიმად მუშაობდა ჩვენი მუზეუმის თანამშრომლის, გივი შეჭველიას ძმა დიმიტრი — დიმა, იმასთან ვაპირებდით მე და გივი წასვლას).

გურამმა ჩემი დანერგვა რომ ვაიგო, გავიკრებოდა მკითხა, — როგორ, მე აქა მტოვებ? იმხანად მე და გურამი თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით, დღე თუ ვერ მნახავდა, ღამის სათევად ჩემთან ამოდიოდა ჩუღურეთში.

მეორე დღეს წავიდა დეიდა მაროსთან (გურამის დედასთან) მოსალაპარაკებლად.

გურამი შუშაბანდში დაშვდა, წელსვეითი შიშველი, ტრუსებში.

ლაშაში ტანი მქონდა: სწორი, მაღალი ფეხები, მხარბეჭიანი, მაღალი ყელით. ანტიკური ხანის ქანდაკებას გავდა.

დეიდა მარომ, იცოდა რა გურამის დაუდგრომელი, ბოხოქარი ბუნების ამბავი, პირველად უარი მითხრა (მე ვლაპარაკობდი, გურამი ჩემად იყო და გვისმენდა), მაგრამ ბოლოს, დიდი ზეწვა-მუდარის შემდეგ, დეიდა მარო ენლა ჩემს „სილარბაისლეს“ და დავითანხმე. გადაწყდა: მე და გურამი ერთად მივიდიოდით გაგრაში.

იმწუთშივე გავვარდი რკინიგზის სადგურში, გაგრის ბილეთები შევიძინე.

შეთანხმდით, რკინიგზის ბაქანზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ახლა აღარ მახსოვს, თბილისიდან გაგრის მატარებელი რომელი საათზე — რვაზე თუ ცხრაზე — გადიოდა. გურამი დათქმულ დროზე არ მოვიდა. შინ დავურტყე: გურამი არც შინ არ იყო, დეიდა მარომ მითხრა, სახლიდან დღითი გასული ჯერაც არ დაბრუნებულა და ნუღარ დაელოდებიო. გურამის ბილეთი სალაროში დავაბრუნე.

მე და გივი შეჭველია გაგრაში გავემგზავრეთ.

გივის ძმა დიმა ახალ გაგრაში იდგა ნაჭირავე ბინაში, სომხის სახლში.

რვა აგვისტოს დღითი ძახილმა გამაღვიძა. ლოგინიდან წამოვდექი, გარეთ გავიხედე, ეზოში გურამი იდგა მოციინარი სახით, მხარზე შემოდებული ჩემოდნით.

... გურამი კარგად, ლამაზად ჩხუბობდა.

მახსოვს, გაგრაში ყოფნისას წალაპარაკება მოგვივიდა თბილისიდან ჩამოსულ ორთაქალებელ ბიჭებთან. ოთხი თუ ხუთი ბიჭი იყო. საქმე ჩხუბამდე არ მიხვალა. გაოგნებული ვუყურებდი, როგორ ართმევდა გურამი ყველას ხელს და თან თავის სახელსა და გვარს ეუბნებოდა: გურამ რჩეულიშვილი! არ ვიცი, ისინი ამ გვარსა და სახელში რა ძალას გრძობდნენ, ერთი კია, გურამ რჩეულიშვილის გაგონებაზე „წყენარდებოდნენ“.

გურამი მეტად თავაზიანი იყო, მითუმეტეს თავისზე უფროსების მიმართ.

მეორე თუ მესამე კურხის სტუდენტები ვიყავით. მე, გურამი, რეზო ერისთავი და კიდევ რამდენიმე ჩვენი თანაკურსელი ბიჭი ვაკის სასაფლაოზე ავედით, დედაჩემის საფლავზე...

ვაკის სასაფლაოს შესასვლელის პირდაპირ მაშინ (ახლა ტურბაზისაკენ ასასვლელი გზა) იდგა ჭიხური, სადაც იყოდებოდა ღვინო, უკელი, ძეხვეულობა.

ჭიხურის უკან შემოღობილ პატარა ეზოში ხის ყუთზე ჩამოსხდარნი სვამდნენ ღვინოს სასაფლაოზე მოსული ქალაქელები, წუნეთელები თუ ბაგელები.

სასაფლაოდან რომ გამოვედით, ჭიხურთან ცხენშებმული დროგი იდგა. გურამი საზოგადოდ ცხენს გულგრილად ვერ უყურებდა, ახლაც ცთუნებას ვერ გაუძლო, დრო იხელთა, მოახტა დროგს, მიუშვა სადავეები და დროგი წუნეთისკენ გააქანა. დროგის ხმაურზე ჭიხურის ეზოდან გამოვივიდნენ (როგორც მერე გაირკვა, დროგის პატრონი და მისი თანამისუფრენი ბაგელები).

მედროგეს ერთ ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა, მეორეში კი გრძელი მათრახი. იგი ლანძღვა-გინებით გამოვიდა დამრულ დროგს და ღვინით სავსე ჭიქა გურამს ესროლა. მის ყვირილზე გურამმა დროგი შემოაბრუნა და პატრონისაკენ ნელი ნაბიჯით წამოიყვანა. რო-

გორც კი დროვი გაჩერდა და გურამი გადმოხტა, მედროვისაგან მოქნულმა მათარხმა ზუილით გააპო ჰაერი და მათარხის თანხა გურამს უელზე შემოეხვია. მედროვემ მათარხი წინ წასწია, თანხა მიუშვა, მერე მათარხი თავისკენ მოწია. გურამის მაღალ უელს თანხა ისევ სწრაფად მოეშვა, როგორც წემოეხვია. მათარხს გურამის უელზე ორი წითელი რგოლის ნაწებები დაეცვივნინა.

უველივე ეს თვალისდახამხამებაში მოხდა. ამის დამნაშავებმა, ჩვენ ჩოჩქოლი და მიწვე- მოწვევა ავტებეთ.

გურამი, ალბათ, ძალიან დიდ ტკივილს გრძობდა, მაგრამ ამას არ იმჩნევდა. არც კი განძრეულა, იღვა, მიუენებული ტკივილისაგან და შეურაცხყოფისაგან შემცბარი, წამოწით- ლებული და ილიმბოდა დამნაშავესავით.

დროვის პატრონს, ხანშიშესულ კაცს, ერთი ხაძრახისი სიტყვავე არ აკარა. გურამის ასეთ- მა საქციელმა უველზე იმოქმედა, ჩოჩქოლი და აუღამაჟალი სწრაფად ჩაეხრა.

ერთხელ, ერთ-ერთ ლექციაზე, მახსოვს, ლექტორმა ლაპარაკისთვის ლექციიდან გააძევა ჩვენი თანაკურსელი ქალიშვილი. აუდიტორია გაინაბა. ამ სამარისებურ სიჩუმეში მოულოდ- ნელად გაისმა ფეხის ხმა. უველამ თავი იქით მივატრიალეთ, საიდანაც ფეხის ხმა ისმოდა; თავდაბრილი, ოდნავ წამოწითლებული გურამი პროტესტის ნიშნად აუდიტორიას ტოვებდა...

თუ მეხსიერება არ მდალატობს, ეს იყო 1955 წლის აგვისტოს შუა რიცხვები.

მე ბორჯომის ხეიმიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. იმ დღეს საკმაოდ გრილია, კოსტი- უში მეცვა. პლენხანოვის გამწირზე მივდიოდი, ცენტრალურ ფოსტასთან გურამი და ქართ- ლოს სვანძი შემხვდნენ.

გურამი ხოვლეში არქეოლოგიურ ექსპედი- ციაში გათბრებზე მიდიოდა. ხალამ-ქალამის შემდეგ გადაწვეტიტთ, ალგვენიშნა ჩვენი შეხ- ვედა. არდადეგები იყო.

დიდი ხანი იყო, არ გვენახა ერთმანეთი. აკადემიის სატვირო მანქანით წავედით დი- დუბეში, პლატონას ღუქანში.

ექსპედიციიდან დაბრუნებულმა გურამმა უნი- ვერსიტეტის პირველი კორპუსის ერთ-ერთ აუ- დიტორიაში წავკვითხა ლექცია-მოსხენება ხოვლეში გორა-ნაოსახლარზე წარმოებული არქეოლოგიური გათბრების შედეგების შესა- ტებ. თანაკურსელებთან ერთად მოხსენებას ესწრებოდნენ ჩვენი ლექტორები: ოთარ ჭაფა- რიძე და აწ განსვენებული ტარხიშვილი ჩუბინა- შვილი.

გურამს მოხსენება საერთო რვეულში ჰქონ- და დაწერილი, მაგრამ ზეპირად საუბრობდა. მოხსენება საინტერესო გამოვიდა.

გურამმა სავსე ცხოვრებით იცხოვრა, ცხოვ- რება რომ შეეგრძნო, იგი უველა პერსიფაჟს

თვითონ „თამაშობდა“, ამიტომ ბევრს, უნდა მას ახლო არ იცნობდა, მისი მოქმედება ალღე- ზიანებდა. ამ დროს კი გურამი იყო საუბრობ- უფაიზი, დამოკიდებულებაში სუფთა, ნაღდი კაცი და მეგობარი.

უნივერსიტეტიდან გამოხულს ხშირად მინა- ხავს გურამი ნაყინით ხელში. ნაყინი ძალიან უყვარდა, პატარა, მსუნავი ბავშვავით შექ- ციოდა ხოლმე.

უველთვის მწად იყო, დაუფიქრებლად გაე- წირა თავი ახლობლისათვის. მახსოვს, ერთ სუ- სხიან და თოვლიან ზამთარში უნივერსიტეტში თავის ახლომელ ხევსურს, რომელიც უსა- ლტოლ დედოფალ, თავისი პალტო აჩუქა, თვი- თონ კი მთელი ის სუსხიანი ზამთარი უსა- ლტოლ გაატარა.

გურამს ჩვეულებად ჰქონდა, როცა შინ მუ- შაობდა, ოთახში ჩაიკეტებოდა და არავის ილ- ებდა გარდა ახლობელი მეგობრებისა. მე ბედმა წილად მარგუნა ბედნიერება, იმათ რიცხვში ვყოფილიყავი, ვისაც მუშაობის უამს გურამ- დამ მისვლა შეეძლო. გურამის ოთახის კედლე- ბი და ჰერი კოცა იგნატოვის და თემო ჭაფა- რიძის ნახატებით იყო დაფარული.

ხშირად მინახავს კოცა და თემო, რომელთაც სქულ ქალაღწეუ საგნითა და ფანქრით შეს- კულელებული ნახატები მოჰქონდათ. ნახატების გაკვრა ოთახის კედლებზე და ჰერზე გურამის მითითებით ხდებოდა. ნახატები სხვადასხვა შინაარსის და სიუჟეტის იყო, მაგრამ ძირითა- დად მათზე, ანახული იყო მოუცკავი, გიტარაზე და ტრუბაზე დამკვრელი წაგები.

ოთახში შესასვლელიდან მარჯვენა კედლის ბოლოში გურამის სამუშაო მაგიდა იყო, მის გვერდით პატეფონი იდგა; თავისუფალ დროს გურამი უკრავდა ფირფიტას (რატომ- დაც ამოჩემებული ჰქონდა და ხშირად უკრავ- და „უკარაჩას“) და რაც შეიძლებოდა მაღალ ხმაზე. გურამი მაგიდასთან მდგარ სკამზე იჯ- და და თამაქოს თითქმის ჩაუქრბლად აბო- ლებდა. როცა თავის მოთბრობებს მძლევ- და წასაკითხად, მაგიდის მარჯვნივ მდგარ სავა- რძელში ვჯდებოდი და ვკითხულობდი, მაგრამ უფრო ხშირად თვითონ მიკითხავდა ლექსებს „იირინას“ ციკლიდან.

რამდენიმე თვის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა. ერთ კვირა დღეს დილაადრიადად მამაჩემმა გამაღვიძა, ჭურტიდან გეძახიანო.

ავდექი, გავიხდე, ქუჩაში გურამი და მალ- ხაზ მიქაძე დიდგენ. სასწრაფოდ ჩავიცვი, ქვე- ვით ჩავედი.

გურამი იმ დღით ჩამოფრენილიყო მოს- კვიდან, ჭერ მალხაზთან (მალხაზი მისი თანა- კლასელი იყო) მისულა და შემდეგ ორივე ჩემ სანახავად წამოსულან.

გურამს თავზე მეწვლეურის თუ მფრინავის ქული ეხურა. წელზე კი ატლახის ქსოვილის

შავი ფერის ფართო სარტყელი ერთკუთხედიანი ბოშა ქალს ერუქებიან.

გურამის ჩამოსვლის აღსანიშნავად კირიჩნეწველით. ჩემს სახლთან ჩუღურეთში ერთი ნიწმუნავილედ ქუჩაში დაწული კალათით მწვანე-ნიწმუნავი — ტარხუნა და წიწმუნავს უილდა. ჩვენ ერთი კონა ტარხუნა ვიყიდეთ და პლდ-ხანოვზე გავწვიეთ. მოედანთან ახლოს (ახლა იქ საკლემენეა) ლუღბანაში შევედი. მოვიტა-წეთ სამი კათხა ლუღი. ამ დროს, სად იყო და სად არა, ლუღბანაში შემოვიდა იმეპანიდელი თბილისის ლუღბანების და სამოქიანების (სასაუზმების) ლაშაო და ეშხი, ძველი თბი-ლისის „უკანასკნელი მოქიანი.“ მეოუვერ ერ-ვანდა მოსულს თევზის ჳერის ჳანი და თავი აღარა ჳქონდა და ახლა თევზეულის უიდე-გაყიდვით ირჩინდა თავს.

ძია ერვანდას დაუფიქრე. ვთხოვე სამი ცალი კარგად გამოუვანილი შამაია მოეცა. ერვანდამ კალათიდან სამი თევზი ამოიღო, მერე სათი-თაოდ თვალთან მიიტანა და მწეს გახედა. შა-მაიას სინათლე გასდიოდა და მწის სინათლეზე ქარვასავით ანათებდა. თევზები მრგვალ, მა-ნად ფეხებზე შემდგარ მავილაზე დაგვიწყო. მე ძია ერვანდას ვუთხარი, ძმაცკი ჩამომოვი-და-მეთქი. მაშინ ერვანდამ პატრივისციმის ნიშნად თვითონ „დაამუშავა“ თევზი.

ლუღბანაში დიდხანს არ გავჩერებულვართ, გურამის შინ წასვლა ეჩქარებოდა.

დავლოცეთ ერთმანეთი. შევვით ლუღი. გურამი ვერის ხიდამდე მივაცილეთ მე და მა-ლხაშმა და დავემშვიდობეთ. გურამი შინ წავი-და.

1960 წლის 21 აგვისტო იყო, გაგრიდან წამ-ოსასვლელად ვემზადებოდი.

რკინიგზის სადგურში გასვლამდე მე და გუ-რამი შინ ვიყავით. ეზოში გავედით და პირ-დაპირ მწვანე მოლზე დავსხედით. გურამი ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა. ახლა რომ ვუკვირდებო, იგი თითქოს აღსარებას ამბობდა, თითქმის უყვლა ჩვენს ძმაცკთან თავისი ურ-თიერთობა გაიხსენა, ზოგს ახასიათებდა, ზოგს კი არა. აქედან ერლომ ახველდნას და ზურაბ კიკნაძეს (როგორც მწერლებს)... იმ დღეს ეზ-ოში მეტად საოცარი, ჩემთვის მოულოდნელი რამ მოთხრა, რომელსაც, ჩემდა სამწუხაროდ, მაშინ ჳეროვანი ურადღედა ვერ მივაქციე.

—თემუშიკი, ერთხელ ქუჩაში შენ იმ დროს შემხვდი, როცა თავის მოკვდა ჳქონდა გადაწყ-ვეტილი. შენმა შეხვედრამ კი გადაწყვეტილება შემაცვლევინა.

გურამის ამ ნათქვამს არ დავფიქრებვიარ, ამ ამბის დაწვრილებით გამოკითხვა და დაწუ-სტება თბილისში ჩვენი შემდგომი შეხვედრი-სათვის გადავდეთ.

აღამიანებს რატომღაც ხშირად გვაიწყვებდა, რომ მოკვდავნი ვართ და ერთმანეთის ნათ-ქვამს ზოგჯერ მეტისმეტად ზერეღედ ვიქცე-

ვით, ურს არ ვუგდებთ, გაწვიადებულ ვი-ვით ვისმინთ ბევრ გულწრფელ ნათქვამს.

გურამი სიცოცხლის მოყვარული იყო, შეიძ-ლება ამიტომაც ვერ დავიჭერე, რომ თავის მოკვლა შეეძლო.

გურამი ბუნებით გულჩვილი იყო, მაგრამ ამის დაფარვას უოველთვის ახერხებდა ძლიერ-რი ნებისყოფის წყალობით. გაგრიდან. გამომ-გწავრებისას რკინიგზის სადგურზე გამოშყვა გასაცილებლად. სადგურში ბაქნის მორიგეშ ზარს მესამეტერ შემოკრა, რაც მის ნიშნი იყო, რომ მატარებელი ბაქნის ტოვებდა. მატარ-ებელი ნელა დაიძრა ადგილიდან. მე ვაგონის კიბეზე ვიდექი და გურამს ხელს ვუქნევდი. ძნელი დასაჭერებელია, მაგრამ ბაქანზე მარტო დარჩენილი გურამი ტირიდა.

წამოწვიამ. ვაგონის კუბეში შევედი. წავიამ უმატა. ფიქრებში გართულს ჩამეძი-ნა.

მატარებლის კვილმა. ბარბაციოთა და შენ-ჯღრევით გაჩერებამ გამოამაღიძა.

გარეთ კოისპირულად წვიმდა. ახლაც არ ვიცი, რომელ სადგურზე ვიყა-ვით გაჩერებულნი. ბაქანზე რამდენიმე ნათურა ბუტყავდა. ბაქნიდან ცოტა მოშორებით ცხად-ზე უცხადესად მესმოდა ქალის გულმეშვარავი ტირილი: კირისუფალი მეგარულ ენაზე მოთ-ქვიამდა.

ეს არ იყო მისტიკა...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით გაჩერებული. ბოლოს, როგორც იქნა მატარებელი ჳახუ-ნიოთა და ხმაურით დაიძრა. მის კვილს თან ერთვოდა სულისმეშვარავი, განწირული ადა-მიანის მოთქმა და გოდება.

თბილისის ჩამოველი თუ არა, იმ დღესვე ლარსის ქუჩაზე წავედი დეიდა მაროსთან, ვუ-თხარი, გურამი კარგად არის-მეთქი.

გაგრიდან ჩემი წამოსვლისთანავე გურამი დიმა შეძველიას ბინიდან ჳავის ბიძაშვილთან, ლამარა რჩეულიშვილთან გადავიდა. საღამოთი ძია მიშამ ტელეფონით საუბარი შეუკვეთა, მაგრამ უამინდობის გამო გაგარში სატელეფონო ხაზი გაფუჭებულიყო და გურამს ვერ და-ველაპარაკეთ.

1960 წლის 23 აგვისტოს თბილისის მუზე-უმში დამირეკა ჩვენმა ამხანაგმა ოტია ჩიქო-ვანმა, გურამის დაღუპვის ამბავი შემატყობინა. მე იმწუთოვე წამოვედი ჩვენს უახლოეს მე-გობარსთან გურამ გეგუშიძესთან, რომელიც იმ-ხანად მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა. იქ ჩამ-დენიმე ჩვენი ამხანაგი ბიჭი დამხვდა. ვერავის დეჩერებინა მისი დაღუპვის ამბავი.

გაგარში ჩემი უოფნის დროს გურამს თით-ქნის არ უხანავია. სულ ორჯერ თუ ხამქერ ჩავიდა ზღვაში. კარგად ცურავდა, მაგრამ ძა-ლიან მალე იღლებოდა. ზღვიდან ფერდაკარ-გული და დაღლილი ამოდიოდა. ურრებს და



სახეს დაეუწეღლი ხოლმე, სული რომ მოეთქვა.

მეორე დღეს გურამის უველა ახლობელი თუ ძმაკაცი ვაგრაში წავიდა; მე თბილისში დავრჩი.

მეგობრის დალუპავაში თითქოს მეც მდლო წილი: გურამი ხომ მე გამომყვა ვაგრაში.

გურამის დალუპავამდე რამდენიმე თვით ადრე, იმავე წლის ზაფხულში, ჩვენი მეგობრის ნოდარ ზედელაშვილის მამა გარდაიცვალა.

დაკრძალვას უველა ვესწრებოდით. მიცვალე ბუღის კუკიის სასაფლაოსკენ მივაცილებდით. კუკიის აღმართს რომ შევუყევით, გურამმა მხარზე გადაშვია ხელი და მითხრა, სურამის ციხეზე ტრაგედიის დაწერას ვაპირებო.

სასაფლაოზე აღარ ავსულვართ. გურამი, რეზო ერისთავი და მე უკან გამოვბრუნდით. ფეხით წამოვდით ვერისაკენ. ვერაზე წამოწვიმა, მდლიქიშვილის ქუჩაზე, აფთიაქთან სადარბაზოს შევაფარეთ თავი.

კიბის საფეხურზე ვიდექით და ვსაუბრობდით. არ მახსოვს, რატომ ან რამ მოიტანა (შეიძლება, დაკრძალვიდან რომ მოვდიოდით, იმ-

ის გამო) მე ვთქვი — ნეტავი როცა მოკვდები, წამომახედა და მაჩვენა, ვინ რას აკეთებს ან ვინ როგორ განიცდის და ტირის ჩემს ამქვეყნიდან წასვლას-მეთქი.

ამას რომ ვამბობდი, გურამმა გაიღიმა, ხელი მაგრად მომშვია, ჩამესუტა და მითხრა — მეც რამდენჯერ მიფიქრია, რა იქნება, რომ მოკვდები, ერთი წუთით გამაცოცხლა, შემახედა, ვინ როგორ განიცდის და როგორ დამტირისო.

გურამი უსაზღვროდ უყვარდა უველა მის ძმაკაცს, რისი დასტურიც გურამის დაკრძალვის დღე გახდა. უამრავი ჭირისუფალი აღმოჩნდა. აგვისტოს თვის იმ დღეს გურამს თავს აურაცხელი ხალხი დატრიალებდა.

გურამი მუდამ თანამედროვე იყო — როგორც თავისი შემოქმედებით, ასევე პიროვნულად. იგი მომავალი თაობისთვისაც თანამედროვე იქნება; მისი ბევრი ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რომლებიც გურამის უდროოდ შეწყვეტილ ცხოვრებას აგრძელებენ.





# გურამ ფანჯიკიძე

## მარადონა რეი

მექსიკის წლევანდელ ჩემპიონატში ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდებმა თავიდანვე მოიპოვეს მასურებელთა სიმპათია და სიყვარული.

რაოდენ სამწუხარო იყო, რომ ეს გუნდები თითქმის დასაწყისშივე შეხვდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი ხომ აუცილებლად უნდა გამოსთიშოდა ორთაბრძოლას. საოცარი სიტუაცია შეიქმნა. გულშემატკივრები თითქმის არ გაყოფილან ორ ჯგუფად. ერთი გუნდიც უკელას ენაწებოდა და მეორეც.

კიდევ ერთხელ ატყდა სერიოზული ლაპარაკი მსოფლიო ჩემპიონატის დღეს არსებული სისტემის ულოგიკოაზზე. უფრო მეტიც. უპარტიზოაზზე.

აბა. წარმოიდგინეთ. აქეთ ბრაზილია, რომლის ღირსებას იცავდნენ სოკრატესი, ზიკო, ფალკაო, უნიორი და სულ ახალგაზრდა ვარსკვლავები უოსიმასი, სეზარი, კარეკა...

იქით, პლატინი, ტიგანა, ეირესი. რომელი, ფერნანდესი...

მართლაც საოცარი სიტუაცია შეიქმნა. ვუყურებდით მატჩს და... ორთავე გუნდს ვგულშემატკივრობდით. ასეთი რამ იშვიათად ხდება ხოლმე გულშემატკივრებს შორის.

გამოტეხილად რომ ვთქვა, ძალიან დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი პლატინისა და მისი თანამებრძოლების მიმართ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ბრაზილიის გუნდს ვგულშემატკივრობდი. უფრო რომ გავსაფრო სათქმელი, კონკრეტულად გუნდს კი არა, მთლიანობაში, ბრაზილიურ ფეხბურთს ვგულშემატკივრობდი, რომელიც მე. პიროვნულად, სრულიად განსხვავებულ და უველაზე მაღალი რანგის ფეხბურთად მიმაჩნია.

ჭერ კიდევ 1970 წლის მექსიკის ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს განაცხადა ბრაზილიის

ნაერების ყოფილმა მწვრთნელმა. საფეხბურთო მიმომხილველმა უოაო სალდანიმ: „უკელას უნდა, რომ მეოთხედფინალში გავიდეს, მაგრამ ბრაზილიელთა გარდა, არავინ ზრუნავს თამაშის ხარისხზე.“

ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება ბრაზილიის ნებისმიერი გუნდის თამაშს. ბრაზილიური ფეხბურთი სილაშაის, რომანტიკის, იმპროვიზაციის, ფეხბურთელის ინდივიდუალური თვისებების გამომჟღავნების და ტემპერამენტის სიმბოლოდ იქცა.

ამიტომ იყო, რომ ესპანეთში ბრაზილიელთა მარცხის შემდეგ ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს დამთავრდა ჩემპიონატი.

ასევე მოხდა მექსიკაშიც, ოღონდ თავს იმით ვიშვიდებდით, რომ ბრაზილიას არ ვუშარტოლა საფრანგეთთან. უსიამოვნო განცდა გაცილებით მეტი იქნებოდა, ბრაზილიელებს რომ რომელიმე სხვა გუნდთან წაეგოთ.

ბრაზილია-საფრანგეთის მატჩი უველაზე დიდებული იყო ფინალური მატჩის შემდეგ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით მატჩის მნიშვნელობა კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ცალკეულ ეპიზოდებს და, აქედან გამომდინარე, მთლიანად მატჩს. ამიტომაც იყო, თითქმის უველა გულშემატკივრის. ფეხბურთის სპეციალისტის თუ ეურნალისტის სურვილი ფინალში არგენტინელების წინააღმდეგ ეხილათ ბრაზილია ან საფრანგეთი. ფინალის წინა დღეს ბრაზილიის და საფრანგეთის გავარდნის სინანულს პრესცენტრში კიდევ უფრო მეტი სინანულით გამოხატავდნენ ეურნალისტები.

მაინც რა დაემართა ბრაზილიას?

ვერ ვიტყვით. რომ ტელე სანტანამ სუსტი გუნდი ჩამოიყვანა მექსიკაში ან თუნდაც. ოთხი წლის წინ ესპანეთში. ოღონდ ეს კია, ზიკოს გარდა (რომელიც მექსიკაში დაშვევების გამო მთელი ძალით ვერ თამაშობდა) ბრაზილიის ნაერების თავდასხმაში აღარ არიან, კელეს რომ თავი დავანებოთ. ვაკას, ეიარზანოს,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ესკარა“, № 11.

რიველინოსა და ტოსტაოს სიძლიერის ფეხბურთელები.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიის გუნდი, ჩემის აზრით, მაინც უძლიერესი იყო ესპანეთშიც და მექსიკაშიც.

არც იქ გაუმართლა და არც აქ, მექსიკაში. გავიხსენოთ ფრანგებთან ორჯერ ძელი და, რაც მთავარია, ზიკოს მიერ გამოუყენებელი თერთმეტმეტრიანი დარტყმა. როგორც შემდეგმ პრესცენტრში თქვეს, ეს იყო თურმე პირველი პენალტი, რომელიც ზიკომ ვერ გაიტანა (ახევე, პენალტების სერიის დროს პლანინში ვერ გაიტანა თავის ცხოვრებაში პირველი პენალტი).

— თამაშში ორი წუთის შემოსულმა რატომ დაარტყა პენალტი? ვანა ელემენტარული პეშმარტიბა არ არის, რომ მატჩში ორგანულად ჩაურთველმა ფეხბურთელმა ასეთი საპასუხისმგებელი რამ ან უნდა იკისროს? — ლაპარაკობდნენ შემდგომ ყველანი.

— პენალტის დარტყმა არც კი მომხვლია აზრად, — განუცხადა მატჩის შემდგომ შურნალისტებს ზიკომ, — პენალტი წესით სოკრატესს უნდა დაერტყა, მაგრამ მან უცებ დამიძახა, შენ დაარტყიო.

პენალტების სერიების დროს პირველივე პენალტი სოკრატესმა გააფუჭა. ეს უკვე იყო მეორე შეცდომა. სოკრატესმა მსგავსი პენალტი გაიტანა პოლონელთა კარში. იგი სულ ორი ნაბიჯით მოშორდა ბურთს, ყოველგვარი გამორბენის გარეშე დასარტყმელად მოქნეული ფეხი ჰაერში გააჩერა, მეკარე წონასწორობიდან გამოიყვანა, მარცხნივ გადაახტუნა, ბურთი კი შემდეგ ნელა გაგზავნა მარჯვენა კუთხეში.

ძალზე ეფექტურად დარტყმულმა ბურთმა, რასაკვირველია, ყველას ყურადღებ. მიიქცია. მიშდლ იდაღლამ თავის მეკარესთან ერთად ბერჯერ „დაატრიალა“ სოკრატესის პენალტი ვიდეოზე.

და, მოხდა ის, რაც უნდა მოხმადარიყო, როცა სოკრატესი მხოლოდ ორი ნაბიჯით დაშორდა ბურთს, ფრანგების მეკარემ უკვე იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

ჩემპიონატის დღეებში და ჩემპიონატის შემდეგაც, როცა ბრაზილიელებმა და სხვა ქვეყნებშიც პროტესტი განაცხადეს ფრედ დამთავრებული მატჩის ბედის პენალტების სერიით გადაწყვეტის თაობაზე, ფიფას პრეზიდენტმა უთაო აველანუმა გაგულსებით თქვა: გუნდი, რომელიც სამ პენალტს გააფუჭებს, არც კი უნდა ოცნებობდეს ჩემპიონობაზეო. აველანუი, რასაკვირველია, თავის თანამემამულეებს გულისხმობდა.

ფრანგებთან პენალტების სერიით მარცხის შემდეგ ბრაზილიაში ორი ათასზე მეტ გულშემმატივარს დასჭირდა საავადმყოფოში წაყვანა

და მკურნალობა. შვიდ კაცს ნერვიულობისაგან გული გაუსკდა, მათ შორის იყვნენ ტელეხანტანას 82 წლის მამა. მას პენალტების სერიის ჩათვებისთანავე დაარტყა ინფარქტმა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

სხვათა შორის, ბრაზილიელთა ასეთი ემოციები არც არავის გააკვირვებია, მაგრამ როცა მექსიკელთთან თამაშის წინ გურის საფეხბურთო დელეგაციის მეთაურს ე. ბრანუნს ინფარქტი დაემართა, ხოლო საუნიმო ანგარიშის შემდეგ პენალტების შესრულების დროს გერმანელი შურნალისტი ვ. პოხონი ტრიბუნაზევე გარდაიცვალა, ვაოცებას ვერავინ მალავდა.

ერთი სიტყვით, ბრაზილიამ მშვენიერი გუნდი ჩამოიყვანა მექსიკის ჩემპიონატზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო ბრაზილიელთა დაცვა, ხადაც გამობრწყინდა ორი ახალი ვარსკვლავი ფოუსიმარი და სეზარი, დიდი მომავალი აქვს კარეკას და თბილისელთათვის კარგად ცნობილ ახალგაზრდებს ხილასსა და მიულერს (ამ უკანასკნელს მიულერი ცნობილი გერმანელი ფეხბურთელ გერდ მიულერთან საოცარი ფიზიკური მსგავსების გამო შეარქვეს).

და მოხდა საოცრება, უფრო სწორად, საჩემპიონატო სისტემაზე დაფუძნებული პარადოქსი, ხუთ მატჩში გუნდმა მხოლოდ ერთი ფრე გააყვია, მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა და... ჩემპიონატს გამოეთიშა. ამაზე შემოთ უკვე ვილაპარაკე და აქ მეტს აღარ გავაგრძელებ.

შეიძლებოდა თუ არა, რომ ბრაზილიელებს უეთვისი გუნდი ჩამოეყვანათ?

რასაკვირველია, შეიძლებოდა.

პირველი შეცდომა, რომელიც ბრაზილიელებმა დაღუშვეს, იყო ტელე სანტანას გუნდში დაბრუნება (ამ საკითხებზე მსჯელობისას, რასაკვირველია, ვხარგებლობ ბრაზილიელ შურნალისტთა მიერ პრესცენტრში ან გაზეთების ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრებებით).

ვანა იმითომ, რომ ტელე სანტანა სუსტი მწვრთნელია. იგი ოთხი წლის მანძილზე საუდის არაბეთში მუშაობდა. ბუნებრივია, ტელე სანტანა ოთხი წლით ჩამორჩა ბრაზილიურ ფეხბურთს. ჩემპიონატის დაწყებამდე სამი თუ ოთხი თვით აღრე, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა და გუნდი ჩამიარა, ბუნებრივია, ველარ მოასწრებდა „დასწეოდა“ ბრაზილიურ ფეხბურთს. ვერ გაერკვეოდა ბრაზილიური ფეხბურთის წყალქვეშა დინებებში, საფუძვლიანად ვერ შეისწავლიდა ოთხი წლის მანძილზე დაწინაურებული ახალგაზრდების თამაშს, მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებსაც შემდეგ ნაქრებში ერთმანეთს „მარაგებდა“.

ამიტომაც მან ორიენტაცია ისევ ძველ ფეხბურთელებზე აიღო, რომელთა თამაშსაც და პირვინულ თვისებებსაც კარგად იცნობდა.



სამართლიანად მიმართა პელებს განცხადება: ტელე სანტანამ ყველაფერი გააკეთა, რომ გუნდი მოეშვალებინა. ოთხ თვეში კი, ეტყობა, მეტი არ შეეძლო. ამიტომაც ვაღანაშაულებ არა ტელე სანტანას, არამედ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას.

ჩემის აზრით, ეტყობა, ტელე სანტანას გამართლება მაინც არ შეიძლება. ბუნებრივია, იგი არ უნდა დათანხმებულიყო, ჩაებარებინა ბრაზილიის ნაკრები ოთხწლიანი ვაკუუმის შემდეგ, გარდა ამისა, ეტყობა, ვეღარ დაამყარა სათანადო კონტაქტი ფეხბურთელებთან. არც კი პედაგოგური თუ დიპლომატიური ხერხები და მეთოდები მათ შეიშალა რეგულარულად. თან დროც აღარ ჰქონდა და ცაიტნაუტი იოლი გამოსავალი მონახა. ვისაც ვერ შეეწყო, გუნდიდან გაუშვა. მისი კატეგორიულობით გაცოფებულია რამდენიმე ფეხბურთელმა საკუთარი ნებით მიატოვა ნაკრები. აი ვინ გაუშვა გუნდიდან ტელე სანტანამ ჩემპიონატის დაწყების წინ: ლეანდრო, ედერი, სერჟო, ღირსეუ, რენატო. ეს ის ახალგაზრდა რენატოა, რომლის თამაშაც, შესანიშნავმა ფინტებმა და გარღვევებმა ძალზე მოგვხიბლა ბრაზილია-უნგრეთის ამხანაგურ მატჩში.

კიდევ უფრო შორს მიდის უსოო სალდანი. იგი შეშფოთებას გამოთქვამს: ბრაზილიაში, ჭკვიანაში, სადაც ყოველთვის უხვად იყვნენ ფეხბურთის აღიარებული დიდოსტატები, ახლა ვერცერთ ექსტრაკლასის ვარსკვლავს ვერ აღოვითო. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, — განაგრძობს სალდანი, — დღეს ახალგაზრდებს ფეხბურთი აღარ აინტერესებ, რით და დე უნეიროდან სან პაულუსდე 20 თასი საფეხბურთო მოედანი იყო, დღესდღეობით კი მხოლოდ ასილა შემორჩა.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ უკვე გადაწყვიტა შეცვალოს ჭკვიანის ჩემპიონატების ორგანიზაცია. მომავალი წლიდან აღმათ გუნდები ევროპელი კოლეგებივით კვირაში ერთხელ ითამაშებენ და არა სამჭერთ, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. თუ ჩვენ გვინდა ისევ დაუბრუნოთ ბრაზილიურ ფეხბურთს ძველი დიდება, არ შეიძლება საფეხბურთო ინტერესები ფინანსურ მოსაზრებებს დაუჭკვემდებართო. ბრაზილიელებს განსწრაფული აქვთ შექმნან სამი მულტიმექმელი ნაკრები: დიდების, ჭკვიანებისა და იუნიორებისა. ამ გუნდებმა კი ორ, მაქსიმუმ სამ თვეში ერთი საერთაშორისო მატჩი მაინც უნდა ჩაატარონ.

მექსიკაში ხმა გავრცელდა და ეტყობა, ამ ხმას აქვს რეალური საფუძველი, რომ ბრაზილიის ნაკრებს ფალკაო ჩაიბარებენ.

ქესიმიშთან ერთად ოპტიმისტური ხმებიც ძალზე შთამბეჭდავად გაისმის ბრაზილიაში. აი, რას ამბობს თბილისელთათვის კარგად ცნობილი სილასი, მსოფლიო ჩემპიონი ჭკვიან-

თა შორის: „ზიკოს, სოკრატესის, ფალკაოს, უნიორისა და ოსკარის წახვლა (რეპრეზენტაცია) ლია, უნდა მივუხატოთ ლეანდრო, სერჟო, ედერი, ღირსეუ — გ. ფ.) ისე უნდა შევმოდროდ დაგვასუსტებებს, როგორც ზოგიერთებს ბრაზილია და თუ კარგად მოვეშვადებით, ეტვიც არ მებარება, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატს უშევივლად მოვიგებთ. ბრაზილიური ფეხბურთი დღესაც საუკეთესოა მსოფლიოში. მექსიკის ჩემპიონატმა კი ახალგაზრდებს ბევრი გამოცდილება შეგვიძინა და ბევრი რამ დაგვანახა“.

გულწრფელად რომ გითხრათ, დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილიური ფეხბურთის მესვეურები მომავალი ჩემპიონატისათვის აუცილებლად გადაჭრად ყველა პრობლემას და უფრო ძლიერი გუნდით ჩამოვინდო იტალიაში. მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი ბრაზილიელთა წარუმატებლობასა, რომლის საფუძვლიანობა ძალზე სჭერა (ყოველ შემთხვევაში, ძალზე სჭეროდა) ფიფას პრეზიდენტს ბატონ უსოო აველანეს.

1970 წელს იგი მხოლოდ ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი იყო. აველანეი მექსიკის წინა ჩემპიონატზე ფეხბურთელებზე გაცილებით ადრე ჩამოვიდა მექსიკაში. წინასწარი მოსაშვადებელი სამუშაოები მოაგვარა და ყველა პრობლემა გადაჭრილი დაახვედრა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს. ჩემპიონატის გახსნის წინ კი ბატონი პრეზიდენტი რიო დე ჟანეიროში გაფრინდა.

გამგავრების წინ მეხიკოს აეროპორტში გასაცილებლად მოსულ და გაცილებულ უფრანლისტებს შემდეგი განუცხადა: „ვიცი, გაცილებული ხართ, რომ სამშობლოში მივემგავრები ზუსტად საფეხბურთო ფეხსის დაწყების წინ. მაგრამ რას იზამ, სამწუხაროდ, თარსი ფეხი მაქვს. მე ჩვენი ჭკვიანის ნაკრებს ვახლდინგლისში და ვერ მოვიპოვეთ ჩემპიონის გვირგვინი. ახლა კი წავალ და ბრაზილიაში ტელევიზორის ეკრანზე ვადევნებ თვალყურს ჩვენი ბიჭების გამარჯვებას.“

მას შემდეგ ვითარება შეიცვალა. ბატონი აველანეი უკვე დაწყების წინ ვეღარ ტოვებს მსოფლიო ჩემპიონატებს და რიო დე ჟანეიროში ტელევიზორის ეკრანებზე ვეღარ ადევნებს თვალყურს თანამემამულეთა ვირტუოზულ თამაშს. ახლა იგი ფიფას პრეზიდენტი და თანამემამულეთათვის თავისი თარსი ფეხი აღმათ აღარც აჯონდება.

ოთხჯერ ჩატარდა მას შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი. ოთხჯერვე მოეცარათ ხელი ბრაზილიელებს. არგენტინაში ისე აღმოჩნდნენ მესამე ადგილზე, რომ თამაში არ წაუგიათ. ესანეთში და მექსიკაში კი ბრაზილიის ბრწყინვალე გუნდი მართლაც რომ უიღბლობის გამო გამოეთიშა ჩემპიონატს.

შემოთ უკვე ვთქვით, რომ ბრაზილიელებმა

მომავალი ჩემპიონატისათვის მექსიკის ჩემპიონატთან გუნდის გამოვარდნის პირველი დღიდანვე დაიწყეს მზადება. მჭერა, ყველა დაბრკოლებას, რაც უშუალოდ ფეხბურთთან არის დაკავშირებული, გადალახავენ წარმატებით, მაგრამ, მკითხველს ვთხოვ ირონიაში ნუ ჩამოშართმევს, გულწრფელად მიინტერესებს, როგორ გადაჭრიან ბრაზილიელები უნაო აველანუის თარსი ფეხის პრობლემას?

ჩემპიონატის დასაწყისში მექსიკელებს ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. ზოგიერთი სპეციალისტი კატეგორიულადაც კი ამბობდა, ჩემპიონობას მექსიკელები მოიპოვებენო.

რას ეურდობოდნენ ისინი, როცა ასეთ თვითდაჭრებულ განცხადებას აკეთებდნენ? ალბათ ორ რამეს. ჩემპიონატამდე მექსიკელებმა რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარეს. ერთ-ერთი, ალბათ ყველას გახსოვთ, ჩვენს ნაკრებსაც მოუგეს. კარგ თამაშთან ერთად, ბუნებრივია, ფიქრობდნენ რომ საკუთარი კედლები, ტემპერამენტია, მექსიკელი გულშემატკივრები, სხვებისათვის უჩვეულო, ხოლო მათთვის ბუნებრივი კლიმატაც იტყოდა თავის სათქმელს.

არგენტინაში, როდესაც მსოფლიო პირველობა არგენტინელებმა მოიპოვეს, ვილკამ იქვე, „რივერ პლეტის“ პრესლოვაში მითხრა, ფეხბურთი შინაური, ოჯახური სპორტია; ყოველთვის მასპინძლები იმარჯვებენო.

ეს რომ მართალი არ არის, სრულიად იოლი დასამტკიცებელია. შვეიცარიაში, შვეიცარიაში, მექსიკაში, ესპანეთში, ჩილემ და თვით ბრაზილიამაც კი ვერ მოიპოვა საკუთარ მოედანზე გამარჯვება. ხოლო მექსიკამ ამჯერად მეორედ იწვინა მარცხი საკუთარ მოედანზე.

ვერ გაუმართლა მათ მექსიკური ფეხბურთის სიამაყემ უგო სანჩესმა. იგი იმდენად პოპულარულია მექსიკაში, რომ ესპანეთიდან ყოველთვის ყიდულობენ პირდაპირი გადაცემების უფლებას, როცა მატჩში უგო სანჩესი მონაწილეობს. მართალია, მადრიდიდან უგო სანჩესი ტრავმირებული ჩამოვიდა სამშობლოში და ნაკრებში თითქმის ჩემპიონატის დაწყების წინ გამოცხადდა, მაგრამ „რეალ მადრიდის“ ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის ასეთ სუსტ თამაშს ნამდვილად არ ელოდნენ.

სამაგიეროდ, უგო სანჩესის სტილით (მკრატელათი) მეორე მექსიკელმა, ნეგრეტემ გაიტანა გოლი. ამ გოლით, შემდგომში მარადონას მებრ ინგლისელთა კარში გატანილ გოლთან ერთად, ჩემპიონატის ულამაზესი გოლის სახელი მოიპოვა და ორთავე გოლის აღსანიშნავად „აცტეკას“ სტადიონზე ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გაკეთდა ორი მემორიალური დედა.

მექსიკის ფეხბურთის მესვეურების, პრესისა და ტელევიზიის მუშაკების სასახლეოდ უნდა

ითქვას რომ, მიუხედავად მოლოდინის ვაცრუებისა, რეალურად შეაფასეს საკუთარი გუნდის შესაძლებლობანი სხვა ფავორიტების და დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მათი მარჯვენებლები. მექსიკელ ფეხბურთელთათვის საგანგებო მიღებაც კი გამართეს, სადაც ჩვენც დავვატიეთეს.

ვინ იყვნენ ის სხვა გუნდები, რომელთა ფონზეც დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მექსიკელთა თამაში?

ვინ იყვნენ ის ეროვნული ნაკრებები, რომლებმაც განსაზღვრეს მექსიკის ჩემპიონატის სახე?

ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ამ გუნდებს შორის პირველ რიგში დავასახელებ არგენტინას, ბრაზილიას და საფრანგეთს. მეორე რიგში კი მოდიან დანია, ესპანეთი, გურ და ბელგია.

ღიახ, მეორე ადგილზე გასული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მეოთხე ადგილზე გასული ბელგია, მიუხედავად სიძლიერისა, არ იყვნენ ის გუნდები, რომელთა თამაშმა ყველაზე მეტყველი საღებავებით გაამდიდრა მსოფლიო ჩემპიონატის უწარმაზარი სურათი.

გაიხსენეთ წარსული ჩემპიონატები, უმაღლესი თამაშები გაგახსენდებათ, რომლებმაც თავის დროზე განსაზღვრეს ნებისმიერი ჩემპიონატის სახე.

გავა დრო და როცა გავიხსენებ მექსიკის XIII ჩემპიონატს, ჩვენს გონებაში უმაღლეს ამოტვიფრება ფინალური მატჩი არგენტინასა და გურ-ს შორის, მატჩი ბრაზილიასა და საფრანგეთს შორის... კიდევ რამდენიმე შესანიშნავი მატჩი და დაუფიქრარი ცალკეული ეპიზოდი, თანაც მარადონას მიერ გატანილი გოლი ინგლისის ეროვნული ნაკრების კარში.

იტალიური ვაჭეთი „კორიერა დელლა სერა“ ბრაზილია-საფრანგეთის მატჩზე წერდა: „ორთავე გუნდმა შეასრულა ჰიმნი თანამედროვე ფეხბურთის სადიდებლად“.

მე ჩემპიონატის მეორე ნახევარში ჩავედი მექსიკაში და, ბუნებრივია, თამაშების უმრავლესობა ტელევიზიით მაქვს ნანახი. მაგრამ დიდიხანა საბოლოოდ ვილორანაწერების ტრიალი, შურნალისტებთან და ფეხბურთის სპეციალისტებთან საუბარი, იქაური პრესისა და ტელევიზიის კომენტარი მაძლევს უფლებას, აზრი გამოვთქვა იმ მატჩებზეც, რომლებიც მოედანზე არ მინახავს.

მანც რამდენი უმნიშვნელოვანესი ცალკეული ეპიზოდი აღიბეჭდა ჩვენს გონებაში, რამდენიმე მატჩი კი თითქმის მთლიანადაც დაგვაშახსოვრდა თავისი დრამატული სიუჟეტით თუ ელვარე ეპიზოდებით.

გავიხსენოთ თუნდაც ის მატჩები, რომლებიც დიდი ანგარიშებით დამთავრდა: სსრკ-უნგრეთი 6:0, ურუგვაი-დანია 1:6, ესპანეთი-დანია 5:1.





ერთი კანონზომიერებაც გავიხსენოთ. სამთავრე გამარჯვებულ გუნდს დიდ მსხვერპლად დაუჭრა ეს ტრიუმფი. საბჭოთა კავშირმა უნგრელებთან მატჩში თითქმის ამოწურა თავისი ენერჯია, დანიამ ესპანეთთან წააგო, ესპანეთმა კი გურ-თან.

გავიხსენოთ კიდევ ერთი, ფინალის ბადალი მატჩი ბრაზილიასა და საფრანგეთს შორის. მართალია, ამ ორთაბრძოლაში დიდი ანგარიში არ ყოფილა და თამაშის ძირითადი დროც უანოით დამთავრდა, მაგრამ ნერვიული დამაბულობა იმდენად დიდი იყო, რომ... მომდევნო ეტაპზე საფრანგეთმა წააგო გერმანიასთან. წაგება წაგებაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოედანზე აღარ იყო ის საფრანგეთი, ბრაზილიის წინააღმდეგ რომ თამაშობდა.

შეიხვეწისათვის ხანტერებს იქნება მოვუთხრო, როგორი განწყობილება ჰქონდათ ფრანგებს გერმანელებთან თამაშის წინ.

ნერვიული დამაბულობა იმდენად დიდი იყო, პლატინი, როგორც თვითონ ამბობს, პირველი პენალტი გააფუტა თავის ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასვლის სიხარულმა ფრანგ ფეხბურთელებს დაღლილობა გადაავიწყვა და ოპტიმიზმი და მხნეობა შემატა.

ბრაზილიასთან გამარჯვება პლატინის დაბადების დღეს დაემთხვა. მეორე დღეს კი ტიგანამ აღნიშნა თავისი დაბადების დღე.

ერთ-ერთი გერმანული გაზეთი წერდა: „როგორც ამბობენ, ამ ზეიმზეზე ისეთი ზეაწეული განწყობილება სუფევდა, რომ ბოლოს ირგვლივ ნამცხვრის ნაჭრებს ისროდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ქორები, რადგან გერმანელებთან მატჩის წინ ფრანგები უფრო და უფრო გულჩახვეულნი ხდებოდა“.

სიხარულმა მაშინვე გაიარა, როგორც კი გერმანელებთან შესახვედრად დაიწყეს მზადება. პირველმა პატრიკ ბატისტონმა თქვა, გერმანელებთან ძალიან მძიმე მატჩი მოგველისო. შემდეგ თითქმის უკლიან ალაპარაკდნენ „სევილიის რევანშზე“. ოლინდ, როგორც იგივე გაზეთი წერს: „რევანშის აღება გერმანიაზე კი არ უნდოდათ, არამედ ბედის უკუღმართობაზე, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატზე თან სდევდათ“.

ერთადერთი, თურმე, პლატინი ირწმუნებოდა, სევილია აღარც კი მახსოვსო.

ლუის ფერნანდესმა პირდაპირ განაცხადა: „თუ გერმანელები მართლა ფიქრობენ, ფრანგებს ჩვენი ეშინათო. ამაზე მხოლოდ მეცინება. ჩვენ ახლა უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე 1985 წელს ვიყავით. გერმანელები კი პირიქით, ჩემს სიმართლეს რომ დარწმუნდეთ, აქვე შეისიკა-ში ორთავე გუნდის მიერ ჩატარებული თამაშების მანერა და ანგარიშები გაიანალიზეთ. ჩვენ იტალია გამოვითმეთ, ბრაზილიასაც

ვძლიეთ, პოლა, გერმანელების რატომღაც უნდა გვეშინოდეს?“

ფრანგების მწვერთელმა მიშელ იდალგომ აზრი უფრო დიპლომატიურად გამოთქვა, თუმცა, ფაქტიურად, იგივე თქვა: „გერმანიას ჰყავს ცალკეული ძლიერი ფეხბურთელები. ჩვენ კი მექსიკაში მხოლოდ იმიტომ ჩამოვდებით, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ. იტალიასა და ბრაზილიაზე ძლიერ გუნდებს კი აქ ვეღარ ვხედავ“.

მატჩის მოლოდინი დიდი იყო. როგორც პრესცენტრში გვითხრეს და შემდეგ იგივე ცნობა გაზეთში წავიკითხეთ, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საფრანგეთის ტელევიზია გაცივებული ყოფილა. ოლინდ, გაფიცვა თურმე არ ვრცელდებოდა მექსიკის ჩემპიონატის მატჩებზე, რომლებსაც ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადასცემდნენ.

ბრაზილიასთან თამაშმა თავისი თქვა. ბუნებრივია, ამ დამაბულ მატჩზე ყველანი დაიღალდნენ, მაგრამ, შემდეგ, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დაღლილობა ყველაზე უფრო მანაც ვეტრანებს დაეკუთნა. მთელი ძალით ვეღარ ითამაშეს პლატინიმ, ტიგანამ, უირისმა.

ყველას გული დაგვიწყვიტა მატჩის შემდეგ მიშელ იდალგოს მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა: „ჩვენ ამ ჩემპიონატში ისეთი შანსი გავუშვივით, ათ წელიწადში ერთხელ რომ შეიძლება გუნდს ჰქონდეს. აწი უკვე დიღხანს აღარ გვეყოლება ასეთი შევრული, ფშაღღესი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი“.

ბრძოლა შესამე ადგილისათვის პუბლეაში გაიმართა. მოედანზე არ გამოსულან პლატინი და მისი ექვსი მეგობარი. ამით მათ განაცხადეს, რომ მექსიკაში მხოლოდ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ჩავიდნენ და არავითარი სხვა ადგილი სატურნირო ცხრილში მათ არ აინტერესებდათ.

პლატინის კი არა და აღარც ჩვენ, გულშემოტიერებს მიგვიწევდა გული პუბლისაკენ, სადაც მესამე ადგილის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე გრძობა დაგვეუფლდა ესპანეთშიც. ფინალის მოლოდინმა ისე დაგვძაბა ყველანი, რომ მესამე ადგილის მოსაპოვებელი მატჩისადმი ყოველგვარი ინტერესი დაგვეკარგა.

იქნებ მართალია ის ხალხი, ვინც მოითხოვა, რომ მესამე ადგილისათვის ბრძოლის აზრი არა აქვს და გავაუქმითო?! ფიფამ ურად იღო მათი წინადადება, თუმცა თავისი მოსაზრება არ გამოუთქვამთ. მე, პირადად, მართალია, ვინ მეთხავეს, მაგრამ მიმანია, რომ ამ მატჩის გაუქმება გამართლებული არ იქნება. უბრალოდ, ესპანეთშიც და მექსიკაშიც მსგავს ფსიქოლოგიურ მოვლენებს შევეჩვებით. ესპანეთშიც და მექსიკაშიც საფრანგეთი, ბრაზილიასთან ერთად, ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად გვესახებ-

ბოლა. ამიტომაც, ვფრ-სთან მათი მარცხით გულდაწყვეტილებს ფრანგებისათვის შესამე ადგილი ძალზე გვეპატარავებოდა. ვფიქრობ, „მუბლას“ მატჩისადმი ინტერესი ამ ფსიქოლოგიურმა მომენტმა გაანეღა.

ოცნებას კაცი არ მოუვლავს და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ოთხეულში არგენტინა, ბრაზილია, საფრანგეთი და დანია მოხვედრილიყვნენ, მაშინაც არ დაგვინტერესებდა შესამე ადგილისათვის ბრძოლა? ვფიქრობ, ამ საკითხის ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება.

ერთი კია, ფეხბურთის სპეციალისტებზე ფრანგების გაახალგაზრდავებულმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი დამატებით დროში მოიგეს, მათი უპირატესობა მთელი თამაშის მანძილზე აშკარა იყო. გამოუყენებელი დარჩა უამრავი საგოლე მომენტი. მაყურებელი მოხიბლა ფრანგი ფეხბურთელების სწრაფმა კომბინაციებმა, მაღალმა ტექნიკამ. მართალია, მათ თამაშს აკლდა ერთი მთლიანი დრამატურგია და იგი უფრო ეპიზოდების გროვას წარმოადგენდა, მაგრამ ისეთ ძლიერ ფეხბურთელებთან, როგორც ბელგიელები არიან, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მაღალტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა.

ერთი სიტყვით, ფრანგების უმწვენიერესი გუნდი, ფეხბურთის გულშემატკივართა ასეთი დიდი სიყვარული და სიმათია რომ მოიპოვა ჭერ კიდევ ესანეთში, ვერც იქ და ვერც მექსიკაში ვერ დაეუფლა ჩემპიონის გვირგვინს. და თითქოს ბედისწერა იყო, ამჭირადაც გერმანიამ გადაუღობა ფინალისაკენ მიმავალი გზა.

გულდაწყვეტილება პლატინი თქვა, ვინ იცის, რქნებ კიდევ შეეძლო მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშიო. პირადად მე ექვი მეპარება. კიდევაც რომ შესძლოს, მიუღო იდაღოს პესონისტური განაცხადი რომ გავიხსენოთ, ეყოლებათ კი მაშინ ფრანგებს ისეთი გმადი, უმაღლესი ტიტული რომ მოიპოვოს?

ეტუბა, დიდ ფეხბურთელს ილხალიც უნდა დაჰყვებ. პეღე სამჭერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ვფიქრობ, ფეხბურთის მეფეს იმანაც გაუშართლა, რომ ბრაზილიის დიდ გუნდში მოუწია თამაშმა. გაუხსენოთ, რა ფეხბურთელები გამოირდნენ მის გვერდით: ოდი, ვარინა, ვივა, ჭაღმა და ნილტონ სანტოსები, ზიტო, ბელინი, უარზინიო, ტოსტაო, რიველინო, ვერსონი... მე მგონი, კმარა.

რამდენმა დიდმა ფეხბურთელმა დატოვა სარბიელი ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნება ოცნებად დარჩა. თუნდაც დიდი და სტეფანო, სივორი, ანჯელილო, ეისებო, — კუბალო, მაცოლა, რივერა, ფაკეტი, კოპა, ჩვენებიდან იაშინი, მესხი, მეტრეველი, ხურცილაძე, ივანოვი, სტრელცოვი, ბლოზინი...

მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ ამ უიღბლო-

თა რიცხვს მიემატა პლატინი, ზიკო, სოკრატესი, ფალკაო, უნიორი, რუმენიგე... რას იზამ კაცი. ეტუბა, ბედისწერა გაქმევი.

რა ხდებოდა ამ დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბანაკში? ზეიმს ბოლო არ უჩანდა. ბეკენბაუერი მილოცვებს ვეღარ აუღიოდა.

ფრ-ის კანცლერი კოლი სპეციალურად ჩამოფრინდა ფინალურ მატჩზე დასასწრებად.

ამ მხრივ არგენტინელები გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად მიგულ დე მადრიდის პირადი მიწვევისა, არგენტინიდან მხოლოდ კულტურის მინისტრი ჩამოფრინდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა ხუთი ათასი არგენტინელი და ფინალურ მატჩზე მათმა საერთო რაოდენობამ 25 ათასს მიაღწია.

ფრანც ბეკენბაუერი ადრე უფრო მოკრძალებულად აზრებს გამოთქვამდა. მგონი, ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მან შეაგუა გერმანელი გულშემატკივრები ერთ აზრს, ჩვენ მიწნად მხოლოდ ოთხეულში ვასკლას ვისახავდითო.

ფრანგებთან მატჩის შემდეგ კი მეორე ადგილი უკვე ჰქონდათ განადგებული. მდა ჰამაში მოდისო. მაშ რატომ არ უნდა გასჩნოდა იქნე, რომ ჩემპიონობასაც მოიპოვებდნენ?! ბოლოს და ბოლოს, არგენტინა ხომ არც საფრანგეთი იყო და არც ბრაზილია, პირველი დღიდანვე რომ გამოკვეთილ ფავორიტებად ითვლებოდნენ!

„დიდებულა! — განაცხადა მატჩის შემდეგ ბეკენბაუერმა, — უბრალოდ, სიტყვები არ შეოფენს, ჩემი აღტაცება გამოუხატო. საფეხბურთო გერმანიას შეუძლია იამაუნ თავის გუნდით. თავი არ დაგვივოვავს. მხოლოდ თავგანწირული თამაშით შეიძლება ფინალში გავსულიყავით. მეორე ტაიში რომ უფრო ავმძობრავდით და ლამის უკანასკნელ წუთებში რომ გავამაფრეთ შეტევა, ეს ჩვენი ტაქტიკა იყო. როდღმა აშკარად დაჯანა პლატინი“.

ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მანეს ლორმა კმაყოფილებით აღნიშნა: „ორი აზრი არ არსებობს, გამარჯვება დამსახურებული იყო. ჩვენ, უბრალოდ, უკეთესები იმითმ ვიყავით, რომ ფრანგებს თამაში არ დავანებეთ“.

მინდა მკითხველმა უურადლებით წაიკითხოს ბუნდესლიგის ერთ-ერთი მწვრთნელის მანეს ბონგარტის სიტყვები: „ქებათა ქება ჩვენს გუნდს. პირველ ტაიში ჩვენმა ბიჭებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, ბრაზილიელები და ფრანგები რომ თამაშობენ ხოლმე. ახლა ჩვენ ფრანკის მოგებაც შეგვიძლია“.

ვფიქრობ, საგულისხმო და მეცრის მოქმელი ფრანკა: „ბიჭებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს,

ბურაბე ფანჯინძემ  
ბარადონა რიი

ბრაზილიელები და ფრანგები რომ თამაშობენ ხოლმე“.

ადრე ვთქვი, „ადიდასმა“ დავაპატუა-მეთქი. იჲ, წვეულებაზე, შესანიშნავი გერმანელი ფეხბურთელი, ნაკრების უოფილი წევრი ბრაიტნერი ვნახეთ. გულღია ახალგაზრდა კაცმა ჩვენთან სურათებიც გადაიღო და არც საუბარს დავგზავრდა.

— თქვენ მაინც რას ფიქრობთ, ფინალში ვინ გაიმარჯვებს? — ვკითხეთ ჩვენ.

— ძნელია რაიმეს თქმა. ფსიქოლოგიური უპარატესობა კი მაინც გერმანელების მხარეს არის, — გვითხრა ბრაიტნერმა, — ჩემპიონატის წინ ბეკენბაუერის და მისი ბიჭების ამოცანა იყო ოთხეულში მოხვედრალიყვნენ. პრობლემა წარმატებით გადაჭრეს, ფინალში გავიდნენ. ეს მით უფროა საგულისხმო, რომ ჩვენს გუნდს შუმაბერს გარდა არ ჰყავს მსოფლიო კლასის მოთამაშე. რუმენიგე, ფიოლერი და ლიტბარსკი, მოგესხებნებათ, არ არიან ფორმაში. ამიტომ ისინი უფრო თავისუფლად და აუღელვებლად ითამაშებენ. არგენტინელები კი წინასწარ შეიმობენ გამარჯვებას. მარადონამ უნდა დაამტკიცოს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხბურთელია. თანაც უნდა დაამტკიცოს ფინალში, თორემ წყალში გადაიყრება მისი მართლაც და განალღური თამაში.

— რა აზრისა ხართ მარადონაზე? — ვკითხეთ ჩვენ, — შეიძლება თუ არა იგი პელების შევადაროთ?

— მარადონა თითქმის მთელი გუნდია. პელების გვერდით ჰყავდა დიდებული ფეხბურთელები. ამიტომაც მარადონა გუნდისათვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პელი. თუმცა პელი და ჩონი რივერა ჩემთვის სანიშნულო ფეხბურთელები არიან. ისინი ხომ ბურთს სრულყოფილად ფლობდნენ.

ოპტიმისმი განარჯვების მოაქვს. რაღა ვასახსნებდელი იყო. პირველსავე წუთებში ფრანგების მკარეს როგორ გაუვარდა ბურთი ხელიდან და როგორ გავიდა პირველი გოლი.

ბუნებრივია, ბეკენბაუერიც კითხულობდა იმ გაზეთებს, საიდანაც ჩვენ ვეცნობოდით სპეციალისტებისა და ჟურნალისტების პროგნოზებს.

ბელგიელთა მწვრთნელმა გი ტისმა ჩერ კიდევ ადრე თქვა: „მომეცით მარადონა და მსოფლიო ჩემპიონიც ჩვენ ვიქნებით“.

ფინალური მატჩის წინ კი კატეგორიულად განაცხადა: „იოტისოდენაც არ შეიქვება, რომ გაიმარჯვებს არგენტინა. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი, მარადონა და მისი პარტნიორები აუცილებლად მიაღწევენ მიზანს“.

მარადონას პრობლემა მართლაც გადასაჭრელი ჰქონდა კაიერის. იგი დღემდა, საიდუმლოს არ ამხელდა. მხოლოდ ერთხელ განუცხადა ჟურნალისტებს, მარადონას საწინააღმდეგო საშუ-

ალებასაც გამოენახათო. მაგრამ საიდუმლო ბოლომდე მაინც ვერ დაიცვა. „მარადონას სერსონალურ მეთრეობას გაუწევს მათესნი“, — განაცხადა ბოლოს მან.

მაშ ვინ იქნება დირიჟორი? — ბუნებრივად დაისვა ასეთი შეკითხვა.

ალბათ გუნდის ვეტერანი ფელიქს მაგათი, რომელმაც კარგად ითამაშა ფრანგებთან. — გვითხრა პრესცენტრში ცნობილი გერმანული ჟურნალის „კიკერის“ რედაქტორმა ჰაიმანმა.

„მარადონამ, — თქვა პელემ, — მსოფლიოს საუკეთესოს ფეხბურთელობაზე რომ ოცნებობს, მეექვსეა გერმანელების წინააღმდეგაც ისე თავისუფლად იმოქმედოს, ბელგიელებთან რომ თამაშობდა“.

ცოტა გაღწიანებული გამოთქვამი ხომ არ გამოუვიდა ფეხბურთის მეფეს? მაგრამ ამაზე კვებოთ.

ერთი სიტყვით, გადაქარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მთელი მსოფლიო დამაბული ელოდა ამ ივნისს, ფინალური მატჩის დღეს.

არგენტინა ისეთი სიმპათიებით არ მოსულა ფინალამდე, როგორი სიმპათიებიც ბრაზილისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები თამაშობდნენ. ძირითადი კაპიტალი მან, თანაც მარადონას წყალობით, ინგლისისა და ბელგიის ნაკრებ გუნდებთან მოვედრული მატჩებით და აგროვა.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კი თავიანი ბრჭყალები მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებთან გამოჩინა.

თუმცა, ფინალის წინ გფრ-ის ძალზე ბევრი გულშემოტივარი გამოუჩნდა. ისინი, რასაკვირველია, ძირითადად ევროპელები იყვნენ, მაგრამ მარტო ევროპელებით არ განისაზღვრებოდა ეს სიმპათიები.

საოცარია, მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულშიც თურმე ძალზე ბევრს ნიშნავს ადამიანის ფიზიკური სილამაზე.

ამერიკაში მიმტკიცებდნენ, თავის დროზე ჯონ კენედის არჩევნებში გამარჯვება ბევრად განაპირობა უაკლინ კენედის სილამაზემ.

მაშინ თუ ამ მტკიცებას მღუმარებით და ღიმილით ვხვდებოდი, ბეკენბაუერის შემდეგ კი ნამდვილად ვიწამე.

ბუნებრივია, ფინალის წინ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები ვეკითხებოდით ერთმანეთს, თუ ვისი გულშემოტივარიც ვიყავით.

მე მტკიცედ ვაცხადებდი, არგენტინელებს უუჭერ-მეთქი მხარს.

— მერე, ბეკენბაუერი არ გეცოდება? — მასუსობდნენ მოწინააღმდეგენი.

ხედავთ, გფრ-ის გუნდი კი არა, ბეკენბაუერი არ გეცოდებოა?!

თანდათან უფრო მაღიზიანებდა მოწინააღმდეგეთა ზემოთ მოტანილი სტერეოტიპაზა.

— მე აქ ლამაზი ფეხბურთის სანახავად ჩა-

მოვედი და არა ბეკენბაუერის მხარდასაქერად. ნიშანია, რომ არგენტინული ფეხბურთი უფრო მრავალმხრივია, შემოქმედებითა, თუ გნებავთ, უფრო რომანტიკულიც. მასში მეტა ფანტაზია, მახვილგონიერება, ვირტუოზული ტექნიკა და საერთოდ, ხელოვნების სიმაღლემდე ასული თვისებებია, რასაც ვერ ვხედავ გერმანიის რაციონალურ, ანგარიშიან ფეხბურთში — ვუთხარი, სხვათა შორის „კიკერის“ რედაქტორს მაიმანს.

კაზერმა ალბათ იცოდა თავისი თავის ფასი და უოველთვის გამოჩნულ ადგილზე ჯდებოდა, რომ რაც შეიძლება შიამბეღელად გამოჩნდილიყო ტელევიზორების ეკრანებზე. ერთი სიტყვით, ფინალის წინა დღეს ვნებათაღელვამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ვერც დაძინება შევძელი დიდხანს. მაინც ვინ გაიმარჯვებს, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი? რასაკვირველია, არგენტინა, მხოლოდ არგენტინა!

უცებ ერთი ეპიზოდი გამახსენდა ბელგისთან თამაშის შემდეგ სტადიონიდან ერთად გამოვდიოდნენ მე და „პარავისი“ კორესპონდენტი ლ. ლებედევი. სტადიონის გარემოში ტერიტორია მთლიანად სუვენიერების ბაზრად იყო ქცეული.

ჩვენ უნებურად იმ გამყიდველთან მივდიოდით, ხელში რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების ლურჯოლებიან თეთრ მაისურს აფრიალებდა.

— რა ღირს? — ჰკითხა ლ. ლებედევმა.  
— სამი ათასი პესო (თითქმის 6 დოლარია)!  
— გვითხრა გამყიდველმა და თან მაისური ხელში მოკვანჩა.

გვეძვირა, წასვლა დავაპირეთ.  
— იუდიტო, სინიორებო, არ ინანებთ. ფინალის შემდეგ არგენტინის მაისურები ყველაზე ცოტა, ორჯერ მაინც გაძვირდება!

— სწორს ამბობს ეს კაცი! — ვუთხარი მე ლებედევს. — თუ მყიდველები ვართ, ბარემ ახლავე ვყიდოთ-მეთქი.

მაისურები შევიძინეთ და პრესცენტრისაკენ მიმავალ სპეციალურ ავტობუსში ავედი. ყველამ ჩვენ შემოგვხვდა. საკითხავი და გასაკვეთი არაფერი იყო. ახლად შეძენილ მაისურებზე მიხვდნენ, ვისი კულშემატკივრებიც ვიყავით.

— დღეს თქვენ უკვე მეორე პელებ ხართ! — უთხრა ერთმა უურნალიანტმა დიეგო მარადონას ინგლისელებთან მატჩის შემდეგ.

— თქვენ უკვე ფეხბურთის მეფე ხართ. — დაამატა მეორემ.

— მე არც მეორე პელებ ვარ და არც ფეხბურთის მეფე. მე ვარ დიეგო არმანდო მარადონა!

პრესკონფერენციის მასალები, სადაც არგენ-

ტინელთა კაბინის ეს პასუხიც იყო მოთავსებული, მეორე დღეს წავიციოხენ პრესცენტრში ფურცელზე დაბეჭდილი სიტყვები უკველთვის სრულფასოვნად როდი გადმოგვეყვამ ამ სიტყვებში ჩაღებულ შინაარსს. სანტარესო იყო, მარადონამ როგორი ინტონაციით წარმოთქვა ზემოთ მოტანილი ფრაზა. პირადად ჩემთვის დიდსაც გაუგებარია, ეს იყო თავმდაბალი კაცის მოკრძალებული გამოხატულება თუ პირიქით, ამაყი კაცის განცხადება, რომელსაც მტიკედ სჯერა თავისი დიდი ფეხბურთელობა და უნდა სიდიდის გამომახტველი ახალი ერთეული და, თანაც ყველაზე დიდი ერთეული დამაკვიდროს მსოფლიო ფეხბურთში.

ბელგისთან თამაშის შემდეგ ბევრმა გავითმა პირველი გვერდი მთლიანად დაუთმო მარადონას პორტრეტს. ქვეშ კი მოკლე და ძალზე ტყვავი წარწერა გაუკეთეს: „მარადონა რიი“ (მეფე მარადონა).

მაგრამ წინ იყო ფინალური შეხვედრა. მარადონას სახელი უკვე ყველას პირზე ეკერა. მას, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს, კარგა ხანია ჩამოსცილდნენ და დიდებუნი აღარ ეცილებოდნენ ნამდვილად უბრწყინვალესი ფეხბურთელები პლატინის მედალოებით.

მაგრამ მარადონა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის სახელის მოპოვებისათვის კი აღარ იბრძოდა (მან ეს სახელი უკვე მაშინ მოიპოვა, ინგლისელთა კარში რომ მეორე გოლი გაიტანა). უფრო მალდა, ფეხბურთის მეფის ტახტისაკენ მიიწევდა. მიიწევდა მარტოდმარტო. შემცილებელი აღარავინ ჰყავდა.

მაგრამ წინ ფინალი იყო. გავისხენოთ ბრაიტერის სიტყვები: „მარადონამ უნდა დამტკიცოს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხბურთელია. თანაც უნდა დამტკიცოს ფინალში, თორემ წყალში გადაიყრება მისი მართლაცდა გენიალური თამაში“.

უმშვენიერესი სიტყვა, ნამდვილი ორატორული ნიმუში მოუწინელ ბოლო ფრაზას ბევრჯერ უქცევია ჩვეულებრივ სიტყვად. მხოლოდ უბრალოდ ტაშით შეუფასებია იგი მსმენელებს. ხშირად კი უხერო, მაგრამ ბოლოში ეფექტური ფრაზებით დაგვირგვინებულ გამოსვლას მქუხარე ტაში მოჰყოლია.

ბუნებრივია, თვით მარადონამ მშვენივრად იცოდა, ბოლო აკორდი ელეგანტური და მძლავრი უნდა ყოფილიყო.

„მარადონამ, — გავისხენოთ ისევ პელებს სიტყვები, — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე რომ ოცნებობს, მეუბნება გერმანელების წინააღმდეგ ისე თავისუფლად იმოქმედოს, ბელგაელებთან რომ თამაშობდა“.

არ ვიცი პელებს მხრიდან რამდენად ტაქტიანი იყო ფინალის წინ პრესაში ასეთი ფრაზის გა-

მოქვეყნება. და, საერთოდ, პეღემ ახლა კი არა, ესპანეთის ჩემპიონატის პერიოდშიც რამდენჯერმე უდიერად მოიხსენია მარადონა. გაცოფებულმა არგენტინელმა ფურნალისტებს განუცხადა, რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რას ვაღამე-კიდა, ეტყობა, განიცდის, თვითონ რომ აღარ თამაშობს ფეხბურთს და სახელი ჩემი ლაძმღვით უნდა მოიპოვოს.

იქნებ მართალიც იყო მარადონა? პეღე კვიანი ფეხბურთელია და იქნებ თავიდანვე იგრძნო, რომ ფეხბურთის მეფის ტახტს ღირსეული პრეტენდენტი გამოუჩნდა?

ვინ იცის ფინალური მატჩის წინა ღამეს როგორ ღელავდა მარადონა. 21 ივნისს „ატატას“ სტადიონზე მას არამარტო თვითონ უნდა ეთამაშა კარგად, არამედ გუნდს წინ უნდა ვახსლოლოდა, როგორც ღირსეული კაპიტანი. მარადონამ იცოდა, რომ კარგი თამაში, რასაკვირველია, კარგ თამაშად დარჩებოდა, მაგრამ მისი ტალანტის ელვარებას ბევრი რამ დააკლდებოდა, თუ არგენტინა მსოფლიო ჩემპიონობას ვერ მოიპოვებდა.

მეშინია, ცუდად არ გამოვივიდეს, თითქოს მარადონას მსოფლიო ჩემპიონობა მხოლოდ თავისი დიდებისათვის უნდოდა. მე, უბრალოდ, მინდოდა მკითხველსათვის შეგრძნობინებინა, დაახლოებით როგორი განცდებით იქნებოდა აღსავსე ფინალის წინა ღამე არგენტინელთა კაპიტნისათვის. მარადონამ ხომ არაფერი დაიშურა თავისი გუნდისათვის. „ნაპოლის“ ხელმძღვანელებმა მარადონას აუკრძალეს არგენტინაში გამგზავრება და თან უზარმაზარი ფულადი ჯარიმით დამშუქრნენ. მარადონამ, როგორც თავისი ქვეყნის პრემიერმა პატრიოტმა, თანხმობა განაცხადა უზარმაზარი ჯარიმის გადახდაზე და არგენტინაში გაემგზავრა. არგენტინელთა კაპიტნის ასეთი მოქმედება უკვე ჭის პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებს წარმოაჩენს.

სულ მთლად პატარა ბები, რომელიც თავიდანვე დიდ სარეკლამო და ფინანსურ საქმიანობაში ჩაეფლო, განვლილ ოთხ წელიწადში მარტო დიდ ფეხბურთელად კი არა, ჩინებულ მოქალაქედაც ჩამოყალიბებულა.

მარადონას რა გაეგებებოდა, მღელვარებისაგან მეც გამიტყდა ძლი. თუმცა, ეკვი არ მუპარდობდა, რომ არგენტინა მოგებდა.

ბეკენბაურის გუნდის უფერულმა თამაშმა თვით გერმანელ გულშემოტკივრებსაც კი გაუცრუა იმედები. მარკოსთან თამაშის დროს, როგორც ვაზეთი „ბილიდი“ წერდა, სამ მილიონ ოჯახში გამოურთავთ ტელევიზორი. თანაც სტადიონიკამ ვერ აღრიცხა იმ ტელევიზორების რაოდენობა, რომელთა პატრონებსაც მატჩის გადაცემის დროს ჩაეძინათ და ტელევიზორი ამიტომ ვერ გამოართვისო. — დასძინდა ირონიულად ვაზეთა.

ასე იყო თუ ისე, გერმანია ფინალში გავიდა.

მათმა წარმატებამ ისევე ალაპარაკა საფეხბურთო სამყარო. გაიხსენეს გერმანელთა ძველი მემკვიდრეობა და ბეკენბაურის გუნდის უფერულ მსოფლებს გამართლებაც მოუნახეს. თითქოს ეს იყო გერმანელთა გაანგარიშებული, კარგად გააჩემილი და უფრო კარგად აწონილი მოქმედება. თითქოს ისინი განგებ ცდილობდნენ თავიდანვე არ მიეციათ ჩემპიონობისათვის მებრძოლ გუნდთა ყურადღება. ისინი თითქოს ჩრდილში იდგნენ და სანგრძოდ მხოლოდ ფინალის წინ, ფრანგებთან თამაშისას ამოვიდნენ.

მე არამარტო მჭეროდა არგენტინელთა გამარჯვება, არამედ მინდოდა მსოფლიო ჩემპიონობა მარადონას გუნდს მოეპოვებინა. მინდოდა იმიტომ, რომ თუ ფეხბურთი ნამდვილად გვიყვარს, მაშინ ნამდვილი ფეხბურთი ისაა, რასაც ბრაზილიელები, არგენტინელები, ფრანგები და იტალიელები (ან ოდენაც ურუგვაელები) თამაშობდნენ. ყველა დეგუბლაც კაცს თავისი მათემატიკური გამოხატულებაც. მსოფლიოს ცამეტი ჩემპიონატიდან ათჯერ აქ ჩამოთვლილმა გუნდებმა (საფრანგეთის გარდა) მოიპოვეს მსოფლიოში უძლიერების სახელი.

როცა გერმანიის გუნდის მიმართ ჩემს სიმართაანბნაობებს გამოვხატავ, მარტო მათ დღევანდელ ეროვნულ ნაკრებს როდი ვგულიხებობ. განა არ ვგულშემოტკივრობდით იმ გუნდს, რომელშიც ბეკენბაური თამაშობდა?!

ჩემის აზრით, მიუღებელია ის ტენდენციები, რაც დღეს გერმანულ ფეხბურთში ვითარდება. აი, რა ვაწყნახდა ჩემპიონატის დაწყების წინ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა გერმან ნოიბერგერმა. მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ სწორედ ნოიბერგერი ვახლდათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე; „ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთის თამაშის საერთო დონემ დაბალა დაიწია და ხარიხი გაუარესდა, მაგრამ ჩემის აზრით, რომანტიული ფეხბურთის დრო ისტორიის კუთვნილება ვახდა. ინდივიდუალური თამაში და მოთამაშეებიც შედარებით იშვიათად გვხვდება. დღესდღეობით ფეხბურთელითა მოქმედება ზუსტ კატკიური სქემების დაქვემდებარება. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები დიდად ფასობენ. მაგრამ ლათინური ამერიკის გუნდებმაც ბოლო წლებში ევროპელებს წაბაძეს. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალისტ ფეხბურთელთა „პირადი კონტაქტები“ ბურთთან მინიმუმამდე შემცირდა. სახე იცვალა ლათინური ქვეყნების გუნდების თამაშის სტილმაც. რასაკვირველია, მთლად ევროპული არ ვაშხადარა, მაგრამ ლათინურ-ამერიკულსა და ევროპულს შორის სადღაც შუაში შეჩერდა“.

არ ციცი, ვინ როგორ, მაგრამ პირადად მე

ვერსოდეს ვერ გავიზარებ ჰერმან ნოიბერგერის მოსაზრებებს.

იგი რომ მხოლოდ სპორტული ურნაღის-ტი, საფეხბურთო მიმოხილველი ან თუნდაც ხაშუალო ჩანგას სპეციალისტი იყოს, მახ სიტუაციებს და ღებულებებს არც მიაქცევდა კაცი უურადღებს. მაგრამ იგი ხომ მსოფლიოს ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაციის არეზიდენტი და „უფას“ ვიცე-პრეზიდენტი!

მადლობა ღმერთს, რომ მექსიკის მსოფლიო ნეშეიონატმა სრულიად ხაწინააღმდეგო დაამტკიცა.

მადლობა ღმერთს, რომ სწორედ გერმანიასა და არგენტინას შორის გადაწყდა თეორიული დავა ტექნიკური და რომანტიკული ფეხბურთის სხარაგებლოდ.

ბარემ აქვე მოვიტან ნაწყვეტს ნ. სტაროსტინის სტატიიდან, რომელიც, სხვათა შორის, ბოლოსთვის შექნდა შემონახული:

„ჩემი ვაგებთ, ფეხბურთმა დიდად მოიგო, არგენტინისნარი ჩემიონი რომ შეიძინა... ამ გუნდში იგრძნობა შემოქმედებოი ხაწეისი, რწმენა ვირტუოზობისა, ყოველი მოთამაშის თვითგამოვლენისა ტექნიკური ილეთებისა და მოწინააღმდეგის მოტუებების მეშვეობით. გუნდს აქვს ვარსკვლავების კულტი, იგი, თუ გნებავთ, რომანტიკული გუნდია (ხაწი ჩემია — გ. ფ.). იმასაც დავძენ, რომ ასეთი ფეხბურთი სსიამოვნო საყურებელია, იგი მოსწონს მაყურებელს, რადგან იგი გულთან უფრო ადლია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩემიონი გფრ-ის ნაერები გამხდარიყო. მაშინ ჩვენ მსოფლიოს პირველ გუნდს დამაჯერებდა ჩავუთვლიდით გეგმაზომიერებას, სქემისა და სტანდარტის ერთგულებას, მწვრთნელისადმი უსიტუყო მორჩილებასა და სიმეცერეს. სხვათა შორის, ფეხბურთში სიმეცერიდან სისასტიკემდე სულ ნახევარი მეტრი მანძილია“.

ჩემის აზრით, ნ. სტაროსტინმა შესანიშნავად გამოთქვა ფეხბურთის ყველა კეშმარიტი მაყურებლის და მათ შორის ჩემი სათქმელიც.

ჩემი მექსიკური შთაბეჭდილებები დეტექტური ნაწარმოებია როლია, რომ დახლართული კვანძი ფინალში გაიხსნას. ეს კვანძი მარადონამ და მისმა გუნდმა უკვე ვახსნა 1946 წლის 21 ივნისს და ანგარიშიც სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის იქნა გახდა.

საერთოდ კი, მე არ მიმანია სწორად სამხრეთ ამერიკისა და ევროპის დაპირისპირება. ამის თაობაზე ადრე დამიწერია კიდევ. არ მიმანია იმიტომ, რომ მიუხედავად სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობისა, ბრძოლა მაინც არათანაბრად მიდის. ევ-

როპაში ბერია საფეხბურთო სახელმწიფო: იტალია, გფრ, საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, შოტლანდია, ბელგია, სსრ კავშირი, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, შოტლანდია, პოლონეთი, ახლა უკვე დანიაც. სამხრეთ ამერიკაში კი — ბრაზილია, არგენტინა და ალ. ბათ ურუგვაი ან პერუ. თანაც, რაც დრო გადის, ძლიერი გუნდის შექმნა უკვე დიდ ფინანსურ და ხაორგანიზაციო პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მომავალ ჩემიონატებში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის სამხრეთ ამერიკიდან მხოლოდ ორი ქვეყანა, ბრაზილია და არგენტინა თუ იბრძობებენ.

ბუნებრივია, თანდთან ძნელი გახდება მხოლოდ ორი ქვეყნის დაპირისპირება მთელს ევროპასთან.

როგორც იქნა. გათენდა 29 ივნისიც, 9 საათზე უკვე სტადიონისაკენ გავემგზავრეთ. საათ. ნახევარს მოვუნდით „სტეკას“ მისადგომებთან მისვლას. შემდეგ კი კვლავ საკულდაგულო ჩხრეკა და ბოლოს, როგორც იქნა, მივადწიეთ პრესლოუას. ჩვენს წინ, სხვა მატჩებთან შედარებით კიდევ უფრო დიდებული სანახაობა ვადიშალა. სტადიონის ტრიბუნები კვლავ ახალი ნახატებით და ფიგურებით იყო მოხატული და მორთული. ვერტოტი გაოცებას ვერ ვმაღავდით, მატჩიდან მატჩამდე რამდენიმედღიან შუალედში როგორ ასწრებდნენ ამოდენა სტადიონის ტრიბუნების ზედახლა მოხატვას.

ბოლოს დადგა ის ნანატრი წუთიც, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ დგება ხოლმე. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა.

მაინც შევახსენებთ გუნდების შემადგენლობებს.

არბმენტინა: კუმიდო, კუსიუფო, ბრაუნი, რუჭერი, ოლარტიკურეა, ჯუსტი, ბატისტა, ენრიკე, მარადონა, ბურუჩაგა (ტრობიანი, 89), ვალდანო.

გფრ: შუმახერი, ბერთოლდი, იაკობსი, ფიორსტერი, ბროგელი, მათეუსი, ბრემე, მაგათი, (პიონენსი, 62), ელერი, რუმენიგე, ალოფსი (ფიოლერი, 41).

მსაჯი რომუალდო არაი ფილიო (ბრაზილია). გოლები: ბრაუნი (23), ვალდანო (56), რუმენიგე (74), ფიოლერი (82), ბურუჩაგა (85).

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ არგენტინელები იმავე ტაქტიკით თამაშობდნენ, როგორც ინგლისელების და ბელგიელების წინააღმდეგითამაშეს. კერძოდ, რუჭერი და კუსიუფო მკიდროდ ეთამაშებიან თავდამსხმელებს. ბრაუნმა კი ისევ თავისუფალი მცველის („მწმენდავის“)

აღვლილი დაიჭირა. დანარჩენებისთვის არგენტინელთა მწვრთნელს ბილარდოს კონკრეტული დავალება არ მიუცია. ფიზიკურად მათ მოედანზე თვითონ უნდა შეეფასებინათ სიტუაციები და ისე უნდა ემოქმედათ, როგორც გუნდის ინტერესები მოითხოვდა.

მაგრამ „ისე უნდა ემოქმედათ“ არ ნიშნავს, რომ გარკვეული სიტუაციებისათვის მწვრთნელს არ ჰქონდა დამუშავებული სხვადასხვა ტაქტიკური სქემები. მაგალითად, არგენტინელებს საგანგებოდ ჰქონდათ დამუშავებული სქემა, თუ რა უნდა მოემოქმედებინათ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში. თავდაპირველბოცა, მათ შორის მარადონაც და ვალდარნაც, უმაღლეს იტვირთვას უკან თავისუფალი ზონების გადასაკეტად, ბურთის ხელში ჩაგდებას შემთხვევაში კი დიდი სისწრაფით იწყებდნენ შეტევითი პოზიციების დაკავებას. მარადონას და მის თანამებრძოლებს შეეძლოთ ეწარმოებინათ სწრაფი ელვისებური კონტრშეტევები, მაგრამ თუ გადაცემას გაგრძელება არ ჰქონდა და უპერსპექტივო იყო, ისიც შესანიშნავად შეეძლოთ, ბურთი დიდხანს ეტყობინათ, სანამ მწვავე გაგრძელებას არ მიახებდნენ.

ბეკენბაუერმა მარადონას წინააღმდეგ მართლაც მათესი დაავალა ბრძოლა. მათესი, სხვათა შორის, კარგი დისპეტჩერიცაა, მაგრამ სრულიად ობიექტური მიზეზების გამო იგი დისპეტჩერობისათვის ვეღარ მოიცილიდა. ამიტომაც გამოამაშებლის, დირიჟორის ფუნქციები გამოცდილ ვეტერანს ფელქის მაგათის დაეკისრა.

მათესმა, ერთი შეხედვით, თითქოს შეასრულა დავალება, თუმცა იგი მარადონას შესაჩერებლად უხეშობასაც არ თაქილობდა, მაგრამ ძვირი დაუჭრდა გერმანელებს მარადონას „დაჭერა“.

არგენტინელთა კაპიტანმა უკან დაიხია. მას თან მიჰყვა მათესი და რიგრიგობით რამდენიმე მოთამაშე. გერმანელები მარადონას მხარეს ვერ სტოვებდნენ. მხოლოდ მათესის ანაზარად. მარადონას უკან დახევამ და მისი ოპონენტების ცენტრში შეტყუებამ ფლანგებზე ხელფები გაუხსნა ვალდარნოსა და ბურუჩაგას. მათ მიერ გატანილი გოლები ლოგიკური შედეგი იყო არგენტინელთა სწორი სტრატეგიისა.

პირველი გოლი გერმანელთა კარში არგენტინელთა მცველმა ბრაუნმა თავით გაიტანა. გაუთეები წერდნენ, შუმანერმა შეცდომა დაუშვა, წინ დაუფიქრებლად გამოვიდა და ბურთს იმიტომ ვერ მისწვდა. არა მგონია, ბურთი იმდენად ოსტატურად იყო ჩაკიდებული საჭარბო მოედანზე და მან მოკლე მანძილზე ტრექტორიის ისეთი მაღალი მრუდი მოხაზა, რომ გატანილი ბურთი სწორედ ვირტუოზულად ჩა-

წოდებული პასის შედეგი იყო და არა უმარადონის შეცდომისა. პრეცედენტში, ვიდეოშედეგებზე დავატრიალეთ ეს ეპიზოდი. არსებობს ადგილიდან ბრაუნის თავმდე ხაზით მანძილი იყო, წარმოუდგენლადაც კი გავრევენ ასეთ მანძილზე ბურთის ასეთი მაღალი და მკვეთრი მარული ჩაკიდება.

მეორე ტაიმის 56-ე წუთზე მარადონამ სანსელისანი კომბინაცია წამოიწყო და ვალდარნომ მართლაც დიდოსტატური გოლი გაიტანა კარის მარცხენა კუთხეში.

62-ე წუთზე ბეკენბაუერმა მაგათი შეცვალა. მიხვდა, მან ვერ გაართვა თავი დირიჟორის ფუნქციებს. იგი ჰიონესმა შეცვალა. მათესმა მარადონას მეურვეობა ფიორსტერს გადააბარა და მაგათის სადისპეტჩერო ფუნქციები თვითონ იკისრა.

ასე იყო თუ ისე, გერმანელების შეტევები უფრო მწვავე და ხშირი გახდა.

ვუჭირობ, არგენტინელებმა ნააღრვავად ჩათვალეს თამაში მოგებულად და იერიშები ხაგრძნობლად შეანელებს, სხვათა შორის ანალოგიური შეცდომა მოუვადათ იწვლისებლებთან და დასასაძრევ კიდევ. გერი ლინგერმა გაჭვითა ერთი ბურთი, როცა შემოინატის ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა.

და აი, ბრემებს მიერ ჩაწოდებული ორი კუთხური. ჭრ რუმენიგემ 74-ე წუთზე გაიტანა თავით, შემდეგ ფიორსტერმა (85-ე წუთზე).

აქ დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გერმანელებს თამაშის მოგების რეალური იმედი გაუჩნდათ, მაგრამ მარადონამ უმაღლეს დააცხრო მათი ვნებანი, მოულოდნელად ბურუჩაგას ისეთი პასი მიაწოდა, 130 ათას კაცს აღტაცების შემახილი აღმოსხდა.

ბურუჩაგა გერმანელთა საჭარბო მოედანზე შეიჭრა და ბურთი შუმანერისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ვალდარნოსა და ბურუჩაგას ბურთები ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ოღონდ ისეთი ტყუპებივით, ერთი რომ დედას ჰგავს და მეორე მამას. ორთავემ გარედან შემოუტარა ოსტატურად დარტყმული მოჭრილი ბურთი შუმანერს, ორივემ შორეულ კუთხეში გაახვია იგი.

ბოლო წუთებში იყო კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი, — როცა მარადონა შეიჭრა გერმანელთა საჭარბო მოედანზე. იგი შუმანერმა და ერთ-ერთმა მცველმა მოცილეს.

მსაქმა კი პენალტი არ ღანიშნა, რადგან თურმე ადრე აღუნიშნავს მარადონას წინააღმდეგ უხეშობაში თამაში. ამ ეპიზოდზე წემით ვილაპარაკე და თავს მეტს აღარ შეგაწყენთ.

სხვათა შორის, გერმანელების მიერ გატანილ ბურთებზე არაფერი დაწერილა. მე მიიღა მკო-

თხველს ჩემი აზრი მოვახსენო ამ გოლებზე. სანამ გერმანელები გოლებს გაიტანდნენ, არგენტინელთა ცენტრალურ მცველს ბრაუნს ლავიწის ძვალი გაუტეხეს. პირველი სამედიცინო დახმარების შემდეგ მან სთხოვა ბილარდოს, დაუყოვნებლივ გაეყვანათ მინდვრიდან. ბილარდომ არ შეცვალა თავისი ცენტრალური მცველი, თუმცა აშკარა იყო, რომ ბრაუნს თამაში აღარ შეეძლო. მას მარცხენა მოკეცილი ხელი ეჭიდროდ ჰქონდა მუცელზე მიბჯენილი, ჩვე. უღლებსამებრ ვეღარც დარბოდა და მალა ხომ ვერა და ვერ ხტებოდა. ორჭერ-სამჭერ. კიდევ სთხოვა მწვრთნელს შემცვალეო. ბილარდო გაკითხდა და მიანიც არ გამოცვალა. ჩემის აზრით, ეს აშკარა შეცდომა იყო. ბრაუნს თვითონ ხომ ვეღარ თამაშობდა, თანაგუნდელებსაც აბნევდა, ორიენტაციას აკარგვინებდა. თვითონ პოზიციას ფაქტიურად ტყუილად იჭერდა. არგენტინელთა დაცვამ ბრაუნის ტრავმის შედეგად საჭარბო მოედანზე მეორე ხართული ფაქტიურად გერმანელებს დაუთმო. შედეგამც არ დააყოვნა. კორნერიდან ორი მოწოდება და ორი გოლი. ხანდახან ისე გავა ხუთი და ათი თამაშიც კი, რომ თავდაშხმელები ერთხელაც ვერ გზავნიან კარში კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს.

განა შეიძლება იმის აღწერა, რა ხდებოდა ტრაზუნებზე და მოედანზე საფინალო სასტვენის შემდეგ. მოედანზე გაიჭრა ალბათ ხუთი ათასი კაცი მაინც. ხტადიონის სახურავზე ჩამოკიდებული უცნაური, რაღაც რაკეტისმაგვარი ფიგურებიდან ვერცხლის ქაღალდები გადმოიფრქვა ჰაერში და შიშის სხივებზე ზღაპრულად აელვარდა. მოედანი ოკრო-ვერცხლით მოფენილ თვალისმომჭერულად მბრჭყვიწივ ხალხას დაემსგავსა.

ამაოდ ცდილობდნენ არგენტინელი ფეხბურთელები თავი დაეხსნათ აღფრთოვანებისაგან გაშმაგებული გულშემატკივრებისაგან.

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონატზე კვლავ აფრიალდა ოთხი წლის წინ დაშვებული არგენტინის ეროვნული თეთრ-ლურჯი ადამი.

ყველას ყურადღება მიიპყრო ერთმა უზარმაზარმა ტრანსპარანტმა, „ბოდოში, ბილარდო, და გმადლობთ!“

დიხ, როგორც იქნა ამოისუნთქა საღვადორ ბილარდომ. როგორც იქნა მიუხედავად საკადრისი მწვრთნელს, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე ეკამათებოდნენ, ლანძღავდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ.

ბილარდომ გაუძლო ყველა შეტევას, ფარ-ხმალი არ დაუჭრა და ბოლომდე იბრძოლა დასახული მიზნის მიხედვით.

რატომღაც უოველთვის ხაზს უსვამდნენ, ბილარდო ექიმის-გინეკოლოგია. პრესაში, ჟურნალში, ჟერ ატრიალეს ბილარდოს პროფესიონალიზმს ხაზს შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მანამდე ბილარდოს არავითარი კავშირი არ ჰქონოდა ფეხბურთთან.

გულშემატკივრებმა კი კარგად იციან, რომ თვითონ ბილარდო იყო კარგი ფეხბურთელი თამაშობდა თავის დროზე ძალიან ცნობილ და უძლიერეს კლუბ „სენტუდიანტისში“. იგი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის სამჯერ მფლობელია, (1963-1970 წ. წ.) ხოლო ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა. ფეხბურთს რომ თავი დაანება, ამავე გუნდის მწვრთნელად დაინიშნა. შემდეგ კვლავ მწვრთნელად მუშაობდა არგენტინასა და კოლუმბიასში.

არგენტინის ეროვნული ნაკრები რომ ჩაიბარა, პირველ რიგში გუნდში მარადონას მიწვევა გადაწყვიტა. ბევრმა როდი გაიზიარა მისი აზრი. ამიტომაც ამბობდა არგენტინელთა ახალი მწვრთნელი: „სამი წელი მოვუწიდი მტკიცებას, რომ მარადონა ყველაზე კარგი ფეხბურთელია მსოფლიოში. სამწუხაროდ, ყველას როდი სჯეროდა ჩემი სიტყვები. მე შეიძინე, ახლა მაინც დაიჭერეს ჩემი სიმართლე. მარადონამ მართლაც დიდებულად ჩაატარა ჩემპიონატი და, რაც მთავარია, ითამაშა სხვანაირად, ვიდრე აქამდე თამაშობდა. მან შესძლო თამაშებში ეკისრა ლიდერის როლი და თან ყველა თავისი ჩანაფიქრი დამეორჩილებინა გუნდის ინტერესებისათვის. ინდივიდუალური რეიდების და კარში დარტყმის უფლებას მაშინ აძლევდა საკუთარ თავს, როცა თანამებრძოლები არ იყვნენ უკეთეს პოზიციაში. გუავედეს ასეთი ფეხბურთელი გუნდში, ეს ხომ საუნწყია“.

და თუ მარადონამ ყველა თავისი შესაძლებლობა გუნდის ინტერესებს დაუქვემდებარა, ნამდვილად ბილარდოს დამსახურებაა. მარადონას ძალიან გაეხარა, კაპიტნად რომ მიიწვიეს. სულ სხვა პასუხისმგებლობა იგრძნო, სულ სხვანაირად მოეკიდა მსოფლიო ჩემპიონატს.

სწორედ ბილარდოს დამსახურება იყო მარადონას ფსიქოლოგიური დამუშავება, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

იოლი როლი იყო ესპანეთის ჩემპიონატის შემდეგ გუნდის კაპიტნად დაგენიშნა მარადონა, როცა არგენტინის ნაკრებს ჰყავდა შესანიშნავი კატანი, არგენტინელი გულშემატკივრების კრები და ამ ჩემპიონატამდე ნომერი პირველი ფეხბურთელი პასარელა.

ბილარდომ გაბედა სახიფათო ნაბიჯის გადაღება და პასარელას ყველაფერი აუხსნა. თავის ნხრივ პასარელამ დაატყიცა, რომ იგი არმარტო კარგი სპორტსმენი, არამედ კარგი ადამიანიცაა და ნაკრები გუნდის კემპარტი პატრი-





ოტიც. იგი ღირსეულად შეხვდა ბილარდოს გა-  
დაწვევითობას, არც სკანდალი აუტეხავს და  
არც გუნდიდან წახულა. პირიქით, როგორც  
გამოცდილი და ავტორიტეტული ფეხბურთელი  
მხარში ამოუდგა ბილარდოს. სამწუხაროდ, ამ  
შესანიშნავ ფეხბურთელს ავადმყოფობამ არ  
მისცა საშუალება მექსიკაშიც მოეხიბლა ხალხი  
თავისი დიდებული თამაშით.

„ფინალშია გურ და მარადონა!“ — ასეთი  
სათაურებით იბეჭდებოდა გაზეთებში წერილები.

ისეთი აზრიც კი შეიქმნა, თითქოს არგენტი-  
ნელთა გამარჯვება მხოლოდ მარადონას დამსა-  
ხურება იყო.

მოუხედავად მარადონაზე ჩემი ძალიან მაღალი  
აზრისა, რაშიც მკითხველი ქვემოთაც დარწმუნ-  
დება, ამ აზრს ვერ გაივწიარებ. არგენტინის  
გუნდი არცერთ გუნდს არ ჩამოუვარდებოდა  
თავისი სიძლიერით. ხოლო ამ ძლიერ გუნდს  
მარადონაც რომ დაეშატა, იმიტომ გახდა უძე-  
ლიერესი. განა ვარსკვლავები არ იყვნენ პუმე-  
პიდო, ბრაუნი, ბატისტა, განსაკუთრებით კი  
ვალდანო, ენრიკე და ბურუჩაგა?! სხვათა შორის,  
ბრაუნი და ბრაზილიელი ხულიო სეზარი უკვე  
გადაიხირა საფრანგეთის „ბრესტმა“, ხოლო  
მშვენიერი არგენტინელი მცველი ოლარტაკო-  
ენჩა შეიქმნა საფრანგეთის „ნანტმა“, სადაც  
ჭერ კიდევ მექსიკის ჩემპიონატამდე თამაშობდა  
ბურუჩაგა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო რომ პასარელა  
დიდი დანაკლისი იყო არგენტინის ნაკრებისა-  
თვის. პირველსავე მატჩზე დამიტვრა პასა-  
რელას შემდეგ ყველაზე კარგი მცველი კლაუ-  
სენცი, რომელიც პირდაპირ სამშობლოში გა-  
გზავნეს. საბედნიეროდ, არგენტინელებს აღ-  
მოაჩნდათ მათი ღირსეული შემცვლელები.

ერთმა ისიც კი მითხრა, ფინალში ძირითადი  
დრო რომ 2:2 დამთავრებულიყო, დამატებით  
დროში გერმანელები გაიმარჯვებდნენ.

უკუტელთის შაოცებდა და შაოცებს ასეთი  
ადამიანების ლოგია. არგენტინა იმიტომ არის  
ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი და იმიტომ  
არის ძლიერი გუნდი, რომ თამაშის მოსაგებად  
სახსენებთ „ეტეოდა“ ორ ტაიშიშ, თავისუფლად  
პუოფინდა 90 წუთი.

შვიდი თამაშიდან არგენტინამ ექვსი მოიგო.  
ერთი ფრედ დამთავრა, გაიტანა ყველაზე მე-  
ტი — 14 ბურთი. გამარჯვებისათვის არცერთ  
მატჩში არ დასჭირვებიათ დამატებითი დრო,  
და მით უმეტეს, პენალტების სერია.

ვფიქრობ, საინტერესოა თვით მარადონას  
აზრი თავის თანაგუნდელებზე: „ჩვენ ძალზე  
ძლიერი შემადგენლობა გვაქვს. ფეხბურთე-  
ლებს ერთმანეთის კარგად ესმით, ამიტომაც

ინდივიდუალურ თამაშს წიანი არ მოაქვს მხოლოდ  
მგონი, უკვე დავამტკიცეთ, როცა ჩვენი  
პირველი ადგილი დავიკავეთ“.

დაიხ, არგენტინის ნაკრებს ნამდვილად არ  
აკლდა ვარსკვლავები, მაგრამ როცა ცაზე მზე  
ამოდის, ვარსკვლავები უკვე აღარ სჩანან ხოლ-  
მე.

მართლაც, იმოდენა მომწონსხველი ძალა აქვს  
მარადონას, რომ მოედანზე სხვათა თამაშს  
თითქმის ვეღარ ხედავ.

მექსიკის მეტამეტე მსოფლიო ჩემპიონატი  
იყო მარადონას ჩემპიონატი. კარგი ფეხბურ-  
თელი ბევრია, მაგრამ მარადონა სულ  
სხვაა. ისევე როგორც თავის დროზე სულ სხვა-  
ნი იყვნენ დი სტეფანო და პელი.

მართლაც და, თუ დღეს მარადონა პირველი  
ფეხბურთელია, დანარჩენ ვარსკვლავთა თანა-  
მიმდევრობა ალბათ მეხუთე ადგილიდან უნდა  
დავიწყოთ.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ორჯერ  
ვნახე მარადონას თამაში, იტალიელებისა და  
ბრაზილიის წინააღმდეგ.

მექსიკაში კი სამჯერ მქონდა ბედნიერება  
მარადონა მეხილა მწვანე მოედანზე. თანაც  
როგორ თამაშებზე!

ინგლისის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, გო-  
ნებაში უკვე ვაღარებდი ოთხი წლის წინან-  
დელ, ოცდაორი წლის მარადონას არგენტინის  
ნაკრების დღევანდელ კაპიტანს.

თავს ნებას მივცემ, მთლიანად მოვიტანო  
ჩემი ოთხი წლის წინანდელი შთაბეჭდილება,  
შემდეგ, როცა დღევანდელ შთაბეჭდილებებსაც  
მოგახსენებთ, ალბათ უფრო გამოოკვებება,  
რით განსხვავდებოდა „მექსიკელი“ მარადონა  
„ესპანელი“ მარადონასაგან.

მარადონა იყო ის ფეხბურთელი, რომელსაც  
თვითონ პირველი სიდიდის ვარსკვლავს, ერთ-  
დაგვარად უნდა განესაზღვრა ესპანეთის მსოფ-  
ლიო ჩემპიონატის ვარსკვლავების სიდიდე და,  
საერთოდ, დღევანდელი ფეხბურთის დონე.

ამ აზრს როდი იზიარებდა თვით არგენტინელთა  
მწვრთნელი ლუის მენოტი. ერთხელ  
ურნალისტიტმა მას ჰკითხეს, არის თუ არა  
მარადონა ახალი პელიო.

მარადონა რომ ახალი პელი გახდეს, ჭერ 1000  
ბურთი უნდა გაიტანოსო. — მოკლედ მოუჭრა  
ურნალისტიტებს არგენტინელთა მწვრთნელმა.

ლუის მენოტის არც კი უნდოდა მარადონას  
ნაკრებში შეყვანა. არ უნდოდა განა იმიტომ,  
რომ მისი ტალანტისა არ სჭეროდა, არამედ  
იმიტომ, რომ შესანიშნავად იცოდა ამ ახალ-

გაზრდა ფეხბურთელის ხარბი ბუნება, თურმე ჯერ კიდევ 17 წლისაც არ ყოფილა მარადონა, როცა მრავალი ფინანსური ოპერაცია წამო-წყვიდა მსოფლიოს ცნობილი ფირმებისთან.

მე თვითონ ვნახე ესპანეთის ტელეგრაფებზე მარადონასა და „კოკა კოლას“ ხარეკლამო ორ-წუთიანი ფილმი. ფილმის სიუჟეტი ასეთია, მარადონა თავით კენწლავს ბურთს, შემდეგ ავტოგრაფებს ურიგებს გულშემატივრებს და თან ხალხური ნეტარებით სვამს ჩაცვიბულ „კოკა კოლას“.

მის ასაკში პელეს ბურთის გარდა არაფერი ახსოვდა. იგი ბურთით ცოცხლობდა, ბურთით სუნთქავდა, ბურთით აღაშენდა და ათენებდა. მოედანზე ფირმების ჭილდოს კი არა, მხოლოდ მოწინააღმდეგის კარს ხედავდა.

თვრამეტა წლის მარადონამ უკვე მიატოვა თავისი სამშობლო არგენტინა. იგი ესპანეთის „ბარსელონაში“ გადაბარდა. რვა მილიონი დოლარი, რომელიც „ბარსელონამ“ გადაიხა-და მარადონას შესაძენად, ფანტასტიკურ ციფ-რად ჟღერს თუნდაც დოლარის დევალვაციის პერიოდში.

პელეს კი სანამ შეეძლო გუნდს გამოსდგო-მოდა, არახდროს მიუტოვებია არამცთუ სამ-შობლო, თვით მშობლიური კლუბი „სანტოსიცი“ კი. ერთხელ მასთან ჟურნალისტი მივიდა და ჰკითხა, რამდენ დოლარს იხურვებდით, იტალი-აში რომ გადმოხვიდეთო. პელე წერს: „განგებ დავასახელებ გაუგონარი თანხა — სამაის ათასი დოლარი (1960 წელს ეს მართლაც სარეკორდო თანხა იყო. — გ. ფ.), მეგონა უარს იტყობდნენ. როცა თანხობა განმიცხადეს, პირნი მივახა-ლეთ, სამშობლოს მიტოვებას არ ვაპირებ-მეთქი“.

პელემ მხოლოდ მაშინ დატოვა თავისი „სან-ტოსიცი“, როცა ჩათვალა, რომ მეთრ სარგებლო-ბის მოტანა აღარ შეეძლო მშობლიური კლუ-ბისათვის.

მარადონა სიმალლით პელესოედნა, მაგრამ უფრო ჩაკუნთული და ძლიერი. მოწინააღმდე-გის მცველს კარგად უდგამს მხარს, თამაშობს ორივე ფეხით. აქვს კარგი გარღვევა, უბადლო დრობილირია, შესანიშნავად ურტყამს კარში თა-მაშის პროცესში, ასევე ბრწყინვალედ ასრუ-ლებს იგი საჭარიმო დარტყმებს. გაიხსენეთ, რო-გორ მოხვდა იტალიელთა კარის ძელს მის მიერ დატრიალებული ბურთი. შეტყვის დროს მარა-დონა მარჯვენა ფრთისკენ გადის და ცდილობს ბურთი იქ მიიღოს. წინასწარ ბოდიში მინდა მოვუხადო მკითხველს, თუ ჩემი დახასიათება სწორი არ იქნება. მე მხოლოდ ორი თამაში ვნახე არგენტინელი ფორვადისა იტალიისა და ბრა-ზილიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. ტმლე-ვიზიის ეკრანებზე ნანახი თამაშებიდან ძნელია სწორი დასკვნები გამოიტანო. ამ ორი მატჩის მან-

ძილზე მარადონა არ ყოფილა იერიშის ორგანიზა-ტორი, თამაშის კონტრუქტორი, იგი უფრო ეპი-ლოგის მოთამაშეა. მარადონას თამაში დიდძალ-დამოკიდებულ პარტნიორებზე. იგი, ფაქტიუ-რად, ელოდება როდის ათამაშებენ ბურთს რო-დის მიწვდინან, სიტუაციას როდის შეუჭმნიან. თუ პარტნიორებმა ეს ვერ შესძლეს (და ვერც შესძლეს კიდევ ესპანეთში), არგენტინელი ფორვარდი ბრძოლას ეთიშება. მას არც ერთ-ხელ არ გამოუჩენია სურვილი, გამხდარიყო ლიდერი, გამხდარიყო გუნდის ბელადი.

პელე მოქმედება მოედენს სამ მეოთხედზე ორთავე ტაიმის მანძილზე. იგი იერიშების და-მაგვირგვინებელიც იყო და ორგანიზატორიც (როგორც მარადონაზე, ასევე პელეზე ვმჭე-ლობ იმ თამაშებით, რაც ჩემი თვლით მინა-ხავს ჯერ ინგლისის ჩემპიონატში, შემდეგ კი — მისიკოვში და მექსიკაში). იგი თანაბრად ძლიერი იყო ენაშთის პროლოგშიც და ეპილოგშიც. უფრო კარგად თამაშობდა თავით. მრავალფე-როვანი იყო მისი შეტევა. ორთავე ტაიმის მან-ძილზე ეძებდა სუსტ ადგილებს, საიდანაც და-ლაშქრავდა მოწინააღმდეგის კარს, მაშინ როცა მარადონას იერიშები მარჯვენა ფრთიდან სი-ჩიუტის ელფერს უფრო ატარებდა, პელე იყო არამარტო დიდებული ფეხბურთელი, არამედ გუნდის ნამდვილი ბელადი.

პელეს თამაში სულ ხუთჯერ ვნახე სხვადას-ხვა დროს. მარადონასი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ორჯერ. ბუნებრივია, ჩემი შთაბეჭდი-ლებანი ტელევიზიით ნანახი (განსაკუთრებით პელესი) მატჩებთან შევავსე, ამიტომაც ვერ დავიჩემებ, რამდენად სწორია ჩემი მოსაზრებანი, მკითხველს ჩემს უშუალო შთაბეჭდილებას ვთა-ვაწობ და მისი ნებაა, დამეთანხმება თუ არა.

ერთი კი უნდა ვთქვა, მიუხედავად მარადო-ნას უფერული თამაშისა, მტკიცედ მჭერა, რომ იგი მაინც ყველაზე დიდი ფეხბურთელი იყო ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთე-ლებს შორის.

მარადონას ჯერ ყველაფერი წინა აქვს. მარადონა იტყვის თავის სათქმელს.

დარწმუნებული ვარ, იგი ერთ-ერთი უპირა-ველესი ვარსკვლავი იქნება მსოფლიო ფეხბურ-თისა.

ბუნებრივია, მიხარია, რომ არ შევმცდარვარ. მიხარია, რომ მარადონამ მექსიკაში თქვა თა-ვისი სათქმელი. მიხარია, რომ იგი არამარტო ჩემპიონატის, არამარტო დღევანდელი ფეხ-ბურთის, არამედ ყველა დროის ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი გახდა.

იმითაც კი, რაც უკვე გაკეთდა, მის სახელს მხოლოდ დი სტეფანოსა და პელეს სახელების გვერდით მოიხსენიებენ.

თუმცა ფეხბურთის ამ კორიფებთან მარადონას ერთი უპირატესობა აშკარაა, იგი სულ 25 წლისა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

სულ სხვა მარადონა ვნახე მექსიკაში. აქ იგი მხოლოდ ვარსკვლავი კი არა იყო, რომელიც პარტნიორებისაგან ხელშეწყობას ითხოვდა, კარგად მათამაშეთო. მექსიკაში მარადონამ ბელადის როლი იკისრა. მთელი მატჩის მანძილზე თამაშობდა როგორც კაპიტანი, თუმცა ისიც არ ავიწყლებოდა, რომ იგი დიეგო მარადონა იყო. მახსოვს, როცა მარადონას პლატინის ადრებდნენ, თითქმის ყველამ ერთხმად აღიარა პლატინის ტაქტიკური და სტრატეგიული ნიჭის უპირატესობა. თუმცა, ამავე დროს, ყველამ აღიარა მარადონას ინდივიდუალური სიძლიერე. ამიტომაც იყო მოულოდნელი და განახარელი, რომ მარადონამ, ამ მართლაც ჭადოქარმა ფეხბურთელმა, არანაკლები ნიჭი გამოამჟღავნა, როგორც ტაქტიკოსმა და გამათამაშებელმა. მაინც რა ზუსტი, დროული და მწვავე იყო მისი გადაცემები. მაინც სად ხედავდა იმ კომბინაციების დასაწყისს, რომლებსაც მოედანზე ფეხბურთელები და ტრიბუნებზე ჩვენ მხოლოდ მის მიერ გაჭრილი პასის შემდეგ ვხვდებოდით. არ დამვიწყდება ბელგიელებთან კუბუსრის ხაზთან როგორ მოიგდო ბურთი ფეხებში, მოულოდნელად როგორ შემობრუნდა და შენიშნა თუ არა ვალდანო ხელსაყრელ პოზიციაში, რა დროულად და რა საოცარი სიზუსტით მისცა პასი. სამწუხაროდ, ვალდანომ ბურთი ააცილა ცარიელ კარს.

რამდენი ასეთი პასი მისცა თანაგუნდელებს მარადონამ. მაინც როგორ ხედავდა მოედანს, როგორი სისწრაფით აფასებდა სიტუაციას და რა მახვილგონივრულად ირჩევდა საუკეთესო ვარიანტს შეტევის გასაგრძელებლად ვარიანტთა შორის.

ავიღოთ თუნდაც ფინალი. კომბინაცია, რომელსაც მეორე გოლი მოჰყვა გერმანელთა კარში, მარადონამ წამოიწყო, პესამე გოლი ხომ დაგვირგვინება იყო, მისივე ენით აუწერელი, გენიალური პასისა.

არც ესაა მთავარი. მარადონას დაქრამ გერმანელთა ძაღლების ისეთი დამაჯბვა მოითხოვა, რომ ფაქტობრივად დარბაჯა გუნდის ერთობლიობა, თამაშის ჩვეული სქემა და რიტმი.

გაიზარდა მოედანზე მისი გავლენის გეოგრაფია, ძალზე გაიზარდა მისი მარჯვი კმედების კოეფიციენტი. ახლა მარადონა თამაშზე ზეგავლენას ახდენს მოედნის სამ მეოთხედზე. თანაც იგი ვარსკვლავია არა ეპიზოდებში, არამედ მთელი ორი ტაიმის მანძილზე. მისი ყოველი მოძრაობა, მანევრირება, მოედნის ხედვა, გრძელი თუ მოკლე პასი, საჯარიმო დარტყმა და, რაც მთავარია, განუმეორებელი დრიბლინგი

ისეთი მომხიბვლელია, ისეთი ემოციებით ავსებს მაყურებელს, რომ სადაც კი ბურთს დაეუფლება ბოდნენ არგენტინელები, საშინელი სურვილი გვიპყრობდა, იმავე წამში მარადონასთვის მიეწოდებინათ. ერთი სიტყვით, ყოველი მისი მოძრაობა, თუნდაც ელემენტარული პასი, დიდი ფეხბურთელის მოძრაობაა, განსვავებულა, სხვანაირია. აი, რატომ ვერ უყურებინ თვით მოწინააღმდეგენიც კი მის თამაშს აუღელვებლად.

არგენტინელებთან მატჩის შემდეგ ინგლისელთა მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა: „კარგად მოგახსენებთ, რა „სხარულს“ მომიტანდა მარადონას მიერ ჩვენს კარში გატანილი მეორე გოლი, მაგრამ იგი მართლაც ისეთი მშვენიერი იყო, რომ სუნთქვა შემეკარა“.

ბელგიელთა მეკარე უფაფი, რომელმაც სპეციალისტებისა და გულშემატკივრების დიდი აღიარება მოიპოვა, არგენტინელებთან მატჩის შემდეგ მოედანზე თითქმის ოც წუთს ელოდებოდა ტელე, რადიო და ფოტორეპორტიორების გარშემორტყმულ მარადონას, რომ მასთან მისულიყო, ხელი ჩამოერთო და გამარჯვება მიელოცა.

ინგლისელებთან მატჩის შემდეგ საშინლად მტკიოდა ხელის თითები. ბელგიელებთან მატჩზე მივხვდი, რომ ყველაფერი მარადონას „ბრალი“ ყოფილა: როგორც კი არგენტინელთა კაპიტანი ბურთს მიიღებდა, თურმე სკამის სახელურს მთელი ძალით ვუპერდი ხელის თითებს!

პელე თუ მარადონა? — მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ასეთი შეკითხვა.

ძნელი სათქმელია!

ერთსაც ჰყავს თავისი მომხრეები და მეორესაც.

ერთ მხარესაც აქვს თავისი ფუნდამენტური არგუმენტაციები და მეორესაც.

განა პელეს ნაკლები სილამაზის ბურთები აქვს გატანილი? თანაც გაცილებით, შეუდარებლად მეტი, ვიდრე მარადონას? — ამბობენ ერთნი.

პელეს თამაშს თავისი პარტნიორები, ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავები უადვილებდნენ, იგი მხოლოდ თავისი ოსტატობის გამოჩენისათვის ზრუნავდა, მაშინ როცა მარადონამ პირველ ირავში გუნდის თამაშებისათვის უნდა იზრუნოს! თანაც აცალეთ, მარადონას ხომ ჯერ ყველაფერი წინა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ბუთი წელი მაინც! — ამბობენ მეორენი.

პირადად მე არ მინდა აყვეთ ემოციებს და ისე გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. იმ თამაშების რაოდენობა კი, როცა მოედანზე პელე ან მარადონა მინახავს, ძალზე მცირეა: იმისათვის, რომ



კატეგორიული დასკვნები გადაკეთო. თუმცა ამავე დროს, შინადა გავიხსენო პეტრეს სიტყვები, რომელიც მან არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე თქვა: დღისათვის სათამაშო სივრცეები ისე საგრძნობლად შეიწმულა, ახლა თამაში თვით გარინჩასა და უაიწინიოსაც კი გაუჭირდებოდაო. მას შემდეგ რვა წელი გავიდა. ფეხბურთი კიდევ უფრო წავიდა წინ. მე ვარსკვლავების რაოდენობას კი არა, თვით ფეხბურთის ხერხთა დონეს ვგაუთხიხხობ. გაიზარდა ხისწრაფე, გაიზარდა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე. დღევანდელი ფეხბურთი წარმოუდგენელია პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე დაძაბული ბრძოლის, ენერჯის მაქსიმალური ხარჯვისა და დიდი სისწრაფის გარეშე. მასირებულია დაცვამ (რომელსაც ალბათ პეღე გულისხმობდა) მართლაც ძალზე შეწმულა სათამაშო სივრცეები.

აქედან გამომდინარე, გაცილებით უკეთესად გახდა თანამედროვე ფეხბურთის დონე გამოიკვეთო, როგორც მარადონა გამოიკვეთა. მაინც რომელია უკეთესი ამ ორ ფეხბურთელს შორის?

სჯობია, ღიად დავტოვოთ ეს საკითხი. ერთი კი უნდა ვთქვათ თამაშად: მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ პეღე უკვე აღარ ბრწყინავს ეულად, „ვით მარგალიტი ობოლი“.



1986 წლის 29 ივნისს „ატტეკას“ დიდებული სტადიონის ფლაგშტოკიდან საზეიმოდ დაეშვა მსოფლიოს მეცამეტე საფეხბურთო ჩემპიონატის აღაში.

ოსხი წლის შემდეგ იგი კვლავ აფრიალდება იტალიაში.

ახლა კი ყველა გზა მართლაც რომში მიდის!



# შპრნალ „ნოსკრის“ 1986 წლის ნოემბრის პინაარსი

## მოსხრობა, რომანი, ნოველა

- აბაშიძე მერაბ — მოთხრობები, № 9
- ავალიანი ლადო — „გადამთიელის სისხლი“. ნოველა, № 6
- ავალიშვილი მანანა — ოჯახი. მოთხრობა, № 3
- ანთაძე მიხეილ — უწლ. ნახევრად ფანტასტიკური მოთხრობა. № 12
- ასათიანი აკაკი — მოთხრობები, № 4
- ასანიშვილი შოთა — მოთხრობები, № 9
- ბრეგვაძე ლალი — ვუკრავ რექტაიშს. მოთხრობა, № 6
- ბეჟანიშვილი როსტომ — მიწურვილ იყო ზაფხული. მოთხრობა, № 10
- ბერიძე დურმიშხან — ლაზარე. ნოველა, № 12
- გეგეშვიძე გურამ — დიდება (ისტორიული მოთხრობა), № 7
- გიორგობიანი რამაზ — მოთხრობები, № 9
- გოგია ჯურაბ — მოთხრობები, № 3
- გულისაშვილი დიმიტრი — კარტოფილის კატელტები, ნოველა, № 2
- დევდარიანი კახა — ნოველები, № 9
- თევზაძე დავით — მოთხრობები, № 11
- ქეჟალაძე გიორგი — ვარდი და ეკალი. მოთხრობა, № 5
- კობიაშვილი გულო — მოთხრობები, № 3
- ლომოური ირაკლი — ფილმი, მოთხრობა, № 2
- ლონდარიძე ნატო — მე ვარ მფარველი ანგელოზი, მუხა და... მოთხრობა, № 8
- მალაქელიძე ბესიკ — ეტიუდები, № 2
- მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 4
- მხეიძე ანა — პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებულ“. მოთხრობა, № 7
- მეხრიშვილი ჭემალ — ვინჩესტერი. მოთხრობა, № 9
- პაპუნაშვილი თამარ — მარტია, მოთხრობა, № 5
- რატინი ჭემალ — მოთხრობები, № 5
- რიჟინაშვილი უშანგი — შაქრო. მოთხრობა. თარგმნა გოგი მაჭუტაძემ, № 11
- სანიკიძე ლევან — გიორგი ათონელი. რომანი, № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9
- ფანჯიკიძე გურამ — სპირალი. რომანი. დასასრული. № 1
- ქადაგიძე ნუნუ — ჩაქვეური რეაქცია „ბროლი“, მოთხრობა, № 9

- შენგელია რამაზ — ტაია, სსწაული და ლაზიკის ერთი მზე, № 2
- ჩარკვიანი ირაკლი — ცალფეხშიშველი ბავშვი, მოთხრობა, № 5
- ჩიხიკიშვილი ავთანდილ — მოთხრობები, № 12
- ზორგუაშვილი გიორგი — მარად ქალწული თემიდა. ნაწყვეტი რომანიდან, № 10
- ზორნაული გიგი — ცარიელი კასეტები. მოთხრობა, № 10
- პეიშვილი გოდერძი — სიკვდილი მზეში. მოთხრობა, № 2
- ჩახუა გიგი — საოდან მოდიან მფრინავი თევზები. მოთხრობა, № 5
- ჩანელიძე ლიანა — დღე... მოთხრობა, № 12
- ჩიხლაშვილი თამაზ — გვირილების ველზე და მარხული. სიზმარი. მოთხრობა, № 7

## ლექსები, კომეზი

- ალხაზიშვილი გიგი — ლექსები, № 2, დიმიანსოვრე, დიმიანსოვრე! ლექსი, № 9
- ადეიშვილი ნოდარ — ლექსები, № 8
- არაბული ბალატიერ — ლექსები, № 12
- არაბული ირაკლი — ლექსები, № 9
- არაბული კობა — ლექსი, № 4
- არაბული ალუდა — ლექსები, № 2
- აბშილვა ზიეტა — ლექსები, № 4
- ასათიანი ლია — ლექსები, № 9
- არჩვაძე ლია — ლექსები, № 7
- ახობაძე ამირან — ლექსები, № 12
- ბეჟიშვილი თედო — მდინარეები — მთების ცრემლები. ლექსი, № 8
- ბელოშვილი ლია — ლექსები, № 11
- ბაქრაძე ნოდარ — ლექსები, № 4, 11
- ბაძალა თამაზ — ლექსები, № 3
- ბაზაძე ირაკლი — ლექსები, № 12
- გაგუა ხუტა — ჩემი საყვარელი ჭრელეთი. პოემა-ზღაპარი, № 5
- გაბური ალექსანდრე — ლექსები, № 10
- გუგუშვილი ბადრი — ლექსები, № 10
- გურგენიძე ნანა — ლექსები, № 8
- გიგაური გიორგი — ლექსი, № 2
- გელოვანი აკაკი — ლექსები, № 12
- გელაშვილი ნუგზარ — ლექსები, № 2
- გოცაძე იზა — ლექსები, № 11



გოდერძიშვილი ზუმრუდ — ლექსები, № 12  
 დავითაია ანჟორ — ლექსები, № 7  
 დანელია რევაზ — ლექსები, № 10  
 დანელია გიორგი — ლექსები, № 7  
 დანელია ბათუ — ლექსები, № 12  
 დოლიბაია ვაჟა — ლექსები, № 9  
 დიდბაშვილი ალექსანდრე — ლექსები, № 10  
 ებანოიძე ზაად — ლექსები, № 3  
 ვეჯა რეზო — ლექსები, № 10  
 თათარაიძე ვთერ — ლექსები, № 7  
 თოთაძე ლალი — ლექსები, № 10  
 კახიძე მადეა — ლექსები, № 2, 6, 12  
 კაიშური რუსუდან — ლექსები, № 11  
 კვიციანიშვილი ემზარ — ლექსები, № 9  
 კერძეაძე ვლადარ — ლექსები, № 11  
 კობერიძე ნუგზარ — ლექსები, № 2  
 მაღრაძე დათო — ლექსები, № 1  
 მამედოვი იმირა — ლექსები, № 7  
 მაზმიშვილი დალი — ლექსები, № 1  
 მაქარაშვილი სოსო — ლექსები, № 6  
 მებურთვილი ტაგუ — ლექსები, № 3  
 მჭედლური დავით — ლექსები, № 9  
 მინდაძე ბიძინა — ლექსი, № 4  
 მირნელი მირიან — ლექსები, № 7  
 ნადარევიშვილი ლაშა — ლექსები, № 4  
 ნაცვლიშვილი პაატა — ლექსები, № 3  
 ნავროსაშვილი დავით, — ლექსი, № 9  
 ნებიერიძე შურად — ლექსები, № 8  
 უვანია ნატა — ლექსები, № 2  
 რეხვიაშვილი ნიკო — ლექსები, № 11  
 რუხაია გრიგოლ — ლექსები, № 7  
 რომანაძე ზერა — ლექსები, № 5  
 სამადაშვილი ზურაბ — ლექსები, № 8  
 სულბერიძე ლადო — ლექსები, № 7  
 სარიშვილი გიგლა — ლექსები, № 12  
 სტურუა ლია — ლექსები, № 6  
 ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები, № 12  
 ფოცხიშვილი მორის — ლექსები, № 11  
 ფხოველი ჭარჯი — ლექსები, № 6  
 ქიქელაძე ზაზა — ლექსები, № 8  
 შამანაძე ნოდარ — ლექსები, № 6  
 შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 1  
 შალვაშვილი მერი — ლექსები, № 6  
 ქემერტილოძე იორამ — ლექსები, № 5  
 უბუხიძე ვაჟა — ლექსები, № 2  
 ჩხეტიანი თემურ — ლექსები, № 10  
 ჩახავა ჭემალ — ლექსები, № 4  
 ჩილაჩავა რაულ — ლექსები, № 12  
 ძნელაძე გივი — ლექსები, № 2  
 წიკლაური მამუკა — ლექსები, № 7  
 ქანტურია ტარიელ — ლექსები, № 11  
 ქუმბურიძე დოდო — ლექსები, № 7  
 ხარანაული ბესიკ — მოცალოების ეპი. პოემა, № 7  
 ხარჩილავა ვახტანგ — მარად, ყოველთვის და განუწყვეტლივ... პოემა, № 9

ხორანული ვაჟა — სტრო გაცრეცილ კედლებზე, პოემა, № 4  
 ჯაველიანი ბორენა — ლექსები; № 4  
 ჯაყელი ლია — ლექსები, № 10  
 ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 5, 10  
 ჭინჩხაძე რუსუდან — ლექსები, № 12

**გაზაფხულის სიმღერები**

გიგინეიშვილი ოლერა, დავითაშვილი ნანა, უშვერიძე ირინე, შატავიძე მანანა, ხოჭოლაძე, თამარ, კედია ნაზი — ლექსები, № 3  
 მაშარდაშვილი ნათელა, მდივანი ნინო, მუმლაძე ნინო, პერტენავა ნინელი, შაბათაშვილი ნანა — ლექსები, № 5

**დრო, დრო აღნიშნა..**

აბუთიძე გოჩა — ლექსები, № 3  
 გონაშვილი მაყვალა — პოემიდან: „როცა ძალიან მომენატრებით, ანუ დაქარგული ბარათები“, № 3  
 ოთარაშვილი ვაჟა — ფიქრები ელექტრონულ გამოთვლულ მანქანასთან, № 3  
 ხარაიშვილი ავთანდილ — სამკეთხა ბარათები, ნაწყვეტი პოემიდან, № 9  
 ხეთაგური შაია — სიცოცხლე, პოემა, № 9

**ახალი თარგმანები**

აგნონი შამეულ იოსებ — მტერი?... მოყვარე! ებრაულიდან თარგმნა — ნისან ზაბალი-კაშვილმა, № 12  
 არღული ალექსი — ბეჰედი, ნოველა, თარგმნა ელზა მებრეველმა, № 12  
 ლომია კონსტანტინე — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა გენო კალანდიაშ, № 6  
 ვრტეკიანი ნიკოლოზ — ლექსები, ბერძნულიდან თარგმნა იზა ორჯონიციძემ, № 4  
 შვიჩენკო ტარას — კავკასია. უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ, № 9  
 ჩეხოვი ანტონ — ფსიქოპათები. თარგმნა ზაად ბოტკოველმა, № 5  
 მაიმი გეორგ — ლექსები. გერმანულიდან თარგმნეს გივი ალხაზიშვილმა და ნაირა გელაშვილმა, № 1  
 კარლო გოლდონი — „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს“, პიესა. თარგმანი იტალიურიდან ივანე მაჩაბლიას, № 8

**კრიტიკა, კუზლიცისტიკა, კუზლიცისტიკა**

ალხაზიშვილი გივი — მდინარეს არსად ეჩქარება, № 4  
 ახვლედიანი გივი — ჩრდილო კავკასიის ქართველთა ზემობრიტყვიერება, № 5



**ბეჭიშვილი თედო** — ფილმი—განსაწმენდელი, № 2

**ბარამიძე რევაზ** — დავით გურამიშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტის გამო, № 2

**ბერიძე თეიმურაზ** — რამდენიმე დღის გახსენება, № 12

**ბუჩიძე ანდრო** — „მარინე“, № 7

**ბულიშვილი მარინე** — ალექსანდრე ამილახვარის „ქართლის აღწერილობა“, № 9

**გიორგაძე ენიშვილი** — ქართული სიტყვის ქანდაქარი, № 12

**გვერდწითელი გურამ** — მზიანი გული, № 5

**დვინაშვილი ქეთევან** — ხალხური გაბაასების სათავეებთან, № 12

**გრიგოლაშვილი ლაურა** — დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მხატვრული სახისათვის, № 5

**ვალაქიორია შოთა** — ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიკული ორგანიზაციის ისტორიიდან, № 4

**ვაქარაია პარმენ** — მცირე მოგონება დიდ პოეტზე, № 11

**თოფურია აკაკი** — შტრიხები პორტრეტისათვის, № 11

**იმედაშვილი კობა** — „გახსოვდეს სიკაცხლე“, № 2, 3

**კილანავა ბეჟან** — დიდი მიზნის სათავეებთან, № 11

**კარტოზია ბონდო** — დიმიტრი უზნაძე ყოფნარყოფნის პრობლემის შესახებ, და ქართული ხალხური პოეზია, № 8

**ლორია კახაბერ** — „რომ მართო არ ხარ“... № 4

**მახარაძე მიხეილ** — „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“, № 2

**მამაცაშვილი ნოდარ** — წვეთში ჩატეული ზღვის მოქცევა, № 3

**მირიანაშვილი თემურ** — თავისებური ხმის პოეტი, № 2

**მეგრელიძე იოსებ** — ნიკო მარი, № 12

**ნიკოლეიშვილი ავთანდილ** — იოსებ გრიშაშვილი (შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის) № 6

**ონიანი ესმა** — „ცა მნიშვნავს“, № 9

**ჟორდანიას სულხან** — „ფესვები“, № 3 „კატის რეჟიმი“, № 8

**რეხვიაშვილი სპარტაკ** — პარტიზანი ინსტრუქტორ-გამომგონებელი, № 5

**სიგუა სოსო** — „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-დან „მემარცხენეობამდე“, № 10, 11, 12

**ფაღვაძე როდამ** — 50-იანი წლების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროზა, № 1

**ქავთარია გრანო** — დიდი ორატორის სიტყვები ქართულად, № 4

**ქართველიშვილი მედეა** — იუგოსლავიური პროზის დიდოსტატი, № 12

**ქისტაური ნანა** — რევაზ ინიანიშვილის საბავშვო პროზის მხატვრული თავისებურებანი, № 1

**ფხოველი ჯარჯი** — მწერლის პირველი რომანი, № 1

**ჟორანაშვილი გურამ** — ქართული ცივილიზაციის რაობის შესახებ, № 1

**შენგელია რომან** — ფილოსოფიურ ცნებათა ქართული ტერმინების შესახებ, № 1

**შავგულიძე ნუგზარ** — „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“, № 12

**შტოკმანი იგორ** — ლიტერატურა ქმედითი სამყარო. თარგმნა ლია შერვაშიძემ, № 5

**ჩხეიძე პაატა** — ხმები გამჭვირვალე ბურუსიდან, № 1

**ჩხეიძე როსტომ** — სევდა ერეკლე ტატიშვილისა, № 6

**ჩიტიშვილი მანანა** — „ო, საქართველო, წიგნო, ჩუმად გადასაშლელი“, № 4

**ცხოვრების მთავარი ნიშანსვეტი** — № 2

**ჩოხელი სოფიო** — საქარწილო პოეზიის ერთი ასპექტისათვის, № 2

**ჩეთთი რუბენ** — რეკლუციონდელი თბილისის ოსური პერიოდი, № 3

**წერეთელი ნუგზარ** — ქართული მწერლობის დესპანებად პოლონეთში, № 2

**ხინთიბიძე ელგუჯა** — ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, № 3, 6

**ხელაია ნაზი** — იოსებ ნონეშვილის ლირია, № 7

**ჯანელიძე დავით** — ლაზების ბელადი და რუსეთის დიპლომატია, № 4

**ჯგუზურია მურმან** — პოეტის ალბომი, № 5

**ჯორბენაძე სერგი** — სტუდენტი ემბარება პროფესორს, № 4

**შუბაგაძილივაგაძი**

**ჩარკვიანი გიორგი** — „ვისთვის რას იტყვი“, № 9, 10

**დილაშვილი**

**მანანა ახმეტელი, ლიანა ისაკაძე** — მუსიკალური უნივერსალიზმი

**მომონივაგაძი**

**ჯგუზურია მურმან** — „ხაზარულას“ გარშემო, ანუ რამდენიმე საღამო ნოდარ დუმბაძესთან“, № 3

**სამართველიშვილი მერიამაია  
X შრილოვის შესახებ**

**აბაშიძე მერაბ**, **ბაძალა თამაზ**, **ბეროშვილი ლეონა**, **ბრეგვაძე ლალი**, **თურმანაული ომარ**,



კალანდია ზაურ, ქუთათელაძე ნინო, ჩხეიძე როსტომ, ხორნაული ვაჟა — № 3  
ფიქრები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე — № 4

ჩვენი ვაჟა-ფშაველა, № 1:

**საბავშვოთა კავშირის მფარველთა VIII ყრილობის შეხსენებლად**

80 — კონსტანტინე ლორთქიფანიძე — 80  
სარედაქციო წერილი. № 2

ღვინჯილია ჩანსულ — რამდენიმე სიტყვა „ცისკარსა“ და ახალგაზრდა მწერალზე, № 6

**გამოსათხოვარი**

**სპაპ XXVII ყრილობის შეხსენებლად**

აფრილონიძე შუქია — არნოლდ ჩიქობავა — მოწაფე და მასწავლებელი, № 1

დიდი ფორუმების წელიწადი — № 1

მემიწიში ომარ, ვიბლიანი ეთერ, რუხაძე ნინო, აბაშია რევაზ — ქართული ფილოლოგიის მშვენიება, № 1

**საერთაშორისო ცხომრება**

მინაშვილი ვლადიმერ — ქართული ლიტერატურა დიდი ენათმეცნიერის თვალთ, № 1  
ლორთქიფანიძე კონსტანტინე, № 8

ცინცაძე სოსო — მორატორიუმი და ბირთვული მიოთოლოგია, № 8

პედია ნანა — საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ: დიქტატიდან კონფრონტაციამდე, № 10

ჭაფარიძე რევაზ — სერგო კლდიაშვილი, № 11

**ხელმოწება**

**გახსენება**

ბექიშვილი თედო — ყოველთვის ტკბილად მოსაგონარი, № 11

არველაძე ნათელა — ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალი, № 4

კაკულია ლალი — ახალგაზრდა კომპოზიტორების შემოქმედებითი პრობლემები, № 11

წულაძე მარიკა — ქვეშაპირიტი მსახიობი, № 6

**იუბილეები**

**რეცენზია**

150 — ილია შავჭავჭავაძე — 150

ბადრიძე შოთა — ილია ჭავჭავაძე და ისტორია, № 11

ღვინჯილია ჩანსულ — დანიშნულება, № 8

ნაშიქიშვილი ბეჟან — „კარგად დააკვირდით ერთმანეთს აღამიანებო!“ № 3

კომახიძე მამია — წიგნი „ნიგალის“ შესახებ, № 4

ლიპარტელიანი გიგა — გულისთვლებით ნანახი, № 7

200 — ალექსანდრე შავჭავჭავაძე — 200

კაპა რუსლან — ფიქრები ერთ თარგმანზე. თარგმნა მანანა დუმბაძემ, № 8

რომანტიზმის მესამეკვლე — № 10

**სკორტი**

100 — სერგო ორჯონიძე — 100

ირემაძე აკაკი — სერგო ორჯონიძე სამოქალაქო ომის ფრონტზე, № 10

ბეცენაუერი ფრანც — ჩემი მეგობრები—მეტოქენი, № 10

ფანჯიყიძე გურამ — მარადონა რეი, № 11, 12



---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 280007, დღიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32,  
პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85,  
პრინის — 72-26-80, „ციხისკის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორი — 72-47-62.

---

გადაეცა ასაწობად 13. 10. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 12. 86 წ. ქალაქის ზომა  
70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ.  
თაბახი 15,85. შეკვ. 2347 უე 04841 ტირაჟი 60.000.

---

საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

## გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები

თედორაძე დ. — ცეცხლის პირანზი, ლექსები „საბჭოთა აპარა“

თორია ზ. — აღბილი ცის ქვეშ, „მირანი“

კალანდია ზ. — მსიჯობი საზომოდგომო განწყობილებისათვის, „ნაკადული“

გვადლური დ. — მიგვიდრობითი სიზმრები, „საბჭოთა საქართველო“

ნიუარაძე ე. — თანამედროვე თანამედროვეს! „მირანი“

ბაკიძე დ. — ჩემი წილი ცა, „საბჭოთა საქართველო“

უურავილი ა. — ცდომილთა დღესასწაული. რომანი, „საბჭოთა საქართველო“

ცირაშვილი ბ. — ლტოლვა, „მირანი“

673



ფანტ 60 კპპ.

0520660 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ